ევროპის უნივერსიტეტი

მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი

საჯარო ფინანსები

მოწონებულია ევროპის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის
საბჭოს მიერ

თბილისი
2017

უაკ 336.14 (075.8)
ვ-186

სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული საჯარო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორიცაა: საჯარო ფინანსების არსი და ფუნქციები; საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი; საჯარო ფინანსების მართვის სისტემა და მისი ორგანიზაცია; საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი; სახელმწიფო ბიუჯეტი; ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი; საბიუჯეტო კლასიფიკაცია; ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის მართვა; საბიუჯეტო ფედერალიზმი და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის სისტემა; სახელმწიფო არასაბიუჯეტო (სპეციალური) ფონდების ადგილი და როლი საჯარო ფინანსების სისტემაში; საჯარო ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია.

ტექსტის გადმოცემის გამარტივების, ადვილად აღქმადობისა და ათვისების მიზნით, წიგნში თითოეული თემა დაყოფილია საკვანძო საკითხებად. ამასთან, ყოველი თემის ბოლოს მოტანილია საკონტროლო კითხვები და ტესტები შეძენილი ცოდნის დონის შემოწმებისათვის, რომლებიც თემათა საკვანძო საკითხების ათვისების ხარისხის გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, ძირითადი თემების დასრულების შემდეგ მოცემულია რეკომენდებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი, რაც მკითხველს შესასწავლი მასალის უფრო სიღრმისეულად ათვისებაში დაეხმარება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის; ფინანსების სფეროს სახელმწიფო სტრუქტურებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკებისათვის; საჯარო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: ეკონომიკის დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის ვიცერექტორი, პროფესორი
გოჩა თუთბერიძე

რეცენზენტები: ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
რ. ბურდიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ვ. მოსიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გივი ბაქრაძე

© ვანიშვილი მ., ვანიშვილი ნ. 2017.

ISBN 978-9941-9528-4-5

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება ავტორთა წერილობითი ნებართვის გარეშე

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

მიმართვა სტუდენტებისადმი

„გახსოვდეთ!... ერთი ექიმის არასწორ დიაგნოზს ან მცდარ რეცეპტს შეიძლება ერთი ადამიანის დალუპვა მოჰყვეს, ერთი ფინანსისტის არასწორ დასკვნას ან მცდარ რეკომენდაციას კი არა მარტო ერთი ადამიანის დაღუპვა, არამედ სანარმოების, დარგების, დარგთა სისტემებისა და თვით სახელმწიფოების დალუპვაც კი და შესაბამისად ასობით, ათასობით, ასიათასობით და მილიონობით ადამიანის ტრაგედია და სიკვდილი... მსგავსი შემთხვევები რომ არ მოხდეს, აუცილებელია საფინანსო, საბანკო, ფულად და მათ თანმდევ სხვა ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს გაწაგებდნენ და მართავდნენ ფინანსისტი-პროფესიონალები, თავისი საქმის მცოდნე, მრავალმხრივ განათლებული, დიდი მოქალაქეობრივი ზნეობისა და პრინციპების მქონე ადამიანები“...

„გახსოვდეთ!... უფულო და ჯიბეგაფხეკილი არც კაცი ვარგა, არც ოჯახი და არც ქვეყანა. ასეთს არც მტერი აგდებს რამედ და არც მოყვარე. ყოველთვის უნდა ცდილობდე კეთილსინდისიერი შრომით იმდენი დააგროვო, რომ შენც კარგად იცხოვრო და მტერიც და მოყვარეც სათანადოდ გაისტუმრო. ფულსა და ქონებას შრომა და ყადრი უყვარს და ვინც ამას იგიწყებს, ის ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, სულერთია, მხოლოდ თავისი თავის პატრონი იქნება, ოჯახისა, დუქნისა თუ ქვეყნისა“...

„გახსოვდეთ!... იმისთვის, რომ გახდეთ დიდი ფინანსისტი, დიდი ბანკირი და საერთოდ დიდი ეკონომისტი, საჭიროა სისტემატურად ისწავლოთ, სისტემატურად იშრომოთ, სისტემატურად იღვაწოთ პირადად თქვენი, თქვენი ოჯახის და მათთან ერთად, პირველ რიგში, თქვენი და ყველა ჩვენთაგანის საყვარელი და საოცნებო საქართველოს უკეთესი და ბედნიერი მომავლისათვის“...

პროფ. ნ. ქოქავა

წინამდებარე სახელმძღვანელოს რომ ვადგენდით, მიზნად დავისახეთ წიგნი ვრცელი და მოსაბეზრებელი არ ყოფილიყო, რადგან, როგორც ბერძენი პოეტი *კალიმაქოსი* შენიშნავდა, „დიდი წიგნი დიდი მოწყენილობაა“. ამასთან, გვსურდა ისეთი წიგნი დაგვეწერა, რომელსაც სტუდენტობის წლებში თვითონაც სიამოვნებით გამოვიყენებდით. ჩვენი უმთავრესი მიზანი უხვსიტყვაობის თავიდან აცილება იყო, რამეთუ კარგად გვახსოვს დიდი მწერლის *რ. დეკონისის* აფორიზმი „მწერლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა სათქმელის მოკლედ გადმოცემა ისე, რომ ყველასთვის ჯოჯოხეთურად მოსაბეზრებელი არ გახდე“.

არ ვიცით, რამდენად მოვახერხეთ დასახული მიზნის მიღწევა. ეს თავად თქვენ განსაჯეთ. ისე კი, წინამდებარე წიგნი ბევრად უფრო მცირეა იმ სტანდარტულ უცხოენოვან სახელმძღვანელოებთან შედარებით, რომლებიც საჯარო ფინანსების საკითხების შესასწავლად გამოიყენება. მაგრამ, აქ გვერდების რაოდენობის შემცირება არ მომხდარა მარტოოდენ იმის ხარჯზე, რომ

თითოეულ გვერდზე რაც შეიძლება მეტი მასალა დატეულიყო. ჩვენი თხოვნის შესაბამისად, წიგნის დიზაინერი შეეცადა ნათელი, მოწესრიგებული და მიმზიდველი სახე მიეცა მისთვის.

სანამ ნებისმიერი თემის წაკითხვასა და შესწავლას დაიწყებთ, ალბათ, ჯერ მის სტრუქტურას გაეცნობით და ფურცლების საერთო რაოდენობას დაითვლით, მაგრამ ნუ შეშინდებით ზოგიერთი თემის მოცულობითი სიდიდით. ვეცადეთ თემათა შინაარსი თქვენთვის საინტერესო და გასაგები გამოგვესულიყო და მოგვიტევეთ, თუკი ამის გამო ზოგიერთი თემა დიდიც გამოვიდა.

არც იმით შეშინდეთ, თუ ცალკეული თემების შესწავლისას დაიღლებით და მოგეჩვენებათ, რომ, მიუხედავად ამდენი მეცადინეობისა, ჯერ კიდევ არაფერი იცით. აი, რა აქვს ნათქვამი საკუთარ თავზე ცნობილ ეკონომისტს *ალფრედ მარშალს*: „რაც უფრო მეტად ვუღრმავდებოდი ეკონომიკური მეცნიერების შესწავლას, მით უფრო მეტად ვხვდებოდი, რომ ჩემს მიერ ამ სფეროში მიღებული ცოდნა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მე მჭირდება; და ახლა, მხოლოდ ამ მეცნიერების თითქმის 50-წლიანი შესწავლის შემდეგ, ვხვდები რომ მაქვს გაცილებით ნაკლები ცოდნა, ვიდრე მაშინ, როცა მის შესწავლას ვიწყებდი“.

ნებისმიერი მეცნიერება (მათ შორის,საჯარო ფინანსებიც) ხომ ისეთივე საინტერესო და ამოუწურავია, როგორც თითოეული ადამიანი. მთავარია, არ დაიზაროთ და ფარხმალი არ დაყაროთ, გამოიჩინოთ ამტანობა და მოთმინება, როცა თემების შესწავლისას რაღაც რთულად მოგეჩვენებათ. როგორც ცნობილი ეკონომისტი *ა. ჰაილ-ბრონერი* შენიშნავს, „ეკონომიკის შესწავლა მოითხოვს აქლემის ამტანობასა და წმინდანის მოთმინებას“.

საინტერესო, ხალისიან და ნაყოფიერ სწავლას გისურვებთ!

მერაბ ვანიშვილი
ნინო ვანიშვილი

06.06.2017

წინასიტყვაობა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელნიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, რაციონალურ დასაქმებას, ფულად-საკრედიტო სფეროს ეფექტიან განვითარებასა და ინფლაციის რეგულირებას, მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს. ასეთ ინსტრუმენტად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება საჯარო ფინანსები.

საქართველოს სინამდვილეში ფინანსურ სფეროში რეალური და ეფექტიანი რეფორმების ხელშეწყობა ფაქტობრივად წარმოუდგენელია მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალი პირობების შესაფერისი პროფესიონალი ფინანსისტების გარეშე. მათი მომზადების მიზნით ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების საფუძვლიანი დახვეწა და სრულყოფა, რაც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მათში საბაზრო მოთხოვნების მაქსიმალურ გათვალისწინებას. ასევე ყურადსაღებია სახელმწიფოს[1] მიკროეკონომიკური ფუნქცია დარესურსების გამოყოფასა და შემოსავლის განაწილებაზე მისი ზემოქმედების ხასიათი.

წინამდებარე სახელმძღვანელო ეყრდნობა ეკონომიკური პროფილის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის პროგრამებს და მოიცავს საჯარო ფინანსების სფეროში სპეციალისტთა მომზადების სისტემის საბაზო კურსის ყველა ძირითად თემას. მასში წარმოდგენილი 12 თემის სახით ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საჯარო ფინანსების არსი და ფუნქციები; საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი; საჯარო ფინანსების მართვის სისტემა და მისი ორგანიზაცია; საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი; სახელმწიფო ბიუჯეტი; ავტონომიური რესპუბლიკის რეს-

---

[1] ზოგადად, ინგლისურენოვან ლიტერატურაში, გამოყენებულია ტერმინი „Government“, რომელიც პირდაპირ ითარგმნება, როგორც „მთავრობა“, მაგრამ, ჩვენ ვეთანხმებით პოზიციას, რომლის თანახმად, მიზანშეწონილია მთავრობის ეკონომიკური ფუნქციების სახელმწიფოზე გავრცელება, რადგან ხელისუფლების დანაწილების კლასიკური პრინციპის თანახმად ბევრ ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოში) მთავრობა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებაა და მთლიანად ვერ განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკას. ცხადია, შეიძლებოდა გვეხმარა ტერმინი „ხელისუფლება“, რომელიც აერთიანებს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს, მაგრამ ტრადიციისადმი პატივისცემის ნიშნად და იმის ხაზგასასმელად, რომ ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილია, რომელსაც სახელმწიფოს უფრო დიდი ნაწილის - მოსახლეობის წინაშე ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აკისრია და რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არაპირდაპირი გზით (არჩევნები, რეფერენდუმები და ა.შ.) მოსახლეობაც მონაწილეობს პოლიტიკის, მათ შორის, ფინანსური პოლიტიკის ფორმირებაში, ჩვენვიყენებთ ტერმინს „სახელმწიფო“.

პუბლიკური ბიუჯეტი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი; საბიუჯეტო კლასიფიკაცია; ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის მართვა; საბიუჯეტო ფედერალიზმი და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის სისტემა; სახელმწიფო არასაბიუჯეტო (სპეციალური) ფონდების ადგილი და როლი საჯარო ფინანსების სისტემაში; საჯარო ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია. კურსის ათვისებისათვის თვალსაჩინო და მოხერხებული სახით წარმოდგენილი მასალა სრულად შეესაბამება ეკონომიკურ სპეციალობებში უმაღლესი განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტს.

საინტერესოა, რომ სახელმძღვანელოში განხილული თითოეული თემა მთავრდება ამ სფეროში საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის ანალიზითა და შეფასებით. შესაბამისად, მასალას აქვს არა მხოლოდ თეორიული ხასიათი, არამედ იგი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათის მატარებელიცაა, რაც სტუდენტებს განუვითარებს ანალიზის ჩატარებისა და სწორი, დასაბუთებული შეფასებების გაკეთების უნარ-ჩვევებს.

საჯარო ფინანსების სასწავლო კურსის შესწავლა ითვალისწინებს ლექციებს, პრაქტიკულ (სასემინარო) მეცადინეობას, სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედურ და ფინალურ გამოცდებს. ამიტომ მოცემული სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია დახმარება, ერთი მხრივ, - სტუდენტებისათვის სასწავლო კურსის წარმატებით ათვისებაში, ხოლო მეორე მხრივ, - პროფესორ-მასწავლებლებისათვის სწავლების ტექნიკური საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაში.

კურსის გადმოცემის სიმარტივე და მისი სისტემატიზებული სახით წარმოდგენა, საკონტროლო კითხვებისა და ტესტების ფართო არსენალი შესაძლებლობას აძლევს, ერთი მხრივ, სტუდენტებს - სწრაფად გაიმეორონ გავლილი თემები გამოცდის მომზადებისას, ხოლო მეორე მხრივ, პროფესორ-მასწავლებლებს - არსებითად გაუმჯობესონ და გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი.

ბუნებრივია, სახელმძღვანელოს არა აქვს პრეტენზია იმისა, რომ მასში წარმოდგენილი ყველა საკითხი განხილულია ამომწურავად და სრულყოფილად, რამდენადაც ეს შეუძლებელია საჯარო ფინანსების სფეროს მნიშვნელობიდან და მაშტაბურობიდან გამომდინარე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ თანდართულ რეკომენდებული ლიტერატურის სიას და უფრო ღრმად შეისწავლონ მათთვის საინტერესო საკითხები. ამასთან, საქართველოს საჯარო ფინანსების სფეროში, კერძოდ, მის საკანონმდებლო ბაზაში სწრაფად მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, აუცილებელია სათანადო ლიტერატურული წყაროების სისტემატური გაცნობა და შესწავლა.

თქვენიშენიშვნებიდასაქმიანიწინადადებებიშეგიძლიათგამოაგზავნოთელექტრონულმისამართზე: E-mail: merabvanishvili@yahoo.com
E-mail: ninivanishvili@yahoo.com

თემა 1

საჯარო ფინანსების არსი და ფუნქციები

„ვისაც ფინანსები მხოლოდ ფულად მიაჩნია,
ის ხედავს მარტო შედეგს და ვერ ამჩნევს ძირითადს“.
პასელიე

„არაფერი არ საჭიროებს იმდენ სიბრძნესა და ჭკუას, როგორც განსაზღვრა იმ წესრიგისა, რასაც ართმევენ ქვეშევრდომებს და რასაც უტოვებენ მათ“.
შარლ ლუი მონტესკიე

„ფინანსისტები ისე ეხმარებიან სახელმწიფოს,
როგორც თოკი ეხმარება ჩამობრჩობილს“.
შარლ ლუი დე მონტესკიე

„საჯარო ფინანსები სხვა არაფერია, თუ არა რთული კამათი ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ.
საჯარო ფინანსები კვალიფიკაციის ამაღლების საუკეთესო სკოლაა“.
ვაცლავ კლაუსი, ჩეხეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი

გეგმა:

1.1. ფინანსურ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება;
1.2. საჯარო ფინანსების ადგილი ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში;
1.3. საჯარო საფინანსო საქმიანობა და მისი განმხორციელებელი სუბიექტები;
1.4. საჯარო ფინანსების როლი ეკონომიკაში და საქართველოში მისი გააქტიურების ამოცანები.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

1.1. ფინანსურ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება

ფინანსურ ურთიერთობათა წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების კლასებად დაყოფასა და სახელმწიფოს წარმოშობასთან. პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის შემდეგ მონათმფლობელური, შემდეგ კი ფეოდალური სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობამ წარმოშვა მოთხოვნა ფინანსებზე, რომელიც იმ დროისათვის წარმოდგენილი იყო ნატურით აკრეფილი მოსაკრებლების და გადასახდელების

სახით. კაპიტალიზმის პირობებში კი, როდესაც განვითარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები და მან საყოველთაო ხასიათი შეიძინა, კიდევ უფრო გაფართოვდა სახელმწიფოს ფუნქციები (მოთხოვნილებები), აუცილებელი გახდა აღნიშნული ნატურალური მოსაკრებლებისა და გადასახდელების ფულადი ფორმით შეცვლა. ამდენად, წარმოიშვა ეკონომიკური (ფულადი) ურთიერთობები და ფულადი ფონდები, რომელიც ფორმირდებოდა მწარმოებლის შემოსავლების განაწილებით და მისი გარკვეული ნაწილის სახელმწიფოს კუთვნილებაში გადასვლით. ასეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს ფინანსები ეწოდა.

ტერმინი „ფინანსები“ წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან (finansia), რაც ნიშნავს შემოსავალს, გადასახადს. პირველად, თავისი ნამდვილი მნიშვნელობით, „ფულადმა გადასახადმა“ გამოყენება ჰპოვა მე-12 – მე-15 საუკუნეების იტალიაში, როდესაც ქალაქები – გენუა, ფლორენცია და ვენეცია ევროპის უმსხვილეს სავაჭრო და საბანკო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

მე-16 საუკუნის გერმანიაში ტერმინმა „ფინანსები“, ძირითადი მნიშვნელობის – ფულადი გადასახადების – პარალელურად, შეიძინა გამომძალველობის, თაღლითობის მნიშვნელობაც. ეს აიხსნებოდა იმით, რომ იმ პერიოდში ფინანსური მეცნიერების ძირითადი ამოცანა იყო არა დაბეგვრის თეორიულად დასაბუთებული და გასაგები სისტემის შექმნა, არამედ ისეთი მოხერხებული, ხელოვნური ხერხების გამოძებნა, რომელთა მეშვეობითაც ცდილობდნენ მოსახლეობის მოტყუებას, რათა მისგან ამოეღოთ რაც შეიძლება მეტი ფული. მაგრამ მე-17 საუკუნიდან საფრანგეთში ეს ტერმინი უკვე გამოიყენება თანამედროვესთან მიახლოებული მნიშვნელობით (სახელმწიფო ქონების ერთობლიობის აღმნიშვნელ სინონიმად), ხოლო ლუდოვიკო XIV-ის დროს კი ფრანგული ენის საერთო ევროპულმა გამოყენებამ კონტინენტიდან გამოდევნა ტერმინი „ფინანსები“-ს ნეგატიური გერმანული მნიშვნელობა.

საგულისხმოა, რომ საქართველოში, გვიანდელ შუა საუკუნეებში, ფინანსების სინონიმად გამოიყენებოდა ფართოდ ცნობილი ცნება - „ხაზინა“, რომელიც არაბული წარმოშობისაა. მე-12 საუკუნიდან საქართველოში, „ხაზინის“ შემოღებამდე, ხმარებაში იყო „საჭურჭლე“, ხოლო დღევანდელი გაგებით ფინანსთა მინისტრს „მეჭურჭლეთუხუცესი“ ეწოდებოდა.

ფინანსების ეკონომიკურ კატეგორიაზე შეხედულებათა ტრანსფორმაცია მე-17 საუკუნის დასასრულიდან მე-20 საუკუნის დასასრულამდე საკმაოდ ამომწურავად და კომპაქტურადაა მოცემული ს. ვიტტეს ნაშრომში. ის წერს: „ ... მე-17 საუკუნის დასასრულიდან „ფინანსების“ ცნების ქვეშ დაიწყეს სახელმწიფო ქონების მთელი ერთობლიობის და, საერთოდ, მთელი სახელმწიფო მეურნეობის მდგომარეობის გაგება. სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მატერიალური საშუალებების - მისი შემოსავლების, ხარჯების და ვალების - მთელი ერთობლიობის აზრითაა გაგებული ეს ცნება დღესაც. ამრიგად, მეცნიერება ფინანსების შესახებ შეიძლება განისაზღვროს როგორც

მეცნიერება სახელმწიფოს მატერიალური მოთხოვნილებების საუკეთესოდ დაკმაყოფილების შესახებ"[1].

ფინანსების შესახებ მეცნიერება წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ პერიოდში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ფინანსების შესახებ კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში არაფერი არ თქმულა.

მონათმფლობელური საზოგადოების მოაზროვნეთა შორის პირველი იყო ქსენოფონტე, რომელიც ფინანსების შესახებ საკითხს შეეხო. მან ფინანსებს მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი - „ათენის რესპუბლიკის შემოსავლების შესახებ". ქსენოფონტე სახელმწიფო შემოსავლების წყაროდ თვლიდა სახელმწიფო ქონებას, გემებს, წიაღისეულს, საბაჟო გადასახადებს. მან ზოგიერთი ფინანსური საკითხი განიხილა მეორე ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომში - „ეკონომიკა".

მონათმფლობელური საზოგადოების მეორე მოაზროვნე, რომელმაც ფინანსების შესახებ საკითხები გააშუქა, არის არისტოტელე. იგი სიმდიდრისა და შემოსავლების მიღების მთავარ წყაროდ ომებს მიიჩნევდა. არისტოტელე მიუთითებდა, რომ სახელმწიფო აგროვებს სახრსებს ჯარის, დაცვის სამსახურის, სახელმწიფო აპარატის და სხვა სამსახურების შესანახად.

ფინანსურ საკითხებზე მთელი რიგი მოსაზრებებია გამოთქმული უძველეს ძეგლებშიც. მაგალითად, წიგნში „დაო-დეს შესახებ", რომლის ავტორად მიჩნეულია ლაოცი, გამოთქმულია პროტესტი საგადასახადო ექსპლუატაციის თაობაზე.

ფინანსური საკითხების განხილვით ცნობილია ძველი ინდური ძეგლი ჩვენს ერამდე მე-4 - მე-3 საუკუნეებში „არხაშასტრა" (მეცნიერება „პოლიტიკის შესახებ"). ამ დოკუმენტში ლაპარაკია გადასახადების შემგროვებელთა მოვალეობებზე და საგადასახადო შეღავათებზე.

ძველ ინდურ ნაწარმოებებს შორის, აღნიშნული თვალსაზრისით, ასევე ცნობილია „მანუს კანონები" („მანავადხარმაშასტრა"). მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: სახელმწიფო წყობა, ფინანსები, კლასების უფლებები და ა.შ. მეფე ყოველთვის აწესებს ისეთ გადასახადებს, რომლის შედეგებით სარგებლობს თვითონ და მწარმოებლები. ხაზგასმულია ისიც, რომ საქონლის დაცვაზე ყველა ვაჭარი უნდა იხდიდეს ბაჟს.

ფინანსების შესახებ სერიოზული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ფეოდალური საზოგადოების ფილოსოფოსებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ასე, მაგალითად, შუა საუკუნეების ფილოსოფოსი თომა აქვინელი (1225-1274 წწ.) წინააღმდეგი იყო სესხზე სარგებლისა იმის გამო, რომ, მისი აზრით, ამ შემთხვევაში იყიდება ის, რაც არ არსებობს. მას მიაჩნია, რომ მეფეს უფლება აქვს სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისათვის ამოიღოს გადასახადი, თუ ბიუჯეტში სხვა შემოსავლები არ ექნება.

---

[1] იხ.: Витте С. Конспект лекции о народном и государственном хозяйстве. - М. 1997, с. 4.

ფინანსების შესახებ საკითხებს იხილავს თავის თხზულებებში ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374 წწ.), რომელიც არის იტალიაში რენესანსისა და ჰუმანიზმის ფუძემდებელი. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფო იშვიათად უნდა მიმართავდეს გადასახადებს. იგი იბრძვის ყალბი ფულის გამოშვების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა. რომ კაპიტალისტურამდელი ფორმაციების ყველა მოაზროვნე ასე თუ ისე ეხება გადასახადებს, ფინანსების სხვა საკითხებს, მათ ვერ შეძლეს მეცნიერული ახსნა მოეცათ ფინანსურ ურთიერთობებზე, სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებზე.

ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციის თანდათანობით დამკვიდრება-განვითარების კვალობაზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა სახელმწიფოს ფულადი შემოსავლები და ხარჯები. ამასთან, სისტემატური შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა ნატურალური გადასახადები და მოსაკრებლები. ასეთ პირობებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძველი ჩაეყარა მეცნიერებას ფინანსების შესახებ.

კაპიტალიზმის განვითარების მთელ ეპოქაში ფინანსების გაგება მოიცავდა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსებს და, მეორე მხრივ, არასახელმწიფო ანუ საოჯახო მეურნეობებისა და კერძო საწარმოთა (კორპორაციათა) ფინანსებს.

საგულისხმოა, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან თითქმის ყველა სახელმწიფო ეკონომიკის მილიტარიზაციის გზას დაადგა. სახელმწიფოს მიერ სამხედრო მიზნებისათვის გაწეული ხარჯები, სახელმწიფო ვალისა და მასზე პროცენტების გადახდის მოცულობა აღემატებოდა სახელმწიფოთა ხარჯების 65 პროცენტს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო მმართველობის ხარჯები. სამაგიეროდ, სოციალური ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის ცხოვრების ნორმალურ პირობებს. სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების მთავარი წყარო გადასახადები იყო, განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადები.

მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა მე-20 საუკუნეში ქვეყნების საწარმოო ძალების და საერთაშორისო გაერთიანებების განვითარების საქმეში. განვითარებული სახელმწიფოები არა თუ იცავდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, უშუალოდ მონაწილეობდნენ კიდეც წარმოების პროცესში და დიდ წილს იღებდნენ მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების პროცესში.

მეორე მსოფლიო ომის წინა და ომის შემდგომ პერიოდში განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ფინანსებისათვის დამახასიათებელი გახდა ხარჯების სწრაფი ზრდა, რომელიც კიდევ უფრო დაამძიმა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განხორციელებულმა ცივი ომის პოლიტიკამ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი იმითაც არის ცნობილი, რომ ქვეყნების სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. სამხედრო ხარჯების დიდი ხვედრითი წონის მიუხედავად.

ეს ხარჯები, მე-19 საუკუნის დასასრულის ანალოგიურ ხარჯებთან შედარებით, შემცირდა და მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ღონისძიებების დაფინანსების, როგორც ხვედრითი წონა, ისე აბსოლუტური მოცულობა. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის პატარა ქვეყნები გადაიქცნენ სოციალური მიმართულების ქვეყნებად და სახელმწიფო შემოსავლების დიდ ნაწილს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით იყენებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში გაბატონებულია თავისუფალი საბაზრო მეურნეობა და იგი იმართება საბაზრო ეკონომიკის მონეტარისტული მოდელით, სახელმწიფოები დიდ ხარჯებს ეწევიან ეკონომიკის განსავითარებლად, რაც უპირატესად გამოიხატება სახელმწიფო ინვესტიციების გადიდებაში (სათბობ-ენერგეტიკული, ელექტრომექანიკური მრეწველობის დარგები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და სურსათის წარმოება).

სერიოზული სტრუქტურული ძვრები მოხდა ისეთი სახელმწიფოებრივი ხარჯების დაფინანსებაში, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანახარჯთა დაფინანსების მნიშვნელოვანი გადიდება, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას. ამასთან, მთავრობა მეწარმეებს აძლევს სუბსიდიებს იაფი ინვესტიციების სახით, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლას, უფრო მეტიც, ექსპორტიორ ფირმებსა და კორპორაციებს ბიუჯეტიდან ეძლევათ საექსპორტო პრემიები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი განვითარებული ქვეყნების მიმართ ნაკლებად იყენებს კვლავწარმოებითი პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფას, მაგრამ ეს არ ნიშნავს განვითარებული ქვეყნების ხელისუფალთა მიერ საერთაშორისო ბაზრების დაპყრობის პროცესის თვითდინებაზე მიშვებას.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე განვითარების მონეტარისტული მიმართულება ოდნავადაც არ ამცირებს კვლავწარმოებითი პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობის მოთხოვნას. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ კვლავწარმოებითი დანახარჯების დაფარვა უნდა მოხდეს იმ ფინანსური რესურსებით, რომლებიც თავმოყრილია სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტების ხელში. ამ მიზნებისათვის დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების 20 %-ზე მეტი იხარჯება.

საქართველოში არსებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ქვეყნის კვლავწარმოებითი პროცესის დანახარჯთა დასაფინანსებლად არათუ სახელმწიფო ბიუჯეტი. არამედ საწარმოთა შემოსავალიც კი ფაქტობრივად არ გამოიყენება და მთელი გულისყური მიმართულია უცხოური ინვესტიციებისაკენ, რომელთა ეფექტი შიდა რესურსების გამოყენებასთან შედარებით ნაკლებია. იმ ქვეყანაში, სადაც ეროვნული შემოსავლის წარმოება მინიმუმამდეა დასული და თანაც არსებული მოცულობაც კი მთლიანად

მოხმარების ფონდში გადადის, ძალიან ძნელია შეზღუდული ფინანსების მეშვეობით ეროვნული მეურნეობის განვითარების მიღწევა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ძირითადი ეტაპების განხილვა საქართველოში.

ფინანსური ფედერალიზმის გენეზისი საქართველოში[1]: როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც ფინანსური თეორია და პრაქტიკა თავის არსებობას ითვლის საკუთარი სახელმწიფოებრიობის წარმოშობის პირველი დღეებიდანვე. მათი არსებობა და ფუნქციონირება შეინიშნება ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის შუა პერიოდიდან, აიეტის უმძლავრესი კოლხთა სამეფოს ეპოქაში.

ქართული ფინანსური თეორიისა (მეცნიერების) და პრაქტიკის შემდგომი ეტაპი იყო ქართლის მეფის ფარნავაზის ფინანსური პოლიტიკა, საქართველოს ერთიანი სამეფოს დასავლეთის (კოლხეთის) და აღმოსავლეთის (იბერიის) ნაწილების გაერთიანება, აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტისათვის მეფის ხელთ არსებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება.

მნიშვნელოვანი ეტაპი ფინანსური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში საქართველოში იყო ვახტანგ გორგასლის ეპოქა. ცნობილია, რომ ადრეულ ეპოქაში, როცა შრომის მწარმოებლურობა ძალზე დაბალი იყო, სუსტად იყო განვითარებული წარმოება და მიმოქცევა და შესაბამისად ფული, ფინანსები და კრედიტი, სახელმწიფოს, მისი ცალკეული რეგიონების და ცალკეული პიროვნებების ფინანსური რესურსების შექმნისა და დაგროვების ერთ-ერთი დომინირებული მეთოდი იყო ომების, თავდასხმების, დარბევების შედეგად მოპოვებული მატერიალური და ფინანსური ფასეულობანი (ტყვე, ალაფი, ხარკი, კონტრიბუცია და სხვ.). ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, როცა საქართველო პერმანენტულ ომებს აწარმოებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, გზადაგზა ის ქვეყნის ფინანსურ საკითხებსაც წყვეტდა - თავს უყრიდა ფინანსურ რესურსებს ტერიტორიების, ტყვეების, უძრავი და მოძრავი ქონების, ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს მარაგების და სხვათა სახით.

ფულად-საკრედიტო და საგადასახადო რეფორმების პირველი ნაბიჯები საქართველოში[2]: საქართველოს სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოს ფინანსური თეორიისა და პრაქტიკის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები. ამ მხრივ განსაკუთრებულია დავით აღმაშენებლის ეპოქა, როცა ძლიერი მეფის მიერ არა მარტო განმტკიცებული იქნა ქვეყნის დამოუკიდებლობა და საქართველო გა-

---

[1] უფრო ვრცლად იხ: ქისტაური შ., ხორგუაშვილი თ. ფინანსური მეცნიერება საქართველოში: წარსული, აწმყო, მომავალი. - გორი, 2003. - 115 გვ.

[2] უფრო ვრცლად იხ.: მესხია ო., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. - თბილისი, 1996. - 224 გვ.

დაიჭიმა ორ ზღვას შუა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, არამედ მოხდა მისი ფულის მიმოქცევის, ფინანსებისა და კრედიტის ახლებურად მოწყობა, მათი ამოქმედება და განვითარება.

დავით აღმაშენებლის ფინანსურ პოლიტიკას და რეფორმებს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საქართველოს ფინანსური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. დავით აღმაშენებლის დროს არამარტო შეიცვალა საქართველოს მონეტები ქართულით და მიმოქცევაში დამკვიდრდა ეროვნული ვალუტა, არამედ გატარდა ფართო მაშტაბის ფინანსური რეფორმები. როგორც იმდროინდელი არაბი ისტორიკოსი წერდა, რომელიც იმ ხანებში ყოფილა საქართველოში და დავითის საფინანსო-სავალუტო რეფორმებს პირადად შესწრებია, საქართველო იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და ფინანსურად უაღრესად ძლიერი ქვეყანა იყო.

დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულმა საფინანსო-ეკონომიკურმა რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მტკიცე საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც გამართულად ფუნქციონირებდა თითქმის 100 წლის მანძილზე საქართველოში მონღოლების შემოსევამდე.

თამარ მეფის საქართველოს იმდენი შემოსავლები გაუჩნდა, რომ ის მნიშვნელოვნად სჭარბობდა იმდროინდელი ინგლისის სახელმწიფოს შემოსავლებს. იმ დროინდელი საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა ისე განმტკიცდა და მაშტაბური გახდა, რომ ქვეყანაში ყალიბდება მძლავრი ფინანსური ინსტიტუტი – საჭურჭლე (დღევანდელი გაგებით ფინანსთა სამინისტრო).

დასავლეთ ევროპული ფინანსური იდეების პირველი წარმომადგენლები საქართველოში: ქართული ფინანსური თეორიის (მეცნიერებისა) და პრაქტიკის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება სულხან-საბა ორბელიანისა და მისი აღზრდილის ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს. სულხან-საბას ნაწარმოებებიდან ამკარად ჩანს მერკანტილიზმისა და ფიზიოკრატიზმის ეკონომიკური შეხედულებები, რომლებიც სამართლებრივ და პრაქტიკულ ასახვას პოულობენ ვახტანგ VI-ის მეცნიერულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. ამ უკანასკნელმა არა მარტო დაამკვიდრა საქართველოში გამართული საფინანსო (საგადასახადო) სისტემა, არამედ ის უზრუნველყო შესაბამისი სამართლებრივი ბაზით, კერძოდ კი ფინანსური სამართლით.

ფაქტიურად იგივე შეხედულებები ქვეყნის სოციალური ჯგუფების, ფინანსების, გადასახადების, ვაჭრობისა და სხვათა შესახებ გააჩნდა დავით გურამიშვილს, რომელიც აცხადებდა, რომ მეფის (ქვეყნის) ძლიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ „რა ხაზინა უძევს ქისებს“.

ქართულ ფინანსური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვან მიღწევებს ჰქონდა ადგილი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მმართველობის დროს. იგი ქვეყნის ფინანსების შექმნა-მოწყობაში ადგა ევროპე-

იზის გზას, ცდილობდა თავის სამეფოში დაენერგა საფინანსო მეურნეობის ევროპული ფორმები. მეფე ერეკლემ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ფულადი სისტემის შექმნას და ქართული ფულის გადაქცევას ქვეყნის მშენებლობისა და ამიერკავკასიაში ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლებისათვის. ერეკლეს დროინდელი ქართული თეთრი (ქართული მონეტა) გადაიქცა ერთ-ერთ მტკიცე მონეტად ამიერკავკასიაში.

ფინანსური თეორია (მეცნიერება) და ფინანსური პრაქტიკა მე-19 საუკუნის საქართველოში[1]: საქართველოს შეერთებამ რუსეთთან 1801 წელს ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ფინანსური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. მართალია, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და იმპერიის მიერ ადგილობრივი, ეროვნული ფულად, საფინანსო, საკრედიტო და სხვა ადგილობრივი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაუქმებამ, ნგრევამ და ლიკვიდაციამ (მარტო თბილისის ზარაფხანას გაუქმება და „ქართული თეთრის" მოჭრის შეწყვეტა რად ღირს) უდიდესი ზიანი მიაყენა, მკვეთრად შეაფერხა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესი, შეუქმნა სერიოზული საფრთხე მთელ რიგ ეროვნულ ფასეულობებს. მაგრამ ევროპასთან ახლოს მდგომმა რუსეთის იმპერიამ თავისდროულად ბევრი რამ დადებითი შემოიტანა საქართველოს ფულის მიმოქცევის, ფინანსების და კრედიტის დარგში. იქმნება ერთიანი სასაქონლო და სასესხო ბაზარი, ერთიანი საგადასახადო სისტემა, ერთიანი ფულადი მიმოქცევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საქართველო ებმება მსოფლიო ვაჭრობაში, მისი ნაწარმი გადის რუსეთის ქალაქებში, დასავლეთ ევროპაში, სხვაგან და სხვაგან.

1895-1897 წწ. რუსეთის მთავრობამ გაატარა ფულის რეფორმა და გადავიდა ოქრო-მონეტური სტანდარტის ფულად სისტემაზე: მიმოქცევაში გამოვიდა ოქროს 15, 10, 7 რუბლიანი, 50 კაპიკიანი და 7 რუბლიანი მონეტები, როგორც გადახდის განუსაზღვრელი კანონიერი საშუალება. ფულის ერთეული იყო „რუბლი", რომლის ოქროს შემცველობა შეადგენდა 0,77 გ. წმინდა ოროს.

მიუხედავად იმპერიის ანტიქართული პოლიტიკისა, ახალი ეკონომიკური პროცესები და მოვლენები წარმოშობენ ახალ ხელსაყრელ ფონს და გარემოებას ქართულ რეალობასთან მისადაგებული ეროვნული ფინანსური თეორიისა (მეცნიერებისა) და პრაქტიკის აღორძინებისათვის. იმდროინდელ გიგანტთა შორის ილია ჭავჭავაძეს ყველაზე საჩინო და გამორჩეული ადგილი უკავია.

დიდი ილია არა მარტო დიდი მწერალი და დიდი საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ ის იყო დიდი ბანკირი-ფინანსისტი, რომელმაც თავისი 30-წლიანი საბანკო მოღვაწეობით არანაკლები როლი შეასრულა ქართველი ერის

---

[1] უფრო ვრცლად იხ.: გამსახურდია გ. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. - თბილისი, 1997. – 216 გვ.

ეროვნული თვითშეგნების აღორძინებასა და განვითარებაში, ვიდრე მისმა მწერლურმა და პოეტურმა მოღვაწეობამ.

ფინანსური მეცნიერების ადგილი და როლი დემოკრატიულ საქართველოში (1918-1921 წ.წ.): რუსეთის იმპერიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში ავტომატურად გამოიწვია მისი მმართველი ძალის – რომანოვების დინასტიის ტახტიდან ჩამოგდება და მის ადგილას ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარება. ეს მოხდა რუსეთის 1918 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გზით, როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მენშევიკები. რამდენიმე თვის შემდეგ ოსტატურად ორგანიზებული გადატრიალების შედეგად მენშევიკები მათმა „ნასევარძმებმა“ ბოლშევიკებმა დაამხეს და ქვეყანას მოექცნენ სათავეში, რაც 70 წელიწადს გაგრძელდა.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ და უსასტიკეს სამოქალაქო ომში გახვეულ იმპერიას აღარ შესწევდა ძალა დაპყრობილი ერების თავის გამგებლობის ქვეშ ყოლისა და დაიწყო მათი იმპერიის შემადგენლობიდან მასობრივი გასვლა, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. პირველ ეტაპზე სახელმწიფოებრივი ფინანსური პოლიტიკა ეყრდნობოდა ფულის, ბიუჯეტის და ბანკების მარქსისტულ თეორიას და რიცა დადგა საჭიროება ხარჯების გასასტუმრებელი საგადასახადო საშუალებისა, ქვეყანაში გამოშვებული იქნა ქაღალდის ფული, რომელსაც ეწოდა – ბონები საქართველოს რესპუბლიკისა (რუსეთში საგადასახადო საშუალებებს უწოდეს „საბჭოთა ნიშნები“ რუბლი და არა „ფული“ (Деньги).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ბონების გამოშვებამდე (1918 წ.) საქართველოს ტერიტორიაზე მიმოიქცეოდნენ ნიკოლოზის („ნიკოლკი“), კერენსკის („კერენკი“) და ამიერკავკასიის („ზაკი“) ფულის ნიშნები, მაშინ გასაგები გახდება თუ რა რთული ფონი უნდა გადაელახა ქართულ ეროვნულ ვალუტას - ბონს, რომ მას თავისი თავი დაემკვიდრებინა მიმოქცევაში.

მიუხედავად უამრავი საგარეო (რუსეთი, თურქეთი და სხვა), რეგიონული (სომხეთი, აზერბაიჯანი) და საშინაო პრობლემებისა, ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არა თუ შეძლო საკუთარი ფულის (ბონის) უმტკივნეულოდ შემოღება, არამედ ის გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე ფულად რუსეთის იმპერიიდან თავდახსნილი ახალი სახელმწიფოების (პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი) ფულის ნიშანთა შორის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების მესამე წელს დაბალანსებული ბიუჯეტის შედგენა და მისი მეშვეობით მუშაობის დაწყება უდიდესი მიღწევა იყო ქართულ ფინანსური მეცნიერებისა (თეორიისა) და პრაქტიკისა. გრძელდებოდა დიდი ილიას მიერ დაწყებული ხაზი, რომელიც შემდეგ გააგრძელეს პროფესორებმა: ფილიპე გოგი-

---

[1] უფრო ვრცლად იხ.: ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ. ფინანსური მენეჯმენტი. - თბილისი, 2006. - 992 გვ.

ჩაიშვილმა, სიმონ ავალიანმა, ნიკოლოზ ქოიავამ და სხვებმა და პრაქტიკოსებმა: კანდელაკმა, ღოღობერიძემ, ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

დამოუკიდებელი საქართველოს მიერ საკუთარი ფულის ნიშნების (ბონების) გამოშვებამ, სახელმწიფო ბიუჯეტის ცივილიზებული მექანიზმის დანერგვამ ავტომატურად მოითხოვა ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფდა ერთიანი ფულადი, საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას ქვეყანაში. ასეთი სტრუქტურა შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო ბანკი.

დიდი ილია, როცა იბრძოდა საქართველოში ბანკის დაარსებისათვის, აცხადებდა, რომ „ბანკს ძალზე დიდი როლი ეკუთვნოდა ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა და განვითარებაში". მისი დაარსებით და ფუნქციონირებით ილიამ ქართველ ხალხს დაანახა პრაქტიკული შედეგები. ბანკის მეშვეობით ილიამ ეკონომიკურად გააერთიანა გუბერნიებად და მაზრებად დაყოფილი საქართველო, შემდეგ კი დაიწყო მისი კოლონიური უღლიდან გათავისუფლების პროცესი. კ. კანდელაკის წინადადებით ფუძნდება საქართველოს სახელმწიფო ბანკი, რომელიც თავისი ოპერაციების შესრულებას იწყებს 1920 წლის 1 ივლისიდან, რომელმაც მხოლოდ 1921 წლის 11 ოქტომბრამდე იფუნქციონირა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ბანკირ-ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე. საკუთარი ვალუტის (ამ შემთხვევაში ბონის), სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო ბანკის შექმნამ და ფუნქციონირებამ შესაძლებელი გახადა ისტორიულად ძალზე მოკლე დროში ქვეყნის ეკონომიკის, მისი ფინანსური და სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა, ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება და საერთაშორისო არენაზე გასვლა.

1920 წლის 31 დეკემბერს ცენტრალური ბანკის დამფუძნებელი კრების მორიგ სხდომაზე სიტყვით გამოდის საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი, რომელიც აცხადებს, რომ მთავრობას გათვალისწინებული აქვს 1921 წლიდან ბონის გაუქმება და ახალი მტკიცე ფულადი ერთეულის „მარჩილის" შემოღება, რაც პრაქტიკულად ვერ განხორციელდა რუსეთის მიერ მეთერთმეტე არმიის მეშვეობით საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობის შედეგად.

ფინანსური მეცნიერება და ფინანსური პოლიტიკა საბჭოურ საქართველოში: 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის შემოსვლით, დემოკრატიული მთავრობის დამხობით და საბჭოური წყობის დამყარებით იწყება ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც გრძელდება 70 წლის მანძილზე, 1921 წლიდან 1991 წლამდე.

ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ საქართველოში, 1924 წლის სისხლის ღვრამ, საფინანსო, საკრედიტო, საბაჟო, ფასებისა და სხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაუქმებამ საფრთხე შეუქმნა ქართული ეროვ-ნული

ფინანსური მეცნიერებისა და ფინანსური პრაქტიკის არა თუ განვითარებას, არამედ ცივილიზებული სახით არსებობასაც კი. მაგრამ ბოლშევიკების მიერ განწირული ქართული ფინანსური მეცნიერება და ფინანსური პრაქტიკა არ აღმოჩნდა ღმერთისაგან განწირული და მას უჩნდებიან დამცველები და განმავითარებლები ქართველ მეცნიერ-ფინანსისტებსა და ფინანსისტ-პრაქტიკოსებს შორის: ცნობილი ქართველი ფინანსისტი-მეცნიერი ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც ფინანსურ დისციპლინებს კითხულობდა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში; მაშინდელი ფინანსთა სამინისტროს მუშაკი ნიკოლოზ ქოიავა, რომელიც 1924 წელს დაბრუნდა გერმანიიდან პროფესორად მოსამზადებელი 4-წლიანი მივლინებიდან; აკაკი კაკაბაძე, რომელიც სორბონის უნივერსიტეტში განსწავლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო საფინანსო უწყებებში მუშაობა; ფინანსთა სახალხო კომისარიატში მუშაობა დაიწყეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა, მომავალმა ფინანსისტებმა, პროფესორებმა ვასილ ჩანტლაძემ და არჩილ გოკიელმა.

ახალი ეტაპი ქართული ფინანსური მეცნიერების მონაწილეობისა საქართველოს წინაშე მდგარი საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების შესწავლა-გადაწყვეტაში იწყება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა 30-იანი წლების მსგავსი რეპრესიები დროთა ვითარების გამო საბჭოთა კავშირში შენელდა, მაგრამ ცივი ომის ისტორია ზენიტშია.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკნოტების 50% ოქროთი იყო უზრუნველყოფილი, რუსეთის ფულადი სისტემა, ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის და საგარეო ვალების დიდი მოცულობის გამო, მაინც არ იყო მყარი. მოკლედ რომ ვთქვათ, 1917 წლის სოციალისტურ რევოლუციას რუსეთის იმპერიაში, მათ შორის საქართველოში, დახვდა ტიპიური ინფლაციური ქაღალდის ფულადი სისტემა, რომლის მოწესრიგება რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის ძირითადი წყარო ფულის (ბონის) ემისია იყო. ბონის კურსის სტაბილიზაციისათვის საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, მაგრამ მდგომარეობა მაინც ვერ გამოსწორდა და მთავრობა იძულებული გახდა შეეწყვიტა მისი ემისია.

1923 წელს დაიწყო საქართველოს ბონის გადაცვლა ამიერკავკასიის ფულის ნიშანზე – ჩერვონეცზე და 1923 წლის 22 მაისის ამიერკავკასიის ფედერაციის სახკომსაბჭოს დადგენილებით საქართველოში გადახდის კანონიერ საშუალებად „ჩერვონეცი“ იქნა გამოცხადებული, რომლის 25% უზრუნველყოფილი იყო ოქროთი.

1924 წლის 18 თებერვალს დეკრეტით ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევის სავალდებულო საშუალებად სსრ კავშირის სახაზინო და საბანკო ბილეთები გამოცხადდა, 14 აპრილიდან შეწყდა ამიერკავკასიის ფუ-

ლის ნიშნების დამოუკიდებელი ემისია და იგი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მონოპოლიურ უფლებად იქცა. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა ფაქტობრივად უკვე ერთიანი საბჭოთა კავშირის ფულად-საკრედიტო სისტემის ორგანული ნაწილი გახდა. ამდენად, საბჭოთა საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა საბჭოთა კავშირის ფულად-საკრედიტო სისტემასთან ერთიანობაში განიხილებოდა.

1922-1924 წწ. ფულის რეფორმის მოსამზადებელ ეტაპზე მიმოქცევაში არსებული დიდი რაოდენობის ფულის მასის შემცირების მიზნით ფულის ორი დენომინაცია გატარდა: 1) 1922 წელს გამოშვებული ახალი ფულის ნიშნებით შეიცვალა ძველი გამოშვების ფულის ნიშნები თანაფარდობით 1:10000; 2) 1923 წელს გამოშვებული ერთი რუბლი 1922 წელს გამოშვებულ 100 რუბლზე გაიცვალა.

1924 წლამდე საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე „ჩერვონეცების" პარალელურად მიმოიქცეოდა ფინსახკომის მიერ გამოშვებული „სოფბანკი" (ორვალუტიანი მიმოქცევა). 1924 წლის მარტში შეწყვეტილი იქნა გაუფასურებული „სოფბანკის" გამოშვება. დაიწყო მისი გამოსყიდვა შემდეგი კურსით: 1 რუბლის სახელმწიფო ხაზინის ბილეთი გაუთანაბრდა 1923 წელს გამოშვებული 50 ათას რუბლს და 1922 წლამდე გამოშვებული კი – 50 მლრდ რუბლს, მიმოქცევაში გამოვიდა სახელმწიფოს სახაზინო ბილეთები 1, 3, 5 რუბლის ღირებულების ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ხურდა მონეტები. დადგინდა მყარი თანაფარდობა სახაზინო რუბლსა და საბანკო ჩერვონეცს შორის: 1 ჩერვონეცი = 10 რუბლს.

1930-1932 წწ. გატარდა საკრედიტო რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი იყო საბანკო სისტემაში, როგორც ეს მოხდა მთელ სახალხო მეურნეობაში, მართვის დემოკრატიული ცენტრალიზაციის პრინციპების დანერგვა და მთელი საანგარიშსწორებო, საკრედიტო და საკასო მომსახურების კონცენტრაცია სახელმწიფო ბანკის ხელში, რომელმაც 1988 წლამდე იარსება.

1947 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ფულის რეფორმა. მოხდა გაუფასურებული ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღება, მათი გადაცვლა ფულის ახალ ნიშნებზე შემდეგი თანაფარდობით: ნაღდი ფულის ნიშნები 10:1, ე.ი. 10 ძველი რუბლი 1 ახალ რუბლზე; შემნახველ სალაროში არსებული ანაბრები სამი ათას მანეთამდე – 1:1; 3 ათასიდან 10 ათასამდე - 3:1; 10000 რუბლის ზევით – 2:1 კომერციული საწარმოების ფულადი სახსრები ბანკის ანგარიშებზე – 5:4; სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ბანკის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები უცვლელი დარჩა, ე.ი. 1:1.

1947 წლის ფულის რეფორმის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა სწრაფი ტემპით განვითარდა და 1961 წლის მდგომარეობით ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოცულობამ ტრილიონ მანეთს გადააჭარბა, გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები და მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა. სახელმწიფომ, ეკონომიკის ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით და

ანგარიშსწორების გამარტივების მიზნით, გადაწყვეტილება მიიღო 1961 წლის 1 იანვრიდან ფასების მაშტაბის შეცვლის შესახებ, გაიზარდა რუბლის ოქროს შემცველობა და იგი უკვე 0,987412 გ. წმინდა ოქროს ტოლი გახდა. 1961 წელს განხორციელებული აღნიშნული პროცესის მიხედვით მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები გადაიცვალა ახალი ფულის ნიშნებზე 10:1. ასევე 10-ჯერ შემცირდა ფასები, შემოსავლები და საგადასახადო ვალდებულებები, ე.ი. მოხდა საბჭოთა რუბლის დენომინაცია. ფულის ნიშნების გაცვლა მოხდა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

დამოუკიდებელი საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში: 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების და მეურნეობის სოციალისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ შექმნილიყო სრულიად ახალი ფულად-საკრედიტო სისტემა, რომელიც უპასუხებდა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნებს და ხელს შეუწყობდა მის განვითარებას.

ფაქტობრივად, მოვლენები ზოგი ობიექტური, ზოგი კი სუბიექტური მიზეზებით ისე განვითარდა, რომ ქვეყნის ეკონომიკაც და ფულად-საკრედიტო სისტემაც ძირფესვიანად მოიშალა. რუსეთის იმდროინდელმა ცენტრალურმა ბანკმა 1992 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკს ფაქტობრივად შეუწყვიტა ნაღდი ფულის მიწოდება, ბლოკირება გაუკეთა საქართველოს საკორესპონდენტო ანგარიშებს, ფაქტობრივად შეწყვიტა ურთიერთანგარიშსწორების ყველა ოპერაცია. ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა: საწარმოები გაჩერდა; ფულის ნიშნების არარსებობის გამო მუშა-მოსამსახურეები, პენსიონერები მრავალი თვის მანძილზე ვერ იღებდნენ ხელფასებს და პენსიებს, რასაც საბოლოო ჯამში შეიძლება მოსახლეობის სოციალური აფეთქება მოყოლოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ 1993 წლის მაისიდან (სრულიად მოუმზადებლად) საკუთარი შუალედური ფულის ნიშანი - „კუპონი" შემოიღო, რამაც მას საშუალება მისცა დაეფარა ის უზარმაზარი დავალიანება, რომელიც მთელ ერთი წლის მანძილზე წარმოიშვა.

კუპონის შემოღება იძულებითი ღონისძიება იყო და იგი ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე განხორციელდა, ამიტომ ამ ღონისძიებამ ვერ შეასრულა ფულის რეფორმის ფუნქცია. მართალია, დასაწყისში, რუბლთან მიმართებით მისი კურსი ოფიციალურად 1:1 დაფიქსირდა, მაგრამ სულ მოკლე ხანში დაეცა და გახდა ჯერ 6:1, შემდეგ კი ისე სწრაფი ტემპით წავიდა მისი გაუფასურება, რომ დაკარგა ფულის ფუნქციები.

1995 წლის შემოდგომაზე (2 ოქტომბრიდან) გაუფასურებული კუპონი ამოღებული იქნა მიმოქცევიდან და მიმოქცევაში შევიდა ქართული ეროვნული ფული - „ლარი", ფიქსირებული კურსით აშშ-ს დოლართან მიმართებაში – 1,3 ლარი : 1 აშშ დოლარი. ლარის კურსის სტაბილიზაციას ეროვნული ბანკი ძირითადად სავალუტო ინტერვენციის საშუალებით ახდენდა, რომ-

ლისთვისაც ის უცხოეთის კრედიტს იყენებდა. არასწორმა სავალუტო-საკრედიტო და ფისკალურმა პოლიტიკამ ერთობლიობაში გამოიწვია 1998 წლის ფინანსური კრიზისი, რასაც ლარის დევალვაცია და მისი მყარიდან მცოცავ კურსზე გადასვლა მოჰყვა. დღეს ლარის კურსი უცხოური ვალუტების მიმართ განისაზღვრება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე, ვალუტის მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე.

ამრიგად, ფინანსები როგორც ურთიერთობა კაცობრიობის გენიის ერთერთი მნიშვნელოვანი შენაძენია. ადამიანთა საზოგადოების ყველა ეპოქის მეურნეობრივი მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს ყოველთვის წარმოადგენდა ფინანსები. ფინანსები არის მეცნიერება იმის შესახებ, ადამიანებმა თუ რა გზით უნდა მართონ დეფიციტური ფულადი რესურსების შემოსვლა და ხარჯვა დროის გარკვეულ პერიოდში.

1.2. საჯარო ფინანსების ადგილი ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში

ფინანსები, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების მეორე სტადიაზე წარმოშობილ ეკონომიკურ ურთიერთობებს, როდესაც ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის (მშპ-ის) ღირებულების მოძრაობა გამოყოფილია თვით სასაქონლო მასის მოძრაობისაგან. ამ პერიოდში გამოიყოფა ამა თუ იმ ეკონომიკური სუბიექტების წილი საზოგადოების მიერ შექმნილი მშპ-ის ღირებულებაში. ამდენად, მშპ-ის ღირებულების განაწილება ხორციელდება ფულად საშუალებათა ფონდების შექმნის (ფინანსური რესურსების დაგროვების) მეშვეობით.

ასეთ ფონდებს, უწინარესად, ქმნიან კომერციული ორგანიზაციები მათ მიერ მიღებული მოგების განაწილების პროცესში. საზოგადოებრივი კვლავწარმოების ამ სტადიაზე ფულად საშუალებათა ფონდებს ქმნიან ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური წარმონაქმნები, ამისათვის იყენებენ რა, უწინარეს ყოვლისა, დაბეგვრის მექანიზმს. საუბარი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტზე, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებზე, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე, ასევე სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებზე, რომლებიც შეადგენენ საჯარო ხელისუფლების ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზაციის ფინანსურ საფუძველს.

რომელი სუბიექტების მონაწილეობითაც არ უნდა ყალიბდებოდეს და როგორ ფორმებსაც არ უნდა ღებულობდეს ფინანსური ურთიერთობები, მათ აერთიანებს რიგი მახასიათებელი ნიშნები. ეკონომიკური პოზიციიდან გამომდინარე, გამოყოფენ ფინანსების შემდეგ ნიშნებს[1]:

---

[1] იხ., მაგალითად: Финансы/Под ред. В. М. Родионовой. - М., 1993. - С. 7–11; Финансы: Учеб. - 2-е изд./Под ред. В. В. Ковалева. - М., 2009. - С. 9–10.

ჯერ-ერთი, ეს ყოველთვის არის ფულადი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა წარმოებული პროდუქტის ღირებულების მოძრაობა გამოყოფილია სასაქონლო მასის მოძრაობისაგან;

მეორე, ფინანსურ ურთიერთობებს აქვთ გამანაწილებლობითი ხასიათი, რამდენადაც ასახავენ ღირებულების ცალმხრივ მოძრაობას. ასე, მაგალითად, კონკრეტული სუბიექტის მიერ გადახდილი გადასახადის თანხა, საბოლოო ანგარიშით, მიდის საერთო ინტერესის დაკმაყოფილებაზე და არ უკავშირდება ასეთი სუბიექტისათვის მის მიერ გადახდილი გადასახადის თანხის ექვივალენტური მომსახურების კომპლექტის გადაცემას. ამით ფინანსური ურთიერთობები განსხვავდებიან სასაქონლო-ფულადისაგან, რომელთა ფარგლებშიც ფული თამაშობს საქონლური ექვივალენტის როლს (ასეთია, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, ოჯარის და ა.შ. ურთიერთობები);

დაბოლოს, ფინანსური ურთიერთობები ყოველთვის დაკავშირებულია ფულადი დაგროვების (ფულად საშუალებათა ფონდების) ფორმირებასთან.

ზემოაღნიშნული ნიშნების გამოყოფა საშუალებას გვაძლევს ფინანსების ქვეშ გავიგოთ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების განაწილების პროცესში ეკონომიკური სუბიექტების მიერ ფულადი დაგროვების (ფულად საშუალებათა ფონდების) ფორმირებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი ურთიერთობები.

ფინანსები ისტორიული კატეგორიაა, რამდენადაც მისი არსებობა დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან. ფინანსები, ამავე დროს, ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს ფულადი ფონდების შექმნა-გამოყენების პროცესში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ფინანსური ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, *განაწილებით ურთიერთობებს გულისხმობს*, არაპირდაპირ კი – გაცვლით ურთიერთობებს, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ღებულობს არაექვივალენტურ ფორმას და თავის თავში გულისხმობს განაწილების მომენტსაც.

ფინანსები, თავისი მატერიალური შინაარსით, მიზნობრივ ფულად ფონდებს წარმოადენს და მთლიანობაში მოიცავს ქვეყნის ფინანსურ რესურსებს. *ფინანსური რესურსები* სახელმწიფოს, საწარმოებისა (ორგანიზაციებისა) და საოჯახო მეურნეობების განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობაა. ფინანსური რესურსების ძირითადი წყარო სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტია.

ხშირად *ტერმინი „ფინანსები" მიჩნეულია ფულის სინონიმად*, რაც არასწორია. სინამდვილეში, საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა კატეგორიასთან, ორ ეკონომიკურ ბერკეტთან, რომლებიც გამოხატავენ ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენას. ამის გამო არამართებულია „ფინანსების" გაიგივება „ფულად რესურსებთან", თუმცა, ფინანსების არსებობა–ფუნქციონირება ფულის გარეშე შეუძლებელია. *ფული ფინანსების არსებობის აუცილებელი პირობაა*. სახელმწიფო ფინანსური მექანიზმის დახმარებით, ქმნის ფულად

ფონდებს, რომელთაც თავისი მრავალრიცხოვანი ფუნქციების შესასრულებლად იყენებს.

ფინანსები ფულისაგან განსხვავდება როგორც შინაარსით, ისე შესასრულებელი ფუნქციებითაც. ფული საყოველთაო ექვივალენტია, რომლითაც იზომება ასოცირებული მწარმოებლის შრომის დანახარჯები, ფინანსები კი მთლიანი შიდა პროდუქტის და ეროვნული სიმდიდრის ნაწილის განაწილება-გადანაწილების ეკონომიკური ინსტრუმენტია. ფინანსურ ურთიერთობებთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ადგილი აქვს ფულადი სახსრების რეალურ მოძრაობას, უპირატესად, კლავწარმოების პროცესის განაწილებისა და გაცვლის სტადიებზე. ამიტომ, ფული მხოლოდ მაშინაა ფინანსები, როდესაც ღირებულების განაწილებასა და გადანაწილებას ახორციელებს.

ფინანსები გამოხატავს ფულად ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა:

- საწარმოებს შორის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შეძენისა და მზა პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციის პროცესში;
- საწარმოებსა და მათ ზემდგომ ორგანიზაციებს შორის ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების შექმნა-განაწილების პროცესში;
- სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის, ერთი მხრივ, სახელმწიფოს წინაშე საწარმოთა მიერ აღებული ვალდებულებების (გადასახდების შეტანა) შესრულების, და მეორე მხრივ, საწარმოთა წინაშე სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების (ხარჯების დაფინანსება) შესრულების პროცესში;
- სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. ერთი მხრივ, სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეთა მიერ აღებული ვალდებულებების (გადასახდების შეტანა) შესრულების, და მეორე მხრივ, მოქალაქეთა წინაშე სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების (ტრანსფერების გაცემა) შესრულების პროცესში;
- საწარმოებს, მოქალაქეებსა და არასაბიუჯეტო ფონდებს შორის რესურსების მიღებისა და გადასახდელების გადახდის პროცესში;
- საბიუჯეტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის;
- სადაზღვევო ორგანიზაციებსა და საწარმოებს და მოქალაქეებს შორის სადაზღვევო შენატანების შეტანისა და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ანაზღაურების პროცესში;
- სახელმწიფოთა შორის ურთიერთშორის ანგარიშსწორებისა და ფინანსური რესურსების გადანაწილების პროცესში.

ფინანსურ ურთიერთობათა სისტემის სტრუქტურის წარმოდგენა შესაძლებელია სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით.

კლავწარმოებითი პროცესის სუბიექტების ფულადი ფონდების ფორმირების წყაროებისაგან დამოკიდებულებით, შესაძლოა ფინანსურ ურთიერ-

თობათა სისტემა წარმოვადგინოთ შიდა (ეროვნული) ფინანსებისა და გარე (საერთაშორისო) ფინანსების ორ განცალკევებულ სისტემად.

კვლავწარმოებითი პროცესის სუბიექტების ფულადი ფონდების ფორმირების მეთოდებისაგან დამოკიდებულებით, მიღებულია შიდა (ეროვნული) საფინანსო სისტემის დაყოფა: (1) ცენტრალიზებული (საჯარო) ფინანსების და (2) დეცენტრალიზებული (კერძო) ფინანსების ქვესისტემებად.

მართლაც, რამდენადაც მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების განაწილება ხორციელდება ეკონომიკური სუბიექტების მიხედვით, ამდენად სწორედ სუბიექტი შეიძლება იყოს გამოყენებული ფინანსურ ურთიერთობათა კლასიფიკაციის კრიტერიუმად. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ფინანსები გარკვეული პირობითობით დავყოთ ორ ნაწილად: (1) საჯარო ფინანსებად და (2) კერძო ფინანსებად[1].

საჯარო ფინანსები გამოხატავს გამანაწილებელ-ფულად ურთიერთობათა იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საჯარო-ტერიტორიული წარმონაქმნების ფულად საშუალებათა ფონდების ფორმირებასთან, რომლებიც შეადგენს სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსურ საფუძველს.

აქედან გამომდინარე, **საჯარო ფინანსები წარმოადგენს სახელმწიფოს და მუნიციპალური წარმონაქმნების მიერ ორგანიზებული იმ ფულადი ურთიერთობების სისტემას, რომელთა პროცესში მიმდინარეობს ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირება, ასევე ამ ფონდების საშუალებათა განკარგვა საჯარო ხელისუფლების ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.**

ტერმინ „კერძო ფინანსებს" მოცემულ შემთხვევაში აქვს პირობითი მნიშვნელობა და, როგორც „საჯარო ფინანსების" ტერმინთან დაპირისპირებული, აღქმულ უნდა იქნეს „არასაჯაროს" აღმნიშვნელად, ე.ი. საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნების ფინანსებისაგან განსხვავებულ ფინანსებად. ამ გაგებით, **კერძო ფინანსების სფეროში მოხვდება საწარმოების (ორგანიზაციების) ფინანსები (განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა) და საოჯახო მეურნეობათა ფინანსები.**

ფინანსების საჯაროდ და კერძოდ გამოყვნის ასეთი პრინციპი გამართლებულია, რამდენადაც საწარმოების (ორგანიზაციების) და საოჯახო მეურნეობების, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტების, ფინანსების მდგომარეობა და დინამიკა, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება ბაზრის ეკონომიკური კანონებით, რაც, გარკვეული გაგებით, განაპირობებს ასეთი სუბიექტების ფინანსების რეჟიმის ერთტიპიურობას (ამიტომ, ისინი გაერთიანებული არიან ტერმინით „კერძო ფინანსები").


ამისაგან განსხვავებით, საჯარო ფინანსების მდგომარეობა და დინამიკა, მნიშვნელოვანწილად, განისაზღვრება საჯარო ხელისუფლების აქტებით.

---

[1] იხ.: Годме П. М. Финансовое право / Пер. Р. О. Халфиной. — М., 1978. — С. 41.

რა თქმა უნდა, ფინანსური პოლიტიკის შემუშავების პროცესში სახელმწიფოს არ შეუძლია სრული იგნორირება გაუკეთოს ბაზრის ეკონომიკური კანონების მოქმედებას, რამდენადაც ეს მოახდენდა მადესტაბილიზებელ გავლენას საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. მიუხედავად ამისა, საჯარო ხელისუფლება ცალმხრივად-სახელისუფლებო წესით ორგანიზებას უკეთებს და ანხორციელებს მშპ-ის ნაწილის ამოღებას, თავის სასარგებლოდ გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესებით, თავისი ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზაციისათვის ფინანსური ბაზის შექმნის მიზნით. ეს განაპირობებს საჯარო ფინანსების სამართლებრივი რეგულირების არსებით განსხვავებას კერძო ფინანსებთან შედარებით, რომელიც დაკავშირებულია ასეთ რეგულირებაში იმპერატიული მეთოდების სიჭარბესთან.


ქვეყნის საფინანსო სისტემის სტრუქტურა და კლასიფიკაცია განცალკევებული სისტემების, ქვესისტემების, სფეროებისა და რგოლების მიხედვით წარმოდგენილია **1.1.** ნახაზზე.



ნახაზი 1.1: ქვეყნის საფინანსო სისტემის გაშლილი სტრუქტურა

საჯარო ფინანსების სტრუქტურა მოიცავს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოთა ბიუჯეტებს, სპეციალურ (არასაბიუჯეტო) ფონდებს, სახელმწიფო კრედიტს და სახელმწიფო სავალუტო რეზერვებს.

ფინანსურ ურთიერთობათა დაჯგუფებისას თუ ამოვალთ ეკონომიკური და სოციალური პროცესების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის დონეებიდან, მაშინ საქართველოს საჯარო ფინანსების ზოგადი სტრუქტურა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:



ნახაზი 1.2: საქართველოს საჯარო ფინანსების ზოგადი სტრუქტურა

ამრიგად, საქართველოს საფინანსო სისტემის თანამედროვე სტრუქტურის გათვალისწინებით, ეროვნული საჯარო ფინანსების სისტემა მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, სახელმწიფო კრედიტს და სახელმწიფო სპეციალურ (არასაბიუჯეტო) ფონდებს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ ურთიერთობათა დაჯგუფება საფინანსო სისტემის განცალკევებული სისტემების, ქვესისტემების, სფეროებისა და რგოლების მიხედვით უცვლელი კი არაა, არამედ განიცდის ცვლილებებს რევოლუციურ გარდაქმნათა ზეგავლენით, საკუთრების ახალი სახეების გაჩენით. ეკონომიკის განვითარების, ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე ფინანსური კავშირების ფორმების ცვლილების, საზოგადოებაში მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფის კვალობაზე ასევე შესაძლოა გამოჩნდეს ფინანსური ურთიერთკავშირის ახალი სახეები და, შესაბამისად, საფინანსო სისტემის სტრუქტურის ახალი ელემენტები.

1.3. საჯარო საფინანსო საქმიანობა და მისი განმხორციელებელი სუბიექტები

სამამულო მეცნიერებაში საფინანსო სამართლის საბაზისო კატეგორიად ტრადიციულად განიხილებოდა სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობა, რომლის შინაარსი, სპეციალისტთა დიდი უმრავლესობის აზრით, მოიცავს სახელმწიფოს საქმიანობას ფულადი ფონდების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით[1].

საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასთან ერთად, ჩამოყალიბდა საყოველთაოდ აღიარებული დასკვნა სახელმწიფოსა და მუნიციპალური წარმონაქმნების საფინანსო საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილ ურთიერთობათა ერთტიპიურობის შესახებ. ამან მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ახალ პირობებში გველაპარაკა სახელმწიფოსა და მუნიციპალური წარმონაქმნების საფინანსო საქმიანობის, ანუ საჯარო საფინანსო საქმიანობის, როგორც საფინანსო სამართლის საბაზისო კატეგორიის შესახებ, რამდენადაც ფინანსური სამართალი მოწოდებულია ასეთი საქმიანობის ქმედითი სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო და მუნიციპალური წარმონაქმნები ცალმხრივად-სახელისუფლებო წესით უზრუნველყოფენ ფულადი საშუალებების დაგროვებას საჯარო ფონდებში და ამ საშუალებათა შემდგომ მიმართვას საჯარო ხელისუფლების ამოცანებისა და ფუნქციების გადაწყვეტაზე, რაც მოითხოვს სპეციფიკური იმპერატიული მეთოდების გამოყენებას შესაბამისი ურთიერთობების რეგულირებაში. ამიტომ საუბარს საჯარო საფინანსო საქმიანობის, როგორც საფინანსო სამართლის საბაზისო კატეგორიის, შესახებ აქვს აზრი, რამდენადაც მასში გაგებულია სწორედ სახელმწიფოს და მუნიციპალური წარმონაქმნების სახელისუფლებო საქმიანობა ფულადი საშუალებების საჯარო ფონდების ფორმირებისა და ამ ფონდების საშუალებათა განკარგვის სფეროში, საჯარო ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზაციისათვის ფინანსური ბაზის შექმნის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, თითქმის არ ღირს საჯარო საფინანსო საქმიანობის ცნებაში საკუთრივ ფულადი ფონდების გამოყენების ჩართვა, თუ ასეთი გამოყენების ქვეშ გავიგებთ საჯარო ფონდების საშუალებებით ამა თუ იმ მატერიალური დოვლათის უშუალოდ შეძენას. ასეთი შეძენა ხორციელდება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადების საფუძველზე და არ მოითხოვს სპეციფიკურ საჯარო-სამართლებრივ რეგულირებას. „საზოგადოებრივი დოვლათის გამოყენებასთან“ დაკავშირებულ საქმიანობას საბელმწიფოს საფინანსო საქმიანობას არ მიაკუთვნებდა რევოლუციამდელი

---

[1] იხ., მაგალითად: Бельский К. С., Горбунова О. Н., Грачева Е. Ю. и др. Финансовое право: Учеб. - М., 2011. - С. 4–5; Крохина Ю. А. Финансовое право России: Учеб. - М., 2008. - С. 34.

საფინანსო-სამართლებრივი მეცნიერების ცნობილი წარმომადგენელი ვ.ა. ლებედევი[1].

ამავე დროს, საბიუჯეტო საშუალებათა საჯარო დანიშნულების გათვალისწინებით, სახელმწიფოს და მუნიციპალურ წარმონაქმნებს უფლება არა აქვთ ქმედითი კონტროლის გარეშე დატოვონ მათი გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, საჯარო საფინანსო საქმიანობამ, საჯარო ფულადი ფონდების ფორმირებასა და ამ ფონდების საშუალებათა განკარგვასთან ერთად, ასევე უნდა მოიცვას სავალდებულო კონტროლის განხორციელება ამ საშუალებათა მიზნობრივი დანიშნულების დაცვაზე იმ სუბიექტების მიერ, რომელთაც ისინი გამოეყო ამა თუ იმ საჯაროდ მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად.

ამ პოზიციებიდან, საჯარო საფინანსო საქმიანობის ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს უფლებამოსილი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების (სხვა უფლებამოსილი სუბიექტების) სახელისუფლებო საქმიანობა ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების საგადასახადო და სავალდებულო საჯარო არასაგადასახადო ამოსაღებთა ორგანიზებისა და განხორციელების საფუძველზე ფორმირების, ამ ფონდების საშუალებათა განკარგვის, აგრეთვე მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების სფეროში, საჯარო ხელისუფლების ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

საჯარო საფინანსო საქმიანობის დარგთაშორისი მნიშვნელობა, რომელიც მოწოდებულია საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი ამოცანისა და ფუნქციის რეალიზაციისათვის ფინანსური ბაზის შექმნაზე, განაპირობებს მის განხორციელებაში მონაწილე სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების სიმრავლეს. საჯარო საფინანსო საქმიანობის განხორციელებაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან ერთად, შეიძლება მონაწილეობდნენ სხვა სუბიექტებიც, თუ ისინი უფლებამოსილი არიან დაიკავონ სახელისუფლებო მხარის ადგილი საჯარო სუბიექტის მიერ ორგანიზებულ ურთიერთობებში ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირების, ამ ფონდების საშუალებათა განკარგვის და მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების ხაზით. კერძოდ, ასეთ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო სპეციალური (არასაბიუჯეტო) ფონდების მართვის ორგანოები. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ფონდები ფორმალურად არ წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მათზე გადაცემულია საჯარო ფინანსების შესაბამისი ნაწილის მართვის სახელისუფლებო უფლებამოსილებანი.

საჯარო საფინანსო საქმიანობის განმხორციელებელ ორგანოთა შორის შეიძლება გამოიყოს, ჯერ-ერთი, ისინი, რომელთა საფინანსო საქმიანობა შეადგენს მათ კომპეტენციათა მხოლოდ ნაწილს; და მეორე, - ისინი, რომლებიც სპეციალურად შექმნილია საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად.

---

[1] იხ.: Лебедев В. А. Финансовое право. Лекции. - СПб., 1882. - Т. 1. - С. 5.

ორგანოებს, რომელთა საფინანსო საქმიანობა შეადგენს მათი კომპეტენციების მხოლოდ ნაწილს, შეიძლება მივაკუთვნოთ ქვეყნის პრეზიდენტი, ხელისუფლების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოები, აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციის ყველა ორგანო (იმათი გამოკლებით, რომლებიც სპეციალურად შექმნილია სწორედ საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად).

პრეზიდენტი, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებათა საფუძველზე, საკანონმდებლო ორგანოს მიმართავს ყოველწლიური საბიუჯეტო გზავნილით, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა მორიგი საფინანსო წლისათვის.

საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ხელისუფლების ორგანოები ადგენენ და შემოიღებენ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, განიხილავენ და ამტკიცებენ ბიუჯეტებსა და ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ, ქმნიან და განსაზღვრავენ გარე სახელმწიფო (მუნიციპალური) ფინანსური კონტროლის ორგანოთა სამართლებრივ სტატუსს.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანხორციელებენ ბიუჯეტის პროექტის შედგენას, აუცილებელ დოკუმენტებთან და მასალებთან ერთად მის შეტანას საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოში დასამტკიცებლად, სახელმწიფო და მუნიციპალური ვალის მართვას, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენას (წარმომადგენლობით) ორგანოში დასამტკიცებლად, ასევე განახორციელებენ სხვა უფლებამოსილებებს საფინანსო კანონმდებლობის შესაბამისად.

საფინანსო საქმიანობაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის იმ აღმასრულებელი ორგანოების მონაწილეობა, რომლებიც ანხორციელებენ მათზე მინდობილი კონკრეტული დარგის ან საქმიანობის სფეროს მართვას, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება მათთვის შესაბამისი ამოცანებისა და ფუნქციების გადასაწყვეტად გამოყოფილი საბიუჯეტო საშუალებების საქვეუწყებო ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის განაწილებაში. კერძოდ, ადგენს რა საქვეუწყებო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დავალებებს სახელმწიფო ან მუნიციპალური საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის დონეზე განათლების სფეროში მართვის განმხორციელებელმა ორგანომ ეს დაწესებულებები უნდა უზრუნველყოს აუცილებელი საბიუჯეტო დაფინანსებით.

საჯარო საფინანსო საქმიანობის სუბიექტთა სისტემაში მათგან განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ისინი, რომელთათვისაც ასეთი საქმიანობის განხორციელება შეადგენს მათ სპეციალურ კომპეტენციას. ასეთ სუბიექტებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიეკუთვნოს სახელმწიფო ხელისუფლების (ადგილობრივი თვითმმართველობის) საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შექმნილი *საკონტროლო-სააღრიცხვო სამსახურები.* ამ სამ-

სახურებს, იქმნებიან რა მუდმივად მოქმედი ორგანოების სახით გარე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელების მიზნით, გააჩნიათ უწყებრივი, ფინანსური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა.

ამ რანგში საკონტროლო-საანგარიშო სამსახურები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს კონტროლისა და ბალანსის მექანიზმში ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, რამდენადაც, უწინარეს ყოვლისა, მოწოდებულნი არიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ საჯარო ფინანსური რესურსების კანონიერ, რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებაზე. მათ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნის ბიუჯეტებისა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; აღნიშნული ბიუჯეტების პროექტების ექსპერტიზის ჩატარება; კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების (ადგილობრივი თვითმმართველობის) ორგანოთა სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების (იმ ნაწილში, რომელიც ეხება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნების ხარჯვით ვალდებულებებს) და სახელმწიფო (მუნიციპალური) პროგრამების საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტიზა.

ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში იმ სუბიექტთა რიცხვს, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი საჯარო საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება საჯარო ხელისუფლების ყველა დონეზე შექმნილი *საფინანსო ორგანოები.* ცენტრალურ (ფედერალურ) დონეზე საფინანსო ორგანოს წარმოადგენს *ფინანსთა სამინისტრო,* რომლის სტატუსი განისაზღვრება ქვეყნის საბიუჯეტო კოდექსით და მთავრობის შესაბამისი დადგენილებით. იგი ანხორციელებს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირებას, მათ შორის საგადასახადო და საბიუჯეტო სფეროებში; სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის უშუალო შედგენასა და მისი შესრულების ორგანიზებას; სახელმწიფო სესხების პროგრამების დამუშავებასა და სახელმწიფო ვალის მართვას; მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას საბიუჯეტო დაგეგმვის სფეროში; საბიუჯეტო აღრიცხვასა და ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

1.4. საჯარო ფინანსების როლი ეკონომიკაში და საქართველოში მისი გააქტიურების ამოცანები

საჯარო საფინანსო საქმიანობის არსი საჯარო ფინანსების ფუნქციებში ვლინდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ფუნქციის“ ქვეშ იგულისხმება ის როლი, რომელსაც საჯარო ფინანსები ეკონომიკაში ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების ფუნქციებთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ექსპერტთა უმეტესობა აღიარებს, რომ ეკონომიკაში საჯარო ფინანსები ოთხ ძირითად ფუნქციას ასრულებს. ესენია: განმანაწილებლობითი, საკონტროლო, მასტაბილიზებელი და მარეგულირებელი ფუნქციები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსურ ურთიერთობათა მთავარი მახასიათებელია მათი განმანაწილებლობითი ხასიათი და, შესაბამისად, საჯარო ფინანსების მთავარ ფუნქციას წარმოადგენს განმანაწილებლობითი ფუნქცია.

განმანაწილებლობითი ფუნქციის მეშვეობით, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება ფინანსების სახელმწიფო-სამეურნეო დანიშნულება: ერთი მხრივ, თითოეული მეურნე სუბიექტი, მეორე მხრივ, ხელისუფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფს მისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით. ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქციის მოქმედების ობიექტად გამოდის მშპ, ეროვნული შემოსავალი, ასევე ფულად ფორმაში გამოხატული ეროვნული სიმდიდრის ნაწილი.

ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია ვლინდება, პირველ რიგში, ეროვნული შემოსავლის პირველადი განაწილებისას, როდესაც წარმოებს ძირითადი (პირველადი) შემოსავლების ფორმირება. ეროვნული შემოსავლის განაწილება და პირველადი შემოსავლების თავმოყრა ხდება წარმოების ფაქტორთა მფლობელებს შორის.

პირველადი შემოსავალი ჯერ კიდევ ვერ ქმნის იმ მოცულობის საზოგადოებრივ ფულად ფონდებს, რომლებსაც შეეძლება ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების ფინანსური რესურსებით სრულად დაკმაყოფილება. ამიტომ დღის წესრიგში დგება ეროვნული შემოსავლის მეორადი განაწილების, ანუ გადანაწილების აუცილებლობა. ეს პროცესი დაკავშირებულია სახსრების დარგთაშორის და ტერიტორიულ ერთეულებს შორის გადანაწილებასთან, რომლის უშუალო მონაწილე უკვე სახელმწიფოც ხდება.

საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია ხასიათდება სირთულეებითა და მრავალმხრივობით. ფინანსები ემსახურება განაწილების სხვადასხვა ეტაპებს, მონაწილეობს რა მთლიანი შიდა პროდუქტის როგორც პირველად, ისე მეორად განაწილებაში ანუ გადანაწილებაში[1]. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის პირობებში საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია ქმნის საბიუჯეტო და სპეციალური (არასაბიუჯეტო) ფონდების ფორმირების პირობებს.

საბიუჯეტო ფონდების ფორმირება მიმდინარეობს გაცვლის გარეშე, წმინდა შემოსავლების განაწილების ანუ გადასახადების საშუალებით. ეროვ-

[1] უფრო ვრცლად იხ.: Финансы: Учебник/Под ред. А.Г. Грязновой, Е.В. Маркиной. - М.: Финансы и статистика, 2004. - С.11-26; Финансы: Учебник/А. С. Нешитой, Я. М. Воскобойников. 10-е изд. - М.: Издательско торговая корпорация «Дашков и К°», 2012. - С.12-24.

ნული შემოსავლის განაწილებითა და გადანაწილებით, ფინანსები ხელს უწყობს იმ პროპორციათა ტრანსფორმაციას, რომელიც ყალიბდება ეროვნული შემოსავლის პირველადი განაწილების პროცესში.

საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია ეხება ეროვნული სიმდიდრის გარკვეულ ნაწილსაც. მაგალითად, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით წარმოებს კონფისკებული და უპატრონო ქონების ამოღება და რეალიზაცია, ხოლო მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში. ამასთან ერთად, მემკვიდრეობით, ანდერძით თუ ჩუქებით მიღებული და სხვა უძრავი ქონება ექვემდებარება საგადასახადო დაბეგვრას და ზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს.

საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქციის მეშვეობით წარმოებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სპეციალური (არასაბიუჯეტო) ფონდების შექმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის არსებობა. ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსების მეშვეობით მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების საბოლოო მიზანია ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფილი განვითარება, სახელმწიფო ძლიერების განმტკიცება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქციის არსებობა უშუალო კავშირშია **საკონტროლო ფუნქციასთან.** საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქცია ვლინდება მთლიანი შიდა პროდუქტის შესაბამის ფონდებში მოქცევისა და შემდგომში მისი მიზნობრივი განაწილების კონტროლში. საბიუჯეტო სახსრების მოძრაობა და მთლიანად საბიუჯეტო პროცესი - ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება, შესრულება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების დამტკიცება - დაკავშირებულია ფინანსების საკონტროლო ფუნქციასთან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის თავისებურება ვლინდება მის უნარში, მუდმივად იძლეოდეს სიგნალებს იმაზე, თუ როგორი პროპორციები მყარდება მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილებაში, უზრუნველყოფს თუ არა ეს პროპორციები კვლავწარმოებითი პროცესის უწყვეტობას, ხომ არ აქვს ადგილი კვლავწარმოების სხვადასხვა ფაზაში შეფერხებებს, დროულად იქმნება თუ არა მიზნობრივი დანიშნულების ფონდები ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში.

საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ამოცანებია: ქვეყანაში საფინანსო კანონმდებლობის ზუსტი დაცვის შემოწმება, საბიუჯეტო სისტემის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა დროულად და სრულად შესრულების კონტროლი. საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქციის საფუძველია ფინანსური რესურსების მოძრაობა, ხოლო რეალიზაციის ინსტრუმენტია საფინანსო ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემებს.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საჯარო ფინანსების მასტაბილიზებელი ფუნქციის შინაარსი მდგომარეობს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში ყველა მეურნე სუბიექტისა და მოქალაქისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფაში. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური კანონმდებლობის სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხს, რამდენადაც მასზეა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული საინვესტიციო აქტივობისა და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება.

საჯარო ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ ფინანსების (სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი) საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებასთან. იგი ვლინდება არა მხოლოდ სახელმწიფოს და სამეურნეო სუბიექტების დონეზე, არამედ ასევე საკუთრივ ფინანსურ ურთიერთობათა ორგანიზაციაში, მისი აგების იერარქიაში.

საჯარო ფინანსები კვლავწარმოებით პროცესებზე გავლენას ახდენს ისეთი ფინანსური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა საბიუჯეტო და საგადასახადო მეთოდები. ამ მეთოდებით მართვა ერთნაირად ეხება როგორც სოციალურ სფეროს, ისე მეურნეობის ყველა სხვა დარგს.

დაფინანსების საბიუჯეტო მეთოდი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკას ანუ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდას, რის შედეგადაც იზრდება მოთხოვნილება ნედლეულსა და მასალაზე, ახალ ტექნოლოგიებზე, სამუშაო ძალაზე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, სტიმული ეძლევა კერძო ინვესტიციების გაფართოებას. გარდა ამისა, სახელმწიფო ასიგნებათა ხარჯზე იზრდება მოთხოვნა როგორც ინფრასტრუქტურის, ისე მატერიალური წარმოების დარგების განვითარებაზე; ხდება მთლიანად სამეურნეო კონიუნქტურის გამოცოცხლება.

ცენტრალიზებული ფონდების ხარჯზე სახელმწიფო ინვესტიციებით წარმოების გაფართოება და სტიმულირება ხორციელდება მაკროდონეზე. ხოლო ქვეყნის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური გამოთანაბრება უზრუნველყოფილია იმ ფინანსური რესურსების დარგთაშორისი და ტერიტორიული გადანაწილების საშუალებით, რომლებიც სამეურნეო სუბიექტების ხელშია თავმოყრილი.

ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში სამუშაო ძალის კვლავწარმოების მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება საჯარო ფინანსები, კერძოდ, ფინანსური რესურსები, რომელიც შრომის ანაზღაურების გარდა, მოიცავს აგრეთვე დანახარჯებს განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩარევის მიზნით სახელმწიფო იყენებს ისეთ ფინანსურ მეთოდსაც, როგორიცაა საგადასახადო მეთოდი. იგი გულისხმობს საგადასახადო პოლიტიკის ელემენტების (გადა-

სახადების სახეების, განაკვეთების, შეღავათების, გადასახადების რეჟიმის ცვლილებების) მანიპულირების გზით საწარმოთა ფინანსური უზრუნველყოფის მართვას. ასე მაგალითად, გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირებით, შეღავათების გაფართოებით, იზრდება მეწარმეთა შემოსავლები და მოგება; დაჩქარებული ამორტიზაციით ხდება ინვესტიციების სტიმულირება და ა.შ.; სახელმწიფო ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებასა და წარმოების გაფართოება-განახლებას. ამასთან, გადასახადების გადიდებამ შეიძლება გამოიწვიოს საწინააღმდეგო მოვლენები: ფინანსური რესურსების ნაკლებობა და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება-შეჩერება.

გადასახადები არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე. გადასახადების გაზრდით მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა მცირდება, და პირიქით, მათი შემცირებით - მსყიდველუნარიანობა იზრდება, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოების გაფართოებასა და განვითარებაზე შესაბამის გავლენას ახდენს.

სახელმწიფო კრედიტის გამოყენებით ხელისუფლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასესხო კაპიტალის ბაზარზე, საკრედიტო რესურსების გაძვირების ან გაიაფების თვალსაზრისით. ამ ბაზრის მონაწილენი არიან სამეურნეო სუბიექტებიც, რომელთათვისაც შესაძლებელია ხელსაყრელი აღარ აღმოჩნდეს აქ ჩამოყალიბებული საკრედიტო პირობები.

საჯარო ფინანსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენებაში, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების განვითარებაში, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და, შესაბამისად, ეროვნული შემოსავლების ზრდას.

საქართველოში არსებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ქვეყნის კვლავწარმოებითი პროცესის დანახარჯთა დასაფინანსებლად საკუთარი შემოსავალი, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მასზე მოთხოვნას და მთელი ყურადღება მიმართულია უცხოურ ინვესტიციებზე. ეროვნული შემოსავლის ზრდის დაბალი ტემპებისა და შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ძალიან ძნელი ხდება ეროვნული მეურნეობის განვითარების დაჩქარების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში ეკონომიკური ზრდა და მისი დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ საინვესტიციო რესურსების მკვეთრი გადიდებისა და ეფექტიანი გამოყენების პირობებში. ამ მიზნით აუცილებელია:

- საინვესტიციო პროცესების მაქსიმალური დეცენტრალიზაცია და საწარმოთა დაგროვების საკუთარი წყაროების როლის ამაღლება მათი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაში;

- აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერა საწარმოებისათვის კრედიტების გაცემისადმი, მათ ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებაზე მაქსიმალური კონტროლის პირობით;
- საბიუჯეტო დაფინანსების მხოლოდ არაკომერციული, სოციალური მნიშვნელობის ობიექტების უზრუნველყოფა;
- საწარმოო დანიშნულების ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებებისა და საინვესტიციო პროექტების საბიუჯეტო დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და მკაცრად კონკურენციულ საფუძველზე;
- საინვესტიციო პროექტების ერთობლივი (წილობრივი) სახელმწიფო-კომერციული დაფინანსების პრაქტიკის მნიშვნელოვნად გაფართოება.

ამრიგად, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის კვლავწარმოებითი ეფექტი გახდება მაქსიმალური, თუ სახელმწიფო ინვესტიციები იქნება სოციალურად დასაბუთებული, ახალი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და საწარმოთა საკუთარი აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის სტიმულირებაზე მიმართული.

საკონტროლო კითხვები

1. ახსენით ფინანსების ცნების შინაარსი და დაახასიათეთ ფინანსური მეცნიერების წარმოშობა-განვითარების ისტორიული პირობები.
2. გაიხსენეთ მონათმფლობელური საზოგადოების მოაზროვნეთა შეხედულებები ფინანსების შესახებ და გააკეთეთ სათანადო კომენტარები.
3. წარმოადგინეთ ფეოდალური საზოგადოების მოაზროვნეთა შეხედულებები ფინანსების შესახებ და გააკეთეთ სათანადო კომენტარები.
4. დაასახელეთ ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში.
5. ახსენით ფინანსური ფედერალიზმის გენეზისი საქართველოში.
6. დაახასიათეთ ფულად-საკრედიტო და საგადასახადო რეფორმების პირველი ნაბიჯები საქართველოში.
7. დაახასიათეთ დასავლეთ ევროპული ფინანსური იდეების პირველი წარმომადგენლები საქართველოში.
8. დაახასიათეთ ფინანსური თეორია (მეცნიერება) და ფინანსური პრაქტიკა მე-19 საუკუნის საქართველოში.
9. აჩვენეთ ფინანსური მეცნიერების ადგილი და როლი დემოკრატიულ საქართველოში (1918-1921 წ.წ.).
10. დაახასიათეთ ფინანსური მეცნიერება და ფინანსური პოლიტიკა საბჭოურ საქართველოში.
11. დაახასიათეთ დამოუკიდებელი საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.

12. წარმოადგინეთ ფინანსების როგორც მეცნიერების განმარტება.
13. დაახასიათეთ ფინანსებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები.
14. ახსენით, რომელი ფულადი ურთიერთობები მიეკუთვნება ფინანსურს.
15. განასხვავეთ ფული და ფინანსები როგორც შინაარსის, ისე შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით.
16. განსაზღვრეთ ფინანსური რესურსების მატერიალური წყარო ფინანსურ ურთიერთობათა ნებისმიერ დონეზე.
17. წარმოადგინეთ ფინანსურ ურთიერთობათა სისტემის სტრუქტურა კვლავწარმოებითი პროცესის სუბიექტების ფულადი ფონდების ფორმირების წყაროებისაგან დამოკიდებულებით.
18. წარმოადგინეთ შიდა (ეროვნული) საფინანსო სისტემის სტრუქტურა კვლავწარმოებითი პროცესის სუბიექტების ფულადი ფონდების ფორმირების მეთოდებისაგან დამოკიდებულებით.
19. განსაზღვრეთ საჯარო ფინანსების არსი და აჩვენეთ მისი ადგილი ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში.
20. წარმოადგინეთ საქართველოს საჯარო ფინანსების ზოგადი სტრუქტურა.
21. განმარტეთ საჯარო საფინანსო საქმიანობა და დაასახელეთ მისი განმხორციელებელი სუბიექტები.
22. დაახასიათეთ საჯარო საფინანსო საქმიანობის განმხორციელებელი ის ორგანოები, რომელთა საფინანსო საქმიანობა შეადგენს მათ კომპეტენციათა მხოლოდ ნაწილს.
23. დაახასიათეთ საჯარო საფინანსო საქმიანობის განმხორციელებელი ის ორგანოები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად.
24. დაასახელეთ საჯარო ფინანსების მიერ შესრულებული ძირითადი ფუნქციები.
25. დაახასიათეთ საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია.
26. დაახასიათეთ საჯარო ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია.
27. დაახასიათეთ საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქცია.
28. დაახასიათეთ საჯარო ფინანსების მასტაბილიზებელი ფუნქცია.
29. დაახასიათეთ საჯარო ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია.
30. დაახასიათეთ კვლავწარმოების პროცესებზე საჯარო ფინანსების გავლენის „დაფინანსების საბიუჯეტო მეთოდი“.
31. დაახასიათეთ კვლავწარმოების პროცესებზე საჯარო ფინანსების გავლენის „საგადასახადო მეთოდი“.
32. ჩამოთვალეთ საქართველოს ეკონომიკაში საჯარო ფინანსების როლის გააქტიურების ამოცანები.
33. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. ფინანსები	ა. გულისხმობს საგადასახადო პოლიტიკის ელემენტების მანიპულირების გზით საწარმოთა ფინანსური უზრუნველყოფის მართვას;
—	2. საჯარო ფინანსები	ბ. გულისხმობს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკას;
—	3. კერძო ფინანსები	გ. დაკავშირებულიაფინანსური ბერკეტების მეშვეობით სახელმწიფოს მხრიდან სამეურნეო საქმიანობაში ჩარევასთან;
—	4. საჯარო საფინანსო საქმიანობა	დ. მდგომარეობს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში ყველა მეურნე სუბიექტისა და მოქალაქისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფაში;
—	5. საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია	ე. ვლინდება მთლიანი შიდა პროდუქტის შესაბამის ფონდებში მოქცევისა და შემდგომში მისი მიზნობრივი განაწილების კონტროლში;
—	6. საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქცია	ვ. ეხება ეროვნული სიმდიდრის გარკვეულ ნაწილსაც;
—	7. საჯარო ფინანსების მასტაბილიზებელი ფუნქცია	ზ. უფლებამოსილი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების საქმიანობა ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირების, განკარგვის და მათ გამოყენებაზე კონტროლის სფეროში;
—	8. საჯარო ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია	თ. მოიცავს საწარმოების (ორგანიზაციების) ფინანსებს და საოჯახო მეურნეობათა ფინანსებს;
—	9. დაფინანსების საბიუჯეტო მეთოდი	ი. სახელმწიფოს და მუნიციპალური წარმონაქმნების მიერ ორგანიზებული ფულადი ურთიერთობების სისტემა;
—	10. საგადასახადო მეთოდი	კ. მშპ-ის განაწილების პროცესში ეკონომიკური სუბიექტების მიერ ფულადი დაგროვების (ფულად საშუალებათა ფონდების) ფორმირებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი ურთიერთობები.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. ფინანსური ურთიერთობები არის ფულადი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია:
   - საქონლის (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურებასთან;
   - ფულადი სახსრების ფონდების შექმნასთან, განაწილება-გადანაწილებასა და გამოყენებასთან;
   - ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებასთან;
   - ფულადი სახსრების ფონდების გამოყენებასთან.
2. „ფულადმა გადასახადმა“ პირველად, თავისი ნამდვილი მნიშვნელობით, გამოყენება ჰპოვა:
   - მე-12 – მე-15 საუკუნეების იტალიაში;
   - მე-12 – მე-15 საუკუნეების საფრანგეთში;
   - მე-10 – მე-11 საუკუნეების იტალიაში;
   - მე-10 – მე-11 საუკუნეების საფრანგეთში.
3. საქართველოში, გვიანდელ შუა საუკუნეებში, ფინანსების სინონიმად გამოიყენებოდა ფართოდ ცნობილი ცნება:
   - ხაზინა;
   - საჯურჭლე;
   - მეჯურჭლეთუხუცესი;
   - ბიუჯეტი.
4. ქსენოფონტემ ფინანსებს მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი:
   - „დაო-დეს შესახებ“;
   - „მანუს კანონები“;
   - „არხაშასტრა“;
   - „ათენის რესპუბლიკის შემოსავლების შესახებ“.
5. ქართული ბონების გამოშვებამდე (1918 წ.) საქართველოს ტერიტორიაზე არ მიმოიქცეოდა:
   - ნიკოლოზის („ნიკოლკი“);
   - კერენსკის („კერენკი“);
   - ამიერკავკასიის („ზაკი“);
   - ქართული („მარჩილი“).
6. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ საკუთარი შუალედური ფულის ნიშანი - „კუპონი“ შემოიღო:
   - 1992 წლის იანვრიდან;
   - 1992 წლის სექტემბრიდან;
   - 1993 წლის მაისიდან;
   - 1993 წლის ოქტომბრიდან.
7. ფინანსების შემდეგ ძირითად ნიშნებს არ უკავშირდება:
   - აქვს გამანაწილებლობითი ხასიათი, რამდენადაც ასახავს ღირებულების ცალმხრივ მოძრაობას;
   - ყოველთვის არის ფულადი ხასიათის ურთიერთობა;
   - საყოველთაო ექვივალენტია, რომლითაც იზომება ასოცირებული მწარმოებლის შრომის დანახარჯები;
   - ყოველთვის დაკავშირებულია ფულადი დაგროვების (ფულად საშუალებათა ფონდების) ფორმირებასთან.

8. **ფინანსები არ გამოხატავს ფულად ურთიერთობებს წარმოშობილს:**
   - სანარმოებს შორის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შეძენისა და მზა პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციის პროცესში;
   - სანარმოებსა და მათ ზემდგომ ორგანიზაციებს შორის ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების შექმნა-განაწილების პროცესში;
   - ფულადი სახსრების ფონდების გამოყენების პროცესში;
   - სანარმოებს, მოქალაქეებსა და არასაბიუჯეტო ფონდებს შორის რესურსების მიღებისა და გადასახდელების გადახდის პროცესში.
9. **კვლავწარმოებითი პროცესის სუბიექტების ფულადი ფონდების ფორმირების წყაროებისაგან დამოკიდებულებით, მიღებულია ფინანსურ ურთიერთობათა სისტემის წარმოდგენა შემდეგ განცალკევებულ სისტემებად:**
   - შიდა (ეროვნული) ფინანსებისა და გარე (საერთაშორისო) ფინანსები;
   - ცენტრალიზებული (საჯარო) და დეცენტრალიზებული (კერძო) ფინანსები;
   - სამეწარმეო და არასამეწარმეო ორგანიზაციების ფინანსები;
   - სანარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები.
10. **კვლავწარმოებითი პროცესის სუბიექტების ფულადი ფონდების ფორმირების მეთოდებისაგან დამოკიდებულებით, მიღებულია შიდა (ეროვნული) საფინანსო სისტემის დაყოფა შემდეგ ქვესისტემებად:**
    - შიდა (ეროვნული) ფინანსები და გარე (საერთაშორისო) ფინანსები;
    - სამეწარმეო ორგანიზაციების ფინანსები და არასამეწარმეო ორგანიზაციების ფინანსები;
    - სანარმოების ფინანსები და ორგანიზაციების ფინანსები.
    - ცენტრალიზებული (საჯარო) ფინანსები და დეცენტრალიზებული (კერძო) ფინანსები.
11. **ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ურთიერთობებიდან ფინანსურს არ მიეკუთვნება:**
    - სანარმოს მიერ ბიუჯეტში გადასახადების გადარიცხვა;
    - მოქალაქის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდა;
    - ერთი სანარმოს მიერ მეორისაგან ნახევარფაბრიკატების შეძენა წარმოების პროცესის განსახორციელებლად;
    - ერთი მოქალაქის მიერ მეორისათვის ვალის დაბრუნება.
12. **ფული მხოლოდ მაშინაა ფინანსები, როდესაც იგი:**
    - ღირებულების შექმნის პროცესში გამოიყენება;
    - ღირებულების გამოყენებას ხმარდება;
    - ღირებულების განაწილებასა და გადანაწილებას ახორციელებს;
    - საქონლის (მომსახურების) რეალიზაციას ემსახურება.
13. **საჯარო ფინანსების არსი ვლინდება:**
    - ფინანსური რესურსების ფორმირებაში;
    - ფინანსური რესურსების განაწილებასა და გადანაწილებაში;
    - ფინანსური რესურსების გამოყენებაში;
    - სახელმწიფოს და მუნიციპალური წარმონაქმნების მიერ ორგანიზებულ იმ ფულადი ურთიერთობათა სისტემაში, რომელთა პროცესში მიმდინარეობს ფულად სამუალებათა საჯარო ფონდების ფორმირება, ასევე ამ ფონდების სამუალებების განკარგვა საჯარო ხელისუფლების ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

14. **საჯარო ფინანსების სტრუქტურის სფეროს წარმოადგენს:**
    - სახელმწიფო ფინანსები;
    - ტრანსეროვნული კორპორაციების ფინანსები;
    - საოჯახო მეურნეობების ფინანსები;
    - საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა ფინანსები.
15. **საჯარო ფინანსების სტრუქტურის რგოლად არ მოიაზრება:**
    - სახელმწიფო კრედიტი;
    - საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის ფონდი;
    - სახელმწიფო სპეციალური ფონდები;
    - სახელმწიფო სავალუტო რეზერვები.
16. **ქვეყნის საფინანსო სისტემა შედგება შემდეგი სამი ძირითადი ნაწილისგან:**
    - ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და კორპორაციული ფინანსები;
    - სახელმწიფო, კორპორაციული და საოჯახო ფინანსები;
    - ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ფინანსები;
    - ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და საერთაშორისო ფინანსები.
17. **საქართველოს საჯარო ფინანსების ზოგადი სტრუქტურა არ მოიცავს:**
    - სახელმწიფო კრედიტს;
    - სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემას;
    - სახელმწიფო სპეციალურ ფონდებს;
    - ქონებრივი და პირადი დაზღვევის ფონდებს.
18. **საქართველოს თანამედროვე საბიუჯეტო სისტემა არ მოიცავს:**
    - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
    - საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტებს;
    - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს;
    - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს.
19. **ფინანსური რეზერვების ძირითად სახედ არ მოიაზრება:**
    - სამეურნეო ფინანსური რეზერვები;
    - სადაზღვევო ფინანსური რეზერვები;
    - კომერციული ფინანსური რეზერვები;
    - საბიუჯეტო ფინანსური რეზერვები.
20. **საბიუჯეტო ფინანსური რეზერვების შექმნის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მათი შექმნის წყაროა:**
    - სადაზღვევო ანარიცხები;
    - საწარმოთა და გაერთიანებათა საკუთარი სახსრები;
    - ფულადი საშუალებები, რომლებიც მთელი საზოგადოების კუთვნილებაა;
    - ბანკის სასესხო ფონდი და ბიუჯეტის შემოსავლის ხარჯებზე ნამეტი.
21. **საჯარო საფინანსო საქმიანობის ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს:**
    - უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების სახელისუფლებო საქმიანობა ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირების, განკარგვის და მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების სფეროში;
    - უფლებამოსილი მუნიციპალური ორგანოების სახელისუფლებო საქმიანობა ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირების, განკარგვის და მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების სფეროში;

- უფლებამოსილი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების სახელისუფლებო საქმიანობა ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირების სფეროში;
- უფლებამოსილი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების (სხვა უფლებამოსილი სუბიექტების) სახელისუფლებო საქმიანობა ფულად საშუალებათა საჯარო ფონდების ფორმირების, განკარგვის და მათ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების სფეროში.

22. **საჯარო საფინანსო საქმიანობის განმხორციელებელ იმ ორგანოებს, რომელთა საფინანსო საქმიანობა შეადგენს მათ კომპეტენციათა მხოლოდ ნაწილს, არ მიეკუთვნება:**
    - ქვეყნის პრეზიდენტი;
    - ხელისუფლების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოები;
    - საკონტროლო-საანგარიშო სამსახურები;
    - აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციის ყველა ორგანო (იმათი გამოკლებით, რომლებიც სპეციალურად შექმნილია საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად).
23. **საჯარო საფინანსო საქმიანობის განმხორციელებელ იმ ორგანოებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად, მიეკუთვნება:**
    - საკონტროლო-საანგარიშო სამსახურები;
    - ქვეყნის პრეზიდენტი;
    - ხელისუფლების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოები;
    - აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციის ყველა ორგანო.
24. **საჯარო ფინანსების ძირითადი ფუნქციებია:**
    - განმავრცობელი, განმანაწილებლობითი, მარეგულირებელი, საინფორმაციო;
    - განმანაწილებლობითი, საკონტროლო, მარეგულირებელი, საინფორმაციო;
    - მარეგულირებელი, განმანაწილებელი, მასტიმულირებელი, მაფორმირებელი;
    - განმანაწილებლობითი, საკონტროლო, მასტიმულირებელი, მარეგულირებელი.
25. **საჯარო ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია დაკავშირებულია:**
    - სახელმწიფოს მიერ ფინანსების საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებასთან;
    - ფულადი სახსრების ფონდების განაწილება-გადანაწილებასთან;
    - ფულადი სასხრების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებასთან;
    - სახელმწიფოსა და სხვა მეურნე სუბიექტებისათვის ფულადი სახსრების ნრებრუნვის პროცესების მიმდინარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებასთან.
26. **საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქცია სრულდება:**
    - ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების ფონდების ხარჯვის პროცესში;
    - სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებისას;
    - ფულადი სახსრების ფონდების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში;

- ფულადი სახსრების ფონდების შექმნის პროცესში.

27. **ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია გულისხმობს:**
    - ფულადი სახსრების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებას;
    - მეურნე სუბიექტების დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების წრებრუნვას;
    - სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკას;
    - ფინანსური ბერკეტების მეშვეობით სახელმწიფოს მხრიდან სამეურნეო საქმიანობაში ჩარევას.
28. **ფინანსების მასტაბილიზებელი ფუნქცია მდგომარეობს:**
    - ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში ყველა მეურნე სუბიექტისა და მოქალაქისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფაში;
    - ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების ფონდების ხარჯვაში;
    - სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებაში;
    - ფულადი სახსრების ფონდების განაწილებასა და გადანაწილებაში.
29. **დაფინანსების საბიუჯეტო მეთოდი გულისხმობს სახელმწიფოს:**
    - საინვესტიციო პოლიტიკას;
    - ფისკალურ პოლიტიკას;
    - მონეტარულ პოლიტიკას;
    - ფინანსურ პოლიტიკას.
30. **საგადასახადო მეთოდი გულისხმობს:**
    - ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში ყველა მეურნე სუბიექტისა და მოქალაქისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფას;
    - საგადასახადო პოლიტიკის ელემენტების მანიპულირების გზით სანარმოთა ფინანსური უზრუნველყოფის მართვას;
    - ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების ფონდების ხარჯვას;
    - მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

თემა 2

საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი

„თუ თქვენ არღვევთ წესებს, თქვენ გაჯარიმებენ,
თუ თქვენ იცავთ წესებს, თქვენ გბეგრავენ“.
ლორენს პიტერი

„მოხმარებაზე გაუსაძლისი გადასახადების უდიდესი ზიანი
არის ის, რომ მოსახლეობა ირჩევს დაბალი ხარისხის სუროგატებს“.
ფრანჩესკო ნიტი

„უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა“.
ილია ჭავჭავაძე

„უფულო და ჯიბეგაფხეკილი არც კაცი ვარგა, არც ოჯახი და არც ქვეყანა“.
ნიკოლოზ ჭოიავა

გეგმა:

2.1. საჯარო ფინანსური პოლიტიკის არსი და დანიშნულება, მისი სტრატეგია და ტაქტიკა;
2.2. საჯარო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი სახეები და ტიპები;
2.3. ფინანსური მექანიზმის როლი საჯარო ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციაში;
2.4. საჯარო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში;
2.5. თანამედროვე საქართველოს საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი;

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

2.1. საჯარო ფინანსური პოლიტიკის არსი და დანიშნულება, მისი სტრატეგია და ტაქტიკა

ნებისმიერ სახელმწიფოს ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება და განვითარება დიდწილად განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ეკონომიკური სტაბილურობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის, მოსახლე-

ობის ცხოვრების დონის ამაღლების ხაზით მათზე დაკისრებული ფუნქციების რეალიზაციის შესაძლებლობით.

აღნიშნული ფუნქციების განხორციელება შეუძლებელია ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ფინანსური ბაზის ფორმირების, საზოგადოებაში ფინანსურ ურთიერთობათა რეგულირების, ეკონომიკური განვითარების მიზნების შესაბამისად მათი რეალიზაციის ფინანსური მექანიზმების შექმნის გარეშე[1].

ეკონომიკის განვითარების მიზნების ცვლილება განაპირობებს ფინანსური ურთიერთობების შეცვლის აუცილებლობას მის დარგებსა და საქმიანობის სფეროებში; გადაიხედება ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროები და მათი გამოყენების ფორმები. ასეთ პირობებში სახელმწიფო შეიმუშავებს შესაბამის ფინანსურ პოლიტიკას[2].

ფინანსურ პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებულ და განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რაც ვლინდება საზოგადოების წევრებს, ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებსა და ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებს შორის ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და ოპტიმალურ განაწილება-გამოყენებაში. მაშასადამე, სახელმწიფოს წინაშე დასახული ამოცანების რეალიზაციაში უდიდეს როლს ფინანსური პოლიტიკა ასრულებს.

საზოგადოდ, პოლიტიკა, განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას ან მათი რეალიზაციის ხელშეწყობას გულისხმობს.

ფინანსური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ მასში ვლინდება ეროვნული მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებები; განისაზღვრება ფინანსური რესურსების საერთო მოცულობა, მათი წყაროები და გამოყენების კონკრეტული გზები, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფინანსური მეთოდებით რეგულირებისა და სტიმულირების მექანიზმები. ამასთან, ფინანსური პოლიტიკა არის სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელი სფერო ფინანსურ ურთიერთობათა დარგში[3].

---

[1] უფრო ვრცლად იხ.: Коваленко А.Ю. Финансы в схемах и таблицах с комментариями: Учебное пособие. - М., 2006. с. 51.-55; Финансы: Учебник / Под ред. А.Г. Грязновой, Е.В. Маркиной. - М.: Финансы и статистика, 2004. - С. 40-63; Финансы: Учебник / А. С. Нешитой, Я. М. Воскобойников. 10-е изд. - М.: Издательско торговая корпорация «Дашков и К°», 2012. – С. 82-106.

[2] ჩვენ აქ და ქვემოთ ყველგან ვისაუბრებთ ფინანსურ პოლიტიკაზე და მხედველობაში გვექნება საჯარო (სახელმწიფო და მუნიციპალური) ფისკალური პოლიტიკა.

[3] იხ.: გ. გამსახურდია, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. - თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 1997, გვ. 71-90.

ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს საქმიანობის შედარებით დამოუკიდებელი სფეროა ფინანსურ ურთიერთობათა დარგში. იგი საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რეალიზაციის საშუალებაა.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის - *პოლ სამუელსონის* აზრით, ფინანსური პოლიტიკა საზოგადოების ეკონომიკური გამანონასწორებელი ფაქტორია, რის გამოც მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთლიან სისტემაში. სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფინანსური პოლიტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევასა და შემდგომ აღმავლობაში. ამრიგად, ფინანსური პოლიტიკის მეშვეობით, ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს მისი ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

ფინანსური პოლიტიკა შედგება სახელმწიფოებრივი საქმიანობის ორი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებისაგან: *პირველი,* საგადასახადო დაბეგვრის სფეროსა და, *მეორე,* სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურული რეგულირებისაგან. ამასთან, ფინანსური პოლიტიკის ძირითადი ბერკეტია საგადასახადო განაკვეთების ცვლილებები მთავრობის მიზნებიდან გამომდინარე. გადასახადების გავლენა მშპ-ის მოცულობაზე ხორციელდება საგადასახადო მულტიპლიკატორის მექანიზმის მეშვეობით. მეორე ბერკეტი სახელმწიფო ხარჯების შეცვლაა, რომელიც გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და რომელსაც, ინვესტიციების ანალოგიურად, გააჩნია მულტიპლიკატორული ეფექტი.

ფინანსური პოლიტიკა თავისი შინაარსით საკმაოდ რთულია და მისი შემუშავება მოიცავს ღონისძიებათა სამ დიდ ფგუფს, კერძოდ:

- ფინანსური პოლიტიკის ზოგადი კონცეფციის შემუშავებას, მისი ძირითადი მიმართულებების, მიზნებისა და მთავარი ამოცანების ანუ ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრას;
- ფინანსური პოლიტიკის ადეკვატური ფინანსური მექანიზმის შექმნას;
- სახელმწიფოსა და ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მართვა-რეგულირებას.

ფინანსური პოლიტიკის *სუბიექტებია* საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ და ამტკიცებენ ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეიმუშავებენ მათი ორგანიზაციის კონკრეტულ გზებს მოსახლეობის, სამეურნეო სუბიექტებისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად.

ფინანსური პოლიტიკის *ობიექტია* ფინანსური ურთიერთობებისა და ფინანსური რესურსების[1] ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ქვესისტემებს, სფეროებსა და რგოლებს.

ფინანსური პოლიტიკის *ეკონომიკური შინაარსი* თავის გამოხატულებას პოულობს ფინანსური ურთიერთობების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციაში. ამასთან, მისი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა სრული დაცვის, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, სადაც ასახული იქნება ქვეყნის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარება და პერსპექტივები. მაშასადამე, ფინანსური პოლიტიკის ეკონომიკური შინაარსი ფინანსების განვითარების კონცეფციის შექმნასა და, ამის საფუძველზე, ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრაში მდგომარეობს.

ფინანსური პოლიტიკის *სტრატეგია* გულისხმობს ფინანსების გამოყენების საშუალო- და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრას, რომლის შემუშავების საფუძველს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და მთავარი ამოცანები წარმოადგენს.

ამავდროულად, სახელმწიფო განსაზღვრავს ფინანსური პოლიტიკის *ტაქტიკას,* ანუ მიმდინარე პერიოდში ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა მიღწევამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური რესურსების ეფექტიანი მობილიზაცია და გამოყენება, ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირება და ა.შ.

ყველა სტრატეგიული და ტაქტიკური მიზანი, ამოცანები, მათი რეალიზაციის ღონისძიებები ურთიერთგანპირობებული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაცია და ეფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსური ტაქტიკის რეალიზაციასა და ეფექტიანობაზე.

ზოგადად, ფინანსური პოლიტიკის შემუშავების საფუძველი საზოგადოების ისტორიული განვითარების კონკრეტული თავისებურებებია. იგი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის სპეციფიკას, მის რეალურ ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ფინანსური პოლიტიკის შემუშავებისას შესწავლილი და გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოს მასშტა-

[1] ფინანსური რესურსები იმ ფულადი საშუალებების ერთობლიობაა, რომლებიც გააჩნიათ სახელმწიფოს, ორგანიზაციებსა და საოჯახო მეურნეობებს დროის გარკვეულ პერიოდში, ფინანსური რეზერვები კი ფინანსური რესურსების ხელუხლებელი ნაწილია, რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში იმ დანიშნულებით, რისთვისაც შექმნილია ეს რეზერვები.

ბით ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმების გამოყენების არსებული გამოცდილება და განვითარების ტენდენციები.

უფრო კონკრეტულად, ფინანსური პოლიტიკის შინაარსი, მიზნობრივი მიმართულება და ეფექტიანობა განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, წარმოების საშუალებებზე საკუთრების და საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის კავშირ-ურთიერთობების ხასიათით, საბაზრო ურთიერთობების განვითარების დონით. შეუფერხებელი გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ სახელმწიფოს მიერ ფინანსური პოლიტიკის განხორციელების კონკრეტული მეთოდები დამოკიდებულია თითოეული მათგანის ისტორიულ პირობებზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეროვნულ ტრადიციებსა და სხვა ფაქტორებზე.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მოცემული კონკრეტული პერიოდისათვის, ფინანსური პოლიტიკის ამოცანები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ფინანსური რესურსების ფორმირებისათვის მაქსიმალურად ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოს მიერ ფინანსური რესურსების რაციონალური განაწილების და გამოყენების უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური და სოციალური პროცესების ფინანსური მეთოდებით რეგულირებისა და სტიმულირების ორგანიზაცია;
- ფინანსური მექანიზმის შემუშავება და სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ცვლილებასთან ერთად მისი სრულყოფა;
- ფინანსების მართვის მაქსიმალურად ეფექტიანი სისტემის შექმნა.

ფინანსური პოლიტიკის გატარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან ნაწილებთან, როგორიცაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, ფასწარმოქმნის პოლიტიკა და ა.შ.

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია მის შესაბამისობაზე საზოგადოებისა და მისი ცალკეული სოციალური ფენების ინტერესებთან, და განისაზღვრება იმ შედეგებით, რომლებიც მიღწეულია დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებით.

დაბოლოს, სახელმწიფოს განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ფინანსური პოლიტიკის ცვლილებასთან და, პირიქით, ეს უკანასკნელი განპირობებულია ეკონომიკური და სოციალური სფეროების განვითარების დონითა და მიმდინარე ეტაპის თავისებურებებით, ხელისუფლებისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესებით, იმ გაბატონებული მმართველობითი კონცეფციებით, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მთავრობის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კურსზე.

2.2. საჯარო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი სახეები და ტიპები

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით გამოიყოფა საჯარო ფინანსური პოლიტიკის შემდეგი სახეები:

- საერთო-სახელმწიფოებრივი (ფედერალური) ფინანსური პოლიტიკა;
- რეგიონული ფინანსური პოლიტიკა;
- ადგილობრივი (მუნიციპალური) ფინანსური პოლიტიკა.

სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული საჯარო ფინანსური პოლიტიკის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს მისი *შინაარსობრივად განსხვავებული სამი ძირითადი ტიპი:*

- კლასიკური ფინანსური პოლიტიკა;
- მარეგულირებელი ფინანსური პოლიტიკა;
- გეგმიურ-დირექტიული ფინანსური პოლიტიკა.

კლასიკური ტიპის ფინანსური პოლიტიკა: მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ფინანსური პოლიტიკა წარმოდგენილი იყო მისი კლასიკური ვარიანტით, რომელიც ეფუძნებოდა პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების ა. სმიტის (1723-1790), დ. რიკარდოსა (1772-1823) და მათი მიმდევრების შრომებს. მისი ძირითადი მიმართულებებია – სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკონომიკაში, თავისუფალი კონკურენციის დაცვა, საბაზრო მექანიზმის როგორც სამეურნეო პროცესების მთავარი რეგულატორის გამოყენება. ასეთი პოლიტიკის შედეგია სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების შეზღუდვა, დაბალანსებული ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა.

კლასიკური ტიპის ფინანსური პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი აგებულია ფინანსური პოლიტიკის აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას ძირითადად სამხედრო ხარჯების, აგრეთვე, სახელმწიფო ვალის საპროცენტო ხარჯების, მისი დაფარვისა და მართვის ხარჯების შემცირების გზით ცდილობდა. გადასახადებით დაბეგვრის სისტემას დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლებით უნდა უზრუნველეყო. ამასთან, გადასახადების სისტემა აგებული იყო ძირითადად არაპირდაპირი და ქონებიდან გადასახადებზე, რომლებიც, ამოღების მექანიზმის თვალსაზრისით, საკმაოდ მარტივი და ეფექტიანია.

ფინანსური საქმიანობის მართვის სისტემა იყო მარტივი და, როგორც წესი, კონცენტრირებული მართვის ერთ ორგანოში – ფინანსთა სამინისტროში (ხაზინაში).

მარეგულირებელი ტიპის ფინანსური პოლიტიკა: საწარმოო ძალების სწრაფმა განვითარებამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში სახელმწიფოს წინაშე დააყენა ფინანსური პოლიტიკისადმი მიდგომების შეცვლის საკითხი. მისი აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც უმრავლეს ქვეყნებში გამწვავდა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მთელი კომპლექსი.

ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო მარეგულირებელ ფინანსურ პოლიტიკაზე გადასვლა, რომელსაც, თავდაპირველად, საფუძვლად დაედო ინგლისელი ეკონომისტის ჯ. კეინზის (1883-1946) და მისი მიმდევრების ეკონომიკური თეორიები. ისინი ეკონომიკის ციკლურ განვითარებასა და მის რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობიდან გამოდიოდნენ.

ფინანსურმა პოლიტიკამ, თავის ტრადიციულ ამოცანებთან ერთად, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების რეგულირების და მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით ფინანსური მექანიზმის გამოყენება დაიწყო. ეკონომიკაში ჩარევის ძირითად ინსტრუმენტად იქცა სახელმწიფო ხარჯები, რომელთა მეშვეობით ფორმირდება დამატებითი მოთხოვნა. ეს ხარჯები უზრუნველყოფენ სამეწარმეო საქმიანობის ზრდას, ეროვნული შემოსავლის ამაღლებას და ხელს უწყობენ უმუშევრობის ლიკვიდაციას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაფინანსების გზით.

მარეგულირებელი ფინანსური პოლიტიკის პირობებში ძირეულად იცვლება გადასახადების სისტემა. რეგულირების მთავარ მექანიზმად გვევლინება საშემოსავლო გადასახადი, რომლის დროსაც პროგრესული განაკვეთები გამოიყენება. ეს გადასახადი უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტებიდან იმ შემოსავლების ამოღებას, რომლებიც გამოიყენება დანაზოგების სახით, რაც მაღალი შემოსავლების პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებულობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

მარეგულირებელი ფინანსური პოლიტიკის ფინანსურ მექანიზმში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო კრედიტის სისტემას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება დეფიციტის დაფინანსების პოლიტიკა. სახელმწიფო აქტიურად ანვითარებს საშუალო- და გრძელვადიანი სესხების გამოყენების პოლიტიკას. სასესხო კაპიტალის ბაზარი, თავისი მნიშვნელობით, იქცევა ბიუჯეტის შემოსავლების მეორე მნიშვნელოვან წყაროდ, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი გამოიყენება ეკონომიკის რეგულირების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური პოლიტიკის ცვლილებასთან ერთად, იცვლება აგრეთვე ფინანსების მართვის სისტემა. მართვის ერთიანი ორგანოს ნაცვლად იქმნება რამდენიმე სპეციალიზებული დამოუკიდებელი ორგანო. გამოიყოფა ცალკეული სამსახურები, რომლებიც მუშაობენ ბიუჯეტისა და მისი ხარჯების დაგეგმვაზე, მათ დაფინანსებაზე, გადასახადების ამოღებაზე, კონტროლზე, სახელმწიფო ვალის მართვაზე.

კეინზიანურმა ფინანსურმა პოლიტიკამ, დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე, გამოავლინა თავისი შედარებითი ეფექტიანობა. მან, მე-20 საუკუნის 30 - 60-იან წლებში, უმრავლეს ქვეყნებში უზრუნველყო სტაბილური ეკონომიკური ზრდა, დასაქმების მაღალი დონე, სოციალური სფეროს დაფინანსების ეფექტიანი სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ფინანსურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო *ნეოკონსერვატორული სტრატეგია*, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკურ მიმართულებასთან. ფინანსური პო-

ლიტიკის ეს ნაირსახეობა არ უარყოფდა რეგულირებას როგორც მის მიზანს, მაგრამ ზღუდავდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკასა და მის სოციალურ სფეროში. ეკონომიკის რეგულირება გარდაიქმნება მრავალმიზნიან მოვლენად: ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების გარდა, სახელმწიფო არეგულირებს ფულის მიმოქცევას, სავალუტო კურსს, ეკონომიკის სოციალურ ფაქტორებს, მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნებს.

აღნიშნულ პირობებში ფინანსური მექანიზმის ამოსავალი საფუძველია ფინანსური სისტემის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის გადანაწილების შეზღუდვა, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, დანაზოგების როგორც საწარმოო ინვესტირების წყაროს ზრდის სტიმულირება. ყოველივე ამის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი გადასახადებს განეკუთვნება. დღის წესრიგში დგება მათი შეზღუდვის (შემცირების) და დაბეგვრის პროგრესულობის ხარისხის შემცირების ამოცანა.

სადღეისოდ, მარეგულირებელი ფინანსური პოლიტიკის ნაირსახეობები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. ფინანსური მექანიზმის ერთგვაროვანი ან მსგავსი ინსტრუმენტები გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში როგორც კეინზიანურ, ისე ნეოკონსერვატორულ მარეგულირებელ სისტემებში, რასაც მათ კონვერგენციამდე მივყევართ.

გეგმურ-დირექტიული ფინანსური პოლიტიკა გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ფუნქციონირებს ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა. ასეთ პირობებში ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს სახელმწიფოს ხელში ფინანსური რესურსების თავმოყრას, სახელმწიფო გეგმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მათი შემდგომი გადანაწილების მიზნით.

2.3. ფინანსური მექანიზმის როლი საჯარო ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციაში

სახელმწიფოს ნებისმიერი ტიპის ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული რაციონალური ფინანსური მექანიზმის შემუშავებასა და გამოყენებაზე.

ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის იმ ფორმებისა და მეთოდების სისტემაა, რომლებიც განაწილებითი და გადანაწილებითი ურთიერთობების ფორმირებას, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი საშუალებების ფონდების შექმნასა და გამოყენებას უზრუნველყოფენ.

ფინანსური მექანიზმი ერთიანი სამეურნეო მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფოს საქმიანობა ფინანსების სფეროში.

ფინანსური მექანიზმი ფინანსური პოლიტიკის ყველაზე დინამიური ნაწილია. იგი ყოველთვის შესაბამისობაში უნდა იყოს საწარმოო ძალების განვითარების დონესთან. ასეთ შესაბამისობას უზრუნველყოფს სახელმწიფო, მის მიერ წინასწარ დასახული და გეგმაზომიერად განხორციელებული პროგრამების საფუძველზე.

ფინანსური მექანიზმის სტრუქტურის ელემენტებს მიეკუთვნება:

- ფინანსური რესურსების ფორმები (ფინანსური რესურსები, საკრედიტო რესურსები, ფინანსური რეზერვები და ა.შ.);
- ფინანსური რესურსების ფორმირების მეთოდები;
- ფინანსური ანალიზი და დაგეგმვა;
- საკანონმდებლო ნორმების და ნორმატივების სისტემა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების, საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციის განსაზღვრისას.

ფინანსური მექანიზმის ცვლილება და განვითარება დაკავშირებულია ფინანსური პოლიტიკის როგორც სტრატეგიის, ისე ტაქტიკის ცვლილებასთან, დასმული მიზნების და ამოცანების გადაწყვეტასთან. ამიტომ ფინანსური მექანიზმი ზუსტად რეაგირებს ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში არსებულ მდგომარეობასა და მიმდინარე პროცესების ყველა თავისებურებაზე.

განასხვავებენ ფინანსური მექანიზმის ორ სახეს: დირექტიულსა და მარეგულირებელს.

დირექტიული ფინანსური მექანიზმი, როგორც წესი, მუშავდება იმ ფინანსური ურთიერთობებისათვის, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფო, ანუ სახელმწიფო ფინანსებისათვის. მის სფეროში შედის გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი, საბიუჯეტო ხარჯები, საბიუჯეტო დაფინანსება, საბიუჯეტო პროცესისა და საბიუჯეტო მოწყობის ორგანიზაცია, ფინანსური დაგეგმვა. დირექტიული ფინანსური მექანიზმის გამოყენების მიზნით სახელმწიფო დეტალურად ამუშავებს ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის მთელ სისტემას, რომელში მოქცევაც სავალდებულოა მისი ყველა მონაწილისათვის.

მარეგულირებელი ფინანსური მექანიზმი განსაზღვრავს „თამაშის ძირითად წესებს" ფინანსების იმ კონკრეტულ სეგმენტში, რომელიც უშუალოდ არ მოიცავს სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთი ფინანსური მექანიზმი დამახასიათებელია კერძო ორგანიზაციების შიდასამეურნეო ფინანსური ურთიერობებისათვის. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო განსაზღვრავს გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდის შემდეგ ორგანიზაციის განკარგულებაში დარჩენილი ფინანსური რესურსების გამოყენების ზოგად წესებს, ხოლო ორგანიზაცია დამოუკიდებლად ამუშავებს საკუთარი ფულადი ფონდების სახეებს, მათი გამოყენების ფორმებს, მიმართულებებს.

ფინანსური მექანიზმის თითოეულ ტიპს გააჩნია ცალკეული სტრუქტურული რგოლები. მაგალითად, დირექტიული ანუ სახელმწიფო ფინანსე-

ბის მექანიზმი იყოფა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების დაფინანსების მექანიზმებად. თუმცა, ფინანსური მექანიზმის თითოეული სფერო თუ რგოლი ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, ისინი შედარებით დამოუკიდებლადაც ფუნქციონირებენ.

2.4. ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ფინანსური პოლიტიკა პასტსაბჭოთა ქვეყნებში რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, რამდენადაც ამ ქვეყნებს, სხვა ქვეყნებთან სედარებით, სრულიად განსხვავებული ისტორიული, კულტურული და ინსტიტუციური გამოცდილებისა და ტრადიციების პირობებში უხდებოდათ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. ამასთან, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უფრო მტკივნეულად განიცადეს გარდაქმნის ტრანსაქციული ტკივილები და კრიზისები[5].

მართალია, ტრანსფორმაციის პერიოდში ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსი პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ გამოვლინდა, რომ ეს ქვეყნები განსხვავებულია ერთმანეთისაგან (საზოგადოების მართვაში უახლოესი ისტორიული ერთიანობის მიუხედავად). შედეგად, ჩამოყალიბდა ქვეყნების ორი ჯგუფი: პირველი, ქვეყნები, სადაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შედარებით წარმატებული იყო (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები); მეორე, ქვეყნები, სადაც წარმატება ნაკლებად ხელშესახები იყო (სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გახდა ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, ინფლაცია და განსხვავებული საფინანსო-სავალუტო რეჟიმები, რის გამოც მათ ვერ უზრუნველყვეს ფინანსური კრიზისების თავიდან აცილება[6].

ტრანსფორმაციის პერიოდში პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ნიშანდობლივი გახდა სავალუტო და საბანკო კრიზისები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საფინანსო სისტემა სწორედ ამ ორი ინსტიტუტის სუსტ განვითარებაზეა აგე-

---

[5] უფრო ვრცლად იხ.: სილაგაძე ა., თოქმაზიშვილი მ. პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა. - თბილისი, 2008. – 112 გვ.

[6] საერთოდ, არსებობს ფინანსური კრიზისის სამი ძირითადი სახე: სავალუტო, საბანკო და სავალო კრიზისები. *სავალუტო კრიზისი* წარმოიშობა მაშინ, როდესაც ეროვნული ვალუტა უფასურდება. *საბანკო კრიზისის* დროს ბანკები კარგავენ თავიანთი აქტივების ნაწილს ან კოტრდებიან, ბანკების ბალანსი უარესდება და საბანკო პორტფელებში იზრდება უმოქმედო კრედიტების წილი. *სავალო კრიზისი* ასახავს სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო ვეღარ ემსახურება მის მიერ აღებულ შიგა და საგარეო ვალებსა და ვალდებულებებს.

ბული. ამის შედეგად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ფინანსური კრიზისების შედეგად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პროდუქციის წარმოება 2,2-ჯერ მეტად შემცირდა, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ამ მხრივ, ყველაზე „მაღალი მაჩვენებელი" ჰქონდა საქართველოს. აქ წარმოების მოცულობა 1989 წლის დონესთან შედარებით 78%-ით შემცირდა, რაც თითქმის 3,0-ჯერ აღემატებოდა დიდი დეპრესიის დროს აშშ-ში წარმოების დაცემის მაშტაბებს.

საგულისხმოა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში სტაბილიზაციამ და სტრუქტურულმა რეფორმებმა 90-იან წლებში დადებითი შედეგები გამოიღო და ზრდის ტემპებიც დაჩქარდა. მათ შეძლეს საგარეო საფინანსო-სავალუტო შოკებზე რეაგირება და ნაკლები დანაკარგებით მოახერხეს მათგან თავის დაღწევა. უკვე 2000 წელს ბევრმა მათგანმა მიაღწია 1989 წლის დონეს და გადაჭარბა კიდეც მას, მაშინ როდესაც მეორე ჯგუფის ქვეყნებმა (პოსტსაბჭოთა) შედარებით ნაკლები ტემპებით მოახდინეს ფინანსური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ვერ მიაღწიეს სტაბილიზაციას და სტრუქტურული რეფორმებიც სანახევროდ განახორციელეს. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი დღესაც ჩამორჩება 1989 წლის დონეს.

გარდაქმნის საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ცენტრალური ბანკის ტრანსფორმაციას და ეფექტური საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებას გააჩნდა ორი პოლიტიკის ალტერნატივა: *1. შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა,* რომლის მიზანია ფულის მიწოდების შეზღუდვითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება და *2. ექსპანსიონური მონეტარული პოლიტიკა,* რომლის მიზანია ფულის მასის ზრდით კერძო წარმოების ინვესტირება და უმუშევრობის შემცირება[7].

ამ ალტერნატივიდან პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა პირველი გზა აირჩიეს და დაივიწყეს ინდივიდუალური ძალისხმევა, თავისუფალი საბაზრო ძალების ქმედება, რაც ეკონომიკის სტიმულირებისა და ძალისხმევის უგულებელყოფას ნიშნავს. ამასთან, რამდენადაც მათი მთავარი პრობლემა სახელმწიფო ვალის ზრდა იყო, ფულის მიწოდება და „ღია ბაზრის ოპერაციები" ინფლაციის ზრდას ასტიმულირებდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ეკონომიკის ლიბერალიზებასთან ერთად, ხორციელდებოდა ექსპანსიონური მონეტარული პოლიტიკა, რაც, ფაქტობრივად, ფულის მასის ზრდასთან ერთად, ინფლაციის ზრდასაც განაპირობებდა. ამასთან, ემპირიული მონაცემებით დგინდება, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოიყენება *ხუთი ტრანსმისიული მექანიზმი.* ესენია: სარგებლის განაკ-

[7] საფინანსო-ეკონომიკურ ლიტერატურაში მათ ხშირად მკაცრ ფულად-საკრედიტო და ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკად მოიხსენიებენ.

ვეთების, ბანკების დაკრედიტების, ფულადი არხების, შინამეურნეობათა აქტივების, გაცვლითი კურსის მექანიზმები.

ლოგიკა ასეთია: ფულის მიწოდების ზრდის შედეგად (1) ფინანსურ სექტორში სარგებლის განაკვეთები ან გაცვლითი კურსი ან ფინანსური აქტივების ფასი იცვლება (2), შემდეგ ასეთი ცვლილებები რეალურ სექტორში ინვესტიციების მოხმარებასა და წმინდა ექსპორტზე ზემოქმედებს (3), დაბოლოს, ყოველივე ეს წარმოების ცვლილებებს იწვევს (4). პოსტსაბჭოთა ქვეყნები ერთმანეთისაგან ამ სტადიების სიღრმით, დინამიკითა და მნიშვნელობით განსხვავდებიან.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარმოებაზე ფულადი მასის ზემოქმედება ძირითადად ეროვნული ვალუტის ღირებულების ცვლილებით ხდებოდა. სხვა მექანიზმები განუვითარებელი იყო და წარმოებული ფასეულობის დასაცავად ფართოდ გამოიყენებოდა უცხოური ვალუტა.

ასეთ შემთხვევაში, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ასახავდა ინფლაციურ მოლოდინს და არ ჰქონდა კავშირი იმ კურსთან, რომლითაც შეიძლებოდა ექსპორტ-იმპორტის დაბალანსების მიღწევა. თავისუფალი ფასები ვერ ასტიმულირებდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ფინანსური ინსტიტუტების სისუსტე და ეკონომიკაში მათი შეუმავლობის დაბალი წილი კი ვერ უზრუნველყოფდა ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასა და ზრდას. ამის შედეგად გაიზარდა ფინანსური რისკებიც და შეიქმნა ფინანსური კრიზისების საფრთხეები.

ნიშანდობლივია, რომ 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა ძირითადად დაასრულეს ინსტიტუციური გარდაქმნები და, სხვადასხვა ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით, ინფლაციის 10%-ზე უფრო დაბალ მაჩვენებელს მიაღწიეს. ამავე პერიოდში გამოვლინდა მთელი რიგი რისკები, რომლებმაც საფინანსო-სავალუტო კრიზისების გავრცელების პირობები შექმნეს, ხოლო შემდგომ აიძულეს პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რათა მათ თავიანთი ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკისათვის გადაეხედათ.

აღმოჩნდა, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის მქონე ქვეყნები (მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნები) ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებაში შეზღუდულნი იყვნენ. მეორე მხრივ, უცხოური ინვესტორების ენთუზიაზმის შესანარჩუნებლად ეროვნული ვალუტის რეგულირება არ იყო მიმზიდველი და იგი ინფლაციის გაძლიერების საშიშროებას ქმნიდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების სხვადასხვა პირობების შესაბამისად ჩამოყალიბდა *ფინანსური და ფულად-საკრედიტო რეგულირების ოთხი სისტემა:*

(1) ქვეყნები (ბალტიისპირეთის ქვეყნები და ბულგარეთი), რომლებმაც მიზნად დაისახეს მყარი სავალუტო ფიქსირებული კურსის შენარჩუნება და

ინფლაციის თარგეთირება[8], ჩამოაყალიბეს სავალუტო საბჭოს მსგავსი რეჟიმები;

(2) ქვეყნების მეორე ჯგუფმა (ყაზახეთი და სომხეთი) მიზნად დაისახეს ინფლაციის თარგეთირება;

(3) ქვეყნების მესამე ჯგუფმა (რუსეთი) მიზნად დაისახა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება;

(4) მეოთხე ჯგუფის ქვეყნებს კი მიეკუთვნებიან უმრავლესი პოსტსაბჭოთა ქვეყნები (საქართველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი), რომლებიც ახორციელებენ ე.წ. „შერეულ პოლიტიკას“ და, დაბალი ინფლაციის შენარჩუნებასთან ერთად, გაცვლითი კურსის ოპტიმიზაციაზე არიან ორიენტირებულნი.

მთლიანობაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო დისკრეციონული საფინანსო-სავალუტო პოლიტიკა ფულადი და ინფლაციური თარგეთირების ცალკეული ელემენტებით[9].

---

[8] ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი შედარებით ახალ პრაქტიკას წარმოადგენს და მე-20 საუკუნის 90–იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ წარმატებული გამოდგა ინფლაციასთან ბრძოლაში. აღნიშნული რეჟიმი პირველად ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა დანერგა 1990 წელს.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი - ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ–ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად ცენტრალური ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ ცენტრალური ბანკი მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი სამუშაოებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ [ინფლაციის თარგეთირება: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538].

[9] საგულისხმოა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი 2009 წლიდან არის ინფლაციის თარგეთირება. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ მტკიცდება პარლამენტის მიერ. 2016 წლისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 5 პროცენტს, 2017 წლისათვის - 4 პროცენტს ხოლო 2018 წლისათვის კი - 3 პროცენტს.

ინფლაციის თარგეთირების ამოქმედებამდე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობოდა მონეტარულ თარგეთირებას, რაც ფულის მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევას გულისხმობდა. მონეტარული თარგეთირების პირობებში ეროვნული ბანკი იყენებდა ფულის მასას, როგორც შუალედურ რგოლს, ინფლაციის სარეგულირებლად. ამ რეჟიმის პირობებში, ინფლაციის თარგეთირებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტაბილური კავშირი ფულის მასასა და

საერთო კანონზომიერება იყო ხელისუფლების სწრაფვა ინფლაციის გასაკონტროლებლად. ფასების ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო რესურსების გა-დანაწილებასა და ფასების ზრდას, პარალელურად კი ფასების ზრდის მოლოდინმა ეს პროცესი დააჩქარა. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზებამ უცხოურ ვალუტაში ფულის მოცულობა კიდევ უფრო მეტად გაზარდა. ფულის მიწოდების ზრდამ ფასების ამაღლების პროვოცირება მოახდინა და ინფლაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა. ამას თან მოჰყვა ფინანსურ აქტივებზე სარგებლის განაკვეთების ზრდა, რომელმაც ფინანსურ სექტორში დანაზოგების კაპიტალიზაცია კიდევ უფრო დააჩქარა. ამდენად, ფინანსურ სექტორში აქტივების ფასის სპეკულაციური ზრდის შედეგად რეალურ სექტორში ინვესტიციები და წარმოება შემცირდა. ეს იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების საერთო სცენარი, რომელიც შემდგომ გლობალური საფინანსო-სავალუტო კრიზისების ინიცირებით გამწვავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტის სტაბილურობა ენდოგენურად არის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის გამოვლენა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში ეგზოგენურად არსებობს საფინანსო-სავალუტო წონასწორობის რღვევის შემდეგი მიზეზები:

(1) *პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტიპური დაბალგანვითარებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური პრობლემები:* ბიუჯეტური დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მონეტიზაცია, სუსტი საბანკო სისტემა და არასაკმარისი პროგრესი ინსტიტუციურ და სტრუქტურულ რეფორმებში;

(2) *ტრანსფორმაციის ნელი ტემპებით მიმდინარეობა და საბაზრო მექანიზმების სუსტად მუშაობა:* საბაზრო ინსტიტუტების საქმიანობაში დღემდე არსებული ძლიერი ადმინისტრაციული ჩარევა ხელს უშლიდა კერძო სექტორის განვითარებას და ასტიმულირებდა კორუფციასა და ახალი სახელმწიფო ოლიგარქიის შექმნას. რეალური ეკონომიკა ნელი ტემპით ვითარდება (გარდა ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისა). ამას ემატება ხელისუფლებისადმი უნდობლობის არსებობა, რაც ქმნის სამეურნეო სუბიექტების ფსიქოლოგიურ მოლოდინს ეკონომიკის წონასწორობის რღვევის განმეორებისათვის;

(3) *მონეტიზაციის დაბალი დონე, ბანკების შეზღუდული როლით:* ბანკების განვითარება დანაზოგის დაბალი დონის, ნაღდი ანგარიშსწორების

ინფლაციას შორის. თუმცა პრაქტიკაში ფულზე მოთხოვნა ცვალებადია (განსაკუთრებით გადახდის ახალი საშუალებებისა და საბანკო სისტების სწრაფად განვითარების პირობებში), რაც ცვლის კავშირს მონეტარული აგრეგატების ზრდასა და ფულის ზრდას შორის და წარმოიშვება თარგეთის - ფულის მასის ზრდის ტემპის მუდმივი გადახედვის საჭიროება. შესაბამისად, აქტიური მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში, ფულის მასის საოპერაციო თარგეთად გამოყენება არაეფექტიანია [ინფლაციის თარგეთირება: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538].

მაღალი წილისა და უცხოური ვალუტისადმი ნდობის პირობებში შეზღუდულ სივრცეში მიმდინარეობს. გარდა ამისა, მონეტიზაციის დაბალი დონე ნაკლებად სტაბილურობის ნიშანია, რადგან ფულის ნომინალური ცვლილებები მინიმალურადაც კი ვერ ცვლის მის თანაფარდობას და გაცვლითი კურსი და ფასები ფულის ცვლილებებზე მტკივნეულად რეაგირებენ. ამ შემთხვევაში ფულის მასის მცირეოდენი ზრდაც კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გაცვლით კურსზე;

(4) *ბანკების სისუსტე და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი წილი:* იგი სამეურნეო სუბიექტებში ნდობას არ ქმნის და ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის შესაძლებლობები შესაბამისად იზღუდება;

(5) *ეკონომიკის არასტაბილურობის მაჩვენებლები:* დაბალი ინვესტირება, სუსტი დაბანკო სისტემა, მცირე დანაზოგები. ეკონომიკის სტაგნაციური მდგომარეობა კი ადამიანებს მომავლისადმი რწმენას უკარგავს;

(6) *ეკონომიკისადმი ნდობის დეფიციტი:* ამის მაჩვენებელია, აგრეთვე, გრძელვადიანი საბანკო კრედიტების ნაკლებობა;

(7) *საერთაშორისო რეზერვების სიმცირე;*

(8) *ფინანსური შუამავლების ნაკლები როლი:* ამაზე მეტყველებს მონეტიზაციის კოეფიციენტი (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იგი 2,0-ჯერ ნაკლებია);

(9) *კომერციული ოპერაციების უცხოურ ვალუტაში წარმოება:* ეს აძლიერებს ქვეყნის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან;

(10) *მშპ-სთან მიმართებით ბანკებში დეპოზიტების მოცულობის სიმცირე:* მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად იზრდება ბანკების მიერ ეკონომიკის უზრუნველყოფა კრედიტით, მისი მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში შეადგენს 20-30%-ს, მაშინ როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი სულ ცოტა 2,0-ჯერ მეტია. ამასთან, კერძო სექტორში კრედიტების მოცულობა საშუალოდ 15 %-ია მშპ-თან მიმართებით, მაშინ როდესაც ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში იგი სულ ცოტა 2,5-ჯერ მეტია.

ეს და სხვა მაჩვენებლები, მართალია, გამოხატავენ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუსტ ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ დინამიკაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ისინი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. აღნიშნული მაჩვენებლები არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ვიფიქროთ საფინანსო-სავალუტო წონასწორობის რღვევის ენდოგენურ წარმოშობაზე. ეკონომიკური აგენტების ქცევას, ფინანსური მაჩვენებლების გარდა, ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარება, მისი ინსტიტუციური რეგულირება და, რაც მთავარია, პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური წონასწორობის რღვევის შემაკავებელი გარემოებებიც არსებობს, კერძოდ, ფინანსური ბაზრები არასაკმარისად განვითარებულია და მისთვის გლობალური სავალუტო კრიზისები სერიოზულ საშიშროებას არ წარმოად-

გენს. გარდა ამისა, ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსება შეზღუდულია, დაბალია ბანკთაშორისი კონკურენცია და არსებობს საკრედიტო დეფიციტი, საბანკო დეპოზიტების დაბალი დონე კი განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნების განვითარებაში დიდი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას, სადაც საბანკო ოპერაციები განუვითარებელია.

2.5. თანამედროვე საქართველოს საჯარო ფინანსური პოლიტიკა

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ფინანსური პოლიტიკა. მასში მუდმივად მიმდინარე ცვლილებებისა და განვითარების ამოსავალ საფუძველს საბაზრო მექანიზმი წარმოადგენს.

საქართველოს ფინანსური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე მარეგულირებელი ტიპის პოლიტიკაა. თუმცა, იგი სრულყოფილად ვერ ახორციელებს მისი ძირითადი და ტრადიციული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას. ეს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების დაბალი დონითაა განპირობებული, რაც, თავის მხრივ, შედეგია ქვეყანაში არსებული შემდეგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებისა: სახელმწიფო ფინანსური რესურსების მობილიზაციის დაბალი დონე, სახელმწიფო ფინანსების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა არცთუ მაღალი კვალიფიკაცია, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ. მართლაც, თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლება ბიუჯეტების მეშვეობით მშპ-ის 50-60%-ის გადანაწილებას ახორციელებს, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 30-35%-ს უტოლდება, შედეგად, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 35%-ს არ აღემატება.

ზოგადად, საქართველოში გატარებული ფინანსური პოლიტიკის შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება.

დავიწყოთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მისი სტრუქტურის თავისებურებების გარკვევით. 2004 წელს ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 2 267 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 7 560 მლნ ლარამდე გაიზარდა. 2004-2014 წლებში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებიდან საშუალოდ 78% მოდიოდა გადასახადებზე. თავის მხრივ, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებიდან საშუალოდ 47% მოდიოდა დღგ-ზე, 23.7% - საშემოსავლო გადასახადზე, 12.7% - მოგების გადასახადზე, 10.8% - აქციზის გადასახადზე, 3.4% - ქონების გადასახადზე, ხოლო 1.9% - იმპორტის გადასახადზე.

აღნიშნული პერიოდის მანძილზე, ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო: საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით, ნომინალური მშპ-ის ზრდით, სამომხმარებლო ხარჯების ზრდით, ვალუტის გაცვლითი კურსით, ინფლაციური პროცესებთ და მიღებული გრანტებით.

საგულისხმოა, რომ 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე ქვეყანაში *საგადასახადო ადმინისტრირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა*, რაც, ძირითადად, განხორციელდა საგადასახადო ორგანოების მიერ აქტიური საგადასახადო კონტროლის შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევათა გამოვლენისა და გადამხდელთა დაჯარიმებით ან სხვა სახის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრებით[10].

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მომდევნო მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა *ნომინალური მშპ-ის ზრდა*. ბუნებრივია, რაც უფრო იზრდება ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო იზრდება დასაბეგრი ბაზაც და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებიც. 2004-2014 წლებში ქვეყნის ნომინალური მშპ წელიწადში საშუალოდ 6.14%-ით იზრდებოდა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 2009 წელი, როდესაც ქვეყნის ნომინალური მშპ 3.8%-ით შემცირდა. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ განვლილ პერიოდში ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2007 წელს (12.3%).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2004-2014 წლებში საგადასახადო შემოსავლებიდან საშუალოდ 47% მოდიოდა დღგ-ზე. თავის მხრივ, აღნიშნული გადასახადიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები დამოკიდებული იყო მოხმარების დონეზე. რაც უფრო მაღალია ქვეყანაში *სამოხმარებლო დანახარჯები*, მით უფრო მეტი თანხები შედის დღგ-ის სახით ბიუჯეტში. 2004 წელს სამომხმარებლო ხარჯები მიმდინარე ფასებში (ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე) 8 573.8 მლნ ლარს შეადგენდა, 2014 წელს კი - 23 507.9 მლნ ლარს. ამ პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ხარჯები ყოველწლიურად საშუალოდ 13.8%-ით იზრდებოდა. ამასთან, მოცემული ხარჯებიდან ყოველწლიურად საშუალოდ 20-21% მოდიოდა სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეულ ხარჯებზე. სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, თავის მხრივ, ხელს უწყობდა: საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო სამსახურებში მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურების ზრდა, ქართველი ემიგრანტების მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი თანხები და საბანკო დაკრედიტების მაღალი ტემპები.

სამომხმარებლო ხარჯების სიდიდეს ხელს უწყობდა აგრეთვე *ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილური სიმყარე*. 2004 წელს ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით (საშუალო თვიური მაჩვენებლით დათვლილი) შეადგენდა 1,92-ს; 2005 წელს - 1,8-ს; 2006 წელს - 1,77-ს; 2007 წელს - 1,67-ს; 2008 წელს - 1,49-ს; 2009 წელს - 1,67-ს; 2010 წელს - 1,78-ს; 2011 წელს - 1,68-ს; 2012 წელს კი - 1,65-ს; 2013 წელს -1,74-ს და 2014

[10] აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ უმჯობესია საგადასახადო ადმინისტრირება დაიხვეწოს არა დაჯარიმებებისა და მასიური შემოწმებების შედეგად, არამედ საგადასახადო კულტურის და გადასახადების გადახდის აუცილებლობის თვითშეგნების ამაღლების შედეგად, რაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების პირობებში უნდა მოხდეს.

წელს - 1,78 -ს. როგორ ვხედავთ, 2004 წლიდან 2014 წლამდე ლარი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გამყარდა. ლარის გამყარება ნიშნავს, რომ იაფდება იმპორტი და ძვირდება ექსპორტი. იმპორტის გაიაფება ზრდის იმპორტის მოცულობებს ქვეყანაში და სამომხმარებლო ხარჯების გზით ასევე ზრდის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებსაც დღგ-ს სახით[11].

განვლილ პერიოდში ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე *ინფლაციური პროცესები*. ფასების ზრდის პროცესი განაპირობებს დასაბეგრი ბრუნვების ღირებულებითი მოცულობების ზრდას. აღნიშნულის შედეგად იზრდება დღგ-დან მიღებული საგადასახადო შემოსავლებიც. ფასების ზრდის პროცესს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა როგორც წარმოების გაზრდილი დანახარჯები (საწვავის მაღალი ფასები), ასევე არაპროპორციულად გაზრდილი მონეტარული აგრეგატები. 2004-2014 წლებში ფულადი მასა M3 ყოველწლიურად საშუალოდ 23.6%-ით იზრდებოდა, მაშინ როცა რეალური მშპ ამ პერიოდში ყოველწლიურად საშუალოდ 6.17%-ით იზრდებოდა. ასეთი მკვეთრი განსხვავება, ბუნებრივია, ქმნიდა ჭარბ მოთხოვნას და ინფლაციურ ზეწოლას ეკონომიკაზე, რაც, უმეტეს შემთხვევაში, იმპორტის გაზრდით კმაყოფილდებოდა.

განვლილ პერიოდში გაზრდილია ასევე ფულის მულტიპლიკატორებიც. მაგალითად: M3 ფულის მულტიპლიკატორი 2004 წლის დეკემბრის ბოლოს შეადგენდა 1.77-ს, 2014 წლის ბოლოსთვის კი 2.43-მდე გაიზარდა. ასევე, M2 ფულის მულტიპლიკატორი 2004 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0.99-ს, ხოლო 2014 წლის ბოლოს - 1.25-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ასევე სარეზერვო ფულის (მონეტარული ბაზის) მოცულობაც. 2004 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 866 მლნ ლარს, 2014 წლის ბოლოსთვის კი იგი - 3 255 მლნ ლარამდე გაიზარდა. მონეტარული აგრეგატების ზრდა, ბუნებრივია, ზრდის ერთობლივ მოთხოვნას ქვეყანაში, რის შედეგადაც იზრდება სამომხმარებლო დანახარჯების ოდენობაც, რაც, საბოლოოდ, გაზრდილ საგადასახადო შემოსავლებს იძლევა. მონეტარული აგრეგატების (M2 და M3) ზრდა, თავის მხრივ, გამოწვეული იყო როგორც მონეტარული ბაზის (ფულადი გზავნილების, უცხოური ინვესტიციების, საგარეო ვალების) მატებით, ასევე ფულადი მულტიპლიკატორების ზრდით.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში განვლილი წლების განმავლობაში სტაბილური წილი ეჭირა *მიღებულ გრანტებს*. 2004-2014 წლებში მთლიანად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2 993 მლნ ლარზე მეტი მოცულობის გრანტი, მათ შორის ყველაზე დიდი, 617 მლნ ლარი მიღებულ იქნა 2008 წელს.

---

[11] აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ლარის გამყარების შედეგად შემცირებული ექსპორტის ფისკალური ეფექტი ძალიან მცირეა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, იმპორტის ზრდის ფისკალური ეფექტი გაცილებით დიდია, ვიდრე ექსპორტის ზრდისა.

მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ზრდაც და მისი სტრუქტურაც. 2004 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 1 835 მლნ ლარი, 2014 წელს კი – 6 495 მლნ ლარი. 2004-2014 წლებში ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯებიდან საშუალოდ 19.3% მოდიოდა შრომის ანაზღაურებაზე; საქონელსა და მომსახურებაზე - 23.3%; პროცენტებზე - 3.9%; სუბსიდიებზე - 8.7%; გრანტებზე - 0.2%; სოციალურ უზრუნველყოფაზე - 27.1%; სხვა ხარჯებზე - 17.4%.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების ფუნქციონალურ სტრუქტურასაც. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებით, მთლიანი ხარჯების 36,2%-ს შეადგენს ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციუზრუნველყოფა; 22,3% - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; 15,2% - რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი; 10,9% - განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება; 1,7% - მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება; 2,9% - ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა; 2% - იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა; 2,6% - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; 1,3% - საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია; 3,7% - სოფლის მეურნეობა; 0,7% - სასამართლო სისტემა; 0,5% - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ზედმეტად სოციალურია, რაც, ძირითადად, წინა საარჩევნო დაპირებების შესრულებით არის განპირობებული. ასევე მაღალია თავდაცვის და უსაფრთხოების ხარჯებიც, ხოლო განათლების და მეცნიერების ხარჯები - მცირე.

განვლილი პერიოდის განმავლობაში ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო ყოველთვის დადებითი იყო (გამონაკლისს წარმოადგენს 2009 წელი, როდესაც დეფიციტმა 132.5 მლნ ლარი შეადგინა). თუმცა არაფინანსური აქტივების ცვლილების შედეგად (2004-2014 წლებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე 7 345 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა), ბიუჯეტის მთლიანი სალდო უმეტეს წლებში უარყოფითი იყო. აღნიშნული უარყოფითი მთლიანი სალდო ვალდებულებების ზრდის შედეგად იფარებოდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2006 წლიდან 2014 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა. აღნიშნული ტენდენცია, ბუნებრივია, უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს საზოგადოების მხრიდან (სახელმწიფო ვალი ხომ თითოეულ მოქალაქეს აწვება ტვირთად), თუმცა, ამის საპასუხოდ, წლების განმავლობაში მთავრობის მიერ ხდებოდა ყურადღების გამახვილება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე, მშპ-ის და ექსპორტის მატებაზე და ა.შ.

აღნიშნული სიტუაციის უკეთ გარკვევის მიზნით, მოვახდინოთ თითოეული ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი სახელმწიფოს საგარეო ვალის მაჩვენებლებთან.

2006 წელს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2 646 მლნ ლარი, 2007 წელს - 3 669 მლნ ლარი, 2008 წელს - 4 752 მლნ ლარი, 2009 წელს - 4 388 მლნ ლარი, 2010 წელს - 4 867 მლნ ლარი, 2011 წელს - 6 134 მლნ ლარი, 2012 წელს - 6 671 მლნ ლარი, 2013 წელს - 6 680 მლნ ლარი, 2014 წელს კი - 7 230 მლნ ლარი. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2006 წლიდან 2014 წლამდე გაიზარდა 173%-ით, ხოლო საგარეო ვალი იმავე პერიოდში გაზრდილია 184%-ით, ანუ, თითქმის 2,84-ჯერ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკის ზრდის და საგარეო ვალის ზრდის ტემპების შედარებაც. 2006 წელს რეალური მშპ-ის მაჩვენებელმა (საბაზისო ფასებში) შეადგინა 12 046 მლნ ლარი, 2007 წელს - 14 611 მლნ ლარი, 2008 წელს - 16 521 მლნ ლარი, 2009 წელს - 15 546 მლნ ლარი, 2010 წელს - 18 014 მლნ ლარი, 2011 წელს კი - 20 975 მლნ ლარი, 2012 წელს - 22 476 მლნ ლარი, 2013 წელს - 22 847მლნ ლარი, ხოლო 2014 წელს - 23 176 მლნ ლარი. როგორც ვხედავთ, 2006 წლიდან 2014 წლამდე ქვეყნის რეალური მშპ მხოლოდ 84%-ით გაიზარდა, მაშინ როცა ამავე პერიოდში ქვეყნის საგარეო ვალი 184%-ით არის გაზრდილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ განვლილ პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებს შორის ადეკვატურობა და პროპორციულობა დარღვეულია. საქართველოს მთავრობა უფრო მეტ ვალს იღებდა, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკა რეალურად იზრდებოდა.

საქონლის რეგისტრირებულმა ექსპორტმა საქართველოში 2006 წელს შეადგინა 936 მლნ აშშ დოლარი, 2014 წელს კი - 2 377 მლნ აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, 2006 წლიდან 2014 წლამდე ქვეყნიდან განხორციელებული ექსპორტი 2,54-ჯერ არის გაზრდილი, რაც სამწუხაროდ ვერ ფარავს საგარეო ვალის ზრდის ტემპს. ამასთან, საგარეო ვალის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტმა 2007 წელს შეადგინა 78%, ხოლო 2012 წელს კი - 58%. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მაჩვენებელი შვიდწლიან მონაკვეთში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც ცალსახად ნეგატიური მოვლენაა.

გარდა საგარეო ვალის ზემოაღნიშნული მაჩვენებლისა, ანალიზის დროს გამოიყენება მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს სამთავრობო სექტორის, ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და სხვა კერძო სექტორების ვალის ნაერთ მონაცემებს. 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალი შეადგენს 13 162 მლნ აშშ დოლარს, საიდანაც დაახლოებით 65% მოდის კომერციული ბანკებისა და სხვა კერძო სექტორის ვალებზე. თავის მხრივ, კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების 27% მოდის ვაჭრობის სფეროზე. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატება მრეწველობის და მშენებლობის სფეროებზე გაცემული კრედიტების ოდენობას, ხოლო სოფლის მეურნეობის, თევზჭერისა და მეტყევეობის სფეროებზე გაცემული

კრედიტების ოდენობას - 37-ჯერ. ბუნებრივია, ვაჭრობის სფეროს უფრო მეტად დაფინანსება ხელს უშლის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას, რაც საბოლოოდ ვლინდება იმპორტის ზრდაში და საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაღრმავებაში, ეს კი, თავის მხრივ, საგარეო ვალის განმეორებითი აღების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

საგარეო ვალის ანალიზის დროს, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა საგარეო ვალის თანაფარდობას მშპ-სთან (ფინანსურ სიღრმეს). ამ მხრივ, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებულია ზემოაღნიშნული კოეფიციენტის 60%-იანი ნორმის დაცვის რეკომენდაცია. საქართველოს შემთხვევაში, ხშირად გვესმის სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის ფინანსური სიღრმე 60%-ს ბევრად ჩამორჩება და რომ ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. თუმცა, ამ დროს კოეფიციენტის გამოთვლისას ბევრი არასწორად იყენებს ნომინალურ მშპ-ს და მთავრობის საგარეო ვალს, ნაცვლად რეალური მშპ-ისა და მთლიანი საგარეო ვალისა. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის თანაფარდობამ ქვეყნის რეალურ მშპ-თან 2006 წელს შეადგინა 49%, ხოლო 2014 წელს კი - 80%. აშკარაა, რომ კოეფიციენტი გრძელვადიანად იზრდება, ანუ მთლიანი საგარეო ვალის ფინანსური სიღრმე სულ უფრო ღრმავდება.

თანამედროვე საქართველოში გატარებული ფინანსური პოლიტიკის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით იკვეთება შემდეგი:

(1) ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების და, განსაკუთრებით, დღგ-დან მიღებული შემოსავლების ხარჯზე. აღნიშნული საგადასახადო შემოსავლები ძირითადად განპირობებული იყო მონეტარული აგრეგატების ზრდის შედეგად გადიდებული სამომხმარებლო დანახარჯებით;

(2) თავის მხრივ, მონეტარული აგრეგატების ზრდას განაპირობებდა როგორც მონეტარული ბაზის (ფულადი გზავნილების, უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვალების) მატება, ასევე ფულადი მულტიპლიკატორების ზრდაც (დაკრედიტების შედეგად ბანკების მიერ ფულის შექმნის უნარი);

(3) ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში სტაბილური წილი ეჭირა მიღებულ გრანტებს. 2004-2014 წლებში მთლიანად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2 993 მლნ ლარზე მეტი მოცულობის გრანტი, მათ შორის ყველაზე დიდი, 617 მლნ ლარი მიღებულ იქნა 2008 წელს;

(4) 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 36,2% მოდის ჯანდაცვაზე და სოციუზრუნველყოფაზე. აქედან ჩანს, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ზედმეტად სოციალურია, რაც ამძიმებს ზოგადად მთელ ეკონომიკას. ასევე, გადასახედია საერთო სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები. განათლების ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში (10,9%) ძალიან მცირეა და ძიზანშეწონილად მიგვაჩნია, განათლების უფრო მეტად დაფინანსება, რაც ზოგადად ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

(5) განვლილი პერიოდის მანძილზე ქვეყანა უფრო მეტ ვალს იღებდა, ვიდრე მისი ეკონომიკა რეალურად იზრდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მთლიანი საგარეო ვალის ფინანსური სიღრმის კოეფიციენტი 49%-დან (2006 წ.) 80%-მდე (2014 წ.) გაიზარდა. აღნიშნული ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში აშკარაა, რომ გრძელვადიან პერიოდში ქვეყანა გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე დადგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *ქვეყნის ფინანსური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ მოხმარების მაღალი მაჩვენებლების შედეგად ფორმირებულ საბიუჯეტო შემოსავლებზე (რაც ძალიან მოკლევადიანია და, ამასთან, დამოკიდებულია გარეგან ფაქტორებზე) ან/და საგარეო ვალების ზრდაზე, არამედ რეალური მშპ-ის ზრდის შედეგად გაზრდილ დასაბეგრ ბაზაზე.* ამ მხრივ კი, წარმოების ცალკეული დარგების სტიმულირების მიზნით, მოგების გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთების დაწესებაა მართებული, რაც გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ფისკალური შედეგის მომცემი იქნება.

საკონტროლო კითხვები

1. ახსენით, რას წარმოადგენს ფინანსური პოლიტიკა და რა ადგილი უკავია მას სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაში.
2. დაასახელეთ ფინანსური პოლიტიკის შემუშავების ღონისძიებათა სამი დიდი ჯგუფი.
3. განსაზღვრეთ ფინანსური პოლიტიკის ობიექტი და სუბიექტები.
4. გამოჯნეთ ფინანსური პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა.
5. ჩამოთვალეთ ფინანსური პოლიტიკის ძირითადი ამოცანები.
6. გამოჯნეთ ფინანსური რესურსები და ფინანსური რეზერვები.
7. დაასახელეთ და დაახასიათეთ ფინანსური პოლიტიკის სახეები ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.
8. დაასახელეთ და დაახასიათეთ ფინანსური პოლიტიკის შინაარსობრივად განსხვავებული სამი ძირითადი ტიპი.
9. განსაზღვრეთ ფინანსური მექანიზმის არსი და სტრუქტურა, დაახასიათეთ დირექტიული და მარეგულირებელი ფინანსური მექანიზმი.
10. ჩამოთვალეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური პოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებული ტრანსმისიული მექანიზმები.
11. ახსენით ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის არსი და შინაარსი.
12. ჩამოთვალეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საფინანსო-სავალუტო წონასწორობის რღვევის ეგზოგენურად არსებული მიზეზები.
13. დაახასიათეთ თანამედროვე საქართველოს ფინანსური პოლიტიკის თავისებურებები და ძირითადი შედეგები.
14. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
	1. ფინანსური პოლიტიკა	ა. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის იმ ფორმებისა და მეთოდების სისტემა, რომლებიც განაწილებითი და გადანაწილებითი ურთიერთობების ფორმირებას უზრუნველყოფენ;
	2. ფინანსური მექანიზმი	ბ. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა;
	3. ფინანსური პოლიტიკის ობიექტები	გ. საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები;
	4. ფინანსური პოლიტიკის სუბიექტები	დ. ფინანსური ურთიერთობებისა და ფინანსური რესურსების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ქვესისტემებს, სფეროებსა და რგოლებს;
	5. ფინანსური პოლიტიკის სტრატეგია	ე. მიმდინარე პერიოდში ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნები და ამოცანები;
	6. ფინანსური პოლიტიკის ტაქტიკა	ვ. გულისხმობს ფინანსების გამოყენების გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პერსპექტივებისგანსაზღვრას;
	7. გეგმურ-დირექტიული ფინანსური პოლიტიკა	ზ. წარმოიშობა მაშინ, როდესაც ეროვნული ვალუტა უფასურდება;
	8. სავალუტო კრიზისი	თ. გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ფუნქციონირებს ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა;
	9. შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა	ი. ასახავს სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო ვეღარ ემსახურება მის მიერ აღებულ შიგა და საგარეო ვალებსა და ვალდებულებებს.
	10. სავალო კრიზისი	კ. მიზნად ისახავს ფულის მიწოდების შეზღუდვითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილებას.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:
   - საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა;
   - სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა;
   - საწარმოს შიდა ფინანსური ურთიერთობების სისტემა;
   - სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი.
2. ფინანსური პოლიტიკა, გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათისა და ხანგრძლივობისაგან დამოკიდებულებით, იყოფა:
   - ფინანსურ სტრატეგიად და ფინანსურ დაგეგმვად;
   - ფინანსურ ტაქტიკად და ფინანსურ კონტროლად;
   - ფინანსურ კონტროლად და ფინანსურ დაგეგმვად;
   - ფინანსურ სტრატეგიად და ფინანსურ ტაქტიკად.
3. ფინანსური მექანიზმი, როგორც ერთიანი სამეურნეო მექანიზმის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს:
   - საწარმოებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას;
   - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას;
   - საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას;
   - სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას.
4. მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ფინანსური პოლიტიკა წარმოდგენილი იყო:
   - დირექტიული ვარიანტით;
   - მარეგულირებელი ვარიანტით;
   - კლასიკური ვარიანტით;
   - ნეოკონსერვატორული ვარიანტით.
5. დირექტიული ფინანსური მექანიზმი:
   - დამახასიათებელია კერძო საწარმოების შიდასამეურნეო ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციისათვის;
   - მუშავდება სახელმწიფო ფინანსებისათვის;
   - განსაზღვრავს „თამაშის წესებს" ფინანსების იმ კონკრეტულ სეგმენტში, რომელიც უშუალოდ არ შედის სახელმწიფოს ინტერესებში;
   - დამახასიათებელია საოჯახო მეურნეობების შიდა ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციისათვის.
6. თანამედროვე საქართველოს ფინანსური პოლიტიკა ხასიათდება:
   - კლასიკური ტიპით;
   - დირექტიული ტიპით;
   - მარეგულირებელი ტიპით; .
   - ნეოკონსერვატორული ტიპით.

7. ფინანსების გამოყენების საშუალო- და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრას გულისხმობს ფინანსური პოლიტიკის:
   - სტრატეგია და ტაქტიკა;
   - ტაქტიკა;
   - მარეგულირებელი ტიპი;
   - სტრატეგია.
8. მიმდინარე პერიოდში ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას გულისხმობს ფინანსური პოლიტიკის:
   - ტაქტიკა;
   - სტრატეგია და ტაქტიკა;
   - სტრატეგია;
   - დირექტიული ტიპი.
9. ქვემოჩამოთვლილთაგან ფინანსური პოლიტიკის ამოცანებს არ მიეკუთვნება:
   - ფინანსების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
   - ფინანსური მექანიზმის შემუშავება და სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ცვლილებასთან ერთად მისი სრულყოფა;
   - ფინანსური კონტროლის განხორციელება;
   - ფინანსური რესურსების ფორმირებისათვის მაქსიმალურად ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფა ტიპი.
10. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების დაფინანსების მექანიზმებად იყოფა:
    - დირექტიული ფინანსური მექანიზმი;
    - მარეგულირებელი ფინანსური მექანიზმი;
    - ნეოკონსერვატორული ფინანსური პოლიტიკა;
    - კლასიკური ფინანსური პოლიტიკა.
11. საშემოსავლო გადასახადსა და სახელმწიფო კრედიტს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა:
    - მარეგულირებელი ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
    - კლასიკური ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
    - ნეოკონსერვატორული ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
    - გეგმურ-დირექტიული ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში.
12. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში ეზოგენურად არსებულ საფინანსო-სავალუტო წონასწორობის რღვევის მიზეზებს არ მიეკუთვნება:
    - ეკონომიკისადმი ნდობის დეფიციტი;
    - ფინანსური შუამავლების მაღალი როლი;
    - კომერციული ოპერაციების უცხოურ ვალუტაში წარმოება;
    - მონეტიზაციის დაბალი დონე, ბანკების შეზღუდული როლით.
13. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის თანაფარდობამ ქვეყნის რეალურ მშპ-თან (ფინანსური სიღრმე) 2006 წელს შეადგინა:
    - 38 პროცენტი;
    - 49 პროცენტი;
    - 60 პროცენტი;
    - 71 პროცენტი.
14. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი პირველად დანერგა:
    - ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა 1990 წელს;
    - აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 1992 წელს;

- გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა 1994 წელს;
- შვეიცარიის ცენტრალურმა ბანკმა 1996 წელს.

15. შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკის მიზანია:
    - ფულის მიწოდების შეზღუდვითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება;
    - ფულის მიწოდების გადიდებითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება;
    - ფულზე მოთხოვნის გადიდებითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება;
    - ფულის მასის ზრდით კერძო წარმოების ინვესტირება და უმუშევრობის შემცირება.
16. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის თანაფარდობამ ქვეყნის რეალურ მშპ-თან (ფინანსური სიღრმე) 2014 წელს შეადგინა:
    - 47 პროცენტი;
    - 58 პროცენტი;
    - 69 პროცენტი;
    - 80 პროცენტი.
17. ექსპანსიონური მონეტარული პოლიტიკის მიზანია:
    - ფულის მასის ზრდით კერძო წარმოების ინვესტირება და უმუშევრობის შემცირება;
    - ფულის მიწოდების გადიდებითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება;
    - ფულზე მოთხოვნის გადიდებითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება;
    - ფულის მიწოდების შეზღუდვითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება.
18. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს არ ხორციელდება:
    - ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრა, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში;
    - ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ;
    - ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრა, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული გრძელვადიან პერიოდში;
    - ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დამტკიცება საკანონმდებლო ორგანოს მიერ.
19. საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2018 წლისათვის შეადგენს:
    - 3 პროცენტს;
    - 4 პროცენტს;
    - 5 პროცენტს;
    - 6 პროცენტს.
20. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას ძირითადად სამხედრო ხარჯების, აგრეთვე სახელმწიფო ვალის საპროცენტო ხარჯების, მისი დაფარვისა და მართვის ხარჯების შემცირების გზით ცდილობდა:
    - მარეგულირებელი ტიპის ფინანსური პოლიტიკა;

- კლასიკური ტიპის ფინანსური პოლიტიკა;
- ნეოკონსერვატორული ტიპის ფინანსური პოლიტიკა;
- გეგმურ-დირექტიული ტიპის ფინანსური პოლიტიკა.

თემა 3

საჯარო ფინანსების მართვის სისტემა და მისი ორგანიზაცია

„უმჯობესია უსამართლობა, ვიდრე უნესრიგობა“.
ვიქტორ ჰიუგო

„არ არსებობს ისეთი სფერო, რომელიც უფრო ნაკლებად ექვემდებარებოდეს სიახლეებს, ვიდრე საფინანსო მართვის სფერო.
და არ არსებობს ისეთი სფერო, რომელშიც ყოველი წარუმატებელი ექსპერიმენტი ისე სწრაფად არ გამოავლენდა თავის დამღუპველ გავლენას, როგორც ექსპერიმენტები ფინანსების სფეროში“.
ვლადიმერ კოკოვცევი

გეგმა:

3.1. საჯარო ფინანსების მართვის არსი და დანიშნულება;
3.2. ფინანსური დაგეგმვა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში: არსი, პრინციპები და მეთოდები;
3.3. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა განვითარებულ ქვეყნებში;
3.4. თანამედროვე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

3.1. საჯარო ფინანსების მართვის არსი და დანიშნულება

ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მართვას გულისხმობს.

საჯარო ფინანსების მართვა სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობაა ფინანსური რესურსების ეფექტიანი მობილიზაციისა და გამოყენების მიზნით. იგი ხორციელდება სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურების მიერ[1].

---

[1] უფრო ვრცლად იხ.: Финансы: Учебник / Под ред. А.Г. Грязновой, Е.В. Маркиной. - М.: Финансы и статистика, 2004. - С. 64-90; Финансы: Учебник / А. С. Нешитой, Я. М. Воскобой-ников. 10-е изд. - М.: Издательско торговая корпорация «Дашков и К°», 2012. - С. 107-121.

საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს მთელ რიგ ფუნქციონალურ ელემენტებს: ფინანსური ურთიერთობების პროგნოზირება, დაგეგმვა, ოპერატიული მართვა, რეგულირება და კონტროლი. ყველა ეს ელემენტი სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიმდინარე საქმიანობაში ფინანსური პოლიტიკის გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს ისეთი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმომცველი საქმიანობის განხორციელებას, როგორიცაა: სახელმწიფოს მიერ საერთო ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება, ფინანსური დაგეგმვა, ფინანსური რესურსების კოორდინაცია, ფინანსების გამოყენება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების შესაბამისად, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავება, ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, გადასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება, სახელმწიფო ვალების მართვა.

საჯარო ფინანსების მართვაში, როგორც ნებისმიერ სამმართველო სისტემაში, გამოიყოფა, ერთი მხრივ, **მართვის ობიექტები**, ანუ სხვადასხვაგვარი ფინანსური ურთიერთობანი და, მეორე მხრივ, მართვის სუბიექტები ანუ ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც მართვა ხორციელდება.

მართვის ობიექტებს მიეკუთვნება: სახელმწიფო (მუნიციპალური) ფინანსები და სადაზღვევო ფინანსური ურთიერთობები, რომელთაც შეესაბამება მართვის შემდეგი სუბიექტები: სახელმწიფო (მუნიციპალური) საფინანსო ორგანოები და საგადასახადო სამსახურები და სადაზღვევო ორგანოები.

ყველა იმ ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობას, რომლითაც ხორციელდება ფინანსების მართვა, *საფინანსო აპარატი* ეწოდება.

საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული ფინანსური კანონმდებლობის საფუძველზე და მოიცავს:

- ქვეყნის ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულებისა და შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა-დამტკიცების პროცესებს;
- საგადასახადო პოლიტიკისა და გადასახადების შეცვლას ან ახლის შემოღებას;
- სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის დადგენას და სხვა სახელმწიფო ფინანსური ურთიერთობების მოწესრიგებას.

განასხვავებენ საჯარო ფინანსების სტრატეგიულ და ოპერატიულ მართვას.

ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითად ინსტრუმენტსა და მეთოდს წარმოადგენს ფინანსური დაგეგმვა. ფინანსური დაგეგმვა ეკონომიკის პროგნოზირების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და მართვის საშუალებით გაფართოებულ კვლავწარმოებაზე აქტიურ ზემოქმედებას. სტრატეგიული მართ-

ვის მიზანი ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი რეალიზაციაა.

ფინანსების ოპერატიული მართვა ემყარება ფინანსური, სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზს, ითვალისწინებს ფინანსური და საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას. იგი უზრუნველყოფს ფინანსური პოლიტიკის ტაქტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

ფინანსური მართვის ძირითადი მეთოდებია: დაგეგმვა და პროგნოზირება, დაბეგვრა, თვითდაფინანსება, დაკრედიტება, აგრეთვე, გაანგარიშებათა სისტემის, საამორტიზაციო ანარიცხების სისტემის, სტიმულირების სისტემისა და ფინანსური სანქციების გამოყენება.

3.2. ფინანსური დაგეგმვა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში: არსი, პრინციპები და მეთოდები

ფინანსური დაგეგმვა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ფინანსური გეგმა – ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების გეგმაა. იგი მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის პროპორციული და დინამიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალური ტემპების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური გეგმები მუშავდება ფულად ფორმაში, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს და კონტროლი დაწესდეს ფულად საშუალებათა მოძრაობაზე და საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მიმდინარეობაზე.

ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია წარმოების მატერიალურ-ნივთობრივ ელემენტებთან შედარებით, ფულადი სახსრების დამოუკიდებელი მოძრაობით და განაწილების პროცესზე აქტიური ზემოქმედებით. მისი მეშვეობით მიღწეულ უნდა იქნეს ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილება საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

ფინანსური დაგეგმვის მთავარი ობიექტია ფინანსური რესურსები, რომლის წყაროებია მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი.

ფინანსური რესურსების ფორმირება, განაწილება და გამოყენება მიმდინარეობს საკრედიტო რესურსების მოძრაობასთან ურთიერთკავშირში. ამიტომ ფინანსური დაგეგმვა, უმეტესწილად, საკრედიტო დაგეგმვასაც მოიცავს.

ფინანსური დაგეგმვის პროცესში შემოწმებას ექვემდებარება ღირებულების გადანაწილების მექანიზმის, მათ შორის, ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის ეფექტიანობა. საჭიროების შემთხვევაში შემუშავებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ოპტიმალურ პროპორციებში მათ მოსაყვანად. კერძოდ, იგულისხმება ეკონომიკური სტიმულების, ფასებისა და საკრედი-

ტო მექანიზმის მეშვეობით ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნის თანდათანობით და პროპორციულად დაკმაყოფლების პირობების უზრუნველყოფის გზით შემოსავლების ეფექტიანი განაწილება და გადანაწილება.

ფინანსური დაგეგმვის მეშვეობით სახელმწიფო:

- განსაზღვრავს ფინანსური რესურსების წყაროებს, მოცულობასა და მიზნობრივ გამოყენებას;
- ავლენს მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რეზერვებს, სახავს გზებს სამეურნეო ბრუნვაში მათს ჩასართავად.

ეფექტიანი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირებისას საჭიროა ფინანსური რესურსების მოძრაობაზე მოქმედი ყველა ფაქტორის ანალიზი, შეფასება და გათვალისწინება.

ფინანსური დაგეგმვის ძირითად პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური პარამეტრების დასაბუთებულობასა და რეალურობას, მიეკუთვნება: ობიექტურობის, სისტემურობის, უწყვეტობისა და ოპტიმალურობის პრინციპები.

- *ობიექტურობის პრინციპი* გულისხმობს საგეგმო ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრისას საიმედო, რეალური და ობიექტური ინფორმაციის გამოყენებას;
- *სისტემურობის პრინციპში* იგულისხმება საგეგმო ფინანსური პარამეტრების განსაზღვრა ქვეყნის მაკრო- და მიკროეკონომიკური პროგნოზების ერთიან სისტემასთან უშუალო კავშირში;
- *უწყვეტობის პრინციპი* გულისხმობს ფინანსური დაგეგმვის პროცესის უწყვეტობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკაში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით ფინანსური პარამეტრების კორექტირება;
- *ოპტიმალურობის პრინციპი* უზრუნველყოფს მრავალვარიანტული ფინანსური საგეგმო პარამეტრების შემუშავებას და მათგან საუკეთესო (ოპტიმალური) ვარიანტის შერჩევას. ამასთან, ეს უკანასკნელი უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურობის პრინციპსაც, რამდენადაც ოპტიმალური ყოველთვის ობიექტური, რეალური არ არის.

განასხვავებენ: ოპერატიულ (თვის ან კვარტლის), მოკლევადიან (ერთ წლამდე პერიოდის), პერსპექტიულ (საშუალოვადიან ანუ 1-დან 3 წლამდე და გრძელვადიან, ანუ 3-ზე მეტ წლიან) ფინანსურ გეგმებს.

ფინანსური დაგეგმვა, მისი სირთულიდან გამომდინარე, რეალური გეგმების შემუშავების მიზნით, *მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:*

- *პირველ ეტაპზე* ხორციელდება ფინანსების სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის და მასში საგეგმო წელს შესატანი ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი;
- *შემდეგ ეტაპზე,* ხორციელდება იმ ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებენ ფინანსურ პარამეტრებზე;

❖ *ბოლო ეტაპზე* ხორციელდება განვლილ პერიოდში ფაქტიური ფინანსური პარამეტრების, მიმდინარე წლის საგეგმო პარამეტრების და წლის ბოლოსათვის მათი მოსალოდნელი შესრულების დონის ანალიზი. ამასთან, ანალიზის შედეგებით, კანონმდებლობაში და ეკონომიკაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, გაიანგარიშება საგეგმო ფინანსური მაჩვენებლები.

დღეისათვის ეკონომიკური პროგნოზირების 200-მდე სხვადასხვა მეთოდია ცნობილი, მაგრამ პრაქტიკულად მხოლოდ 15-20 მეთოდი გამოიყენება. ფინანსურ ანალიზსა და დაგეგმვაში აქტიურად გამოიყენება 6 მეთოდი: ექსტრაპოლაციის, საექსპერტო შეფასების, ანალოგიის, ნორმატიული, მათემატიკური მოდელირების და საბალანსო მეთოდები.

ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების მეთოდებიდან ყველაზე მარტივი და პრაქტიკულად ადვილად გამოსაყენებელია *ექსტრაპოლაციის მეთოდი.* იგი გულისხმობს განვლილ კონკრეტულ პერიოდში ფინანსური დაგეგმვის ობიექტის განვითარებაში ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენციების უცვლელად გადატანას საგეგმო პერიოდში.

ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მომავალში დასაგეგმი ობიექტი, მასზე მოქმედი ფაქტორები და მათი გავლენა ობიექტზე არსებითად არ შეიცვლება. სხვა სიტყვებით, ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება მოითხოვს ობიექტის განვითარების ინერტულობას და მის მყარ რეტროსპექტიულ პერიოდს, ანუ ტრენდს[2].

ამ მეთოდის გამოყენებით პროგნოზირება ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მოსალოდნელი ცვლილებების უშუალო გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, ექსტრაპოლაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია პროგნოზირების ჩატარება წარმოების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში და დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის. მეორე მხრივ, ექსტრაპოლაციის მეთოდები გამოირჩევიან მარტივი აგებულებით და საშუალებას იძლევიან პროგნოზები გამოთვლილ იქნეს ერთ დინამიკურ მწკრივზე დაყრდნობით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როცა არ მოგვეპოვება ინფორმაცია პროგნოზული მაჩვენებლებისა და მათ დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ.

ამასთან, დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, აგრეთვე ანალიზის მიზნით ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ ნაკლოვანებებთან: დასაგეგმ ობიექტზე მოქმედი ფაქტორების სწრაფი ცვალებადო-

---

[2] იგულისხმება, რომ წარსულსა და მიმდინარე პერიოდში ჩამოყალიბებული ტენდენციები შენარჩუნებული იქნება მომავალი პერიოდის გარკვეულ მონაკვეთზე, რომლის სიგრძე, როგორც წესი, მერყეობს 3-დან 5-წლამდე. მაშასადამე, ექსტრაპოლაცია ასახავს განვითარების ევოლუციურ გზას და არ ითვალისწინებს მკვეთრი სტრუქტურული ძვრების შესაძლებლობას და მათთან დაკავშირებულ ახალ ტენდენციათა წარმოშობას.

ბის გაუთვალისწინებლობასთან, აგრეთვე მწირ ფინანსურ სტატისტიკასა და მის არასრულყოფილებასთან და ა.შ.

ექსპერტული შეფასების მეთოდი გულისხმობს საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრისას ამ სფეროს პროფესიონალი სპეციალისტების, მეცნიერების, ეკონომიკის კომპლექსური ცოდნის მქონე მუშაკების ცოდნის, წინადადებებისა და შეხედულებების გამოყენებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს მეთოდი დიდი ეფექტიანობით გამოიყენება ეკონომიკის იმ სფეროებში, სადაც არაა საიმედო და საკმარისი ამოსავალი ინფორმაცია, რის გამოც შეზღუდულია სხვა მეთოდების, მათ შორის ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება.

განასხვავებენ ექსპერტული შეფასების ინდივიდუალურ და ჯგუფურ მეთოდებს. ინდივიდუალური შეფასების ექსპერტს პიროვნულად გადაეცემა სპეციალური კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილია დასაგეგმ ობიექტზე მოქმედი ფაქტორების შესაძლო ცვლილებების ვარიანტები და რომელზედაც მან უნდა გასცეს თავისი სავარაუდო, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხები. ისინი ანონიმურია, რათა გამოირიცხოს მათი ავტორიტეტულობის გავლენა სხვის პასუხებზე. ჯგუფური ექსპერტული შეფასების დროს კითხვარზე პასუხები ფიქსირდება ღიად და შესაბამისი აპარატურით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და განზოგადება.

ეკონომიკური დაგეგმვისას ფართოდ გამოიყენება *ანალოგიის მეთოდი.* ანალოგიის ანუ ისტორიული ანალოგიის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საგეგმო პარამეტრების შემუშავება ხდება წინასწარ არსებული და დადგენილი ანალოგიური ნიმუშების მიხედვით. მაგალითად, შეირჩევა ქვეყანა, რომელიც დასაგეგმი სფეროს ამა თუ იმ მახასიათებლებით ახლოსაა საპროგნოზო ქვეყანასთან. ეს მეოთოდი გამოიყენება როგორც დაგეგმვის, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. იგი ახლოსაა ექსტრაპოლაციის მეთოდთან იმ განსხვავებით, რომ საგეგმო პერიოდისთვის სხვა ქვეყნებში უკვე მომხდარი ცვლილებების შედეგების გადმოტანა ხდება. ამასთან, სხვისი გამოცდილების მექანიკურმა გამოყენებამ სათანადო ანალიზის, შეფასების, განზოგადებისა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, შესაძლოა სასურველი შედეგი ვერ მოგვცეს.

ნორმატიული მეთოდის გამოყენება გულისხმობს საგეგმო შეფასებების განსაზღვრას დადგენილი ნორმებისა და ნორმატივების საფუძველზე.

მათემატიკური მოდელირების მეთოდი მეცნიერების, გამოთვლითი ტექნიკისა და ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში დიდი წარმატებით გამოიყენება. ამ მეთოდის ძირითადი არსი მდგომარეობს რეალური ეკონომიკური და სოციალური პროცესების იმიტაციური მოდელების აგებაში. ფინანსურ დაგეგმვაში ასევე ფართოდ გამოიყენება *საბალანსო მეთოდი,* რომელიც შემოსავლებისა და გასავლების ურთიერთდაბალანსების პრინციპზეა დაფუძნებული.

3.3. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა განვითარებულ ქვეყნებში

საჯარო ფინანსების მართვა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო ფინანსების მართვის საკითხები რეგულირდება კონგრესის მიერ, რომელიც ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, მისი შესრულების ანგარიშს, ახალი გადასახადების შემოღებას და გადასახადების მოქმედი განაკვეთების შეცვლას.

აშშ-ში საჯარო ფინანსების მართვა დაყოფილია რამდენიმე უწყებას შორის, კერძოდ, იგი ქვეყანაში დაკისრებული აქვს ფინანსთა სამინისტროს და ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს.

ფინანსთა სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია: საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის დამუშავება, საფინანსო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი, მთავრობის საფინანსო აგენტის საქმიანობის განხორციელება, მონეტების მოჭრა და ფულადი ნიშნების ემისია.

სამინისტროს ერთ-ერთ წამყვან ქვედანაყოფს წარმოადგენს შინაგანი შემოსავლების სამსახური. იგი მართავს გადასახადებს: - ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს, სოციალური დაზღვევისა და კორპორაციებიდან ქონების გადასახადს, აგრეთვე არაპირდაპირ გადასახადებს, რომლებიც მთელი საგადასახადო შემოსავლების 80%-ს აღემატება და, რომლებიც ფედერალურ ბიუჯეტში იყრის თავს.

შინაგანი შემოსავლების ეს სამსახური მართავს შემდეგ საკითხებსაც: საგადასახადო შემოსულობათა და მოსაკრებელთა შეფასებას, გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, გადასახადისაგან განთავისუფლებას, შესაბამისი ინსტრუქციებისა და წესების შემუშავებას. საგადასახადო კანონმდებლობის ერთიანი ინტერპრეტაციისა და შემოსავლების სრულყოფილად შემოსულობაზე უფრო ეფექტიანი კონტროლის მიზნით შინაგანი შემოსავლების სამსახური აგებულია დეცენტრალიზაციის პრინციპებზე. მას გააჩნია დაწესებულებათა სამი დონე – ეროვნული, რეგიონული და სამხარეო.

შემოსავლების აკუმულაციაზე დასაქმებულია აგრეთვე საბაჟო სამსახური და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმისა და ცეცხლსასროლი იარაღის ბიურო.

საბაჟო სამსახური ახორციელებს საბაჟო შემოსავლების მობილიზაციას და საბაჟო კანონმდებლობისა და წესების დაცვაზე კონტროლს. ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმისა და ცეცხლსასროლი იარაღის ბიურო კი ახორციელებს იმ კანონების დაცვაზე კონტროლს, რომლებიც დაკავშირებულია ამ საგნების წარმოება-გასაღებასთან, აგრეთვე მათი დაბეგვრიდან მიღებული თანხების სისრულესთან.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროში მნიშვნელოვანი ამოცანები აქვთ დაკისრებული შინაგანი სესხისა და სახელმწიფო ვალის მართვის სამსახურებს. ქვეყანაში დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომლითაც ხელისუფლება მოსახლეობის დიდ სასხრებს უკეთებს

მობილიზაციას. შემნახველი ობლიგაციის განყოფილება ახორციელებს შემნახველი ობლიგაციების რეალიზაციის ხელმძღვანელობას. განყოფილებას კანტორების ფართო ქსელი გააჩნია, რომლებიც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზეა გაფანტული და, რომლებიც უშუალოდ რეგიონულ განყოფილებებს ემორჩილება. სახელმწიფო ვალის მართვის განყოფილება დასაქმებულია აგრეთვე ვალების პროცენტის გადახდით და ვალების დაფარვით.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შედის ფულის მიმოქცევის კონტროლის სამსახური. იგი ახორციელებს საერთო კონტროლს კომერციული ბანკების საქმიანობაზე და იძლევა ნებართვას ახალი ეროვნული ბანკების შესაქმნელად, ბანკებზე თანრიგის მინიჭებაზე, ბანკების შეერთებასა და მათი ახალი ფილიალების ფორმირებაზე.

აშშ-ში თავისი მნიშვნელობით მეორე საფინანსო უწყებაა *ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო,* რომელიც ახორციელებს სამთავრობო პროგრამებისა და მათი დაფინანსების პროგნოზირებას, მართვას, კონტროლსა და კოორდინაციას. ამ უწყების ამოცანებს შორის აღსანიშნავია – ფედერალური ბიუჯეტის შედგენა და საფინანსო პროგრამების შემუშავება, ბიუჯეტის შესრულების ოპერატიული კონტროლი. ამასთან, სამმართველოს დაკისრებული აქვს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც, რომლებიც მას უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში წარმოაჩენს ერთ-ერთ წამყვან უწყებად.

ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო შედგება განყოფილებებისაგან, სახელდობრ, მასში შედის: საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვის განყოფილება, რომელიც ამზადებს და აგზავნის „საბიუჯეტო ინსტრუქციებს", ე.ი. დოკუმენტებს, რომლითაც უწყებები ადგენენ თავიანთ ხარჯთაღრიცხვას და განაცხადებს; შეფასების განყოფილება არის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი დაგეგმვის საკითხებში; დარგობრივი განყოფილებები დასაქმებული არიან თავდაცვის, საგარეო, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის საქმეებზე.

დიდ ბრიტანეთში საჯარო ფინანსების მართვის ორგანოებს შორის ძირითადია ხაზინა, რომელიც დასაქმებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, საგადასახადო პოლიტიკის, საფინანსო-ეკონომიკური პროგნოზირების, საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობათა და სხვა საქმიანობით. ხაზინა ახორციელებს აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების მიერ ფინანსური სახსრების ხარჯვის კონტროლის ფუნქციებს.

საჯარო ფინანსების მართვაში მონაწილეობს აგრეთვე ისეთი უწყებები, როგორიცაა: საბაჟო დაბეგვრისა და აქციზების სამმართველო და შინაგანი შემოსავლების სამმართველო.

საბაჟო დაბეგვრისა და აქციზების სამმართველო დასაქმებულია აქციზებისა და საბაჟო დაბეგვრის საკითხებზე, ყურადღებას აქცევს ამ დარგში არსებულ კანონმდებლობათა შესრულების სისწორეს, აწესებს გარკვეული სახის საქონლის შემოტანა-გატანის აკრძალვას, ან შეზღუდვას.

შინაგანი შემოსავლების სამმართველო ახორციელებს კონტროლს პირდაპირი გადასახადების შესახებ არსებული კანონმდებლობის სწორად გან-

ხორციელებაზე. სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებზე დასაქმებულია ინგლისის ბანკი. იგი ახორციელებს სესხების გამოშვებას, სესხების დაფარვას, მიმდინარე ვალის ოპერაციებს.

ფინანსური ურთიერთობების მთელი რიგი საკითხების მოწესრიგებაზე დასაქმებულია სახელმწიფოს ზოგიერთი სხვა უწყებაც. მაგალითად, დაგეგმვისა და ადგილობრივი ხელისუფლების სამინისტრო მართავს ადგილობრივი მართვის ორგანოების ფინანსებს, ხოლო საბინაო მშენებლობის სამინისტროს დაკისრებული აქვს სამრეწველო და საბინაო მშენებლობის ფინანსური პროგრამების განხორციელებაზე კონტროლი.

გერმანიაში საჯარო ფინანსების მართვა ძირითადად დაკისრებული აქვს ფედერალურ ფინანსთა სამინისტროს. იგი ამუშავებს ფინანსების, გადასახადების, სავალუტო და საკრედიტო პოლიტიკის საკითხებს. ადგენს ბიუჯეტისა და საშუალოვადიან საფინანსო გეგმებს. იგი ახორციელებს ბიუჯეტის შესრულებას, ბიუჯეტის საკასო მომსახურებასა და ბიუჯეტის შესახებ კანონის დაცვაზე კონტროლს. ფინანსთა სამინისტრო ამუშავებს მთავარ საერთო ეკონომიკურ პროგნოზებს და ანაწილებს საბიუჯეტო სისტემის რგოლებსა და ქვედანაყოფებს შორის ფინანსურ რესურსებს.

საჯარო ფინანსების მართვის საკითხებით დასაქმებულია აგრეთვე სხვა დაწესებულებები, რომლებიც ფედერალურ ფინანსთა სამინისტროზე არიან დაქვემდებარებული. მათ შორის აღსანიშნავია ფედერალური უწყება ფი-ნანსების შესახებ, რომელიც დასაქმებულია მთელი რიგი საგადასახადო საკითხებით (საწარმოთა საგადასახადო დაბეგვრის სისწორის შემოწმებით, ორმაგი საგადასახადო დაბეგვრის ლიკვიდაციით), სახელმწიფო ვალის სამართველო, რომელიც ახორციელებს სესხების გამოშვებისა და დაფარვის ოპერაციებს და ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას.

საფრანგეთში საჯარო ფინანსების მართვით დასაქმებულია ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიუჯეტის სამინისტრო. ამავე საკითხებით დასაქმებულია აგრეთვე: გადასახადების გენერალური სამმართველო და ბაჟებისა და სხვა შემოსავლების გენერალური სამმართველო; ბიუჯეტის სამმართველო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენასა და მისი შესრულების კონტროლს; ხაზინის სამმართველო, რომელსაც დაკისრებული აქვს სახელმწიფო ხაზინისა და ფინანსური ოპერაციების კონტროლის ფუნქცია; საზოგადოებრივი აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო, რომელიც ასრულებს სახელმწიფო ვალების მართვის ფუნქციებს.

იტალიაში საჯარო ფინანსების მართვას აწარმოებს ოთხი ორგანო. მათ შორის მთავარი ორგანოა ხაზინა, რომელსაც დაკისრებული აქვს სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური კონტროლის ფუნქციები. ფინანსთა სამინისტრო მართავს ბიუჯეტის შემოსავლებს, ხოლო ბიუჯეტისა და დაგეგმვის სამინისტრო – სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენასა და ფინანსური რესურსების კოორდინირებას. ადგილობრივი ფინანსების საკითხები შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებში.

ამრიგად, დასავლეთის ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებში საჯარო ფინანსების მართვის მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი ორგანოები არსებობს, რომლებიც სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებასთან კავშირში და მათი უშუალო კონტროლით მუშაობენ და ასრულებენ ქვეყნის ფინანსური რესურსებით ურუნველყოფის ფუნქციებს.

3.4. თანამედროვე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა საჯარო ფინანსების მართვის სისტემა საქართველოში. ქვეყნის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, საჯარო ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურებია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები[3].

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც:

- ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში;
- უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს;
- კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და აწარმოებს გამოძიებას;
- უზრუნველყოფს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების განკარგვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას;
- ახორციელებს სათამაშო ბიზნესის სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

საქართველოში ფინანსების მართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონების საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავ-

[3] სამაგალითოდ, განვიხილავთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობითი საქმიანობის ძირითად მომენტებს მისი დებულების მიხედვით.

რობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სამინისტროს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანი, ამოცანები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი ჩამოყალიბებულია სამინისტროს დებულებაში[4], რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საღრიცხვო კანონმდებლობის შემუშავებას და დაცვას, ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

ფინანსთა სამინისტროს ძირითადი კომპეტენციები და უფლებამოსილებებია:

- საქართველოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება, ასევე მომდევნო 4 წლისათვის მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, შესრულების ანგარიშის მომზადება და წარდგენა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის;
- მთავრობის ფულადი სახსრების მართვა;
- ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა;
- სახელმწიფო ვალის მართვა;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ორმხრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია;
- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობა ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებით;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოს სამინისტროებისა

[4] აღნიშნული დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილებით „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“: http://www.mof.gov.ge/ViewFile.aspx?Id=210

და უწყებებისათვის, მისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საწარმოების, იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმების მიუხედავად;

- სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს (ჩანართი 1).

ჩანართი 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებია:[5]

ა) საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა ფარგლებში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა და საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა ჩამოყალიბება, აგრეთვე შესაბამისი საფინანსო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

გ) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის, ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება და საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ვადებში მისი წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალდებულებათა რეგისტრაცია დადგენილი წესის მიხედვით; საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულების დამოწმების შესაბამისად გადახდა დადგენილი წესის მიხედვით; უკან დასაბრუნებელ სახელმწიფო შემოსულობათა დაბრუნების პროცესის მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

ვ) ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად შემოსულობებისა და გადასახდელების ყოველკვარტალური ფინანსური გეგმის შედგენა;

ზ) სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება და მათი ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსება;

თ) სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების წესის შემუშავება, სახელ-

[5] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" (მუხლი 3): http://www.mof.gov.ge/ViewFile.aspx?Id=210

მწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების სრულყოფა;
ი) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მის შემოსულობათა ოპერატიული მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;
კ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემუშავება, დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა კანონმდებლობის შესაბამისად;
ლ) კანონმდებლობის შესაბამისად, საბიუჯეტო ანგარიშგებისა და ფორმის დადგენა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების წარდგენის წესისა და ვადების დადგენა;
მ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესის, ვადებისა და ფორმების შემუშავება;
ნ) საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც ფისკალურ აგენტ ბანკთან ერთად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი პარამეტრების დაცვაში მონაწილეობა;
ო) საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების უზრუნველყოფა, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება; საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა; ამ მიზნით სათანადო წინადადებათა მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;
პ) საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, განკარგულებების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი;
ჟ) საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენების ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;
რ) საგადასახადო ორგანოების მუშაობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციების მომზადება;
ს) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, გამოვლენა-აღკვეთა, გამოძიების წარმოება; საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება; ამ სფეროში დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამის წინადადებათა მომზადება;
ტ) არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზირება და მათი შესრულების მიმდინარეობის ანგარიშების მომზადება;
უ) სახელმწიფო საგარეო და საშინაო პირდაპირი და პირობითი (გარანტირებული) ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

ფ) სახელმწიფოს მიმართ საქართველოს იმ ეკონომიკური აგენტების ფინანსურ ვალდებულებათა აღრიცხვა, რომლებიც სარგებლობენ საგარეო წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო საკრედიტო რესურსებით ან კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიებით, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

ქ) სახელმწიფო ვალის მართვა, კომპეტენციის ფარგლებში;

ღ) სხვადასხვა ვადიანი სახელმწიფო სასესხო ვალდებულების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი პირობების შემუშავება, ემისიების განხორციელება და მის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულება;

ყ) სახელმწიფოს შიდა, რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვა; სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საჭიროების შემთხვევაში სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) რესტრუქტურიზაციის თაობაზე წინადადებების მომზადება;

შ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება, სამინისტროების, სხვა მხარჯავი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა; ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების ფორმების, ნორმებისა და წესების შემუშავება;

ჩ) საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება; საქართველოს მიერ მიღებული გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების, სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა და სათანადო საჯარო რეესტრების წარმოება;

ც) ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მქონე საქონლის მონეტიზაციის პროგრამების განხილვა, შეთანხმება;

ძ) უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვაში მონაწილეობა და ქვეყანაში ინვესტიციური პოლიტიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელების კოორდინაცია და ზედამხედველობა;

წ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების შესაძლო ფინანსური შედეგების თაობაზე დასკვნის მომზადება;

ჭ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამეწარმეო საქმიანობის უფლების ლიცენზიის (ნებართვის) გაცემა და ლიცენზიის (ნებართვის) პირობების შესრულების კონტროლი;

ხ) საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების სახელმწიფოებრივი რეგულირება; კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და მომგებიანი თამაშობების თითოეული სახეობის ნებართვის გაცემა, ნებართვის მოქმედების შეჩერება, განახლება, მასში ცვლილებების შეტანა, გაუქმება და საქმიანობის კონტროლი, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

ჯ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეთანხმების, რეგისტრაციის, დამზადების, შენახვის, გამოყენების და ექსპერტიზა-უტილიზაციის საკითხთა მართვა; მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის დამტკიცება;

ჰ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პროცესში მონაწილეობა;

- კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ მიღებული წმინდა მოგების განაწილების და გამოყენების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, მონაწილეობის მიღება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში;
- სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონების განკარგვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა;
- განსაკარგავად გადაცემული მოძრავი სახელმწიფო ქონების განკარგვა;
- კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყნის განვითარების საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების კოორდინაცია;
- „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად საქართველოსათვის სავალდებულო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;
- კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციების განხორციელება.

ამრიგად, სამინისტრო შეიმუშავებს ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტებს, საქართველოს კონსტიტუციასა და საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონზე დაყრდნობით განიხილავს წინადადებებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული ბიუჯეტების შეწონასწორების თაობაზე. ამასთან, სამინისტრო შეიმუშავებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების, ეკონომიკური ნორმატივებისა და ამ ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ან მათ მიერ გადმოსაცემი ტრანსფერების საპროექტო სიდიდეებს, ხელმძღვანელობს საბიუჯეტო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილურ უზრუნველყოფას, სახელმწიფო ფულადი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ფინანსთა მინისტრი:

ა) წარმოადგენს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების და განკარგულებების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანე-

ბების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც სამინისტროს მმართველობას განეკუთვნება;
გ) უშუალოდ, აგრეთვე პირველი მოადგილისა და მოადგილეების, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სხვა დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით წყვეტს ამ დებულებით განსაზღვრულ საკითხებს;
დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს;
ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს:
- სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ყველა საჯარო მოსამსახურეს;
- სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს ამ დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით;
- სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილეებს, სახაზინო სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებსა და მოადგილეებს, სახაზინო სამსახურის უფროსის წარდგინებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტრუქტურული ერთეულების უფროსებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის წარდგინებით;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეებს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) და სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების უფროსებს შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით;
- სხვა პირებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებებს სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა წახალისების შესახებ;
ზ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითებზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის პროექტზე; იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;
თ) სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვას, ახორციელებს კონტროლს მათ

შესრულებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;
ი) ადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების ზემდგომი სამართლებრივი აქტებით;
კ) პასუხისმგებელია სამინისტროს სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს და პასუხისმგებელია მათი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის;
მ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას; ძალადაკარგულად ცნობს მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირთა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელთა სამართლებრივ აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სხვა კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს, მთავრობის დადგენილებებსა და მინისტრის ბრძანებებს; მინისტრი უფლებამოსილია აგრეთვე ძალადაკარგულად ცნოს ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეუწონლობის მოტივით;
ნ) წყვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებს, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის;
ო) დადგენილი წესით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;
პ) თავისი მმართველობის სფეროში ქმნის კომისიებსა და საბჭოებს სათათბირო უფლებით და განსაზღვრავს მათ მოვალეობებს და საქმიანობის წესს;
ჟ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომლებს აძლევს სამსახურებრივი-საშტატო, სამხედრო-საბრძოლო იარაღის, სპეციალური საშუალებების შენახვისა და ტარების უფლებას;
რ) განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს;

ს) ამტკიცებს სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში სტაჟირების ან/და პრაქტიკის გავლის წესს;

ტ) ასრულებს საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით მისთვის დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ხუთი მოადგილე. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამსახურების ურთიერთობას. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

მინისტრის პირველი მოადგილე/მოადგილე შეიძლება, იმავდროულად იყოს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი.

სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე, სხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე სპეციალისტებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

მინისტრი უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას *სათათბირო ორგანო – სათათბირო საბჭო,* რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, აგრეთვე მინისტრის გადაწყვეტილებით – სამინისტროს სხვა თანამდებობის პირები და თანამშრომლები. სათათბირო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებათა წარმომადგენლები, მხოლოდ მათი თანხმობით. სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესს და შემადგენლობას განსაზღვრავს მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია:

- სახაზინო სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია:

- შემოსავლების სამსახური;
- საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები არიან:

- სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- საბიუჯეტო დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
- სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი;
- საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი;
- მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი;
- მინისტრის აპარატი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- დავების განხილვის სამსახური;
- პარლამენტთან ურთიერთობის სამსახური;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური.

საჯარო ფინანსების მართვა სისტემატურ სრულყოფას განიცდის. იგი დიდადაა დამოკიდებული საფინანსო აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე; საფინანსო მუშაკების კვალიფიკაციაზე, პასუხისმგებლობასა და დისციპლინაზე; იმ ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება საჯარო ფინანსების მართვის პროცესში.

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის („საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-1017“)[6] თანახმად, რეფორმები

---

[6] საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია უმთავრესად ეყრდნობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, სამთავრობო პროგრამას, საჯარო ფინანსების სფეროში სახელმწიფო პრიორიტეტების ამსახველ სხვა წყაროებს; განსაზღვრავს ძირითად მიზანს, პრიორიტეტებს და ამ პრიორიტეტების განხორციელების მოსალოდნელ შედეგებს. მოცემული მიზნები და პრიორიტეტები განხორციელდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმების საფუძველზე, რომლებიც მომზადდება ყოველი ფისკალური წლის დასაწყისში. სტრატეგიის პრიორიტეტების მომზადებისას მიმდინარე სიტუაციის შეფასებისათვის, სხვა წყაროებთან ერთად, გამოყენებული იყო სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2012 წლის შეფასება. სტრატეგიის მთავარი მიზანია მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების განსახორციელებლად სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი განაწი-

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მოიცავს შემდეგ ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას:

1. ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება და ფისკალური პროგნოზირების გაუმჯობესება;
2. სახელმწიფო ფინანსების დაგეგმვის გაუმჯობესება;
3. სახელმწიფო სახსრების მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;
4. სახელმწიფო შიდა კონტროლი;
5. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების განვითარება საჯარო ფინანსების მართვაში და დონორების კოორდინაცია (**ჩანართი 2**).

ჩანართი 2. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის პრიორიტეტები 2014-2017 წლებში[7]

I. ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება და ფისკალური პროგნოზირების გაუმჯობესება

მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება: გასული წლების მანძილზე მიმდინარეობდა მაკროეკონომიკური პროგნოზირების სრულყოფის ღონისძიებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მუშაობს საშუალო- და გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზირების სრულყოფაზე. ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტში კეთდება როგორც მაკროეკონომიკური, აგრეთვე ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზი.

მაკროეკონომიკური პროგნოზებისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი ეკონომეტრიკული მოდელი. მაკროეკონომიკური პროგნოზირების პროცესში ხდება ეკონომიკის ძირითადი პარამეტრების წლიური მაჩვენებლების პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისათვის. მოდელის მეშვეობით მუშავდება რამდენიმე სცენარი, რომელთაგან ყველაზე რეალისტური ვარიანტი თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტს.

შემოსავლების პროგნოზირების მიზნით მუშავდება სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალოვადიანი პროგნოზები, რაც საბიუჯეტო დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს. პროგნოზირება ეფუძნება ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებს. პროცესი მოიცავს სცენარების ანალიზს და ყველაზე რეალისტური სცენარის გამოვლენას. შემოსავლების პროგნოზირების პროცესში გამოიყენება ადგილზე შექმნილი მიკროსიმულაციური მოდელი.

მომავალი წლების განმავლობაში დაგეგმილია ამ მოდელის შემდგომი დახვეწა, პროგნოზების და ანალიზის გაუმჯობესების მიზნით, შემდეგი მიმართულებებით:

- პროგნოზების გაუმჯობესება და მისი არეალის გაფართოება მიღებულ გადაწყვე-

---

ლება და ამავდროულად, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემოსავლების მობილიზება.

[7] საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017: http://www. mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=11148.

ტილებათა მოსალოდნელი შედეგების ანალიზი ეკონომიკის ყველა სექტორში;

- პროგნოზების დროითი არეალის გაზრდა, რაც გააუმჯობესებს გრძელვადიანი რეფორმების დაგეგმვის შესაძლებლობას;
- მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირება და ოპტიმალური ვარიანტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა. კერძოდ, დაგეგმილია ეკონომეტრიკული მოდელირების შემდგომი გაუმჯობესება. კვარტალურ მონაცემებზე დაფუძნებული დინამიური მაკროეკონომიკური მოდელი, შესაძლებელს გახდის ფისკალური შოკების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენის შეფასებას და საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილი ანალიზის ჩატარებას. აღნიშნული მოდელი მნიშვნელოვანია არასასურველ ეკონომიკურ სიტუაციაზე დროული რეაგირებისთვის.
- მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების მეთოდოლოგიის დახვეწა. ამ მიზნით შესწავლილი იქნება წარმატებული უცხოური გამოცდილებები.

მომავალ წლებში რეფორმების კიდევ ერთი პრიორიტეტს ამ სფეროში ანალიტიკოსების კვალიფიკაციის ზრდა წარმოადგენს, რომელიც შესაბამისი მომზადების პროგრამის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

გასატარებელი ღონისძიებების საბოლოო მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების ანალიზის გაუმჯობესება.

ფისკალური რისკები: ფისკალური რისკების შეფასება უმთავრესად მოიცავს მაკროეკონომიკური რისკების შედეგების ანალიზს, რომელიც ხორციელდება მაკროეკონომიკური მოდელირების პროცესში სცენარების ანალიზის ფარგლებში და იგი აგრეთვე იკვლევს შესაძლო მაკროეკონომიკურ შოკების გავლენას საბიუჯეტო შემოსავლებზე და ხარჯებზე.

რეფორმა ხელს შეუწყობს ფისკალური რისკების შეფასების და მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ფისკალური რისკების გამოვლენის, შესწავლის და გამჟღავნების მიზნით. კერძოდ, რისკის:

- *გამოვლენა* გულისხმობს მთავრობის ან სახელმწიფო სანარმოების მიერ აღებული ისეთი ვალდებულების იდენტიფიცირებას, რომლებსაც მომავალში შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი ფისკალური ეფექტი, მათ შორის პირობითი, საპენსიო და სხვა სახის ამკარა ან ფარული ვალდებულებების აღმოჩენას;
- *შესწავლა* გულისხმობს ფისკალური რისკების ანალიზს და მათი ეფექტების შეფასებას;
- *გამჟღავნება* გულისხმობს ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასა და გავრცელებას, მათ შორის, ბიუჯეტის თანმხლებ დოკუმენტებში.

ფისკალური რისკების მართვის პროცესში შემუშავებული იქნება გამოვლენისა და შესწავლის მეთოდოლოგია და შეიქმნება რისკების გამჟღავნების სტანდარტი.

რეფორმები საგადასახადო და საბაჟო სფეროში: ბოლო წლებში განხორციელებული საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის შედეგად, გამარტივდა გადასახადის ადმინისტრირება და საბაჟო პროცედურები, დადგინდა საგადასახადო დავების წარმოე-

ბის წესი, დაინერგა გადასახადის გადამხდელთან ურთიერთობისა და გადასახადის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემები, დადგენილი 21 გადასახადის ნაცვლად, საგადასახადო კოდექსით დაწესდა მხოლოდ 6 გადასახადი. შემცირდა გადასახადის განაკვეთები, კერძოდ, არსებული საშემოსავლო (12%) და სოციალური (20%) გადასახადების გაერთიანებით ჩამოყალიბდა ერთი საშემოსავლო გადასახადი 20%-ის ოდენობით. მოგების გადასასახადი შემცირდა 15%-მდე. დღგ-ს განაკვეთი 20%-დან შემცირდა 18%-მდე.

მიუხედავად ამისა, სისტემა საჭიროებს არსებით სრულყოფას, რაც ქვეყნის ფისკალური მდგრადობის და ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საგადასახადო რეფორმებს განიხილავს ქვეყანაში გრძელვადიან პერიოდში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის წინაპირობად.

მომავალი 4 წლის განმავლობაში საბაჟო-საგადასახადო სფეროში განსახორციელებელი რეფორმები მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, კერძოდ:

- გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესება და საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობს ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას. ეტაპობრივად, 3 წლამდე შემცირდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადები. დაიხვეწება საგადასახადო დავების განხილვის არსებული სისტემა. დაწესდება შეზღუდვა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. გადასახადის გადამხდელის ყველა ძირითადი ვალდებულება განისაზღვრება მხოლოდ კანონით. აიკრძალება მიმდინარე საქმიანობის შეჩერება და დაყადაღება. მოწესრიგდება ბაზრობებზე მოვაჭრეთა დაბეგვრის მარეგულირებელი ნორმები. ასევე, დაიხვეწება გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საბაჟო კანონმდებლობისა და საგადასახადო კანონმდებლობის (არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) ნაწილში) ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. საბაჟო წესებისა და პროცედურების მოდერნიზაცია;
- ადამიანური რესურსების განვითარებისა (მ.შ. ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის eHRMS სრული იმპლემენტაცია) და ინფრასტრუქტურის (მ.შ. ICT-ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება შემოსავლების სამსახურის ფარგლებში.

სახელმწიფო ვალი და პირობითი ვალდებულებები: სახელმწიფო ვალის ფორმირება ხდება საგარეო და საშინაო წყაროებიდან მოზიდული სესხების ხარჯზე, რაც მიმართება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის და მნიშვნელოვანი (პრიორიტეტული) ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველომ თავისი საგარეო ვალების აღრიცხვიანობის მოწესრიგება 1996-1998 წლებში დაიწყო, როდესაც საგარეო ვალის რესტრუქტურიზების შესახებ შეთანხმება გაფორმდა ევროგაერთიანებასთან; ორმხრივი შეთანხმებები დაიდო სხვა 11 ქვეყანასთან. 2001 და 2004 წლებში საქართველომ მრავალმხრივი მოლაპარაკების

საფუძველზე მიაღწია შეთანხმებას კრედიტორ ქვეყნებთან საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით პარიზის კლუბის ეგიდით, რის შედეგადაც ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა საგარეო ვალების მომსახურების სიმძიმე.

ზემოაღნიშნული რესტრუქტურიზაციის შედეგად უზრუნველყოფილია საგარეო ვალის მდგრადობა, რაც მიღწეული იქნა წლების მანძილზე ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად და აგრეთვე, ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტებისათვის გამოყენების მეშვეობით. აღნიშნული ტენდენცია დღემდე გრძელდება. ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალის ნაწილში ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა ვადიანი სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებების დაფინანსების და საშინაო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას განთავსებული აქვს ევრობონდები საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე.

სახელმწიფო ვალის ფორმირებისას უზრუნველყოფილი იქნება ვალის პორტფელის მდგრადობა, სესხების მოზიდვა მოხდება მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, აუცილებლობიდან ზემოაღნისნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალის გონივრული მართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს საშუალოვადიანი პოლიტიკა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი პოლიტიკა სახელმწიფო ვალთან მიმართებაში. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პარალელურად დაიხვეწება სახელმწიფო ვალის შესახებ კანონმდებლობა და გაძლიერდება სახელმწიფო ვალის მართვაში ანალიტიკური ნაწილი (middle office), რაც მნიშვნელოვანია ეფექტიანი საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის ერთიანი მონაცემთა ბაზის სრულყოფა, რაც ვალის შესახებ ერთიანი ანალიზის და ანგარიშების მომზადების საშუალებას მოგვცემს.

დღეის მდგომარეობით არ არსებობს კონკრეტული მექანიზმი პირობითი ვალდებულებების რისკების ანალიზისათვის. მსოფლიო ბანკის სახელმწიფო ვალის მართვის შეფასების (DeMPA) მისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხორციელდება სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ კონტრაგენტების წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ მონაცემების შეკრება და აღრიცხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების შეფასებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აგრეთვე გაითვალისწინებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრულ სახელმწიფო ვალის პარამეტრებს.

მოსალოდნელი შედეგი: დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი, საგადასახადო ადმინისტრირება და ბიზნესგარემო, სახელმწიფო ვალის მართვა და პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების შეფასება.

2. სახელმწიფო ფინანსების დაგეგმვის გაუმჯობესება

სტრატეგიული დაგეგმვა და შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება: გასული წლების მანძილზე გატარდა რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფის, მათ შორის საბიუჯეტო სისტემის დახვეწის მიმართულებით. 2005 წლიდან დაიწყო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენა არა ერთწლიან, არამედ მრავალწლიან პერსპექტივაში, რაც ასევე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან.

2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელშიც თავი მოიყარა საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მარეგულირებელმა დებულებებმა. მოწესრიგდა საბიუჯეტო სისტემის საკანონმდებლო ჩარჩო, დეტალურად გაიწერა საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო კალენდარი. განისაზღვრა საშუალოვადიანი დაგეგმვისა და წლიური ბიუჯეტის როლი საბიუჯეტო პროცესში. საბიუჯეტო პროცესში დაინერგა პროგრამული ბიუჯეტირება, 2012 წლიდან - წლიური ბიუჯეტის კანონი, ხოლო 2013 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. მომზადდა შესაბამისი მეთოდოლოგია და მიმდინარეობს მუშაობა მისი დახვეწის მიმართულებით.

შემუშავდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (eBudget), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების, აღსრულებისა და შესრულების ანგარიშგების წარმოებისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მოხდა ამ სისტემის ჰარმონიზება ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (eTreasury), რაც საშუალებას აძლევს მხარჯავ დაწესებულებებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტსა და სახაზინო სამსახურს რეალურ დროში აკონტროლონ და მართონ სახელმწიფო სახსრები.

სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდირებული მართვის მიზნით ეტაპობრივად დაინერგა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების გაერთიანება წლიური ბიუჯეტის კანონის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში; 2012 წლიდან ყველა მათგანის შემოსულობებისა და გადასახდელების თაობაზე ინფორმაციის ასახვა ხდება წლიურიბიუჯეტის კანონის შესაბამის ანგარიშებში.

მნიშვნელოვანი წინსვლაა PEFA-ს შეფასების ანგარიშსა და OBI ინდექსის თვალსაზრისით; აღნიშნული გამოკითხვის შედეგად 2012 წელს მონიჭებული ქულა 55-ია, როდესაც 2006 წელს იმავე ინდექსის მაჩვენებელი მხოლოდ 33 ქულას შეადგენდა.

ღონისძიებები 2014-2017 წლებისათვის: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას; სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის

ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა გაგრძელდეს რეფორმები რამდენიმე მიმართულებით:

- სტრატეგიული და საშუალოვადიანი დაგეგმვის სტანდარტების შემუშავება და სრულყოფა;
- პროგრამული ბიუჯეტის და შესაბამისი მეთოდოლოგიის სრულყოფა;
- ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) ფუნქციონალების გაფართოება;
- პოლიტიკის ანალიზის და კოორდინაციის შემდგომი სრულყოფა.

სტრატეგიული მართვა და საშუალოვადიანი დაგეგმვა: შემუშავდება დაგეგმვის ერთიანი სტანდარტები, რომელიც დაუკავშირდება როგორც ეროვნულ, ისე დარგის და სხვა სექტორულ საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებს;

გაგრძელდება მუშაობა საშუალოვადიანი გეგმების გაუმჯობესების მიმართულებით; უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა სექტორის სტრატეგიების თავსებადობა საშუალოვადიან პარამეტრებთან;

საშუალოვადიანი გეგმები გამოყენებული იქნება, როგორც ეფექტური ინსტრუმენტი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია კონკრეტულ პერიოდში გაიზარდოს საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებული იქნება მისი დაბალი მაჩვენებელი;

საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ისეთ მაჩვენებლებში შენარჩუნება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სარეიტინგო კომპანიების შეფასებები და ქვეყანა იყოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის თვალსაზრისით.

პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფა: გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით, მათ შორის, შემუშავდება მეთოდოლოგიური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაცმათ პროგრამული ბიუჯეტის მომზადების შიდა პროცესის ეფექტური მართვის უზრუნველყოფაში დაეხმარება. უზრუნველყოფილი იქნება შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა, რაც გულისხმობს მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების დახვეწას და მათ რეალურ ინსტრუმენტად გამოყენებას, როგორც დაგეგმვის, ისე შესრულების შეფასების პროცესში.

დაიწყება მუშაობა შემდგომი წლების ბიუჯეტების დაგეგმვის პროცესში წინა წლების პროგრამული ბიუჯეტების ინდიკატორების შესრულების მაჩვენებლების უფრო აქტიურად გამოყენების მიმართულებით.

იგეგმება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების პროცესის დახვეწა. ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსების ათვისების პარალელურად, მეტი ყურადღება გამახვილდება მიღწეული შედეგების შეფასებაზე.

ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის გავრცობა და სრულყოფა: გაგრძელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) ფუნქციონალის შესაძლებლობების გაფართოებაზე მუშაობა, რაც გულისხმობს ამ სისტემის სრულად

ამუშავებას.

იგეგმება აგრეთვე სისტემის სხვადასხვა ფუნქციონალებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება და საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის ერთ სივრცეში ინტეგრირება. სისტემას დაემატება სრულიად ახალი მოდულები საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის და ასევე ახალი ფუნქცია კონსოლიდირებული ბიუჯეტის ფორმირებისათვის.

მომავალში ამ სისტემის მეშვეობით მომზადდება საბიუჯეტო პროცესით გათვალისწინებული ყველა ეტაპისათვის საჭირო დოკუმენტაცია და ასევე საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ანალიტიკური მასალები.

პოლიტიკის ანალიზის და კოორდინაციის შემდგომი სრულყოფა: პოლიტიკის ანალიზის და კოორდინაციის სრულყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს ქვეყნის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავებას.

დეპარტამენტში მუშავდება პოლიტიკის ანალიზისა და სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის ერთიანი სტანდარტები და მეთოდოლოგია. აგრეთვე, დაინერგება რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგი: დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება - საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვა და გამჭვირვალობა, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზება ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში, შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემის გაუმჯობესება და მისი სტანდარტიზაცია, პოლიტიკის ანალიზის სისტემის დანერგვა და მისი სტანდარტიზაცია.

<u>3. სახელმწიფო სახსრების მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება</u>

ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმები სახელმწიფო ხაზინაში: ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში რეფორმის ფარგლებში 2009 წელს შემუშავდა სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს IPSAS-ის ეტაპობრივ დანერგვას. სტანდარტების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა მიიღწევა 2020 წლისათვის. პილოტური ფაზის (2011-2012 წწ) განხორციელების შემდეგ, 2013 წელს მომზადდა ცენტრალური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოდიფიცირებული საკასო მეთოდის მიხედვით. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია არაფინანსური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული სტანდარტების მოთხოვნების ეტაპობრივი დანერგვა. მუდმივად მიმდინარეობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერთა გადამზადება. ითარგმნა და ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ოფიციალური გამოცემის სტატუსის მიღების შემდეგ გამოვეყნდება სტანდარტების ქართული ვერსია. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დანერგვის პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა eTreasury-ს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის მოდულზე, რომლის სრულად ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება ხაზინის მთავარი წიგნის (TGL) - მთავრობის აქტივებისა და

ვალდებულებების ბალანსის დროის რეალურ რეჟიმში წარმოება.

2014-2017 წლებში ეტაპობრივად დაინერგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო დარიცხვის სტანდარტები. ბუღალტრულ მეთოდოლოგიაში სტანდარტების მოთხოვნების ასახვის პარალელურად კვლავაც გაგრძელდება საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლება და მომზადება სათანადო სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირებული ტრენერების მიერ.

აქტივების აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება რამდენიმე წლიან მუშაობას მოითხოვს. ამიტომ, სრული შესაბამისობის მიღწევა ძირითადი საშუალებების (IPSAS 17), არამატერიალური აქტივებისა (IPSAS 31) და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (IPSAS 12) სტანდარტებთან იგეგმება 2016 წელს. პარალელურად განხორციელდება სხვა სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა.

2014 წელს ანგარიშგების ფორმატებისა და ელემენტების შესახებ დაწესებული სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით, განახლდება ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, კერძოდ: ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (IPSAS 2), საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (IPSAS 3), უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები (IPSAS 4).

2015 წელს დაგეგმილია ბიუჯეტისათვის სპეციფიკური ოპერაციების აღრიცხვასთან დაკავშირებული სტანდარტების დანერგვა: სახელმწიფო მმართველობის სექტორის შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება (IPSAS 22), ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (IPSAS 19), შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები) (IPSAS 23), ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ფი-ნანსურ ანგარიშგებაში წარდგენა (IPSAS 24);

2017 წელს დაიფარება სესხის, იჯარისა და დარგობრივი ოპერაციების აღრიცხვის თემები, კერძოდ კი დაგეგმილია შემდეგი სტანდარტების დანერგვა: სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები (IPSAS 5), იჯარა (IPSAS 13), ამონაგები გაცვლითი ოპერაციებიდან (IPSAS 9), სოფლის მეურნეობა (IPSAS 27), სამშენებლო ხელშეკრულებები (IPSAS 11).

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მოქცევა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სისტემაში: 2004 წლიდან ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობები მიიმართება ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საიდანაც ყოველდღიურად, კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების შესაბამისად, კუთვნილი თანხები ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო სამსახურების ანგარიშებზე, რომლებიც გახსნილია და ფუნქციონირებს სხვადასხვა კომერციულ ბანკში სხვადასხვა პირობებით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო სამსახურებს განსხვავებული პროგრამული სისტემების მხარდაჭერა აქვთ, რომელთა უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს გადახდების ელექტრონულად განხორციელებას; სათანადო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს ანგარიშგების წარმოების ფორმები და დროულობა.

სამინისტროში მომავალი 4 წლის განმავლობაში ყველა დონის ბიუჯეტების სახსრების აკუმულირება და მართვა მოხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით. ეს რეფორმა იქნება ლოგიკური გაგრძელება ხაზინის ერთიანი ანგარიშის დანერგვის პროექტისა, რომელიც სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმათა დღის წესრიგში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტთა შეფასებით ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია.

სახელმწიფო ხაზინის ფინანსების მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში (eTreasury) დღეისათვის ინტეგრირებულია ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მოდულები. ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეს სისტემა უზრუნველყოფს საბიუჯეტო ოპერაციების რეალურ დროში განხორციელებას და საიმედო და დროული ანგარიშგებების წარმოებას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ერთიან სისტემაში მოქცევის შედეგად კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიმგების წარმოება რეალურ დროში იქნება შესაძლებელი.

სსიპ-ების სახაზინო მომსახურებაზე გადმოყვანა: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციების შემოსავლები (ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გარდა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განიკარგება კომერციული ბანკების არხებით. სსიპ-ები ანგარიშვალდებული არიან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ სამინისტროსთან, სადაც წარადგენენ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებს (ე.წ. ბუღალტრულ ბალანსებს). სსიპ-ების დიდი ნაწილი (ყოველწლიურად განისაზღვრება ჩამონათვალი), ასევე ანგარიშვალდებულია ფინანსთა სამინისტროსთან, რომელსაც წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების საკასო ინფორმაციას. ანგარიშვალდებულების დღეისთვის არსებული ხარისხი ვერ უზრუნველყოფს სსიპ-ების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე მუდმივ მონიტორინგს და შესაბამისად, ვერ ხერხდება სსიპ-ების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფისკალური რისკების შეფასება და მართვა.

სსიპ-ების მხრიდან ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისა და მათი საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეალურ დროში მიღების მიზნით, დაგეგმილია იმ სსიპ-ების გადმოყვანა სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე, რომლებიც ეწევიან მომსახურებას არასაბაზრო წესით. დაიხურება ამ სსიპ-ების ანგარიშები კომერციულ ბანკებში და გაიხსნება ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. სრულ ინფორმაციაზე დროული წვდომა, თავის მხრივ, გააუმჯობესებს ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობას.

მოსალოდნელი შედეგი: დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ხაზინის მთავარი წიგნის (TGL) - მთავრობის აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის დროის რეალურ რეჟიმში წარმოება, დაინერგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო დარიცხვის სტანდარტები, განახლდება ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, ყველა დონის ბიუჯეტების სახსრების აკუმულირება და მართვა მოხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით, სსიპ-ები შეუერთდება სახელმწიფო ხაზინის ერთიან მომსახურებას.

4. სახელმწიფო შიდა კონტროლი

სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემის განვითარება: სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემის განვითარება 2009 წლიდან დაიწყო, როდესაც რეფორმის დაგეგმვა-განხორციელების პირველი ნაბიჯები გადაიდგა. აღნიშნული მოიცავს შიდა აუდიტის სუბიექტების, დაწესებულების მართვისა და კონტროლის სისტემის და ჰარმონიზაციის ცენტრის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს უწყობს პირველი-ორი ელემენტის განვითარებას საჯარო სექტორში.

2009-2013 წლების განმავლობაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება 4 ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- მოსამზადებელი (2008 - 2009 წლები);
- საკანონმდებლო (2010 - 2011 წლები);
- თეორიული ცოდნის გაძლიერების (2012 წელი);
- პრაქტიკული გამოცდილების დანერგვის (2013 წელი).

2013 წლის ბოლოსთვის შიდა აუდიტის სუბიექტი ჩამოყალიბებულია 16 სამინისტროში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების აღმასრულებელ ორგანოებში, მუნიციპალიტეტებსა და ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. შიდა აუდიტორების რაოდენობა დაახლოებით 150-ს წარმოადგენს, რომელთა 65%-მა გაიარა გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით ორგანიზებულ ტრეინინგებში. შეიქმნა ადგილობრივი ტრენერ-რესურსი, განხორციელდა მრავალი პროექტი, გაიმართა სამუშაო შეხვედრები შიდა აუდიტისა და შიდა საქართველოს კონტროლის ირგვლივ ცნობიერების ამაღლების, ცოდნის გაძლიერების, გამოცდილების გაზიარებისა და კონტაქტების დამყარების მიზნით.

შიდა აუდიტი: *მოსამზადებელ ეტაპზე* დაიწყო მუშაობა რეფორმის საკანონმდებლო ჩარჩოზე. ამ პერიოდში მოხდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და შემუშავდა კანონის პირველადი ვარიანტი. რეფორმის კოორდინაციის მიზნით, საფუძველი ჩაეყარა ჰარმონიზაციის ცენტრის ჩამოყალიბებას.

საკანონმდებლო პერიოდი მოიცავდა საკანონმდებლო ბაზის დამტკიცებას და მის სრულყოფას. 2010 წლის 23 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რომელიც 2011 წლის 9 დეკემბერს გაუმჯობესებული და საერთაშორისო სტანდარტებს მორგებული სახით დამტკიცდა და შეიცვალა მისი სახელწოდება - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამავე წელს დაიხვეწა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და შიდა აუდიტის სტანდარტები. 2010 წელს საფუძველი ჩაეყარა მეთოდოლოგიის პირველად დოკუმენტებს: სახელმძღვანელო პრინციპებს და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას. 2013 წლისთვის განხორციელდა მეთოდოლოგიის განახლება და ახალი სამუშაო ვერსიის მომზადება.

საკანონმდებლო ჩარჩო წარმოადგენს რეფორმის საფუძველს. თუმცა, შემდგომ დღის წესრიგში დადგა შიდა აუდიტის სუბიექტების ინფორმირებულობის, ცნობიერების და ცოდნის ხარისხის ამაღლების - ე.წ. *თეორიული ცოდნის გაძლიერების* - საკითხი. ამისათვის, საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ტრეინინგ-

სტრატეგია და დაიწყო შიდა აუდიტორების გადამზადება.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია *მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განბორციელება*. 2013 წელი მთლიანად მიეძღვნა პილოტური პროექტების ორგანიზებას. 2013 წელს განხორციელდა:

- რისკის შეფასების მეთოდის დანერგვა სამ სხვადასხვა სამინისტროში შიდა აუდიტის დაგეგმვის პროცესისთვის;
- სისტემური აუდიტი სამ სხვადასხვა სამინისტროში. შიდა აუდიტორული შემოწმებისას პრაქტიკაში დაინერგა შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების და მონიტორინგის ეტაპები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი ერთ-ერთ სამინისტროში.

დანესებულების მართვისა და კონტროლის სისტემა: მართვისა და კონტროლის სისტემის საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველი ჩაეყარა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის დამტკიცებით.

2013 წელს ჰარმონიზაციის ცენტრმა შიდა აუდიტორებს გააცნო შიდა კონტროლის, მენეჯერული ანგარიშვალდებულების ცნებები და აამაღლა მათი ცნობიერება. ასევე, განახორციელა სამი სამინისტროს არსებული მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასება. ეს ჰარმონიზაციის ცენტრს არსებული ვითარების შეფასებასა და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვაში დაეხმარა. 2013 წლის მეოთხე კვარტალში შეირჩა დამატებით ერთი სამინისტრო, სადაც ჰარმონიზაციის ცენტრის დახმარებით, ჩამოყალიბდა რისკის მართვის სისტემა. პროექტის შედეგად, სამინისტროს ხელმძღვანელებს შეექმნათ წარმოდგენა რისკების მართვაზე, მიზნების განსაზღვრისა და სტრატეგიული დაგეგმვის ტექნიკაზე და მათ ურთიერთკავშირზე.

შიდა კონტროლის სისტემის შემდგომი განვითარება: საჯარო ფინანსების მართვის პროცესში შიდა კონტროლის სისტემის სტაბილური განვითარებისათვის განხორციელდება:

- „სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის" განახლება, რომელიც დაეფუძნება არსებული სიტუაციის ანალიზს და შემუშავებული იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. აღნიშნულმა დოკუმენტმა უნდა მოიცვას შიდა აუდიტისა და დანესებულებების მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარების საკითხები. ასევე, დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს ჩანაწერი ინსპექტირების ფუნქციისა შიდა აუდიტის ფუნქციისგან გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ;
- დამოუკიდებელი და ძლიერი ჰარმონიზაციის ცენტრის შემდგომი განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტის ირგვლივ მეთოდოლოგიის დახვეწა, შიდა აუდიტის ხარისხის შეფასება და შიდა აუდიტორების პროფესიონალიზმზე ზრუნვა, ასევე მართვისა და კონტროლის სისტემის ირგვლივ სათანადო ღონისძიებების გატარება;
- შიდა კონტროლის სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც მაღალი რგოლის მენეჯერების, ისე დაწესებულების ხელმძღვანელების; ასევე, ჩართუ-

ლობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე.

მოსალოდნელი შედეგი: დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად შიდა კონტროლის, აღრიცხვის და აუდიტის სისტემა უპასუხებს სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი გამოყენების მოთხოვნებს.

5. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების განვითარება საჯარო ფინანსების მართვაში და დონორების კოორდინაცია

საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის კომპონენტები: წინამდებარე სტრატეგიით გათვალისწინებულია საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის პრიორიტეტული განვითარება. ამით ხელი შეეწყობა ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის კომპონენტების შექმნასა და შემდგომ განვითარებას.

საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა, ამჟამად აერთიანებს 8 კომპონენტს/სერვისს:

eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის გამოყენებით ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების ინტეგრირებული მართვა;

eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის დოკუმენტებისა და დანართების ელექტრონულ ფორმატში წარდგენის და საბიუჯეტო სახსრების მართვის საშუალებას. მისი მეშვეობით მხარჯავ დაწესებულებებს აქვთ საშუალება მოახდინონ სახელმწიფო ფულადი სახსრების ონლაინ რეჟიმში გადარიცხვა;

eDMS - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სამინაო ვალისა და სესხის მართვის ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებულს. მისი მიზანია ერთიან სივრცეში მოუყაროს თავი სახელმწიფო სესხზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება სანდო და სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება;

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას;

RS - შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო პორტალი, რომლის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა სერვისები: საჯარო ინფორმაციის გავრცელება, საკანონმდებლო სიახლეების და შემოსავლების სამსახურში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღება, საბიუჯეტო შესრულების და საბაჟო გამშვებ პუნქტებში განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმირება. ამ ვებ-პორტალზე ასევე განთავსებულია გადასახადის გადამხდელების საძიებო სისტემა - ბიზნეს რუკა,

კითხვა-პასუხის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია საბაჟო და საგადასახადო საკითხებზე კონსულტაციის მიღება;

eServices - შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სისტემა, რომლის საშუალებით ხორციელდება საგადასახადო ვალდებულებების დეკლარაციების, დანართების, განცხადებების, საჩივრების და სხვა სახის მონაცემების წარდგენა, საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა (ელექტრონული გადახდა), ელექტრონული დოკუმენტების - ა/ფაქტურების, სპეც. ა/ფაქტურების სასაქონლო ზედნადებების წარმოება. აღნიშნული სერვისის საშუალებით ხდება გადასახადის გადამხდელის ინფორმირება საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე;

eCustoms - საბაჟო დეკლარირების ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა დეკლარანტებმა შეავსონ და წარადგინონ საბაჟო დეკლარაცია შესაბამისი საბაჟო ოპერაციების განხორციელებისას, მიიღონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია;

eAuction - სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონების პორტალი, სადაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება განიკარგება ერთი სარკმლის პრინციპით. პორტალი ამიერკავკასიაში ინოვაციური პროექტია, რომელიც საჯარო აუქციონების ალტერნატივაა და გამორიჩევა მაქსიმალურად გამარტივებული, გამჭვირვალე პროცედურებით. მისი მეშვეობით, მინიმუმამდე არის დაყვანილი აქამდე არსებული ყველა ბიუროკრატიული პროცედურა.

ელექტრონული სისტემის რეფორმის მიმართულებები: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტად განისაზღვრა სისტემის გაფართოება მასში ავტონომიური რესპუბლიკების, თვითმმართველი ერთეულებისა და სსიპ-ების ბიზნეს-პროცესების ინტეგრირებით. ეს ფინანსთა სამინისტროს საშუალებას მისცემს მონიტორინგი გაუწიოს საბიუჯეტო და საკუთარი სახსრებისკანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით შემოსულობების აღრიცხვისა და ხარჯვის პროცესს; ამასთან, სამინისტრო უზრუნველყოფილი იქნება სწორი, სრული და უტყუარი (ვალიდური) ინფორმაციით. რეფორმის მთავარ მიზანს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სსიპ-ების საკუთარი სახსრების ხაზინის ერთიანი ანგარიშის ქვეანგარიშებზე გადმოტანა, აღრიცხვიანობის გაუმჯობესება და სალარო ოპერაციების კონტროლი ხელმისაწვდომ ფულად რესურსთან.

<u>ამასთან ერთად, დამატებით განხორციელდება:</u>

eBudget: არსებული ფუნქციონალის დახვეწა-განვითარება მოდელირებისა და მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავების გზით; სისტემის მოქმედების არეალის „გარეთ“ დარჩენილი საქართველოს საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზაცია ახალი მოდულების დამატების გზით; საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაღრმავება.

eTreasury: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა; მიმდინარე რეფორმების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

eDMS: ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება, რაც ფინანსთა სამინისტროს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს მიერ აღებულ საგარეო და საშინაო ვალზე არსებულ ყველა სახის ინფორმაციას თავი მოუყაროს ერთიან ელექტრონულ სივრცეში. ამის შედეგად, მოხდება ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება და გაუმჯობესება, ხოლო ფინანსური მოდელირების ფუნქციონალის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ინფორმაციის სხვადასხვა ჭრილში დანახვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას.

eHRMS: დაგეგმილია შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და კარიერის განვითარების მართვის მოდულების რეალიზება. სისტემას დაემატება მომსმარებლის მოდული (self-service), რაც საშუალებას მისცემს თითოეულ თანამშრომელს მართოს საკუთარი მონაცემები და განახორციელოს ინფორმაციის გაცვლა კადრების დანაყოფის თანამშრომლებთან.

RS: ახალი საინფრომაციო სახის მოდულების განთავსება, პორტალის დიზაინის შეცვლა თანამედროვე ფუნქციონალების დანერგვით.

eServices: არსებული ფუნქციონალის დახვეწა, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად ახალი დეკლარაციის ფორმების შემუშავება, საგადასახადო კალენდარზე ხელმონერის სერვისის დამატება, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით ახალი მოდულების დამატება.

eCustoms: გათვალისწინებულია ახალი პროგრამული მოდულების შემუშავება და არსებული ფუნქციონალის განვითარება ვებ-სერვისების დანერგვის კუთხით, მობილური ტელეფონების სისტემებზე ზოგიერთი მოდულის დანერგვა.

eAuction: გადახდის ალტერნატიული მექანიზმების, ინტერნეტ მაღაზიის, სისტემაში ინტეგრირებული ელექტრონული ფოსტის, მობილური აპლიკაციების, ელექტრონული კონსულტაციის სერვისების დანერგვა და სისტემის დეველოპმენტი.

დონორების კოორდინაცია: ვალის პორტფელის ფორმირებაში შეღავათიანი სესხების უდიდესი წილი გამოიყოფა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და ორმხრივი პარტნიორი ორგანიზაციებიდან (დონორები). გარდა შეღავათიანი სესხებისა, დონორების მიერ ხდება დამატებით გრანტების და ტექნიკური მხარდაჭერის გამოყოფაც. მოცემული რესურსები ხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებების და ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტული პროექტების დაფინანსებას. ასევე ხდება კონკრეტულ სფეროებში გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

აღნიშნული რესურსების ეფექტური გამოყენებისა და დონორების ქმედებების ქვეყნის პრიორიტეტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, აუცილებელია მხარდაჭერის მიმღები მხარე ახდენდეს დონორების საქმიანობის კოორდინაციას. დონორების მხრიდან საქართველოში საქმიანობის დაწყებიდან დღემდე ჩამოყალიბდა თითოეულ დონორთან პარტნიორული ურთიერთობები, შემცირდა პროექტების დუბლირების შემთხვევები და საქართველოს მხარე წამყვან როლს თამაშობს დონორების პროექტების და პროგრამების ჩამოყალიბებაში. არსებული პრაქტიკის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც დონორების ძირითადი პარტნიორი

და ვალის მდგრადობაზე პასუხისმგებელი უწყება უწევს კოორდინაციას იმ პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტში. სექტორული ტექნიკური მხარდაჭერის კოორდინაცია ხდება დარგობრივი სამინისტროების დონეზე.

დონორებთან კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები: ამ ეტაპზე კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა და იგეგმება საკოორდინაციო შეხვედრების მეტი სისტემატიზაცია, რათა ყველა მხარემ შეძლოს საქმიანობების უკეთ დაგეგმვა. აგრეთვე, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსთა სამინისტრო თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის („**ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის**“)[8] თანახმად:

სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფას იმისათვის, რომ ბიუჯეტით, ერთი მხრივ, ხორციელდებოდეს პრიორიტეტული სფეროებისა და სოციალური ხარჯების ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას და ამავე დროს შენარჩუნებულ იქნეს ქვეყნის ფისკალური სტაბილურობა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

შემუშავდება დაგეგმვის ერთიანი სტანდარტები, რომელიც დაუკავშირდება როგორც ეროვნულ, ისე დარგის და სხვა სექტორულ საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებს. საშუალოვადიანი გეგმები გამოყენებული იქნება როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად. ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია კონკრეტულ პერიოდში გაიზარდოს საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებული იქნება მისი დაბალი მაჩვენებელი. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ისეთ მაჩვენებლებში შენარჩუნება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სარეიტინგო კომპანიების შეფასებები და ქვეყანა იყოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის თვალსაზრისით.

[8] ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებების 2017-2020 წლებისათვის: www. parliament.ge/ge/law/6881.

დაიხვეწება ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მიმართულება. საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით გაუმჯობესდება სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალოვადიანი პროგნოზირების პროცესი; მოხდება პროგნოზების არეალის გაფართოება იმისათვის, რომ ეკონომიკის სექტორები უფრო ფართოდ იყოს მოცული; გაიზრდება პროგნოზების დროითი არეალი, რაც გაზრდის ფისკალური სექტორის გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ვალის ფორმირებისას უზრუნველყოფილი იქნება ვალის პორტფელის მდგრადობა. სესხების მოზიდვა მოხდება მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, აუცილებლობიდან გამომდინარე. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის აუცილებლობა.

გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით, მათ შორის, შემუშავდება მეთოდოლოგიური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც მათ პროგრამული ბიუჯეტის მომზადების შიდა პროცესის ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფაში დაეხმარება.

უზრუნველყოფილი იქნება შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა. ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების, აგრეთვე მათი მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენის მექნიზმები მიუახლოვდება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით და უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მარტივი ფორმით მიწოდება.

გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) ფუნქციონალური შესაძლებლობების გაფართოებაზე. სისტემის ფარგლებში მოექცევა საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პროცესი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ანგარიშები გაიხსნება ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში და მათი მართვა განხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ფინანსების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, რითაც მიიღწევა ყველა დონის ბიუჯეტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განხორციელებული ოპერაციების სრული და დროული ანგარიშგება და გაუმჯობესდება ანგარიშ-ვალდებულების ხარისხი.

ეტაპობრივად დაინერგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო დარიცხვის სტანდარტები, რომელთანაც სრული შესაბამისობის მიღწევის შემდეგ, ყოველწლიურად გამოქვეყნდება მთავრობის ფინანსური ანგარიშგება, დაფუძნებული დარიცხვის მეთოდზე.

დაბოლოს, დაიხვეწება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლისა და აუდიტის მექანიზმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმი.

საკონტროლო კითხვები

1. განმარტეთ საჯარო ფინანსების მართვის არსი და სისტემა.
2. განსაზღვრეთ საჯარო ფინანსების მართვის ობიექტები და სუბიექტები.
3. დაახასიათეთ საჯარო ფინანსების სტრატეგიული და ოპერატიული მართვა.
4. განსაზღვრეთ საჯარო ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობა და არსი.
5. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ფინანსური დაგეგმვის პრინციპები.
6. აღწერეთ ფინანსური დაგეგმვის ძირითადი ეტაპები.
7. განსაზღვრეთ ექსტრაპოლაციის მეთოდის შინაარსი, ადგილი და როლი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.
8. განსაზღვრეთ ექსპერტული შეფასების მეთოდის შინაარსი, ადგილი და როლი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.
9. განსაზღვრეთ ანალოგიის მეთოდის შინაარსი, ადგილი და როლი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.
10. განსაზღვრეთ საბალანსო მეთოდის შინაარსი, ადგილი და როლი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.
11. განსაზღვრეთ მათემატიკური მოდელირების მეთოდის შინაარსი, ადგილი და როლი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.
12. განსაზღვრეთ ნორმატიული მეთოდის შინაარსი, ადგილი და როლი ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.
13. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ განვითარებული ქვეყნების საჯარო ფინანსების მართვის ორგანოები.
14. დაასახელეთ საჯარო ფინანსების მართვის ორგანოები საქართველოში.
15. განსაზღვრეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციები.
16. ჩამოთვალეთ საქართველოს სამთავრობო დოკუმენტით („საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-1017") განსაზღვრული საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები.

17. ჩამოთვალეთ საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის („ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის“) ძირითადი ღონისძიებები საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფის სფეროში.

18. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეუსაბამეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
	1. საჯარო ფინანსების მართვა	ა. იმ ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობა, რომლითაც ხორციელდება ფინანსების მართვა;
	2. ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობა	ბ. თავისი მნიშვნელობით მეორე საფინანსო უწყება აშშ-ში, რომელიც ახორციელებს სამთავრობო პროგრამებისა და მათი დაფინანსების პროგნოზირებას, მართვას, კონტროლსა და კოორდინაციას;
	3. ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო	გ. განპირობებულია წარმოების მატერიალურ-ნივთობრივ ელემენტებთან შედარებით, ფულადი სახსრების დამოუკიდებელი მოძრაობით და განაწილების პროცესზე აქტიური ზემოქმედებით;
	4. საფინანსო აპარატი	დ. სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობა ფინანსური რესურსების ეფექტიანი მობილიზაციისა და გამოყენების მიზნით;
	5. საჯარო ფინანსების მართვის ობიექტები	ე. ემყარება ფინანსური, სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზს;
	6. საჯარო ფინანსების მართვის სუბიექტები	ვ. გულისხმობს საგეგმო ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრისას საიმედო, რეალური და ობიექტური ინფორმაციის გამოყენებას;
	7. ფინანსების ოპერატიული მართვა	ზ. განვლილ პერიოდში ფინანსური დაგეგმვის ობიექტის განვითარებაში ჩამოყალიბებული ტენდენციების გადატანა საგეგმო პერიოდში;
	8.ობიექტურობის პრინციპი	თ. ფინანსების მართვის ძირითადი სახელმწიფო ორგანო დიდ ბრიტანეთში;
	9.ექსტრაპოლაციის მეთოდი	ი. ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება;
	10. ხაზინა	კ. სახელმწიფო (მუნიციპალური) ფინანსები და სადაზღვევო ფინანსური ურთიერთობები.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. **ქვემოჩამოთვლილთაგან ფინანსების მართვა არ მოიცავს:**
   - ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას და მიღებას;
   - სახელმწიფოს მიერ საერთო ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრას და გატარებას;
   - ფინანსურ დაგეგმვას და პროგნოზირებას;
   - საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების ფულად შეფასებასა და ინვენტარიზაციას.
2. **საჯარო ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითად ინსტრუმენტსა და მეთოდს წარმოადგენს:**
   - ფინანსური ანგარიშგების ანალიზი;
   - ფინანსური დაგეგმვა;
   - სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზი;
   - სახელმწიფო სესხების გამოშვება და მათი მართვა.
3. **საჯარო ფინანსების მართვა არ მოიცავს:**
   - ქვეყნის ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულებისა და შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა-დამტკიცების პროცესებს;
   - საგადასახადო პოლიტიკისა და გადასახადების შეცვლას ან ახლის შემოღებას;
   - კორპორაციის ძირითადი საწარმოო ფონდების ფულად შეფასებასა და ინვენტარიზაციას.
   - სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის დადგენას და სხვა სახელმწიფო ფინანსური ურთიერთობების მონესრიგებას.
4. **საჯარო ფინანსების მართვის ობიექტებს არ მიეკუთვნება:**
   - სახელმწიფო ფინანსები;
   - მუნიციპალური ფინანსები;
   - სადაზღვევო ფინანსური ურთიერთობები;
   - ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც მართვა ხორციელდება.
5. **ფინანსური, სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზს ემყარება:**
   - ფინანსების სტრატეგიული მართვა;
   - ფინანსური დაგეგმვა;
   - ფინანსების ოპერატიული მართვა;
   - ფინანსური პროგნოზირება.
6. **ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი რეალიზაცია არის მიზანი:**
   - ფინანსების სტრატეგიული მართვის;
   - ფინანსური დაგეგმვის;
   - ფინანსების ოპერატიული მართვის;
   - ფინანსური პროგნოზირების.
7. **საგეგმო ფინანსური პარამეტრების განსაზღვრას ქვეყნის მაკრო- და მიკროეკონომიკური პროგნოზების ერთიან სისტემასთან უშუალო კავშირში გულისხმობს ფინანსური დაგეგმვის:**
   - ობიექტურობის პრინციპი;

- ოპტიმალურობის პრინციპი;
- სისტემურობის პრინციპი;
- უწყვეტობის პრინციპი.

8. მრავალვარიანტული ფინანსური საგეგმო პარამეტრების შემუშავებას და მათგან საუკეთესო ვარიანტის შერჩევას უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმვის:
   - სისტემურობის პრინციპი;
   - ობიექტურობის პრინციპი;
   - ოპტიმალურობის პრინციპი;
   - უწყვეტობის პრინციპი.
9. განვლილ კონკრეტულ პერიოდში ფინანსური დაგეგმვის ობიექტის განვითარებაში ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენციების საგეგმო პერიოდში უცვლელად გადატანას გულისხმობს:
   - საექსპერტო შეფასების მეთოდი;
   - ექსტრაპოლაციის მეთოდი;
   - ნორმატიული მეთოდი;
   - საბალანსო მეთოდი.
10. აშშ-ის თავისი მნიშვნელობით მეორე საფინანსო უწყების (ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს) ფუნქციებში არ შედის:
    - საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის დამუშავება;
    - ფედერალური ბიუჯეტის შედგენა და საფინანსო პროგრამების შემუშავება;
    - სამთავრობო პროგრამებისა და მათი დაფინანსების პროგნოზირება, მართვა, კონტროლი და კოორდინაცია;
    - ბიუჯეტის შესრულების ოპერატიული კონტროლი.
11. ფინანსების მართვის სახელმწიფო ორგანოებს შორის ხაზინა ძირითადია:
    - ამერიკის შეერთებულ შტატებში;
    - დიდ ბრიტანეთში;
    - საფრანგეთში;
    - იტალიაში.
12. ფინანსური, სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზს ემყარება:
    - სტრატეგიული მართვა;
    - საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვა;
    - ფინანსური მენეჯმენტი;
    - ოპერატიული მართვა.
13. საჯარო ფინანსების მართვის ობიექტებს არ მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო ფინანსები;
    - საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები;
    - სახელმწიფო საფინანსო ორგანოები;
    - სადაზღვევო ფინანსური ურთიერთობები.
14. ქვეყნის მიკრო- და მაკროეკონომიკური პროგნოზების ერთიან სისტემასთან უშუალო კავშირში საგეგმო ფინანსური პარამეტრების განსაზღვრას გულისხმობს ფინანსური დაგეგმვის:
    - სისტემურობის პრინციპი;
    - ობიექტურობის პრინციპი;
    - ოპტიმალურობის პრინციპი;
    - უწყვეტობის პრინციპი.

15. ფინანსური დაგეგმვის მთავარი ობიექტია:
    - ფინანსური რეზერვები;
    - ცენტრალიზებული ფონდები;
    - დეცენტრალიზებული ფონდები;
    - ფინანსური რესურსები.
16. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს მიეკუთვნება:
    - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
    - შემოსავლების სამსახური;
    - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;
    - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.
17. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არ მიეკუთვნება:
    - შემოსავლების სამსახური;
    - სახაზინო სამსახური;
    - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
    - ფინანსთა სამინისტროს აკადემია.
18. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ძირითად ფუნქციებს არ მიეკუთვნება:
    - საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის დამტკიცება;
    - საფინანსო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი;
    - მთავრობის საფინანსო აგენტის საქმიანობის განხორციელება;
    - მონეტების მოჭრა და ფულადი ნიშნების ემისია.
19. საჯარო ფინანსების მართვაში საბაჟო დაბეგვრისა და აქციზების სამმართველო და შინაგანი შემოსავლების სამმართველო მონაწილეობს:
    - დიდ ბრიტანეთში;
    - აშშ-ში;
    - გერმანიაში;
    - საფრანგეთში.
20. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს არ მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი;
    - იურიდიული დეპარტამენტი;
    - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;
    - საბიუჯეტო დეპარტამენტი.

თემა 4

საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი

„იმან, ვინც მოინდომებდა რჩევის მიცემას ფინანსების შესახებ, უნდა იცოდეს სახელმწიფო შემოსავლების ყველა მუხლი“.
არისტოტელე

„ადამიანები სახელმწიფოს თავისი ქონების ნაწილს აძლევენ იმისათვის, რომ მშვიდად მოიხმარონ თავისი ქონების დარჩენილი ნაწილი“.
შარლ ლუი დე მონტესკიე

„ბიუჯეტი სახელმწიფოს ბერბენალია, ყველა დამაბნეველი იდეოლოგიისგან თავისუფალი“.
ჟოზეფ შუმპეტერი

გეგმა:

4.1. ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები;
4.2. საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა;
4.3. საბიუჯეტო პროცესი და მისი ორგანიზაცია;
4.4. საბიუჯეტო რეფორმა და ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

4.1. ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები

ბიუჯეტი, უწინარეს, ყოვლისა, არის იმის ცოდნა, თუ რა წყაროებიდან რამდენ შემოსავალს უნდა ელოდო და როგორ უნდა განკარგო მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტის შედგენა სასარგებლოა როგორც ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის, ისე საქმიანი ადამიანების, ორგანიზაციებისა და მთავრობებისათვის.

გარკვეულწილად, ბიუჯეტს ყველა ადამიანი ადგენს საკუთარი თავისა თუ ოჯახისათვის, თუმცა ამას არ აქვს ყოველთვის ფორმალიზებული სახე და შესაძლოა ეს ხშირად გაუცნობიერებლად და ინსტიქტურადაც კი ხორციელდებოდეს. თუ ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს ბიუჯეტის შედგენაში, ამ შემთხვევაში ყველა მათგანი გრძნობს იმის ვალდებულებას, რომ მიჰყვეს

შედგენილ გეგმას. ერთად შედგენილი ბიუჯეტი ეხმარება ოჯახის თითოეულ წევრს ოჯახის შემოსავლის უკეთესად განკარგვაში[1].

მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და, როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. ოჯახის ბიუჯეტის განსაზღვრისას განიხილება მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები. ოჯახები ხშირად ასევე მსჯელობენ გარკვეული თანხის დაზოგვის შესაძლებლობაზეც მაშინ, როდესაც ოჯახს სტაბილური და შედარებით მაღალი შემოსავლები აქვს ან, პირიქით, განსაკუთრებული საჭიროების დადგომის შემთხვევაში მსჯელობენ დანაზოგის გამოყენების ან სესხის აღების შესაძლებლობაზე.

მნიშვნელოვანია შეფასდეს წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები ოჯახის შემოსავლებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შემოსავალი არასაკმარისი აღმოჩნდა დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები ხარჯების შესამცირებლად ან განხილულ იქნეს შემოსავლების გაზრდის ისეთი ალტერნატიული ვარიანტები, როგორიცაა, მაგალითად: ზედმეტი სამუშაო საათები, ახალ სამსახურში გადასვლა, დამატებითი სამუშაოს მოძებნა, თანხის სესხება მეზობლის/მეგობრისგან ან ბანკისგან. ოჯახის წევრებს შეუძლიათ გაანალიზონ კრედიტის აღების ვარიანტი იმ შემთხვევაშიც, თუ სურვილი აქვთ შეიძინონ ახალი სახლი ან ავტომანქანა და გააფართოვონ ოჯახური ბიზნესი. ამასთან, პარალელურად საჭიროა განიხილონ და მოიძიონ სესხის დაფარვის წყაროები.

იმ შემთხვევაში კი, თუ ოჯახის შემოსავალი აჭარბებს ყოველდღიურ ხარჯებს, შესაძლებელია, ერთი მხრივ, დანაზოგის გაკეთება შორეული გეგმების განსახორციელებლად ან, მეორე მხრივ, ასეთი თანხების მიმართვა ახალი ავტომობილის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე ან არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.

ოჯახი, რაღაც ფორმით, სახელმწიფოს პატარა მოდელია და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესიც ზოგიერთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიურად მიმდინარეობს. მთავრობა და პარლამენტი განსაზღვრავენ სახელმწიფოს მოსალოდნელ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროებს და მოსალოდნელ ხარჯებს ცალკეული პროგრამების (მაგალითად, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სოციალური დაცვის, განათლების, სამართალდამცავი ორგანოების, რეგიონული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და სხვა პროგრამების) მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მთავრობა განიხილავს ვალის აღების შესაძლებლობას გარკვეული პირობებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები

---

[1] საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე - მოქალაქის გზამკვლევი/საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თბილისი, 2016, გვ. 5: http://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/GF.O._C._G.pdf

აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიაღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

ამდენად, ბიუჯეტი არის განსაზღვრული სუბიექტის (ინდივიდის, ოჯახის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს) შემოსავლებისა და ხარჯების ჩამონათვალი კონკრეტული დროითი პერიოდისათვის (ჩვეულებრივ, ერთი წლისათვის). იგი მნიშვნელოვანი ფინანსური კატეგორიაა როგორც მიკროეკონომიკაში (ოჯახის, ორგანიზაციის ბიუჯეტი), ასევე მაკროეკონომიკაში (სახელმწიფო ბიუჯეტი). მოცემულ თემაში ჩვენი შესწავლის საგანია სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა.

ტერმინი „ბიუჯეტი"-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა წარმომდგარია ძველი ფრანგული სიტყვიდან - **bougette pochette**, რაც ტყავის ქისას ნიშნავს. ინგლისელებმა „ბიუჯეტს" განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს, წარმოიდგინეს რა მასში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ხაზინის კანცლერი, მთავრობის სახელით, პარლამენტში თემთა პალატას ფულს სთხოვდა. ინგლისელები „ბიუჯეტს" უწოდებდნენ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის განწერის შესახებ ხაზინის კანცლერის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც. შემდგომში სწორედ აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში ბიუჯეტის კატეგორია.

თანამედროვე გაგებით, ბიუჯეტი არის შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიათა სისტემა, რომელიც ასახავს განსაზღვრულ კონკრეტულ ურთიერთობებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-6 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად, **ბიუჯეტი არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ"**[1]. ასეთია ბიუჯეტის ზოგადი საკანონმდებლო განმარტება.

ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განმარტავს ბიუჯეტის შემდეგ დეფინიციებს: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი, ადგი-

[1] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: www.mof.ge/show_law.aspx?id=711.

ლობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი, დამტკიცებული ბიუჯეტი, დაზუსტებული ბიუჯეტი და წლიური ბიუჯეტი.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი - საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი - ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტი - საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ცენტრალური ბიუჯეტი - სახელმწიფო ბიუჯეტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (რომლებიც შექმნილია/დაფუძნებულია შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით), და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (რომლებიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/ და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ) ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი - აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი - ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის და მის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი[1].

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი და ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (რომლებიც შექმნილია/დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (რომლებიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ) ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (რომლებიც შექმნილია/დაფუძნებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განსაზღვრული წესით) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (რომლებიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლების ორგანოს მიერ ან/და ექვემდებარება მის ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის კონტროლს) ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი[1].

დამტკიცებული ბიუჯეტი - შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

დაზუსტებული ბიუჯეტი - კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

წლიური ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესაბამისი საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი.

ბიუჯეტის არსის სიღრმისეული გაგებისათვის საჭიროა მისი, როგორც ეკონომიკური (მატერიალური) კატეგორიის განხილვა.

ბიუჯეტი, მატერიალური გაგებით, წარმოადგენს სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების მასშტაბით ცენტრალიზებულ ფულად სახსრებს, რომლებიც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში.

ბიუჯეტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს ეკონომიკურ (ფულად) ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო ფულადი სახსრების ფონდის წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში.

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ბიუჯეტი სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების დაწვრილებითი აღწერაა. იგი, მატერიალური შინაარსით, სახელმწიფო ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული ფონდია, ხოლო არსით, - ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების ძირითადი ინსტრუმენტი.

მთლიანობაში, **ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი** ვლინდება მისი შემოსავლებისა (წყაროების მიხედვით) და **ხარჯების სტრუქტურაში, რომლებიც გვიხასიათებენ,** თუ ვის ხარჯზე ივსება იგი და ვის ხმარდება მობილიზებული რესურსები.

ბიუჯეტის შემოსავლების სოციალურ-ეკონომიკურ არსს გვიხასიათებს მათი როგორც ხარისხობრივი (თვისობრივი), ასევე რაოდენობრივი მახასიათებლები. შემოსავლების ხარისხობრივი მახასიათებლები გვიჩვენებენ მათი წარმოშობის ეკონომიკურ ბუნებას და ვლინდება მათ სტრუქტურაში შემოსავლების წყაროების მიხედვით. შემოსავლების რაოდენობრივი მხარე განისაზღვრება მათი სიდიდით მთლიანად და ცალკეული სახის შემოსავლების სახეების მიხედვით. ამდენად, შემოსავლების სოციალურ-ეკონომიკური არსი გვიხასიათებს, თუ ვის ხარჯზე და რა გზით მოხდა მათი ფორმირება.

ანალოგიურად, ბიუჯეტის **ხარჯების სოციალურ-ეკონომიკური არსი** შეიძლება შევაფასოთ მათი როგორც ხარისხობრივი (თვისობრივი), ისე რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ხარჯების ხარისხობრივი მახასიათებლები გვიჩვენებს მათი გამოყენების ეკონომიკურ ბუნებასა და სოციალურ დანიშნულებას, რაც ვლინდება მათ სტრუქტურაში გამოყენების მიმართულებების ანუ მათი დანიშნულების მიხედვით. ხარჯების რაოდენობრივი მხარე განისაზღვრება მათი სიდიდით მთლიანად და ცალკეული მიმართულებებისა და დანიშნულებების მიხედვით. ამდენად, ხარჯების სოციალურ-ეკონომიკური არსი გვიხასიათებს მათ დანიშნულებასა და მიზნობრიობას - ვის, ან რას და რა რაოდენობით ხმარდება იგი.

ამრიგად, ბიუჯეტი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან: 1. საშემოსავლო ნაწილი, რომელიც მოიცავს შემოსავლების ჩამონათვალს წყაროების მიხედვით; 2. გასავლის ნაწილი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს მიერ გასაწევ ხარჯებს ხარჯვის მიმართულებებისა და დანიშნულების მიხედვით.

ბიუჯეტი წარმოადგენს ბალანსს, რომელშიც შემოსავლები ხარჯების ტოლია. მათი უტოლობის შემთხვევაში, თუ ხარჯები სჭარბობს შემოსავლებს, ადგილი აქვს დეფიციტს, ხოლო თუ შემოსავლები მეტია ხარჯებზე, მაშინ პირიქით, ადგილი აქვს ბიუჯეტის პროფიციტს.

ბიუჯეტის დეფიციტისა და პროფიციტის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა, განსხვავებულია მათი არსებობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და მართვის მეთოდებიც.

ბიუჯეტს მრავალმხრივი დანიშნულება გააჩნია:

- *ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას,* თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად; რა სახისა და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან;
- *ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სესხებისა და ვალების ლიმიტებს.* თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული სესხი, რათა დაფაროს მის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალები;
- *ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას,* თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები; რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე, კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე და სხვა მიმართულებებზე;
- *ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.* ზოგიერთი ხარჯი მეტად ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც. ამასთან, გადასახადები ამცირებს მოსახლეობის სახარჯ რესურსს. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტი (მისი საშემოსავლო და საგასავლო მხარეები) ისე უნდა დაბალანსდეს, რომ ის ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად იქცეს;
- *ეკონომიკური პროცესები თავად ახდენს გავლენას ბიუჯეტზე.* კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად, იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც. ამ პირობებში მთავრობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს მეტი ღონისძიებები. ამასთან, მცირდება სესხის აღების საჭიროება;
- *ბიუჯეტი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს.* ამასთან, ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას გასულ წლებში მთავრობის მიერ მოზიდულ და

დახარჯულ თანხებზე, ასევე მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების სამომავლო ხარჯვასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მის შემდეგ ფუნქციებში ვლინდება:

- ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილება;
- ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სტიმულირება;
- სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა;
- კონტროლი ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაზე[1].

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილება: ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების მოღვაწეობის მატერიალური საფუძველი მის ბიუჯეტში თავმოყრილი ფინანსური რესურსებია. ეს ფინანსური რესურსები წარმოადგენს ეკონომიკაში შექმნილი ღირებულების ნაწილს, რომელიც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებისა და სხვა შემოსულობების სახით აკუმულირდება ხელისუფლების განკარგულებაში მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტი ეკონომიკაში შექმნილი ღირებულების ანუ ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით გადანაწილდება აგრეთვე ეროვნული სიმდიდრის ღირებულების ნაწილიც.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტების სახსრები მიმართულია ისეთი სფეროების განვითარებაზე, როგორიცაა: აგროსამრეწველო კომპლექსი, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ტრანსპორტი და სხვა. ბიუჯეტი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის რაციონალური სტრუქტურის ფორმირებას, დარგობრივი პროპორციების გაუმჯობესებას, სახელმწიფო სახსრების ეფექტიან გამოყენებას.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტური სახსრები, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა იყოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების, მიზნობრივი პროგრამების განხორციელების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სოციალური განვითარების, მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსებაზე და ა.შ.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სტიმულირება: ხარჯებისა და გადასახადების საშუალებით ბიუჯეტი ეკონომიკის და ინვესტიციების რეგულირებისა და სტიმულირების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ბიუჯეტის მეშვეობით სახელმწიფო ზემოქმედებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროზე, კერძოდ:

---

[1] Финансы: Учебник / А. С. Нешитой, Я. М. Воскобойников. - 10-е изд. - М.: Издательско-торговая корпорация „Дашков и К°“, 2012, с.147.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე, დაგროვების ნორმის ამაღლებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დაჩქარებაზე, მეურნეობის სტრატეგიული მნიშვნელობისა და პერსპექტიული დარგების პრიორიტეტულ განვითარებაზე. ასეთი ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზანი მაღალეფექტიანი და სწრაფადანაზღაურებადი პროგრამების რეალიზაციაა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის აქტიურად გამოიყენება:

(ა) საგადასახადო პოლიტიკა შესაბამისი საგადასახადო მექანიზმის მეშვეობით, - ეკონომიკაზე ზემოქმედების არაპირდაპირი გზა;

(ბ) ბიუჯეტებიდან უშუალო დაფინანსება, - ეკონომიკაზე ზემოქმედების პირდაპირი გზა.

სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა: განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების ფინანსური რესურსების საკმაოდ დიდი ნაწილი იხარჯება სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების შესასრულებლად. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება იმაში, რომ ამ ბიუჯეტების სოციალური ხარჯები სამუშაო ძალის კვლავწარმოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია, რამდენადაც ისინი უზრუნველყოფენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროების დაფინანსებას[1].

ფულადი სამუალებების ცენტრალიზებული ფონდის ფორმირებასა და გამოყენებაზე კონტროლი: საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში განისაზღვრება ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფულად ფონდებს შორის რაციონალური თანაფარდობა ანუ ფინანსური რესურსების მოცულობა, რომელიც კონცენტრირდება, ერთი მხრივ, საწარმოთა განკარგულებაში, ხოლო მეორე მხრივ, - ბიუჯეტში და ახასიათებს საწარმოთა მონაწილეობის ხარისხს საბიუჯეტო სისტემის შემოსავლების ფორმირებაში. ეს ნიშნავს, რომ საბიუჯეტო დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლი.

ბიუჯეტის ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარე, განისაზღვრება **საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები**, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

- ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;
- ფინანსური სტაბილიზაციის ხელშეწყობა;
- საინვესტიციო აქტიურობის სტიმულირება ანუ ეროვნულ შემოსავალში დაგროვების წილის ზრდა;
- ბიუჯეტიდან მატერიალური წარმოების დარგებზე სახელმწიფო დოტაციების სახით გაცემული არამწარმოებლური ხარჯების შემცირება;

---

[1] Финансы: Учебник / А. С. Нешитой, Я. М. Воскобойников. - 10-е изд. - М.: Издательско-торговая корпорация „Дашков и К°", 2012. с.148.

- ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განმტკიცება საგადასახადო დაბეგვრის სრულყოფისა და გადასახადების გადახდაზე კონტროლის გაძლიერების გზით;
- სახელმწიფო ხარჯების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებაზე ფინანსური კონტროლის ქმედითი სისტემის შექმნა;
- სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და ცვლილებაზე კონტროლის გაძლიერება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ეკონომიკაზე ზემოქმედების სამი ძირითადი ბერკეტი გააჩნია: (1) სახელმწიფო ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება; (2) სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების წყაროების (ანუ ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების) ცვლილება; (3) საფინანსო პოლიტიკის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიღება და სისტემატიური სრულყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებობდეს საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია, სწორი ფინანსური პოლიტიკა, გამართული საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა.

4.2. საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა

საბიუჯეტო მოწყობა განსაზღვრავს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციას, მის ცალკეულ რგოლებს შორის ურთიერთკავშირებს, საბიუჯეტო სისტემაში შემავალი ბიუჯეტების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, ბიუჯეტების შემადგენლობასა და სტრუქტურას, საბიუჯეტო საშუალებების ფორმირებისა და გამოყენების პროცედურულ მხარეებს.

საბიუჯეტო მოწყობის საფუძვლები განისაზღვრება ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმით, მასში მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, ბიუჯეტის როლით საზოგადოებრივ კვლავწარმოებასა და სოციალურ პროცესებში. საბიუჯეტო მოწყობის შემადგენელი ნაწილი და საფინანსო სისტემის წამყვანი რგოლია საბიუჯეტო სისტემა.

საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების, საბიუჯეტო ურთიერთობებში დამოუკიდებელი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ფონდების ბიუჯეტების ერთობლიობას, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სახელმწიფოებრივ მოწყობასა და სამართლებრივ ნორმებზე.

საბიუჯეტო სისტემის აგება დამოკიდებულია ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული მოწყობის ფორმებისაგან. ცენტრსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს შორის ხელისუფლების განაწილების ხარისხის მიხედვით არსებობს უნიტარული, ფედერალური და კონფედერალური სახელმწიფოები.

უნიტარული (ერთიანი) სახელმწიფო - ეს არის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, რომლის დროსაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარ-

მონაქმნებს არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა ან ავტონომია. ქვეყანაში მოქმედებს ერთიანი კონსტიტუცია, ყველა სისტემისათვის საერთო უფლებები და ხელისუფლების ერთიანი ორგანოები, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესების ცენტრალიზებული მართვა[1].

ასეთი ტიპის სახელმწიფოებს მართვის ორი რგოლი გააჩნიათ. ესენია: ცენტრალური და ადგილობრივი. შესაბამისად, უნიტარული სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემა შედგება ორი რგოლისაგან - *სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები*[2]. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება: ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია და ა.შ.

ფედერალური (გაერთიანებული) სახელმწიფო - ეს არის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოში შემავალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ფლობენ გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მათსა და ცენტრს შორის განაწილებული კომპეტენციების ფარგლებში[3].

ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში სახელმწიფო მართვა ხორციელდება სამ (ცენტრალურ, ფედერალურ და ადგილობრივ) დონეზე. ფედერალური სახელმწიფოებია: აშშ, გერმანია, კანადა, შვეიცარია და სხვ. შესაბამისად, ფედერალური სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემა სამრგოლიანია და შედგება *ფედერალური ბიუჯეტის, ფედერაციის წევრთა (აშშ-ში - შტატები, გერმანიაში - მიწები, კანადაში - პროვინციები) ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისაგან.*

კონფედერალური (სამოკავშირეო) სახელმწიფო - ეს არის სუვერენულ სახელმწიფოთა მუდმივი კავშირი, რომელიც შექმნილია გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური ან სამხედრო მიზნების მისაღწევად. ასეთი სახელმწიფოს ბიუჯეტი ფორმირდება კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების შენატანებიდან. ამასთან, კონფედერაციაში შემავალ თითოეულ სახელმწიფოში მოქმედებს თავისი დამოუკიდებელი საბიუჯეტო და საგადასახა-

---

[1] Финансы: учебник для студентов вузов, обучающихся по экономическим специальностям, специальности „Финансы и кредит" (080105) / Пол ред. Г.Б. Поляка. - 3-е изд., перераб. и доп. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2008, с.58.

[2] მათ შორის წამყვანი ადგილი სახელმწიფო ბიუჯეტს უჭირავს. მისი მეშვეობით მართვის ცენტრალური ორგანოები თავიანთ განკარგულებაში მოაქცევენ ეროვნული შემოსავლის ნაწილს და გადაანაწილებენ მას შემდგომი გამოყენებისათვის.

[3] Финансы: учебник для студентов вузов, обучающихся по экономическим специальностям, специальности „Финансы и кредит" (080105) / Пол ред. Г.Б. Поляка. - 3-е изд., перераб. и доп. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2008, с.58.

დო სისტემები[1]. მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი კონფედერაცია - ევროკავშირი[2].

ნებისმიერ ქვეყანაში სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ურთიერთობები, მათი შემოსავლების წყაროები და ხარჯვის მიმართულებები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობით.

საქართველოს საბიუჯეტო მოწყობისა და საბიუჯეტო სისტემის საფუძვლები განისაზღვრება ქვეყნის კონსტიტუციითა და საბიუჯეტო კოდექსით.

საქართველოს კონსტიტუციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო...", მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ".

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა"[3].

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"[4], „აჭარის ავტონომიური რეს-

---

[1] Финансы: учебник для студентов вузов, обучающихся по экономическим специальностям, специальности „Финансы и кредит" (080105) / Пол ред. Г.Б. Поляка. - 3-е изд., перераб. и доп. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2008, с.58.

[2] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 – 483 გვ.

[3] საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი": www.mof.ge/show_law.aspx?id =711.

[4] ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტების შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რეს-

პუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, **საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები**, რომელთა დაცვა სავალდებულოა საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილისათვის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე, შემდეგია:

- *ყოვლისმომცველობა* – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;
- *გამჭვირვალობა* – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;
- *ანგარიშვალდებულება* – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
- *დამოუკიდებლობა* – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- *ერთიანობა* – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;
- *უნივერსალობა* – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს


პუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების და ამ ხელისუფლებების ორგანოების მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან / და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

- *კონსოლიდირება* – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სტრუქტურულად მოიცავს:

- საქართველოს ნაერთ ბიუჯეტს;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს (ნახაზი 4.1).



ნახაზი 4.1: საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, რომლებიც სავალდებულოა საბიუჯეტო იერარქიის ყველა დონეზე. მათგან განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვანია ნორმები, რომლებიც არეგულირებს საბიუჯეტო კლასიფიკაციას, პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს, ყველა დონის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს, ბიუჯეტის დეფიციტსა და პროფიციტს, ასიგნებებს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიასა და პასუხისმგებლობას, ბიუჯეტის საკასო შესრულებას, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას, ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნებას და სხვა გადასახადის გადახდის ანგარიშში გადატანას, ფულის მართვასა და გაცემის გეგმას, სახელმწიფო ხაზინას, სესხისა და გარანტიების გაცემას და სახელმწიფო ვალის ლიმიტირებას, სესხის გაცემის უფლებამოსილებას.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე პროგრამულ კლასიფიკაციას.

პროგრამული კლასიფიკაცია არის პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების ერთობლიობა და განისაზღვრება ბიუჯეტით. საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის პროგრამული კლასიფიკაცია ასევე მოიცავს მხარჯავ დაწესებულებებს და, შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებს.

პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, ასევე ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ. პროგრამულ ბიუჯეტში ასიგნებები გამოიყოფა პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ასიგნებები ასევე გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და, შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

კაპიტალური ბიუჯეტი არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია ინოვაციური და ინვესტიციური პროექტების სარეალიზაციოდ. მისი მთავარი მიზანია ეკონომიკური განვითარება, რის გამოც მას ბევრ ქვეყანაში *განვითარების ბიუჯეტს* უწოდებენ.

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- შემოსავლები;

- არაფინანსური აქტივების კლება (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- ფინანსური აქტივების კლება (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- ვალდებულებების მატება (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ხარჯები;
- არაფინანსური აქტივების მატება (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- ფინანსური აქტივების მატება (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- ვალდებულებების კლება (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი: ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის *ბიუჯეტის საოპერაციო სალდო,* ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა-*ბიუჯეტის მთლიანი სალდო.* დადებითი მთლიანი სალდო არის *ბიუჯეტის პროფიციტი,* ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო - *ბიუჯეტის დეფიციტი.*

ასიგნებები ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში: საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისთვის - შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გამოსცემს სათანადო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სტან-

დარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას.

საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები პასუხისმგებელი არიან შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვისა და კონტროლისთვის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია ბიუჯეტის შემოსულობების, გადასასდელებისა და ნაშთის ცვლილების, აგრეთვე სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ოპერაციების აღრიცხვისთვის.

ბიუჯეტის საკასო შესრულება: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, აგრეთვე საიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები სრულდება საკასო მეთოდით. შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გაცემის უფლებამოსილება წყდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბერს 24 საათზე.

ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება: პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტში მისამართი შემოსულობების სრულად და დროულად მობილიზება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობები არის პროგნოზი და არ ზღუდავს ფაქტობრივ აკრეფას მაჩვენებლების გადამეტებით. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ყველა შემოსულობა დაუყოვნებლივ მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება: შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გადახდაზე ვალდებულების აღებისა და გადახდის განხორციელების უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოცემული წესებით. ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა. მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი საშუალოვადიანი გეგმით მხარჯავი დაწესებულებისათვის/პრიორიტეტისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

ასეთ შემთხვევაში მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტის და ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტში, ხოლო თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელმა ორგანომ – შესაბამის პრიორიტეტში. შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით შესაძლებელია შესაბამისი საშუალოვადიანი გეგმით გათვალისწინებული პარამეტრებისაგან განსხვავებული მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღება.

ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნება და სხვა გადასახდის გადახდის ანგარიშში გადატანა: სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების და შემოსულობის სხვა სახეში გადატანის, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე. ბიუჯეტის შემოსულობის შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებისას კორექტირება ხდება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის დაბრუნებული ან შემოსულობის სხვა სახეში გადატანილი თანხით.

ფულის მართვა და გაცემის გეგმა: საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ფული გაიცემა ბიუჯეტების განწერის მიხედვით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ფული გაიცემა ბიუჯეტების განწერისა და ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის საფუძველზე. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულის გაცემის ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი პერიოდის შემოსულობების, ნაშთის ცვლილებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ბიუჯეტების განწერით დადგენილ მაჩვენებლებს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის პროექტს ადგენს, ამტკიცებს და ფულს გასცემს საქართველოს ფინანსთა მინისტრი საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამტკიცებული წესის მიხედვით.

სახელმწიფო ხაზინა: სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული

პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების სრულად და სწორად აღრიცხვისათვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშგებისათვის.

სახელმწიფო ხაზინას საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს ერთიანი ანგარიში. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გახსნას დამატებითი ანგარიშები სხვა ბანკებში.

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშისა და სხვა ანგარიშების მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას.

სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები ინახება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის სხვა ანგარიშებზე.

სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის ბოლოს ამზადებს ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

სახელმწიფო ხაზინის თანხმობის გარეშე დაუშვებელია საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გააუქმოს საბანკო ანგარიშის გახსნის ნებართვა და დახუროს ანგარიში. საბიუჯეტო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ყველა შემოსულობის სრულად და დაუყოვნებლივ აღრიცხვას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, თუ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტები.

საბიუჯეტო ორგანიზაცია უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს ან/და ამობეჭდოს სახელმწიფო ხაზინაში ელექტრონულად წარდგენილი და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მიერ დადასტურებული ნებისმიერი დოკუმენტი. ამასთანავე, ელექტრონული ასლის სახით შენახულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს.

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის უსაფრთხოების ნორმები, წესები და მომსახურების პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობების მიღების მიზნით თავის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები განათავსოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია შეთანხმების საფუძველზე მომსახურება გაუწიოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოს.

სესხის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილება: სახელმწიფო სესხის აღება და სახელმწიფო გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ, სესხი აიღონ საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.

სახელმწიფო ვალის ლიმიტები და სახელმწიფო გარანტიები: წლიური ბიუჯეტი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვისთვის და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

სესხის გაცემის უფლებამოსილება: სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხი შესაძლებელია გაიცეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

4.3. საბიუჯეტო პროცესი და მისი ორგანიზაცია

საბიუჯეტო პროცესი ხელისუფლების ორგანოების რეგლამენტირებული საკანონმდებლო საქმიანობაა სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, შესრულების შესახებ ანგარიშის შედგენისა და მისი დამტკიცების მიმართულებით. მისი შინაარსი განისაზღვრება ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით.

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 92-ე და 93-ე მუხლებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, **საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას,**

განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ამოცანები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ყველა სახის მატერიალური და ფინანსური რეზერვის მაქსიმალურად გამოვლენა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების მიზნით;
- ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების, აგრეთვე, გადასახადების სახეების მიხედვით საგადასახადო შემოსავლების და სხვა შემოსულობების განსაზღვრა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამებისა და საპროგნოზო შეფასებების შესაბამისად;
- ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მთლიანი მოცულობისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით დანახარჯების სტრუქტურის განსაზღვრა;
- ბიუჯეტის შესაბამისობის უზრუნველყოფა ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამასთან, რაც მიმართული იქნება ინფლაციური პროცესების დაძლევისა და ეროვნული ფულადი ერთეულის სიმყარის უზრუნველყოფაზე;
- ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ლიკვიდაცია შემოსავლების მიღების ეკონომიკურად ეფექტიანი წყაროების საფუძველზე;
- საბიუჯეტო იერარქიის რგოლებს, ეკონომიკის ცალკეულ სფეროებსა და დარგებს შორის სახელმწიფო შემოსავლების წყაროების სწორად გადანაწილება, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დაბალანსებულობის უზრუნველყოფის მიზნით;
- პერსპექტიული საბიუჯეტო დაგეგმვის როლის ამაღლება, რამაც უნდა უზრუნველყოს ყველა მსხვილმასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების პროპორციულობა და დაბალანსება;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება იურიდიული პირების ფინანსურ საქმიანობასა და ცალკეული მოქალაქეების შემოსავლებზე, მათ მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისას;
- ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების პროცესში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების ფართოდ გამოყენება.

საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობენ:

- ქვეყნის პრეზიდენტი;
- საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ხელისუფლების ორგანოები;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები;
- ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები;
- სახელმწიფო სპეციალური (არასაბიუჯეტო) ფონდები;
- საბიუჯეტო სახსრების განმკარგველები;
- საბიუჯეტო დაწესებულებები, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები;
- საბიუჯეტო სახსრების მიმღები სხვა ორგანიზაციები;

- საბიუჯეტო სახსრებთან დაკავშირებული ოპერაციების განმხორციელებელი საკრედიტო დაწესებულებები.

საბიუჯეტო პროცესი ითვალისწინებს მასში მონაწილე სუბიექტების უფლებამოსილების გამიჯვნას. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, მკაფიოდაა გამიჯნული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა საბიუჯეტო პროცესში. კერძოდ:

1. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

- სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია:

- სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით შემოღებულია ნაერთი ბიუჯეტის კატეგორია, საჭირო გახდა ასეთი ინფორმაციის მომზადებისათვის პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა. ასეთ ორგანოებად დადგენილ იქნა:

- სახელმწიფოს ერთიანი, საქართველოს ნაერთი და ცენტრალური ბიუჯეტებისათვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური და ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო;
- ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

ზოგადად, საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ბიუჯეტის პროექტის შედგენა და მისი განსახილველად წარდგენა შესაბამის საკანონმდებლო ორგანოში;
- ბიუჯეტის პროექტის შეფასება, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;
- ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება და მისი შესაბამისი საკანონმდებლო აქტის სახით მიღება;
- დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება;
- ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების შედგენა;
- ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების დამტკიცება და მისი შესაბამისი საკანონმდებლო აქტის სახით მიღება;
- ბიუჯეტის შესრულების ნაერთი (კონსოლიდირებული) დოკუმენტის შედგენა.

საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილია **საბიუჯეტო რეგულირება**, რომელიც ნიშნავს საბიუჯეტო შემოსულობების გადანაწილებას სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 25-ე მუხლი ადგენს **შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესს**. კერძოდ:

1. შემოსულობები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება 4.1. დანართის შესაბამისად.

2. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსულობები ამ რესპუბლიკების სხვა დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

4. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/საურავები და სხვა შემოსულობები მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი). შესაბამის ბიუჯეტში მიიმართება ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დონორისგან მიღებული დაფინანსების ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/საურავები, თუ დონორთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

გარდა ამისა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს **გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობების განაწილების წესს**. კერძოდ: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლო-

ბით გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები განაწილდება შემდეგი სახით:

- სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად მიიმართება შემდეგი გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები:
  - ✓ ფიქსირებული გადასახადი მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე;
  - ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
  - ✓ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი;
  - ✓ გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;
  - ✓ ფიქსირებული გადასახადი სიგარილასა და ფილტრიანი სიგარეტის იმპორტზე;
  - ✓ სოციალური გადასახადი.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში სრულად მიიმართება შემდეგი გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები:
  - ✓ მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი;
  - ✓ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი;
  - ✓ ქონების გადაცემისათვის გადასახადი;
  - ✓ საკურორტო გადასახადი;
  - ✓ სასტუმროს გადასახადი;
  - ✓ რეკლამის გადასახადი;
  - ✓ გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.
- მცირე ბიზნესის გადასახადიდან და ფიქსირებული გადასახადიდან მიღებული თანხების 80% მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 20% – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში.

4.4. საბიუჯეტო რეფორმის შედეგები და ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში

საგულისხმოა, რომ საქართველოს საბიუჯეტო პროცესს არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ განვლილ პერიოდში საბიუჯეტო პროცესი დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

საბიუჯეტო რეფორმა, რომელიც 2004 წლიდან დაიწყო, გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან – GFSM 2001, ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას. ბევრი გაკეთდა ხარჯების საშუალოვა-

დიანი დაგეგმვის (MTEF) დანერგვის კუთხით. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) ფორმატმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, მას შემდეგ, რაც ის პირველად მომზადდა 2005 წელს.


ახალი საბიუჯეტო კოდექსით საკანონმდებლო დონეზე გამყარდა კავშირი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიური ბიუჯეტის კანონის დაგეგმვას შორის. დოკუმენტი ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს, გასული წლებისა და დასაგეგმი წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებს. თანდათანობით დოკუმენტში აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მხარჯავი დაწესებულების, ასევე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები.

საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით ყოველწლიურად ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 4-წლიან დოკუმენტს, რომლის სტრუქტურა ასახულია 4.2. ნახაზზე.

ეს დოკუმენტი ასახავს სამინისტროებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ დაფინანსებას და მიზნებს. დოკუმენტი ადგენს ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის. შედეგად, BDD დოკუმენტი წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტის ერთგვარ ჩარჩოს და იმ პაკეტის ნაწილს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს, ხოლო მისი საბოლოო ვარიანტი მიეწოდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დასაგეგმი წლის იანვრის თვეში.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:
  - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მშპ, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;
  - ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;



სახაზი 4.2: ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა

- გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:
  - საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს;
  - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებს, მათ მიზნებსა და დაფინანსების ოდენობებს;
  - მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

- აგრეგირებულ მაჩვენებლებს სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები საბიუჯეტო განაცხადში ასახავენ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს;

O დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების კიდევ ერთი ეტაპია **ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა.** 2009 წელს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საკანონმდებლო დონეზე მოხდა აღნიშნული ვალდებულების აღიარება, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადების ვალდებულება წარმოიქმნა 2012 წლისთვის, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის – 2013 წლისათვის.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება მიზნად ისახავდა საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის შეძლებისდაგვარად ნათელი წარმოდგენის შექმნას პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შესაბამისად, პირველ რიგში აუცილებელია განიმარტოს თავად ***პროგრამული ბიუჯეტის არსი და მისი შემოღების მიზანშეწონილობა.***

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ მისი დაფინანსებით გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობა სწორედ ისაა, რაშიც მდგომარეობს მის დანერგვასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პრობლემა. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, პარარელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი. ამავე დროს, ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

ბოლო წლების მანძილზე პილოტურ სამინისტროებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან, პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის კონცეფციის შესამუშავებლად ჩატარებული სამუშაოებისა და საერთაშორისო გამოცდილების შედეგად გამოიკვეთა, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს გარდამავალი ეტაპი, რა შესაძლო სირთულეები იქნება გადასალახი პროგრამული ბიუჯეტის ფორმატის ყველა დონის ბიუჯეტზე გავრცელების შემდეგ და რა მეთოდებით შეიძლება გარდამავალი ეტაპი მაქსიმალურად მოქნილი იყოს საჯარო სექტორისთვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" - დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია მიზნად ისახავს უკვე ჩატარებული სამუშაოებიდან მიღებული გამოცდილებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე წარმოადგინოს პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური განმარტება, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის, ასევე მეთოდური მითითებები შესაბამისი დონის ბიუჯეტების მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც მათ გაუადვილებთ ტრადიციული ბიუჯეტის სტრუქტურიდან პროგრამული ბიუჯეტის ფორმატზე გადასვლას.

აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდურ მითითებებს: სახელმწიფო ბიუჯეტისთვის; ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისთვის. მაშასადამე, სამივე დონის ბიუჯეტისათვის წარმოდგენილია მეთოდოლოგიური მითითებები, პროგრამულ ბიუჯეტზე გარდამავალ პერიოდში თუ როგორ უნდა შემუშავდეს:

- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი და პრიორიტეტების დოკუმენტი (ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის) – დოკუმენტი, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის პირ-

ველი ეტაპი, მისი შემადგენელი ნაწილები და მასში მოცემული ინფორმაციის დატვირთვა შესაბამისი დონის საბიუჯეტო პროცესთან მიმართებაში;

• პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურა – რა ტიპის ინფორმაცია, რა თანმიმდევრობით უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამისი დონის პროგრამული ფორმატის ბიუჯეტში;

• პროგრამა, როგორც პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია – მეთოდოლოგიის დიდი ნაწილი ეთმობა თავად პროგრამის, როგორც პროგრამული კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიის განსაზღვრას, მის სახეებს და ტიპებს, ასევე პროგრამის შემადგენელი ელემენტების (ქვეპროგრამები/ღონისძიებები) დახასიათებას და პროგრამის შედეგების და მისი შესრულების შეფასების ინდიკატორების აღწერას;

• პროგრამული ბიუჯეტის დანართი და მისი შევსების ინსტრუქცია – პროგრამის, მისი ქვეპროგრამების, განმახორციელებლების, მოსალოდნელი შედეგების, მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორების, დაფინანსების წყაროებისა და მოცულობის შესახებ რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების დანართში;

• კაპიტალური ბიუჯეტის დანართი და მისი შევსების ინსტრუქცია – რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების კაპიტალურ პროექტებთან მიმართებაში;

• პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში – რა ტიპის ინფორმაცია და რა თანმიმდევრობით უნდა იქნეს წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, რომელიც დაფუძნებული იქნება ინდიკატორების საშუალებით მიღწეული შედეგების გაანალიზებაზე და არა მხოლოდ ასიგნებების ათვისებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამულ ფორმატზე გადავიდა, პირველად 2013-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა განსხვავებული ფორმატით, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკე-

ბი. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორული სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში.

მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვების მომზადება სხვადასხვა ტიპის პროგრამებისთვის.

საბიუჯეტო რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დონის ბიუჯეტისა და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სრულყოფილად მოქცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. კერძოდ, განხორციელდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შესაბამისი მოდულების განახლება და 2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე.

რეფორმის შედეგად გაფართოვდა „საბიუჯეტო ორგანიზაციის“ ტერმინით გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო გავრცელდა საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ან/და მათ მიმართ ანგარიშვალდებულ/კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა იურიდიული პირზე (გარდა სამეწარმეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა). აღნიშნული საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობის მიღწევას უწყობს ხელს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ბიუჯეტის ფორმატი და წარდგენის პროცედურები, საჭირო ნაბიჯები გადაიდგა შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, საშუალოვადიანი პერსპექტივისა და სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტს შორის არსებული კავშირების განმტკიცების თვალსაზრისით.

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითიც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიური კვლევის შედეგებთან შედარებით (2012 წლის ინდექსის თანახმად 33-ე ადგილს იკავებდა) და „მნიშვნელოვნად გამჭვირვალე“ ქვეყნებს შორის მოექცა[1].

[1] http://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/OBS2015-OBI-Rankings-English.pdf


საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა საგადასახადო კანონმდებლობაში. აღნიშნული გულისხმობს მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელის“ დანერგვას ქვეყანაში. კერძოდ, მოგების გადასახადი მთლიანად გაუქმდება გაუნაწილებელ მოგებაზე, საშემოსავლო გადასახადით კი დაიბეგრება მხოლოდ ის თანხა, რომელსაც ბიზნესის დამფუძნებელი გაიტანს დივიდენდის სახით კომპანიიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება. რეფორმის შედეგად დაჩქარდება ეკონომიკური ზრდა, ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის; შეიქმნება ხელშემწყობი პირობები ბიზნესის განვითარებისთვის, ბიზნესი გახდება უფრო მდგრადი, მოხდება საგადასახადო ადმინისტრირებისა და აღრიცხვის გამარტივება, რაც ნიშნავს ბიზნესის დაზოგილ თანხებს.

2016 წელს მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, ცვლილების პროექტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მთელი რიგი რეგულაციები 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში. ცვლილებების თანახმად, 2017 წლიდან დაწესდა დამატებითი შეზღუდვები სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილთან მიმართებაში, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრული ფისკალური წესებისა და ლიმიტების დაცვა.

ამ ცვლილებების შესაბამისად, პარლამენტი უფლებამოსილია ხარჯვითი ნაწილის ძირითადი პარამეტრები შეზღუდოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვისაც. ასევე წესდება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისა და ოპტიმიზაციის ვალდებულება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებებისათვის. გამკაცრდა რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ბიუჯეტების დაგეგმვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინების აუცილებლობას.

ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში: 2011 წელს საქართველომ მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობასა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომაში, პასუხისმგებლიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდის საშუალებით კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრები (ნახაზი 4.3).



ნახაზი 4.3: მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრები

თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს, საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრის ან/და ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის /ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა. ამასთან, საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს, ისე ქვეყანასა და რეგიონში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

საკონტროლო კითხვები

1. განმარტეთ ბიუჯეტის ცნების არსი და ეკონომიკური შინაარსი.
2. განსაზღვრეთ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი.
3. განსაზღვრეთ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი.
4. განსაზღვრეთ სახელმწიფო ბიუჯეტი.
5. განსაზღვრეთ ცენტრალური ბიუჯეტი.
6. განსაზღვრეთ ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი.
7. განსაზღვრეთ ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.
8. განსაზღვრეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.
9. განსაზღვრეთ ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი.
10. განსაზღვრეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.
11. განსაზღვრეთ ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი.
12. განსაზღვრეთ დამტკიცებული ბიუჯეტი და დაზუსტებული ბიუჯეტი.
13. განსაზღვრეთ წლიური ბიუჯეტი.
14. განმარტეთ ბიუჯეტი ეკონომიკური და მატერიალური გაგებით.
15. ახსენით, რაში მდგომარეობს ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი.
16. ახსენით, რაში მდგომარეობს ბიუჯეტის შემოსავლების სოციალურ-ეკონომიკური არსი.
17. ახსენით, რაში მდგომარეობს ბიუჯეტის ხარჯების სოციალურ-ეკონომიკური არსი.
18. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციები.
19. განსაზღვრეთ საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები.
20. ახსენით, რა არის საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა, დაახასიათეთ მათი ფორმირების თავისებურებების განმსაზღვრელი ფაქტორები.
21. დაასახელეთ და დაახასიათეთ ცენტრსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს შორის ხელისუფლების განაწილების ხარისხის მიხედვით არსებული სახელმწიფოს ტიპები.
22. დაასახელეთ საქართველოს საბიუჯეტო მოწყობისა და საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები.
23. დაასახელეთ და დაახასიათეთ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები.
24. წარმოადგინეთ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა.
25. დაასახელეთ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები.
26. ჩამოთვალეთ ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები.
27. ახსენით, რა არის ბიუჯეტის დეფიციტი და პროფიციტი.
28. ახსენით, როგორ ხდება ბიუჯეტის საკასო შესრულება.
29. ახსენით, როგორ ხდება ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება.
30. ახსენით, როგორ ხდება ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება.

31. ახსენით, როგორ ხდება ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნება და სხვა გადასახადის გადახდის ანგარიშში გადატანა.
32. განმარტეთ საბიუჯეტო პროცესი, ჩამოთვალეთ მისი ძირითადი ამოცანები და მონაწილენი.
33. დაასახელეთ საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციის ძირითადი ელემენტები საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე.
34. გამიჯნეთ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა საბიუჯეტო პროცესში.
35. ახსენით, რა იგულისხმება საბიუჯეტო რეგულირებაში და შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესში.
36. განმარტეთ პროგრამული ბიუჯეტის არსი და ახსენით მისი შემოღების მიზანშეწონილობა.
37. წარმოადგინეთ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის სტრუქტურა.
38. გაანალიზეთ საქართველოში მიმდინარე საბიუჯეტო რეფორმის ძირითადი შედეგები.
39. განსაზღვრეთ ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში.
40. „A" სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B" სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. ბიუჯეტი	ა. საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია ინოვაციური და ინვესტიციური პროექტების სარეალიზაციოდ;
—	2. სახელმწიფო ბიუჯეტი	ბ. ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის;
—	3. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი	გ. კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;
—	4. ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი	დ. შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

		ბიუჯეტი;
—	5. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	ე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;
—	6. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი	ვ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;
—	7. დამტკიცებული ბიუჯეტი	ზ. ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის და მის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი;
—	8. დაზუსტებული ბიუჯეტი	თ. აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი;
—	9. გამჭვირვალობა	ი. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;
—	10. კაპიტალური ბიუჯეტი	კ. შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიათა სისტემა, რომელიც ასახავს განსაზღვრულ კონკრეტულ ურთიერთობებს.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. **უნიტარულ სახელმწიფოებში საბიუჯეტო სისტემა შედგება:**
   - ორი რგოლისგან;
   - სამი რგოლისგან;
   - ოთხი რგოლისგან;
   - ხუთი რგოლისგან.
2. **ბიუჯეტი მატერიალური გაგებით წარმოადგენს:**
   - სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების მასშტაბით ცენტრალიზებულ ფულად სახსრებს, რომლებიც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში;
   - ეკონომიკურ (ფულად) ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო ფულადი სახსრების ფონდის წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში;
   - კორექტირებულ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს;
   - აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს.
3. **ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში სახელმწიფო მართვა ხორციელდება:**
   - ორ მმართველობით დონეზე;
   - სამ მმართველობით დონეზე;
   - ოთხ მმართველობით დონეზე;
   - ხუთ მმართველობით დონეზე.
4. **საბიუჯეტო პროცესის ძირითად ამოცანებში არ შედის:**
   - ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მთლიანი მოცულობისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით დანახარჯების სტრუქტურის განსაზღვრა;
   - ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ლიკვიდაცია შემოსავლების მიღების ეკონომიკურად ეფექტიანი წყაროების საფუძველზე;
   - ფინანსური კონტროლის გაძლიერება იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე;
   - სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა.
5. **საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს განსაზღვრავს:**
   - საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
   - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
   - საქართველოს საბაჟო კოდექსი;
   - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.
6. **ყოვლისმომცველობა, როგორც საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, გულისხმობს:**
   - ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობას;
   - ბიუჯეტის ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვის აუცილებლობას შესაბამის ბიუჯეტებში;

- საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;
- ყველა სახელმწიფო შემოსულობით სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შექმნას და მის ხარჯვას კანონით დადგენილი წესით.

7. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" შედგება:
   - ორი კარისა და ოთხი თავისაგან;
   - სამი კარისა და ექვსი თავისაგან;
   - ხუთი კარისა და თხუთმეტი თავისაგან;
   - ექვსი კარისა და ოცი თავისაგან.
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სხვა უწყებებთან კოორდინაციით, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებზე მუშაობას იწყებს ყოველი წლის:
   - 1 იანვარს;
   - 1 თებერვალს;
   - 1 მარტს;
   - 15 აპრილს.
9. საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის:
   - საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი;
   - სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი;
   - სახელმწიფო ბიუჯეტი;
   - ცენტრალური ბიუჯეტი.
10. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასანწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა არის:
    - ცენტრალური ბიუჯეტი;
    - სახელმწიფო ბიუჯეტი;
    - საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი;
    - სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი.
11. ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის და მის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის:
    - ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;
    - ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
    - ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი.
12. აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის:
    - ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;
    - ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი;
    - ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი.

13. **ბიუჯეტის ფუნქციებს არ მიეკუთვნება:**
    - ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილება;
    - ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სტიმულირება;
    - საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა;
    - კონტროლი ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაზე.
14. **საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა იწოდება:**
    - ბიუჯეტის შემოსულობებად;
    - ვალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებად;
    - ბიუჯეტის შემოსავლებად;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებად.
15. **საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სტრუქტურულად არ მოიცავს:**
    - საქართველოს ნაერთ ბიუჯეტს;
    - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
    - ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს;
    - ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს.
16. **საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა იწოდება:**
    - ბიუჯეტის ხარჯებად;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართულ სახსრებად;
    - ბიუჯეტის გადასახდელებდ;
    - ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართულ სახსრებად.
17. **სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების და შემოსულობის სხვა სახეში გადატანის წესი განისაზღვრება:**
    - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით;
    - საქართველოს პარლამენტის დადგენილებით;
    - საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანებით;
    - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.
18. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:**
    - საქართველოს პარლამენტი;
    - საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
    - საქართველოს ხაზინა;
    - საქართველოს მთავრობა.
19. **საბიუჯეტო შემოსულობების გადანაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის იწოდება:**
    - საბიუჯეტო რეგულირებად;
    - საბიუჯეტო დაგეგმვად;
    - საბიუჯეტო კონტროლად;
    - საბიუჯეტო პროცესად.

20. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს:
    - გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
    - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს;
    - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს;
    - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.
21. ძირითადი ფისკალური წესების მიხედვით, საქართველოში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან უნდა იყოს:
    - არა უმეტეს 30%-ისა;
    - არა უმცირეს 40%-ისა;
    - არა უმეტეს 50%-ისა;
    - არა უმცირეს 60%-ისა.
22. ძირითადი ფისკალური წესების მიხედვით, საქართველოში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან უნდა იყოს:
    - არა უმეტეს 3%-ისა;
    - არა უმცირეს 6%-ისა;
    - არა უმეტეს 9%-ისა;
    - არა უმცირეს 12%-ისა.
23. ძირითადი ფისკალური წესების მიხედვით, საქართველოში სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-თან უნდა იყოს
    - არა უმეტეს 60%-ისა;
    - არა უმცირეს 30%-ისა;
    - არა უმეტეს 80%-ისა;
    - არა უმცირეს 20%-ისა.
24. ძირითადი ფისკალური წესების მიხედვით, საქართველოში ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა:
    - აქციზისა;
    - დამატებული ღირებულების გადასახადისა;
    - მოგების გადასახადისა;
    - საშემოსავლო გადასახადისა.
25. საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესაბამისი საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი იწოდება:
    - წლიურ ბიუჯეტად:

- დაზუსტებულ ბიუჯეტად;
- დამტკიცებულ ბიუჯეტად;
- საქართველოს ნაერთ ბიუჯეტად.

26. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს არ მიეკუთვნება:
    - ერთიანობა;
    - გამჭვირვალობა;
    - ანგარიშვალდებულება;
    - დაბალანსებულობა.
27. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა არის:
    - საქართველოს საბიუჯეტო სისტემა;
    - საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა;
    - საქართველოს საბიუჯეტო პროცესი;
    - საქართველოს საბიუჯეტო რეგულირება.
28. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებიდან - „ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში“ - არის:
    - ყოვლისმომცველობა;
    - კონსოლიდირება;
    - ერთიანობა;
    - დამოუკიდებლობა.
29. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს არ მიეკუთვნება:
    - ანგარიშვალდებულება;
    - ყოვლისმომცველობა;
    - ობიექტურობა;
    - გამჭვირვალობა.
30. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო ისტემის ძირითადი პრინციპებიდან - „ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“ - არის:
    - ერთიანობა;
    - დამოუკიდებლობა;
    - კონსოლიდირება;

- უნივერსალობა.

31. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებიდან - „ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში“ - არის:
   - ყოვლისმომცველობა;
   - უნივერსალობა;
   - კონსოლიდირება;
   - ერთიანობა.
32. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება:
   - არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;
   - საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებას;
   - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას;
   - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.
33. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ნაშთი არის შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული:
   - ფულადი სახსრების დაგროვება;
   - ფულადი სახსრები;
   - ფულადი სახსრების გამოყენება;
   - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
34. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, თავისუფალი ნაშთი ნაშთის ის ნაწილია:
   - რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნისთვის;
   - რომელიც ირიცხება სარეზერვო ფონდებში;
   - რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის;
   - რომელსაც დამოუკიდებლად განკარგავს საქართველოს ეროვნული ბანკი.
35. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ნაშთის ცვლილება არის:
   - შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების მხოლოდ გამოყენება;
   - შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების მხოლოდ დაგროვება;
   - შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;
   - არცერთი პასუხი სწორი არ არის.
36. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პროგრამა არის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია:

- განსხვავებული შინაარსის მიხედვით და გათვალისწინებული არ არის ერთი საბოლოო შედეგის მიღწევა;
- მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთზე მეტი მხარჯავი დაწესებულება;
- მსგავსი შინაარსის მიხედვით, მაგრამ ხორციელდება არა მხოლოდ ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად;
- მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება.

37. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო პროცესი მოიცავს:
- მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებას, კონტროლს;
- ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებას, კონტროლს;
- მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის დაზუსტებას, მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებას, დამტკიცებას, განხილვას, ანგარიშგებას, კონტროლს;
- მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, დაზუსტებას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებას.

38. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება, განმარტებულია როგორც:
- საბოლოო შედეგი;
- პროგრამა;
- ქვეპროგრამა;
- შესრულების შეფასების ინდიკატორი.

39. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა, ამტკიცებს:
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი დამოუკიდებლად;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან შეთანხმების საფუძველზე.

40. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს:
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- სახელმწიფო ხაზინის უფროსი;

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

41. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას ითანხმებს:
    - სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
    - საქართველოს ეროვნული ბანკი;
    - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
    - საქართველოს პარლამენტის აპარატი.
42. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებია:
    - ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები;
    - ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები;
    - ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები.
43. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებს არ მიუკუთვნება:
    - ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები;
    - შემოსავლები;
    - ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები.
44. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის გადასახდელებია:
    - ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები;
    - ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები.
45. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის გადასახდელებს არ მიეკუთვნება:
    - ხარჯები;
    - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები;
    - ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა;
    - ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები.
46. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის:
    - ბიუჯეტის დეფიციტი;
    - ბიუჯეტის საოპერაციო სალდო;
    - ბიუჯეტის მთლიანი სალდო;
    - ბიუჯეტის პროფიციტი.
47. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის მთლიანი სალდო არის:

- ბიუჯეტის შემოსავლებსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა;
- ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და ფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა;
- ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა;
- ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა.

48. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის დეფიციტი არის:
- ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო;
- ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო;
- ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო;
- ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო.

49. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის პროფიციტი არის:
- ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო;
- ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო;
- ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო;
- ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო.

50. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე წლიური ბიუჯეტების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად შეიძლება გაიცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების:
- 1/2-ისა;
- 1/12-ისა;
- 1/15-ისა;
- 1/20-ისა.

51. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს:
- საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების მხოლოდ შესრულებას;
- საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას;
- მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას;
- მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ასიგნებებს.

52. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, შემოსულობები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება:
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართის შესაბამისად.

53. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე მხარჯავ დაწესებულებებზე თანხების გაცემაზე უფლებამოსილია:
   - საქართველოს პარლამენტი;
   - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
   - საქართველოს აუდიტის სამსახური;
   - მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელი.
54. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, აგრეთვე საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები სრულდება:
   - დარიცხვის მეთოდით;
   - საკასო მეთოდით;
   - სასწრაფო გადარიცხვის მეთოდით;
   - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
55. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს:
   - საქართველოს ეროვნული ბანკი;
   - საქართველოს პარლამენტი;
   - საქართველოს მთავრობა;
   - სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
56. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, საქართველოს პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ:
   - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ;
   - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ;
   - საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ;
   - სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შეთანხმების შემდეგ.
57. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ:
   - საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის შემდეგ;
- შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობის შემდეგ;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შეთანხმების შემდეგ.

58. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის, ადგენს:
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილება;
- საქართველოს წლიური საბიუჯეტო კანონი.

59. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ვალის მართვისთვის და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე პასუხისმგებელია:
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტი;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- საქართველოს აუდიტის სამსახური.

60. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, წლიური ბიუჯეტითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას დადგენილი წესით იღებს:
- საქართველოს პარლამენტი;
- საქართველოს აუდიტის სამსახური;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

61. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ:
- ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით;
- ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით;
- საქართველოს პარლამენტის თანხმობით.

62. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების:
- 5%-ს;
- 2%-ს;
- 4%-ს;
- 3%-ს.

63. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საგანგებო ბიუჯეტს ამტკიცებს:

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტი;
- საქართველოს პარლამენტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით;
- საქართველოს პრეზიდენტთან შექმნილი სპეციალური კომისია.

64. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება:
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის მეშვეობით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით;
- სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით.

65. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები:
- სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ნაწილობრივ ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში;
- სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში;
- ირიცხება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ასევე ადგილობრივი; თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

დანართი 4.1: შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით

N	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები
1	2	3	4	5
1	საშემოსავლო გადასახადი:			
1.1	გარდა ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი	100		

	საშემოსავლო გადასახადისა			
1.2	განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის		100	
2	მოგების გადასახადი	100		
3	ქონების გადასახადი			100
4	დამატებული ღირებულების გადასახადი	100		
5	აქციზი	100		
6	იმპორტის გადასახადი	100		
7	სხვა გადასახადები (მათ შორის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ გადახდევინებული ჯარიმები, რომლებიც არ არის დარიცხული კონკრეტულ გადასახადზე), გარდა გაუქმებული გადასახადებისა(სხვა გადასახადები (მათ შორის, საგადასახადო ორგანოების მიერ გადახდევინებული ჯარიმები, რომლებიც არ არის დარიცხული კონკრეტულ გადასახადზე), გარდა გაუქმებული გადასახადებისა (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან))	100		
8	პროცენტები (სარგებელი) ცალკეული ხასიათის ფინანსური აქტივებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან (ფასიანი ქაღალდებიდან აქციების გარდა), სესხებიდან, დებიტორული დავალიანებიდან და სხვა შემოსავალი პროცენტებიდან, განკუთვნილი:			
8.1	ცენტრალური ხელისუფლებისათვის	100		
8.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისათვის		100	
8.3	ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის			100
9	შემოსავალი დივიდენდებიდან და საქართველოს ეროვნული			

	ბანკის მოგებიდან:			
9.1	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან	100		
9.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან		100	
9.3	ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან			100
9.4	საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან	100		
10	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
10.1	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის		100	
10.2	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის			100
11	შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც:			
11.1	განლაგებულია ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე და არ არის ავტონომიური რესპუბლიკების სარგებლობაში	65	35	
11.2	განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა)	65		35

	ტერიტორიაზე და არ არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარგებლობაში			
11.3	ავტონომიური რესპუბლიკების სარგებლობაშია		100	
11.4	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია			100
12	შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან	35	65	
13	შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან			100
14	შემოსავალი სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან, გადახდევინებული:			
14.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
14.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
15	რენტა (გარდა მიწისა), გადახდევინებული:			
15.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
15.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
15.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
16	საბაჟო მოსაკრებელი	100		

	ამოღებულ იქნეს (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან))			
17	სალიცენზიო მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
17.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
17.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
18	სანებართვო მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
18.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
18.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
18.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
19	სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი	100		
20	სარეგისტრაციო მოსაკრებელი	100		
21	სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი	100		
22	სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული:			
22.1	საქართველოს სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე	100		
22.2	საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის:			
22.2.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი	100		

	სამსახურების მიერ			
22.2.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
22.2.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
22.3	სხვა სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული:			
22.3.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
22.3.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
22.3.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
23	საკონსულო მოსაკრებელი	100		
24	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
24.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
24.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
24.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
25	სატენდერო მოსაკრებელი – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას:			
25.1	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით	100		
25.2	ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების სახსრებით		100	
25.3	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით – ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი			100

26	შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან			100
27	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
27.1	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	90	10	
27.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	90		10
28	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი			100
29	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის			100
30	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი			100
31	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის			100
32	მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული და ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)			100
33	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემიდან *(28.10.2010. N3775)*			100
34	სხვა მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
34.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
34.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
34.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა			100

	შესაბამისი სამსახურების მიერ			
35	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება:			
35.1	შემოსავალი აქციზური მარკების ნომინალური ღირებულებიდან	100		
35.2	შემოსავალი სხვა საქონლის რეალიზაციიდან, გადახდევინებული:			
35.2.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
35.2.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
35.2.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
35.3	შემოსავალი მომსახურებიდან, რომელიც გაწეულია:			
35.3.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
35.3.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
35.3.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
35.4	შემოსავალი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100		
35.5	შემოსავალი სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც:			
35.5.1	განლაგებულია ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია	65	35	
35.5.2	განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების	65		35

	(გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია			
35.5.3	ავტონომიური რესპუბლიკების სარგებლობაშია		100	
35.5.4	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია			100
35.6	შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	35	65	
35.7	შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან			100
35.8	შემოსავალი სხვა სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, გადახდევინებული:			
35.8.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
35.8.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
35.8.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
36	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმებიდან, საურავებიდან)			
36.1	შემოსავალი სხვადასხვა სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან,			

	გადახდევინებული:			
36.1.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
36.1.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
36.1.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
36.2	შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან	40		60
36.3	შემოსავალი საზღვრის უკანონოდ დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმიდან	100		
36.4	შემოსავალი გაცემული სესხის დაფარვის ვადის დარღვევისათვის გადახდილი საურავიდან, გადახდევინებული:			
36.4.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
36.4.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
36.4.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
36.5	შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისათვის გადახდილი ჯარიმებიდან, გადახდევინებული:			
36.5.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
36.5.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
36.5.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა			100

	შესაბამისი სამსახურების მიერ			
36.6	შემოსავალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმებიდან	100		
36.7	შემოსავალი სხვა ჯარიმებიდან და საურავებიდან, გადახდევინებული:			
36.7.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
36.7.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
36.7.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
37	შემოსავალი მიმდინარე ტრანსფერებიდან, შემოწირულებებიდან და ქველმოქმედებიდან (გრანტების გარდა), განკუთვნილი:			
37.1	ცენტრალური ხელისუფლებისათვის	100		
37.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისათვის		100	
37.3	ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის			100
38	შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან			100
39	ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსავალი, მიღებული:			
39.1	ცენტრალური ხელისუფლების მიერ	100		
39.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების მიერ		100	
39.3	ადგილობრივი თვითმმართველობის			100

	ორგანოების მიერ			
40	შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან:			
40.1	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, მათ შორის:			
40.1.1	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	100		
40.1.2	სახელმწიფო ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, რომლებიც:			
40.1.2.1	განლაგებულია ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	65	35	
40.1.2.2	ავტონომიური რესპუბლიკების სარგებლობაშია		100	
40.1.2.3	განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზებისა, რომლიდან შემოსული თანხაც სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში) ტერიტორიაზე *(13.07.2010 N 3439)*	65		35
40.1.2.4	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია			100
40.2	შემოსულობა ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	35	65	
40.3	შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული			100

	ძირითადი აქტივების გაყიდვიდან			
40.4	შემოსულობა ლიცენზიების გაყიდვიდან, განხორციელებული:			
40.4.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
40.4.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
40.5	შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან:			
40.5.1	შემოსულობა სტრატეგიული მარაგების გაყიდვიდან	100		
40.5.2	შემოსულობა სხვა მატერიალური მარაგების (ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია და შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი) გაყიდვიდან, განხორციელებული:			
40.5.2.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
40.5.2.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
40.5.2.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
40.6	შემოსულობა ფასეულობების გაყიდვიდან, განხორციელებული:			
40.6.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
40.6.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
40.6.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
40.7	შემოსულობა არაწარმოებული აქტივებიდან:			

40.7.1	შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია:			
40.7.1.1	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	50	50	
40.7.1.2	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	50		50
40.7.1.3	შემოსულობა ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		100	
40.7.1.4	შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან			100
40.8	შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია:			
40.8.1	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	20	80	
40.8.2	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	20		80
40.9	შემოსულობა ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		100	

40.10	შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან			100
40.11	შემოსულობა წიაღისეულიდან	100		
40.12	შემოსულობა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან	100		
40.13	შემოსულობა სხვა ბუნებრივი აქტივებიდან	100		
40.14	შემოსულობა არაწარმოებული არამატერიალური აქტივებიდან (პატენტები, სალიზინგო ხელშეკრულებები და სხვა ანალოგიური კონტრაქტები, აგრეთვე შეძენილი გუდვილი), გადახდევინებული:			
40.14.1	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
40.14.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
40.14.3	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
40.15	შემოსულობა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან			100
41	შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, განკუთვნილი:			
41.1	ცენტრალური ხელისუფლებისათვის	100		
41.2	ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისათვის		100	
41.3	ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის			100

თემა 5

სახელმწიფო ბიუჯეტი

„აუცილებელია, რომ ფული, რომელსაც სახელმწიფო ართმევს თავის ქვეშევრდომებს, შეესაბამებოდეს მათ შესაძლებლობებს და, არა თუ არ აჰარტახებდეს, არამედ მნიშვნელოვან ზიანსაც არ უნდა აყენებდეს ქონებას. მაგრამ, თუ საჭირო არ არის ზედმეტად დამძიმება, მაშინ არც იმაზე ნაკლები უნდა მოსთხოვოს, რაც აუცილებელია სახელმწიფოსათვის".
ა. რიშელიე

„სახელმწიფოს არსებობა და თავისი ამოცანების შესრულება მოითხოვს შემოსავლების საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შექმნას, რომელიც ადამიანებს არ წაართმევს სამეურნეო საქმიანობის რეალური გაძღოლის და სახელმწიფო ფინანსების უნარიანი მართვის ინტერესს".
ი. ლიპსიცი

გეგმა:

5.1. სახელმწიფო ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები;
5.2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა;
5.3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
5.4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი;
5.5. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა და მისი მიზნობრივი გამოყენების კონტროლი.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

5.1. სახელმწიფო ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს[1]. ზოგადად, *სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სახელ-*

[1] საგულისხმოა, რომ თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილდება მშპ-ის 50-60%, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 30-35%-ს აღწევს, მაგრამ ზოგჯერ ნაკლებიცაა. ასე მაგალითად, საქართველოში იგი ხშირად 25-26%-ია.

მწიფოს ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის ცენტრალიზებული ფულადი ფონდის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების ძირითად ფინანსურ გეგმას, რომელიც მტკიცდება სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მისი მთავარი დანიშნულებაა ფინანსური სამუალებების დახმარებით შექმნას პირობები ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის, საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ე" პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტი არის „საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა".

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, *საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები* არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდებად მოიცავს:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს;
- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს[1].

სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება *საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები.* ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს

[1] საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სხვა კატეგორიები შესაძლებელია განისაზღვროს წლიური ბიუჯეტით.

მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების (რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ) საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო[1].

სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება *საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი*, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. ამ ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო[2].

სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება *წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი*, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. ამ ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო[3].

საგულისხმოა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში. ამასთან, ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანით.

მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით. ამასთან, მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ

---

[1] თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

[2] თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

[3] თუ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. აღნიშნული გადანაწილების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა აცნობოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა იწვევს დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, საბიუჯეტო ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანამდე უნდა განახორციელოს შესაბამის პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი *საგანგებო ბიუჯეტი* საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

5.2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით 5.1. დანართის შესაბამისად.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუ-

ბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, - რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან – გუბერნატორებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით, რისთვისაც ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები და ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ყოველი წლის *1 მარტამდე* საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით საქართველოს მთავრობა ყოველი წლის *1 ივნისამდე* წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტების დასკვნები არა უგვიანეს 20 ივნისისა ეგზავნება საქართველოს მთავრობას. საქართველოს სამინისტროები ყოველი წლის *30 ივნისამდე* ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს.

საქართველოს მთავრობა *არაუგვიანეს 10 ივლისისა* იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც ეხება მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს) პირველად ვარიანტს და (გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც ეხება მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისათვის ავტონომიური რეს-

პუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს) წარუდგენს პარლამენტს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით *საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მიწოდებას,* რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად უნდა წარადგინონ ინფორმაცია მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ[1]. ამასთან, მხარჯავი დაწესებულებების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ინფორმაცია მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრულ კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

ამის შემდეგ იწყება მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის ეტაპი. მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ *არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.*

საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:
  - მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;
  - მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
  - მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

---

[1] საბიუჯეტო განაცხადს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარადგენენ: ჯერერთი, შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი/ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები; და მეორე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები ან მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები.

- ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;
- ინფორმაციას შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ, საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით, აგრეთვე ინფორმაციას მომუშავეთა დამტკიცებული რიცხოვნობისა და საპროგნოზო რიცხოვნობის შესახებ;

- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას, მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს;
- ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ[1].

მხარჯავი ორგანიზაციებიდან განაცხადების მიღების შემდეგ ფინანსთა სამინისტრო იხილავს მათ, ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს და *არაუგვიანეს 15 სექტემბრისა* წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

მთავრობის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტრო განაახლებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს და არაუგვიანეს 25 სექტემბრისა წარუდგენს მთავრობას[2].

---

[1] თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან, მხარჯავმა დაწესებულებამ საბიუჯეტო განაცხადთან ერთად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ.

[2] საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ დაწესებულებას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვარიანტი, რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს *არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა* წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად[1].

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით: (1) ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები; (2) არაფინანსური აქტივების ზრდა; (3) ფინანსური აქტივების ზრდა; (4) ვალდებულებების კლება.
- მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას (მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობას);
- სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;
- დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს[2];
- პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს[3].

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სტრუქტურულად მოიცავს 8 თავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები *(პირველი თავი);*
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები *(მეორე თავი);*

---

[1] სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

[2] მთელი ეს ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

[3] ეს ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

- სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია *(მესამე თავი);*
- სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება *(მეოთხე თავი);*
- სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები *(მეხუთე თავი);*
- საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება *(მეექვსე თავი);*
- ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი *(მეშვიდე თავი);*
- მარეგულირებელი ნორმები *(მერვე თავი).*

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:
  - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;
  - ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;
  - ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- დამატებითი ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- ინფორმაცია შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ[1].

---

[1] სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები (გარდა წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტისა) მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.

5.3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის წევრები.

საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ან მისი მოადგილე, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სამინისტროებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას წარადგენს შესაბამისი მინისტრი ან მისი მოადგილე საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად.

საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს პარლამენტი *არაუგვიანეს 22 ოქტომბრისა* უგზავნის საქართველოს მთავრობას[1].

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, *არაუგვიანეს 5 ნოემბრისა* ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

---

[1] ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმის შემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები *არაუგვიანეს 15 ნოემბრისა* ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს და მის შესაბამის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტს, პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, *არაუგვიანეს 30 ნოემბრისა* წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის *არაუგვიანეს დეკემბრის მე-3 პარასკევისა*. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სრითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტში *სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები* შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

თუ საქართველოს პარლამენტი *დეკემბრის მე-3 პარასკევამდე* ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ *არაუგვიანეს 31 დეკემბრისა*.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ხარჯები იფარება წინა წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, საბიუჯეტო კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან *არაუგვიანეს 1 თვისა* საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას.

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის 4[1] პუნქტის თანახმად, თუ პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში

ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას, ეს ჩაითვლება უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად და თუ პარლამენტი დადგენილ ვადაში უნდობლობას ვერ გამოუცხადებს მთავრობას, პრეზიდენტი ამ ვადის ამოწურვიდან 3 დღეში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. ასეთ ვითარებაში საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და, მას შემდეგ, რაც აირჩევა ახალი პარლამენტი, 1 თვის ვადაში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

წლიური საბიუჯეტო კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან /და დამატებების შეტანა საჭიროებს *წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.*

წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტისთვის დართული მასალები უნდა შეიცავდეს განახლებულ საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს და ცვლილებების ან/და დამატებების შინაარსის ამსახველ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების ან/და დამატებების შინაარსიდან გამომდინარე.

საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენიდან *7 დღის ვადაში* საქართველოს პარლამენტი კანონის პროექტთან დაკავშირებულ შესაბამის დასკვნებს უგზავნის საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგენს მიღებიდან *არაუგვიანეს 5 დღისა.* პროექტს უნდა ერთოდეს ინფორმაცია გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის გადამუშავებული ვარიანტის წარდგენიდან *არაუგვიანეს 5 დღისა.*

პლენარულ სხდომაზე წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტს წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით განსაზღვრული პირი. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს. ამასთან, იმ შემთხვევაში,

თუ საქართველოს პარლამენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსულობების მობილიზებისათვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას.

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია *სახელმწიფო ბიუჯეტის განწერა.* მხარჯავი დაწესებულებები *სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში* საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან *არაუგვიანეს 15* დღისა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახადების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება[1].

სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გა-

[1] წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საჭიროებს ახალი განწერის დამტკიცებას ან არსებულ განწერაში ცვლილებების შეტანას.

დახდების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. სახელმწიფო ხაზინა ასევე *აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს* და *დაბრუნებულ ზედმეტად გადახდილ თანხებს.*

სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის დასრულებიდან *20 დღის ვადაში* ამზადებს *ანგარიშგებას* სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყოველი კვარტალის დასრულებიდან *1 თვის ვადაში* საქართველოს პარლამენტს წარუდგენს *სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით,* რომელიც მოიცავს:

(1) მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;
(2) შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მხარჯავი დაწესებულებები და შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და ანგარიშგებებს, რომლებიც ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და მხარჯავი დაწესებულებებიდან და სხვა შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს *სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს,* რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო წლის დასრულებიდან *3 თვის ვადაში* გადასცემს მას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ ანგარიშის შესახებ მოხსენების დასრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისთანავე, მაგრამ საბიუჯეტო წლის დასრულებიდან *არაუგვიანეს 5 თვისა.*

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;
- ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების და მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების შესახებ);
- წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;
- შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაში აისახება მონაცემები წლის განმავლობაში სამინისტროებისა და უწყებების მიერ ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული სახსრების შესახებ, რომელთა აღრიცხვა/ხარჯვა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მისთვის გადაცემიდან *45 დღის ვადაში* საქართველოს მთავრობას აცნობებს ამ ანგარიშის შესახებ მოხსენების დასრულების თაობაზე და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების

მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იღებს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე.

მთლიანობაში, სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო კალენდარი ასახულია 5.1. ცხრილში.

ცხრილი 5.1: სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო კალენდარი[1]

ვადები	პასუხისმგებელი უწყება	პროცესი
1 მარტამდე	საქართველოს მთავრობა	ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით დადგენილებით განსაზღვრავს წარსადგენი ინფორმაციის ნუსხასა და წარდგენის ვადებს
1 ივნისამდე	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ
არაუგვიანეს 20 ივნისისა	საქართველოს პარლამენტი	საქართველოს პარლამენტის კომიტეტების დასკვნები ეგზავნება საქართველოს მთავრობას
ყოველი წლის 30 ივნისამდე	საქართველოს სამინისტროები	ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს
არაუგვიანეს 10 ივლისისა	საქართველოს მთავრობა	იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს
მთავრობის მიერ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოწონებიდან არაუგვიანეს 5 დღისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს
არაუგვიანეს 1	მხარჯავი	საბიუჯეტო განაცხადს წარუდგენენ

[1] შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით: http://www.parliament.ge/files/budget-off/diary-state-b.pdf

სექტემბრისა	დაწესებულებების ხელმძღვანელები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
არაუგვიანეს 15 სექტემბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას
არაუგვიანეს 25 სექტემბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობას
არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ასევე ბიუჯეტის პროექტის შესაბამის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს
არაუგვიანეს 22 ოქტომბრისა	საქართველოს პარლამენტი	საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს, უგზავნის საქართველოს მთავრობას
არაუგვიანეს 5 ნოემბრისა	საქართველოს მთავრობა	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პლენარულ სხდომაზე განსახილველად
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	საქართველოს პარლამენტი	პლენარულ სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს უგზავნის საქართველოს მთავრობას
არაუგვიანეს 30 ნოემბრისა	საქართველოს მთავრობა	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს, პლენარულ

		სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს
არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა	საქართველოს პარლამენტი	კენჭს უყრის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სრითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით
დეკემბრის მესამე პარასკევამდე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ვერ მიღებისას, 10 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა	საქართველოს პარლამენტი	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა უყრის კენჭს
სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას	საქართველოს პრეზიდენტი	დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და წარუდგენს დასამტკიცებლად ახალარჩეულ პარლამენტს უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში
სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში	მხარჯავი დაწესებულებები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ
სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახადების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ
დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის

		საბოლოო ვარიანტის მომზადებასა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას
ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში	სახელმწიფო ხაზინა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით
საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს
საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე
არაუგვიანეს 15 ივნისისა	საქართველოს პარლამენტი	იღებს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ
პარლამენტის მიერ ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, 1 თვეში	საქართველოს პრეზიდენტი	განიხილავს რა საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს, პარლამენტს აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე

5.5. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა და მისი მიზნობრივი გამოყენების კონტროლი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემასთან, სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლთან და სესხის დაფარვის შესრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით[1].

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხი გაიცემა მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე[2], რომელშიც უნდა განისაზღვროს:

- სესხის მიზნობრიობა;
- სესხის გაცემის წყარო (სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი, საბიუჯეტო დაწესებულების ასიგნება ან/და სხვა);
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ან/და გამონაკლისი შემთხვევა;
- სესხის გამცემი, სესხის გამომყოფი, სესხის მიმღები, კონტროლის განმახორციელებელი და სესხის ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეები;
- სესხის ოდენობა;
- სესხით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი;
- სესხით სარგებლობის და სესხის დაბრუნების ვადები.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან *სესხის გამცემია* ის საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლის ასიგნებებიდანაც გაიცემა სესხი ან/და რომელსაც გასაცემი სესხის რესურსი (თანხები) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოეყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან ან/და სხვა წყაროებიდან.

სესხის მიმღები შესაძლებელია იყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საწარმო ან ორგანიზაცია ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მეწარმე სუბიექტი ან ფიზიკური პირი.

სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებია:

- საბანკო გარანტია, რომლითაც სესხის მიმღების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტიის გამცემი ბანკი

---

[1] აღნიშნული ნორმები არ ვრცელდება: ა) უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გასაცემ სესხებზე; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტზე გასაცემ სესხებზე; გ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებამდე გაცემულ სესხებზე, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

[2] განკარგულებით შესაძლებელია განისაზღვროს ასევე სხვა პირობები, რომლებიც აუცილებელია სესხის გაცემისა და დაბრუნებისათვის, მისი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

კისრულობს წერილობით ვალდებულებას, სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნისთანავე სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს ფულადი თანხა სესხის მიმღების ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად;

- სადაზღვევო ორგანიზაციის სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), რომლითაც პოლისის გამცემი სადაზღვევო ორგანიზაცია კისრულობს წერილობით ვალდებულებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნისთანავე სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს ფულადი თანხა სესხის მიმღების ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად;
- საკუთარი ან მესამე პირის ქონების სესხის გამცემის სასარგებლოდ დაგირავება ან/და იპოთეკით დატვირთვა.

საგულისხმოა, რომ სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ირჩევს სესხის გამცემი.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობის შემთხვევაში სესხის გამცემი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად გამოიყენოს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

სესხის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას, რომლის თანახმადაც სესხის მიმღებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ეკისრება პირგასამტეხლო.

სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლს ახორციელებს სესხის გამცემი, თუ განკარგულებით არ არის განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

სესხის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში სესხის მიმღები ვალდებულია შეწყვიტოს სესხის არამიზნობრივი ხარჯვა, გონივრულ ვადაში გამოასწოროს დარღვეული პირობები, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის არამიზნობრივად გამოყენებული სესხის შესაბამისი ოდენობა მიმართოს საკუთარი სახსრებიდან.

თუ სესხის მიმღებმა არ უზრუნველყო ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება, სესხის მიმღები ვალდებულია წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დააბრუნოს არამიზნობრივად გამოყენებული სესხი (ტრანში) და გადაიხადოს მასზე დარიცხული პროცენტი, ჯარიმა, საურავი, რომლის დარიცხვა გაგრძელდება შესაბამისი ვალდებულებების შესრულებამდე.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების წარმოშობისთანავე სესხის გამცემს უფლება აქვს, სესხის მიმღების მიმართ გამოიყენოს სესხის ხელშეკრულებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს კა-

ნონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სესხის მიმღების მიმართ იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად სესხის გამცემი ვალდებულია ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების წარმოშობიდან არა უგვიანეს 6 თვისა წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინება უნდა ეფუძნებოდეს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობას, უნდა განსაზღვრავდეს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების ოდენობას, წარმოშობის საფუძვლებს და უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების საფუძველია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს ფინანსთა მინისტრი იხილავს და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების ან გამოუყენებლობის შესახებ. სახელმწიფო ინტერესებად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, საწარმოებზე (რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) და სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამ ვადის გასვლის შემდეგ სესხის გამცემის თხოვნა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ ითვლება დაუკმაყოფილებლად.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ამოიწერება სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქტის გასაჩივრება არ გამოიწვევს მისი აღსრულების, ასევე აღსრულების პროცესში განხორციელებულ ქმედებათა შეჩერებას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების შესახებ მონაცემები აისახება *რეესტრში,* რომელსაც აწარმოებს სესხის გამცემი. სესხის გამცემი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს: ა) თვეში ერთხელ (თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით) – რეესტრში ასახულ ინფორმაციას; ბ) სესხის ხელშეკრულების, სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის გრაფიკის, ასევე მათში განხორციელებული ცვლილებების ასლებს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების ერთიან რეესტრს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესსა და რეესტრის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საკონტროლო კითხვები

1. განსაზღვრეთ სახელმწიფო ბიუჯეტის ცნების არსი და დანიშნულება.
2. წარმოადგინეთ სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით.
3. დაახასიათეთ სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი „საქართველოს პრეზიდენტის ფონდი“.
4. დაახასიათეთ სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი“.
5. დაახასიათეთ სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“.
6. დაახასიათეთ სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“.
7. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საბიუჯეტო განაცხადი.
8. ახსენით, როგორ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა.
9. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.
10. ახსენით, რა ერთვის თან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.
11. ახსენით, როგორ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.
12. ახსენით, როგორ იფარება სამთავრობო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში.

13. ახსენით, როგორ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა.
14. ახსენით, როგორ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგება და აუდიტი.
15. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.
16. ახსენით, როგორ გაიცემა სესხი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განსაზღვრეთ სესხის გამცემი და მიმღები.
17. განსაზღვრეთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები.
18. ახსენით, როგორ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლი.
19. „A" სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B" სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. სახელმწიფო ბიუჯეტი	ა. ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას;
—	2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	ბ. ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
—	3. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები	გ. შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით;
—	4. სახელმწიფო ხაზინა	დ. განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
—	5. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	ე. პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსულობების მობილიზებისათვის;

—	6. საბიუჯეტო ორგანიზაციები	ვ. განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
—	7. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	ზ. ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გადახდების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ;
—	8. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები	თ. არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს;
—	9. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი	ი. წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება;
—	10. საქართველოს ფინანსთა მინისტრი	კ. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს არ მიეკუთვნება:
   - საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა;
   - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი;
   - წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო
   - გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი;
   - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების დამატებითი კატეგორიები შესაძლებელია განისაზღვროს:
   - სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური ბიუჯეტის კანონით;
   - საქართველოს პარლამენტის დადგენილებით;
   - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;
   - მხარჯავი დანესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით.

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების ჯამური მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის:
   - 0.2 %-ს;
   - 12 %-ს;
   - 22 %-ს;
   - 2%-ს.
4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, თანხებს გამოყოფს:
   - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
   - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
   - საქართველოს მთავრობის კანცელარია;
   - საქართველოს პარლამენტი.
5. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, თანხის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია:
   - საქართველოს პრეზიდენტი;
   - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
   - საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
   - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
6. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა:
   - სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებელი გადასახდელების
   - დასაფინანსებლად;
   - სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების
   - დასაფინანსებლად;
   - მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობის
   - დასაფარავად;
   - მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.
7. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ:
   - წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანით;
   - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;
   - მხარჯავი დაწესებულებების მიერ;
   - საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ.
8. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს:
   - მხოლოდ წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანით;
   - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით;
   - მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით;

- მხოლოდ საქართველო.

9. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების:
   - 10%-ს;
   - 15 %-ს;
   - 5%-ს;
   - 2%-ს.
10. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე პროგრამულ კლასიფიკაციაში პროგრამის/ქვეპროგრამის დამატებაზე, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლაზე უფლებამოსილია:
   - მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელი;
   - საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
   - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
   - პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.
11. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია:
   - საქართველოს მთავრობა სრული შემადგენლობით;
   - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
   - საქართველოს მთავრობის კანცელარია;
   - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.
12. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს:
   - საქართველოს პრეზიდენტი;
   - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
   - საქართველოს მთავრობა;
   - სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
13. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტს ყოველი წლის 1 ივნისამდე წარუდგინება:
   - ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი;
   - ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაცია;
   - სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები;
   - სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტი.
14. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციაზე კომიტეტების დასკვნებს საქართველოს მთავრობას უგზავნის:
   - არაუგვიანეს 18 ივნისისა;
   - არაუადრეს 30 ივნისისა;

- არაუგვიანეს 20 ივლისისა;
- არაუგვიანეს 20 ივნისისა.

15. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს სამინისტროები თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს ამტკიცებენ:
    - ყოველი წლის 30 ივლისამდე;
    - ყოველი წლის 30 ივნისამდე;
    - ყოველი წლის 1 ივნისამდე;
    - ყოველი წლის 1 ივლისამდე.
16. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს მთავრობა არაუგვიანეს 10 ივლისისა ინრონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის:
    - გადამუშავებულ ვარიანტს;
    - საბოლოო ვარიანტს;
    - პირველად ვარიანტს;
    - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
17. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად და ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი წარედგინება:
    - არაუადრეს 1 ოქტომბრისა;
    - არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა;
    - არაუადრეს 22 ოქტომბრისა;
    - არაუადრეს 18 ოქტომბრისა.
18. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმისშემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე საქართველოს პარლამენტის მიერ გამოთქმული შენიშვნა:
    - სავალდებულო ხასიათისაა;
    - საინფორმაციო ხასიათისაა;
    - სარეკომენდაციო ხასიათისაა;
    - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
19. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობას ეგზავნება:
    - არაუგვიანეს 23 ოქტომბრისა;
    - არაუგვიანეს 22 ოქტომბრისა;
    - არაუგვიანეს 24 ოქტომბრისა;
    - არაუგვიანეს 5 ნოემბრისა.
20. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარედგინება:
    - არაუგვიანეს 1 ნოემბრისა;
    - არაუგვიანეს 15 ნოემბრისა;
    - არაუგვიანეს 15 დეკემბრისა;

- არაუგვიანეს 5 ნოემბრისა.

21. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტზე პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობას ეგზავნება:
    - არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;
    - არაუგვიანეს 15 ნოემბრისა;
    - არაუგვიანეს 18 ნოემბრისა;
    - არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.
22. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო და მისი შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარედგინება:
    - არაუგვიანეს 15 დეკემბრისა;
    - არაუგვიანეს 5 დეკემბრისა;
    - არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა;
    - არაუგვიანეს 30 ნოემბრისა.
23. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის:
    - არაუგვიანეს დეკემბრის ბოლო პარასკევისა;
    - არაუგვიანეს 31 დეკემბრისა;
    - არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა;
    - არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.
24. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ მიიღება:
    - სამი მოსმენით;
    - ორი მოსმენით;
    - ერთი მოსმენით;
    - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
25. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ მიიღება:
    - სიითი შემადგენლობის 1/3-ით;
    - სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
    - სიითი შემადგენლობის 1/2-ით;
    - სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
26. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ინფორმაციის სახით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარედგინება:
    - არაუგვიანეს 31 დეკემბრისა;
    - დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 თვისა;
    - დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;
    - დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
27. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ანგარიშგება სახელმწიფო

ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მიერ მზადდება:

- ყოველი თვის 1 რიცხვისათვის;
- ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში;
- ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში;
- ყოველი კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში.

28. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით, რომელსაც წარუდგენს:
    - საქართველოს პრეზიდენტს;
    - სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;
    - საქართველოს პარლამენტს;
    - საქართველოს ეროვნულ ბანკს.
29. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაკუთრებული დაფინანსების წესით:
    - სარგებლობენ საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები, საქართველოს პროკურატურა, იურიდიული დახმარების სამსახური;
    - სარგებლობს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
    - სარგებლობენ მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო,საერთო სასამართლოები და საქართველოს პროკურატურა;
    - სარგებლობენ მხოლოდ სპორტისა და კულტურის სფეროები.
30. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით საქართველოს პარლამენტს წარედგინება:
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 2 თვის ვადაში;
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 45 დღის ვადაში;
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 3 თვის ვადაში;
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში.
31. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს:
    - სახელმწიფო ხაზინა;
    - სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
    - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
    - საქართველოს მთავრობა.
32. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საქართველოს პარლამენტს წარედგინება:
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუადრეს 6 თვისა;
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვისა;
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუადრეს 7 თვისა;
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა.
33. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი

იღებს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების:

- კვარტალური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ;
- წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ;
- ყოველთვიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ;
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

34. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე იღებს შესაბამის დადგენილებას:
    - საგაზაფხულო სესიის პირველივე კვირაში;
    - სამემოდგომო სესიის დასრულებამდე;
    - საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე;
    - სამემოდგომო სესიის პირველივე კვირაში.
35. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცემა:
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში;
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 9 თვის ვადაში;
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში;
    - საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 5 თვის ვადაში.
36. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენებას წარუდგენს საქართველოს მთავრობის მიერ მისთვის ანგარიშის გადაცემიდან:
    - 3 თვის ვადაში;
    - 5 თვის ვადაში;
    - საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე;
    - 45 დღის ვადაში.

დანართი 5.1: სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია[1]

1. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი

საქართველო სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს იმ მხარჯავი დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც უნდა ჩაერთონ დასაგეგმი წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადებაში.

მხარჯავი დაწესებულებების განსაზღვრასთან ერთად, საქართველოს მთავრო-

[1] დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 11 ივლისიდან [დანართი №2 (11.07.2012 N 244)].

ბის დადგენილებით უნდა განისაზღვროს იმ ინფორმაციის ნუსხა და მისი წარდგენის ვადები, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების პროცესში.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია:

• გასული ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე მიმართული სახსრები და მათი განხორციელებით მიღწეული შედეგები;

• მიმდინარე წლისთვის არსებული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრები და მათი განხორციელებით მოსალოდნელი შედეგები;

• დასაგეგმი წლებისათვის მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტების ჩამონათვალი, მათი მოკლე აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები;

• დასაგეგმი წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტი, რომელიც ჩაშლილი უნდა იყოს პროგრამების მიხედვით;

• დასაგეგმი წლისათვის მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;

• დასაგეგმი წლებისათვის გამოსაყოფი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სამინისტროებთან კონსულტაციების საფუძველზე ამზადებს ინფორმაციას საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებებისა და ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების დასკვნების გათვალისწინებით, საქართველოს სამინისტროები ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს და უგზავნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და პროგნოზირებული საფინანსო რესურსის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

• დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნები, რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში და რა ძირითადი სამოქმედო გეგმები აქვს დასახული აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

• მეორე ნაწილში აღწერილი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების

ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები და მათი აღწერა;

• მაკროეკონომიკური სიტუაციის აღწერის შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს გასული ორი წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგები, შემოსულობების ფაქტობრივი მაჩვენებლები და ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები;

• შემდგომ ნაწილში მოცემული უნდა იყოს მიმდინარე საბიუჯეტო წლის და დასაგეგმი წლების ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები და საფინანსო რესურსის პროგნოზების მოკლე აღწერა;

• დოკუმენტის მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. ასიგნებების საორიენტაციო ზღვრულ მოცულობაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები და მათ ფარგლებში სახელმწიფოს თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისთვის საჭირო ასიგნებები. ზღვრული მოცულობების გაანგარიშებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

– საქართველოს პარლამენტის და საქართველოს კონტროლის პალატის ზღვრულ მოცულობებში საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული ასიგნებები;

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოების ასიგნებების განსაზღვრისას, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად არ უნდა შეამციროს აღნიშნული ორგანიზაციების ხარჯების მოცულობა მიმდინარე წლის მოცულობასთან შედარებით;

– საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეთხვევაში უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს პროკურატურისათვის გამოყოფილი ხარჯების მოცულობა არ უნდა იყოს წინა წლის შესაბამის მოცულობაზე ნაკლები;

– საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების ასიგნებების ზღვრული მოცულობების განსაზღვრისას – საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 44-ე მუხლის მოთხოვნები;

– საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების განსაზღვრისთვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები;

– საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობა და მათი თანამდებობრივი სარგოების წლიური მოცულობა გაითვალისწინოს მიმდინარე წელს მოქმედი საშტატო განრიგის მიხედვით;

– შტატგარეშე თანამშრომელთა სახელფასო ფონდი განსაზღვროს არა უმეტეს მიმდინარე წელს არსებული ოდენობისა;

– მივლინებების, ოფისის, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის (გარდა საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების) და საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე ხარჯები განსაზღვროს გასული და მიმდინარე წლების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელზე მეტი; პროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საჭირო თანხე-

ბი განსაზღვროს მათი შესრულების გასული და მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის და საფინანსო რესურსის პროგნოზის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრისას გაანალიზებული უნდა იქნეს გასულ წლებში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და ფაქტობრივად მიღწეული შედეგები;

– პრემიერ-მინისტრის სიტყვიერი დავალებების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია შეამციროს ან გაზარდოს ზემოაღნიშნული პრინციპებით გაანგარიშებული ზღვრული მოცულობები.

• დოკუმენტის მეექვსე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებები, თითოეული მათგანის მოკლე აღწერა, მათ ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები;

• დოკუმენტის ბოლო ნაწილში მოცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაზე მიმართული მთლიანი სახსრები;

• დოკუმენტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დანართები, სადაც წარმოდგენილი იქნება განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

2. ბიუჯეტის სტრუქტურა

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის შემდგომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელ შედეგებზე და არა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე, რისი გათვალისწინებითაც სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შემუშავდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

2.1 – სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები (პირველი თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული და მიმდინარე წლებისათვის, ხოლო დასაგეგმი წლის მონაცემები უნდა დაიყოს საბიუჯეტო და დონორების დაფინანსებად. ასევე აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

2.2 – სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მეორე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემოსავლების ჩამლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის.

2.3 – სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მესამე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯების მთლიანი მოცულობა, არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა ჩაშლილი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, არაფინანსური აქტივების კლების მთლიანი მოცულობა ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით და ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

2.4 – სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (მეოთხე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს:

• სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა;

• ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მოცულობები ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;

• სახელმწიფო ვალების ზრდის მოცულობა, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები ჩაშლილი პროექტების მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;

• ვალდებულებების კლების მაჩვენებელი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;

• შესაბამისი წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა ჩაშლილი კრედიტორების (გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) მიხედვით.

2.5 – სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (მეხუთე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, ამ პრიორიტეტების ფარგლებში, შესაბამისი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები (ქვეპროგრამები/ღონისძიებები), მათი აღწერა და მიზანი.

ძირითადად ყველა პროგრამა დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტებთან და განხორციელდეს ამ პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი რამდენიმე პროგრამა, რომელიც არ ემსახურება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებას, მაგრამ მის ფარგლებში დაგეგმილ ქვეპროგრამებს და ღონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად და მათი განხორციელება ყველა პრიორიტეტისათვის აუცილებელია.

2.5.1 – პროგრამა

პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს მხარჯავი დაწესებულებების კომპეტენციიდან გამომდინარე. ერთი პროგრამის განმახორციელებელი უნდა იყოს ერთი მხარჯავი დაწესებულება.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანი, ანუ უნდა გაიწეროს რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ჰქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:

• მართვის და რეგულირების

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასთან და სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან. ამ ტიპის პროგრამა შესაძლოა იყოს წმინდა ადმინისტრირების და მართვის, როდესაც მოიცავს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა აპარატის შენახვის ხარჯები, ხოლო თუ პროგრამაში ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების გარდა ასევე ერთიანდება პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გასატარებელი ღონისძიებებიც, მაშინ პროგრამის ეს ტიპი უფრო რეგულირების ხასიათს იძენს.

სამინისტროების უმრავლესობაში არსებობს როგორც სამინისტროს ფუნქციონირების ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე, ასევე შესაბამის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი დეპარტამენტები, რისი გათვალისწინებითაც სამინისტროების აპარატები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტული პროგრამის შემადგენელ ნაწილს, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს როგორც შესაბამისი სფეროს პოლიტიკის შემუშავების და პროგრამების მართვის პროგრამა, რომელიც შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების" პროგრამის ტიპს, ხოლო თუ აპარატი მოიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ და ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხარჯებს, ჩამოყალიბდეს როგორც „პროგრამების ადმინისტრირება და მართვა", რომელიც ასევე „მართვისა და რეგულირების" ტიპის პროგრამას განეკუთვნება.

• მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძლევადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლების ბენეფიციარიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია.

• სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

• ინფრასტრუქტურული

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში. ამ ტიპის პროგრამების უმრავლესობა, თავის მხრივ, მოხვდება კაპიტალური ბიუჯეტის დანართშიც.

პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

• მიმდინარე (მუდმივი) – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც მხარჯავი დაწესებულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება;

• მრავალწლიანი – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახურებოდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) ძირითად შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც თავის მხრივ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

• ერთწლიანი (მოკლევადიანი) – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი, თავის მხრივ არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

გარდა პროგრამებისა, სახელმწიფო ბიუჯეტით შესაძლებელია დაფინანსდეს ისეთი მხარჯავი დაწესებულებები, რომლებიც თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში არ წარმოადგენენ პროგრამებს და ქვეპროგრამებს მაგრამ, მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის ფუნქციონირებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მხარჯავი დაწესებულება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში წარმოდგენილი არ არის პროგრამული სტრუქტურის მიხედვით, მე-5 თავში აუცილებელია გაიწეროს, თუ რას ემსახურება მისი ფუნქციონირება.

პროგრამების გამოვლენისას მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

• პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ქვეყნის რომელიმე პრიორიტეტს;

• თუ მხარჯავი დაწესებულების ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამოყოფა შეუძლებელია, ადმინისტრირების ხარჯებიც გაერთიანდება იმ ძირითად პროგრამასთან, რომელსაც ემსახურება მხარჯავი დაწესებულება;

• პროგრამის განმახორციელებელი და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულება, ხოლო პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამების განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს ამავე მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაცია. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ქვეპროგრამებს უმეტეს შემთხვევაში ერთი განმახორციელებელი ეყოლებათ;

• მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამა იქნება პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია, რომელსაც ექნება წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული გეგმა.

2.5.2 – ქვეპროგრამები/ღონისძიებები

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ აუცილებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყოლება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები.

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში აუცილებელია წარმოდგენილი იყოს თითოეული ქვეპროგრამის აღწერა, მიზანი და დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ პროგრამების ქვეპროგრამებზე, რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების ტიპს“.

მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ მოიცავდეს ღონისძიებებს. ღონისძიებები და მათი დაფინანსება უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხვდება პროგრამული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ძირითად თავებში, მიუხედავად ამისა, პროგრამული სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას აუცილებელია თითოეული პროგრამის და ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების ზუსტი ჩამონათვალის და აღწერის განსაზღვრა, ვინაიდან რეალურად სწორედ წარმატებულად განხორციელებული თითოეული ღონისძიების მოკლევადიან შედეგზეა დამოკიდებული მთლიანი პროგრამის შესრულების ხარისხი.

სამინისტროებმა და სხვა მხარჯავმა დაწესებულებებმა მიზანშეწონილია ქვეპროგრამები ისე ჩამოაყალიბონ, რომ თითოეული მათგანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული), ამასთან, შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია ახორციელებდეს რამდენიმე ქვეპროგრამას.

ისეთი პროგრამები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, შესაძლებელია დაიყოს არა ქვეპროგრამებად, არამედ სხვადასხვა კაპიტალურ პროექტებად, თუმცა თავისი შინაარსით აღნიშნული პროექტებიც ქვეპროგრამებს წარმოადგენს.

2.6 – საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება (მეექვსე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებლი პროგრამებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები და იმ მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა, რომლებიც ბიუჯეტში არ არიან წარმოდგენილი პროგრამული სტრუქტურით. ასევე ამ თავში წარმოდგენილი იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა კატეგორიის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის გამოყოფილი ასიგნებები.

პროგრამები და მათი დაფინანსება დაჯგუფებული უნდა იყოს მხარჯავი დანესებულებების მიხედვით. თოთოეული მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების მთლიანი მოცულობა, აღნიშნულ თავში გათვალისწინებული ყველა პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება ჩაშლილი უნდა იყოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ პირველი თანრიგის მიხედვით, ხოლო „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ მეორე თანრიგის მიხედვით. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების“ კატეგორიაში აუცილებელია გამოყოფილი იყოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. ამავე თავში უნდა იყოს წარმოდგენილი მხარჯავი დანესებულების საშტატო რიცხოვნობა.

წლიურ საბიუჯეტო კანონში პროგრამის დაფინანსება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმი წლის ასიგნებები გაყოფილი უნდა იყოს საბიუჯეტო სახსრებად და დონორების დაფინანსებად.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამულ ფორმატში სახელმწიფო ბიუჯეტი პირველად შემუშავდება 2012 წლისთვის, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ 2012 წლისთვის (დასაგეგმი წელი), ხოლო 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 2012-2013 წლებისთვის (მიმდინარე და დასაგეგმი წლები).

2.7 – ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი (მეშვიდე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ტრანსფერების შესახებ.

წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკების და თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით ტრანსფერის მთლიანი მოცულობა და მათი ჩაშლა, თუ რამდენს შეადგენს გათანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერი.

მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შემთხვევაში აუცილებელია მიეთითოს, თუ რომელი დელეგირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი აღნიშნული ტრანსფერი.

2.8 – მარეგულირებელი ნორმები (მერვე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი მუხლები, რომლებმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა დაარეგულირონ სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

3. ბიუჯეტის თანდართული მასალები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს პარლამენტს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და წლიურ საბიუჯეტო კანონის პროექტთან ერთად წარედგინება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები, რომლებიც მოიცავს:

- კანონის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს

ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზები და მათი აღწერა, ასევე უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულ ძირითად პროგრამებსა და ღონისძიებებს და მათი დაფინანსების მოცულობას;

- მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პარალელურად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართულ მასალებს ასევე დაემატება ინფორმაციული დანართების ორი პაკეტი:

1. პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია;

2. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კაპიტალური პროექტების შესახებ.

3.1 – პროგრამული ბიუჯეტის დანართი

პროგრამების შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში, კერძოდ, კანონის ძირითად ნაწილში მოცემული იქნება სრული ინფორმაცია, თუ რას ემსახურება პროგრამა, რა ძირითადი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისგან შედგება ის და რა მიზნის მიღწევაა დაგეგმილი მისი განხორციელებით.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება პროგრამასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საქართველოს პარლამენტის მიერ არ დამტკიცდება და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთული იქნება მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა და მათი თავიდანვე კანონით დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის ან/და ქვეპროგრამის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკად არ განიხილება, ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლის პროგრამული ბიუჯეტის სისტემის შემდგომ განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე აყვანა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაშინ როდესაც პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებს ექნებათ სათანადო გამოცდილება და პროგრამების მართვის პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემული ინფორმაცია არ დამტკიცდება და არ ექნება კანონის ძალა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ძირითადი აქცენტი სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაზე იქნება გადატანილი.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე თითო-

ეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს და პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურით:

• პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტზე მიმართული სახსრების შესახებ, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

პროგრამული კოდი	დასახელება	დასაგეგმი წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	საკუთარი სახსრები	დასაგეგმი წელი -1	დასაგეგმი წელი -2	დასაგეგმი წელი -3
სულ პრიორიტეტის დაფინანსება							

შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;

– პროგრამის დასახელება;

– პროგრამის განმახორციელებელი;

– პროგრამის აღწერა;

– პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;

– პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	
პროგრამის განმახორციელებელი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	
1. 2. 3. 4. 5.	

ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავის შესაბამისად);

– ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება;

– განმახორციელებელი ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული);

– ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა;

– ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი;

– ქვეპროგრამის/ღონისძიების შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები.

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	
1. 2. 3. 4. 5.	

3.1.1 – შუალედური და საბოლოო შედეგები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შენყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად, საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისათვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის (ღონისძიებებისათვის). განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

თავად წლიურ საბიუჯეტო კანონში გაწერილი უნდა იყოს პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგები აღწერილი იქნება სახელმწი-

ფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების) განხორციელება).

3.1.2 – შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებლი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორიცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა უმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;

• შედეგზე ორინტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;

• ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

• შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

• შედარებითი – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

• **რაოდენობრივი ინდიკატორები** აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;

• **ხარისხობრივი ინდიკატორები** აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

• **ხარჯზე მიბმული ინდიკატორები** აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

• **ეფექტიანობის ინდიკატორები** გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

• **ეფექტურობის ინდიკატორები** აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

3.2 – კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია, შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ერთერთ დანართად იქნება წარმოდგენილი.

კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი, თავის მხრივ, წარმოადგენს წლიური საბიუჯეტო კანონის რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს, თუმცა კაპიტალურ დანართში თავს მოიყრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებული იქნება მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც წლიურ საბიუჯეტო კანონში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, არ წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და პირიქით, შესაძლებელია კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. წლიურ საბიუჯეტო კანონში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წარმოდგენილი ასიგნებები ასევე შესაძლებელია იყოს კაპიტალური პროექტი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუხლიდან ხშირ შემთხვევაში ასიგნებები მიემართება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დაკრედიტების ან/და კაპიტალის ზრდისთვის და სახელმწიფო

საწარმოები ახორციელებენ მსხვილ კაპიტალურ პროექტებს.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტები განხორციელდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტსა და მის დანართებში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა პროექტის აღწერაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა თანხას შეადგენს კერძო სექტორის დაფინანსება და აღწერილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალდებულებები.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთათვისაც წლიური საბიუჯეტო კანონით დაფინანსება გამოყოფილი არ არის, არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ბიუჯეტის დანართებში.

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ მთავრობის რომელიმე პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილია (მაგ., სკოლების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და სხვა). ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტთან.

<u>კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:</u>

• მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები;

• მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის (გარდა სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა), ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები;

• პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანსპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

შესაძლებელია მხარჯავ დაწესებულებას ჰქონდეს მსგავსი შინაარსის რამდენიმე მცირე კაპიტალური პროექტი და თითოეული მათგანი არ აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროექტები შინაარსობრივად უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი პროექტის სახით და შედარებით მცირე პროექტები სახელმწიფო ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება მისი ქვეპროექტების სახით.

შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალური პროექტის სახით.

წლიური საბიუჯეტო კანონის კაპიტალური დანართი დაყოფილი იქნება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა პროექტის დაფინანსების

მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ და დაგეგმილ ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

კოდი	დასახელება	პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა	ფაქტი გასული წლის ჩათვლით	მიმდინარე წლის გეგმა	დასაგეგმი წლის პროექტი	დასაგეგმი -1 წელი პროგნოზი	დასაგეგმი -2 წელი პროგნოზი	დასაგეგმი -3 წელი პროგნოზი
	პროექტი №1							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №2							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №...							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							

მოცემულ ცხრილში პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტები და ქვეპროექტების სახით იყოს წარმოდგენილი აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული მხარჯავი დაწესებულების კაპიტალური პროექტები.

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

- მთავრობის რომელი პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
- პროექტის მთლიანი ღირებულება;
- პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი წყაროები გაშლილი დონორების, ასევე გრანტების და კრედიტების მიხედვით;
- დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

პროექტის დასახელება	
პროექტის პროგრამული კოდი	
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	
პროგრამის კოდი და დასახელება, რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	

პროექტის განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	

ვინაიდან კაპიტალური პროექტები, თავის მხრივ, პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და შესაბამისად მათი მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი მოსალოდნელი შედეგების და შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარედგინება გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების უმეტესობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და ზოგიერთი მათგანის განხორციელება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იწყებოდეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეუძლებელი იქნება კვარტალური მიმოხილვების დროს გაანალიზდეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები. ასევე შეუძლებელი იქნება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც პროგრამებისთვის ძირითადად გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, ხოლო ქვეპროგრამებისათვის ერთ საბიუჯეტო წელზე, შეფასდეს წლის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემდგომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე, ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვაში მაინც ძირითადად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი ფისკალური მონაცემების შესახებ. საბიუჯეტო პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის ჩართვის მიზნით მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების შესრულების კვარტალური მონიტორინგი და აუდიტი შერჩევითი მეთოდით, რათა შეფასდეს საბოლოო და შუალედური შედეგისკენ წინსვლის პროგრესი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვაში, გარდა ფისკალური მონაცემებისა, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვის ანგარიშს თან უნდა დაერთოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების ექვსი თვის შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შე-

სახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

თავი პირველი

პირველ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ; ასევე. აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

თავი მეორე

• პირველ ნაწილში მოცემული უნდა იყოს გასული წლის მაკროეკონომიკური ანალიზი და ინფორმაცია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის და ნომინალური მაჩვენებლების, ინფლაციის, განხორციელებული ინვესტიციების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესახებ;

• მეორე ნაწილში უნდა იყოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა და ძირითადი კატეგორიების მიხედვით გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები;

• მესამე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა, მათი გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან წლიურ საბიუჯეტო კანონში. ამასთან, ინფორმაცია გრანტების შესახებ, გარდა წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისა, მოცემული უნდა იყოს დონორებისა და პროექტების მიხედვით.

თავი მესამე

მესამე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები;

– საელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები;

– გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით;

– საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელებით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისების მდგომარეობა;

– მონაცემები ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული ტრანსფერების შესახებ, თოთოეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

თავი მეოთხე

მეოთხე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

– მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მაჩვენებელი;

– ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მაჩვენებლები;

– სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მოცულობა წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

– სახელმწიფო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი;

– წლის განმავლობაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები ჩაშლილი დონორებისა და პროექტების მიხედვით;

– ვალდებულებების კლების მაჩვენებელი;

– სამინაო სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები და საშინაო სახელმწიფო ვალის მოცულობა;

– საგარეო სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები და საგარეო სახელმწიფო ვალის მოცულობა, ჩაშლილი კრედიტორების მიხედვით.

თავი მეხუთე

მეხუთე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ.

თავი მეექვსე

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს დანართების სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების წლიური შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლების, ასევე პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

5. ინფორმაცია პროგრამის შესრულების შესახებ

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პროგრამის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	გეგმა		საკასო შესრულება	
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა
	პროგრამა №1-ის დასახელება				
	პროგრამა №2-ის დასახელება				
	პროგრამა №3-ის დასახელება				
	პროგრამა №4-ის დასახელება				
	პროგრამა №5-ის დასახელება				
	პროგრამა №...-ის დასახელება				
	სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები				

მეორე ნაწილში წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ყველა პროგრამაზე, ქვეპროგრამაზე და ღონისძიებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;

– დასახელება;

– განმახორციელებელი;

– წლიური საბიუჯეტო კანონის დანართით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი;

– წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;

– შედეგის შეფასების ინდიკატორები;

– განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

6. ინფორმაცია კაპიტალური პროექტის შესრულების შესახებ

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით:

პროგრამული კოდი	დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება	სანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (სანგარიშო პერიოდის გარდა)	სანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა	სანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	შესრულების პროცენტი	საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები. სანგარიშო პერიოდის ჩათვლით (სხვის არსებობის შემთხვევაში
	პროექტი №1						
	ქვეპროექტი №1						
	ქვეპროექტი №2						
	ქვეპროექტი №...						
	პროექტი №2						
	ქვეპროექტი №1						
	ქვეპროექტი №2						
	პროექტი №...						
	ქვეპროექტი №1						
	ქვეპროექტი №2						
	სულ კაპიტალური ბიუჯეტი						

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თოთოეული პროექტის და ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

7. ორგანიზაციული სტრუქტურიდან პროგრამულ ბიუჯეტზე გარდამავალი ეტაპი

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასასვლელად აუცილებელია რამდენიმე ეტაპის

გავლა, რათა მხარჯავმა დაწესებულებამ შეძლოს მისთვის დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურიდან ძირითადი ღონისძიებების გამოტანა და მათი პროგრამებად გადაჯგუფება. პროგრამების დაგეგმვის დროს მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაიროს რამდენიმე ეტაპი:

- დებულებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები;
- განიხილოს მისი მიზნები და ამოცანები ქვეყნის პრიორიტეტებთან მიმართებაში და, პირიქით, ქვეყნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გამოავლინოს მის მიერ განსახორციელებელი შესაძლო ამოცანები;
- ორგანიზაციული სტრუქტურიდან უნდა გამოიტანოს ის ძირითადი ღონისძიებები, რასაც მის კონტროლს დამქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ;
- მოახდინოს განსახორციელებელი ღონისძიებების და დაწესებულების ძირითადი ფუნქციების და ამოცანების ერთმანეთთან დაკავშირება;
- მსგავსი ფუნქციის ან მიზნების მიხედვით დააჯგუფოს ღონისძიებები, მათი განმახორციელებლების მიუხედავად;
- დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთება, თუ რამდენი პროგრამა უნდა ჰქონდეს კონკრეტულ მხარჯავ დაწესებულებას;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამის მიმართება ქვეყნის პრიორიტეტებთან;
- უნდა განისაზღვროს პროგრამის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევითაც პროგრამა პრიორიტეტით დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება;
- პროგრამების გამოვლენის შემდეგ მხარჯავი დაწესებულება იწყებს უკუპროცესს, მის დაშლას ქვეპროგრამებად და ღონისძიებაბად;
- უნდა მოხდეს თითოეული ქვეპროგრამის მიერ მისაღწევი შუალედური შედეგების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების დადგენა, დაფინანსების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის გათვალისწინებით;
- უნდა გამოიკვეთოს არსებული მდგომარეობის ამსახველი მონაცემების ბაზა და დადგინდეს ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შედეგების შესრულების შეფასება;
- თითოეული ქვეპროგრამისთვის/ღონისძიებისთვის უნდა დაითვალოს შედეგების მისაღწევად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა (საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა);
- მხარჯავი დაწესებულებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში განახორციელოს ასიგნებების პროგრამებზე გადანაწილება.

თემა 6

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

„თითოეულს კუთვნილი, ბოლო სხვას სხვისი“.
ემილ კროტკი

„გაუფრთხილდით წვრილ-წვრილ ხარჯებს:
ყველაზე პატარა ხვრელსაც კი შეუძლია ჩაბიროს დიდი გემი“.
ბ. ფრანკლინი

გეგმა:

6.1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები;

6.2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა;

6.3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება;

6.4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება, შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

6.1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები

საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია ორი ავტონომიური წარმონაქმნი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო მოწყობა რეგულირდება როგორც საკუთარი კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით, ასევე ქვეყნის ძირითადი კონსტიტუციით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სხვა კანონებით.

ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკური ბიუჯეტი, რომელიც, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, არის „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები

შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტს გააჩნია *საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები.* საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 89[1] მუხლის თანახმად, საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდებად მოიცავს:

- ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს;
- ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება *სარეზერვო ფონდი,* რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას *წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი,* რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას *ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი,* რომლის განკარგვა ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საფინანსო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

თუ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საფინანსო ორგანოს წარდგინებით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

განსაკუთრებული ყურადრება ეთმობა *ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილებას და ცვლილებებს პროგრამულ კლასიფიკაციაში.*

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა, შეიძლება მხოლოდ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

შესაძლებელია განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება. ამასთან, მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, გარდა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა.

შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები I თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს.

ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირისა (რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით), ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ) ბიუჯეტების დაზუსტების წესს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების (არასაბიუჯეტო სახსრების) ნაწილში.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. აღნიშნული გადანაწილების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანომ უნდა აცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი *საგანგებო ბიუჯეტი* საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

6.2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების საფუძველია ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი (დანართი 6.1.).

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 95-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად *„ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ“.*

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის *1 მარტამდე* გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ყოველი წლის *15 ივნისამდე* წარუდგენს მას ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ინფორმაციაზე დასკვნას *არაუგვიანეს 30 ივნისისა* უგზავნის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
- ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:
  - ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს;
  - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;
  - აგრეგირებულ მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით;
- ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო *არაუგვიანეს 25 ივლისისა* იწონებს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამების, მათი დაფინანსების ოდენობების, მიზნებისა და შედეგებისა).

საგულისხმოა, ფინანსური დახმარების განაცხადის მომზადებისა და წარდგენის ვადები:

დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების მიღების საჭიროებისას ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო *არაუგვიანეს 15 ივნისისა* საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ძირითად მონაცემებს ფინანსური დახმარების მოცულობის განსასაზღვრავად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს აცნობებს მიმდინარე წლის *15 ივლისამდე,* ხოლო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ – *არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა.*

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონებიდან *არაუგვიანეს 5 დღისა* შესაბამისი საფინანსო ორგანო უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მიწოდებას, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საფინანსო ორგანოში ელექტრონულად უნდა წარადგინონ ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ საფინანსო ორგანოში წარდგენილი ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ *არაუგვიანეს 25 აგვისტოსი.*

საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

- მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;
- მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;
- ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;
- ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას, მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს;
- ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში ასახვას უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

საფინანსო ორგანო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს *არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა*[1]. ამასთან, საფინანსო ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს *არაუგვიანეს 25 ოქტომბრისა.*

---

[1] მხარჯავ დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოს შორის შეუთანხმებელ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე *არაუგვიანეს 1 ნოემბრისა* წარუდგენს უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:
  - ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;
  - არაფინანსური აქტივების ზრდა;
  - ფინანსური აქტივების ზრდა;
  - ვალდებულებების კლება;
- მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- სარეზერვო ფონდის მოცულობას;
- პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი მუშავდება შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები *(პირველი თავი);*
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები *(მეორე თავი);*
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია *(მესამე თავი);*

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება *(მეოთხე თავი);*
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები *(მეხუთე თავი);*
- საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება *(მეექვსე თავი);*
- მარეგულირებელი ნორმები *(მეშვიდე თავი).*

ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

ინფორმაცია (გარდა პრიორიტეტებისა, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს) წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. ამასთან, პრიორიტეტები, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს, წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორი-

ტეტების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენისთანავე.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ბიუჯეტები მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამის ორგანოებს არაუგვიანეს *5 ნოემბრისა* აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს.

6.3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებს.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ამტკიცებს ახალი საბიუჯეტო წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ბიუჯეტის დამტკიცებიდან *არაუგვიანეს 20 დღისა* ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს.

წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საჭიროებს წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის

პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

6.4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება, შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო.

მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან *5 სამუშაო დღის ვადაში* საფინანსო ორგანოს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.

საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან *არაუგვიანეს 15 დღისა* იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიში გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ამ ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონ-

მდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ შესაბამის საფინანსო ორგანოს.

ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო აღრიცხავს თითოეული მხარჯავი დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს, რაც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. იგი ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან *10 დღის ვადაში* ამზადებს *ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.*

ყოველი კვარტალის დასრულებიდან *1 თვის ვადაში* ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს *არაუგვიანეს 15 თებერვლისა.* ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო, თავის მხრივ, ამზადებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და განსახილველად წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან *არაუგვიანეს 2 თვისა* წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

- მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;
- ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
- წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;
- ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო *არაუგვიანეს 1 მაისისა* იღებს გადაწყვეტილებას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

მთლიანობაში, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო კალენდარი ასახულია 6.1. ცხრილში.

ცხრილი 6.1: ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო კალენდარი[1]

ვადები	პასუხისმგებელი უწყება	პროცესი
ყოველი წლის 1 მარტამდე	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო	ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს
ყოველი წლის 15 ივნისამდე	ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების

[1] შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით: http://www.parliament.ge/files/budget-off/diary-avton.pdf

	თავმჯდომარე	მიზნითწარუდგენს მას ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ
არა უგვიანეს 30 ივნისისა	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციაზე დასკვნას უგზავნის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას
15 ივლისამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს აცნობს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 25 ივლისისა	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო	ინონებს პრიორიტეტების დოკუმენტს (გარდა ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობების საშუალოვადიან პრიორიტეტებისა და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობის, მიზნებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციისა)
ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა	საფინანსო ორგანო	მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საფინანსო ორგანოში უნდა წარადგინონ ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ
არა უგვიანეს 25 აგვისტოსი	მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები	საბიუჯეტო განაცხადს წარუდგენენ საფინანსო ორგანოს
არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს აცნობს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ
არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა	საფინანსო ორგანო	ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს

არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა	საფინანსო ორგანო	ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს
არა უგვიანეს 1 ნოემბრისა	ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე	უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად, ასევე წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი
არა უგვიანეს 5 ნოემბრისა	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო	ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამის ორგანოებს აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს
ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	ამტკიცებს ახალი საბიუჯეტო წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს
ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში	მხარჯავი დაწესებულებები	საფინანსო ორგანოს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ
ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა	საფინანსო ორგანო	იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში	ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო	ამზადებს ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი

		სალდოს ჩვენებით
ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში	ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით
არა უგვიანეს 15 თებერვლისა	მხარჯავი დაწესებულებები	ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს, რომელიც თავის მხრივ, ამზადებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და განსახილველად წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას
საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა	ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს
არა უგვიანეს 1 მაისისა	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	იღებს გადაწყვეტილებას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

საკონტროლო კითხვები

1. განსაზღვრეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ადგილი საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში.
2. განმარტეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად.
3. ახსენით, რა უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.
4. განმარტეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 89[1] მუხლის თანახმად.
5. ახსენით, რა მიზნით იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი და ვინ გამოყოფს თანხებს ამ ფონდიდან.
6. ახსენით, როგორ ხდება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შექმნილი „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ოდენობის განსაზღვრა და როგორ ხორციელდება მისი განკარგვა.

7. ახსენით, როგორ ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შექმნილი „ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ განკარგვა.
8. ახსენით, როგორ ხდება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში.
9. აღწერეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცედურა.
10. განმარტეთ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის არსი და დანიშნულება.
11. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.
12. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საბიუჯეტო განაცხადი.
13. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი.
14. წარმოადგინეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის სტრუქტურა.
15. ახსენით, რა დოკუმენტებს უნდა მოიცავდეს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები.
16. აღწერეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურა.
17. აღწერეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების პროცედურა.
18. აღწერეთ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცედურა.
19. აახსენით, წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ რა ინფორმაციას მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.
20. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	ა. ასახულია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის 1-ელ თავში;
—	2. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის	ბ.კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას;

	გადასახდელები	
—	3. სარეზერვო ფონდი	გ.საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი;
—	4. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	დ. გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში;
—	5. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	ე. ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ;
—	6. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი	ვ. განკარგვა ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
—	7. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიში	ზ.განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
—	8. საგანგებო ბიუჯეტი	თ. იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად;

	9. ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო	ი. წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება;
—	10. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები	კ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. **ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს:**
   - საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
   - საკუთარი შემოსულობების წყაროები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
   - საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება;
   - საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. **ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკური ბიუჯეტი, რომელიც არის:**
   - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;
   - ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;
   - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;
   - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების ერთობლიობა.

3. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდებად არ მოიცავს:
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს;
   - წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;
   - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს;
   - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.
4. საფინანსო ორგანოს წარდგინებით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე, თუ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა:
   - არ აღემატება 100 000 ლარს;
   - არ ჩამორჩება 100 000 ლარს;
   - არ აღემატება 50 000 ლარს;
   - არ ჩამორჩება 50 000 ლარს.
5. ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა, შეიძლება მხოლოდ:
   - წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით;
   - ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს გადაწყვეტილებით;
   - ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით;
   - ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს გადაწყვეტილებით.
6. მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების:
   - 2 პროცენტს;
   - 5 პროცენტს;
   - 7 პროცენტს;
   - 10 პროცენტს.
7. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არის:
   - ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ;

- ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ;
- ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ინდიკატიური გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ;
- ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ინდიკატიური გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

8. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ყოველი წლის:
   - 1იანვრამდე;
   - 1თებერვლამდე;
   - 1 მარტამდე;
   - 1 აპრილამდე.
9. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს:
   - შესაბამისი მეთოდური მითითებებით;
   - გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით;
   - შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით;
   - გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერებით.
10. მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება, გარდა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა, არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების:
    - 3 პროცენტს;
    - 5პროცენტს;
    - 8 პროცენტს;
    - 10 პროცენტს.
11. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მას ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ წარუდგენს ყოველი წლის:
    - 15 მარტამდე;
    - 15 აპრილამდე;
    - 15 მაისამდე;
    - 15 ივნისამდე.
12. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციაზე დასკვნას ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უგზავნის არაუგვიანეს:
    - 15 ივნისისა;
    - 30 ივლისისა;

- 30 ივნისისა;
- 15 ივლისისა.

13. ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს უნდა შეიცავდეს:
   - ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი;
   - საბიუჯეტო განაცხადი;
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი;
   - წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები.
14. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს:
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
   - ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
   - ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.
15. ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:
   - მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
   - ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
   - ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ;
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ.
16. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს:
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
   - ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
   - ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ;
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ.
17. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულის პროგრამების, მათი დაფინანსების ოდენობების, მიზნებისა და შედეგებისა) ინონებს არაუგვიანეს:

- O 15 ივნისისა;
- O 25 ივნისისა;
- O 15 ივლისისა;
- O 25 ივლისისა.

18. დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების მიღების საჭიროებისას ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირითად მონაცემებს ფინანსური დახმარების მოცულობის განსასაზღვრავად წარუდგენს არაუგვიანეს:
    - O 15 აპრილისა;
    - O 25 მაისისა;
    - O 15 ივნისისა;
    - O 25 ივლისისა.
19. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს აცნობებს მიმდინარე წლის:
    - O 25 აპრილამდე;
    - O 15 მაისამდე;
    - O 25 ივნისამდე;
    - O 15 ივლისამდე;
20. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ აცნობებს არაუგვიანეს:
    - O 15 ივლისისა;
    - O 5 აგვისტოსი;
    - O 15 სექტემბრისა;
    - O 5 ოქტომბრისა.
21. მხარჯავი დანესებულებების ხელმძღვანელები საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არაუგვიანეს:
    - O 25 ივნისისა;
    - O 15 ივლისისა;
    - O 25 აგვისტოსი;
    - O 15 სექტემბრისა.
22. საფინანსო ორგანო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს:
    - O 25 ივლისისა;
    - O 15 აგვისტოსი;
    - O 25 სექტემბრისა;
    - O 15 ოქტომბრისა.

23. საფინანსო ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს:
    - 15 ოქტომბრისა;
    - 25 ოქტომბრისა;
    - 15 ნოემბრისა;
    - 25 ნოემბრისა.
24. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს არაუგვიანეს:
    - 1 ოქტომბრისა;
    - 15 ოქტომბრისა;
    - 1 ნოემბრისა;
    - 15 ნოემბრისა.
25. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველ თავში ასახულია:
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება.
26. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მეორე თავში ასახულია:
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები.
27. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მესამე თავში ასახულია:
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;
    - საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება.
28. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მეოთხე თავში ასახულია:
    - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;
- საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება;
- მარეგულირებელი ნორმები.

29. **ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მეხუთე თავში ასახულია:**
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;
- საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება;
- მარეგულირებელი ნორმები;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები.

30. **ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მეექვსე თავში ასახულია:**
- საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება;
- მარეგულირებელი ნორმები;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

31. **ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები არ მოიცავს:**
- მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- მარეგულირებელ ნორმებს.

32. **პრიორიტეტები, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს, წარდგენილი უნდა იყოს:**
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის;
- დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის;
- გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

33. **ინფორმაცია (გარდა პრიორიტეტებისა, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს) წარდგენილი უნდა იყოს:**
- გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის;
- გასული და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის;

- დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

34. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს უგზავნის ბიუჯეტის დამტკიცებიდან:
    - 5 დღეში;
    - არაუგვიანეს 10 დღისა;
    - 15 დღეში;
    - არაუგვიანეს 20 დღისა.
35. ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით ამზადებს:
    - ყოველი თვის მეორე დეკადაში;
    - ყოველი თვის დასრულებიდან 5 დღის ვადაში;
    - ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში;
    - ყოველი თვის მესამე დეკადაში.
36. მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს წარუდგენენ არაუგვიანეს:
    - 15 იანვრისა;
    - 15 თებერვლისა;
    - 15 მარტისა;
    - 15 აპრილისა.
37. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს:
    - 20 დღისა;
    - 1 თვისა;
    - 2 თვისა;
    - 3 თვისა.
38. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ იღებს არაუგვიანეს:
    - 15 აპრილისა;
    - 1 მაისისა;
    - 15 მაისისა;
    - 1 ივნისისა.
39. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით წარუდგენს:
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში;
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 20 დღის ვადაში;
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში;
    - ყოველი კვარტალის დასრულებიდან 2 თვის ვადაში.

40. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ უნდა შეიცავდეს:
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
   - სარეზერვო ფონდის მოცულობას;
   - წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.
41. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს:
   - გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
   - ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
   - ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;
   - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს.
42. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ მოიცავს:
   - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
   - საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
   - ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
   - მაკროეკონომიკურ მიმოხილვას.
43. დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების მიღების საჭიროებისას, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირითად მონაცემებს ფინანსური დახმარების მოცულობის განსასაზღვრავად წარუდგენს არაუგვიანეს:
   - 15 თებერვლისა;
   - 15 მაისისა;
   - 15 ივნისისა;
   - 15 სექტემბრისა.

დანართი 6.1: ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია[1]

1. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც განსაზღვრავს, პრიორიტეტების დოკუმენტის შესადგენად წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და მისი მომზადების ვადებს.

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

• გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

• ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

• დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

– ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს;

– ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებსა და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

– აგრეგირებულ მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

• დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებულ დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას;

მიზანშეწონილია ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა განხორციელდეს შემდეგი სტრუქტურით:

• დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დასახული მიზნები, რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში და რა ძირითადი სამოქმედო გეგმები აქვს დასახული აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

• მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს გასული საბიუჯეტო წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნ-

[1] დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 11 ივლისიდან [დანართი №3 (11.07.2012 N 244)].

ქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

• მესამე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზები;

• მეოთხე ნაწილში წარმოდგენილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მონაცემები საშუალოვადიანი პერიოდისათვის;

• დოკუმენტის მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;

• დოკუმენტის მეექვსე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები;

• დოკუმენტის ბოლო ნაწილში მოცემული იქნება ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაზე მიმართული მთლიანი სახსრები.

2. ბიუჯეტის სტრუქტურა

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის შემდგომ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელ შედეგებზე და არა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე, რისი გათვალისწინებითაც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შემუშავდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

2.1 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები (პირველი თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული და მიმდინარე წლებისათვის, ხოლო დასაგეგმი წლის მონაცემები უნდა იქნეს წარმოდგენილი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით. ასევე აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

2.2 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები (მეორე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემოსავლების ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. დასაგეგმი წლისათვის გრანტებით მისაღები სახსრები წარმოდგენილი უნდა იყოს წყაროების მიხედვით.

2.3 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მესამე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯების მთლიანი მოცულობა (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით), არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა ჩაშლილი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით), არაფინანსური აქტივების კლების მთლიანი მოცულობა ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით და ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით).

2.4 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (მეოთხე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა;
- ფინანსური აქტივების ცვლილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- ვალდებულებების კლების მაჩვენებელი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის.

2.5 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (მეხუთე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები, ამ პრიორიტეტების ფარგლებში, შესაბამისი წლის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები (ქვეპროგრამები/ღონისძიებები), მათი აღწერა და მიზანი.

ძირითადად ყველა პროგრამა დაკავშირებული უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებთან და განხორციელდეს ამ პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად. თუმცა ბიუჯეტში შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი რამდენიმე პროგრამა, რომელიც არ ემსახურება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებას, მაგრამ მის ფარგლებში დაგეგმილ ქვეპროგრამებს და ღონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად და მათი განხორციელება ყველა პრიორიტეტისათვის აუცილებელია.

2.5.1 – პროგრამა

პროგრამა წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონ-

დეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს მხარჯავი დაწესებულებების კომპეტენციიდან გამომდინარე. ერთი პროგრამის განმახორციელებელი უნდა იყოს ერთი მხარჯავი დაწესებულება.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტიური პროგრამის აღწერა და მიზანი, ანუ უნდა გაიწეროს რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ჰქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

• პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:

» მართვის და რეგულირების

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში ზოგადი პოლიტიკის შემუშავებასთან და სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან. ამ ტიპის პროგრამა შესაძლოა იყოს წმინდა ადმინისტრირების და მართვის, როდესაც მოიცავს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა აპარატის შენახვის ხარჯები, ხოლო თუ პროგრამაში ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების გარდა ასევე ერთიანდება პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გასატარებელი ღონისძიებებიც, მაშინ პროგრამის ეს ტიპი უფრო რეგულირების ხასიათს იძენს.

ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების უმრავლესობაში არსებობს როგორც სამინისტროს ფუნქციონირების ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე, ასევე შესაბამის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი დეპარტამენტები, რისი გათვალისწინებითაც სამინისტროების აპარატები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტული პროგრამის შემადგენელ ნაწილს, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს როგორც შესაბამისი სფეროს პოლიტიკის შემუშავების და პროგრამების მართვის პროგრამა, რომელიც შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების“ პროგრამის ტიპს, ხოლო თუ აპარატი მოიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ და ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხარჯებს, ჩამოყალიბდეს როგორც „პროგრამების ადმინისტრირება და მართვა“, რომელიც ასევე „მართვისა და რეგულირების“ ტიპის პროგრამას განეკუთვნება.

» მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლების ბენეფიციარიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი

მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია.

» სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამები და მისი ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, ავტონომიური რესპუბლიკის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

» ინფრასტრუქტურული

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში. ამ ტიპის პროგრამების უმრავლესობა თავის მხრივ მოხვდება კაპიტალური ბიუჯეტის დანართშიც.

• <u>პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:</u>

» მიმდინარე (მუდმივი) – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც მხარჯავი დაწესებულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება.

» მრავალწლიანი – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახურებოდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) ძირითად შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც თავის მხრივ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

» ერთწლიანი (მოკლევადიანი) – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი, თავის მხრივ არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

გარდა პროგრამებისა, რომლებსაც რესპუბლიკის პრიორიტეტების ფარგლებში ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით შესაძლებელია დაფინანსდეს საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები, როგორიცაა სარეზერვო ფონდები, ტრანსფერები ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე, ვალების მომსახურება და დაფარვა და სხვა.

შესაძლებელია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულება, მისი ფუნქციების სპეციფიკიდან გამომდინარე არ იყოს წარმოდგენილი პროგრამებად და ქვეპროგრამებად, თუმცა ამ შემთხვევაში

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მე-5 თავში აუცილებელია გაიწეროს, თუ რას ემსახურება მისი ფუნქციონირება.

პროგრამების გამოვლენისას მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

•პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიური რესპუბლიკის აღმსრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე პრიორიტეტს; თუ მხარჯავი დაწესებულების ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამოყოფა შეუძლებელია, ადმინისტრირების ხარჯებიც გაერთიანდება იმ ძირითად პროგრამასთან, რომელსაც ემსახურება მხარჯავი დაწესებულება;

•პროგრამის განმახორციელებელი და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულება, ხოლო პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამების განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს ამავე მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაცია. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ქვეპროგრამებს უმეტეს შემთხვევაში ერთი განმახორციელებელი ეყოლებათ;

•მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამა იქნება პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია, რომელსაც ექნება ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული გეგმა.

2.5.2 – ქვეპროგრამები/ღონისძიებები

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ აუცილებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყოლება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები.

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში აუცილებელია წარმოდგენილი იყოს თითოეული ქვეპროგრამის აღწერა, მიზანი და დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ პროგრამების ქვეპროგრამებზე, რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების ტიპს“.

მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ მოიცავდეს ღონისძიებებს. ღონისძიებები და მათი დაფინანსება უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხვდება პროგრამული ბიუჯეტის კანონის ძირითად თავებში, მიუხედავად ამისა, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას აუცილებელია თითოეული პროგრამის და ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების ზუსტი ჩამონათვალის და აღწერის განსაზღვრა, ვინაიდან რეალურად სწორედ წარმატებულად განხორციელებული თითოეული ღონისძიების მოკლევადიან შედეგზეა დამოკიდებული მთლიანი პროგრამის შესრულების ხარისხი.

ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა და სხვა მხარჯავმა დაწესებულებებმა მიზანშეწონილია ქვეპროგრამები ისე ჩამოაყალიბონ, რომ თითოეული მათ-

განის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული), ამასთან, შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია ახორციელებდეს რამდენიმე ქვეპროგრამას.

ისეთი პროგრამები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, შესაძლებელია დაიყოს არა ქვეპროგრამებად, არამედ სხვადასხვა კაპიტალურ პროექტებად, თუმცა თავისი შინაარსით აღნიშნული პროექტებიც ქვეპროგრამებს წარმოადგენს.

2.6 – საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება (მეექვსე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებლი პროგრამებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები და იმ მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა, რომლებიც ბიუჯეტში არ არიან წარმოდგენილი პროგრამული სტრუქტურით. ასევე ამ თავში წარმოდგენილი იქნება საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები, როგორიცაა კანონმდებლობით განსაზღვრული სარეზერვო ფონდები, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერები, ვალების მომსახურება და დაფარვა და სხვა.

პროგრამები და მათი დაფინანსება დაჯგუფებული უნდა იყოს მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილი უნდა იყოს თოთოეული მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების მთლიანი მოცულობა. აღნიშნულ თავში გათვალისწინებული ყველა პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება ჩამლილი უნდა იყოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ პირველი თანრიგის მიხედვით, ხოლო „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ მეორე თანრიგის მიხედვით. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯები“-ს კატეგორიაში აუცილებელია გამოყოფილი იყოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. ამავე თავში უნდა იყოს წარმოდგენილი მხარჯავი დაწესებულების საშტატო რიცხოვნობა.

წლიურ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში პროგრამის დაფინანსება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმი წლის ასიგნებებში გაყოფილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები და დონორების დაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამულ ფორმატში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი პირველად შემუშავდება 2013 წლისთვის, 2013 წლის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ 2013 წლისთვის (დასაგეგმი წელი), ხოლო 2014 წლის ბიუჯეტი 2013-2014 წლებისთვის (მიმდინარე და დასაგეგმი წლები).

2.7 – მარეგულირებელი ნორმები (მეშვიდე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი მუხლები, რომლებმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა დაარეგულირონ ბიუჯეტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

3. ბიუჯეტის თანდართული მასალები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკის

რეპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები, რომლებიც მოიცავს:

•კანონის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზები;

•მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

•ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პარალელურად ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართულ მასალებს ასევე ემატება ინფორმაციული დანართები:

•პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია;

•კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ.

3.1 – პროგრამული ბიუჯეტის დანართი

პროგრამების შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში, კერძოდ, კანონის ძირითად ნაწილში მოცემული იქნება სრული ინფორმაცია, თუ რას ემსახურება პროგრამა, რა ძირითადი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისგან შედგება ის და რა მიზნის მიღწევაა დაგეგმილი მისი განხორციელებით.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება პროგრამასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე არ დამტკიცდება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთული იქნება მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა და მათი თავიდანვე კანონით დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის ან/და ქვეპროგრამის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკად არ განიხილება, ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლის პროგრამული ბიუჯეტის სისტემის შემდგომ განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე აყვანა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაშინ როდესაც პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებს ექნებათ სათანადო გამოცდილება და პროგრამების მართვის პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემული ინფორმაცია არ დამტკიცდება და არ ექნება კანონის ძალა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ძირითადი აქცენტი სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაზე იქნება გადატანილი.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე თითოეული

პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს და პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.

•პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურით:

პროგრამული კოდი	დასახელება	დასაგეგმი წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სულუთარი სახსრები	დასაგეგმი წელი +1	დასაგეგმი წელი +2	დასაგეგმი წელი +3
	პროგრამა №1-ის დასახელება						
	პროგრამა №2-ის დასახელება						
	პროგრამა №3-ის დასახელება						
სულ პრიორიტეტის დაფინანსება							

• შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;

– პროგრამის დასახელება;

– პროგრამის განმახორციელებელი;

– პროგრამის აღწერა;

– პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;

– პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები;

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	
პროგრამის განმახორციელებელი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	
1. 2. 3. 4. 5.	

• შემდგომში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების/ ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მე-5 თავის შესაბამისად);

– ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება;

– ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერ-თეული);

– ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა;

– ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი;

– ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები.

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	
1. 2. 3. 4. 5.	

3.2 – შუალედური და საბოლოო შედეგები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი ნესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება ავტონომიური რესპუბლიკის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი, საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად, საბოლოო შედეგები უმეტესად განისაზღვრება პროგრამისთვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის (ღონისძიებებისათვის). განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

თავად წლიურ ბიუჯეტში გაწერილი უნდა იყოს პრიორიტეტების ფარგლებში

განსახორციელებელი პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგები აღწერილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თანდართულ მასალებში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების) განხორციელება).

3.3 – შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებლი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორიცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა უმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

•სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;

•შედეგზე ორიენტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან ძიმართებას;

•ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

•შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

•შედარებითი – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

•რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი";

•ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

•ხარჯზე მიბმული ინდიკატორები აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

•ეფექტიანობის ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

•ეფექტურობის ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

3.4 – კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2013 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია. შესაბამისად, იგი პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და ბიუჯეტის კანონის ერთ-ერთ დანართად იქნება წარმოდგენილი.

კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი, თავის მხრივ, წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს, თუმცა კაპიტალურ დანართში თავს მოიყრის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებული იქნება მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც წლიურ ბიუჯეტში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლით, არ წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და პირიქით, შესაძლებელია კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. რიგ შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკის წლიურ ბიუ-

ჯეტში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წარმოდგენილი ასიგნებები ასევე შესაძლებელია იყოს კაპიტალური პროექტი.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტები განხორციელდეს საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და მის დანართებში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა პროექტის აღწერაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა თანხას შეადგენს კერძო სექტორის დაფინანსება და აღწერილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალდებულებები.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთათვისაც ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონით დაფინანსება გამოყოფილი არ არის, არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დანართებში.

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილია (მაგალითად, სკოლების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და სხვა). ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილია დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს რომელიმე პრიორიტეტთან.

<u>კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:</u>

•მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები;

•მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები;

•პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანსპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

შესაძლებელია მხარჯავ დაწესებულებას ჰქონდეს მსგავსი შინაარსის რამდენიმე მცირე კაპიტალური პროექტი და თითოეული მათგანი არ აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროექტები შინაარსობრივად უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი პროექტის სახით და შედარებით მცირე პროექტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება მისი ქვეპროექტების სახით.

შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალური პროექტის სახით.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კაპიტალური დანართი დაყოფილი იქნება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა პროექტის დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან განეულ და დაგეგმილ ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

კოდი	დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	წინა წლის ბოლოს ათვისებული	მიმდინარე წლის გეგმა	დასაგეგმი წლის პროგნოზი	დასაგეგმი +1 წლის პროგნოზი	დასაგეგმი +2 წლის პროგნოზი	დასაგეგმი -3 წლის პროგნოზი
	პროექტი №1							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №2							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №...							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							

მოცემულ ცხრილში პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტები და ქვეპროექტების სახით იყოს წარმოდგენილი აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული მხარჯავი დაწესებულების კაპიტალური პროექტები.

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

- ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების რომელი პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
- პროექტის მთლიანი ღირებულება;
- პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი წყაროები გამლილი დონორების, ასევე გრანტების და კრედიტების მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

პროექტის დასახელება	
პროექტის პროგრამული კოდი	
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	
პროექტის განმახორციელებელი	
პროექტის აღწერა და მიზანი	

ვინაიდან კაპიტალური პროექტები თავის მხრივ პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და შესაბამისად მათი მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი მოსალოდნელი შედეგების და შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.

4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ამზადებს და უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში – გასული წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

ვინაიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების უმეტესობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და ზოგიერთი მათგანის განხორციელება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იწყებოდეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეუძლებელი იქნება კვარტალური მიმოხილვების დროს გაანალიზდეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები. ასევე შეუძლებელი იქნება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც პროგრამებისთვის ძირითადად გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, ხოლო ქვეპროგრამებისათვის ერთ საბიუჯეტო წელზე, შეფასდეს წლის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემდგომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვაში მაინც ძირითადად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი ფისკალური მონაცემების შესახებ. საბიუჯეტო პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის ჩართვის მიზნით მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების შესრულების კვარტალური მონიტორინგი და აუდიტი შერჩევითი მეთოდით, რათა შეფასდეს საბოლოო და შუალედური შედეგისკენ წინსვლის პროგრესი.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვაში, გარდა ფისკალური მონაცემებისა, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

თავი პირველი:

პირველ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში

ასახული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ (მათ შორის, უნდა გამოიყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები და დონორების დაფინანსება).

ასევე, აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

თავი მეორე:

მეორე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების შესახებ (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად მისი ძირითადი კატეგორიების მიხედვით გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები; აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან ავტონომიური რესპუბლიკის წლიურ საბიუჯეტო კანონში. ამასთან, ინფორმაცია გრანტების შესახებ, წარმოდგენილი უნდა იყოს წყაროების მიხედვით.

თავი მესამე:

მესამე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

–ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები;

–გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით;

–ინფორმაცია საერთო რესპუბლიკური დანიშნულების გადასახდელების ათვისების მდგომარეობის შესახებ;

–ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული ფინანსური დახმარების შესახებ, თითოეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

–მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მაჩვენებელი;

–ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მაჩვენებლები;

–ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მოცულობა წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

–ვალდებულებების კლების მაჩვენებელი, ვალების დაფარვა და დარჩენილი ნაწილის მოცულობა კრედიტორების მიხედვით.

თავი მეოთხე:

•მეოთხე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ.

თავი მეხუთე:

•აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ.

•ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს დანართების სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

5. ინფორმაცია პროგრამის შესრულების შესახებ

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პროგრამის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	გეგმა		საკასო შესრულება	
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ შ. რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები
	პროგრამა №1-ის დასახელება				
	პროგრამა №2-ის დასახელება				
	პროგრამა №3-ის დასახელება				
	პროგრამა №4-ის დასახელება				
	პროგრამა №5-ის დასახელება				
	პროგრამა №...-ის დასახელება				
	სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები				

•მეორე ნაწილში ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ყველა პროგრამაზე, ქვეპროგრამაზე და ღონისძიებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;

– დასახელება;

– განმახორციელებელი;

– ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის დანართით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი;

– წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;

– შედეგის შეფასების ინდიკატორები;

– განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

6. ინფორმაცია კაპიტალური პროექტის შესრულების შესახებ

•პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით:

პროგრამული კოდი	დასახელება	ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება	საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით განულული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარეშე)	საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	შემდგომი წლების პროგნოზი	საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულების პოლიმდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
	პროექტი №1							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №2							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	პროექტი №...							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	სულ კაპიტალური ბიუჯეტი							

•დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თოთოეული პროექტის და ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

7. ორგანიზაციული სტრუქტურიდან პროგრამულ ბიუჯეტზე გარდამავალი ეტაპი

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასასვლელად აუცილებელია რამდენიმე ეტაპის გავლა, რათა მხარჯავმა დაწესებულებამ შეძლოს მისთვის დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურიდან ძირითადი ღონისძიებების გამოტანა და მათი პროგრამებად გადაჯგუფება. პროგრამების დაგეგმვის დროს მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი:

•დებულებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები;

•განიხილოს მისი მიზნები და ამოცანები ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებთან მიმართებაში და პირიქით, პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გამოავლინოს მის მიერ განსახორციელებელი შესაძლო ამოცანები;

•ორგანიზაციული სტრუქტურიდან უნდა გამოიტანოს ის ძირითადი ღონისძიებები, რასაც მის კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორ-

ციელებენ;

•მოახდინოს განსახორციელებელი ღონისძიებების და დაწესებულების ძირითადი ფუნქციების და ამოცანების ერთმანეთთან დაკავშირება;

•მსგავსი ფუნქციის ან მიზნების მიხედვით დააჯგუფოს ღონისძიებები, მათი განმახორციელებლების მიუხედავად;

•დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთება, თუ რამდენი პროგრამა უნდა ქონდეს კონკრეტულ მხარჯავ დაწესებულებას;

•მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამის მიმართება არსებულ პრიორიტეტებთან;

•უნდა განისაზღვროს პროგრამის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევითაც პროგრამა პრიორიტეტით დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება;

•პროგრამების გამოვლენის შემდეგ მხარჯავი დაწესებულება იწყებს უკუპროცესს, მის დაშლას ქვეპროგრამებად და ღონისძიებებად;

•უნდა მოხდეს თითოეული ქვეპროგრამის მიერ მისაღწევი შუალედური შედეგების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების დადგენა, დაფინანსების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის გათვალისწინებით;

•უნდა გამოიკვეთოს არსებული მდგომარეობის ამსახველი მონაცემების ბაზა და დადგინდეს ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შედეგების შესრულების შეფასება;

•თითოეული ქვეპროგრამისთვის/ღონისძიებისთვის უნდა დაითვალოს შედეგების მისაღწევად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა (საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა);

•მხარჯავი დაწესებულებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში განახორციელოს ასიგნებების პროგრამებზე გადანაწილება.

თემა 7

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

„მოკლე საბნის ქვეშ ვინც ფართოდ წვება, იმას ფეხები შიშველი რჩება“.
გოეთე

„კარგი მწყემსი თავის ცხვარს პარსავს, მაგრამ ტყავს არ აძრობს“.
ტიბერიუსი

გეგმა:

7.1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები;
7.2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა;
7.3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
7.4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება, აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

7.1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის *„ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“.*

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია. მათზე, ისევე როგორც სახელმწიფო ბიუჯეტსა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე, ვრცელდება ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, ერთიანობის, უნივერსალობისა და კონსოლიდირების პრინციპები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონის - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ურთიერთობა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში შემავალ სხვა ბიუჯეტებთან უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამოყენებით, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემის აუცილებლობით, საბიუჯეტო პროცესის დადგენილი პრინციპებით, ფულადი სისტემის ერთიანობით, ერთიანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით.

საქართველოში თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. *ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია* როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისაგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისაგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობებითა და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით[1].

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

---

[1]ამასთან, საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსულობები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება *სარეზერვო ფონდი*, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე (რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ) გამოყოფს საფინანსო ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას *წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი*, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

საგულისხმოა, რომ ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა სარეზერვო ფონდისა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება. ამასთან, ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, გარდა სარეზერვო ფონდისა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა.

შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, პროგრამული კოდის ან პროგრამის დამა-

ტება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები *1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა*, უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი *საგანგებო ბიუჯეტი* საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

7.2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი (დანართი 7.1.).

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად *„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ“*.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის *1 მარტიდან* იწყებს მუშაობას, რისთვისაც

გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:
  - ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს;
  - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;
- პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა)[1] ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს *არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.*

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიმდინარე წლის *15 ივლისამდე* აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და

---

[1] ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესით.

გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.

საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:
  - პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;
  - ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
  - საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;
  - ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას და მიზნებს;
- ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო *არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა* აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახ-

მარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შედგენისათვის უპირველესი ამოცანაა მისი პოტენციური (რომლის მიღებაც არის შესაძლებელი) *შემოსულობების სახეობების განსაზღვრა*. ამისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საკუთარი შემოსავლის ყველა სახეობა და მასთან ერთად, ის სახეობები, რაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დამატებით არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **საბიუჯეტო შემოსულობებია:**

- შემოსავლები, მათ შორის:
  - გადასახადები;
  - გრანტები.
- სხვა შემოსავლები;
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

შემოსულობები, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართის შესაბამისად, ნაწილდება სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

შემოსულობის სახეობების განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია *შემოსავლების პროგნოზირება*, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენის უმთავრესი საფუძველია. შემოსავლების პროგნოზირებასთან არის დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- პროგნოზირების გზით ხდება ბიუჯეტის შემოსავლების ოპტიმალური მოცულობის დადგენა; ოპტიმალური შემოსავლების მოცულობიდან გამომდინარე, თვითმმართველობას შეუძლია რაციონალურად გაანაწილოს შემოსავლები სხვადასხვა სახის ხარჯზე;
- თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია აკონტროლოს (განახორციელოს მონიტორინგი) აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ქმედითობაზე.

შემოსავლების პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირებას.

<u>ქონების გადასახადების პროგნოზირება:</u>

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში მხოლოდ ქონების გადასახადი ირიცხება. ამიტომ, მთელი ძალისხმევა ამ გადასახადის პროგნოზირებასა და ამოღებაზე უნდა იქნეს მიმართული. ქონების გადასახადის პროგნოზირებისათვის აუცილებელია ქონების გადასახადი დაიყოს ქვესახეობებად:

- საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა);
- ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი;
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონების გადასახადი.

საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის პროგნოზირება: საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს:

- 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
- იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – 3-ჯერ.

ამდენად, საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადის გამოსაანგარიშებლად აუცილებელია ვიცოდეთ რამდენიმე კომპონენტი:

- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთი (1% ან მასზე ნაკლები);
- ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო ინსპექციაში ჩაბარებული დეკლარაციების მიხედვით);
- ქონების ფლობის ასაკი ზემოთ მოცემული ბადეების შესაბამისად (მიღებული საჯარო რეესტრიდან).

იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტის პროგნოზირება ხდება მომდევნო წლისათვის და ამ დროს ფიზიკურ პირებს დეკლარაციები ჯერ კიდევ არა აქვთ წარდგენილი საგადასახადო ინსპექციაში, დასაბეგრ ქონებად უნდა ავიღოთ წინა წლის მაჩვენებელი.

ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის პროგნოზირება: ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;

- 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის დასაანგარიშებლად აუცილებელია ვიცოდეთ:

- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთი (ორივე კატეგორიისათვის);
- ფიზიკურ პირთა ქონების ღირებულება (საგადასახადო ინსპექციის დეკლარირებული მონაცემების შესაბამისად).

იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტის პროგნოზირება ხდება მომდევნო წლისათვის და ამ დროს ფიზიკურ პირებს დეკლარაციები ჯერ კიდევ არა აქვთ წარდგენილი საგადასახადო ინსპექციაში, დასაბეგრ ქონებად უნდა ავიღოთ წინა წლის მაჩვენებელი.

სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება: სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება შედარებით ადვილია, ვინაიდან მიწა ფიქსირებული აქტივია. აქ მთავარია დადგინდეს, თუ ზოგადად ვინ იხდის მიწის გადასახადს. მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

- მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან, რომელსაც ფლობს ოგი;
- მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება ოჯახის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი წესით:

- წლიურ საბაზისო განაკვეთს ლარებში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ადგენს საქართველოს მთავრობა:
- სათიბებისა და საძოვრებისათვის – ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის სახეობების მიხედვით, 1.5 ლარიდან 20 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში;
- სხვა მიწებისათვის – ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით, 50 ლარიდან 100 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

საკრებულოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გამოსაანგარიშებლად აუცილებელია ვიცოდეთ შემდეგი მაჩვენებლები:

- მიწის საერთო ფართობი იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის გადახდის ვალდებულება;
- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთები მიწების კატეგორიების მიხედვით.

არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

- გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთან, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ქონების გადასახადის პროგნოზირებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებული კატეგორიები. ამგვარი კატეგორიების სახით მისაღები შემოსავლები აკლდება მთლიან საგადასახადო ბაზას და შემოსავლების პროგნოზირებისას არ გაითვალისწინება.

ვინაიდან უძრავი ქონების გადასახადი (საწარმოებსა და ფიზიკურ პირებზე) დეკლარირდება და გადაიხდება მომდევნო წლისათვის, თვითმმართველობამ პროგნოზირებისას უნდა გამოიყენოს წინა წლის მაჩვენებლები.

<u>ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირება:</u>

(1) *მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის:* მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებელს იხდის მშენებარე ობიექტის მესაკუთრე (მშენებლობის დაწყებამდე, რათა მიიღოს მშენებლობის ნებართვა). მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განაშენიანების ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე – 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე – 5 ლარს. შეღავათი ან მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობის შემთხვევაში, რაზეც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკრებულომ. ასევე, საკრებულოს გააჩნია მოსაკრებლის შემოღების, გაუქმებისა და მასზე შეღავათის დაწესების უფლება.

რთულია მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის პროგნოზირება, ვინაიდან შეუძლებელია თვითმმართველობამ წინასწარ დაადგინოს, თუ რამდენმა პირმა და რა მოცულობის მშენებლობაზე შეიძლება მიმართოს მომდევნო წელს. თუმცა, ტერიტორიული რწმუნებულების მეშვეობით, შესაძლებელია იმის დადგენა, აპრებს თუ არა კონკრეტული პირი მშენებლობ-

ის დაწყებას მომდევნო წლისათვის და დასჭირდება თუ არა მას ნებართვის მიღება.

(2) *მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის:* დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებელყოფას და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას.

მოსაკრებელს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის იხდიან პირები (ფიზიკური ან იურიდიული), რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოშობენ ნარჩენებს. მისი განაკვეთი განისაზღვრება არა უმეტეს 3 ლარისა ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო იურიდიულ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე – არა უმეტეს 25 ლარისა ერთ კუბ-მეტრ ნარჩენზე.

მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ: მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმომშობი პირის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და მისი ნორმისა და სახეობის მიხედვით, აგრეთვე შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. ამდენად, კონკრეტული განაკვეთის დადგენა ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა. მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. ანუ, ამ მოსაკრებლის ამოსაღებად გაწეული ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს მის ამოღებაზე გაწეული თანხების ოდენობას.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის პროგნოზირებისათვის, აუცილებელია შემდეგი მონაცემები:

- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების/ორგანიზაციების რაოდენობა;
- დადგენილი კონკრეტული კოეფიციენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(3) *მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის:* მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონი "სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებ-

ლობის საფუძვლების შესახებ". მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულით:

$$F = L — (K_2^1 - K_2)*S,$$ სადაც:

F არის მოსაკრებლის ოდენობა;

L — 1 კვ.მ. მიწის ნორმატიული ფასი;

K_2^1 — მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

K_2 — მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

S — სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

მოსაკრებლის ოდენობა ნამატი სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს. თავად მოსაკრებლის გადახდა ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.

<u>გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლის წესი:</u>

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერით უზრუნველყოფს სახელმწიფო.

საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გათანაბრებითი ტრანსფერი.

გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება.

გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული წესითა და ფორმულით.

გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის მიზნებისათვის *პირველ ეტაპზე* საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა, რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები.

მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის.

შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა)[1].

მომდევნო ეტაპზე გამოიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა, რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

T=E-R, სადაც:

T – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი ტრანსფერია;

E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამია, რომელიც გაიანგარიშება სტატისტიკური მონაცემებისა (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე) და გათანაბრებითი კოეფიციენტების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოკლებით;

R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებია (გრანტების გარდა), რომელიც თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციას (მათ შორის, გაანგარიშებისას გამოყენებული სტატუსისა და მხარდაჭერის კოეფიციენტებს) ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, რომელთა შესაბამისადაც, იგი ვალდებულია ბიუჯეტიდან ხარჯოს ფინანსური სახსრები. ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც ერთიანდება შემდეგ კატეგორიებში:

- ხარჯები, მათ შორის:
  - შრომის ანაზღაურება;
  - საქონელი და მომსახურება;
  - სუბსიდიები;
  - პროცენტი;

---

[1] იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

- გრანტები;
- სოციალური უზრუნველყოფა;
- სხვა ხარჯები.

➡ არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);

➡ ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

➡ ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები ისეთი უფლებამოსილებებია, რომელთა განხორციელებაზე ხარჯების გაწევა მათ შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებანი განსაზღვრულია თვითმმართველობის კოდექსით.

დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც კანონის თანახმად ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს[1].

შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილებების დაფინანსება ხორციელდება ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ქვემოთ მოცემული წესების თანახმად:

<u>მიზნობრივი ტრანსფერის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება:</u> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი წლის *5 ოქტომბრამდე* აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს.

საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც იხილავს მათ და განხილ-

---

[1] როგორც წესი, ბოლო წლებში დელეგირებული უფლებამოსილებებია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ", „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ", „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ", „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ღონისძიებების დაფინანსება.

ვის შედეგების გათვალისწინებით მზადდება სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან *1 თვის ვადაში* ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო.

<u>სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის წესი</u>: სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება.

მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა. ამასთან, თვითმმართველი ერთეულის წინადადება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა თვითმმართველ ერთეულს.

<u>კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის წესი:</u> კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად.

კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

მუნიციპალიტეტმა კაპიტალური ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა. ამასთან, თვითმმართველი ერთეულის წინადადება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა თვითმმართველ ერთეულს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს *15 ნოემბრისა* შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი/მერი განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული პროგრამისათვის /ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:
  - ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;
  - არაფინანსური აქტივების ზრდა;
  - ფინანსური აქტივების ზრდა;
  - ვალდებულებების კლება;
- ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- სარეზერვო ფონდის მოცულობას;
- დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
- პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

- ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;
- მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

ინფორმაცია (გარდა პრიორიტეტებისა, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს) წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. ამასთან, *პრიორიტეტები,* რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს, წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან *5 დღის ვადაში* უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის.

7.3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. *გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სრითი შემადგენლობის უმრავლესობით.*

შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო არაუგვიანეს *25 ნოემბრისა* ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელს/მერს.

ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს *არაუგვიანეს 10 დეკემბრისა* ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი/მერი წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელთან/მერთან შეთანხმებით.

თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ – საკრებულომ არ დაამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებლის/მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი ან გამგებლის/მერის მიერ საკრებულოს შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში – ბიუჯეტის პირვანდელი რედაქცია, საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ გამგებლისათვის/მერისათვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.

ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან *3 თვის განმავლობაში* ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში *საქართველოს მთავრობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს და გამგებელს/მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას და შემოიღებს პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას.* ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის/ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან *არაუგვიანეს 20 დღისა* ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.

წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, ფისკალური წლის დაწყებისას ხდება *ბიუჯეტის განწერა კვარტალების მიხედვით.* ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამები და ღონისძიებები იყოფა ორ კატეგორიად: (1) რომელიც ფინანსდება საკუთარი სახსრებით და (2) რომელიც ფინანსდება მიზნობრივი დაფინანსების წყაროებით (ტრანსფერები). სასურველია, განწერის

მომზადებისას გადასახდელების გამიჯვნა მოხდეს ზემოთ ხსენებულ კატეგორიებად და ცალ-ცალკე გაიწეროს კვარტალების მიხედვით შესაბამის ფინანსურ რესურსთან ერთად.

საგადასახადო შემოსავლების კვარტალური განაწილებისას თვითმმართველობა უნდა დაეყრდნოს გადასახადების გადახდისას საგადასახადო კოდექსით განსაღვრულ ვადებს, ასევე წინა წლებში შემოსავლების შემოდინების დინამიკას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები რესურსების განაწილება კვარტალების მიხედვით უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე. გათანაბრებითი ტრანსფერი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის შემოსავლის ყველაზე სტაბილურ წყაროს, შესაბამისად მიზანშეწონილია მისი ისე განაწილება რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ანაზღაურების, აიპ-ების მუნიციპალიტეტის სხვა აუცილებელი მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები ძირითადად ერთი შინაარსისაა ყოველთვიურად და მიზანშეწონილია აღნიშნული ტრანსფერი კვარტალების მიხედვით გაიწეროს მთლიანი თანხის ¼-ის მიხედვით.

სპეციალური ტრანსფერის განწერა უნდა განხორციელდეს დაგეგმილი პროექტების სავარაუდო განხორციელების შესაბამისად.

გასული წლების მონაცემების ანალიზისა და არსებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება შემოსავლების სხვა კატეგორიიდან და არაფინანსური აქტივების პრივატიზაციიდან მისაღები შემოსულობების განაწილება.

გადასახდელების განაწილებისას პირველ რიგში იგეგმება აუცილებელი გასაცემლები, როგორებიცაა ხელფასები, სხვა უაცილებელი გადასახდელები, ვალის მომსახურებაზე და დაფარვაზე გასაცემი ხარჯები, რომლის გადახდის ვადაც განსაზღვრულია კონკრეტული დოკუმენტით.

მნიშვნელოვანი თემაა სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული ფონდებიდან, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი სახსრების ასახვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში და ბიუჯეტის განწერაში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მიღებული სპეციალური ტრანსფერი დაუყოვნებლივ ასახოს საბიუჯეტო განწერაში და მოახდინოს მისი განკარგვა. ამასთან, აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია საკრებულოს აცნობოს ერთი თვის განმავლობაში, არაუგვიანეს წლის დასრულებისა მიღებული ფინანსური დახმარების შესახებ, ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განწერის, როგორც მიზნობრივი, ისე საკუთარი რესურსებით დაგეგმილი ნაწილი უნდა იყოს დაბალანსებული, რაშიც იგულისხმება შემოსულობების, გადასახდე-

ლების და ნაშთის ცვლილების განსაზღვრა მიზნობრივი და საკუთარი კატეგორიებისათვის.

ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ან პროგრამაზე ან ორგანიზაციაზე ასიგნებების გადანაწილება, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში.

შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და გამგეობის/მერიის შესაბამისი ორგანოს მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში.

მიზანშეწონილია ბიუჯეტში და განწერაში ცვლილებები განხორციელდეს კვარტალური ანგარიშების შედგენის შემდეგ, მას შემდეგ რაც გაანალიზდება პროგრამების მიმდინარეობა და წარმოქმნილი დაბრკოლებები და გამოწვევები. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული, დაუგეგმავი მიზნობრივი დახმარება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა ცვლილებებისა პროგრამულ კლასიფიკაციაში, საჭიროებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია მხოლოდ გამგებლის (მერის) წარდგინებით.

7.4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება, აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის *ბიუჯეტის შესრულებას* თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან *არაუგვიანეს 15 დღისა* შესაბამისი საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძ-

ლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში *ადგილობრივი გადასახადების ამოღებას* უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის *სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას* – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის *ბიუჯეტის ანგარიში გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში.* ამ ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

თვითმმართველი ერთეულის *საფინანსო ორგანო აღრიცხავს* თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს, რაც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. იგი ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ყოველი *თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში* ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

ყოველი *კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში* ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს *ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით,* რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს *ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს* და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან *არაუგვიანეს 2 თვისა* წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის *ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში* მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა დასასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
- წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით შექმნილი/დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების/საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და *არაუგვიანეს 1 მაისისა* იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის *აუდიტორული დასკვნა* და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

მთლიანობაში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საბიუჯეტო კალენდარი ასახულია 7.1. ცხრილში.

ცხრილი 7.1: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საბიუჯეტო კალენდარი[1]

ვადები	პასუხისმგებელი უწყება	პროცესი
1 მარტიდან	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო	ინყებს მუშაობას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები
15 ივლისამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს დასაგეგმი წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელი ორგანო (გარდა ა/რ შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა)	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

[1] შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით: http://www.parliament.ge/files/budget-off/diary-avton-b.pdf

არა უგვიანეს 15 ნოემბრისა	ქ. თბილისის მერი	ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. (ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინება ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი)
	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) გამგებელი (მერი)	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. (ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინება ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი)
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო	ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვისათვის
ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო	იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სრითი შემადგენლობის უმრავლესობით
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს (მერს)

არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) გამგებელი (მერი)	ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს
	ქ. თბილისის მერი	ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
დასაგეგმი წლის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში	შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო	უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების 1/12-ისა
სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში	საქართველოს პრეზიდენტი	უფლებამოსილია წარმომადგენლობით ორგანოს შეუწყვიტოს უფლებამოსილება
ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ა/რ შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა)	დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობაში მყოფ პრიორიტეტების დოკუმენტს უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა	საფინანსო ორგანო	ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას
ყოველი თვის დასრულებიდან 10	საფინანსო ორგანო	ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი

დღის ვადაში		თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო	შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით
საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო	ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
არა უგვიანეს 1 მაისისა	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო	იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

საკონტროლო კითხვები

1. განსაზღვრეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ადგილი საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში.
2. განმარტეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად.
3. ახსენით, რითი (რომელი საკანონმდებლო აქტებით) ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი.
4. ახსენით, რა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.
5. ჩამოთვალეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები.
6. ახსენით, რა მიზნით იქმნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში „სარეზერვო ფონდი“ და ვინ გამოყოფს თანხებს ამ ფონდიდან.
7. ახსენით, როგორ ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შექმნილი „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ოდენობის განსაზღვრა და როგორ ხორციელდება მისი განკარგვა.
8. ახსენით, როგორ ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში.

9. აღწერეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცედურა.
10. განმარტეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის არსი და დანიშნულება.
11. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.
12. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საბიუჯეტო განაცხადი.
13. ახსენით, როგორ ხდება საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის პროგნოზირება.
14. ახსენით, როგორ ხდება ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის პროგნოზირება.
15. ახსენით, როგორ ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება.
16. ახსენით, როგორ ხდება არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება.
17. ახსენით, როგორ ხდება ადგილობრივი მოსაკრებლის (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის) პროგნოზირება.
18. ახსენით, როგორ ხდება ადგილობრივი მოსაკრებლის (მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის) პროგნოზირება.
19. ახსენით, როგორ ხდება ადგილობრივი მოსაკრებლის (მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის) პროგნოზირება.
20. განსაზღვრეთ გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლის წესი.
21. ჩამოთვალეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო გადასახდელები.
22. ახსენით, როგორ ხდება მიზნობრივი ტრანსფერის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება.
23. აღწერეთ სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის წესი.
24. აღწერეთ კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის წესი.
25. ახსენით, არანაკლებ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კანონის პროექტი.
26. ახსენით, რა დოკუმენტებს უნდა მოიცავდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები.
27. აღწერეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურა.
28. აღწერეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების, აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცედურა.
29. ახსენით, წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ რა ინფორმაციას მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

30. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი	ა. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება;
—	2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს	ბ. არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
—	3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს	გ. საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა;
—	4. სარეზერვო ფონდი	დ. არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
—	5. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	ე. ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ;
—	6. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი	ვ. განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
—	7. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობები	ზ. იქმნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად;
—	8. გათანაბრებითი ტრანსფერი	თ. განეკუთვნება სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები და საქართველოს

		კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსულობები;
—	9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო გადასახდელები	ი. განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები;
—	10. სპეციალური ტრანსფერი	კ. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნამთის ცვლილების ერთობლიობა.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაეცემა:
   - მიზნობრივი ტრანსფერი;
   - სპეციალური ტრანსფერი;
   - გათანაბრებითი ტრანსფერი;
   - კაპიტალური ტრანსფერი.
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადაეცემა:
   - მიზნობრივი ტრანსფერი;
   - სპეციალური ტრანსფერი;
   - გათანაბრებითი ტრანსფერი;
   - კაპიტალური ტრანსფერი.
3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განეული ფინანსური დახმარება, განიმარტება როგორც:

- მიზნობრივი ტრანსფერი;
- სპეციალური ტრანსფერი;
- გათანაბრებითი ტრანსფერი;
- კაპიტალური ტრანსფერი.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან, განიმარტება როგორც:
   - მიზნობრივი ტრანსფერი;
   - სპეციალური ტრანსფერი;
   - გათანაბრებითი ტრანსფერი;
   - კაპიტალური ტრანსფერი.
5. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს არ განეკუთვნება:
   - ადგილობრივი გადასახადები;
   - ადგილობრივი მოსაკრებლები;
   - სპეციალური ტრანსფერი;
   - გათანაბრებითი ტრანსფერი.
6. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს არ განეკუთვნება:
   - სპეციალური ტრანსფერი;
   - მიზნობრივი ტრანსფერი;
   - გათანაბრებითი ტრანსფერი;
   - კაპიტალური ტრანსფერი.
7. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის:
   - ბიუჯეტის შემოსავლები აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს;
   - ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამს;
   - ბიუჯეტის შემოსავლები აღემატება ხარჯებისა და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამს;
   - ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს.
8. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია:
   - სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისაგან;
   - სახელმწიფო ბიუჯეტისაგან;
   - ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისაგან;
   - როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისაგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისაგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისაგან.

9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს:
   - წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს;
   - წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსულობების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს;
   - წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსულობების მთლიანი ოდენობის 3 პროცენტს;
   - წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 3 პროცენტს.
10. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს:
    - ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების 3 პროცენტს, გარდა სარეზერვო ფონდისა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა;
    - ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების 5 პროცენტს, გარდა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა;
    - ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების 3 პროცენტს, გარდა სარეზერვო ფონდისა;
    - ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5 პროცენტს, გარდა სარეზერვო ფონდისა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისა.
11. ცვლილებები (მათ შორის, პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უნდა წარედგინოს:
    - 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა;
    - 45 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა;
    - 20 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა;
    - 2 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა.
12. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს:
    - პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;
    - ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
    - საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;
    - პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორებს.

13. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს:
    - გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
    - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
    - ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ;
    - პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორებს.
14. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
    - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზის შესახებ;
    - ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ;
    - პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
    - მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებული პროგნოზების შესახებ.
15. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში საბიუჯეტო განაცხადი არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
    - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზის შესახებ;
    - ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ;
    - გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
    - გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას.
16. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობებს არ მიეკუთვნება:
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
    - ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
    - ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).
17. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობებს მიეკუთვნება:
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
    - ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

18. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო გადასახდელებს არ მიეკუთვნება:
    - ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
    - ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).
19. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო გადასახდელებს მიეკუთვნება:
    - ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
    - არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
    - ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).
20. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები ისეთი უფლებამოსილებებია, რომელთა განხორციელებაზე ხარჯების გაწევა მათ:
    - შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად;
    - არ შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად;
    - შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით;
    - არ შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით.
21. საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულება (საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება) 1.5-ჯერ უნდა გაიზარდოს:
    - 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე;
    - 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე;
    - 2004 წელს მიღებულ აქტივებზე;
    - იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.
22. საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულება (საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება) 2-ჯერ უნდა გაიზარდოს:
    - 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე;
    - 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე;
    - 2004 წელს მიღებულ აქტივებზე;
    - იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.
23. ფორმულით [$F = L — (K_2^1 – K_2)^*S$] გაანგარიშდება:
    - გათანაბრებითი ტრანსფერი;

- მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;
- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის.

24. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი არ არის პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:
    - მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
    - სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან, რომელსაც ფლობს იგი;
    - მის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არის 100 000 ლარამდე;
    - მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება ოჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.
25. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს აცნობებს:
    - ყოველი წლის 1 სექტემბრამდე;
    - ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე;
    - ყოველი წლის 1 ნოემბრამდე;
    - ყოველი წლის 5 დეკემბრამდე.
26. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი/მერი წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს განსახილველად წარუდგენს:
    - არაუგვიანეს 15 სექტემბრისა;
    - არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა;
    - არაუგვიანეს 15 ნოემბრისა;
    - არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.
27. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი არ უნდა შეიცავდეს:
    - ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
    - ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
    - ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
    - მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას.
28. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს:
    - ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;
    - დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
    - მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
    - ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტის შესახებ.

29. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:
   - ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;
   - ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
   - სარეზერვო ფონდის მოცულობას;
   - ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას.
30. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელს/მერს უბრუნებს:
   - არაუგვიანეს 25 სექტემბრისა;
   - არაუგვიანეს 15ოქტომბრისა;
   - არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;
   - არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.
31. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან:
   - არაუგვიანეს 10 დღისა;
   - არაუგვიანეს 20 დღისა;
   - არაუგვიანეს 1 თვისა;
   - არაუგვიანეს 2 თვისა.
32. შესაბამისი საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან:
   - არაუგვიანეს 5 დღისა;
   - არაუგვიანეს 10 დღისა;
   - არაუგვიანეს 15 დღისა;
   - არაუგვიანეს 20 დღისა.
33. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით ამზადებს:
   - ყოველი თვის დასაწყისში;
   - ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში;
   - ყოველი თვის დასრულებისთანავე;
   - ყოველი თვის დასრულებიდან 15 დღის ვადაში.
34. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან:
   - არაუგვიანეს 15 დღისა;
   - არაუგვიანეს 25 დღისა;
   - არაუგვიანეს 1 თვისა;

- არაუგვიანეს 2 თვისა.

35. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ მოიცავს:
    - მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;
    - პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
    - ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
    - წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს.
36. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა უგვიანეს:
    - 15 აპრილისა;
    - 1 მაისისა;
    - 15 სექტემბრისა;
    - 1 ოქტომბრისა.
37. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს:
    - სარეზერვო ფონდის მოცულობას;
    - დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
    - პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს;
    - პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს.
38. ფორმულით [T=E-R] გაანგარიშდება:
    - მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის;
    - გათანაბრებითი ტრანსფერი;
    - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;
    - მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის.

დანართი 7.1: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია[1]

I. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული პრიორიტეტების დოკუმენტი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ამზადებს შესაბამის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგი ინფორმაციას:

•გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

•გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს;

•დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს;
- საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელ პროგრამებსა, დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

•დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება გასული და მიმდინარე წლის მოკლე მიმოხილვა, მათ შორის, ინფორმაცია მიღებული და დაგეგმილი შემოსულობების და განხორციელებული და დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებების შესახებ;

•შემდგომ წარმოდგენილი იქნება გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

• მე-3 ნაწილში წარმოდგენილი იქნება არსებული პრიორიტეტების, ასევე წარმომადგენლობით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასულებელი ორგანოების დაფინანსების მოცულობები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის;

[1] დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 11 ივლისიდან [დანართი №4 (11.07.2012 N 244)].

• შემდგომ მოცემული იქნება თითოეული პრიორიტეტის აღწერა და მის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის;

• პროგრამა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად;

• ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი;

• უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში;

• პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას და მას უნდა ჰქონდეს მიზანი და ბიუჯეტი;

• პროგრამა შინაარსის მიხედვით შესაძლებელია იყოს:

– მართვის და რეგულირების – პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამართულ ფუნქციონირებას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება და აღნიშნული პროგრამის აღწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან მასში უმეტეს შემთხვევებში ერთიანდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარჯები, სარეზერვო ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ასევე მსგავსი შინაარსის სხვა ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, სასურველია დანართში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია, ვის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვისაა გათვალისწინებული თანხები, რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იქნა აღებული სესხი, რომლის ფარგლებშიც წარმოქმნილია ვალდებულებები და სხვა;

– მომსახურების მიწოდების – ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უმუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარებიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია;

– სუბსიდირების – მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგო-

მარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით;

– ინფრასტრუქტურული – აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ მაჩვენებლებში.

» პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შესაძლებელია იყოს:

– მიმდინარე (მუდმივი) – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება;

– მრავალწლიანი – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახურებოდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებებისთვის, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) შესაძლოა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც, თავის მხრივ, პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება;

– ერთწლიანი (მოკლევადიანი) – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი, რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა, საბოლოოა და იგი, თავის მხრივ, არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

● თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

– პროგრამული კლასიფიკაციის კოდი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის №3 დანართის შესაბამისად);

– პროგრამის დასახელება;

– პროგრამის აღწერა;

– პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა;

– პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგი.

შუალედური და საბოლოო შედეგები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მი-

იღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით ბევრად უფრო კონკრეტულია, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

საბოლოო და შუალედური შედეგები განისაზღვრება პროგრამისთვის და წარმოადგენს, ერთი მხრივ პროგრამის არსებობის მანძილზე დასახული ძირითადი მიზნის მაჩვენებელს და, მეორე მხრივ, თითოეული საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ქვეპროგრამების/ღონისძიებების შედეგად მისაღწევ მაჩვენებელებს.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის დადგომის ვადა, უმეტეს შემთხვევაში, ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

თავად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წლიურ ბიუჯეტში განერილი უნდა იყოს დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგების აღწერა იქნება პრიორიტეტების დოკუმენტში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას.

შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და შუალედურ შედეგებს შორის.

პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორიცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირი-

თადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ.

შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა უმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების შესრულების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

•სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;

•შედეგზე ორინტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;

•ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

•შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

•შედარებითი – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

•რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;

•ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

•ხარჯზე მიბმული ინდიკატორები აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

•ეფექტიანობის ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

•ეფექტურობის ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილება მიზანშეწონილია შედგებოდეს 3 დანართისაგან, კერძოდ:

დანართი №1. – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები და მარეგულირებელი ნორმები

დანართის პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სადაც მონაცემები წარმოდგენილი იქნება როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმი და მიმდინარე წლის მონაცემები საბიუჯეტო კლასიფიკაციის თითოეული კატეგორიის მიხედვით სასურველია დაიყოს 2 ნაწილად, კერძოდ:

– საკუთარი შემოსავლები და წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ტრანსფერები, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

– წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები;

შემდგომ მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

მესამე ნაწილში უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ, მათ შორის, გადასახადების, გრანტების და სხვა შემოსავლების ჩამლას ქვეკატეგორიების მიხედვით;

შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდის და კლების აგრეგირებული მაჩვენებლების შესახებ, ასევე, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია;

დანართის შემდგომ ნაწილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ზრდის და კლების შესახებ. ამასთან, ვალდებულებების ზრდის შემთხვევაში მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია, რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იგეგმება სესხის აღება, ხოლო ვალდებულებების კლებასთან დაკავშირებით განმარტებული იყოს ვის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვა იგეგმება და რა ღონისძიებებისთვის იყო ესა თუ ის სესხი აღებული.

დანართი №1-ის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები, ანუ ის ძირითადი დებულებები, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აღსრულებისათვის, მათ შორის, სარეზერვო ფონდის მოცულობა და მისი ხარჯვის წესი, რომელი ღონისძიების დასაფინანსებლად და რა მოცულობით არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი, სხვადასხვა პროგრამების ხარჯვის წესი და სხვა.

დანართი №2 – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

აღნიშნულ დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმარ-

თველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, ასევე მათ ფარგლებში შემავალი პროგრამების და ქვეპროგრამების მოკლე აღწერა და მიზანი. გასათვალისწინებელია, რომ აღწერა მოცემული უნდა იყოს ყველა იმ პროგრამასა და ქვეპროგრამაზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებებში წარმოდგენილი იქნება ცალკე პროგრამული კოდით.

დანართი №3 – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებები

დანართ №3-ში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები;

ასიგნებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის, დასაგეგმი წლის ბიუჯეტისათვის განსაზღვრული პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად. ამასთან, მიმდინარე და დასაგეგმის წლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის თითოეული კატეგორიის მიხედვით უნდა დაიყოს 2 ნაწილად, კერძოდ:

– საკუთარი შემოსავლები და წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ტრანსფერები, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

– წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები;

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები თითქმის იდენტურია, მიზანშეწონილია მათი პრიორიტეტების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებიც იყოს იდენტური (გარდა თვითმმართველი ქალაქი თბილისისა) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზოგიერთ თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს განსხვავებული პროგრამებიც.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგეობა); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა; მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი; სხვა ღონისძიებები.
პრიორიტეტი – თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება პროგრამა – საგანგებო სიტუაციების მართვა; პროგრამა – საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; პროგრამა – ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა.
პრიორიტეტი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; პროგრამა – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა; პროგრამა – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; პროგრამა – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კეთილმოწყობის ღონისძიებები; პროგრამა – „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.
პრიორიტეტი – განათლება; პროგრამა – სკოლამდელი განათლება; პროგრამა – ზოგადი განათლების ხელშეწყობა; პროგრამა – პროფესიული განათლების ხელშეწყობა.
პრიორიტეტი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი, პროგრამა – სპორტის განვითარების ხელშეწყობა; პროგრამა – კულტურის განვითარების ხელშეწყობა;

პროგრამა – საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა; პროგრამა – რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა.
პრიორიტეტი – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; პროგრამა – ჯანდაცვის პროგრამები; პროგრამა – სოციალური პროგრამები.

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში – გასული წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების უმეტესობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და ზოგიერთი მათგანის განხორციელება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იწყებოდეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეუძლებელი იქნება კვარტალური მიმოხილვების დროს გაანალიზდეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები. ასევე შეუძლებელი იქნება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც პროგრამებისთვის ძირითადად გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, ხოლო ქვეპროგრამებისათვის ერთ საბიუჯეტო წელზე, შეფასდეს წლის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემდგომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვაში მაინც ძირითადად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი ფისკალური მონაცემების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

მიზანშეწონილია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში აისახოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ. აქვე უნდა იყოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.
- მე-2 ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების მიმოხილვა, მათი გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან ადგილობრივი

თვითმმართველი ერთეულის წლიურ ბიუჯეტში.

•შემდგომ მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ.

•მე-4 ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დანესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი საკასო შესრულების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამების შესრულების შესახებ, სადაც მოცემული იქნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თითოეული პროგრამისათვის:

•პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი;

•წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;

•შედეგის შეფასების ინდიკატორები;

•განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

თემა 8

საბიუჯეტო კლასიფიკაცია

„ამ ქვეყანაზე მხოლოდ ორი რამ არის გარდაუვალი - სიკვდილი და გადასახადები".
ბენჯამინ ფრანკლინი

„გადასახადების აკრეფა – ეს არის ხელოვნება, ისე გაბდღვნა ბატი, რომ მიიღო ბუმბულის მაქსიმუმი მინიმალური წრიპინით".
ჟან ბატისტ კოლბერი

გეგმა:

8.1. საბიუჯეტო კლასიფიკაციის არსი და მნიშვნელობა;
8.2. შემოსავლების კლასიფიკაცია;
8.3. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია;
8.4. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია;
8.5. ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია;
8.6. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია.

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

8.1. საბიუჯეტო კლასიფიკაციის არსი და მნიშვნელობა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, *„საბიუჯეტო კლასიფიკაცია* მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე პროგრამულ კლასიფიკაციას. პროგრამული კლასიფიკაცია არის პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების ერთობლიობა და განისაზღვრება ბიუჯეტით. საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის პროგრამული კლასიფიკაცია ასევე მოიცავს მხარჯავ დანესებულებებს და, შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებს".

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის ინფორმაციის დაჯგუფება ერთგვაროვნების და ერთიანი ნიშნების

მიხედვით. საბიუჯეტო ინფორმაციის სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება გვაძლევს ბიუჯეტის მომზადების, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპების კრიტიკულად განხილვის შესაძლებლობას. ამდენად, საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შედგენის, შესრულებისა და ანგარიშგებისთვის აუცილებელი ატრიბუტი.

საგულისხმოა, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია სავალდებულოა ყველა დონის ბიუჯეტისთვის და ქვეყნის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისთვის. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება ბიუჯეტის და საბიუჯეტო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში აღრიცხვის წარმართვა.

როგორც ცნობილია, არსებობს აღრიცხვის ორი მეთოდი: აღრიცხვა საკასო წესით ან დარიცხვის წესით. *საკასო მეთოდით აღრიცხვა* ნიშნავს, რომ *შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა* ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება მათი ფაქტიური მიღება ან ფაქტიური ხარჯვა. <u>მაგალითი:</u> ბიუჯეტში 17 თებერვალს შემოვიდა 1 მლნ ლარი და დაიხარჯა 700 ათასი ლარი. ხაზინის დოკუმენტაციაში 17 თებერვალს გატარდება 1 მლნ ლარის შემოსავალი და 700 ათასი ლარის ხარჯი.

დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა ნიშნავს, რომ *შემოსავლების აღრიცხვა* ხდება იმ დღეს, რა დღესაც უნდა შემოვიდეს ეს შემოსავალი. სხვაობა ფაქტიურ შემოსავალსა და დარიცხულ შემოსავალს შორის არის *დებიტორული დავალიანება*. <u>მაგალითი:</u> დღგ-ს გადახდა ხდება ყოველი თვის 15 რიცხვში. დეკლარაციის მიხედვით, შპს X-ის უწევს 500 ათასი ლარის დღგ-ს გადახდა თებერვალში, რომელიც ფაქტიურად გადაიხადა 17-ში. დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, 15 თებერვალს მოხდება შემოსავლის აღრიცხვა 500 ათასი ლარის ოდენობით და ამ თანხითვე გაიზრდება დებიტორული დავალიანება. 17-ში კი, როდესაც მოხდება ფაქტიური გადახდა, დებიტორული დავალიანება შემცირდება 500 ათასით, და იგივე ოდენობით გაიზრდება ხაზინის ანგარიშზე ფული.

ანალოგიურად, *დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა* ნიშნავს, რომ *ხარჯების აღრიცხვა* ხდება იმ დროს, რა დროსაც ეკუთვნის ამ ხარჯის გაწევა. თუ ფული უნდა დაიხარჯოს, მაგრამ ფაქტიურად არ დახარჯულა, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს წარმოეშვა *კრედიტორული დავალიანება*. <u>მაგალითი:</u> განათლების სამინისტროში ხელფასების გადახდა ხდება ყოველი თვის 1 რიცხვში, რისთვისაც იხარჯება 250 ათასი ლარი ყოველთვიურად. დავუშვათ, რომ რაღაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხელფასი ვერ დარიგდა 5 თებერვლამდე. ასეთ შემთხვევაში, 1 რიცხვში გატარდება შრომის ანაზღაურების მუხლში დავალიანების ზრდა 250 ათასი ლარით, ხოლო 5

თებერვალს მოხდება შრომის ანაზღაურების მუხლის და ხაზინაში ნაშთის შემცირება 250 ათასი ლარით.

საგულისხმოა, რომ საქართველოში საბიუჯეტო ორგანიზაციები ჯერ კიდევ აღრიცხვის საკასო მეთოდს იყენებენ. საბიუჯეტო კლასიფიკაციის რეფორმის პირველი ეტაპის დასრულების შედეგად ჯერ-ჯერობით ისევ საკასო მეთოდმა ჰპოვა გამოყენება, დარიცხვის მეთოდზე გადასვლა რეფორმის შემდგომი ეტაპის ამოცანაა.

საქართველოში 2008 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამედროვე საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტს GFSM-2001. ეს არის ახალი კლასიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების სწორ, სრულ აღრიცხვას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. მანამდე საქართველოს საბიუჯეტო ორგანიზაციები იყენებდნენ GFSM-1986 კლასიფიკაციას, რომელიც უკვე საკმაოდ მოძველებულია.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვემოთ მოტანილი სქემები ეფუძნება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებას - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე", რომელშიც შემდგომ შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები და დამატებები[1]. ამჟამინდელი მდგომარეობით, GFSM-2001 სტანდარტის საბიუჯეტო

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 აპრილის №78 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ": https://matsne.gov.ge/ka/document/view/3255222

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №432 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე": https://matsne.gov.ge/ka/document/view/3124302

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №415 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე": https://matsne.gov.ge/ka/document/view/2656900

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №387 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე": https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400834

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №992 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ": https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167767

კლასიფიკაცია აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციის, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის; ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის; ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის კატეგორიებს[1].

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეულ კატეგორიებში[2] თანრიგები გამოისახება შესაბამისი კოდებით, კერძოდ:

- *შემოსავლების კლასიფიკაციაში* პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი – ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი – ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი – ექვს ან შვიდციფრიანი კოდით, მეშვიდე თანრიგი – შვიდციფრიანი კოდით და მერვე თანრიგი – რვაციფრიანი კოდით.
- *ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში* პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი – ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამ ან ოთხციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხ, ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი – ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი – ექვსციფრიანი კოდით, მეშვიდე თანრიგი – შვიდციფრიანი კოდით.
- *არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში* მეორე თანრიგი გამოისახება ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი – ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი – ექვს ან შვიდციფრიანი კოდით.
- *ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში* კლასიფიკაციის პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით და მეოთხე თანრიგი – ხუთციფრიანი კოდით.
- *ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში* მეორე თანრიგი გამოისახება ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი – სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი – ოთხციფრიანი კოდით.

---

[1] გარდა ამისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, არსებობს ხარჯების პროგრამული კლასიფიკაციაც, რომელიც არ არის GFSM-2001 შემადგენელი ნაწილი და რომელშიც ხარჯები დაჯგუფებულია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით. ჩვენ ეს საკითხი უკვე განვიხილეთ მე-5, მე-6 და მე-7 თემებში.

[2] იმ შემთხვევაში თუ კლასიფიცირების დროს ვერ ხერხდება რამდენიმე ტიპის გადასახდელის ერთმანეთისგან გამიჯვნა, მაშინ იგი მთლიანად მიიმართება იმ კატეგორიაში, რომლის წილიც მეტია.

8.2. შემოსავლების კლასიფიკაცია

საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსავლების დაჯგუფება საბიუჯეტო სისტემის ყველა დონისათვის და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს საბიუჯეტო შემოსავლების წყაროების ფორმირებას.

საბიუჯეტო შემოსავლების მოქმედი კლასიფიკაცია სქემატურად ასახულია **8.1. დანართში.**

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსავლები (1) იყოფა 4 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

- გადასახადები (11);
- სოციალური შენატანები (12);
- გრანტები (13);
- სხვა შემოსავლები (14).

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება **საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების** მოკლე დახასიათება:

გადასახადები (11)

გადასახადი არის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ტრანსფერი, რომელსაც გადამხდელი უხდის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს.

გადასახადის გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე გადახდევინებული ჯარიმები აღირიცხება იმ გადასახადის სახეში, რომელზეც ხდება ჯარიმის, სანქციის ან საურავის დარიცხვა. აქვე ხდება იმ ჯარიმების, სანქციებისა და საურავების აღრიცხვა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებასთან.

გადასახადის დაბრუნება განიხილება, როგორც უარყოფითი საგადასახადო შემოსავალი. დაბრუნება არის ზედმეტად გადახდილი თანხის კორექტირება. დამატებული ღირებულების გადასახადის შემთხვევაში გადამხდელს, საბოლოო მომხმარებლის გარდა, უფლება აქვს ჩაითვალოს ნედლეულის შეძენისას გადახდილი გადასახადის თანხა. თუ ჩასათვლელი თანხა აჭარბებს რეალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე დარიცხულ თანხებს, მაშინ გადასახადის დაბრუნება აღირიცხება როგორც უარყოფითი შემოსავალი.

საგადასახადო კრედიტი არის საგადასახადო შეღავათის სახეობა, რომლითაც მცირდება გადასახადის თანხა, და რომელიც სხვაგვარად დაექვემდებარებოდა გადახდას. ზოგიერთ შემთხვევაში საგადასახადო კრედიტის მოცულობამ შესაძლოა გადააჭარბოს გადასახადის თანხას და წმინდა გადასახადმა შეადგინოს უარყოფითი სიდიდე, რის გამოც მთავრობას გაუჩნდეს გადამხდელისთვის თანხის გადახდის ვალდებულება. ასეთი ხასიათის გადასახდელები წარმოადგენს ხარჯებს და არ უნდა იქნეს აღრიცხული როგორც უარყოფითი შემოსავალი.

გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე (111)

აღნიშნული მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება:

(I) ხელფასი და შრომის ანაზღაურება, ჰონორარი, საკომისიო შემოსავალი, შრომის მძიმე პირობებისთვის ან სხვა სახით მიღებული ანაზღაურება და კომპენსაციის სახით მიღებული ისეთი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებულია განეული შრომის ანაზღაურებასთან;

(II) პროცენტის, დივიდენდის, რენტის სახით და არამატერიალური აქტივების ფლობიდან მიღებული შემოსავალი;

(III) კაპიტალის ღირებულების ცვლილებიდან მიღებული შემოსავლები ან დანაკარგი, საინვესტიციო ფონდის კაპიტალის ღირებულების ნაზრდის განაწილებით მიღებული შემოსავლების ჩათვლით;

(IV) შპს-ის, სააქციო საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის საწარმოს, ამხანაგობის, ინდივიდუალური საწარმოს, სატრასტო ფონდის მოგება; მემკვიდრეობის სახით მიღებული შემოსავალი;

(V) პენსია ან სოციალური დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი, სიცოცხლის დაზღვევით და სხვა საპენსიო დაზღვევის ანგარიშიდან მიღებული შემოსავალი;

(VI) ყველა სხვა სახის შემოსავალი, თუ ასეთი გადასახადები გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს: (1) ფიზიკური პირი (1111) ან (2) საწარმო (1112). (3) თუ არ არსებობს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირია თუ საწარმო, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს როგორც გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია (1113). მემკვიდრეობაზე გადახდევინებული საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება როგორც გადასახადი ფიზიკური პირებისგან. არამომგებიანი ორგანიზაციებიდან მიღებული საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება როგორც გადასახადი საწარმოებიდან. სატრასტო ფონდებიდან მიღებული საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც გადასახადი ფიზიკური პირებიდან (თუ შემოსავლის მიმღებს წარმოადგენს ფიზიკური პირი), სხვა შემთხვევაში იგი აღირიცხება როგორც გადასახადი საწარმოებიდან.

გადასახადი ფიზიკური პირიდან (1111):

ამ მუხლით აღირიცხება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი (11111), რომელიც იყოფა შემდეგ ქვეკგუფებად:

- დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (111111);
- გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან (111112);

- გადასახადი ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან (11111121)
- გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან (11111122)
- გადასახადი არამეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან (11111123)
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან (111113);
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტებიდან (111114);
- გადასახადი დიპლომატიურ დაწესებულებებში დასაქმებული რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლებიდან (111115);
- არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) (111116);
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან (111118);
- გადასახადი ფიზიკური პირისთვის ქონების ჩუქებიდან (111119);
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან (1111110);
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან (1111111);
- ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე (1111112);
- ფიქსირებული გადასახადიდან დასაბეგრ საქმიანობაზე (1111113);
- სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი (1111199).

გადასახადი საწარმოებიდან (1112):

ამ მუხლით აღირიცხება მოგების გადასახადი (11121), რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

- რეზიდენტი საწარმოებიდან (111211);
- სხვა არაკლასიფიცირებულ მოგების გადასახადი (111219).

სხვა გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია (1113): როგორც ზემოთ აღინიშნა ამ კოდით აღირიცხება ისეთი შემთხვევები, როდესაც გადამხდელის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

გადასახადები ხელფასზე და სამუშაო ძალაზე[1] (112)

ამ მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომელსაც იხდის დამსაქმებელი ან თვითდასაქმებული ხელფასის პროპორციულად ან ფიქსირებული ოდენობით ყოველ დასაქმებულზე და რომელიც არ მიემართება მიზნობრი-

[1] აქ და ქვემოთ ყველგან ნიშანი „*„ მიანიშნებს იმაზე, რომ „არ არის განსაზღვრული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან გამოიყენება მხოლოდ დარიცხვის მეთოდის დროს“.

ვად სოციალური დაზღვევის სქემის დასაფინანსებლად. გადასახდელები, რომლებიც მიზნობრივად მიემართება სოციალური დაზღვევის სისტემის ხარჯების დაფინანსებისთვის, აღირიცხება *სოციალური დაზღვევის შენატანების (121)* მუხლით.

გადასახადები ქონებაზე (113)

ეს მუხლი მოიცავს გადასახადებს, რომლითაც იბეგრება ქონების გამოყენება, საკუთრება (ფლობა) ან გადაცემა. ქონება შესაძლოა იბეგრებოდეს გარკვეული ინტერვალებით, ერთჯერადად ან საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

გადასახადები უძრავ ქონებაზე (1131): ამ ტიპის გადასახადებით დროის გარკვეული ინტერვალებით იბეგრება უძრავი ქონების (მათ შორის: მიწა, შენობა ან სხვა სახის ნაგებობა) საკუთრება ან გამოყენება. გადასახადით შეიძლება დაიბეგროს მესაკუთრე, დამქირავებელი ან ორივე ერთად. გადასახადი გაიანგარიშება პროცენტულად ქონების შეფასებული ღირებულებიდან, რომლის განსაზღვრაც ხდება პირობითი საიჯარო ქირის, გასაყიდი ფასის, კაპიტალიზირებული შემოსავლის ან სხვა ისეთი მახასიათებლის მიხედვით, როგორიცაა ზომა ან ადგილმდებარეობა.

ამ მუხლით აღირიცხება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული *ქონების გადასახადი (11311),* რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (113111);
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (113112);
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (113113);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი (113114), რომელიც მოიცავს შემოსავალს:
- ფიზიკური პირებიდან (1131141);
- იურიდიული პირებიდან (1131142);
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი (113115), რომელიც მოიცავს შემოსავალს:
- ფიზიკური პირებიდან (1131151);
- იურიდიული პირებიდან (1131152).

გადასახადები წმინდა მატერიალურ ფასეულობებზე* (1132): ეს მუხლი მოიცავს გადასახადებს, რომლითაც დროის გარკვეული ინტერვალებით იბეგრება მატერიალური ფასეულობების წმინდა ღირებულება, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულების ჯამს გამოკლებული ამ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გადასახადები კაპიტალის და ფინანსურ ოპერაციებზე* (1134): ეს მუხლი მოიცავს გადასახადებს, რომლითაც ხდება ქონების დაბეგვრა მესაკუთრის ცვლილებისას, გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადები. ამ მუხლით აღირიცხება აგრეთვე გადასახადები ფასიანი ქაღალდების გამოშვება, შეძენასა

და გაყიდვაზე, გადასახადები ჩეკებზე ან სხვა სახის საგადამხდელო საშუალებებზე და გადასახადები სპეციფიკურ იურიდიულ ოპერაციებზე, როგორიცაა კონტრაქტების დამოწმება ან უძრავი ქონების გაყიდვა.

ეს კატეგორია არ მოიცავს გადასახადებს საქონლის გამოყენებაზე (1145 მუხლის ნაწილი), გადასახადებს კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე (111 მუხლის ნაწილი), *გადასახადებს წმინდა მატერიალურ ფასეულობებზე"* (1132), *ერთჯერად გადასახადებს ქონებაზე"* (1135), მოსაკრებლებს, რომლებიც გადახდევინებაც ხდება სასამართლო ხარჯების ან დაბადების, ქორწინების ან გარდაცვალების რეგისტრაციის ხარჯების დასაფარად (1422 მუხლის ნაწილი), *ეაჭრობის გადასახადს"* (11412) ან ძირითად საგერბო გადასახადებს (116-ე მუხლის ნაწილი).

ერთჯერადი გადასახადები ქონებაზე" (1135): ამ მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება ქონება ან წმინდა მატერიალური ფასეულობები, ერთჯერადად ან დროის არარეგულარული ინტერვალებით. იგი მოიცავს გადასახადებს წმინდა მატერიალურ ფასეულობებზე, რომელიც განკუთვნილია გაუთვალისწინებელი გადაუდებელი ხარჯების გასაწევად ან შემოსავლების გადანაწილების მიზნით; გადასახადებს ქონებაზე, როგორიცაა გადასახადი აქტივის გაუმჯობესებასა და მელიორაციაზე, რომლითაც იბეგრება მთავრობის მიერ მიწის ათვისების ნებართვის გაცემის ან ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების გამო მიწის ღირებულების ზრდა, გადასახადები კაპიტალის აფასებაზე და ყველა სხვა სპეციალური გადასახადი კონკრეტული სახის ქონებაზე.

სხვა გადასახადები ქონებაზე" (1136): ეს მუხლი მოიცავს ყველა სხვა გადასახადებს ქონებაზე, რომელიც არ მიეკუთვნება 1131, 1132 ან 1134 მუხლებს, კერძოდ, გადასახადები პირად ქონებაზე, ძვირფასეულობაზე, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე, სხვა პირუტყვზე, სხვა კონკრეტული სახეობის ქონებაზე ან სიმდიდრის გარეგნულ ნიშნებზე. გადასახადები კონკრეტული სახის მოძრავი ქონების გამოყენებაზე, როგორიცაა გადასახადები ავტომობილებზე და იარაღით სარგებლობაზე, კლასიფიცირებულია, როგორც *გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე"* (1145).

გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე (114)

ამ მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება საქონლის წარმოება, რეალიზაცია (გაყიდვა), გადაცემა, მიწოდება, ოჯარა ან ბუნებრივი რესურსების მოპოვება და მომსახურების გაწევა. აქვე შეიტანება გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე. გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე მოიცავს შემდეგ სახეობებს:

- დამატებული ღირებულების გადასახადს (11411);
- გადასახადს ვაჭრობაზე", იმის მიუხედავად მათი გადახდევინება ხდება წარმოების, საბითუმო ვაჭრობის თუ საცალო ვაჭრობის ეტაპზე (11412);

• ბრუნვის გადასახადი", რომლითაც საქონელი და მომსახურება იბეგრება ერთ ან მრავალეტაპად, სადაც სიტყვა „ეტაპი" აღნიშნავს წარმოების, განაწილების ან მიწოდების ეტაპს (11413);

• აქციზს (1142);

• გადასახადებს, რომლითაც იბეგრება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ან სხვა საქონლის გამოყენება" (11451);

• გადასახადებს, რომელთა გადახდევინება ხდება საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვის მისაღებად" (11452);

• გადასახადებს, სასარგებლო წიაღისეულის ან სხვა ბუნებრივი რესურსების მოპოვება, გადამუშავებასა და წარმოებაზე" (1146).

ეს კატეგორია არ მოიცავს *გადასახადებს საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე (115),* მაგრამ ამ მუხლით უნდა აღირიცხოს გადასახადები, რომელთა გადახდევინება ხდება საქონლის იმპორტის ან საზღვრის გადაკვეთისას და, რომელთა გადახდის ვალდებულება არ წარმოიქმნება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საქონელი კვეთს საზღვარს ანუ ის გადასახადები, რომლითაც ასევე იბეგრება ადგილობრივი წარმოების საქონელი ან ოპერაციები.

გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე იყოფა ექვს კატეგორიად, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე (1141): ეს მუხლი მოიცავს ყველა გადასახადს, რომლითაც იბეგრება ფართო სპექტრის საქონლის წარმოება, იჯარა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია, შეძენა ან საკუთრების სხვაგვარი ცვლილება და ფართო სპექტრის მომსახურების გაწევა, გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც აღირიცხება მუხლით *იმპორტის გადასახადი* (1151) და *გადასახადები ექსპორტზე"* (1152). ასეთი გადასახადებით, შეიძლება დაიბეგროს საქონელი და მომსახურება, იმისდა მიუხედავად, მისი წარმოება ხდება ადგილობრივი მწარმოებლების მიერ, თუ იგი არის იმპორტირებული, ასევე საქონლისა და მომსახურების დაბეგვრა ამ გადასახადებით შეიძლება განხორციელდეს წარმოებისა და მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე (სტადიაზე). აქვე უნდა აღირიცხოს იმპორტის დროს გადახდილი მსგავსი გადასახადებიც. ექსპორტის შემთხვევაში დაბრუნებული გადასახადები აღირიცხება ამავე კატეგორიაში, როგორც უარყოფითი შემოსავლები. თუ გადასახადებით იბეგრება საქონლისა და მომსახურების ცალკეული სახეობა და არა მათი ფართო სპექტრი, მაშინ ისინი უნდა აღირიცხოს *აქციზის* (1142) მუხლით. მისი ხასიათიდან გამომდინარე, თუ შეიძლება, რომ გადასახადი მიკუთვნებული იქნეს ორ სხვადასხვა კატეგორიას, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს იმ მუხლით, რომელიც ამ გადასახადის დომინანტ ნაწილს წარმოადგენს. ეს მუხლი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

დამატებული ღირებულების გადასახადი (11411): დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) არის გადასახადი, რომლითაც ხდება საქონლისა და მომსახურების დაბეგვრა კასკადურად წარმოებისა და მიწოდების

სხვადასხვა ეტაპზე და რომლის სრული მოცულობით გადახდა ხდება საბოლოო მომხმარებლის მიერ. ამ გადასახადს სხვაგვარად უწოდებენ *გამოქვითვად გადასახადს,* რადგან ჩვეულებრივ მწარმოებლებს არ მოეთხოვებათ, რომ მთავრობას გადაუხადონ გადასახადის სრული მოცულობა, რომელსაც ისინი გადაახდევინებენ მათ კლიენტებს, ისინი უფლებამოსილი არიან გადასახადის თანხიდან გამოქვითონ ის თანხები, რომლებიც მათ მიერ გადახდილ იქნა მომწოდებლებზე შუალედური მოხმარების საქონლის შეძენისას ან ძირითადი კაპიტალის (ფონდების) ფორმირებისას. ჩვეულებრივ, გადასახადის გაანგარიშება ხდება საქონლის ან მომსახურების ფასიდან, ამ საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული ყველა სხვა გადასახადის გათვალისწინებით. იმპორტის გადასახადის გარდა შეიძლება დღგ გადახდევინებულ იქნეს საქონლისა და მომსახურების იმპორტის დროსაც.

აღნიშნული გადასახადი მოიცავს:

- საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან (114111);
- იმპორტირებული პროდუქციიდან (114112);
- სხვა არაკლასიფიცირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (114119).

ვაჭრობის გადასახადი" (11412): ეს კატეგორია მოიცავს ყველა გადასახადს, რომლის გადახდევინება ხდება ერთჯერადად წარმოების, საბითუმო ან საცალო ვაჭრობის ეტაპზე.

ბრუნვის გადასახადი და სხვა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე" (11413): ამ კატეგორიით აღირიცხება გადასახადები, რომლითაც საქონელი და მომსახურება იბეგრება მრავალ ეტაპად და ჯამურად, წინა ეტაპზე გადახდილი გადასახადის გამოქვითვის გარეშე. ამ მუხლით აღირიცხება ასევე, ყველა გადასახადი მოხმარებაზე, რომელშიც გაერთიანებულია დამატებული ღირებულების, ვაჭრობისა და სხვა მრავალსაფეხურიანი გადასახადების თვისებები.

აქციზი (1142): აქციზით იბეგრება კონკრეტული დასახელების საქონელი და მომსახურება ან საქონლისა და მომსახურების ვიწრო ჯგუფი, რომელიც არ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს როგორც *საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე* (1141), *ფისკალური მონოპოლიების მოგება"* (1143), *იმპორტის გადასახადი* (1151) ან *გადასახადები ექსპორტზე"* (1152). აქციზით დაბეგვრა შეიძლება განხორციელდეს წარმოებისა და მიწოდების ნებისმიერ სტადიაზე და ჩვეულებრივ გაიანგარიშება საქონლის ღირებულების, წონის, კონცენტრაციის ან რაოდენობის მიხედვით. ეს გადასახადი მოიცავს სპეციალურ გადასახადებს კონკრეტულ პროდუქტებზე, მაგალითად: შაქარი, შაქრის ჭარხალი, ასანთი ან შოკოლადი, გადასახადებს, რომლითაც ცალკეული დასახელების საქონელი ან საქონლის ვიწრო ჯგუფი იბეგრება განსხვავებული განაკვეთით, და გადასახადებს, რომლითაც იბეგრება თამბაქოს ნაწარმი, სპირტიანი სასმელები, საავტომობილო საწვავი და

ზეთები. თუ გადასახადით ძირითადად იბეგრება იმპორტირებული საქონელი, მაგრამ იგივე განაკვეთით იბეგრება ან დაიბეგრებოდა ადგილობრივი წარმოების საქონელი, მაშინ იგი მიეკუთვნება აქციზს და არა იმპორტის გადასახადს. იგივე წესი გამოიყენება, თუ არ არსებობს ადგილობრივი წარმოების მსგავსი პროდუქტი ან მსგავსი პროდუქტის წარმოება ადგილობრივი მწარმოებლების მიერ შეუძლებელია. გადასახადები ელექტროენერგიაზე, გაზსა და სხვა ენერგომატარებლებზე მიეკუთვნება აქციზს და არ უნდა აღირიცხოს როგორც *გადასახადები სპეციფიკურ მომსახურებაზე*" (1144). აქციზური საქონელი კლასიფიცირებულია საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

აღნიშნული გადასახადი იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

აქციზი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან (11421), რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

• აქციზი თამბაქოდან (114211). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-3 ნაწილით „თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)" და იყოფა ფიქსირებული გადასახადიდან (1142111) და ადვალური გადასახადიდან (1142112);

• აქციზი არაყიდან (114212). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-2 ნაწილით „ეთილის სპირტი და ალკოჰოლური სასმელები" - არაყი (სეს ესნ კოდი 2208 60);

• აქციზი სპირტიანი სასმელებიდან (არყის გარდა) (114213). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-2 ნაწილით „ეთილის სპირტი და ალკოჰოლური სასმელები", გარდა არყისა (სეს ესნ კოდი 2208 60);

• აქციზი ლუდიდან (114214). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის პირველი ნაწილით „ლუდი" - ალაოს ლუდი (სეს ესნ კოდი 2203 00);

• აქციზი მობილური კავშირგაბმულობიდან (114215). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მე-3 პუნქტით - მობილური საკომუნიკაციო მომსახურება და იყოფა ადგილობრივი ზარებიდან (1142151) და საერთაშორისო ზარებიდან (1142152);

• აქციზი ბუნებრივი აირიდან (114216). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-5 ნაწილით „ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)", კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ბუნებრივი აირი: აირის კონდენსატი ბუნებრივი (სეს ესნ კოდი 2709 00 100 00), ბუნებრივი აირი (გათხევადებული) (სეს ესნ კოდი 2711 11 000 00), ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში) (სეს ესნ კოდი 2711 21 000 00);

• სხვა არაკლასიფიცირებული პროდუქციიდან (1142110). ამ კოდზე აღირიცხება საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული სხვა დანარჩენი აქციზური პროდუქციის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანომდებლობით.

აქციზი იმპორტირებული პროდუქციიდან (11422), რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

- აქციზი თამბაქოდან (114221). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-3 ნაწილით „თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)" და იყოფა ფიქსირებული გადასახადიდან (1142211) და ადვალური გადასახადიდან (1142212);
- აქციზი არაყიდან (114222). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-2 ნაწილით „ეთილის სპირტი და ალკოჰოლური სასმელები" - არაყი (სეს ესნ კოდი 2208 60);
- აქციზი ლუდიდან (114223). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-1 ნაწილით „ლუდი" - ალაოს ლუდი (სეს ესნ კოდი 2203 00);
- აქციზი ბენზინიდან (114224). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-6 ნაწილით „ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები" - მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები (სეს ესნ კოდი 2710 12);
- აქციზი დიზელიდან (114225). ამ კოდზე აღირიცხება მძიმე დისტილატების დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-6 ნაწილით „ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები" - გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის (სეს ესნ კოდი 2710 19 310 00), ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა

(სეს ესნ კოდი 2710 19 350 00), გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა (სეს ესნ კოდი 2710 19 410 00), გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა (სეს ესნ კოდი 2710 19 450 00), გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი (სეს ესნ კოდი 2710 19 490 00), გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა (სეს ესნ კოდი 2710 20 110 00);

- აქციზი ნავთობიდან (114226). ამ კოდზე აღირიცხება საშუალო დისტილატების დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-6 ნაწილით „ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები“ - გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის (სეს ესნ კოდი 2710 19 110 00), ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა (2710 19 150 00), რეაქტიული სათბობი (სეს ესნ კოდი 2710 19 210 00), დანარჩენი (სეს ესნ კოდი 2710 19 250 00), დანარჩენი (სეს ესნ კოდი 2710 19 290 00), გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა (სეს ესნ კოდი 2710 20 150 00), გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი (სეს ესნ კოდი 2710 20 190 00);
- აქციზი სხვა ნავთობპროდუქტებიდან (114227). ამ კოდზე აღირიცხება იმ ნავთობპროდუქტების დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-5 ნაწილით „ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)“ - პროპანი (სეს ესნ კოდი 2711 12), ბუტანები (სეს ესნ კოდი 2711 13), ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი (სეს ესნ კოდი 271114 00000), დანარჩენი (სეს ესნ კოდი 271119 00000), მე-6 ნაწილით „ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები“ - ყველა აქციზური საქონელი, გარდა მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისა, კერძოდ: გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის (სეს ესნ კოდი 2710 19 110 00), ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა (სეს ესნ კოდი 2710 19 210 00), რეაქტიული სათბობი (სეს ესნ კოდი 2710 10 210 00), დანარჩენი (სეს ესნ კოდი 2710 19 250 00), დანარჩენი (სეს ესნ კოდი 2710 19 290 00), ცხრილის მე-7 ნაწილით „ბიოდიზელი“, ცხრილის მე-8 ნაწილით „პიროლიზის თხევადი პროდუქტი“, ცხრილის მე-9 ნაწილით „ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები“, ცხრილის მე-10 ნაწილით „მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი“, ცხრილის მე-11 ნაწილით „საპოხი მასალები და საშუალებები“;
- აქციზი მსუბუქი ავტომობილებიდან (114228). ამ კოდზე აღირიცხება აქციზური საქონლის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ

პუნქტში მოცემული ცხრილის მე-4 ნაწილით „მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ³“ აღრიცხული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევისას გადასახდელი აქციზი (სეს ესნ კოდი 8703);

- სხვა არაკლასიფიცირებული პროდუქციიდან (1142210). ამ კოდზე აღირიცხება სხვა დანარჩენი იმპორტირებული აქციზური პროდუქციის დაბეგვრით მიღებული შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

სხვა არაკლასიფიცირებულ აქციზი (11429).

ფისკალური მონოპოლიების მოგება“ (1143): ეს მუხლი მოიცავს ფისკალური მონოპოლიების მოგების იმ ნაწილს, რომლის ჩარიცხვაც ხდება ბიუჯეტში. ფისკალური მონოპოლიები წარმოადგენენ ისეთ საწარმოებს, რომლებსაც ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებით, ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოების ან განაწილების დროს მონოპოლიურად მაღალი ფასის დაწესებით, ფაქტობრივად გააჩნიათ გადასახადის დაწესებისა და აკრეფის უფლებამოსილება. ფისკალური მონოპოლიები იქმნება მთავრობის მიერ, შემოსავლების მიღების მიზნით, რომელიც სხვაგვარად შეიძლება მიღებული ყოფილიყო ამ საქონლის წარმოებით ან რეალიზაციით დასაქმებული კერძო სექტორის დაბეგვრის გზით. ტიპური საქონელი, რომლის წარმოება და რეალიზაციაც ხდება ფისკალური მონოპოლიის მიერ წარმოადგენს თამბაქოს პროდუქტები, ალკოჰოლიანი სასმელები, მარილი, ასანთი, ნავთობპროდუქტები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ფისკალური მონოპოლიების ზენორმატიული მოგება, ანუ მოგების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აჭარბებს ქვეყანაში არსებულ „ნორმალურ“ მოგების დონეს, იმის გამო, რომ ზენორმატიული მოგების გაანგარიშება რთულია, ამიტომ პრაქტიკული აღრიცხვისას საგადასახადო შემოსავლების მუხლით აღირიცხება ფისკალური მონოპოლიების მიერ ბიუჯეტში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხები. ფისკალური მონოპოლიების მოგების ის ნაწილი, რომელიც რჩება მათ განკარგულებაში, საგადასახადო შემოსავლებში არ შეიტანება.

გადასახადები სპეციფიკურ მომსახურებაზე“ (1144): ამ მუხლით აღირიცხება ყველა გადასახადი, რომლითაც იბეგრება ცალკეული სახეობის ისეთი მომსახურება, როგორიცაა: სატრანსპორტო მომსახურება, სადაზღვევო პრემია, საბანკო მომსახურება, გართობა, რესტორნები და რეკლამა. ამავე მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება სათამაშო ბიზნესი, დოღისა და ფეხბურთის ტოტალიზატორები, ლატარია და სხვა. კაზინოებში შესვლის, დოღზე დასწრებისა და სხვა მსგავსი გადასახადები ასევე მი-

ეკუთვნება გადასახადებს ცალკეული სახეობის მომსახურებაზე. ამავე დროს, ამ საქმიანობიდან მიღებული საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე აღირიცხება მუხლით (1141). გადასახადები, რომლითაც იბეგრება ფიზიკური პირის მიერ ტოტალიზატორში ან სხვა სახეობის თამაშით მოგებული თანხები, კლასიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც *გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ღირებულების ზრდაზე* (111). სახელმწიფო ლატარიის ჩატარებიდან მოგების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები აღირიცხება როგორც *დივიდენდები* (1412) ან *კვაზი-კორპორაციებიდან მიღებული შემოსავლები"* (1413). გადასახადები ჩეკების ან სხვა სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვება, გადაცემასა და დაფარვაზე კლასიფიცირდება როგორც *გადასახადები კაპიტალის და ფინანსურ ოპერაციებზე"* (1134). საგერბო გადასახადი, რომელიც შეუძლებელია რომ მიკუთვნებულ იქნეს გადასახადს მომსახურებაზე ან სხვა ტრანსაქციაზე, აღირიცხება *სხვა გადასახადების* (116) მუხლით. გადასახადები ელექტროენერგიაზე, გაზსა და სხვა ენერგომატარებლებზე აღირიცხება *აქციზის* (1142) მუხლით.

გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე" (1145): მთავრობის ერთ-ერთ მარეგულირებელ ფუნქციას წარმოადგენს აკრძალოს ზოგიერთი დასახელების საქონლის საკუთრება ან გამოყენება ან შეზღუდოს ზოგიერთი სახეობის საქმიანობის განხორციელება სპეციალური ნებართვის გარეშე, რისთვისაც დადგენილი ოდენობის მოსაკრებლის გადახდის შემდეგ გაიცემა ლიცენზია ან სხვა სახის სერტიფიკატი. თუ ასეთი ლიცენზიის გაცემა არ არის დაკავშირებული მთავრობის მიერ სპეციალური ქმედებების განხორციელებასთან ან საჭიროებს მცირე მოცულობის სამუშაოს შესრულებას, ხოლო ლიცენზია ავტომატურად გაიცემა მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მაშინ ასეთი გადასახდელები განიხილება, როგორც მხოლოდ შემოსავლის მიღების დამატებითი წყარო ანუ გადასახადი, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის გადახდის სანაცვლოდ სახელმწიფო გასცემს სპეციალურ სერტიფიკატს ან სხვა სახის ნებართვას. ამავე დროს, თუ მთავრობა გასცემს ლიცენზიებს მისი მარეგულირებელი ფუნქციების შესრულების მიზნით – მაგალითად, შესაბამისი პიროვნების კვალიფიკაციისა და კომპეტენციის დადგენა, მოწყობილობა-დანადგარის მუშაობის ეფექტიანობის ან უსაფრთხოების შემოწმება ან სხვა ზედამხედველობითი ფუნქციის შესრულება, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა – მაშინ ლიცენზიის მისაღებად გადახდილი თანხები წარმოადგენს შემოსავლებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან, თუ დაწესებული გადასახადი მნიშვნელოვნად არ აჭარბებს ამ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს. პრაქტიკულად ამ გადასახადსა და *ადმინისტრაციულ მოსაკრებლებსა და გადასახდელებს* (1422) შორის საზღვარი ხშირად არ არის ნათელი.

უფრო კონკრეტულად, შემდეგი სახეობის ადმინისტრაციული მოსაკრებლები წარმოადგენს გადასახადებს: (ა) როდესაც გადამხდელი გადასახა-

დის სანაცვლოდ არ იღებს კონკრეტულ სარგებელს, ისეთი როგორიცაა მოსაკრებელი შინაური ცხოველების (ფრინველების) დაკვლის ნებართვისთვის, რომელიც ხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებას; (ბ) მოსაკრებელი, რომლის გადახდევინების სანაცვლოდ მთავრობა გადამხდელს არ უწევს სპეციფიკურ მომსახურებას, როგორიცაა ნადირობის, თევზაობის ან იარაღის ტარების და გამოყენების ნებართვა, როდესაც იგი არ არის დაკავშირებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენებასთან; (გ) თუ მოსაკრებლის გადახდის სანაცვლოდ მხოლოდ გადამხდელი იღებს სარგებელს, მაგრამ მიღებული სარგებელი არ შეესაბამება გადასახადის ოდენობას, როგორიცაა მოსაკრებელი რბის რეალიზაციის ნებართვაზე, საიდანაც მიღებული შემოსავლები იხარჯება რბის მოხმარების პროპაგანდაზე.

იმის მიუხედავად, რომ ამ კატეგორიაში აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება საქონლის გამოყენება და არა საკუთრება ან გადაცემა, საქონლის საკუთრების უფლების რეგისტრაციამ შესაძლოა გამოიწვიოს გადასახადის გადახდის ვალდებულება. მაგალითად, ცხოველის ან ავტომობილის საკუთრების რეგისტრაციამ შეიძლება წარმოქმნას მათ გამოყენებაზე გადასახადის გადახდის ვალდებულება. გადასახადი საქონლის გამოყენებაზე შეიძლება დაწესდეს ფუნქციონალურად უსარგებლო ნივთებზეც, კერძოდ, ანტიკვარულ ავტომობილსა და იარაღზე.

როდესაც საქმიანობის განხორციელების ნებართვის გადასახადით იბეგრება შემოსავლის, ხელფასის ფონდისა და ბრუნვის კომბინირებული ბაზა, ხდება სხვა გადასახადებთან თანაკვეთა და ძნელდება მათ შორის საზღვრის გავლება. თუ შესაძლებელია, რომ შემოსავლები დაიყოს ცალკეული ბაზის მიხედვით, მაშინ იგი უნდა განაწილდეს ბაზის შესაბამისად. თუ ასეთი დაყოფა შეუძლებელია, მაგრამ ცნობილია, რომ გადასახადის მეტი წილი მიიღება ერთი ბაზიდან, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს ამ ბაზის შესაბამისად. კლასიფიკაციის მუხლების თანაკვეთის შემთხვევა შეიძლება წარმოიქმნას ქონების გამოყენებასა და საკუთრების შემთხვევას შორის, რომელიც შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნეს როგორც *გადასახადები უძრავ ქონებაზე* (1131), *გადასახადები წმინდა მატერიალურ ფასეულობებზე"* (1132) ან *სხვა გადასახადები ქონებაზე"* (1136). ამ კატეგორიაში აღრიცხული გადასახადებისგან განსხვავებით, გადასასადები, რომლებიც აღირიცხება 1131-ე მუხლით, ბეგრავს უძრავი ქონების საკუთრებას ან იჯარას და ჩვეულებრივ მათი გაანგარიშება ხდება ქონების ღირებულების მიხედვით. 1132 და 1136 კატეგორიას მიეკუთვნება გადასახადები, რომლითაც იბეგრება ქონების საკუთრება და არა გამოყენება, აქტივების ჯგუფი და არა კონკრეტული სახის საქონელი და მათ ბაზას წარმოადგენს ქონების ღირებულება.

ეს კატეგორია იყოფა გადასახადებად ავტომობილებზე და სხვა გადასახადებად საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე:

• *გადასახადები ავტომობილებზე" (11451).* ამ მუხლით აღირიცხება გადასახადები ავტომობილების გამოყენებაზე ან ავტომობილის გამოყენების ნებართვაზე. იგი არ მოიცავს გადასახადებს ავტომობილზე, როგორც საკუთრებაზე ან მატერიალურ ფასეულობაზე. ამ მუხლით არ უნდა აღირიცხოს, ასევე, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი გზის, ხიდის ან გვირაბის გამოყენებისთვის.

• *სხვა გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე" (11452).* ამ მუხლით აღირიცხება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ან პროფესიული მოღვაწეობის ნებართვებიდან და ლიცენზიებიდან მიღებული შემოსავლები. ასეთ ლიცენზიებს შესაძლოა ჰქონდეს გადასახადის ხასიათი, რომლის გადახდევინებაც შეიძლება ხდებოდეს სამეწარმეო საქმიანობის ნებართვის მისაღებად ან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას როგორც საყოველთაოდ, ისე ცალკეული სახეობის საქმიანობაზე. ამ მუხლით უნდა აღირიცხოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების საერთო ხასიათის გადასახადები ან ლიცენზირებით მიღებული შემოსავლები, რომელიც დაწესებულია ფიქსირებული ოდენობით ან ცალკეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობისათვის განსაზღვრული გრაფიკით ან გაიანგარიშება ისეთი სხვადასხვა მაჩვენებლების ბაზაზე, როგორიცაა საწარმოო ფართობი, დადგმული სიმძლავრე, კაპიტალი ან სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების ტონაჟი. ამ მუხლით არ აღირიცხება გადასახადები, რომლითაც მეწარმე იბეგრება რეალიზებული პროდუქციის მთლიანი ღირებულებიდან, რომელიც უნდა აღირიცხოს მუხლით *საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე* (1141). გადასახადები და ლიცენზიები კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაზე მოიცავს ნებართვებს საქონლის რეალიზაციასა და მომსახურების გაწევაზე. ამ გადასახადებით დაბეგვრა შეიძლება ხორციელდებოდეს რეგულარული ინტერვალებით, ერთჯერადად ან საქონლის გამოყენების ყოველი ცალკეული შემთხვევისას. ამ მუხლით აღირიცხება, ასევე, გადასახადები გარემოს დაბინძურებისთვის, რომლითაც იბეგრება მომწამლავი გაზების გამოფრქვევა, სითხის ჩაშვება ან სხვა საშიში ნივთიერებები.

ამ მუხლით აღრიცხული გადასახადები, გარდა სამეწარმეო და პროფესიული ლიცენზიებიდან მიღებული შემოსავლებისა, მოიცავს შემოსავლებს ნადირობის ან თევზაობის ნებართვებიდან და გადასახადებს შინაურ ცხოველებზე, თუ ამ საქმიანობის განხორციელების უფლება არ არის ნორმალური კომერციული საქმიანობის ნაწილი. ეს მუხლი, ასევე, მოიცავს შემოსავლებს რადიო- და სატელევიზიო გადაცემების ლიცენზიებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო მთელი მოსახლეობისთვის აწყობს საერთო რადიო- და სატელევიზიო გადაცემებს, რომელიც არის მომსახურების გაწევის საფასური და არა გადასახადი.

სხვა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე" (1146): ამ მუხლით აღირიცხება გადასახადები სასარგებლო წიაღისეულის, საწვავის და სხვა

ამოწურვადი რესურსების მოპოვებაზე, რომელიც არის კერძო საკუთრებაში ან წამოადგენს ხელისუფლების სხვა ორგანოს საკუთრებას და ყველა სხვა გადასახადს საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც არ აღირიცხება 1141-ე მუხლიდან 1145-ე მუხლის ჩათვლით. ამოწურვადი რესურსების მოპოვების გადასახადით ჩვეულებრივ იბეგრება ბუნებრივი რესურსის ერთეული ან წონა, მაგრამ შესაძლოა, რომ გადასახადის ბაზას წარმოადგენდეს მისი ღირებულებაც. მთავრობის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე გადახდევინებული გადასახდელი უნდა აღირიცხოს, როგორც *რენტა* (1415).

<u>გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე (115)</u>

იმპორტის გადასახადი (1151): ეს კატეგორია მოიცავს იმპორტის გადასახადს, რომელიც გადაიხდევინება საქონლის მიერ ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთის გამო. ეს გადასახადი შეიძლება დაწესებული იყოს შემოსავლის მობილიზების ან შიდა ბაზრის დაცვის მიზნით და დაბეგვრა ხორციელდებოდეს ადვალურად ან სპეციალური წესით, მაგრამ კანონმდებლობით იგი უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმპორტზე. გადასახადები, რომელთა გადახდევინება ხდება იმპორტის დროს იმიტომ, რომ ეს საქონელი და მომსახურება წარმოადგენს დასაბეგრი საქონლის საერთო ჯგუფის ნაირსახეობას, აღირიცხება *როგორც საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე* (1141) ან *აქციზი* (1142).

გადასახადები ექსპორტზე* (1152): ეს კატეგორია მოიცავს ყველა სახეობის გადასახადსა და სხვა გადასახდელს, რომელთა გადახდევინება ხდება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საქონელი გატანილ იქნა საზღვარის გარეთ ან რეზიდენტი მოემსახურა არარეზიდენტს. ექსპორტის დროს დაბრუნებული თანხები, რომლებიც წარმოადგენს მოხმარებაზე საყოველთაო გადასახადის, აქციზის ან იმპორტის გადასახადის უკვე გადახდილი თანხის დაბრუნებას, აკლდება შესაბამის კატეგორიას და არ აღირიცხება ამ მუხლით.

ექსპორტიორი ან იმპორტიორი ფისკალური მონოპოლიების მოგება* (1153): მთავრობამ დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით შეიძლება დააფუძნოს კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ექსპორტის ან იმპორტის მონოპოლიური უფლებების მქონე საწარმო, საიდანაც მიღებული შემოსავალი, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა მიღებული ყოფილიყო გადასახადების დაწესებით იმპორტზე ან ექსპორტზე ან სავალუტო ოპერაციებზე. თუ ასეთი საწარმო არსებობს, მონოპოლიური საწარმოს ან სავაჭრო საბჭოს მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული მოგება განიხილება, როგორც გადასახადი. ასეთი საწარმოს მოგება შემოსავალში აღირიცხება იმ დროს, როდესაც იგი ჩაირიცხება ბიუჯეტში და არ მოიცავს საწარმოს განვითარებისთვის მის განკარგულებაში დატოვებულ თანხებს. ექსპორტიორი ან იმპორტიორი ფისკალური საწარმოს ან სავაჭრო საბჭოს მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული მოგება, თუ ისინი არ არიან მონოპოლისტები, აღირიცხება როგორც *შემოსავლები საკუთრებიდან*

(141). იმ მონოპოლიური ფისკალური საწარმოს ან სავაჭრო საბჭოს მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული მოგების ნაწილი, რომელიც არ მონაწილეობს საგარეო ვაჭრობაში და საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე, აღირიცხება როგორც *შემოსავლები საკუთრებიდან* (141) ან *ფისკალური მონოპოლიების მოგება*"(1143).

ვალუტის გადამცვლელი ფისკალური მონოპოლიის მოგება" (1154): როდესაც მთავრობის ან ფულად-საკრედიტო ორგანოების მონოპოლიური ძალაუფლება გამოიყენება ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის ფასთაშორისი სხვაობით შემოსავლების მისაღებად, რომელიც აჭარბებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მაშინ ასეთი შემოსავალი წარმოადგენს სავალდებულო გადასახდელს, გადახდილს როგორც ვალუტის მყიდველის, ისე გამყიდველის მიერ. ასეთი შემოსავლები ექსპორტის და იმპორტის ან უცხოური ვალუტის შეძენისა და გაყიდვის გადასახადების ეკვივალენტურია. ექსპორტიორი ან იმპორტიორი ფისკალური მონოპოლიების მსგავსად, შემოსავლები მიიღება სახელმწიფოს მიერ მონოპოლიური ძალაუფლების გამოყენების შედეგად და აღირიცხება საგადასახადო შემოსავლებში მაშინ, როდესაც მთავრობა იღებს ასეთ შემოსავლებს. ამ მუხლით არ აღირიცხება ისეთი შემოსავლები, რომლებიც მოგების სახით მიღებულია სავალუტო ოპერაციებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგება მიიღება უცხოური ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსთაშორისი სხვაობის შენარჩუნების გზით.

გადასახადები ვალუტის გადაცვლაზე" (1155): ეს კატეგორია მოიცავს გადასახადებს, რომლითაც იბეგრება უცხოური ვალუტის შეძენა ან გაყიდვა, იმისდა მიუხედავად ქვეყანაში სავალუტო კურსი არის უნიფიცირებული თუ დიფერენცირებული. აქვე უნდა აღირიცხოს გადასახადები, რომლითაც იბეგრება უცხოური ვალუტის ქვეყნის გარეთ გატანა (გადარიცხვა), თუ ასეთი გადასახადის გადახდევინება ხდება ვალუტის შეძენის მომენტში. თუ გადასახადი რომლითაც იბეგრება უცხოური ვალუტის ქვეყნის გარეთ გატანა (გადარიცხვა) არ გაიხდევინება ვალუტის შეძენისას, მაშინ იგი აღირიცხება მუხლით *სხვა გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე*"(1156).

სხვა გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე (1156)": ამ მუხლით აღირიცხება სხვა გადასახადები, რომლითაც იბეგრება საგარეო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი სხვადასხვა ასპექტები, როგორიცაა: სპეციალური გადასახადები უცხოეთში მგზავრობაზე, გადასახადები უცხოურ ინვესტიციებზე, გადასახადები საერთაშორისო სადაზღვევო ოპერაციებზე და გადასახადები ვალუტის უცხოეთში გატანაზე (გადარიცხვაზე), თუ მისი გადახდევინება არ ხდება ვალუტის შეძენის მომენტში, რომელიც აღირიცხება მუხლით *გადასახადები ვალუტის გადაცვლაზე*"(1155).

ამ მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომლის დასაბეგრი ბაზა განსხვავდება ზემოთ მოცემული გადასახადების ბაზისგან. აქვე აღირიცხება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადები, გაუქმებული გადასახადების საგადასახადო დავალიანებები და ისეთი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, რომელთა საგადასახადო ბაზის იდენტიფიცირება შეუძლებელია და ასევე, გადასახადის გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე დარიცხული ის ჯარიმები, სანქციები, საურავები და პროცენტები, რომელთა მიკუთვნება კონკრეტული სახეობის გადასახადზე შეუძლებელია. ეს მუხლი მოიცავს:

სხვა გადასახადები მეწარმე სუბიექტებიდან (1161), რომელიც იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადები (11611);
- გაუქმებული გადასახადები (11612);
- ჯარიმები საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის გამო (11613);
- ჯარიმები საგადასახადო სამართალდარღვევის გამო (116131), რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:
- ჯარიმა დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის (1161311);
- ჯარიმა დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის (1161312);
- ჯარიმა საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესის დარღვევისათვის (1161313);
- ჯარიმა საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებაზე, რეალიზაციაზე და აღურიცხაობაზე (1161314);
- ჯარიმა დღგ-სათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაზე (1161315);
- სხვა არაკლასიფიცირებული ჯარიმები საგადასახადო სამართალდარღვევის გამო (1161316);
- ჯარიმები საბაჟო სამართალდარღვევის გამო (116132);
- საურავი (11614);

სხვა გადასახადები არამეწარმე სუბიექტებიდან ან რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია (1162)[1];

სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები (1163).

სოციალური შენატანი (12)

სოციალური შენატანი არის ფაქტობრივი ან, დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში, დარიცხული შემოსულობა, რომელიც მიღებულია ან დამსაქმებლისგან, მისი დასაქმებულების მაგივრად, ან დასაქმებულისგან,

[1] ამ მუხლით აღირიცხება ფიზიკური პირის მიერ გადახდილი გადასახადები, რომლის დასაბეგრი ბაზაც არ არის ფაქტობრივი ან პრეზუმციული შემოსავალი და რომელთაც ხშირად უწოდებენ გადასახადებს სულადობაზე.

თვითდასაქმებულისგან ან უმუშევარი პირისგან და რომელიც შენატანების განმახორციელებელ ან მასზე დამოკიდებულ პირს ან მეურვეს აძლევს სოციალური დაზღვევის სქემაში მონაწილეობის გარანტირებულ უფლებას. შენატანი შესაძლოა იყოს *სავალდებულო* ან *ნებაყოფლობითი*.

სოციალური შენატანის ბაზა არის ხელფასი, შრომის ანაზღაურება ან დასაქმებულთა რაოდენობა. თუ მთლიანი ხელფასის ნაცვლად გამოიყენება შემოსავალი, მაგალითად თვითდასაქმებულთათვის, მაშინ ასეთი შემოსულობები აღირიცხება სოციალური შენატანების მუხლით. სავალდებულო გადასახდელები, რომლის დასაბეგრი ბაზა განსხვავებულია, ხოლო მიღებული შემოსავლები მიზნობრივად მიემართება სოციალური დაზღვევის სქემის დასაფინანსებლად, განიხილება როგორც გადასახადები.

სოციალური შენატანები იყოფა: **სოციალური დაზღვევის შენატანებად** (121) და სხვა **სოციალურ შენატანებად** (122), იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის სქემით ხდება სოციალური დაზღვევა. სოციალური შენატანი ფონდირებულ (დაგროვებად) ავტონომიურ საპენსიო ან სადაზღვევო ფონდში არ განიხილება როგორც შემოსავალი და აღირიცხება როგორც ტრანსაქციები ფინანსური აქტივებით და ვალდებულებით.

<u>სოციალური დაზღვევის შენატანები (121)</u>

კლასიფიცირდება შენატანის წყაროს მიხედვით:

დასაქმებულის შენატანების (1211) გადახდა ხორციელდება ან დასაქმებულის მიერ, ან აკლდება დასაქმებულის ხელფასს და შრომის ანაზღაურებას და დასაქმებულის მაგიერ გადაირიცხება დამსაქმებლის მიერ.

დამსაქმებლის შენატანების (1212) გადახდა ხორციელდება დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ნაცვლად. მთავრობის მიერ განხორციელებული შენატანები არ ექვემდებარება კონსოლიდაციას, რადგან სოციალური შენატანი, რომელსაც იხდის მთავრობა, არ განიხილება როგორც მთავრობის მიერ განხორციელებული შენატანი. არამედ, ასეთი შენატანი განიხილება, როგორც საოჯახო მეურნეობის მიერ განხორციელებული შენატანი, რომლის ფაქტობრივი ჩარიცხვა ხდება მთავრობის მიერ.

თვითდასაქმებულის ან არადასაქმებული პირის შენატანები (1213) წარმოადგენს ისეთ შენატანებს, რომლებიც ხორციელდება არადაქირავებული პირისაგან.

სოციალური დაზღვევის შენატანები, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია (1214): ამ მუხლით აღირიცხება ისეთი შენატანები, რომლის წყაროს იდენტიფიცირება შეუძლებელია.

ნებაყოფლობითი სოციალური შენატანები დამატებით აღირიცხება მემორანდუმის მუხლებში, რათა ასეთი შემოსავლები გაბათილდეს ფისკალური ტვირთის გაანგარიშებისას.

<u>სხვა სოციალური შენატანები* (122)</u>

მოიცავს ფაქტობრივ ან დარიცხულ (მხოლოდ დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში) შენატანებს, რომელიც ხორციელდება ისეთი სოციალური უზ-

რუნველყოფის სქემის დასაფინანსებლად, რომელიც ფუნქციონირებს მთავრობის მიერ, ფინანსდება დასაქმებულის ან დამსაქმებლის მიერ მისი დასაქმებულების სახელით, ახდენს სახელმწიფო მოხელეთა სოციალურ უზრუნველყოფას და არ არის განკუთვნილი პენსიების გასაცემად. სოციალური დაზღვევის სქემისგან განსხვავებით, სოციალური უზრუნველყოფის სქემის შესაბამისად განხორციელებული დახმარების ოდენობა მიბმულია შენატანებზე და ჩვეულებრივ განკუთვნილია მხოლოდ მთავრობის მიერ დასაქმებული პირებისთვის, მაგრამ ასეთი სქემა შეიძლება ფუნქციონირებდეს ერთი დონის მთავრობაში და განკუთვნილი იყოს სხვა დონის მთავრობაში დასაქმებულ პირთათვისაც.

დასაქმებულის შენატანების (1221) გადახდა ხორციელდება ან დასაქმებულის მიერ, ან აკლდება დასაქმებულის ხელფასს და შრომის ანაზღაურებას და დასაქმებულის ნაცვლად გადაირიცხება დამსაქმებლის მიერ.

დამსაქმებლის შენატანების (1222) გადახდა ხორციელდება დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ნაცვლად. მთავრობის მიერ განხორციელებული შენატანები არ ექვემდებარება კონსოლიდაციას, რადგან სოციალური შენატანი, რომელსაც იხდის მთავრობა, არ განიხილება როგორც მთავრობის მიერ განხორციელებული შენატანი, არამედ ასეთი შენატანი განიხილება, როგორც საოჯახო მეურნეობის მიერ განხორციელებული შენატანი, რომლის ფაქტობრივი ჩარიცხვა ხდება მთავრობის მიერ.

დარიცხული შენატანები*(1223) (მხოლოდ დარიცხვის მეთოდით) წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მთავრობა ახდენს მისი დასაქმებულების, ყოფილი დასაქმებულების ან მათზე დამოკიდებული პირების სოციალურ უზრუნველყოფას პირდაპირ, სადაზღვევო საწარმოს ან ავტონომიური ან არაავტონომიური საპენსიო ფონდის შექმნის გარეშე. ამ დროს მთავრობაში დასაქმებული პირები დაზღვეული არიან სხვადასხვაგვარი სოციალური რისკებისგან, იმისდა მიუხედავად, რომ არ ხდება არავითარი სადაზღვევო შენატანის გადახდა. ამ შემთხვევაში შემოსავლებში უნდა მოხდეს იმ ოდენობით სოციალური შენატანების დარიცხვა, რომელიც საჭირო იქნება მათი მომავალი სოციალური დაზღვევის გადახდების განსახორციელებლად.

გრანტები (13)

გრანტი არის არასავალდებულო ტრანსფერი, რომელსაც სახელმწიფო ერთეული იღებს სხვა სახელმწიფო ერთეულიდან, სხვა ქვეყნის მთავრობიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

გრანტები იყოფა:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები (131);
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები (132);
- სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (133).

გრანტების კლასიფიცირება ხდება კაპიტალურ და მიმდინარე გრანტებად და შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით.

მიმდინარე გრანტები არის ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და არ არის განკუთვნილი აქტივების შესაძენად. *კაპიტალური გრანტები* არის ისეთი გრანტები, რომლებიც გრანტის პირობის თანასმად მიმღებმა უნდა გამოიყენოს აქტივების შესაძენად (საბრუნავი საშუალებების გარდა). კაპიტალურ გრანტებს წარმოადგენს აქტივების გადაცემა (ფულისა და საბრუნავი საშუალებების გარდა) და ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე დებიტორსა და კრედიტორს შორის ვალდებულებების გაუქმება (ჩამოწერა). თუ ვერ ხერხდება გრანტის ხასიათის დადგენა, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს მიმდინარე გრანტების მუხლით.

ნაერთი სტატისტიკის შედგენისას (სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი და ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტი) სხვა სახელმწიფო ერთეულიდან მიღებული გრანტები ექვემდებარება კონსოლიდაციას (გაბათილებას), ანგარიშის შედგენაში მონაწილე სახელმწიფო ერთეულების გათვალისწინებით, რის გამოც ნაერთ ანგარიშში დარჩება მხოლოდ სხვა ქვეყნის მთავრობებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები.

სხვა შემოსავლები (14)

საგადასახადო შემოსავლების, სოციალური შენატანების და გრანტების გარდა, შემოსავლები მოიცავს:

- შემოსავლებს საკუთრებიდან (141);
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას (142);
- სხვა შერეულ შემოსავლებს (143);
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა (144);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (145).

შემოსავლები საკუთრებიდან (141)

შემოსავლები საკუთრებიდან მოიცავს სხვადასხვა სახის შემოსავლებს, რომელსაც სახელმწიფო ერთეული მიიღებს მის საკუთრებაში არსებული ფინანსური ან არაწარმოებული აქტივის სხვა ერთეულზე სარგებლობაში გადაცემით. ასეთი შემოსავლები მოიცავს:

- პროცენტებს (1411);
- დივიდენდებს (1412);
- კვაზი-კორპორაციებიდან მიღებულ შემოსავლებს (1413);
- შემოსავლებს სადაზღვევო პოლისების ფლობიდან (1414);

- რენტას (1415).

პროცენტი (1411): არის შემოსავლი, რომელიც მიიღება სახელმწიფო ერთეულის მიერ ცალკეული ხასიათის ფინანსური აქტივებიდან, კერძოდ დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან აქციების გარდა, სესხებიდან და დებიტორული დავალიანებებიდან. ასეთი ხასიათის ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მთავრობა ფულად რესურსებს დროებით სარგებლობაში გადასცემს სხვა ეკონომიკურ ერთეულს. საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება პროცენტის დარიცხვა, შეიძლება იყოს დაუფარავი ძირითადი თანხის პროცენტი, თანხა წინასწარ განსაზღვრული ოდენობით, ან ორივე ერთად.

აღნიშნული ჯგუფი ითვალისწინებს:

- *ხელისუფლების სხვა დონის ორგანოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებულ პროცენტს (სარგებელი) (14111);*
- *საფინანსო ინსტიტუტებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებულ პროცენტს (სარგებელი) (14112);*
- *სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებულ პროცენტს (სარგებელი) (14113);*
- *კერძო საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებულ პროცენტს (სარგებელი) (14114);*
- *დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხულ პროცენტებს (14115);*
- *სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი პროცენტებიდან (14119).*

დივიდენდები (1412): სახელმწიფო ერთეული შესაძლოა იყოს საწარმოს აქციონერი ან წილის მფლობელი და საწარმოში განთავსებული ფინანსური რესურსების სანაცვლოდ იღებდეს დივიდენდებს. საწარმოს აქციები და წილი მათ მფლობელებს არ უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული შემოსავლით. გასანაწილებელი მოგების განსაზღვრა ხდება აქციონერთა ან მონაწილეთა კრების მიერ.

მთავრობამ დივიდენდები შესაძლოა მიიღოს საწარმოებისგან, სადაც მოგების განაწილება შესაძლოა ხდებოდეს არარეგულარულად და ასეთი თანხები შეიძლება ზუსტად არ შეესაბამებოდეს დივიდენდის განმარტებას. მიუხედავად ამისა, დივიდენდებში აღირიცხება საწარმოების საწესდებო კაპიტალში მონაწილეობიდან მიღებული ყველა შემოსავალი, ცენტრალური ბანკის მოგების იმ ნაწილის, რომელიც ირიცხება ბიუჯეტში, ცენტრალური ბანკის გარეთ მონეტარული ფუნქციების შესრულებისთვის განსორციელებული ოპერაციებიდან და სახელმწიფო ლატარიის ჩატარებიდან მიღებული მოგების ჩათვლით. *ფისკალური მონოპოლიის მოგებისა" (1143)* და *ექსპორტიორი ან იმპორტიორი ფისკალური მონოპოლიების მოგების" (1153)* სახით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები არ მიეკუთვნება ამ მუხლს და იგი აღირიცხება როგორც გადასახადები.

ზოგჯერ გართულებულია იმის გარკვევა - საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს დივიდენდს, თუ იგი არის საწარმოში მთავრობის წილის შემცირება. დივიდენდი არის საწარმოს მიმდინარე შემოსავლებიდან გადახდილი თანხები, რომელიც მიღებულია საანგარიშო პერიოდის საწარმოო საქმიანობიდან. საწარმო შესაძლოა ახდენდეს სხვადასხვა პერიოდში გადახდილი დივიდენდების გამოთანაბრებას და ზოგიერთ პერიოდში გადახდილი თანხები აჭარბებდეს მიმდინარე საწარმოო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს. ასეთი შემოსავლები წარმოადგენს დივიდენდებს, მაგრამ საწარმოს მიერ პრივატიზების შედეგად ან აქტივების გაყიდვით მიღებული სახსრების და წინა წლების მოგებიდან დაგროვილი რეზერვების ან ქონების აფასების ხარჯზე ბიუჯეტში დიდი ოდენობით ერთჯერადი თანხების ჩარიცხვა წარმოადგენს საწარმოში სახელმწიფო წილის შემცირებას, არ აღირიცხება დივიდენდების მუხლით და წარმოადგენს ტრანსაქციებს ფინანსური აქტივებით.

აღნიშნული ჯგუფი ითვალისწინებს:

- *სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებულ დივიდენდებს (14121);*
- *შემოსავალს ეროვნული ბანკის მოგებიდან (14122);*
- *შემოსავალს სხვა არაკლასიფიცირებული დივიდენდებიდან (14129).*

კვაზი-კორპორაციებიდან მიღებული შემოსავლები" (1413): კვაზი-კორპორაცია, მისი განმარტებიდან გამომდინარე, ვერ მოახდენს დივიდენდების განაწილებას, მაგრამ მესაკუთრის გადაწყვეტილებით მისავე სასარგებლოდ შესაძლოა მან გადაიხადოს მიმდინარე შემოსავლის ნაწილი. კვაზი-კორპორაციების მიერ გადახდილი თანხები განხილულ უნდა იქნეს დივიდენდების მსგავსად და უნდა აღირიცხოს ამ მუხლით.

ისევე როგორც დივიდენდების შემთხვევაში, კვაზი-კორპორაციებიდან მიღებული შემოსავლები არ მოიცავს თანხებს, რომლებიც მიღებულია მისი აქტივების რეალიზაციით. კვაზი-კორპორაციის აქტივების რეალიზაციიდან ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები კორპორაციაში მთავრობის წილის შემცირების ეკვივალენტურია. ამ მუხლით არ აღირიცხება ასევე, კვაზი-კორპორაციის მიერ წინა წლებში დიდი ოდენობით დაგროვილი სარეზერვო ფონდების ბიუჯეტში ჩარიცხვა, რაც ასევე, განხილულ უნდა იქნეს, როგორც კორპორაციაში წილის შემცირება.

შემოსავლები სადაზღვევო პოლისების ფლობიდან" (1414): სადაზღვევო კომპანიები ფლობენ ტექნიკურ რეზერვებს, რომლებიც შექმნილია სადაზღვევო და წინასწარი შენატანებით და განკუთვნილია, როგორც რეზერვები ვადადამდგარი მოთხოვნებისთვის და სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო რეზერვებად მიმდინარე რისკების უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული რეზერვები არის სადაზღვევო პოლისის მფლობელის აქტივი, სახელმწიფო ერთეულის ჩათვლით, თუ იგი ფლობს სადაზღვევო პოლისს, და სადაზღვევო კომპანიის ვალდებულება (პასივი). შემოსავლები,

რომლებსაც სადაზღვევო კომპანია მიიღებს სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების ინვესტირებიდან, წარმოადგენს პოლისის მფლობელების შემოსავალს და უნდა მიეკუთვნოს შემოსავლებს სადაზღვევო პოლისების ფლობიდან. ასეთი სახის შემოსავლები მთავრობისთვის არ არის ტიპური, არის უმნიშვნელო და არა აქვს რეგულარული ხასიათი.

რენტა (1415): რენტა არის საკუთრებიდან შემოსავლები, რომელიც მიიღება არაწარმოებული (ბუნებრივად შექმნილი) აქტივების (მიწის, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების) იჯარით ან გაქირავებით. სხვა სახის იჯარა, მათ შორის, ელექტრომაგნიტური სპექტრით სარგებლობის გრძელვადიანი იჯარა, განსილულ უნდა იქნეს, როგორც *არამატერიალური ძირითადი* აქტივების რეალიზაცია.

მთავრობა შესაძლოა ფლობდეს სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს, რომელიც წიაღისეულის მოპოვების უფლებით მთავრობამ შესაძლოა განსაზღვრული პერიოდით გასცეს იჯარით ან სხვა სახით და მოითხოვოს საიჯარო ან სხვა ხასიათის გადასახდელი, რომლის გადახდაც განხორციელდება ერთჯერადად ან თანდათანობით საიჯარო, ლიცენზიის ან ნებართვის პერიოდის განმავლობაში. ასეთ გადასახადს ზოგჯერ „როიალტს“ უწოდებენ, მაგრამ იგი ფაქტობრივად არის რენტა, რომელიც მიიღება მესაკუთრის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების სხვა პირზე განსაზღვრული პერიოდით სარგებლობით გადაცემის სანაცვლოდ. რენტის გადახდა შეიძლება ხდებოდეს პერიოდული ფიქსირებული გადასახდელებით, რომელიც არ არის დამოკიდებული მოპოვებული ბუნებრივი რესურსის მოცულობაზე, ან ჩვეულებრივ, რენტის გაანგარიშება ხდება მოპოვებული წიაღისეულის რაოდენობის, მოცულობის ან ღირებულების მიხედვით. საწარმო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გეოლოგიური კვლევის უფლების მოპოვების სანაცვლოდ შეიძლება იხდიდეს გადასახდელებს და ახორციელებდეს მხოლოდ საცდელ ბურღვას ან სხვა ხასიათის კვლევით სამუშაოს სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის დადგენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სამუშაოების შესრულებისას არ ხდება წიაღისეულის მოპოვება, სამუშაოების ნებართვის მისაღებად გადახდილი გადასახდელები წარმოადგენს რენტას.

რენტის სხვა სახეობა არის გადასახდელი, რომლის გადახდევინება ხდება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე არსებული ხის მასალის მოჭრის ნებართვის მისაღებად, ასევე გადასახდელი ბუნებრივი (არამართული) წყლის რესურსების რეკრეაციული ან კომერციული მიზნებით გამოყენების ნებართვის მისაღებად, თევზაობის ნებართვის ჩათვლით და გადასახდელი სახელმწიფო მიწის საძოვრად გამოყენების ნებართვის მისაღებად.

არ უნდა მოხდეს რენტის აღრევა ბუნებრივი რესურსების სარგებლობის გადასახადში, საწარმოს ლიცენზიებში და სხვა გადასახდელებში. ბუნებრივი რესურსების გადასახადით იბეგრება ისეთი ბუნებრივი რესურსების

მოპოვება, რომელიც წარმოადგენს კერძო ან სხვა დონის მთავრობის საკუთრებას. თუ გადასახდელის გაანგარიშება ხდება მიღებული მოგების შესაბამისად, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს როგორც *გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე (111).* თუ გადასახდელები გაიანგარიშება წარმოების მთლიანი მოცულობის შესაბამისად, მაშინ იგი აღირიცხება როგორც *სხვა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე" (1146).* გადასახდელები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის ან ნებართვის მისაღებად კლასიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც *გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე" (1145).*

არ უნდა მოხდეს რენტის აღრევა, ასევე, წარმოებული აქტივების (ძირითადი საშუალებების) იჯარიდან მიღებულ შემოსავლებში, რომელიც აღირიცხება *საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის (142)* მუხლით. განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ წარმოებული აქტივების იჯარა განიხილება როგორც წარმოების პროცესი, რომელშიც ჩართული არიან როგორც იჯარის გამცემი, ასევე მიმღები, რადგან ხშირად იჯარით გამცემს ევალება ძირითადი საშუალების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ან მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ხარჯების გაწევა. მეორე მხრივ, მთავრობის საკუთრებაში არსებული მიწის, სასარგებლო წიაღისეულის ან ელექტრომაგნიტური სპექტრის იჯარით ან სარგებლობის უფლებით გაცემისას მესაკუთრე არ განიხილება როგორც წარმოების პროცესის მონაწილე. საცხოვრებელი სახლის საიჯარო გადასახდელი არის საბინაო მომსახურების გაწევის საფასური, რასაც ვერ ვიტყვით არაწარმოებული აქტივების იჯარიდან მიღებულ შემოსავლებზე.

ერთი ტრანსაქცია შეიძლება ერთდროულად მოიცავდეს რენტას და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. ასეთი შემთხვევა შეიძლება მოხდეს, როდესაც ერთი კონტრაქტით იჯარით გაიცემა მიწა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა, სადაც კონტრაქტით ცალ-ცალკე არ არის განსაზღვრული მიწის და შენობა-ნაგებობის საიჯარო გადასახდელის მოცულობა. თუ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც გადასახდელი გაიყოფა მიწის რენტად და შენობის იჯარად, მაშინ მთელი შემოსავალი აღირიცხება რენტად, თუ მთლიან გადასახდელში მიწის იჯარის წილი უფრო მეტია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსავლები უნდა აღირიცხოს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მუხლით.

აღნიშნული ჯგუფი ითვალისწინებს:

- *მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (14151)*
  - ✓ მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის (141511);
  - ✓ მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის (141512);

- ✓ მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის (141513);
- ✓ მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის (141514);
- ✓ მოსაკრებელი ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობისათვის (141515);
- ✓ მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე (141516);
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი (141519).

- *მოსაკრებელი თევზჭერის ლიცენზირებიდან (14152);*
- *მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე (14153);*
- *შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (14154);*
- *სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები (14155);*
- *სხვა არაკლასიფიცირებული რენტა (14159).*

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (142)

საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (1421): საბაზრო დაწესებულება არის საწარმოს ნაწილი, რომელიც განთავსებულია განცალკევებულ ადგილას, ეწევა ერთ საწარმოო საქმიანობას და მის მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებაში უპირატესია ძირითადი საქმიანობის წილი. მთავრობის საბაზრო დაწესებულება არის ისეთი დაწესებულება, რომელიც ყიდის ან სხვაგვარად განკარგავს მის მიერ წარმოებული პროდუქციის დიდ წილს ან მთელ მოცულობას ფასით, რომელიც ეკონომიკურად მნიშვნელოვანია. ეს კატეგორია მოიცავს ყველა საბაზრო დაწესებულებას, ვისთვისაც ხდება სტატისტიკური ანგარიშის შედგენა. თუ სტატისტიკური ანგარიში მოიცავს სახელმწიფო კორპორაციებსაც, მაშინ სახელმწიფო კორპორაციების ყველა საბაზრო დაწესებულების მიერ რეალიზებული საქონლიდან მიღებული შემოსავლები უნდა აღირიცხოს ამ მუხლით. საბაზრო დაწესებულების მიერ ძირითადი საშუალების იჯარით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას და აღირიცხება ამ მუხლით. არაფინანსური აქტივების, მათ შორის, ძირითადი საშუალებების რეალიზაცია, არ წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. ძირითადი საშუალებების გაყიდვა არ არის შემოსავალი, იგი აღირიცხება ტრანსაქციებში არაფინანსური აქტივებით.

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (1422): ეს მუხლი მოიცავს სავალდებულო სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლებს და სხვა ადმინისტრაციულ გადასახდელებს, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. ადმინისტრაციული მოსაკრებლების მაგალითებია ავტომობილის მართვის მოწმობის,

პასპორტის, სასამართლო, ტელევიზორისა და რადიოს მოსაკრებელები, თუ ტელე-რადიო გადაცემები ეწყობა სახელმწიფო ერთეულის მიერ. იმისთვის, რომ მოსაკრებელი ჩაითვალოს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციად, საჭიროა, რომ მთავრობა ახორციელებდეს მარეგულირებელ ფუნქციას, მაგალითად, ამოწმებდეს ფიზიკური პირის კომპეტენციას, მანქანა-დანადგარის ეფექტურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას ან ახორციელებდეს ზედამხედველობას სხვა ფორმით, რომელიც სხვაგვარად ბაზრის მიერ არ იქნებოდა უზრუნველყოფილი. თუ მოსაკრებლის ოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს მთავრობის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს, მაშინ იგი კლასიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც *გადასახადი საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე" (1145).* თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა არის 10 წელი და ზევით, მაშინ იგი აღირიცხება როგორც *არამატერიალური ძირითადი აქტივების* (31132) რეალიზაცია.

აღნიშნულ თავში გათვალისწინებულია:

- *საბაჟო მოსაკრებელი"" (14221);*
- *სალიცენზიო მოსაკრებლები (14222):*
  - ✓ მოსაკრებელი ჩვილ ბავშვთა კვებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზირებიდან (142221);
  - ✓ მოსაკრებელი ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზირებიდან (142222);
  - ✓ მოსაკრებელი ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირებიდან (142223);
  - ✓ მოსაკრებელი სამხედრო-საბრძოლო და კონკრეტული სახეობის იარაღთან დაკავშირებული საქმიანობის (მათ შორის, ვაჭრობის) გენერალური ან სპეციალური ლიცენზირებიდან (142224);
  - ✓ მოსაკრებელი დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადების, შეძენის, იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზირებიდან (142225);
  - ✓ მოსაკრებელი კერძო და სათემო მაუწყებლობის ლიცენზირებიდან (142226);
  - ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის გადამუშავებისა და ტრანსპორტირების ლიცენზირებიდან (142227);
  - ✓ მოსაკრებელი საგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური, სპეციალური და სხვა ლიცენზირებიდან (142228);
  - ✓ მოსაკრებელი სიცოცხლის დაზღვევის, დაზღვევის (არა სიცოცხლისა) და გადაზღვევის ლიცენზირებიდან (142229);
  - ✓ მოსაკრებელი საბანკო საქმიანობის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო საქმიანობის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, აქტივების მმართველის საქმიანობის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირებიდან (1422210);

- ✓ მოსაკრებელი სამედიცინო საქმიანობის გენერალური, სპეციალური და სხვა ლიცენზირებიდან (1422211);
- ✓ მოსაკრებელი ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ან ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და ნავთობისა და გაზის მოპოვების სპეციალური ლიცენზირებიდან (1422212);
- ✓ მოსაკრებელი ტყით სარგებლობის გენერალური ან ხე-ტყის დამზადებისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და მიწისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზირებიდან (1422213);
- ✓ მოსაკრებელი ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით სარგებლობის ლიცენზირებიდან (1422214);
- ✓ მოსაკრებელი რეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზირებიდან (1422215);
- ✓ მოსაკრებელი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზირებიდან (1422216);
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სალიცენზიო მოსაკრებელი (1422299).

- *სანებართვო მოსაკრებლები (14223):*
  - ✓ მოსაკრებელი ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის და/ან იმპორტის ნებართვაზე (142231);
  - ✓ მოსაკრებელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვაზე (142232);
  - ✓ მოსაკრებელი ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებისა და ობიექტში წყალჩაშვების ნებართვაზე (142233);
  - ✓ მოსაკრებელი შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვაზე (142234);
  - ✓ მოსაკრებელი სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვაზე (142235);
  - ✓ მოსაკრებელი ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ნებართვაზე (142236);
  - ✓ მოსაკრებელი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვაზე (142237);
  - ✓ მოსაკრებელი იარაღისა, საბრძოლო მასალის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის, ეკონომიკურ ტერიტორიაზე და საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვაზე (142238);

- ✓ მოსაკრებელი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის, იარაღის ერთი სახეობის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის, იარაღის შეძენის ნებართვაზე (142239);
- ✓ მოსაკრებელი უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვაზე (1422310);
- ✓ მოსაკრებელი იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვაზე (1422311);
- ✓ მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე (1422312);
- ✓ მოსაკრებელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვაზე (1422313);
- ✓ მოსაკრებელი საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლოატაციის ნებართვაზე"[1] (1422314);
- ✓ მოსაკრებელი საერთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისა და სატვირთო გადაზიდვის ნებართვაზე (1422315);
- ✓ მოსაკრებელი ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვაზე (1422316);
- ✓ მოსაკრებელი საავიაციო სამუშაოების წარმოებისა და არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვაზე (1422317);
- ✓ მოსაკრებელი უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტების, საწყობის (ღია ან/და დახურული), დროებითი შენახვის საწყობის (ღია ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვაზე (1422318);
- ✓ მოსაკრებელი სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვაზე (1422319);
- ✓ მოსაკრებელი სამკურნალო საშუალებების ექსპორტისა და იმპორტის, ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის და ფარმაცევტული წარმოების, I, II ჯგუფის აფთიაქების და საფთიაქო პუნქტის საქმიანობების ნებართვაზე (1422320);
- ✓ მოსაკრებელი არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვაზე (1422321);

---

[1] აქ და ქვემოთ ყველგან ნიშანი „"„ მიანიშნებს იმაზე, რომ „გაუქმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან სხვა კანონქვემდებარე აქტებით".

- ✓ მოსაკრებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სამუშაოების, არქეოლოგიური სამუშაოებისა და საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვაზე (1422322);
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი (1422399).

- *სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები (14224):*
  - ✓ მოსაკრებელი სამშენებლო პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის სერტიფიცირებისათვის (142241);
  - ✓ საქართველოში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აუთენტურობის შესახებ და საზღვარგარეთ მიღებული განთლების დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოში ცნობის შესახებ გაცემული ცნობის მოსაკრებელი (142242);
  - ✓ ექიმისა და ფარმაცევტის სერტიფიცირების მოსაკრებელი (142243);
  - ✓ ობიექტისა და პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიცირების მოსაკრებლები (142244);
  - ✓ აუდიტორთა საკვალიფიკაციო სერტიფიცირების მოსაკრებელი (142245);
  - ✓ ალკოჰოლიანი სასმელების წარმოშობისა და ყურძნის ღვინოების, ეთილის სპირტის და სპირტიანი სასმელების შესაბამისობის სერტიფიცირების მოსაკრებელი (142246);
  - ✓ ვაზის სამყნობი და სარგავი მასალების (ნამყენი ნერგი) შესაბამისობის სერტიფიცირების მოსაკრებელი (142247);
  - ✓ ვეტერინარული მოწმობის (ფორმა №1 და ფორმა №2) გაცემისათვის მოსაკრებელი (142248);
  - ✓ ჯიშიანი პირუტყვის სერტიფიკატის (სანაშენე მოწმობის) მოსაკრებელი (142249);
  - ✓ სერტიფიცირების მოსაკრებელი თესლის თესვითი ხარისხის განსაზღვრისათვის (1422410);
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი (1422499).
- *სარეგისტრაციო მოსაკრებლები (14225):*
  - ✓ ფასიანი ქაღალდებისა და შეთავაზებების სარეგისტრაციო მოსაკრებელი (142251);
  - ✓ საერთაშორისო, საქართველოს და ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების სარეგისტრაციო, აგრეთვე მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანაზე მოსაკრებელი (142252);
  - ✓ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საქართველოში რეგისტრირებული და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის სარეგისტრაციო და მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანაზე მოსაკრებელი** (142253);

- ✓ სატრანსპორტო საშუალებების ძარის, კაბინის ან ჩარჩოს, ძრავისა და მისაბმელის გადაფორმების სარეგისტრაციო მოსაკრებელი (142254);
- ✓ საზღვარგარეთ გასატან კულტურულ ფასეულობათა სარეგისტრაციო მოსაკრებელი (142255);
- ✓ საწარმოო წესით დამზადებული ცხოველთა საკვების და საკვებდანამატების, პესტიციდების სარეგისტრაციო მოსაკრებელი (142256);
- ✓ სამედიცინო სამკურნალო საშუალებების, მასალების, ნაკეთობების და სხვა საგნების სარეგისტრაციო მოსაკრებელი (142257);
- ✓ ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სარეგისტრაციო და ხელახალი რეგისტრაციის მოსაკრებელი (142258);
- ✓ საწარმოს, საწარმოს ფილიალის რეგისტრაციისთვის, მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის, საქმიანობის შეწყვეტის, ლიკვიდაციისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის სარეგისტრაციო მოსაკრებელი (142259);
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სარეგისტრაციო მოსაკრებელი (1422599).

- *სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი (14226):*
  - ✓ მოსაკრებელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებული ექსპერტიზისათვის (142261);
  - ✓ მოსაკრებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებული ექსპერტიზისათვის (142262);
  - ✓ მოსაკრებელი საწარმოო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის (142263);
  - ✓ მოსაკრებელი მოძრავი ძეგლების, ქალაქებისა და სხვა დასახლებების კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონებში და ისტორიულ დასახლებებში შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, სარესტავრაციო სამუშაოებისა და ახალი მშენებლობების პროექტების ექსპერტიზისათვის (142264);
  - ✓ მოსაკრებელი ტექნიკური ზედამხედველობის სფეროში ექსპერტიზისათვის (142265);
  - ✓ მოსაკრებელი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის (142266);
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი (142269).
- *სახელმწიფო ბაჟი (14227):*
  - ✓ სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე (142271);
  - ✓ სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის" (142272);

- ✓ სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის (142273);
- ✓ სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტების აპოსტოლით დამოწმებისათვის (142274);
- ✓ საქართველოს ბაჟი სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში საქართველოს ორდინალური ვიზის გაცემისათვის (142275);
- ✓ სახელმწიფო ბაჟი დოკუმენტების გამოთხოვისათვის (142276);
- ✓ სახელმწიფო ბაჟი დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის (142277);
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ბაჟი (142279);

- *საკონსულო მოსაკრებელი (14228)*
  - ✓ მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ შესრულებული საკონსულო მოქმედებებისათვის (142281);
  - ✓ მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებებისათვის (142282);
  - ✓ მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ დოკუმენტების გამოთხოვისათვის (142283);
  - ✓ მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის (142284);
  - ✓ მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ შესრულებული საზღვაო და საჰაერო ხომალდების საკონსულო მომსახურებისათვის (142285);
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საკონსულო მოსაკრებელი (142289);
- *საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (14229);*
- *სატენდერო მოსაკრებელი" (142210);*
- *სააღსრულებო მოსაკრებელი"" (142211);*
- *სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი (142212);*
- *სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (142213):*
  - ✓ კაზინოების (სამორინეების) სათამაშო მაგიდიდან (1422131);
  - ✓ სათამაშო აპარატებიდან (1422132);
  - ✓ ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან (1422133);
  - ✓ წამახალისებელი გათამაშებიდან (1422134);
  - ✓ სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან (1422135);
  - ✓ ლატარიების მოწყობაზე (1422136);
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (1422139)

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის (142214);
- კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი (142215);
- მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (142216);
- პრომაციის მოსაკრებელი" (142217);
- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (142299). აქ შეიტანება ყველა ის მოსაკრებელი, რომელსაც არ მოიცავს ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაცია.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (1423): ამ მუხლით აღირიცხება მთავრობის მიერ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელების გარდა. ეს მუხლი ჩვეულებრივ მოიცავს მთავრობის სოციალური ან საზოგადოებრივი საქმიანობის პროცესში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების არასაბაზრო წესით გაყიდვებით მიღებულ შემოსავლებს, როგორიცაა საზაფხულო სკოლებში წარმოებული პროდუქციის, ექსპერიმენტულ ფერმებში შექმნილი სათესლე მასალის, საფოსტო მარკების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, მუზეუმების მიერ ხელოვნების ნიმუშების ასლების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლის საფასური, სახელმწიფო საავადმყოფოებისა და კლინიკებში მკურნალობის საფასური, სახელმწიფო მუზეუმის, პარკის, კულტურულ-გასართობი დაწესებულების მიერ გაყიდული ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი, თუ ეს დაწესებულება ორგანიზაციული ფორმით არ მიეკუთვნება სახელმწიფო კორპორაციებს.

აღნიშნულ ჯგუფში გათვალისწინებულია:

- *შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან (14231):*
  - ✓ აქციზური მარკების ნომინალური ღირებულებიდან მიღებული შემოსავლები (142311);
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქონლის რეალიზაციიდან (142319);
- *შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (14232):*
  - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (142321);
  - ✓ შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (142322);
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (142323);
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან (142329).

- *სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან (14233).*

საქონლისა და მომსახურების რელიზაციის დარიცხვა" (1424): (გამოიყენება მხოლოდ დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში). როდესაც სახელმწიფო ერთეული ნატურალური ფორმით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისთვის შემდგომში გამოყენების მიზნით აწარმოებს საქონელსა მომსახურებას, ამ დროს იგი მოქმედებს ორი მიმართულებით: ერთი, როგორც დამსაქმებელი და მეორე, როგორც საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სწორად და სრულად ასახვის მიზნით საჭიროა, რომ ნატურალური ფორმით გაცემული შრომის ანაზღაურება აისახოს ხელფასისა და შრომის ანაზღაურების მუხლით, ისევე როგორც ფულადი სახით გაცემული შრომის ანაზღაურება, რომელიც შემდგომში დასაქმებულის მიერ გამოყენებულ იქნა დამსაქმებლისაგან საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით. ეს მუხლი მოიცავს ყველა ტრანსაქციას, რომლითაც ფაქტობრივად ხდება საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია არაფულადი ფორმით და საჭიროებს რეალიზებული საქონლისა და მომსახურების დარიცხვას.

<u>სანქციები (ჯარიმები და საურავები) (143)</u>

სანქციები (ჯარიმები და საურავები) წარმოადგენს სავალდებულო მიმდინარე ტრანსფერებს, რომლის დაკისრებაც ხდება სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის ან სხვა ადმინისტრაციული პროცედურების დარღვევისთვის. აქვე აღირიცხება სასამართლოს გარეშე დაკისრებული სანქციები (ჯარიმები და საურავები).

სანქციები (ჯარიმები და საურავები), რომელთა დაკისრებაც ხდება კონკრეტული გადასახდის გადაუხდელობაზე ან სხვა დარღვევაზე, უნდა აღირიცხოს ამ კონკრეტულ გადასახადთან ერთად. სხვა სანქციები (ჯარიმები და საურავები), რომელთა დაკისრება ხდება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის და რომელთა იდენტიფიცირება კონკრეტულ გადასახადთან შეუძლებელია, აღირიცხება როგორც *სხვა გადასახადები* (116).

აღნიშნული მუხლი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

➡ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო (1431):

- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში (14311);*
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო (14312);*
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში (14313);*

- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში (14314);*
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მრეწველობის, ელექტრო- და თბოენერგიის გამოყენებისა და წყალმომარაგების დარგში (14315);*
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სოფლის მეურნეობაში, ვეტერინალურ-სანიტარული წესების დარღვევა (14316);*
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში (14317),* რომელიც იყოფა:
  - ✓ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო (143171);
  - ✓ დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო (143172);
  - ✓ უბილეთო მგზავრობის გამო (143173);
  - ✓ საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო (143174);
  - ✓ სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში (143179);
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში (14318);*
- *შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო (14319);*
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო (143110);
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში (143111), რომელიც იყოფა:
  - ✓ დასუფთავების წესების დარღვევის გამო (1431111);
  - ✓ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო (1431112);
  - ✓ თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო (1431113);
  - ✓ სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში (1431119);

- ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო (143112);
- ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო (143199);

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზღვრის უკანონოდ დარღვევის გამო (1432);
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევის გამო (1433);
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო (1434);
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო (1435);
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სათამაშო ბიზნესის სფეროში სანებართვო პირობების დარღვევის გამო (1436);
- შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) (1439).

<u>ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა (144)</u>

ეს კატეგორია მოიცავს ფულად შემოწირულობებს (დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში კი არაფულად საჩუქრებს) და სხვა ნებაყოფლობით ტრანსფერებს, რომლებსაც ფიზიკური პირები, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები, არასამთავრობო ფონდები და ორგანიზაციები, საწარმოები და კორპორაციები (მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა) გადასცემენ სახელმწიფოს.

მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა (1441): მოიცავს, მაგალითად, ჰუმანიტარული მიზნით მთავრობაზე გადაცემულ ფულად რესურსებს (დარიცხვის მეთოდით აღრიცხვისას კი საკვებ პროდუქტებს, ადიალებს, წამლებს ან ფულად სახსრებსაც), რომლებიც არ არის განკუთვნილი კაპიტალური ხასიათის ხარჯების გასაწევად.

კაპიტალური ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა (1442): მოიცავს სკოლის, საავადმყოფოს, მუზეუმის, თეატრის ან კულტურული ცენტრების მშენებლობის ან შეძენის მიზნით განხორციელებულ ფულად ტრანსფერებს ან დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში მიწის, შენობა-ნაგებობის ან არამატერიალური აქტივის, როგორიცაა პატენტი ან საავტორო უფლება, საჩუქრის სახით მთავრობაზე გადაცემას. როდესაც გაურკვეველია რომელ სახეობას უნდა მიეკუთვნოს ტრანსფერი, მიმდინარეს თუ კაპიტალურს, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს მიმდინარე ტრანსფერებში.

<u>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (145)</u>

ამ მუხლით აღირიცხება შემოსავლები, რომლებიც არ მიეკუთვნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას. შემოსავლები, რომლებიც ამ კატეგორიაში შეიძლება მოხვდეს, არის ყოფილი სამხედრო დანიშნულების ისეთი ქონების რეალიზაცია, რომელიც არ ექვემდებარება ძირითად საშუალებებში აღრიცხვას, ნარჩენების რეალიზაცია, მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისადმი, რომლებიც არ უკავშირდება სიცოცხლის დაზღვევას, სადაზღვევო პრემია, რომელიც არ უკავშირდება სიცოცხლის დაზღვევას, იმ პროგრამებიდან, რომლებიც ხორციელდება მთავრობის მიერ, სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გარდა სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად ამოღებული თანხებისა და ყველა სხვა შემოსავალი, რომელზეც არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია, რათა იგი კლასიფიცირებულ იქნეს სხვა ზემოთ მოყვანილი მუხლების შესაბამისად. აქვე აღირიცხება ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების პროცენტი, რომლის გადახდევინება ხდება ბიუჯეტის სასარგებლოდ, და შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე, ასევე წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნების შედეგად მიღებული სახსრები, ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული გაურკვეველი თანხები, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებით და სხვა.

აღნიშნული მუხლი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი (1451);
- შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან (1452);
- სახაზინო თავდებობიდან მიღებული შემოსავალი (1453);
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი (1454);
- სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი (1455);
- შემოსავალი რეალიზებული ლატარიის ბილეთების ჯამური ღირებულების წილიდან (1456);
- შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე (1457);
- გზათსარგებლობის საფასურით მიღებული შემოსავალი (1458);
- შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან მიღებული შემოსავალი (1460);
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (1459).

8.3. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია

საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

საბიუჯეტო ხარჯების მოქმედი ეკონომიკური კლასიფიკაცია სქემატურად ასახულია 8.2. დანართში.

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით **საბიუჯეტო ხარჯები** იყოფა 8 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

- შრომის ანაზღაურება (21);
- საქონელი და მომსახურება (22);
- ძირითადი კაპიტალის მოხმარება (23);
- პროცენტი (24);
- სუბსიდიები (25);
- გრანტები (26);
- სოციალური უზრუნველყოფა (27);
- სხვა ხარჯები (28)[1].

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება **საბიუჯეტო ხარჯების** კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების მოკლე დახასიათება:

შრომის ანაზღაურება (21)

შრომის ანაზღაურება გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციებს. შრომის ანაზღაურება[2] მოიცავს:

- ხელფასებს (როგორც ფულადი, ისე სასაქონლო ფორმით) (211);
- სოციალურ შენატანებს (212).

ხელფასი (211)

ხელფასი გულისხმობს შესრულებული სამუშაოს საზღაურს ფულადი ან სასაქონლო ფორმით, აგრეთვე კუთვნილი შვებულების საზღაურს.

ხელფასი ფულადი ფორმით (2111): აღნიშნული კატეგორია მოიცავს შესრულებული სამუშაოს და კუთვნილი შვებულების ფულად ანაზღაურებას.

თანამდებობრივი სარგო (21111): აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობა, რომელიც დადგენილია მუშაკისათვის მისი დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. აგრეთვე, კუთვნილი

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ საკუთარი კაპიტალის ფორმირებასთან დაკავშირებული ოპერაციები არ განიხილება როგორც ხარჯები.

[2] შრომის ანაზღაურება (21) არ ითვალისწინებს კონტრაქტორების, თვითდასაქმებული პირების თუ სხვა სახის მომუშავეთათვის გადახდილ თანხებს, რომლებიც სახელმწიფო ერთეულის საშტატო რიცხოვნობაში არ შედიან. ნებისმიერი ამგვარი გადახდა აისახება როგორც საქონელი და მომსახურება (22).

შვებულების საზღაური. სარგო წესდება საშტატო განრიგის და თანამდებობრივი კატეგორიის შესაბამისად.

წოდებრივი სარგო (21112): აღნიშნული კატეგორია მოიცავს მინიჭებული წოდებისათვის დადგენილ სარგოს.

პრემია (21113): აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის ფულად წახალისებას, გარდა „სხვა ხარჯებში„ ასახულ სახელმწიფო ჯილდოებზე და შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებული ფულადი პრემიებისა.

დანამატი (21114): აღნიშნული კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს.

ჰონორარი (21115): აღნიშნული კატეგორია მოიცავს ფულად ანაზღაურებას, რომელსაც უხდიან ლიტერატურული დამუსიკალური ნაწარმოებების,' მეცნიერული ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორებს ნაწარმოებების პუბლიკაციისა და გამოყენებისათვის და სხვა, გარდა „სხვა ხარჯებში“ და „სოციალურ უზრუნველყოფაში“ ასახული კომპენსაციებისა.

კომპენსაცია (21116): აღნიშნული კატეგორია მოიცავს დაქირავებულისათვის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ყველა სახის ფულად კომპენსაციას, გარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ (27) და „სხვა ხარჯების“ (28) მუხლებით გათვალისწინებული კომპენსაციებისა.

ხელფასი სასაქონლო ფორმით (2112): აღნიშნული კატეგორია მოიცავს „ხელფასი ფულადი ფორმით“ (2111) კატეგორიაში წარმოდგენილ ყველა გასაცემელსა და საზღაურს სასაქონლო ფორმით.

<u>სოციალური შენატანები (212)*</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სახელმწიფო სადაზღვევო სქემის არსებობისას განხორციელებულ სოციალურ შენატანებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

<u>საქონელი და მომსახურება (22)*</u>

სხვა მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეული საკასო ხარჯი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მატერიალური მარაგების შეძენა ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებულ სხვა ხარჯვით კატეგორიებში ან არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შესაბამის კატეგორიებში აღირიცხება) საქონლისა და მომსახურების შესყიდვად განიხილება და აღრიცხვაში არაფინანსურ აქტივებში აისახება. სხვა მატერიალური მარაგების ფაქტობრივი გამოყენების შემთხვევაში ისინი ფაქტობრივ ხარჯებში ჩამოიწერება, რაც, თავის მხრივ, საქონლისა და მომსახურების გამოყენებად განიხილება.

<u>შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (221)</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთათვის ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციას.

მივლინება (222)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით (2221) და ქვეყნის გარეთ (2222) მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის და მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯებს; მივლინების დროს წარმომადგენლობით ხარჯებს; ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის მივლინებული მუშაკის სავალდებულო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან, აგრეთვე მივლინებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

ოფისის ხარჯები (223)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხარჯებს მცირეფასიან და მრავალჯერადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, მცირეფასიან აქტივებზე, რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი; ასევე ძირითადი აქტივების, ფასეულობების და არაწარმოებული აქტივების მოვლა-შენახვის (ექსპლუატაციის) და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას. მიმდინარე შეკეთების, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ეკალებათ აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამ აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ისინი არ ცვლიან აქტივების საექსპლუატაციო თვისებებს, უბრალოდ ინახავენ მათ მუშა მდგომარეობაში ან დაზიანების შემთხვევაში აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას.

ოფისის ხარჯები (223) მოიცავს:

- საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკენცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენას (2231);
- კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯს (2232), როგორიცაა მცირეფასიანი და ხშირ შემთხვევაში ერთწლიანი გამოყენების კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯები;
- ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯს (2233);
- მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯს (2234):
  - ტელევიზორი (22341);
  - მაცივარი (22342);
  - კომპიუტერული ტექნიკა (22343) (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები);

- ასლგადამღები (22344);
- კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა (22345);
- ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა (22346) (ფოტოაპარატი, ხმის ჩამწერი აპარატურა, აუდიო-ვიდეო აპარატურა);
- მობილური ტელეფონი (22347);
- ტელეფონის, ფაქსის აპარატი (22348);
- მუსიკალური ინსტრუმენტი (22349);
- გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა (223410);
- სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი (223411);

➡ საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებს (2235), როგორიცაა:
- საოფისე ავეჯი (22351);
- რბილი ავეჯი (22352);
- სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის (სამზარეულოს ინვენტარი, ტანსაცმლის საკიდი, ბეჭედი/შტამპი, მაგიდის სანათი, სურათი და სურათის ჩარჩო, საათი, ცეცხლგამძლე კარადა (სეიფი) და სხვა საოფისე ინვენტარი) შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი (22353);

➡ ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებს (2236), რაც გულისხმობს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების საგნების და მასალების შეძენის ხარჯს;

➡ რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების ხარჯებს (2237);

➡ შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებს (2238);

➡ საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯებს (2239);

➡ კავშირგაბმულობის ხარჯებს (22310), როგორიცაა: შიდასაქალაქო სატელეფონო მომსახურების, საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების, მობილური ტელეფონის, სატელევიზიო არხებით სარგებლობის, ინტერნეტით სარგებლობის, სპეციალური კავშირის და კავშირგაბმულობასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯები;

➡ საფოსტო მომსახურების ხარჯებს (22311), რომელიც გულისხმობს ყოველგვარ საფოსტო, მათ შორის ამანათების, დეპეშების, რადიოგრამების, ფულადი და სხვა სახის გზავნილების ხარჯებს;

➡ კომუნალურ ხარჯებს (22312), როგორიცაა: ელექტროენერგიის (223121), წყლის (223122), ბუნებრივი და თხევადი აირის (223123), კანალიზაციისა და ასინილიზაციის (223124), გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის (223125), შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუ-

ფთავების (223126)[1], სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული ბინით სარგებლობის კომუნალური ხარჯები (223127)[2];

- სამსახურებრივი ცხოველების მოვლა-შენახვასთან და აღკაზმულობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (22313)[3];
- ოფისის ხარჯებს, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (22314) სხვა დანარჩენ კატეგორიებში.

წარმომადგენლობითი ხარჯები (224)

გულისხმობს როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც.

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, (VIP დარბაზის მომსახურება), სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა), საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

კვების ხარჯები (225)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ბაგა-ბაღებში, საბავშვო სახლებში, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამხედრო მოსამსახურეთა და პოლიციელთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და წინასწარი დაკავების იზოლატორებში კვებასთან დაკავშირებული ხარჯებს, შრომის მავნე პირობებში სამუშაობებისათვის სპეციალურ კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაღალმთიან და ძნელადმისადგომ ადგილებში მომუშავეთა სპეციალურ კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სისხლის დონორების, სპორტული შეჯიბრებების და შეკრებების მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამსახურებრივი ძაღლების და ცხენების და საცდელი ცხოველების კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამედიცინო დაწესებულებებში და კვებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. ამასთან, აღნიშნული კატეგორია არ მოიცავს 21116 კოდით გათვალისწინებულ კვების კომპენსაციის ხარჯებს.

სამედიცინო ხარჯები (226)

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ (223126) კოდი არ მოიცავს შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების ხარჯებს, თუ აღნიშნული დაკავშირებულია შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან.

[2] უნდა შევნიშნოთ, რომ (223127) კოდი არ მოიცავს იმ კომუნალურ ხარჯებს, რომელიც შედის ბინის ქირაში და აღირიცხება (221011) კოდში.

[3] უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული კოდი არ მოიცავს სამსახურებრივი ცხოველების კვების ხარჯებს, რომელიც მიეკუთვნება კვების ხარჯებს (225).

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მედიკამენტის და სხვა სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ინსტრუმენტის, მათ შორის, ოპტიკური საშუალებების შეძენის ხარჯებს, სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯებს, საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ლაბორატორიების/კაბინეტებისათვის სამედიცინო დანიშნულების მასალების შეძენის ხარჯებს, სისხლის და პლაზმის შეძენის და სხვა სამედიცინო ხარჯებს.

<u>რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები (227)</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტანსაცმლის, მათ შორის, პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილი თეთრეულისა და ფეხსაცმლის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ლოგინის თეთრეულის, ლეიბების, საბნების, ბალიშების შეძენისა და შენახვის ხარჯებს, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამხედრო და სხვა მოსამსახურეთა უნიფიცირებული ფორმის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, სპორტული უნიფორმის და შესაბამისი სპეციალურვილობის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ხალიჩების, ფარდაგების, ფარდების, ფარდა-ჟალუზების და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენის, შენახვის, შეკერვისა და გადაკეთების და სხვა მსგავს ხარჯებს.

<u>ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (228)</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშრებულ ხარჯებს, კერძოდ:

- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებს (2281), რომელიც მოიცავს ბენზინის, დიზელისა და სხვა საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებს;
- მიმდინარე რემონტის ხარჯებს (2282);
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯს (2283);
- ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯებს (2284);
- მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა-შენახვის ხარჯებს (2285);
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებულ ხარჯებს (2286).

<u>სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები (229)</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამხედრო უწყებების მიერ იარაღის (მაგალითად, რაკეტები, ჭურვები და სხვა) და ამ იარაღის ამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის (მაგალითად, რაკეტის გასაშვები საშუალება, საბრძოლო გემები, წყალქვეშა ნავები, ტანკები, თვითმფრინავები და სხვა), შეიარაღებული სატრანსპორტო საშუალებების, ტყვია-წამლის, მცირეფასიანი აქსესუარების შეძენისა და სხვა მსგავს ხარჯებს. ამასთან, სამ-

ხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები ასევე მოიცავს ზემოაღნიშნული ტექნიკური საშუალებების კაპიტალური შეკეთების ხარჯებს.

პოლიციისა და შინაგანი უსაფრთხოების სამსახურების მიერ ზემოაღნიშნული ტიპის აღჭურვილობების (გარდა ტყვია-წამლისა და მცირეფასიანი აქსესუარებისა) შესაძენად გაწეული ხარჯები აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივების შეძენა.

<u>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (2210)</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

- ბანკის მომსახურების ხარჯებს (22101);
- დიპლომატიური დაწესებულებების შენახვისა და ატაშატის ხარჯებს (22102);
- ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯებს (22103);
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (22104);
- რეკლამის ხარჯებს (22105);
- სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს (22106);
- საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს (22107);
- აუდიტორიული მომსახურების ხარჯებს (22108);
- საარქივო მომსახურების ხარჯებს (22109);
- შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯებს (221010);
- ბინის ქირას (221011);
- კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები (221012);
- მაუწყებლობის ხარჯები, რაც გულისხმობს სხვადასხვა მოვლენების გაშუქების, პირდაპირი ჩართვების, და მათთან დაკავშირებული სამაუწყებლო ხარჯებს, გარდა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვა მუხლებში გათვალისწინებული ხარჯებისა (221013);
- სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (221014), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს: აღლუმებთან, სასწავლო და სამხედრო წვრთნებთან და მანევრებთან დაკავშირებულ ხარჯებს; ექსტრადაციისა და ბადრაგირების ხარჯებს; კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეულ ხარჯებს; მისაღები გამოცდების საორგანიზაციო ხარჯებს; ორდენების, სიგელების, სუვენირების (გარდა წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გათვალისწინებული სუვენირების ხარჯებისა), მედლების და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენასა და გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს; საგასტროლო ხარჯებს; საველე პირობებში შესრულებული სამუშაოების ხარჯებს; სამგზავრო ბილეთების შესყიდვის ხარჯებს; სამეცნიერო ხარჯებს, მათ შორის: საცდელი მაკეტებისა და ლაბორატორიული სტანდარტების, რე-

აქტივების, ქიმიკატების, ქაღალდების, ჭურჭლის, მედიკამენტების და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენას; აგრეთვე, სამეცნიერო შრომების და გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემის, რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების და სხვა მცირეფასიანი სამეცნიერო ხასიათის საგნების შეძენის ხარჯებს; სასწავლო-სამეცნიერო მიზნით ცხოველების შეძენისა და შენახვის ხარჯებს (გარდა, მათი კვებისა); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების და მასალების, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურისა და სასწავლო პროგრამების მასალების, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურისა და სასწავლო პროგრამების საგამოცდო და სატამბო, ბლანკების, მოწმობების, დიპლომების, სასკოლო ჟურნალების, სტუდენტთა ბილეთების, ჩათვლის წიგნაკების და სხვა სასწავლო დოკუმენტების შეძენის ხარჯებს; ექსპედიციების ხარჯებს; სტანდარტიზაციასთან და სერტიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ტენდერის ხარჯებს; ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სახანძრო დაცვის მომსახურების ხარჯებს; შენობის პასპორტიზაციასთან და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ძეგლებისა და მემორიალების მოვლა-შენახვის ხარჯებს; სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ხარჯებს, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მის დაკრძალვასთან და სასაფლაოს მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების ხარჯებს; წარმოებული აქტივების (ძირითადი აქტივების და ფასეულობების) იჯარასა და ქირასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა ბინის ქირაში (221011) გათვალისწინებული ხარჯებისა; აქტივების გასვლის შემთხვევაში საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს (შემფასებელთა, აუქციონერთა და დილერების მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯებს და სხვა); ეროვნული ვალუტის მონეტისა და ბანკნოტების დამზადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ამასთან, მონეტების და ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება არის ფინანსური ოპერაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული არც შემოსავლებთან და არც ხარჯებთან; „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯებს, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლების ფარგლებში გაწეული გადასახდელებისა; ასევე მოიცავს ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების გადასახდელებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ სხვა დანარჩენ ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ (22) დანარჩენ მუხლებში.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (23) *

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. მისი ღირებულებითი შეფასება ხორციელდება მოცემული პერიოდის საშუალო ფასებით. ძირითადი კაპიტალის მოხმარება პერსპექტიულ მაჩვენებელს წარმოადგენს და იგი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სახელმწიფოს ფინანსურ ჩანაწერებში ასახული ცვეთის (ამორტიზაციის) სიდიდისაგან, რომელიც ჩვეულებრივ ძირითადი აქტივების საწყისი ღირებულების გამოყენებით დაანგარიშდება.

პროცენტი (24)

პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან. სასესხო ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ერთეული (დებიტორი) სესხს იღებს მეორე ერთეულისაგან (კრედიტორისაგან). პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელსაც უხდის დებიტორი კრედიტორს, კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი ეკონომიკური ღირებულების გამოყენებისათვის.

თუ სახელმწიფო ერთეული მოქმედებს როგორც გარანტორი (შემდგომში – „გარანტორი“) სხვა ერთეულების სესხებსა და სხვა საპროცენტო ვალდებულებებზე და იგი ახორციელებს საპროცენტო გადახდებს, აღნიშნული გადახდები არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც პროცენტები, გარანტორის მიერ ვალდებულების აღიარებამდე. თუ გარანტორი არ აღიარებს ვალდებულებას, შესაძლებელია ორი სახის ოპერაცია:

- თუ გარანტორი არ მიიღებს მეორე მხარის (სესხის მიმღების) ფინანსურ ვალდებულებას, ან მოსალოდნელია, რომ ეს ვალდებულება მეორე მხარის მიერ შემდგომში რეალურად არ იქნება დაფარული, ეს ოპერაცია უნდა აისახოს:
  - სუბსიდიების“ (25) მუხლში, თუკი მეორე მხარე საწარმო ან ორგანიზაციაა;
  - „გრანტების“ (26) მუხლში, თუკი მეორე მხარე სხვა სახელმწიფო ერთეულია;
  - „სხვა ხარჯების“ (28) მუხლში, თუკი მეორე მხარე საოჯახო მეურნეობაა, ან ასეთი მეურნეობის მომსახურე არამომგებიანი ორგანიზაცია.
- თუ გარანტორი მიიღებს მეორე მხარის (სესხის მიმღების) ფინანსურ ვალდებულებას და იგი მეორე მხარის მიერ შემდგომში რეალურად იქნება დაფარული, აღნიშნული ოპერაცია აღირიცხება ფინანსური აქტივების (32) მუხლში.

სუბსიდიები (25)

სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლში არ აღირიცხება იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გადასაცემი თანხები, რომელიც შემდგომ გამოიყენება მოსწავლეთა ვაუჩერული სისტემის დასაფინანსებლად, სტუდენტთა გრანტებისა და სტიპენდიების გასაცემად.

ამ მუხლით აღირიცხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები. საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებისათვის გადაცემული კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც ზრდის აღნიშნული იურიდიული პირის აქტივებს, აღირიცხება არაფინანსურ აქტივებში, ხოლო თუ კაპიტალური ტრანსფერი არ ზრდის მის აქტივებს, მაშინ სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებში (2822). საწარმოებზე გადაცემული კაპიტალური ტრანსფერი აღირიცხება სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების (2822) მუხლში. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გასაცემი სახსრები აგრეთვე აღირიცხება სუბსიდიის მუხლში, გარდა „სხვა ხარჯებში“, „არაფინანსურ აქტივებსა“ და „ფინანსურ ატივებსა და ვალდებულებებში“ ასახული სახსრებისა. ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის მიმდინარე და საოპერაციო მიზნებისათვის გადასაცემი სახსრები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით შესაძლებელია გადანაწილდეს შესაბამის მუხლებში.

სუბსიდია შეიძლება გაიცეს გაწეული ხარჯების კომპენსაციისათვის, წარმოების დონესა და პროდუქციის სარეალიზაციო ფასზე ზემოქმედებისათვის. ამასთან, სუბსიდია ასევე ითვალისწინებს საწარმოების სახელით განხორციელებულ საპროცენტო გადახდებს. საწარმოებისათვის სესხად გაცემული სახსრები აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივები და არა როგორც სუბსიდია.

სუბსიდიების გადახდა ხდება მხოლოდ მწარმოებლებისათვის და არა საბოლოო მომხმარებლებისათვის. სუბსიდიები წარმოადგენს მხოლოდ მიმდინარე და არა კაპიტალურ ტრანსფერებს. სახელმწიფო ერთეულების მიერ საოჯახო მეურნეობებისათვის ან მათი მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის გაწეული ტრანსფერები, მათი დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირდება როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“ (27) ან „სხვადასხვა ხარჯები“ (282). სხვა სახელმწიფო ერთეულებისათვის გადაცემული ტრანსფერების უმრავლესობა კლასიფიცირდება როგორც სხვადასხვა ხარჯები (282).

გრანტები (26)[1]

გრანტები წარმოადგენს მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა სახელმწიფო ერთეულზე, საერთაშორისო ორგანიზაციაზე ან სხვა ქვეყნის მთავრობაზე. გრანტი კლასიფიცირდება გრანტის მიმღები ერთეულის ტიპის მიხედვით. სხვა სახელმწიფო ერთეულზე გადასაცემი გრანტების მუხლით აღირიცხება ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი. ამასთან, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერი შეიძლება აღრიცხულ იქნეს როგორც მიმდინარე გრანტების, ასევე კაპიტალური გრანტების მუხლში, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერი მხოლოდ მიმდინარე გრანტების მუხლში, თუმცა აღნიშნულიდან შესაძლებელია კაპიტალური დანიშნულების ხარჯების გაწევაც. კაპიტალური ტრანსფერი აღირიცხება კაპიტალური ტრანსფერის მუხლში. ამასთან, ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა სახელმწიფო ერთეულზე სესხის სახით გადაცემული ტრანსფერი აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივები და არა როგორც გრანტები.

მიმდინარე დანიშნულებით გაცემულ გრანტებს განეკუთვნება ის გრანტები, რომლებიც გამოყოფილია მიმდინარე ხარჯების დასაფარად და არ არის დაკავშირებული გრანტის მიმღების მიერ აქტივის შეძენასთან. კაპიტალური დანიშნულებით გრანტების გაცემა ითვალისწინებს გრანტის მიმღების მიერ აქტივების შეძენას და შესაძლოა ფულადი სახსრების ტრანსფერსაც მოიცავდეს, რომელიც გრანტის მიმღებმა შეიძლება გამოიყენოს, ან მოეთხოვებოდეს, რომ გამოიყენოს აქტივისა თუ აქტივების შესაძენად (მატერიალური მარაგების გარდა), აქტივის ტრანსფერს (მატერიალური მარაგებისა და ფულადი სახსრების გარდა), დებიტორსა და კრედიტორს შორის მიღწეული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ვალდებულების გაუქმებას, ან სხვა ერთეულის ვალის აღიარებას. თუკი გრანტის მახასიათებელთან მიმართებაში არსებობს გარკვეული ეჭვი, მაშინ იგი უნდა კლასიფიცირდეს, როგორც მიმდინარე გრანტი.

ნაერთი სტატისტიკის შედგენისას (სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი და ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტი) სხვა სახელმწიფო ერთეულისათვის გადაცემული გრანტები ექვემდებარება კონსოლიდაციას (გაბათილებას), ანგარიშის შედგენაში მონაწილე სახელმწიფო ერთეულების გათვალისწინებით, რის გამოც ნაერთ

[1] ამ კლასიფიკაციის მიზნებისთვის გრანტის შინაარსი არ ემთხვევა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ განმარტებას და ხარჯების კლასიფიკაციაში გამოყენებული ტერმინი „გრანტი“ გამოიყენება მხოლოდ ამ კლასიფიკაციის მიზნებისათვის.

ანგარიშში დარჩება მხოლოდ სხვა ქვეყნის მთავრობებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები.

სოციალური უზრუნველყოფა (27)

სოციალური უზრუნველყოფა არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით. სოციალური უზრუნველყოფის მუხლი მოიცავს:

სოციალურ დაზღვევას (271)

რომელიც გულისხმობს სოციალური დახმარებების (272) კატეგორიაში გათვალისწინებულ იმ სოციალურ ტრანსფერებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სადაზღვევო სქემაში მონაწილეობით.

სოციალურ დახმარებას (272)

რომელშიც შედის: სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები, ინვალიდთა პენსიები, დახმარება უმუშევრობის დროს, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები; ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა კომპენსაცია, უმწეო მდგომარეობაში მყოფი საოჯახო მეურნეობების სოციალური დახმარებები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარებები; მონეტიზაციის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები, დახმარება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯები (გარდა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე გაწეული და „საქონლისა და მომსახურების“ *(22)* მუხლით გათვალისწინებული სამედიცინო ხარჯებისა) და სხვა.

დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებას (273)

რომელშიც შედის: სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციები, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის ხელფასი, რაც გადახდილი იყო მოსამსახურის ავადმყოფობისა და შემთხვევითი დაზიანების გამო სამსახურში არყოფნის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში გასაცემი თანხები, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო სახელმწიფოს მიერ გაცემული სოციალური დახმარების ზევით გაცემული სოციალური დახმარება (კომპენსაცია) და სხვა. აგრეთვე, სოციალური დახმარებების (272) კატეგორიაში გათვალისწინებული ის სოციალური ტრანსფერები, რომლებიც შეიძლება გადახდილ იქნეს დამქირავებლის მიერ.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სოციალური ტრანსფერის მიმღებს წარმოადგენს დასაქმებული, რომელიც თავისი შემოსავლიდან ახორციელებს შენატანებს (სოციალური გადასახადის სახით) და, შესაბამისად, ავტომატურად ხდება სადაზღვევო სქემის მონაწილე, მაშინ აღნიშნული ტრანსფერი წარმოადგენს სოციალურ დაზღვევას. ხოლო ყველა ის სოციალური ტრანს-

ფერი, რომელიც სადაზღვევო სქემაში მონაწილეობის გარეშე გაიცემა ბენეფიციარებზე, განიხილება როგორც სოციალური დახმარება.

სხვა ხარჯები (28)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა *(281)*

რომელიც თავის მხრივ 4 ძირითად ჯგუფად იყოფა: დივიდენდები, კვაზი-კორპორაციების შემოსავლიდან ამოღებული თანხები, ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება და რენტა. ამასთან, ქონებასთან დაკავშირებული ხარჯი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულის მიერ არაწარმოებული აქტივის გამოყენებისათვის აქტივების მფლობელისათვის გადასახდელ თანხას და იგი არ მოიცავს ქონებასთან დაკავშირებული ხარჯის ერთ-ერთ სახეობას – პროცენტს. ვინაიდან იგი ცალკე მუხლად არის კლასიფიცირებული (იხ. *პროცენტი (24).*

სხვადასხვა ხარჯებს (282)

რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მიზნით განხორციელებული ტრანსფერების რამდენიმე სახეს და აგრეთვე იმ ხარჯვით ოპერაციებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. ამასთან, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გაწეულ მიმდინარე ხარჯებს, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სხვადასხვა ხარჯები (282) თავის მხრივ იყოფა:

- სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებად (2821);
- სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებად (2822).

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები (2821) მოიცავს:

- სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებულ სააღსრულებო ხარჯს (28211), რაც გულისხმობს სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო (არბიტრაჟი და სხვა) ორგანოების გადაწყვეტილებებით დაკისრებულ თანხებს, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და აღნიშნული თანხების დაფარვა ხორციელდება მიმდინარე პერიოდში (ერთი და იმავე საანგარიშო წელს), ხოლო აღნიშნული გადასახდელები აღირიცხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და მისი აღსრულება ხდება სხვადასხვა წლებში. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება იმ გადასახდელებს, რომლებიც ორგანიზაციის მიერ აღრიცხულია ბალანსში, მათი დაფარვა აღირიცხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში;
- შენობა-ნაგებობების დაზღვევის ხარჯს (28212);

- დანადგარების დაზღვევის ხარჯს (28213);
- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯს (28214);
- პერსონალის დაზღვევის ხარჯს (28215);
- დაზღვევის სხვა ხარჯებს (28216);
- მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯს (28217);
- სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯს (28218);
- სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიების ხარჯს (28219);
- პრეზიდენტის სახელობის გრანტების ხარჯს (282110);
- პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიების ხარჯს (282111);
- პრეზიდენტის სახელობის სამეცნიერო გრანტების ხარჯს (282112);
- სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯს (282113);
- სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯს (282114);
- გადასახადებს (გარდა საშემომოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის), რაც გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილ ყველა სახის გადასახადებს, საურავებს, ჯარიმებს, მოსაკრებლებს, საკომისიოებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახდელებს, გარდა საშემოსავლო გადასახადის და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დამატებული ღირებულების გადასახადისა (282115);
- მოსაკრებლებს (282116);
- საკომისიოებს (282117);
- სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენ მიმდინარე ხარჯს (282118), რაც გულისხმობს: სახელმწიფო ერთეულების მიზეზით ფიზიკური პირების ტრავმირებისა თუ ქონებრივი ზარალის ასანაზღაურებლად, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში გადახდილ კომპენსაციებს. ასეთი გადახდები შეიძლება იყოს სავალდებულო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან ნებაყოფილობითი სასამართლოს გარეთ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. სწავლის საფასურს; ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ მოსწავლეთა/სტუდენტთა სწავლის საფასურს; სტიქიური უბედურებების შედეგად მიღებული ტრავმების კომპენსირების მიზნით განხორციელებულ გადახდებს; საბაზრო წესით მწარმოებლებიდან საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელიც პირდაპირ საოჯახო მეურნეობებზე გადანაწილდება საბოლოო მოხმარებისათვის, გარდა სოციალური დახმარებებისა; სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებულს ფულად პრემიებს; უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციოს პროექტების ფარგლებში მიმდინარე დანიშნულებით გასაცემ სახსრებს იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს.

სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (2822) მოიცავს: საოჯახო მეურნეობებზე გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, საოჯახო მეურნეობებზე ან მათ მომსახურე საბაზრო საწარმოებზე გაცემული ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, არამომგებიანი დაწესებულებებისთვის გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, საწარმოების მიერ კაპიტალის ფორმირების მიზნით სახელმწიფო ერთეულის მიერ განხორციელებულ გადახდებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების დაზიანების კომპენსაციის ხარჯს და სხვადასხვა არაკლასიფიცირებულ კაპიტალურ სარჯებს.

8.4. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია წარმოადგენს არაფინანსური აქტივების შეძენისა და გასვლის ოპერაციების და არაფინანსური აქტივების დაჯგუფებას სახეების მიხედვით.

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების მოქმედი კლასიფიკაცია სქემატურად ასახულია **8.3.** დანართში.

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით არაფინანსური აქტივებისა (31) და მათზე ოპერაციების[1] კლასიფიკაცია იყოფა 4 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

- ძირითადი აქტივები (311);
- მატერიალური მარაგები (312);
- ფასეულობები (313);
- არაწარმოებული აქტივები (314).

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება **არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების** მოკლე დახასიათება:

ძირითადი აქტივები (311)

ძირითადი აქტივები არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულე-

---

[1] *შენიშვნა:* აქტივების შეძენა მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, შემფასებელთა, აუქციონერთა და დილერების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, ასევე პროექტის მომზადების/პროექტირების ხარჯები, აქტივის შეძენასთან დაკავშირებული მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯები და სხვა. ხოლო აქტივების გასვლის შემთხვევაში, საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

ბაც შეადგენს 500 ლარს და მეტს. ისეთი საგნები, რომლებსაც ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლი გააჩნიათ, მაგრამ განკუთვნილი არ არიან მრავალჯერადი გამოყენებისათვის, არ შეიძლება კლასიფიცირდებოდეს როგორც ძირითადი აქტივები (მაგალითად, საწვავად გამოყენებადი ნახშირი).

არსებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად, წარმოადგენს კაპიტალურ შეკეთებას და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივების შეძენა. კაპიტალურ შეკეთებაში იგულისხმება აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და გაფართოება, რომელიც წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და იგი ზრდის აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, სიმძლავრეს ან ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების პერიოდს. ამასთან, ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები, რაც გავლენას არ ახდენს მათ საწარმოო სიმძლავრესა და სასიცოცხლო ციკლზე, აღირიცხება როგორც „საქონელი და მომსახურება“ (22).

პოლიციისა და შინაგანი უსაფრთხოების სამსახურების მიერ იარაღისა (მაგალითად, რაკეტები, ჭურვები) და ამ იარაღის ამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის (მაგალითად, რაკეტის გასაშვები საშუალება, საბრძოლო გემები, წყალქვეშა ნავები, ტანკები, თვითმფრინავები), აგრეთვე, შეიარაღებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა განიხილება ძირითად აქტივებად. ამასთან, სამხედრო უწყებების მიერ მსგავსი სახის აღჭურვილობების შეძენა აღირიცხება „საქონლისა და მომსახურების“ (22) მუხლში. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი საშუალებების შეძენა, რომელიც გამოსადეგია როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მიზნებისთვის (მაგალითად, სამხედრო აეროდრომი, ნავსადგური, საავადმყოფოები, საოფისე ინვენტარი) განიხილება როგორც ძირითადი აქტივების შეძენა. ამასთან, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში კაპიტალური დანიშნულებით გაცემული სახსრები, რომელიც გამოიყენება როგორც პროექტის განმახორციელებლის, აგრეთვე სახელმწიფოს (გამონაკლისს წარმოადგენს სხვა დონის სახელმწიფო ერთეულზე გადასაცემად შეძენილი არაფინანსური აქტივები) არაფინანსური აქტივების შესაქმნელად, აღირიცხება არაფინანსურ აქტივებში.

ძირითადი აქტივები (311) მოიცავს:

- შენობა-ნაგებობებს (3111);
- მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს (3112);
- სხვა ძირითად აქტივებს (3113).

<u>შენობა-ნაგებობები (3111)</u>

აღნიშნული კატეგორია მოიცავს შენობა-ნაგებობების, მათ შორის, ახლად აშენებული შენობა-ნაგებობების ღირებულებას, ასევე შენობა-ნაგებობების ასაშენებლად შემოგარენის დასუფთავებისა და მომზადების ხარჯებს,

აგრეთვე, ყველა მოწყობილობის, აპარატურისა და ხელსაწყოების ხარჯებს, რომლებიც ამ შენობა-ნაგებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

ამასთან, შენობა-ნაგებობები მოიცავს სამხედრო მოსამსახურეებისათვის ან/და სამხედრო მიზნებისათვის შეძენილ/აშენებულ შენობა-ნაგებობებს, თუ ისინი სამოქალაქო შენობა-ნაგებობების მსგავსია და მათი გამოყენება იმავე წესითაა შესაძლებელი.

შენობა-ნაგებობები (3111), თავის მხრივ, მოიცავს:

- **საცხოვრებელი შენობებს** (31111): საცხოვრებელ შენობებს მიეკუთვნება ის შენობები, რომლებიც მთლიანად ან უმთავრესად საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოიყენება (ავტოფარეხებსა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა ნაგებობების ჩათვლით). ამავე კატეგორიაში შედის მცურავი სახლები, ბარჟები, საცხოვრებელი ფურგონები და ავტომისაბმელები, რომლებიც ძირითად საცხოვრებელ ადგილად გამოიყენება.
- **არასაცხოვრებელი შენობებს** (31112): არასაცხოვრებელ შენობებს მიეკუთვნება ყველა შენობა, გარდა საცხოვრებელი შენობებისა. შენობების მოცემულ კატეგორიაში გაერთიანებული შენობების მაგალითს წარმოადგენს საოფისე, ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, საავადმყოფოები, საზოგადოებრივი გართობის შენობები, საწყობები, საწარმოო შენობები, სავაჭრო შენობები, სასტუმროები და რესტორნები.
- **საგზაო მაგისტრალებს** (31113);
- **ქუჩებს** (31114);
- **გზებს** (31115);
- **ხიდებს** (31116);
- **გვირაბებს** (31117);
- **საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემებს** (31118);
- **ელექტრო გადამცემ ხაზებს** (31119);
- **მილსადენებს** (311110)
- **სხვა შენობა-ნაგებობებს** (311111): ეს მუხლი მოიცავს ყველა იმ ნაგებობას, რომელიც არ განეკუთვნება შენობა-ნაგებობის ზემოაღნიშნულ კატეგორიებს, კერძოდ:
  - რკინიგზა, მეტრო, აეროდრომის ასაფრენი ბილიკები, ნავსადგურები, დამბა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები;
  - შახტები და წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობები;
  - საკომუნიკაციო საშუალებები;
  - სპორტული დარბაზები/მოედნები და სხვა დასასვენებელი ნაგებობები;
  - სხვა შენობა-ნაგებობები.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (3112)[1]

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (3112) მოიცავს:

- სატრანსპორტო საშუალებებს (31121);
- სხვა მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს (31122).

სატრანსპორტო საშუალებები (31121): აღნიშნულ კატეგორიაში აღირიცხება ყველა სახის მიმოსვლის საშუალება, რომელიც განკუთვნილია ხალხის გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად, ასევე სპეციალური ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ა.შ. *იგი მოიცავს:*

- სატვირთო ავტომობილებს (311211);
- მაღალი გამავლობის მსუბუქ ავტომობილებს (311212);
- მსუბუქ ავტომობილს (311213);
- ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას (31214);
- ბულდოზერებს და სხვა დანარჩენ სპეციალურ ტექნიკას (31215);
- სხვა სატრანსპორტო საშუალებებს (31216)[2].

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (31122): აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა. აღნიშნული მუხლი მოიცავს – საერთო და სპეციალური მოხმარების მანქანებს; საოფისე, საბუღალტრო და კომპიუტერულ მოწყობილობებს და სხვა მანქანა-დანადგარებს და ინვენტარს.

ამასთან, თუ სახელმწიფო მუზეუმებისა და სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მფლობელობაში არსებულ ნახატები, ქანდაკებები, კოსტიუმები, ხელოვნების სხვა ნიმუშები და ანტიკვარიატი, აგრეთვე სხვადასხვა სახის ძვირადღირებულ კოლექციები და სხვა დანარჩენი ინვენტარი არ გამოიყენება არც საბაზრო და არც არასაბაზრო წესით მომსახურების გასაწევად, ასეთ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდებიან, როგორც ფასეულობები (313).

---

[1] *შენიშვნა*:* მანქანა-დანადგარები, რომლებიც შეადგენენ შენობების და სხვა ნაგებობის განუყოფელ ნაწილს, შედიან ამ შენობების ან ნაგებობის ღირებულებაში და არ მიეკუთვნებიან მანქანა-დანადგარების კატეგორიას.

*შენიშვნა**:* ისეთი მცირეფასიანი და ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენა, რომელთა შეძენა ხორციელდება რეგულარულად და სტაბილური მოცულობით, არ ითვლება ძირითად აქტივებად.

[2] აღნიშნულ კატეგორიაში აღირიცხება ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც არ მოიცავს ზემოაღნიშნული მუხლები, კერძოდ: რკინიგზის, წყლის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა, მათ შორის, სპორტული და სპეციალური ტრანსპორტი – ელმავლები, თბომავლები, ორთქლმავლები, სასამსახურე-დამხმარე და მაშველი ნავები და გემები, კატარღები, ტივტივა ნავსადგომები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები, სახანძრო მანქანები, მოტოციკლეტები, ველოსიპედები, ავტობუსები, თვითმფრინავები, ვერტმფრენები (შვეულმფრენები) და სხვა.

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (31122) მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ტელევიზორი (311221);
- მაცივარი (311222);
- კომპიუტერი (311223);
- მობილური ტელეფონი (311224);
- პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები (311225);
- უწყვეტი კვების წყარო (311226);
- ხმის ჩამწერი აპარატურა (311227);
- ფოტოაპარატი (311228);
- ვიდეო-აუდიო აპარატურა (311229);
- ტელეფონის, ფაქსის აპარატი (3112210);
- მუსიკალური ინსტრუმენტი (3112211);
- სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები (3112212);
- ოპტიკური ხელსაწყო (3112213);
- ავეჯი (3112214);
- რბილი ავეჯი (3112215);
- მაჯის და სხვა ტიპის საათი (3112216);
- სპორტული საქონელი (3112217);
- ნახატი, ქანდაკება, ხელოვნების სხვა ნიმუშები, ანტიკვარიატი და ძვირადღირებული კოლექციები (3112218);
- კოსტიუმები (3112219);
- სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (3112220).

<u>სხვა ძირითადი აქტივები (3113)</u>

კულტივირებული აქტივები (31131): კულტივირებულ აქტივებს განეკუთვნება ცხოველები და მცენარეები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, მათ შორის, სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველები. ამასთან, კულტივირებულ აქტივებს განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო ერთეულების ზედამხედველობის, კონტროლისა და მმართველობის ქვეშ მყოფი კულტივირებული ცხოველები და მცენარეები. სხვა დანარჩენი ცხოველები და მცენარეები კლასიფიცირდება როგორც არაწარმოებული აქტივები ან საერთოდ არ განეკუთვნებიან ეკონომიკურ აქტივებს.

ამ კატეგორიაში გაერთიანებულ ცხოველებს განეკუთვნებიან: გასამრავლებელი საქონელი (თევზეულისა და შინაური ფრინველების ჩათვლით); მეწველი საქონელი; საჯიშე პირუტყვი; ცხვრები ან სხვა ცხოველები, რომლებიც გამოიყენება შალის საწარმოებლად; აგრეთვე ტრანსპორტირებისათვის და დოღში გამოსაყენებელი საქონელი და სხვა.

ამ კატეგორიაში გაერთიანებულ მცენარეებს განეკუთვნებიან: ხეები, ვენახები და ბუჩქნარები, რომლებიც კულტივირდება ხილის, თხილის, ფისისა და მერქნის მოსაყვანად და სხვა.

კულტივირებული აქტივების გასვლა ითვალისწინებს ცხოველებისა და მცენარეების რეალიზაციას ან სხვა სახით მათ გასავალს, რაც მოიცავს დასაკლავად გაყიდულ ცხოველებს ან მათი მესაკუთრეების მიერ დაკლულ ცხოველებს და სასიცოცხლო ციკლის გასვლამდე მოჭრილ მცენარეებს.

ამასთან, თუ აღნიშნული მცენარეები და ცხოველები ერთჯერადი გამოყენებისაა, როგორიცაა წინასწარ განსაზღვრული დასაკლავი საქონელი და შეშად გამოსაყენებელი ხეები, აღნიშნული კლასიფიცირდება როგორც მატერიალური მარაგები (312) და არა როგორც ძირითადი აქტივები (311).

კულტივირებული აქტივების გასვლა არ მოიცავს ცხოველებისა თუ მცენარეების ეპიდემიების გავრცელებით, დაბინძურებით, გვალვით, შიმშილობითა თუ სხვა სახის სტიქიური უბედურებებით გამოწვეულ დანაკარგებს. ცხოველებისა და მცენარეების ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეულ დანაკარგებს, აგრეთვე ცხოველებისა და მცენარეების ხანდაზმულობის გამო მათი ღირებულების შემცირებას ძირითადი კაპიტალის მოხმარება ითვალისწინებს.

არამატერიალური ძირითადი აქტივები (31132): არამატერიალური ძირითადი აქტივები მოიცავს:

ლიცენზიები (311321): აღნიშნული კატეგორია მოიცავს ლიცენზიებს 10 წლის და მეტი ვადით გამოყენების უფლებით, გარდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისა (31431), რომელიც განიხილება როგორც „სხვა ბუნებრივი აქტივები" (3143).

სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები (311322): აღნიშნული კატეგორია მოიცავს, ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც წარმოებაში ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება და მათი მომხმარებელია მხოლოდ მათზე საკუთრების ან ლიცენზიის მქონე სუბიექტი. *აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება:*

- სასარგებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებულ ხარჯები, როგორიცაა: საცდელი ფაქტობრივი გაბურღვის ხარჯები, აგრეთვე ტესტირების ჩასატარებლად, კერძოდ, საჰაერო დაზვერვასა თუ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ითვალისწინებს პროგრამებს, მათ აღწერილობებსა და დამხმარე მასალებს როგორც სისტემური, ასევე გამოყენებითი პროგრამებისთვის, რომელთა მოხმარებაც ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი; აღნიშნული ასევე მოიცავს ფართო მონაცემთა ბაზის შემუშავებას ან შესყიდვას;
- სხვადასხვა ჟანრის გასართობი ნაწარმოებები, როგორიცაა: ფილმები, ხმის ჩანაწერები, ხელნაწერები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები,

მუსიკალური ნაწარმოები, სპორტული მოვლენები, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო კვლევები, ბაზრის გამოკვლევები და მსგავსი ღონისძიებები შეიძლება მომავალში იყოს ეკონომიკური სარგებლის მომტანი, მათთან დაკავშირებული ხარჯები განიხილება როგორც „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ (2210) და არა როგორც არამატერიალური ძირითადი აქტივები.

მატერიალური მარაგები (312)

მატერიალური მარაგები მოიცავს საქონელს, რომელიც ინახება შემდგომი გაყიდვის, საწარმოო პროცესში გამოყენების ან მომავალში მოხმარების მიზნით[1].

სტრატეგიული მარაგები (3121)

სტრატეგიულ მარაგებს მიეკუთვნება: საქონელი, რომელიც ინახება სტრატეგიული მიზნებისათვის და საგანგებო შემთხვევებისათვის; საქონელი, რომელიც ინახება ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების მიერ; და საქონელი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისათვის (მაგალითად, ხორბალი და ნავთობი).

სხვა მატერიალური მარაგები (3122)

ნედლეული და მასალები (31221): ნედლეული და მასალები შედგება ყველა იმ ბუნებრივი რესურსისა და მასალებისგან, რომლებიც ინახება წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსების სახით.

დაუმთავრებელი წარმოება (31222): დაუმთავრებელ წარმოებას მიეკუთვნება პროდუქცია, რომელიც ნაწილობრივაა დამუშავებული ან წარმოებული მწარმოებლის მიერ, და მათი წარმოება დასრულდება მომავალში იმავე მწარმოებლის მიერ, მაგრამ, როგორც წესი, ისინი არ ექვემდებარება გაყიდვას, მიწოდებას ან გადაცემას სხვა მხარისათვის შემდგომი დამუშავების გარეშე.

მზა პროდუქცია (31223): მზა პროდუქცია მოიცავს საქონელს, რომელიც წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ ინახება მისი მწარმოებლის მიერ და სხვა ერთეულებზე მიწოდებამდე არ ექვემდებარება შემდგომ დამუშავებას. სახელმწიფო ერთეულებს მზა პროდუქცია შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მაშინ, თუ საქონელს აწარმოებენ გასაყიდად ან სხვა ერთეულებისათვის გადასაცემად.

შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი (31224): ეს მუხლი მოიცავს შემდგომი გაყიდვის ან სხვა ერთეულზე გადაცემის მიზნით შეძენილ ისეთ საქონელს, რომლის ფიზიკური ფორმის მკვეთრი ცვლილებები არ

---

[1] *შენიშვნა:* მატერიალური მარაგების გასვლა აისახება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საქონლის გაყიდვას, წარმოებაში გამოყენებას, აგრეთვე მატერიალური მარაგების სხვა კატეგორიაში გადატანას.

ხორციელდება, რამდენადაც შესყიდვის მომენტში აღნიშნულ საქონელს უკვე გააჩნია მზა პროდუქციის სახე.

შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის მფლობელს შეუძლია მისი ტრანსპორტირება, შენახვა, კატეგორიებად დაყოფა, სორტირება ან შეფუთვა, რათა მოახდინოს მისი რეალიზაცია საბოლოო მომხმარებლისათვის მიმზიდველ ფორმაში. ნებისმიერ სახელმწიფო ერთეულზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია შემდგომი რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონლის მარაგი, თუ იგი ყიდის საქონელს ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში. აღნიშნულ კატეგორიაში ასევე შედის სახელმწიფო ერთეულის მიერ სხვა ერთეულისათვის უსასყიდლოდ გადაცემის ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასით მიყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი.

ფასეულობები (313)

ფასეულობები წარმოებული საქონელია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნიათ. ისინი შეძენილია და ინახება, უპირველეს ყოვლისა, როგორც დაგროვების საშუალება და უმთავრესად არ გამოიყენება წარმოების ან მოხმარების მიზნით. მოსალოდნელია, რომ მათი რეალური ღირებულება დროთა განმავლობაში გაიზრდება, უკიდურეს შემთხვევაში, არ შემცირდება, ხოლო ხარისხი, სათანადო პირობებში შენახვისას, არ გაუარესდება[1].

ფასეულობებს განეკუთვნებიან:

- ძვირფასი ქვები და ლითონები, როგორიცაა: ალმასი, არამონეტარული ოქრო, პლატინა, ვერცხლი და ა. შ. აღნიშნული არ არის განკუთვნილი წარმოების პროცესში მოხმარებისათვის შუალედური რესურსის სახით;
- ნახატები, ქანდაკებები და სხვა, რაც ხელოვნების ნიმუშად ან ანტიკვარიატად აღიარებული;
- ძვირფასი ქვებისა და ლითონებისაგან დამზადებული მაღალი ღირებულების საიუველირო ნაწარმი, კოლექციები და სხვა ფასეულობები.

სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული აქტივების უმრავლესობა, რომელიც განეკუთვნება ფასეულობებს, კლასიფიცირდება, როგორც სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (31122) ვინაიდან ისინი ძირითადად გამოფენილია მუზეუმებში და არ განეკუთვნებიან დაგროვების საშუალებებს.

არაწარმოებული აქტივები (314)

[1] შენიშვნა: ფასეულობების მიღება მოიცავს როგორც ამ აქტივის ღირებულებას, ასევე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს, ხოლო გასვლის შემთხვევაში, აქტივის ღირებულებაში არ უნდა აისახოს საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული აღირიცხება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ (2210) კატეგორიაში.

არაწარმოებულ აქტივებს განეკუთვნება ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ოპერაციით შექმნილი აქტივები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა. სხვა შემთხვევაში აღნიშნული არ წარმოადგენს ეკონომიკურ აქტივებს და არ განიხილება როგორც არაფინანსური აქტივები.

მიწა (3141)

მიწა თავისთავად წარმოადგენს გრუნტს, ნიადაგის საფარით და მასთან დაკავშირებული ზედაპირული წყლებისა და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ჩათვლით, რომელთა მიწისგან ფიზიკური განცალკევება შეუძლებელია, შემდეგი ობიექტების გამოკლებით:

- მიწაზე ან მიწის ქვეშ აშენებული შენობა-ნაგებობები, როგორიცაა: გზები, საფისე შენობები და გვირაბები;
- კულტივირებული ვენახები, ხეხილის ბაღები და ხეების სხვა პლანტაციები, მარცვლეული კულტურები და ცხოველების გასამრავლებელი ადგილები;
- წიაღისეული რესურსები;
- არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები;
- მიწისქვეშა წყლის რესურსები.

მიწისზედა წყლები მოიცავს: წყალსაცავებს, ტბებს, მდინარეებს და სხვა შიდა წყლებს, რომელთა მიმართაც შესაძლებელია საკუთრების უფლების რეალიზება. აღნიშნული შემდგომ შესაძლებელია სუბიექტებს შორის ოპერაციების განხორციელების საფუძველი გახდეს.

მიწის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომლის განცალკევებაც მიწისაგან ფიზიკურად შეუძლებელია, შედის მიწის ღირებულებაში. ასეთი გაუმჯობესება ზრდის მიწის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, ან მიწის პროდუქტიულობას, ან ეწინააღმდეგება მისი ხარისხის დაცემას[1].

წიაღისეული (3142)

წიაღისეულს განეკუთვნება ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ნახშირის (ანტრაციტის, ბიტუმი და მურა ნახშირის ჩათვლით), ლითონის მადანის (შავი, ფერადი და ძვირფასი ლითონის ჩათვლით) და სასარგებლო არამადნეული წიაღისეულის (ქვისსატეხების, თიხისა და სილის კარიერების, ქიმიური ნივთიერებებისა და სასუქების საბადოების, მარილის, კვარცის, თაბაშირის, ბუნებრივი ძვირფასი ქვების, ბიტუმის, ტორფის და სხვა საბადოების ჩათვლით) დადასტურებული მარაგები. შახტების ტანი, ჭაბურღილები და სასარ-

[1] მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მაგალითს წარმოადგენს ზღვის ხარჯზე მიწის ტერიტორიის ამოშრობა ყურეების ტალღასაწინააღმდეგო ჯებირებისა თუ დამბების მშენებლობით; ტყის გაკაფვა მიწის სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენების მიზნით; დაშრალი მიწების ირიგაცია საირიგაციო არხების მშენებლობით; ჭაობების დაშრობა, ჯებირების, ტალღის საწინააღმდეგო ჯებირებისა და სხვა სახის ბარიერების მშენებლობა წყალდიდობისა და ეროზიის თავიდან აცილების მიზნით და სხვა.

გებლო წიალისეულის მოსაპოვებლად საჭირო სხვა ნაგებობები წარმოადგენენ ძირითად აქტივებს (311).

სხვა ბუნებრივი აქტივები (3143)

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია (31431): რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია მოიცავს ლიცენზიებს 10 წლის და მეტი ვადით გამოყენების უფლებით.

სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები (31432): ამ კატეგორიას მიეკუთვნება არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები[1], წყლის რესურსები[2] და ელექტრომაგნიტური სპექტრი[3].

არაწარმოებული არამატერიალური აქტივები (3144)

არაწარმოებული არამატერიალური აქტივები მოიცავს საზოგადოებრივი მოწყობისათვის განკუთვნილ პროდუქტებს, რომლებიც ეფუძნება სამართლებრივ ან საბუღალტრო ქმედებებს. ზოგიერთი ასეთი აქტივი მფლობელს უფლებას აძლევს წარმართოს ესა თუ ის კონკრეტული სახის საქმიანობა, ან აწარმოოს კონკრეტული სახის საქონელი ან მომსახურება და, ამასთან, სხვა ერთეულებს აუკრძალოს მსგავსი საქმიანობის წარმართვა მესაკუთრის ნებართვის გარეშე. არაწარმოებული არამატერიალური აქტივები მოიცავენ დაპატენტების ობიექტებს, საოჯარო ხელშეკრულებებსა და სხვა კონტრაქტებს, აგრეთვე, შეძენილ გუდვილს.

პატენტები უზრუნველყოფენ გამოგონებების დაცვას სამართლებრივად ან სასამართლო გადაწყვეტილებებით. დასაცავი გამოგონებების მაგალითებია: ნივთიერებათა შემადგენლობები, პროცესები, ელექტრონული და ელექტროსქემები, მოწყობილობები, ფარმაცევტული შემადგენლობანი და ხელოვნურად შექმნილი ცოცხალი ორგანიზმების ახალი სახეები.

---

[1] არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები მოიცავს ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებზეც შეიძლება საკუთრების უფლების დაწესება და დაცვა, მაგრამ მათი ბუნებრივი ზრდა ან/და განახლება (რეგენერაცია), რომელიმე სახელმწიფო ერთეულის უშუალო კონტროლის, პასუხისმგებლობისა და მართვის ქვეშ არ იმყოფება. მაგალითად: ხელუხლებელი ტყეები და თევზის მარაგები, რომელთა კომერციული ექსპლუატაციაც შესაძლებელია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება მხოლოდ ის რესურსები, რომლებსაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნიათ და არ შედიან მასთან დაკავშირებული მიწის ღირებულებაში.

[2] წყლის რესურსებს განეკუთვნება გრუნტისა და სხვა მიწისქვეშა წყლების ის რესურსები, რომლებიც საკმაოდ დეფიციტურია იმისათვის, რომ გამართლებული იყოს მათზე საკუთრების უფლების დაწესება და/ან გამოყენება. ასეთი რესურსები ეკონომიკური მიზნებისათვის გამოიყენება ან მათი გამოყენება უახლოეს მომავალშია შესაძლებელი. აგრეთვე, მათ გააჩნიათ ეკონომიკური ღირებულება, რომელიც მიწის ღირებულებაში არ შედის.

[3] ელექტრომაგნიტური სპექტრი შედგება რადიოსიხშირეების ნაკრებისაგან, რაც ხმის, მონაცემებისა და სატელევიზიო სიგნალების გადაცემისას გამოიყენება.

საოჯარო ხელშეკრულებები და სხვა კონტრაქტები, რომელთა კლასიფიცირებაც ხდება ეკონომიკურ აქტივებად, მოიცავს საოჯარო ხელშეკრულებებს მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე; ელექტრომაგნიტური სპექტრის ან სასარგებლო წიაღისეული საბადოების გამოყენების ექსკლუზიურ უფლებებს; ხელშეკრულებებს სპორტსმენებსა და ავტორებთან; აგრეთვე, უფლებებს ჯერ კიდევ არწარმოებული მატერიალური აქტივების შეძენაზე.

შეძენილი გუდვილი ეწოდება სხვაობას მოქმედი საწარმოსათვის გადახდილ ღირებულებასა და მისი აქტივების ღირებულებას შორის, ვალდებულებების გამოკლებით. გუდვილის ღირებულება მოიცავს გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ცალკე აქტივად იდენტიფიცირება არ ხდება.

8.5. ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების მოქმედი კლასი-ფიკაცია სქემატურად ასახულია **8.4. დანართში.**

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია იყოფა 10 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (701);
- თავდაცვა (702);
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (703);
- ეკონომიკური საქმიანობა (704);
- გარემოს დაცვა (705);
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა (706);
- ჯანმრთელობის დაცვა (707);
- დასვენება-კულტურა-რელიგია (708);
- განათლება (709);
- სოციალური დაცვა (710).

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების მოკლე დახასიათება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (701)

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები (7011)

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა (70111):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში ყველა დონის წარმომადგენლობითი ორგანოს, აღმასრულებელი ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების და სხვა ორგანოების ადმინისტრაციულ და შესაბამისი აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) ბიბლიოთეკების და სხვა მსგავსი საცნობარო თუ საგამომცემლო დაწესებულებების ხარჯებს, რომლებიც ძირითადად ემსახურებიან აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს;

გ) მუდმივი თუ დროებითი კომისიების ფუნქციონირების ხარჯებს, რომლებიც შექმნილნი არიან აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან, მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების რეფორმებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკრეტული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მაგალითად, რომელიმე სამინისტროს აპარატის ხარჯებს, რომელიც ფუნქციის მიხედვით კლასიფიცირდება შესაბამის მმართველობით ხარჯებში. აგრეთვე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება (7018) კოდში.

ფინანსური და ფისკალური საქმიანობა (70112):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ფინანსურ და ფისკალურ საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კერძოდ: საფინანსო და ფისკალური ორგანოების (ფინანსთა სამინისტრო, სახაზინო სამსახური, საბაჟო და საგადასახადო ორგანოები და სხვა) სამსახურების ადმინისტრაციულ და შესაბამისი აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) შემოსავლების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების მართვასთან, სარეზერვო ფონდების განკარგვასა და ვალის მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აგრეთვე, ამ სფეროში ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული მომსახურებისა და კონტროლის ხარჯებს;

გ) ფინანსური და ფისკალური ხასიათის ინფორმაციის, ტექნიკური დოკუმენტაციის და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აგრეთვე, მთავრობის ყველა დონეზე ფინანსური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და მისი რესტრუქტურიზაციის ხარჯებს (7016), საბანკო სისტემის მონიტორინგის ხარჯებს (70411).

საგარეო ურთიერთობები (70113):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობის და მომსახურების ხარჯებს. კერძოდ: საგარეო ურთიერთობების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების (საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვარგარეთ არსებული დიპლომატიური დაწესებულებების, საკონსულო მისიების და სხვა) ადმინისტრაციულ და შესაბამისი აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ)საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯებს. აგრეთვე, საგარეო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებულ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული საინფორმაციო და კულტურული სამსახურების საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) საზღვარგარეთ არსებული ბიბლიოთეკების, სამკითხველო დარბაზების და სხვა საცნობარო სამსახურების ფინანსური თუ ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯებს;

დ) რეგულარულ შენატანებსა და სპეციალურ გადასახდელებს, რომლებიც განკუთვნილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის გაწეულ ეკონომიკურ დახმარებას (70121); საზღვარგარეთ აკრედიტებული ისეთი მისიების ხარჯებს, რომლებიც შექმნილია ეკონომიკური დახმარების გასაწევად, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი დახმარების პროგრამებში მონაწილეობის ხარჯებს (70122); საზღვარგარეთ განლაგებული სამხედრო დანაყოფების ხარჯებს (7021); სხვა ქვეყნების სამხედრო დახმარებას (7023); ტურისტულ საქმიანობასა და მომსახურებას (70473).

საგარეო ეკონომიკური დახმარება (7012)

ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს (70121):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების მიზნით გაწეულ ხარჯებს, მათი სამსახურების ადმინისტრაციული და აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებული ეკონომიკური დახმარების განმახორციელებელი მისიების საქმიანობასთან, ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება/მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სტიპენდიების გაცემის პროგრამების ჩათვლით. აგრეთვე, ტრეინინგების ჩატარების ხარჯებს;

გ) გრანტის (ფულადი ან სასაქონლო ფორმით) და კრედიტის სახით გაწეულ ეკონომიკურ დახმარებებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: შენატანებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაარსებულ ეკონომიკური განვითარების ფონდებში და საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის გაწეულ სამხედრო დახმარებას, რომელიც შესაბამისად კლასიფიცირდება (70122) და (7023) მუხლებში.

საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება (70122):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით სხვა ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებებს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) სხვა ქვეყნების დახმარების მიზნით ფულადი ან სასაქონლო ფორმით განხორციელებულ შენატანებს საერთაშორისო, რეგიონული და სხვა ინტერნაციონალური ორგანიზაციების ეკონომიკური განვითარების ფონდებში.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში თანამონაწილეობის ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება (7023) მუხლში.

საერთო დანიშნულების მომსახურება (7013)

საერთო დანიშნულებისაა ისეთი მომსახურება, რომელიც არ უკავშირდება სახელმწიფო სექტორის კონკრეტულად ერთ რომელიმე სფეროს. იგი წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივი დანიშნულების მომსახურებას. ასეთია მაგალითად: ზოგად საკადრო პოლიტიკასთან, საერთო სტატისტიკურ და სხვა მსგავს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

საერთო საკადრო მომსახურება (70131):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სახელმწიფო სექტორში საერთო საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კერძოდ, იმ სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს, რომლებიც ემსახურებიან აღნიშნულ სფეროს;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებების კადრების შერჩევასთან, შეფასების მეთოდების შემუშავებასა და დანერგვასთან, სამუშაოთა კლასიფიკაციის დადგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) საჯარო სამსახურებში სამუშაო პირობების ნორმების დადგენასა და მათი შესრულების კონტროლთან დაკავშირებულ და სხვა მსგავს ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: კონკრეტული ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებულ საკადრო მომსახურების ხარჯებს. მაგალითად, რომელიმე კონკრეტული სამინისტროს კადრებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც შესასრულებელი ფუნქციის მიხედვით კლასიფიცირდება შესაბამის კოდში.

საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება (70132):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო დანიშნულების სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმვასა და სტატისტიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულ სფეროში მოქმედი დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) საერთო დანიშნულების სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმვასა და სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრამებისა და პროექტების შემუშავების, კოორდინირებისა და მონიტორინგის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: კონკრეტულ ფუნქციებთან დაკავშირებულ საერთო დანიშნულების სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმვას და სტატისტიკურ მომსახურებას.

საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება (70133):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო დანიშნულების სხვა დანარჩენ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: ცენტრალიზებული მიწოდება და შესყიდვები, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის დოკუმენტების არქივების შექმნისა და შენახვის ხარჯები;

ბ) მთავრობის განკარგულებაში არსებული ან მის მიერ დაკავებული შენობების, ავტოპარკების, სახელმწიფო გამომცემლობების, ბეჭდვითი ორგანოების და სხვა მსგავსი დაწესებულებების ექსპლუატაციის ხარჯებს;

გ) ცენტრალიზებული კომპიუტერული და მონაცემთა ბაზის დამუშავების და მომსახურების ხარჯებს;

დ) სახელმწიფო ერთეულების ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) მოქალაქეთა და მათი ქონების რეგისტრაციასა და აღრიცხვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ვ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: კონკრეტული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საერთო დანიშნულების მომსახურებას.

ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევები (7014)

ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევები მოიცავს ექსპერიმენტულ და თეორიულ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა მიზანია აღმოჩენის ან რაიმე ფაქტის მეცნიერული დასაბუთებით ახალი ცოდნის შეძენა. მისი მიზანი, როგორც წესი, არ არის რაიმე კონკრეტული პრაქტიკული გამოყენება.

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს, რომლებიც განკუთვნილია კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის ამ სფეროში განსახორციელებელი ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: პრაქტიკულ კვლევებსა და ექსპერიმენტულ განვითარებას.

გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში (7015)

გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები და ექსპერიმენტული განვითარება, რომლებიც მოიცავს ახალ გამოკვლევებს. ისინი მიმართულია კონკრეტულად რაიმე პრაქტიკული დანიშნულებისათვის ახალი ცოდნის გამოყენებისაკენ.

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში გამოყენებითი კვლევების ჩატარებასა და ექსპერიმენტული განვითარების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კერძოდ, იმ სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციულ და აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს, რომლებიც ახორციელებენ ასეთ კვლევებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს, რომლებიც განკუთვნილია კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის ამ სფეროში განსახორციელებელი გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების და ექსპერიმენტების დასაფინანსებლად.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ფუნდამენტალურ სამეცნიერო კვლევებს (7014)

ვალთან დაკავშირებული ოპერაციები (7016)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ვალის საპროცენტო მომსახურებისა და კრედიტების საგარანტიო ხარჯებს, აგრეთვე სახელმწიფო ერთეულების ვალდებულებების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ვალის მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ და ფისკალურ საქმიანობაში (70112).

საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის (7017)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო დანიშნულების ფულად ნაკადებს მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის, რომლებიც არ არიან განკუთვნილი კონკრეტული მიზნების მისაღწევად;

ბ) რეგიონული განვითარების პროგრამებსა და პროექტებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში (7018)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებასთან დაკავშირებულ ისეთ ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება ამ სფეროს სხვა მუხლებში. ასეთია მაგალითად, ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან, არჩევნების და რეფერენდუმების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასთან, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და მათ აღმოფხვრასთან, აგრეთვე უფლებათა აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) ყველა სხვა ხარჯს, რომელიც არ კლასიფიცირდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სხვა დანარჩენ მუხლებში, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

თავდაცვა (702)

შეიარაღებული ძალები (7021)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) შეიარაღებული ძალების საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კერძოდ: სამხედრო ორგანოების ადმინისტრაციულ და მათი აპარატების შენახვასა და ფუნქციონირებასთან, აგრეთვე დაზღვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) სამხედრო საზღვაო, საჰაერო (ჰაერსაწინააღმდეგო), სახმელეთო ძალების მართვის, საჯარისო კავშირგაბმულობის და დაზვერვის ხარჯებს. აგრეთვე, სარეზერვო და დამხმარე ძალების მართვის და საზღვარგარეთ სამხედრო ატაშეების ოფისების და საველე ჰოსპიტლების ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სამხედრო დახმარების მისიებს (7023); არასაველე ჰოსპიტლებს (7073); სამხედრო სასწავლებლებს, სადაც ისწავლება არა მხოლოდ სპეციალური, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებიც (709); სამხედრო პერსონალის საპენსიო უზრუნველყოფას (7102).

სამოქალაქო თავდაცვა (7022)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ადმინისტრაციულ, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს; საგანგებო სიტუაციებისათვის გეგმების შემუშავებასა და სწავლებების ჩატარებასთან დაკავშირებულ, აგრეთვე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარჯებს;

ბ) სამოქალაქო თავდაცვის ძალების ფუნქციონირებისა და მხარდაჭერის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: მოქალაქეთა დაცვის მომსახურების (7032), საგანგებო სიტუაციებისთვის კვების პროდუქტების, მოწყობილობების და სხვათა შესყიდვის და მარაგების შექმნის ხარჯებს (7109).

საგარეო სამხედრო დახმარება (7023)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სხვა ქვეყნების სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს, საზღვარგარეთის ქვეყნებში, საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაციებსა და ალიანსებში აკრედიტებული სამხედრო მისიების ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) სამხედრო დახმარებებს გრანტის (ფულადი ან სასაქონლო) სახით, აღჭურვილობის იჯარის ხარჯებს; შენატანებს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის.

გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში (7024)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) იმ სახელმწიფო ორგანიზაციების ადმინისტრაციულ და ფუნქციონირების ხარჯებს, რომლებიც ატარებენ თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებულ პრაქტიკულ (გამოყენებით) და სამეცნიერო-ექსპერიმენტალურ კვლევებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს კვლევითი ინსტიტუტებისათვის და უნივერსიტეტებისათვის, რომლებიც თავდაცვის სფეროში ახორციელებენ გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს:

ფუნდამენტალურ სამეცნიერო კვლევებს (7014).

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში (7025)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) თავდაცვის სფეროში საერთო პოლიტიკის, სამოქმედო გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და ბიუჯეტის შემუშავების ხარჯები;

ბ) თავდაცვის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნის, მონიტორინგის, მისი დახვეწის და გაუმჯობესების ხარჯებს;

გ) თავდაცვის სფეროში საერთო პოლიტიკის და სამოქმედო გეგმების შესრულების რეგულირებისა და კონტროლის ხარჯებს;

დ) თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის, ტექნიკური დოკუმენტაციის და სტატისტიკური მონაცემების მომზადებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) სხვა დანარჩენ ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება თავდაცვის სხვა მუხლებში;

ვ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (703)

პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა (7031)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) პოლიციის საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კერძოდ: პოლიციის ორგანოების ადმინისტრაციულ ხარჯებს, უცხოელთა რეგისტრაციის, იმიგრანტებისათვის სამუშაო და სამგზავრო დოკუმენტების გაცემის, დაკავებულთა შესახებ დოკუმენტაციის შეგროვების და სტატისტიკური აღრიცხვის წარმოების ხარჯების ჩათვლით;

ბ) საგზაო მოძრაობის კონტროლის (საჭიროების შემთხვევაში რეგულირების), აგრეთვე კონტრაბანდის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ჩატარების ხარჯებს, საზღვაო და საოკეანო თევზჭერის კონტროლის ჩათვლით;

გ) რეგულარული თუ დამხმარე პოლიციური ძალების საქმიანობის ხარჯებს, რომლებიც ახორციელებენ პორტების, საზღვრებისა და სანაპირო ზოლის დაცვას. აგრეთვე, იმ სპეციალური პოლიციური ძალების საქმიანობის ხარჯებს, რომელთა მომსახურებას იყენებენ სახელმწიფო ორგანოები;

დ) საგზაო ინსპექტორების საქმიანობის ხარჯებს, პოლიციის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული კრიმინალისტიკური ლაბორატორიების და პოლიციელთა ტრენინგების ხარჯებს;

ე) სახელმწიფო დაცვის მიზნით იმ სპეციალური სამსახურების ფუნქციონირების ხარჯებს, რომელთა დანიშნულებაა სახელმწიფო ობიექტებისა და თანამდებობის პირთა დაცვა მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

ვ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სასწავლებლებს, რომლებშიც პროფესიონალურ მომზადებასთან ერთად იძლევიან ზოგად განათლებასაც (709).

სახანძრო-სამაშველო სამსახური (7032)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სახანძრო-სამაშველო სამსახურების ფუნქციონირების და მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) რეგულარული და დამხმარე ბრიგადების მიერ ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ღონისძიებების განსახორციელებელ ხარჯებს. აგრეთვე ამ სფეროში სპეციალური კადრების ტრენინგების ხარჯებს;

გ) მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯებს ზვავსაშიშროების, წყალდიდობების და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს, ასევე სხვა სამაშველო ღონისძიებებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სამოქალაქო თავდაცვის ხარჯებს (7022), ისეთი ბრიგადების საქმიანობის ხარჯებს, რომლებიც სპეციალურად ტყეებში გაჩენილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის არიან მომზადებულნი და აღჭურვილნი.

სასამართლოები და პროკურატურა (7033)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სასამართლო სისტემის ორგანოების ადმინისტრაციულ და ფუნქციონირების ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

გ) სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასა და სასამართლო წესით დაკისრებული ჯარიმების მობილიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, პრობაციული სისტემის ხარჯების ჩათვლით;

გ) სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული იურიდიული წარმომადგენლობებისა და საკონსულტაციო დაწესებულებების ხარჯებს;

დ) პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს (7034).

სასჯელაღსრულების დაწესებულებები (7034)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სასჯელაღსრულების დაწესებულებების შენობების მოვლის, შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე ადმინისტრაციულ და დაზღვევის ხარჯებს;

ბ) პატიმართა შენახვისა და მომსახურების ხარჯებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებების სისტემის საქმიანობისა და ფუნქციონირების ხარჯებს.

გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში (7035)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო და ექსპერიმენტული კვლევების განმახორციელებელი ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების მხარდასაჭერად;

გ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში (7036)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საერთო პოლიტიკის, სამოქმედო გეგმების, პროგრამებისა და პროექტების შემუშავების, კოორდინირებისა და მონიტორინგის ხარჯებს;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის მომზადებასა და მის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) საერთო ხასიათის ინფორმაციის დამუშავებასა და გავრცელებასთან, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

დ) სხვა დანარჩენ ხარჯებს, რომლებიც არ მიეკუთვნება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს სხვა მუხლებს.

საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა (7041)

საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა (70411):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საერთო ეკონომიკურ და კომერციულ საქმიანობისა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, საგარეო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის ჩათვლით;

ბ) საერთო ეკონომიკურ და კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხარჯებს. აგრეთვე, მთავრობის სხვადასხვა ორგანოებსა და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების უზრუნველყოფის ხარჯებს;

გ) ექსპორტ-იმპორტის, შიდა ვაჭრობის, სამომხმარებლო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების რეგულირების, კონკურენტულ ვაჭრობასა და ბაზარზე გასვლასთან, აგრეთვე მონოპოლიების რეგულირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) საბანკო სექტორის კონტროლისა და რეგულირების, აგრეთვე იმ უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც ახორციელებენ პატენტის, სავაჭრო ნიშნების გაცემას, საავტორო უფლებების მინიჭებას, კომპანიების რეგისტრაციას, ამინდის პროგნოზს, ჰიდროლოგიურ და გეოდეზიურ კონტროლს, აგრეთვე სტანდარტების დაცვის მონიტორინგს;

ე) გრანტებსა და სუბსიდიებს ზოგადი ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების მხარდასაჭერად;

ვ) მომხმარებლის შესაბამის ინფორმირებასა და მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ზ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებს.

შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები (70412):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, შრომითი პირობების (სამუშაო საათების ოდენობა, ხელფასის მოცულობა, უსაფრთხოება შრომითი საქმიანობის განხორციელებისას) რეგულირებისა და კონტროლის ხარჯებს;

ბ) იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელების ხარჯებს, რომლებიც მიმართულია სამუშაო ძალის მობილურობის გაზრდის, სქესობრივი, რასობრივი და ასაკობრივი და სხვა სახის დისკრიმინაციის, აგრეთვე ზოგადად უმუშევრობის დონის შემცირებისკენ, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით მაღალია უმუშევრობის მაჩვე-

ნებელი; შრომის ბირჟების და აღნიშნულ სფეროში სხვა საშუამავლო ორგანოების მომსახურების ხარჯებს;

გ) შრომითი რესურსების რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებასთან და გავრცელებასთან, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს აღნიშნულ სფეროში საერთო პოლიტიკის და პროგრამების დასაფინანსებლად, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: კონკრეტულ სფეროში შრომითი რესურსების რეგულირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; უმუშევრობის შემწეობებს (7105).

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (7042)

სოფლის მეურნეობა (70421):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან დაკავშირებული ორგანიზაცია-დაწესებულებების ფუნქციონირებისხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან. როგორიცაა: სახნავი მიწების მოვლა-შენახვასთან, დამუშავებასთან და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) აგრარული რეფორმების, სოფლის მეურნეობის სექტორის რეგულირების და კონტროლის ხარჯებს; აგრეთვე, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების დაფინანსებას, რომლებიც მიმართულია ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და მათთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდების მხარდასაჭერად;

დ) წყალდიდობებისგან დაცვის, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების მშენებლობა-ექსპლუატაციის ხარჯებს, ამ სამუშაოებისათვის გრანტებისა და სუბსიდიების გამოყოფის ჩათვლით;

ე) ვეტერინარული, მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგო, თესლეულის ხარისხის შემოწმებისა და მისი სორტირების ღონისძიებების ხარჯებს;

ვ) სოფლის მეურნეობის სფეროში საერთო ხასიათის ინფორმაციის, ტექნიკური დოკუმენტაციისა და სტატისტიკური მონაცემების მომზადებისა და გავრცელების ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტებს (70474).

სატყეო მეურნეობა (70422):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სატყეო მეურნეობის სფეროში განსახორციელებელი საქმიანობის, მომსახურებისა და ადმინისტრაციულ ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) ტყის რესურსების დაცვასთან, გაფართოებასა და რაციონალურ გამოყენებასთან, ტყის რესურსების ექსპლუატაციისა და ხე-ტყის დამზადებისთვის საჭირო ხარჯებს;

გ) ტყის მოვლისა და აღდგენის სამუშაოებთან დაკავშირებულ ხარჯებს, მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების ხარჯებს;

დ) სატყეო მეურნეობის სექტორში ლიცენზიების გაცემის კონტროლისა და რეგულირების ხარჯებს;

ე) სატყეო მეურნეობის სფეროში საერთო ხასიათის ინფორმაციის, ტექნიკური დოკუმენტაციისა და სტატისტიკური მონაცემების მომზადებისა და გავრცელების ხარჯებს;

ვ) გრანტებსა და სუბსიდიებს, რომლებიც განკუთვნილია სატყეო მეურნეობის სფეროში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად.

მეთევზეობა და მონადირეობა (70423):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) მეთევზეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: თევზისა და გარეული ცხოველების მოშენება, დაცვა და მათი რესურსების რაციონალური გამოყენება;

ბ) მდინარეებსა და ზღვებში თევზჭერაზე, თევზის მოშენებაზე და გარეულ ცხოველებზე ნადირობაზე კონტროლის, მეთევზეობასა და მონადირეობაზე ლიცენზიების გაცემის ხარჯებს;

გ) თევზსაშენი მეურნეობების, ცხოველთა გამრავლების და სელექციური სამსახურების საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს;

დ) მეთევზეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) გრანტებსა და სუბსიდიებს მეთევზეობისა და მონადირეობის სფეროში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად, აგრეთვე ამ სფეროში კომერციული საქმიანობის განვითარებისთვის განკუთვნილ ხარჯებს;

ვ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

<u>2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს</u>: ზღვებსა და ოკეანეებში თევზჭერის კონტროლს (7031); ბუნებრივი პარკებისა და ნაკრძალების მართვისა და მხარდაჭერის ხარჯებს (7054).

<u>სათბობი და ენერგეტიკა (7043)</u>

ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი (70431):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) ყველა ტიპის ნახშირის და სხვა მყარი მინერალური საწვავის მოპოვებისა და გამდიდრების, აგრეთვე სხვა ტიპის საწვავად გარდაქმნის ხარჯებს;

ბ) მყარ მინერალურ საწვავთან დაკავშირებული საქმიანობა და მომსახურება; საბადოების აღმოჩენა, კონსერვაცია, გადამუშავება და რაციონალური გამოყენება; კონტროლი მყარი მინერალური საწვავის მოპოვებაზე, გადამუშავებაზე, განაწილებასა და გამოყენებაზე;

გ) მყარ მინერალურ საწვავთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს აღნიშნულ სფეროში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად, აგრეთვე ამ სფეროში კომერციული საქმიანობის განვითარებისთვის განკუთვნილ ხარჯებს;

ე) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: მყარი მინერალური საწვავის ტრანსპორტირების ხარჯებს (კლასიფიცირდება 7045 კოდში).

ნავთობი და ბუნებრივი აირი (70432):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების, გადამუშავებისა და განაწილების ხარჯებს (მ.შ. ურბანულ ტერიტორიაზე განლაგებული ბუნებრივი აირის გამანაწილებელი ქსელების მოწყობისა და ექსპლოატაციის ხარჯებს) აღნიშნულ სფეროში გაწეული საქმიანობის, მომსახურებისა და ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოების მოძიების, შესწავლის, საბადოების დაკონსერვების, შემდგომი დამუშავების და გამოყენების ხარჯები;

გ) ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების, გადამუშავებისა და განაწილების სფეროში კონტროლისა და რეგულირების ხარჯებს;

დ) საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს; გრანტებსა და სუბსიდიებს აღნიშნულ სფეროში პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ნავთობის ან გაზის ტრანსპორტირების ხარჯებს (კლასიფიცირდება 7045 კოდში).

ბირთვული საწვავი (70433):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ბირთვულ საწვავთან დაკავშირებული საქმიანობის, მომსახურებისა და ადმინისტრაციულ ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით; ბირთვული საწვავის რესურსების მოპოვებასთან, გადამუშავებასთან, დაკონსერვებასა და რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) ბირთვული საწვავის მოპოვების, გადამუშავებისა და განაწილების სფეროში კონტროლისა და რეგულირების ხარჯებს; ბირთვული საწვავის სფეროში არსებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

გ) გრანტებსა და სუბსიდიებს ბირთვული საწვავის მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგების ხელშეწყობისათვის.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ბირთვული საწვავის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (კლასიფიცირდება 7045 კოდით); რადიოაქტიური ნარჩენების ჩამარხვას (7051).

სხვა სახის საწვავი (70434):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სხვა დანარჩენი სახის საწვავის (ალკოჰოლის შემცველი, ხე და ხეტყის ნარჩენები) მოპოვებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნულ სფეროში ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) აღნიშნული სახის საწვავის წარმოების, მოხმარებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

გ) გრანტებსა და სუბსიდიებს სხვა სახის საწვავის მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგების ხელშეწყობისათვის.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სატყეო მეურნეობას (70422), მზისა და ქარის ენერგიას (70435) და გეო-თერმულ რესურსებს (70436).

ელექტროენერგეტიკა (70435):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ელექტროენერგიის როგორც ტრადიციული (თბო- ან ჰიდრო გამომუშავება), აგრეთვე განახლებადი წყაროებიდან (მზისა და ქარის ენერგია) წარმოების ხარჯებს, ელექტროენერგეტიკის სფეროში ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს;

ბ) ელექტროენერგიის გენერაციასა და განაწილებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა ენერგოგენერაციის, გამანაწილებელი და გადამცემი ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხარჯები;

გ) ელექტროენერგეტიკის სფეროში წარმოების, მოხმარებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს ელექტროენერგეტიკის სფეროში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: არაელექტრულ ენერგიას (70436).

არაელექტრული ენერგია (70436):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) არაელექტრული ენერგიის წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, რომელიც ძირითადად უკავშირდება ორთქლის, ცხელი წლისა და ცხელი ჰაერის სახით სითბოს გამომუშავებას, განაწილებასა და მოხმარებას;

ბ) ენერგომომარაგების იმ ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გამოიმუშავებენ არაელექტრულ ენერგიას;

გ) არაელექტრული ენერგიის წარმოების, მოხმარებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს არაელექტრული ენერგიის მოხმარების ხელშეწყობისათვის, აგრეთვე დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა (7044)

მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა (70441):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) მინერალური რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს კერძოდ: ლითონების შემცველი მინერალების, სილის, ქვის, თიხის, ქიმიური ნედლეულის, მინერალური სასუქის, მარილის, ბვირფასი ქვების, აზბესტის, თაბაშირის და ა.შ. მოპოვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) სამთომომპოვებელ მრეწველობასთან და მინერალური რესურსების მოპოვებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის და მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: აღნიშნულ სფეროში მოქმედი დაწესებულებების ადმინისტრაციულ და აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯები, ამ საქმიანობის კონტროლისა და მონიტორინგის ხარჯების ჩათვლით;

გ) სამთომომპოვებელ მრეწველობასთან და მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს სამთომომპოვებელი მრეწველობისა და მინერალური რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობის ხელშეწყობისათვის, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ნახშირსა და სხვა მყარ საწვავ მასალას (70431), ნავთობსა და ბუნებრივ გაზს (70432), ბირთვულ საწვავს (70433).

გადამამუშავებელი მრეწველობა (70442):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) გადამამუშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: ქარხნების მშენებლობის, ექსპლუატაციის ხარჯები, მრეწველობის განვითარების, გაფართოებისა და გაუმჯობესების ხარჯები;

ბ) გადამამუშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობისათვის, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ნახშირის გამდიდრებასთან (70431), ნავთობის გაწმენდასთან (70432) და ბირთვული საწვავის წარმოებასთან (70433) დაკავშირებულ ხარჯებს.

მშენებლობა (70443):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) მშენებლობასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: სამშენებლო სტანდარტების შემუშავებისა და რეგულირების, შენობის იჯარაზე ნებართვის გაცემის, უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მშენებარე (სამშენებლო) ობიექტების ინსპექტირების, აგრეთვე სამშენებლო დარგის კონტროლისა და მონიტორინგის ხარჯები;

ბ) მშენებლობასთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) გრანტებსა და სუბსიდიებს მშენებლობის ხელშეწყობისათვის, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: გრანტებსა და სუბსიდიებს საცხოვრებელი ბინების, სამრეწველო შენობების, ქუჩების, კომუნალური და კულტურული დაწესებულებების და ა.შ. მშენებლობის უზრუნველსაყოფად (რომელიც კლასიფიცირდება მათი მიზნობრიობის შესაბამისად); საბინაო-კომუნალური სტანდარტების შემუშავებას და რეგულირებას (7061).

ტრანსპორტი (7045)

საავტომობილო ტრანსპორტი და გზები (70451):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საავტომობილო სატრანსპორტო სისტემებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გზები, ხიდები, გვირაბები, ავტოსატრანსპორტო საშუალების გასაჩერებლები, ავტოპარკები, ასევე საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და ა.შ.) შესყიდვასთან, მშენებლობასთან, მოწყობასთან, ფუნქციონირებასთან, ექსპლუატაციასა და მოვლა-შეკეთებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) ავტოსაგზაო საშუალების მომხმარებელთა კონტროლსა და რეგულირებასთან (ავტომობილის რეგისტრაცია და მართვის მოწმობის გაცემა, ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, სამგზავრო და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ზომისა და დატვირთვის სპეციფიკაციების განსაზღვრა, სარეისო და საქალაქთაშორისო ავტობუსების, აგრეთვე სატვირთო ავტომანქანების მძღოლთა სამუშაო საათების განსაზღვრა და ა. შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) ავტოსატრანსპორტო სისტემების მუშაობის რეგულირებისა და კონტროლის (ლიცენზირება, სატვირთო გადაზიდვასა და სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობაზე ტარიფების დაწესება, ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკისა და ინტერვალების დაწესება და ა.შ.) ხარჯებს;

დ) ავტოსაგზაო სატრანსპორტო სისტემების მუშაობისა და ავტოსაგზაო მშენებლობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) გრანტებსა და სუბსიდიებს ავტოსაგზაო სატრანსპორტო სისტემებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და განახლებისათვის, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: საგზაო მოძრაობის კონტროლს (7031), ავტოსატრანსპორტო საშუალებების მწარმოებელთათვის გამოყოფილ გრანტებსა და სუბსიდიებს (70442); ქუჩების დასუფთავებას (7051); ხმაურის დამხშობი ჯებირებისა და სხვა სახის ხმაურდამცავი ნაგებობების მშენებლობას, რაც ითვალისწინებს საქალაქო ავტომაგისტრალების ხმის დამხშობი ზედაპირით დაფარვას (7053); ქუჩების განათებას (7064).

საზღვაო ტრანსპორტი (70452):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) შიდა, სანაპირო და საზღვაო სატრანსპორტო სისტემების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (პორტი, დოკი, სანავიგაციო საშუალებები და აღჭურვილობა, არხები, ხიდები, გვირაბები, ტალღისაგან დამცავი ჯებირები, ტერმინალები და ა. შ.) მშენებლობასთან, ფუნქციონირებასთან, ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) საზღვაო ტრანსპორტის მომხმარებელთა კონტროლსა და რეგულირებასთან (გემებისა და ეკიპაჟის რეგისტრაცია, ლიცენზირება და შემოწმება, მგზავრებისა და ტვირთის უსაფრთხოების წესების დაცვის რეგულირების მიზნით) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) საზღვაო სატრანსპორტო სისტემათა ფუნქციონირების კონტროლსა და რეგულირებასთან (პრივილეგიების მიცემა, გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების, ასევე მომსახურების საათებისა და განრიგის დამტკიცება და ა.შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) საზღვაო სატრანსპორტო სისტემების მუშაობისა და საზღვაო სატრანსპორტო ნაგებობების მშენებლობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმა-

ციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) გრანტებსა და სუბსიდიებს საზღვაო სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: გემთსაშენებისთვის გრანტებისა და სუბსიდიების გაცემას (70442).

სარკინიგზო ტრანსპორტი (70453):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემისა და სარკინიგზო ნაგებობების (სარკინიგზო ლიანდაგები, რკინიგზის სადგურები, ტერმინალები, გვირაბები, ხიდები და ა.შ) მშენებლობასთან, ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) სარკინიგზო საშუალებების მომხმარებელთა კონტროლსა და რეგულირებასთან (რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, რკინიგზის ვაკისის, მგზავრთა და ტვირთის უსაფრთხოების მდგომარეობა და ა. შ.), აგრეთვე სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების კონტროლსა და რეგულირებასთან (პრივილეგიების მინიჭება, გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების, ასევე მომსახურების საათებისა და განრიგის დამტკიცება და ა.შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემების მუშაობისა და რკინიგზის მშენებლობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემების და სარკინიგზო ნაგებობების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მწარმოებლებისათვის სუბსიდიებისა გრანტების გაცემას (70442); ხმაურის დამხშობი ჯებირებისა და სხვა სახის ხმაურდამცავი ნაგებობების აგებას, სარკინიგზო ლიანდაგების სპეციალური ხმის დამხშობი ზედაპირით დაფარვის ჩათვლით (7053).

საჰაერო ტრანსპორტი (70454):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საჰაერო სატრანსპორტო სისტემის და საჰაერო სატრანსპორტო ნაგებობების (აეროპორტები, ასაფრენი ბილიკები, ტერმინალები, მოსაცდელი დარბაზები, საჰაერო ნავიგაციის საშუალებები და მოწყობილობები, ფრენის კონტროლის საშუალებები და ა.შ.) მშენებლობასათან, ფუნქციონირებასთან, ექსპლუატაციასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, შეკეთებასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების მომხმარებელთა კონტროლსა და რეგულირებასთან (საჰაერო ხომალდების, პილოტების, ეკიპაჟის რე-

გისტრაცია, ლიცენზირება და შემოწმება, მგზავრთა უსაფრთხოების წესების კონტროლი და რეგულირება, საჰაერო ტრანსპორტზე მომხდარი უბედური შემთხვევების გამოძიება და ა.შ.), საჰაერო სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების კონტროლსა და რეგულირებასთან (ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დადგენა, ასევე მომსახურების საათებისა და განრიგის დამტკიცება და ა. შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) საჰაერო სატრანსპორტო სისტემებისა მუშაობისა და საჰაერო სატრანსპორტო ნაგებობების მშენებლობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გავრცელება;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს საჰაერო სატრანსპორტო სისტემებისა და საჰაერო სატრანსპორტო ნაგებობების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: თვითმფრინავის მწარმოებლებისთვის გრანტებისა და სუბსიდიების გაცემას (70442).

მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები (70455):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) მილსადენებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების (ფუნიკულიორები, საბაგირო გზები) მშენებლობასათან, ფუნქციონირებასთან, ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) მილსადენებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მომხმარებელთა კონტროლსა და რეგულირებასთან (აღჭურვილობის რეგისტრაცია, ლიცენზირება და შემოწმება, ოპერატორების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (ტრენინგები), ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა და ა.შ.), აგრეთვე, მილსადენებისა და სხვა სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების რეგულირებასა და კონტროლთან (პრივილეგიების მინიჭება, გადაზიდვის ტარიფების, ასევე მომსახურების განრიგის დამტკიცება და ა.შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) მილსადენისა და სხვა სატრანსპორტო სისტემების მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს მილსადენებისა და სხვა სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

კავშირგაბმულობა (7046)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) კავშირგაბმულობის სისტემების (საფოსტო, სატელეფონო, სატელეგრაფო, ფიჭური და სატელიტური სისტემების) მშენებლობასთან, ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) კავშირგაბმულობის სისტემათა ფუნქციონირების რეგულირებასა და კონტროლთან (პრივილეგიების მინიჭება, სიხშირეთა გადაცემა, ტარიფების და მომსახურე ბაზრების სპეციფიკაციის განსაზღვრა და ა.შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) კავშირგაბმულობის სფეროსთან დაკავშირებული საკითხებისა და მომსახურების შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს კავშირგაბმულობის სისტემათა ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: საზღვაო (70452) და საჰაერო (70454) ტრანსპორტის რადიო- და სატელიტური სანავიგაციო საშუალებებით აღჭურვას; ტელე- და რადიო მაუწყებლობის სისტემებს (7083).

ეკონომიკის სხვა დარგები (7047)

ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება (70471):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ვაჭრობასთან, მარაგების შექმნასა და დასაწყობებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) საბითუმო და საცალო ვაჭრობის რეგულირებისა და კონტროლის (ლიცენზიების გაცემა, ვაჭრობის წესების დაცვა, დაფასოებული სასურსათო და სხვა საოჯახო პროდუქტის მარკირება, სასწორებისა და სხვა ასაწონი საშუალებების შემოწმება და ა.შ.), აგრეთვე შენახვისა და დასაწყობების ნორმების დაცვის რეგულირების (ლიცენზიების გაცემისა და სახელმწიფო საბაჟო საწყობების საქმიანობაზე კონტროლის ჩათვლით) ხარჯებს;

გ) ფასების და პროდუქტების ნორმირების სქემების კონტროლის საკითხებთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობასთან, მარაგების შექმნასა და შენახვასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების ხარჯებს;

ე) გრანტებსა და სუბსიდიებს საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან, შენახვასა და დასაწყობებასთან დაკავშირებული საქმიანობის გასაუმჯობესებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ფასების და სხვა სახის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც ვრცელდება მწარმოებლებზე (კლასიფიცირდება შესასრულებელი ფუნქციის მიხედვით); მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებისა თუ ცალკეული პირებისათვის განკუთვნილ სასურსათო და სხვა მსგავს სუბსიდიებს (710).

სასტუმროები და რესტორნები (70472):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სასტუმროებისა და რესტორნების მშენებლობასთან, გაფართოებასთან, გაუმჯობესებასთან, ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;

ბ) რესტორნებისა და სასტუმროების ფუნქციონირების რეგულირებასა და კონტროლთან (სანიტარიული ნორმების და მომსახურების წესები, ფასების რეგულირება, რესტორნებისა და სასტუმროების ლიცენზირება და ა.შ.) დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) რესტორნებისა და სასტუმროების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხებისა და მომსახურების შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ტურიზმი (70473):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) ტურიზმის სფეროში განსახორციელებელი საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: ტურიზმის ობიექტების მშენებლობის, მათი ხელშეწყობისა და განვითარების, ტურისტული ბიუროების მართვის, სარეკლამო კამპანიების ორგანიზების ხარჯები;

ბ) ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები (70474):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტების შექმნასთან, განხორციელებასთან, მათ ტექნიკურ მომსახურებასთან, მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტებთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) გრანტებისა და სუბსიდიების განვითარების მრავალმიზნობრივი პროექტების განსახორციელებლად, დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

<u>2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს</u>: პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთი ძირითადი ფუნქცია, ხოლო დანარჩენი ფუნქციები მეორეხარისხოვანია (კლასიფიცირდება ძირითადი ფუნქციის მიხედვით).

<u>გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში (7048)</u>

გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში (70481):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები;

გ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში (70482):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოფლის მეურნეობასთან, სატყეო მეურნეობასთან, მეთევზეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს სოფლის მეურნეობასთან, სატყეო მეურნეობასთან, მეთევზეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები;

გ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში (70483):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სათბობსა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს სათბობ-ენერგეტიკულ სექტორში გამოყენებითი და ექსპერიმენტულიგამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები;

გ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში (70484):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სამთომოპოვებით საქმიანობასთან, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს სამთომოპოვებით საქმიანობასთან, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები.

გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში (70485):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს ტრანსპორტის სფეროში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები.

გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში (70486):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) კავშირგაბმულობის სფეროში სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს კავშირგაბმულობის სფეროში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები.

გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში (70487):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ და მათი პრაქტიკაში დანერგვის ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში (7049)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საერთო პოლიტიკის, პროგრამებისა და გეგმების, აგრეთვე ბიუჯეტების შემუშავების, კოორდინირებისა და მონიტორინგის ხარჯებს;

ბ) მეწყერსაწინააღმდეგო, ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობას და ექსპლოატაციას;

გ) ყველა სხვა ხარჯს, რომელიც არ კლასიფიცირდება დანარჩენ მუხლებში, მაგრამ დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან;

დ) დაზღვევის ხარჯებს აღნიშნულ სფეროში.

გარემოს დაცვა (705)

ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება (7051)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასთან, გადამუშავებასა და განადგურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: ნარჩენების შეგროვება ქუჩების, პარკების, ბაზრების, გზების, საზოგადოებრივი ბაღების, სკვერებისა და ა.შ. ტერიტორიებზე და მათი დასუფთავება, აღნიშნული ნარჩენების გადამუშავების ან განადგურების ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით;

ბ) ნარჩენების გადამუშავებისა და განადგურების ყველა ხარჯს, რომელიც ხმარდება ნებისმიერი ტიპის საყოფაცხოვრებო ნარჩენის ფიზიკურ, ქიმიურ თუ ბიოლოგიურ გადამუშავებას, ნაგავსაყრელებზე, მიწაში, სპეციალურ კონტეინერებსა თუ წყალში განთავსებას (ბირთვული ნარჩენების ჩათვლით). ასევე, ნაგავსაყრელების, ნარჩენების გადამუშავების, მათი განადგურების ადგილების კონსერვაციის ან ლიკვიდაციის ხარჯებს;

გ) აღნიშნული პროცესის ადმინისტრირების, მართვის, კონტროლის და ინსპექტირების ხარჯებს, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

ჩამდინარე წყლების მართვა (7052)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციისა და ჩამდინარე წყლების გადამუშავების ხარჯებს, როგორიცაა: კოლექტორების, მილგაყვანილობის და წყალსაქაჩების დამონტაჟების ხარჯები, აგრეთვე, ნებისმიერი სახის ჩამდინარე წყლის (წვიმის წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ჩამდინარე წყლები) წარმოშობის ადგილიდან გამფილტრავ სადგურებამდე ან ზედაპირული წყლების ადგილამდე გატანის და ჩაღვრის ხარჯებს;

ბ) ჩამდინარე წყლების ნებისმიერი მექანიკური თუ ბიოლოგიური გადამუშავების ხარჯებს, რომლის მიზანია ასეთი წყლის ეკოლოგიურ სტანდარტებთან და ხარისხის სხვა დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

გ) აღნიშნული პროცესის ადმინისტრირების, მართვის, კონტროლის და ინსპექტირების ხარჯებს. აგრეთვე გრანტებსა და სუბსიდიებს აღნიშნულ სფეროში, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა (7053)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სხვადასხვა სახის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც მიზნად ისახავს ჰაერის, კლიმატის, ბუნებრივი წყლების და ზოგადად გარემოს დაბინძურების, აგრეთვე ვიბრაციის, ხმაურისა და რადიაციის წინააღმდეგ ბრძოლას;

ბ) გარემოსდაცვით სფეროში საკონტროლო სისტემებისა და სადგურების (გარდა მეტეოროლოგიური სადგურებისა) შექმნასთან, დამონტაჟებასთან, ტექნიკურ შეიარაღებასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) ხმაურდამცავი ჯებირების და სხვა მსგავსი ნაგებობების აგების, წყალსაცავების დაბინძურებული ნივთიერებებისაგან დაცვის ხარჯებს. ნეგატიური ზემოქმედების მქონე ნარჩენების გარესამყაროში მოხვედრის პრევენციულ ღონისძიებებს და კონტროლს;

დ) გამწმენდი დანადგარების მშენებლობა-დამონტაჟებასთან, ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარემოს დამაბინძურებელი ნარჩენების ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით;

ე) აღნიშნული პროცესის ადმინისტრირების, მართვის, კონტროლის და ინსპექტირების ხარჯებს. აგრეთვე გრანტებსა და სუბსიდიებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლისათვის, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

<u>ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა (7054)</u>

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) ფლორისა და ფაუნის (გადაშენებული და გადაშენების პირას მყოფი სახეობების), ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ბინადრობის ადგილების (ნაკრძალებისა და პარკების) და ლანდშაფტების დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ხარჯებს, დაზიანებული ლანდშაფტების (მიტოვებული მაღაროებისა თუ ქვის მასალის მოპოვების ადგილების) ესთეტიკური დანიშნულებით აღდგენის ხარჯების ჩათვლით;

ბ) ბიომრავალფეროვნების და ლანდშაფტების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების ადმინისტრირების, მართვის, კონტროლის და ინსპექტირების ხარჯებს. აგრეთვე გრანტებსა და სუბსიდიებს ბიომრავალფეროვნების და ლანდშაფტების დაცვის სფეროში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

<u>გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში (7055)</u>

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) იმ სახელმწიფო უწყებების საქმიანობისა და ადმინისტრირების ხარჯებს, რომლებიც ახორციელებენ გამოყენებით და სამეცნიერო-ექსპერიმენტულ კვლევებს გარემოსდაცვით სფეროში;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს კვლევით ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებს გარემოსდაცვით სფეროში გამოყენებითი და სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევების განსახორციელებლად, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

<u>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში (7056)</u>

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) გარემოს დაცვის სფეროში მართვის, რეგულირების, ადმინისტრირებისა და კონტროლის ხარჯებს, როგორიცაა: აღნიშნულ სფეროში საერთო პოლიტიკის, პროგრამებისა და გეგმების შემუშავება, კოორდინირება და მონიტორინგი;

ბ) გარემოსდაცვითი საქმიანობისა და მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აგრე-

თვე ყველა იმ ხარჯს, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

საბინაო-კომუნალური მეურნეობა (706)

ბინათმშენებლობა (7061)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ბინათმშენებლობის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, როგორიცაა: ბინათმშენებლობის განვითარების ხელშეწყობის, მონიტორინგის და შეფასების ხარჯები, ბინათმშენებლობის სტანდარტების შემუშავებისა და რეგულირების ხარჯების ჩათვლით (იმის მიუხედავად, თუ ვინ ეწევა ბინათმშენებლობას – სახელმწიფო თუ კერძო სექტორი);

ბ) ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით ძველი დასახლებების გასუფთავების, შესაბამისი მიწის ნაკვეთების შეძენის, აგრეთვე არსებული საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციის (ფასადების, ლიფტების, სახურავების, სადარბაზოს შესასვლელი კარებების აღდგენისა და სხვა) ხარჯებს;

გ) ბინათმშენებლობის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან, აგრეთვე, საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს საბინაო ფონდის გაფართოების, გაუმჯობესებისა და შენახვის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სამშენებლო სტანდარტების შემუშავებასა და მათი დაცვის რეგულირებას (70443); საოჯახო მეურნეობებისთვის საბინაო ხარჯების დასაფარავად ფულადი თუ სასაქონლო ფორმით გაწეულ დახმარებებს (7106).

კომუნალური მეურნეობის განვითარება (7062)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) კომუნალური მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, მშენებლობისა და ამავე სფეროში მიწათსარგებლობის ნორმების მარეგულირებელი კანონმდებლობის კონტროლის ხარჯების ჩათვლით;

ბ) ახალი რაიონების მშენებლობის ან ძველი რაიონების რეაბილიტაციის დაგეგმვის ხარჯებს, საცხოვრებელ რაიონებში სახლების, მათ მომსახურებასთან დაკავშირებული სამრეწველო ნაგებობების, სამედიცინო, საგანმანათლებლო, კულტურული დაწესებულებების და დასვენების ადგილების გაუმჯობესებისა დარეკონსტრუქციის გეგმების, აგრეთვე აღნიშნული ღონისძიებებისათვის შესაბამისი ფინანსური პროგრამების შემუშავების ხარჯებს;

გ) კომუნალური მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებისა და მომსახურების შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ამავე ღონისძიებებთან დაკავშირებული გეგმების ფაქტობრივი განხორციელების ხარჯებს, რაც გულისხმობს ბინების, სამეწარმეო ნაგებობების, საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, გზების დაგებას და ა.შ (ისინი კლასიფიცირდება ფუნქციის მიხედვით); აგრარულ რეფორმებს და მიწების დასახლებას (70421); სამშენებლო (70443) და საბინაო სტანდარტების (7061) დაცვის ხარჯებს.

წყალმომარაგება (7063)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს, როგორიცაა: სასმელი წყლით მომარაგების რეგულირებისა და კონტროლის, წყლის სისუფთავის, ღირებულების და ხარისხის კონტროლის ხარჯები;

ბ) წყალმომარაგების არაკომერციული სისტემების მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის ხარჯებს;

გ) წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხებისა და მომსახურების შესახებ საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის, მშენებლობის, შენახვისა და განახლების ღონისძიებების მხარდასაჭერად, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: საირიგაციო სისტემებს (70421); მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტებს (70474); ჩამდინარე წყლების შეგროვებასა და გაწმენდას (7052).

გარე განათება (7064)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) გარე განათებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს, გარე განათების საშუალებების დამონტაჟების, ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვისა და განახლების ხარჯებს;

ბ) გარე განათების სტანდარტების შემუშავებასთან, მათი შესრულების რეგულირებასა და კონტროლთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ავტოსტრადების მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით გამოყენებული გარე განათებით უზრუნველყოფის ხარჯებს (70451).

გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში (7065)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საბინაო-კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული გამოყენებითი და სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოკვლევების განსახორციელებელ ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს იმ ორგანიზაციების, კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის, რომლებიც ახორციელებენ გამოყენებით და ექსპერიმენტულ კვლევებს საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში (7066)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ფეხით მოსიარულეთათვის მიწისქვეშა გადასასვლელების, სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე გადასასვლელი ხიდების, შადრევნების, მოედნების, სარიტუალო სახლების, საზოგადოებრივი აბანოების, საპირფარეშოების, მშენებლობასთან, მოწყობასთან და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მემორიალური დაფების დამზადებასთან, დამონტაჟებასთან და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე, ქუჩების ნუმერაციასთან და ქალაქის გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დასახლებული ტერიტორიების სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის, აგრეთვე სხვა მსგავს ხარჯებს;

გ) საბინაო-კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს;

დ) სხვა დანარჩენ ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს სხვა მუხლებში, როგორიცაა: საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საერთო პოლიტიკის, მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის, მათი შესრულების კონტროლისა და რეგულირების ხარჯები, აგრეთვე, იმ ქონების შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება საბინაო-კომუნალური მეურნეობის სხვა მუხლებში.

ჯანმრთელობის დაცვა (707)

სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები (7071)

ფარმაცევტული პროდუქცია (70711):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ფარმაცევტული პროდუქციით (სამედიცინო პრეპარატები, სამკურნალო საშუალებები, შრატები, ვაქცინები, ვიტამინები, მინერალები და სხვა)

უზრუნველყოფის, მომარაგების ხარჯებს, აღნიშნულ სფეროში ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯების ჩათვლით.

სხვა სამედიცინო პროდუქცია (70712):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

სხვა სამედიცინო პროდუქციით (სამედიცინო თერმომეტრები, ლეიკოპლასტირები, ერთჯერადი შპრიცები, გადასახვევი საშუალებები, პირველადი დახმარების აფთიაქები და სხვა.) უზრუნველყოფისა და მომარაგების ხარჯებს, აღნიშნულ სფეროში ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯების ჩათვლით, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები (70713):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) თერაპიული დანიშნულების მოწყობილობებითა და აპარატებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორებიცაა: სათვალეები და კონტაქტური ლინზები, სასმენი აპარატები, პროთეზები (მათი დამზადების ხარჯების ჩათვლით), ორთოპედიული აპარატები, კორსეტები, ინვალიდის სავარძლები და ეტლები, ყავარჯნები, წნევის საზომი აპარატები და სხვა;

ბ) აღნიშნულ სფეროში ადმინისტრაციულ და მმართველობით ხარჯებს, აგრეთვე თერაპიული დანიშნულების მოწყობილობებისა და აპარატების შეკეთებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: თერაპიული დანიშნულების მოწყობილობების ოჯარით აღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება (70724) კოდში.

ამბულატორიული მომსახურება (7072)

ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება (70721):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ზოგადი პროფილის სამედიცინო კლინიკების, ამბულატორიებისა და საოჯახო მედიცინის ცენტრების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს;

ბ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ, ფინანსური მხარდაჭერის, კონტროლისა და მონიტორინგის ხარჯებს, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სამედიცინო კვლევითი ლაბორატორიებისა და რენტგენის ცენტრების მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება (70724) კოდში.

სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება (70722):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების, ამბულატორიებისა და საოჯახო მედიცინის ცენტრების ან ექიმების მიერ გაწეული მომსა-

ხურების ხარჯებს. ასეთია კონკრეტულ დაავადებათა სამკურნალო პოლიკლინიკების მომსახურების ხარჯები;

ბ) სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების, ამბულატორიების და საოჯახო მედიცინის ცენტრების ან ექიმების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების ინსპექტირებასა და ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) ორთოდონტი სტომატოლოგების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სტომატოლოგიური კლინიკების; სამედიცინო კვლევითი ლაბორატორიებისა და რენტგენის ცენტრების მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება შესაბამისად (70723) და (70724) კოდებში.

სტომატოლოგიური მომსახურება (70723):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ამბულატორიული ავადმყოფებისათვის სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის ხარჯებს;

ბ) საერთო პროფილის და სპეციალიზებული სტომატოლოგიური პოლიკლინიკების მომსახურების ინსპექტირებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

გ) კბილის პროთეზის მორგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: კბილის პროთეზების დამზადების, სამედიცინო კვლევითი ლაბორატორიებისა და რენტგენის ცენტრების მომსახურების ხარჯებს, რომელიც შესაბამისად კლასიფიცირდება (70713) და (70724) კოდებში.

საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება (70724):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ამბულატარიულ მკურნალობასთან დაკავშირებით საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: მედდების, მეანების, ფიზიოთერაპევტების, ლოგოპედებისა და სხვა მსგავსი საშუალო სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული მომსახურება (როგორც სპეციალურ ამბულატორიულ დაწესებულებებსა და პოლიკლინიკებში, ასევე ოჯახში);

ბ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების მართვის, ინსპექტირებისა და კონტროლის ხარჯებს;

გ) სამედიცინო კვლევითი ლაბორატორიების და რენტგენის ცენტრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, თერაპიული დანიშნულების მოწყობილობების დაქირავების და ბალნეოლოგიური მკურნალობის ხარჯებს, აგრეთვე აკუპუნქტურის, პედიკიურის და ტრადიციული მედიცინის სფეროში მომუშავე სპეციალისტების მომსახურების;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ჯანდაცვის სფეროს მომსახურე ლაბორატორიების და დიაგნოსტიკური ცენტრების ხარჯებს, რომელიც შესაბამისად კლასიფიცირდება (7074) და (7075) კოდებში.

საავადმყოფოების მომსახურება (7073)

ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება (70731):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით. ასეთი საავადმყოფოები, როგორც წესი, არ შემოიფარგლებიან რომელიმე კონკრეტული სპეციალური განხრით და ეწევიან საერთო ჰოსპიტალიზირებულ მკურნალობას;

ბ) ზოგადი პროფილის საავადმყოფოების ინსპექტირებასა და ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სპეციალური სამედიცინო ცენტრების მომსახურების ხარჯებს, რომლებიც კლასიფიცირდება (70733) კოდში.

სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება (70732):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სპეციალიზებული საავადმყოფოების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს, რომლებიც ზოგადი პროფილის საავადმყოფოებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათ მიერ გაწეული მომსახურება შემოიფარგლება კონკრეტულ დაავადებათა მკურნალობით. ასეთია, მაგალითად, ფილტვების დაავადებების მკურნალობა, კიბოს, ყელ-ყურის, ცხვირის, სულიერ ავადმყოფთა, ბავშვთა მკურნალობა და ა.შ.;

ბ) სპეციალიზებული საავადმყოფოების მართვის, ინსპექტირებისა და ფინანსური მხარდაჭერის ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სამშობიარო სახლებს, რომლებიც კლასიფიცირდება (70733) კოდში.

სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება (70733):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სპეციალური სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) აღნიშნულ სფეროში მართვის, ადმინისტრაციულ, ინსპექტირებისა და ფინანსური მხარდაჭერის ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება (70734):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ პაციენტთა მკურნალობას, რომლებსაც ჩაუტარდათ ქირურგიული ოპერაციები, გადატანილი აქვთ მძიმე ავადმყოფობა და რომლებიც საჭიროებენ კონტროლს მედიკამენტების მიღებისას, ფიზიოთერაპიული პროცედურების ჩატარებას, დაკარგული ფუნქციის აღსადგენად ვარჯიშებს ან დასვენებას;

ბ) სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მართვის, ადმინისტრაციულ, ინსპექტირებისა და ფინანსური მხარდაჭერის ხარჯებს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (7074)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გაწეული სხვა მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: სპეციალური ბრიგადების მიერ სამუშაო ადგილებზე, სკოლებში ან სხვა არასამედიცინო დაწესებულებებში გაწეული მომსახურება, სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ამ უკანასკნელში არ შედის უშუალოდ საავადმყოფოთა დაქვემდებარებაში მყოფი სასწრაფო სამედიცინო მომსახურების პერსონალის ხარჯები;

ბ) აღნიშნულ სფეროში ადმინისტრაციულ, ინსპექტირებისა და ფინანსური მხარდაჭერის ხარჯებს;

გ) სისხლის ბანკის ფუნქციონირების (მიღება, დამუშავება, შენახვა, ტრანსპორტირება), დაავადებათა დიაგნოსტიკის (კიბოს, ტუბერკულიოზის, ვენერიული დაავადებების), პროფილაქტიკის (იმუნიზაცია, აცრები) და კონტროლის ღონისძიებებთან (ბავშვების კვება) დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ საჭირო მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) ჯანდაცვის საკითხებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

ვ) სამედიცინო ლაბორატორიების მომსახურების ხარჯებს, სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქციასა და შეკეთებასთან, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ზ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: სამეცნიერო-კვლევითი და დიაგნოსტიკური ლაბორატორიების ხარჯებს, რომლებიც შესაბამისად კლასიფიცირდება (70724) და (7075) კოდებში.

გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (7075)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ჯანდაცვის სფეროში გამოყენებითი და სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების განხორციელების მხარდასაჭე-

რად, რომლებსაც ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები;

გ) დიაგნოსტიკური ლაბორატორიების ხარჯებს;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ფუნდამენტალურ გამოკვლევებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება (7014) კოდში.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (7076)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ჯანდაცვის სფეროში საერთო პოლიტიკის, გეგმების, პროგრამების და ბიუჯეტის შემუშავების, მათი კოორდინაციასა და კონტროლის განხორციელების ხარჯებს;

ბ) ჯანდაცვის სფეროში კანონმდებლობისა და სტანდარტების შემუშავებასა და მათი შესრულების უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს;

გ) სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის ლიცენზირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) ჯანდაცვის სფეროში საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) ჯანდაცვის საკითხებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში;

ვ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

დასვენება, კულტურა და რელიგია (708)

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (7081)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სპორტისა და დასვენების სფეროში საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, კერძოდ, აღნიშნულსფეროში სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს;

ბ) დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზები, მოედნები, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები, სარბენი ბილიკები, საცურაო აუზები, დასასვენებელი სკვერები, პარკები და ბანაკები და ა.შ.) მშენებლობის, მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯებს;

გ) სპორტული აღჭურვილობით უზრუნველყოფის და მათი გამოყენების რეგულირების ხარჯებს, სპორტული და დასვენების ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ნაგებობებისა და ადგილების (მოედნები, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები, სარბენი ბილიკები, სპორტული დარბაზები, პარკები, პლაჟები და სხვა) ფინანსური მხარდაჭერის და ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე, სპორტული და დასვენების ღონისძიებებთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს;

დ) გრანტებსა და სუბსიდიებს სპორტული გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების ფინანსური მხარდაჭერისთვის;

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებს, აკვარიუმებს და სხვა მსგავს ობიექტებს (7082); სპორტულ და დასვენების ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება სასწავლო დაწესებულებებს (709).

მომსახურება კულტურის სფეროში (7082)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) კულტურის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, კერძოდ: კულტურის ობიექტების და მათი სახელმწიფო მართვის ორგანიზაცია-დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს, კულტურული დაწესებულებების ფუქციონირების კონტროლისა და რეგულირების ხარჯებს;

ბ) კულტურული დანიშნულების ობიექტების (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სამხატვრო გალერეები, თეატრები, საგამოფენო დარბაზები, ძეგლები, ისტორიული ნაგებობები, ისტორიული ადგილები, ზოოპარკები და ბოტანიკური ბაღები, აკვარიუმები და ა.შ) მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის, ფუნქციონირების, აგრეთვე, კულტურული ღონისძიებების ორგანიზების, ჩატარებისა და მხარდაჭერის ხარჯებს;

გ) გრანტებსა და სუბსიდიებს მსახიობების, მწერლების, კომპოზიტორების და კულტურის სხვა წარმომადგენლების, აგრეთვე კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერისთვის;

დ) ეროვნული, თუ ადგილობრივი დღესასწაულების ჩატარების ხარჯებს, თუკი ისინი სპეციალურად ტურისტების მოსაზიდად არ ხორციელდება;

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: უცხოეთში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს (70113); ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ ზეიმებს, რომლებიც უმთავრესად გამიზნულია ტურისტების მოსაზიდად (70473); ტელე-რადიო მაუწყებლობის ხარჯებს (7083).

ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (7083)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ტელე-რადიო მაუწყებლობასა და საგამომცემლო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, აღნიშნულ სფეროში ადმინისტრაციული, კოტროლისა და რეგულირების ხარჯების ჩათვლით;

ბ) ტელე-რადიო მაუწყებლობისა და საგამომცემლო საქმიანობის წარმართვის და ფინანსური მხარდაჭერის ხარჯებს;

გ) გრანტებსა და სუბსიდიებს ტელე-რადიო მაუწყებლობის ობიექტების მშენებლობისა და მოწყობილობა-დანადგარების შეძენის, აგრეთვე გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოსაცემად განსახორციელებელი პროექტებისა და პროგრამების მხარდასაჭერად;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: მსხვილ და პატარა საერთო სახელმწიფო დანიშნულების ტიპოგრაფიებს (70133); ტელე-რადიო გადაცემების მეშვეობით მიღებული განათლების ხარჯებს (709).

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება (7084)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) რელიგიის სფეროში საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების ხარჯების ჩათვლით;

ბ) ღვთისმსახურებისა და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩასატარებლად, შენობების ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვისა და შეკეთების ხარჯებს;

გ) გრანტებსა და სუბსიდიებს რელიგიური, სამოქალაქო, ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე, პროფესიული კავშირებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის სტიმულირებისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში (7085)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სახელმწიფო დაწესებულებების მიერ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების, მათი მართვისა და რეგულირების ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს იმ ორგანიზაციებისათვის, კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის, რომლებიც დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროებში ახორციელებენ სამეცნიერო და ექსპერიმენტალურ გამოკვლევებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში (7086)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროებში საერთო პოლიტიკის, გეგმების, პროგრამებისა და ბიუჯეტების შედგენის, მათი განხორციელების კოორდინირებისა და მონიტორინგის ხარჯები;

ბ) საერთო ხასიათის ინფორმაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე ყველა იმ ხარჯს, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

განათლება (709)

სკოლამდელი აღზრდა (7091)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სკოლამდელი აღზრდის უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) სკოლამდელი აღზრდის სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

ზოგადი განათლება (7092)

დაწყებითი ზოგადი განათლება (70921):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) დაწყებითი ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) დაწყებითი ზოგადი განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) უფროსი ასაკისა და ახალგაზრდებისთვის დაწყებითი ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

საბაზო ზოგადი განათლება (70922):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საბაზო ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, საბაზო ზოგადი განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) საბაზო ზოგადი განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

საშუალო ზოგადი განათლება (70923):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) საშუალო ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) საშუალო ზოგადი განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

პროფესიული განათლება (7093)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) პროფესიული განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) პროფესიული განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

უმაღლესი განათლება (7094)

უმაღლესი პროფესიული განათლება (70941):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) უმაღლესი პროფესიული განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) უმაღლესი პროფესიული განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

უმაღლესი აკადემიური განათლება (70942):

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

უმაღლესისშემდომი განათლება (7095)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) უმაღლესისშემდომი განათლების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათი ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) უმაღლესისშემდომი განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება (7096)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, როგორებიცაა: ტრანსპორტირება, კვება, ცხოვრება, სამედიცინო და სტომატოლოგიური მკურნალობა და სხვა დამხმარე მომსახურება;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ, აგრეთვე გამოცდებისათვის მომზადების საორგანიზაციო ხარჯებს;

გ) განათლების სფეროს ზოგადი რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: განათლების სფეროში არსებული ჯანდაცვის სისტემების კონტროლის და რეგულირების მომსახურებას (7074).

გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში (7097)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) ფუნდამენტური, გამოყენებითი და სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევების განსახორციელებელ ხარჯებს განათლების სფეროში;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს განათლების სფეროში გამოყენებითი და ექსპერიმენტული გამოკვლევების განხორციელების მხარდასაჭერად, რომ-

ლებსაც ახორციელებენ ორგანიზაციები, როგორებიცაა კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

<u>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში (7098)</u>

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) განათლების სფეროში საერთო პოლიტიკის, გეგმების, პროგრამებისა და ბიუჯეტების შემუშავების, მათი კოორდინაციის ხარჯებს;

ბ) განათლების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის ხარჯებს;

გ) სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხარჯებს;

დ) განათლების სფეროსთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს, აგრეთვე სხვა დანარჩენ ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება განათლების სფეროს სხვა მუხლებში;

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

სოციალური დაცვა (710)

<u>ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (7101)</u>

ავადმყოფთა სოციალური დაცვა (71011):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) ავადმყოფობის ან ტრავმის შედეგად დროებით შრომისუუნარო პირებისათვის სოციალური დაცვის მიზნით ფულადი ან ნატურალური ფორმით გაცემულ დახმარებებს;

ბ) სოციალური დაცვის აღნიშნულ სფეროში განსახორციელებელი პროგრამების ადმინისტრაციულ ხარჯებს, მართვის ხარჯების ჩათვლით;

გ) ავადმყოფობით ან ტრავმის შედეგად დროებით შრომისუუნარო პირებისათვის ფულად დახმარებებს და ნატურალური ფორმით გასაწევი დახმარებების ხარჯებს, როგორიცაა: ფიქსირებული თუ ხელფასის პროპორციული სხვადასხვა გადახდები, დახმარების აღმოჩენა ყოველდღიურ საქმიანობაში, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა და ა.შ;

დ) ავადმყოფთა სოციალური დაცვის მიზნით პროგრამებისა და პროექტების განხორციელების ხარჯებს;

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (71012):

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (იმის მიუხედავად, არის თუ არა ასეთი შრომისუუნარობა ნაწილობრივი თუ მთლიანი), რომელთაც ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლის გამო არ შეუძლიათ ჩაერთონ ეკონო-

მიკურ საქმიანობაში, ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეული წესით, სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯებს. მათ შორის, დროებით შრომისუუნაროთა დახმარების პროგრამების ადმინისტრაციულ და მმართველობით ხარჯებს;

ბ) ფულადი ან ნატურალური ფორმით გაწეულ დახმარებებს იმ პირებისათვის, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი;

გ) ფულად შემწეობებს, როგორებიცაა: ინვალიდობის პენსია პირებისათვის, რომლებიც არ არიან მიღწეულნი საპენსიო ასაკს და გააჩნიათ ფიზიკური ან გონებრივი ნაკლოვანებები; შემწეობები პირის პენსიაზე ვადამდე გასვლასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია შრომისუნარიანობის დაქვეითებით; შემწეობები სამსახურიდან წასვლასთან დაკავშირებით, ინვალიდობის პენსიები პირთათვის, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ახორციელებენ შრომით საქმიანობას; შემწეობები პირთათვის, რომლებიც უვლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; სხვა პერიოდული და ერთდროული შემწეობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიზნით;

დ) ნატურალური ფორმით გაწეულ დახმარებებს, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებლითა და კვებით უზრუნველყოფა შესაბამის დაწესებულებებში, სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება და ა.შ.; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სახის სწავლების უზრუნველყოფა მათი პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის მიზნით; დახმარების აღმოჩენა ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც გამოიხატება სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფაში, საშინაო საქმეების მოგვარებაში; სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით;

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

<u>2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს</u>: შემწეობებს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით, საპენსიო ასაკს მიღწეული შრომისუუნარო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (7102).

<u>ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (7102)</u>

<u>1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:</u>

ა) ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯებს, როგორიცაა: ხარჯები ფულადი და ნატურალური ფორმით გასაწევი დახმარებებისათვის, სოციალური დაცვის აღნიშნული პროგრამების ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) ფულად შემწეობებს, როგორიცაა: ხანდაზმულობის პენსია, საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისათვის; ხანდაზმულობის ვადამდელი პენსია, პენსიაზე საპენსიო ასაკის დადგომამდე გასული პირებისათვის; ნაწილობრივი პენსიები, რომლებიც გაიცემა როგორც საპენსიო ასაკის მიღწევამდე, ისე საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ, პირებზე, რომლებიც აგრძელებენ მუშა-

ობას, მაგრამ არასრულ სამუშაო განაკვეთზე; შემწეობები ხანდაზმულების მოვლაზე, სხვა პერიოდული და ერთდროული შემწეობები;

გ) ნატურალური ფორმით გასაწევი დახმარებების ხარჯებს, როგორიცაა: საცხოვრებლით უზრუნველყოფა და კვება ხანდაზმულებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ან სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან ოჯახთან ერთად; დახმარების აღმოჩენა ყოველდღიურ საქმიანობაში (ტრანსპორტით მომსახურება, საშინაო საქმეების მოგვარება); შემწეობები ხანდაზმულთა მომვლელებისათვის; სხვადასხვა სახის მომსახურებისა და საქონლის მიწოდება ხანდაზმულთათვის, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით;

დ) ომის მონაწილეთა და სახელმწიფო მოხელეთა საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯებს;

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: პენსიაზე ვადამდე გასვლასთან დაკავშირებულ შემწეობებს პირებისათვის, რომლებიც პენსიაზე საპენსიო ასაკის დადგომამდე გავიდნენ შრომისუუნარობის გამო (71012) ან უმუშევრობის გამო (7105).

მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (7103)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯებს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით გაწეული დახმარების სახით, პირებისათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ სხვის კმაყოფაზე და დაკარგეს მარჩენალი (მეუღლეები, ყოფილი მეუღლეები, შვილები, შვილიშვილები, მშობლები ან სხვა ნათესავები), სოციალური დაცვის აღნიშნული პროგრამების ადმინისტრირების ხარჯების ჩათვლით;

ბ) ფულად შემწეობებს, როგორიცაა: პენსიები, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში; მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დახმარებები; სხვა მსგავსი პერიოდული თუ ერთდროული შემწეობები მარჩენალდაკარგული პირებისათვის;

გ) დახმარებებს ნატურალური ფორმით, როგორიცაა: გარდაცვლილის დაკრძალვასთან დაკავშირებული დახმარება, სხვადასხვა სახის მომსახურებისა და საქონლის მიწოდება მარჩენალდაკარგული პირებისათვის, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (7104)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და პირების სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას ისეთი ოჯახებისთვის, სადაც ცხოვრობენ სხვის

კმაყოფაზე მყოფი ან სხვისი მეურვეების ქვეშ მყოფი ბავშვები, აღნიშნულ სფეროში გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

გ) ფულად შემწეობებს, როგორიცაა: ფულადი დახმარებები ბავშვის გაჩენაზე; ანაზღაურებადი შვებულებები, სხვა პერიოდული თუ ერთჯერადი დახმარებები ბავშვებისა და ოჯახების მხარდასაჭერად და მათი სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, ისეთი ოჯახების დახმარება, სადაც ერთი მშობელია ან სადაც ცხოვრობენ ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვები);

დ) დახმარებებს ნატურალური ფორმით, როგორიცაა: სკოლამდელი ასაკის ბავშვების მთელი დღის, ან დღის გარკვეული ნაწილის განმავლობაში უზრუნველყოფა თავშესაფრებითა და კვებით; ბავშვების მომვლელით უზრუნველყოფის ხარჯები; ინტერნატების და იმ ოჯახების ფინანსური დახმარებები, რომელთაც იშვილეს ბავშვები. სოციალური დაცვის მიზნით გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე ბავშვებისთვის ან მათზე პასუხისმგებელი პირებისათვის; (საბავშვო ბანაკები და გასართობი ცენტრები);

ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ოჯახების დაგეგმვის მომსახურებას (7074).

უმუშევართა სოციალური დაცვა (7105)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) უმუშევართათვის როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით გაწეულ დახმარებებს, აღნიშნულ სფეროში განსახორციელებელი პროგრამების ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) ფულად შემწეობებს, როგორიცაა: სრული ან ნაწილობრივი დახმარება უმუშევართათვის; შემწეობები დაკავშირებული პენსიაზე ვადამდელ გასვლასთან, არასაპენსიო ასაკის პირებისათვის, რომლებიც მოყვნენ შტატების შემცირებაში ან უბრალოდ დაკარგეს სამსახური საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაურესების საფუძველზე; მიზნობრივი შემწეობები მომუშავეთა ამა თუ იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული გადამზადების პროგრამებში; კომპენსაციები შტატების შემცირების შედეგად სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში; სხვა პერიოდული ან ერთჯერადი დახმარებები უმუშევართათვის, რომლებსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ გააჩნიათ სამსახური;

გ) დახმარებებს ნატურალური ფორმით, როგორიცაა: პროფესიული სწავლების უზრუნველყოფა უმუშევართათვის ან იმ პირების გადამზადება, ვისაც ემუქრება სამსახურის დაკარგვა; უმუშევრებისა და მათი ოჯახების თავშესაფრებით, კვების პროდუქტებით და ტანსაცმლით უზრუნველყოფის ხარჯებს;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

2. აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: საერთო პროგრამებისა და გეგმების ხარჯებს, რომლებიც მიმართულია სამუშაო ძალის მობილურობის ამაღლებისკენ, უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით იმ ჯგუფებისთვის, სადაც მაღალია უმუშევრობა (70412); ფულადი ან ნატურალური ფორმით უმუშევართათვის გაწეულ დახმარებებს, რომელთაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს (7102).

საცხოვრებლით უზრუნველყოფა (7106)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოციალური დაცვის ფულადი ან ნატურალური ფორმით უზრუნველყოფის ისეთ ხარჯებს, როგორიცაა სოციალურად დაუცველი საოჯახო მეურნეობების საბინაო ხარჯების ანაზღაურება (აღნიშნული შეღავათის მისაღებად ოჯახებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ შემოწმებაში, რომელიც განსაზღვრავს ასეთი შეღავათის გაცემის აუცილებლობას);

ბ) დახმარებები ნატურალური ფორმით, როგორიცაა: დროებითი ან გრძელვადიანი გადახდებით უზრუნველყოფა, რომლებიც დაკავშირებულია ბინის დაქირავებასთან, ბინათმფლობელთა მიმდინარე ხარჯებთან, ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით (ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვა); იაფი ან საზოგადოებრივი სახის საცხოვრებლით, თავშესაფრით უზრუნველყოფა;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას (7107)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოციალური დაცვის მიზნით ფულადი ან ნატურალური ფორმით გაწეულ დახმარებას პირებისათვის, რომლებიც განიცდიან სოციალურ გაუცხოებას ან ემუქრებათ ასეთი საფრთხე (ღარიბები, დაბალშემოსავლიანი პირები, იმიგრანტები, ლტოლვილები, ნარკომანები და ალკოჰოლის მომხმარებლები, ძალადობის მსხვერპლნი და ა.შ.), ამ სფეროში გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით;

ბ) აღნიშნული კატეგორიის პირებისთვის ფულად შემწეობებს, როგორიცაა: შემწეობები ღარიბთათვის და სხვა ფულადი დახმარებები ამ კატეგორიის სოციალურად დაუცველი პირებისათვის, მათი მძიმე მატერიალური ყოფის შემსუბუქების მიზნით;

გ) ნატურალური ფორმით გაწეულ დახმარებებს, როგორიცაა: ღარიბებისა და სოციალური გაუცხოების საფრთხის ქვეშ მყოფი პირების დროებითი და ხანგრძლივი პერიოდის თავშესაფრებითა და საკვებით უზრუნველყოფა; ალკოჰოლიზმით დაავადებულთა და ნარკომანთა სამედიცინო რეაბილიტაციის ხარჯებს; აგრეთვე ამ კატეგორიის პირებისათვის ისეთი საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის ხარჯებს, როგორიცაა: იურიდიული კონსულტაციები, თავშესაფრები დღის საათებში, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, საწვავი და სხვა;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში (7108)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოციალური დაცვის სფეროში გამოყენებითი და ექსპერიმენტული სამეცნიერო გამოკვლევების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების ხარჯებს;

ბ) გრანტებსა და სუბსიდიებს სოციალური დაცვის სფეროში გამოყენებითი და ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევების ჩატარების ხელშესაწყობად, რომლებსაც ახორციელებენ ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები;

გ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

სხვა არკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში (7109)

1. აღნიშნული მუხლი მოიცავს:

ა) სოციალური დაცვის საერთო პოლიტიკის, პროგრამებისა და გეგმების შემუშავების, ადმინისტრირებისა და კოორდინირების ხარჯებს, აღნიშნულ სფეროში საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი სტანდარტების მომზადების და დანერგვის ხარჯებს;

ბ) სოციალური დაცვის სფეროში საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციისმომზადების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების ხარჯებს;

გ) ფულადი ან ნატურალური ფორმით გაწეულ დახმარებებს მიწისძვრით, ხანძრით, წყალდიდობითა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულთათვის; პროდუქტების, მოწყობილობებისა და სხვა რესურსების შეძენისა და მარაგების შექმნის ხარჯებს, მათი საგანგებო სიტუაციებში გამოყენების მიზნით;

დ) მოქალაქეთა კომუნალურ და საკომუნიკაციო გადასახადებზე დახმარებას, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის უზრუნველყოფის ხარჯებს;

ე) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს;

ვ) დევნილი და უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს;

ზ) სხვა დანარჩენი ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება სოციალური დაცვის სფეროს სხვა მუხლებში;

თ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.

8.6. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია წარმოადგენს ფინანსური აქტივების შეძენის და გასვლის, ფინანსური ვალდებულებების აღებისა და დაფარვის ოპერაციების, აგრეთვე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფებას სახეების მიხედვით[1].

ფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების მოქმედი კლასიფიკა-ცია სქემატურად ასახულია **8.5. დანართში**, ვალდებულებებისა და მათზე ოპერაციების მოქმედი კლასიფიკაცია კი - **8.6. დანართში**.

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური აქტივები (32) მოიცავს საშინაო, საგარეო და მონეტარული ოქროსა და ნასესხობის სპეციალური უფლებების ჯგუფებს. ვალდებულებები (33) კი საშინაო და საგარეო წყაროებად იყოფა.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების** მოკლე დახასიათება:

ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსურ მოთხოვნებს, მონეტარულ ოქროსა და ნასესხობის სპეციალური უფლებებს. ***ფინანსური მოთხოვნა*** არის აქტივი, რომელიც აძლევს უფლებას ერთ ინსტიტუციონალურ ერთეულს – აქტივის მფლობელს (ანუ კრედიტორს) მიიღოს ერთი ან რამდენიმე გადახდა მეორე ერთეულისაგან (დებიტორისგან) მათ შორის გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებისა და დებულებების თანახმად. ფინანსური მოთხოვნა წარმოადგენს აქტივს, ვინაიდან ის უზრუნველყოფს კრედიტორისათვის ეკონომიკური სარგებელის მიღებას და წარმოადგენს დაგროვების საშუალებას. კრედიტორს დამატებითი სარგებლის მიღება შეუძლია პროცენტების ან საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა სახის გადახდებით, ან/და ფლობიდან მიღებული მოგებით.

ფინანსური მოთხოვნების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ფულადი საშუალებები, დეპოზიტები, კრედიტები და სესხები, ობლიგაციები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და დებიტორული დავალიანებები. ამასთან, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გასაცემი სახსრები.

როდესაც წარმოიქმნება ფინანსური მოთხოვნა, იმავდროულად, დებიტორს წარმოეშობა იმავე ოდენობის ვალდებულება, რომელიც, შეესაბამება მოცემულ ფინანსურ აქტივს. მაშასადამე, გადახდა ან გადახდები, რომელთა

---

[1] *შენიშვნა:* ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე ოპერაციები მოიცავს როგორც ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ზრდას, ასევე კლებას, იმის მიხედვით თუ რა სახის ოპერაცია ხორციელდება მათზე.

მიღების უფლებაც გააჩნია კრედიტორს კონტრაქტის შესაბამისად, იმავდროულად წარმოადგენს გადახდას ან გადახდებს, რომელიც კონტრაქტის შესაბამისად, უნდა განახორციელოს დებიტორმა. ამრიგად, *ვალდებულება* წარმოადგენს ეკონომიკური სარგებელის უზრუნველყოფის ვალდებულებას იმ ინსტიტუციონალური ერთეულისათვის, რომელიც ფლობს შესაბამის ფინანსურ მოთხოვნას. ამასთან, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გაცემული სესხები აღირიცხება ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამის მუხლში.

ვალუტა და დეპოზიტები (3212, 3222, 3312, 3322):

ვალუტა შედგება ბრუნვაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან, რაც ფართოდ გამოიყენება გადახდის განხორციელებისას. მათი გამოშვება ხდება ეროვნული ბანკის ან სახელმწიფო ერთეულების მიერ და წარმოადგენს ემიტენტი ერთეულის ვალდებულებას. ეროვნულ ვალუტას გააჩნია ფიქსირებული ნომინალური ღირებულება.

დეპოზიტებიც ფინანსურ აქტივებს წარმოადგენენ, რომლებსაც ფიქსირებული ნომინალური ღირებულება გააჩნიათ და გადახდების განსახორციელებლად გამოიყენება. აღნიშნული დაგროვების საშუალებას წარმოადგენს და დეპოზიტის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს გაცვლის უშუალო საშუალება, რომელიც მოიტანს საპროცენტო შემოსავალს, ან დეპოზიტის მფლობელს მისცემს განსაზღვრული სახის მომსახურების მიღების უფლებას.

სახელმწიფო ერთეულების უმრავლესობა აქტივის სახით აღრიცხავს სხვადასხვაგვარი სახის დეპოზიტებს, უცხოური ვალუტით დეპოზიტების ჩათვლით. ასევე შესაძლებელია სახელმწიფო ერთეულმა აიღოს ვალდებულება დეპოზიტის სახით. მაგალითად, სასამართლო ან საგადასახადო ორგანოს შეუძლია გირაოს სახით შეტანილი დეპოზიტი დააკავოს დავის გადაწყვეტამდე.

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა (3213, 3223, 3313, 3323):

ფასიან ქაღალდებს (გარდა აქციებისა) მიეკუთვნება მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ინსტიტუციონალური ერთეულების ვალდებულების არსებობას და რომელთა მართვა უნდა მოხდეს ფულადი საშუალებების, ფინანსური ინსტრუმენტების ან ეკონომიკური ღირებულების მქონე რომელიმე სხვა ობიექტების მიცემით. ფასიანი ქაღალდით, ჩვეულებრივ, დგინდება გადასახდელი პროცენტებისა და ვალის ძირითადი თანხის გადახდის გრაფიკი.

ფასიანი ქაღალდების მაგალითს, გარდა აქციებისა, წარმოადგენს:

- თამასუქები;
- ობლიგაციები და არაუზრუნველყოფილი სავალო ვადებულებები, აქციებში კონვერტირებადი ობლიგაციების ჩათვლით;
- კომერციული ქაღალდები;
- მიმოქცევადი სადეპოზიტო სერტიფიკატები;

- ბაზარზე რეალიზებადი დეპოზიტური ხელწერილები;
- ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია ანდერრაიტინგის განახლებადი მექანიზმებისა და საბანკო მხარდაჭერის მქონე საემისიო პროგრამების ფარგლებში;
- ფასიან ქაღალდებში კონვერტირებული იპოთეკური კრედიტები და სესხები, აგრეთვე, დებიტორული დავალიანებები საკრედიტო ბარათებით;
- კრედიტები და სესხები, რომლებმაც ფაქტობრივად მიიღო მიმოქცევადი ინსტრუმენტების ხასიათი;
- პრივილეგირებული აქციები, რომლებიც ფიქსირებული შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფენ, მაგრამ არ იძლევიან საწარმოების ლიკვიდაციისას მისი ნარჩენი ღირებულების განაწილებაში მონაწილეობის უფლებას;
- საბანკო აქცეპტები.

თამასუქები, მიმოქცევადი სადეპოზიტო სერტიფიკატები, საბანკო აქცეპტები და კომერციული ქაღალდები წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც მფლობელებს აძლევენ უდავო უფლებას მითითებულ ვადაში მიიღონ დადგენილი ფიქსირებული თანხები და რომელთა გამოშვება ხდება დისკონტით.

ობლიგაციები და არაუზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც მფლობელებს აძლევენ უდავო უფლებას მიიღონ ფიქსირებული ფულადი შემოსავლები, ან კონტრაქტით განსაზღვრული ცვალებადი ფულადი შემოსავლები, რასაც ჩვეულებრივ, პროცენტები ეწოდება. ობლიგაციებისა და არაუზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებების უმრავლესობა, ასევე აძლევს მფლობელებს უდავო უფლებას, მიიღონ ფიქსირებული თანხა ან თანხები, დადგენილ ვადაში ან ვადებში, ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად. ამასთან, უვადო ობლიგაციებს დაფარვის ვადა არ გააჩნიათ.

ობლიგაციები ნულოვანი კუპონით წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ პერიოდულ გადახდებს ობლიგაციის მოქმედების პერიოდის განმავლობაში[1].

სესხები (3214, 3224, 3314, 3324):

ამ კატეგორიაში შეიტანება იპოთეკური კრედიტები და სესხები, განვადებით დაფარვადი კრედიტები და სესხები, კრედიტები განვადებით გაყიდვებისათვის, კრედიტები და სესხები სავაჭრო კრედიტების დასაფინანსებლად, შეთანხმება გაყიდვაზე შემდგომი გამოსყიდვით, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფარულად წარმოიქმნება ფინანსური ლიზინგის შედეგად, ასევე, მოთხოვნები ან ვალდებულებები, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიმართებაში, რომელსაც კრედიტებისა და სესხების ფორმა აქვს. აგრეთვე, სხვა სახის სესხები და კრედიტები. ჩვეულებრივი,

---

[1] *შენიშვნა:* ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი არამიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები განიხილება როგორც ფასიანი ქაღალდები (გარდა აქციებისა).

სავაჭრო კრედიტი და მისი მსგავსი დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებები არ ითვლება კრედიტად და სესხად.

საქონლის ფინანსური ლიზინგის პირობით შეძენისას ითვლება, რომ ადგილი აქვს საკუთრების უფლების გადაცემას მეიჯარისაგან მოიჯარეზე, ვინაიდან საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი ფაქტობრივად, გადადის მოიჯარეზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იურიდიული თვალსაზრისით, ლიზინგის პირობით, იჯარით აღებული საქონელი მეიჯარის საკუთრებად რჩება. ითვლება, რომ საკუთრების უფლების ასეთი ცვლა ფინანსირდება კრედიტით, რომელიც წარმოადგენს მეიჯარის აქტივს და მოიჯარის ვალდებულებას.

სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანებები (3218, 3228, 3318, 3328):

სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანებები შედგება სავაჭრო კრედიტებისგან, აგრეთვე, ყველა სხვა სახის კრედიტორული დავალიანებებისგან (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისგან), რომლებიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში.

სავაჭრო კრედიტები გამოყოფილია უშუალოდ საქონლისა და მომსახურების მყიდველებისათვის. ასეთი კრედიტები წარმოადგენენ გადახდის მიღების ჩვეულებრივი გადავადების შედეგს, ასევე გამყიდველებისათვის კრედიტის განზრახ გამოყოფას გაყიდვების დასაფინანსებლად. სავაჭრო კრედიტები არ მოიცავს კრედიტებსა და სესხებს, ფასიან ქაღალდებს, გარდა აქციებისა, ან სხვა ვალდებულებებს, რომლებიც გამოშვებულია ვაჭრობის დასაფინანსებლად. თუ სახელმწიფო ერთეული უშვებს ჩვეულებრივ თამასუქს ან სხვა ფასიან ქაღალდს, რამდენიმე სავაჭრო კრედიტზე გადახდის კონსოლიდირებისათვის, მაშინ ასეთი თამასუქი ან ფასიანი ქაღალდი მიეკუთვნება „ფასიან ქაღალდებს, გარდა აქციებისა“ (3313, 6313).

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები (3216, 3226, 3316, 3326):

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები შედგება საოჯახო მეურნეობების მიერ საპენსიო ფონდებსა და სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებში ჩადებული საშუალებების წმინდა ღირებულებისაგან, საშუალებებისაგან, რომელიც მიღებულია წინასწარ გადახდილი პრემიებისაგან, აგრეთვე, სადაზღვევო ანაზღაურების დაუფარავი მოთხოვნების რეზერვისგან. სახელმწიფო ერთეულებს შეუძლიათ აიღონ ვალდებულება სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების მიხედვით, როგორც მხარემ, რომელიც მართავს სადაზღვევო პროგრამებს, გარდა სიცოცხლის დაზღვევისა, და არაავტონომიურ პროგრამებს ან იმ პროგრამებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ სპეციალური საპენსიო ფონდების შექმნას, აგრეთვე, ისინი შეიძლება ფლობდნენ აქტივებს, გამოდიან რა სადაზღვევო პოლისების მფლობელთა სახით, გარდა სიცოცხლის დაზღვევის პოლისებისა.

სადაზღვევო ანაზღაურებების დასაფარავად განკუთვნილი რეზერვების თანხები წარმოადგენენ საშუალებებს, რომლებიც სადაზღვევო პროგრა-

მების (გარდა სიცოცხლის დაზღვევისა) ოპერატორებს გააჩნიათ იმ მოთხოვნებისთვის, რომლებზეც ანგარიშსწორება ჯერ არ განხორციელებულა, არ არის დარეგულირებული, ან შეიძლება დავის საგანი გახდეს. სადაზღვევო კომპანიების მიერ განსახილველად მიღებული მოთხოვნების დაგროვება ხდება სადაზღვევო ან უბედური შემთხვევების დადგომისას, რომელიც მოთხოვნის წარმოქმნის საფუძველია. ასეთი რეზერვები წარმოადგენენ სადაზღვევო პროგრამების ოპერატორების ვალდებულებებს და ბენეფიციარების აქტივებს, რომლებიც ამ თანხას საბოლოოდ მათი მოთხოვნების კომპენსაციის სახით მიიღებენ.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (3217, 3227, 3317, 3327):

წარმოებული ეწოდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც წარმოქმნილია სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზაზე. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები დაკავშირებულია კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მაჩვენებელთან, ან საქონელთან, და რომელთა მეშვეობითაც კონკრეტული ფინანსური რისკი შეიძლება გაიყიდოს ფინანსურ ბაზარზე, როგორც ცალკე ობიექტი.

არსებობს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ორი ძირითადი კლასი: ფორვარდული ტიპის კონტრაქტები, სვოპის ჩათვლით, და ოფციონური კონტრაქტები. ფორვარდული კონტრაქტის ფარგლებში, ორი მონაწილე მხარე თანხმდება გაცვალოს დადგენილი ოდენობის საბაზო ობიექტები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც რეალური, ასევე ფინანსური, შეთანხმებული ფასით, დათქმულ დროში. სვოპი წარმოადგენს გაყიდვის შეთანხმებას შემდგომი გამოსყიდვის პირობით.

ოფციონი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც ოფციონის მყიდველს აძლევს უფლებას (მაგრამ არ აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას) იყიდოს („ქოლ" ოფციონი) ან გაყიდოს („ფუთ" ოფციონი) კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტი ან საქონელი, წინასწარ განსაზღვრული ფასით დროის მოცემულ პერიოდში ან განსაზღვრულ ვადაში.

მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება (323):

მონეტარული ოქრო მოიცავს ოქროს მონეტებს, ჩამოსხმულ და მოჭრილ ზოდებს არანაკლებ 995/1000 სინჯისა, რომლებიც ფულად-საკრედიტო რეგულირების ფუნქციების შემსრულებელი ერთეულების საკუთრებას წარმოადგენს და შედის სახელმწიფო ოფიციალურ სარეზერვო აქტივებში.

ჩვეულებრივ, მონეტარული რეგულირების ორგანოს წარმოადგენს ეროვნული ბანკი, თუმცა მონეტარული რეგულირების ორგანოს ზოგიერთი ფუნქციის შესრულება შეუძლია ამა თუ იმ სახელმწიფო ერთეულს.

მონეტარული ოქრო წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომლისთვისაც არ არსებობს მეორე ინსტიტუციონალური ერთეულის მხრიდან მოკორესპონდენტო ვალდებულება. მისი შეფასება ხდება ორგანიზებულ ბაზარზე დადგენილი მიმდინარე ფასის ან ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებით.

ნებისმიერი ოქრო, რომელიც აღრიცხულია სახელმწიფო ერთეულის მიერ და არ შეესაბამება მონეტარული ოქროს განმარტებას, არაფინანსურ აქტივს წარმოადგენს და მიეკუთვნება ან მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებს (312), ან ფასეულობებს (313). ოქროში დენომინირებული დეპოზიტები, კრედიტები და სესხები, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდები აისახება, როგორც დეპოზიტები, კრედიტები და სესხები, ფასიანი ქაღალდები, და არა როგორც მონეტარული ოქრო. ოქროს სვოპი (გაცვლა) წარმოადგენს გაყიდვის შეთანხმებას შემდგომი გამოსყიდვის პირობით, რომლის ფარგლებშიც მონეტარული ოქრო იცვლება სხვა სარეზერვო აქტივებზე, ჩვეულებრივ, სავალუტო დეპოზიტებზე. აღნიშნული აისახება, როგორც კრედიტი ან სესხი.

ნასესხობის სპეციალური უფლება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილ საერთაშორისო სარეზერვო აქტივებს, რომელიც უნაწილდება მის წევრ ქვეყნებს არსებული სარეზერვო აქტივების შესავსებად. სპეციალური სასესხო უფლების მფლობელია მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები და უფლებამოსილი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, შეზღუდული რაოდენობით. სპეციალური სასესხო უფლება წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომლისთვისაც არ არსებობს მოკორესპონდენტო ვალდებულება, ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს, რომლებსაც განაწილების წესით მიეწოდა სპეციალური სასესხო უფლება, არ გააჩნიათ მათზე გამოყოფილი სპეციალური სასესხო უფლების ანაზღაურების უპირობო ვალდებულება. სახელმწიფო ერთეული წარმოადგენს სპეციალური სასესხო უფლების მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოს ფუნქციის შემსრულებელია.

საკონტროლო კითხვები

1. განსაზღვრეთ საბიუჯეტო კლასიფიკაციის არსი და დანიშნულება.
2. წარმოადგინეთ და დაახასიათეთ GFSM-2001 სტანდარტის საბიუჯეტო კლასიფიკაციის სტრუქტურა.
3. განასხვავეთ საბიუჯეტო კლასიფიკაციაში გამოყენებული აღრიცხვის საკასო და დარიცხვის მეთოდები.
4. დაასახელეთ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მარეგულირებელი სამართლებრივ-საკანონმდებლო აქტები საქართველოში.
5. ახსენით თანრიგებისა და კოდების დამოკიდებულება შემოსავლების კლასიფიკაციაში.
6. ახსენით თანრიგებისა და კოდების დამოკიდებულება ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში.
7. ახსენით თანრიგებისა და კოდების დამოკიდებულება არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში.

8. ახსენით თანრიგებისა და კოდების დამოკიდებულება ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში.
9. ახსენით თანრიგებისა და კოდების დამოკიდებულება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში.
10. წარმოადგინეთ და დაახასიათეთ ბიუჯეტის ბალანსის სტრუქტურა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.
11. განსაზღვრეთ საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაცის არსი და სტრუქტურა.
12. განსაზღვრეთ საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის არსი და სტრუქტურა.
13. განსაზღვრეთ არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცის არსი და სტრუქტურა.
14. განსაზღვრეთ ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცის არსი და სტრუქტურა.
15. განსაზღვრეთ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცის არსი და სტრუქტურა.
16. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. მონეტარული ოქრო	ა. არაფინანსური აქტივების შეძენისა და გასვლის ოპერაციების და არაფინანსური აქტივების დაჯგუფება სახეების მიხედვით;
—	2. გადასახადი	ბ. ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
—	3. მთლიანი სალდო	გ. ისეთი გრანტი, რომელიც გრანტის პირობის თანახმად მიმღებმა უნდა გამოიყენოს აქტივების შესაძენად (საბრუნავი სამუალებების გარდა);
—	4. არაფინანსური აქტივების ცვლილება	დ. საგადასახადო შეღავათის სახეობა, რომლითაც მცირდება გადასახადის თანხა, და რომელიც სხვაგვარად დაექვემდებარებოდა გადახდას;
—	5. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება	ე. არის ბიუჯეტის შემოსავლების დაჯგუფება საბიუჯეტო სისტემის ყველა დონისათვის და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას;
—	6. საბიუჯეტო შემოსავლების კლასიფიკაცია	ვ. ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით განხორციელებული ოპერაციები ზრდის და კლების

		მიმართულებით;
—	7. საგადასახადო კრედიტი	ზ. არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციები ზრდის და კლების მიმართულებით;
—	8. კაპიტალური გრანტი	თ. წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის მოცულობას;
—	9. საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ი. კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ტრანსფერი, რომელსაც გადამხდელი უხდის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს;
—	10. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია	კ. ფინანსური აქტივი, რომლისთვისაც არ არსებობს მეორე ინსტიტუციონალური ერთეულის მხრიდან მოკორესპონდენტო ვალდებულება.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრა ამტკიცებს:
   - პროგრამულ კლასიფიკაციას;
   - ფუნქციონალურ კლასიფიკაციას;
   - საბიუჯეტო კლასიფიკაციას;
   - საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა.
2. პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების ერთობლიობა არის:
   - შემოსავლების კლასიფიკაცია;
   - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია;
   - პროგრამული კლასიფიკაცია;
   - არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია.
3. ამჟამად საქართველოში გამოიყენება საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა:
   - საერთაშორისო სტანდარტს GFSM-1986;
   - საერთაშორისო სტანდარტს GFSM-2001;
   - საერთაშორისო სტანდარტს GFSM-2008;
   - საერთაშორისო სტანდარტს GFSM-2013.
4. მეექვსე თანრიგი ეძლევა ან შვიდციფრიანი კოდით გამოისახება:
   - შემოსავლების კლასიფიკაციაში;

- ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში;
- არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში;
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში.

5. მერვე თანრიგი რვაციფრიანი კოდით გამოისახება:
   - შემოსავლების კლასიფიკაციაში;
   - ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში;
   - არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში;
   - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში.
6. მეორე თანრიგი სამციფრიანი კოდით გამოისახება:
   - შემოსავლების კლასიფიკაციაში;
   - ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში;
   - არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში;
   - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში.
7. კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ტრანსფერი, რომელსაც გადამხდელი უხდის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, არის:
   - გრანტები;
   - სოციალური შენატანები;
   - გადასახადები;
   - სხვა შემოსავლები.
8. გადასახადის დაბრუნება განიხილება, როგორც:
   - საგადასახადო კრედიტი;
   - უარყოფითი საგადასახადო შემოსავალი;
   - სოციალური შენატანები;
   - გადასახადის გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე გადახდევინებული ჯარიმები.
9. გადასახადის გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე გადახდევინებული ჯარიმები აღირიცხება:
   - იმ გადასახადის სახეში, რომელზეც ხდება ჯარიმის, სანქციის ან საურავის დარიცხვა;
   - უარყოფით საგადასახადო შემოსავალში;
   - სოციალურ შენატანებში;
   - გადასახადის გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე გადახდევინებული ჯარიმების საერთო თანხაში.
10. მუხლით - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე" - აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება:
    - საგადასახადო კრედიტი;
    - პროცენტის, დივიდენდის, რენტის სახით და არამატერიალური აქტივების ფლობიდან მიღებული შემოსავალი;
    - სოციალური შენატანები;
    - სხვა შემოსავლები.

11. მუხლით - „გადასახადი ფიზიკური პირიდან" - არ აღირიცხება:
    - გადასახადი არამეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;
    - არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა);
    - გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;
    - მოგების გადასახადი.
12. მუხლით - „გადასახადები უძრავ ქონებაზე" - არ აღირიცხება:
    - უცხოურ სანარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი;
    - ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი;
    - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი;
    - მატერიალური ფასეულობების წმინდა ღირებულება, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულების ჯამს გამოკლებული ამ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.
13. მუხლით - „გადასახადები კაპიტალის და ფინანსურ ოპერაციებზე" - აღირიცხება გადასახადები, რომლითაც:
    - იბეგრება ქონება ან წმინდა მატერიალური ფასეულობები, ერთჯერადად ან დროის არარეგულარული ინტერვალებით.
    - იბეგრება ქონება ან წმინდა არამატერიალური ფასეულობები, ერთჯერადად ან დროის არარეგულარული ინტერვალებით.
    - იბეგრება კონკრეტული სახის მოძრავი ქონების გამოყენება;
    - ხდება ქონების დაბეგვრა მესაკუთრის ცვლილებისას, გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადები.
14. მუხლით - „გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე" - არ აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება:
    - საქონლის წარმოება, რეალიზაცია (გაყიდვა), გადაცემა, მიწოდება, იჯარა;
    - ბუნებრივი რესურსების მოპოვება;
    - ქონების გადაცემა;
    - მომსახურების განევა.
15. გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე არ მოიცავს:
    - დამატებული ღირებულების გადასახადს;
    - აქციზს;
    - გადასახადებს საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე;
    - გადასახადებს, რომლითაც იბეგრება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ან სხვა საქონლის გამოყენება.
16. გადასახადი, რომლითაც ხდება საქონლისა და მომსახურების დაბეგვრა კასკადურად წარმოებისა და მიწოდების სხვადასხვა ეტაპზე და რომლის სრული მოცულობით გადახდა ხდება საბოლოო მომხმარებლის მიერ, არის:
    - დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
    - აქციზი;
    - სოციალური შენატანები;
    - გადასახადი ქონების გადაცემისათვის.

17. კონკრეტული დასახელების საქონელი და მომსახურება ან საქონლისა და მომსახურების ვიწრო ჯგუფი, რომელიც არ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს როგორც საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე, ფისკალური მონოპოლიების მოგება, იმპორტის გადასახადი ან გადასახადები ექსპორტზე, იხეგრება:
    - მოგების გადასასადით;
    - საშემოსავლო გადასასახადით;
    - დამატებული ღირებულების გადასახადით;
    - აქციზით.
18. მუხლი - „სხვა გადასახადები" - არ მოიცავს:
    - სხვა გადასასახადები მეწარმე სუბიექტებიდან;
    - სხვა გადასასახადები არამეწარმე სუბიექტებიდან ან რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია;
    - სხვა კლასიფიცირებული გადასახადები;
    - სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები.
19. ფაქტობრივი ან, დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში, დარიცხული შემოსულობა, რომელიც მიღებულია ან დამსაქმებლისგან, მისი დასაქმებულების მაგივრად, ან დასაქმებულისგან, თვითდასაქმებულისგან ან უმუშევარი პირისგან და რომელიც შენატანების განმახორციელებელ ან მასზე დამოკიდებულ პირს ან მეურვეს აძლევს სოციალური დაზღვევის სქემაში მონაწილეობის გარანტირებულ უფლებას არის:
    - საგადასახადო კრედიტი;
    - უარყოფითი საგადასახადო შემოსავალი;
    - სოციალური შენატანი;
    - სოციალური დაზღვევა.
20. სოციალური დაზღვევის შენატანებში არ შედის:
    - დასაქმებულის შენატანები;
    - დამსაქმებლის შენატანები;
    - თვითდასაქმებულის ან არადასაქმებული პირის შენატანები;
    - შენატანები, რომელიც ხორციელდება ისეთი სოციალური უზრუნველყოფის სქემის დასაფინანსებლად, რომელიც ფუნქციონირებს მთავრობის მიერ, ფინანსდება დასაქმებულის ან დამსაქმებლის მიერ მისი დასაქმებულების სახელით, ახდენს სახელმწიფო მოხელეთა სოციალურ უზრუნველყოფას და არ არის განკუთვნილი პენსიების გასაცემად.
21. არასავალდებულო ტრანსფერი, რომელსაც სახელმწიფო ერთეული იღებს სხვა სახელმწიფო ერთეულიდან, სხვა ქვეყნის მთავრობიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან არის:
    - საგადასახადო კრედიტი;
    - საგადასახადო შემოსავალი;
    - სოციალური შენატანი;
    - გრანტი.
22. ისეთი გრანტები, რომლებიც გრანტის პირობის თანახმად მიმღებმა უნდა გამოიყენოს აქტივების შესაძენად (საბრუნავი საშუალებების გარდა), იწოდება:
    - მიზნობრივ გრანტებად;
    - გამოთანაბრებით გრანტებად;

- კაპიტალურ გრანტებად;
- მიმდინარე გრანტებად.

23. შემოსავლები საკუთრებიდან არ მოიცავს:
    - პროცენტებს;
    - დივიდენდებს;
    - რენტას;
    - ქონების გადასახადს.
24. შემოსავალი, რომელიც მიიღება სახელმწიფო ერთეულის მიერ ცალკეული ხასიათის ფინანსური აქტივებიდან, კერძოდ დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან აქციების გარდა, სესხებიდან და დებიტორული დავალიანებებიდან, არის:
    - დივიდენდი;
    - კვაზი-კორპორაციებიდან მიღებული შემოსავლები;
    - პროცენტი;
    - შემოსავლები სადაზღვევო პოლისების ფლობიდან.
25. საკუთრებიდან შემოსავლები, რომელიც მიიღება არაწარმოებული (ბუნებრივად შექმნილი) აქტივების (მიწის, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების) იჯარით ან გაქირავებით არის:
    - პროცენტი;
    - დივიდენდი;
    - შემოსავლები სადაზღვევო პოლისების ფლობიდან;
    - რენტა.
26. საქართველოში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აუთენტურობის შესახებ და საზღვარგარეთ მიღებული განთლების დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოში ცნობის შესახებ გაცემული ცნობის მოსაკრებელი მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლებს;
    - სანებართვო მოსაკრებლებს;
    - სალიცენზიო მოსაკრებლებს;
    - სარეგისტრაციო მოსაკრებლებს.
27. საერთაშორისო, საქართველოს და ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების სარეგისტრაციო, აგრეთვე მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანაზე მოსაკრებელი მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლებს;
    - სანებართვო მოსაკრებლებს;
    - სალიცენზიო მოსაკრებლებს;
    - სარეგისტრაციო მოსაკრებლებს.
28. მოსაკრებელი უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტების, საწყობის (ღია ან/და დახურული), დროებითი შენახვის საწყობის (ღია ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვაზე მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლებს;
    - სანებართვო მოსაკრებლებს;
    - სალიცენზიო მოსაკრებლებს;
    - სარეგისტრაციო მოსაკრებლებს.

29. მოსაკრებელი საწარმოო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლებს;
    - სანებართვო მოსაკრებლებს;
    - სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებლებს;
    - სარეგისტრაციო მოსაკრებლებს.
30. მოსაკრებელი სააბანკო საქმიანობის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო საქმიანობის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, აქტივების მმართველის საქმიანობის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირებიდან მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლებს;
    - სანებართვო მოსაკრებლებს;
    - სალიცენზიო მოსაკრებლებს;
    - სარეგისტრაციო მოსაკრებლებს.
31. მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ დოკუმენტების გამოთხოვისათვის მიეკუთვნება:
    - სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლებს;
    - საკონსულო მოსაკრებლებს;
    - სალიცენზიო მოსაკრებლებს;
    - სარეგისტრაციო მოსაკრებლებს.
32. საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია არ მოიცავს:
    - სოციალურ დაზღვევას;
    - შრომის ანაზღაურებას;
    - სუბსიდიებს;
    - სოციალურ უზრუნველყოფას.
33. ხელფასი ფულადი ფორმით არ მოიცავს:
    - თანამდებობრივ სარგოს;
    - წოდებრივ სარგოს;
    - სოციალურ შენატანებს;
    - ჰონორარს.
34. საფოსტო მომსახურების ხარჯებს, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ საფოსტო, მათ შორის ამანათების, დეპეშების, რადიოგრამების, ფულადი და სხვა სახის გზავნილების ხარჯებს, მოიცავს:
    - სამედიცინო ხარჯები;
    - კვების ხარჯები;
    - წარმომადგენლობითი ხარჯები;
    - ოფისის ხარჯები.
35. საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს მოიცავს:
    - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება;
    - სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები;

- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები.

36. გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან წარმოადგენს:
- ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
- პროცენტი;
- დივიდენდი;
- სუბსიდიები.

37. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას ეწოდება:
- გრანტები;
- სუბსიდიები;
- პროცენტი;
- ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

38. მუხლით - „სუბსიდიები“ - აღირიცხება:
- ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირება;
- გადასახდელი, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები.

39. ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით არის:
- სოციალური უზრუნველყოფა;
- სოციალური დაზღვევის ანარიცხები;
- სოციალური შენატანები;
- სუბსიდიები.

40. სოციალური უზრუნველყოფის მუხლი არ მოიცავს:
- სოციალურ დაზღვევას;
- დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებას;
- სოციალურ შენატანებს;
- სოციალურ დახმარებას.

41. **სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები (2821) მოიცავს:**
    - არამომგებიანი დაწესებულებებისთვის გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს;
    - სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯს;
    - საწარმოების მიერ კაპიტალის ფორმირების მიზნით სახელმწიფო ერთეულის მიერ განხორციელებულ გადახდებს;
    - საწარმოებისა და ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების დაზიანების კომპენსაციის ხარჯს.
42. **სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (2822) მოიცავს:**
    - პრეზიდენტის სახელობის გრანტების ხარჯს;
    - საწარმოებისა და ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების დაზიანების კომპენსაციის ხარჯს;
    - პრეზიდენტის სახელობის სამეცნიერო გრანტების ხარჯს;
    - სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯს.
43. **წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს, არის:**
    - ფასეულობები;
    - არაწარმოებული აქტივები;
    - მატერიალური მარაგები;
    - ძირითადი აქტივები.
44. **ძირითადი აქტივები (311) არ მოიცავს:**
    - შენობა-ნაგებობებს;
    - მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს;
    - სხვა ძირითად აქტივებს;
    - სტრატეგიულ მარაგებს.
45. **მატერიალური მარაგები (312) არ მოიცავს:**
    - დაუმთავრებელ წარმოებას;
    - მზა პროდუქციას;
    - ძვირფასი ქვებისა და ლითონებისაგან დამზადებულ მაღალი ღირებულების საიუველირო ნაწარმს, კოლექციებსა და სხვა ფასეულობებს;
    - შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილ საქონელს.
46. **ფასეულობებს (313) არ განეკუთვნება:**
    - ძვირფასი ქვები და ლითონები, როგორიცაა: ალმასი, არამონეტარული ოქრო, პლატინა, ვერცხლი და ა. შ., რაც არ არის განკუთვნილი წარმოების პროცესში მოხმარებისათვის შუალედური რესურსის სახით;
    - არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები;
    - ძვირფასი ქვებისა და ლითონებისაგან დამზადებული მაღალი ღირებულების საიუველირო ნაწარმი, კოლექციები და სხვა ფასეულობები;
    - ნახატები, ქანდაკებები და სხვა, რაც ხელოვნების ნიმუშად ან ანტიკვარიატადაა აღიარებული.
47. **არაწარმოებულ აქტივებს (314) არ განეკუთვნება:**
    - მიწა;
    - წიაღისეული;
    - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია;

- შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი.

48. **არაწარმოებულ არამატერიალურ აქტივებს (3144) არ განეკუთვნება:**
    - საიჯარო ხელშეკრულებები და სხვა კონტრაქტები;
    - არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები;
    - შეძენილი გუდვილი;
    - პატენტები.

49. **ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს (70121) არ მოიცავს:**
    - განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების მიზნით გაწეულ ხარჯებს, მათი სამსახურების ადმინისტრაციული და აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;
    - საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებული ეკონომიკური დახმარების განმახორციელებელი მისიების საქმიანობასთან, ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება/მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სტიპენდიების გაცემის პროგრამების ჩათვლით. აგრეთვე, ტრეინინგების ჩატარების ხარჯებს;
    - საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით სხვა ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებებს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, დაზღვევის ხაჯების ჩათვლით;
    - გრანტის (ფულადი ან სასაქონლო ფორმით) და კრედიტის სახით გაწეულ ეკონომიკურ დახმარებებს.

50. **საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება (70122) მოიცავს:**
    - გრანტის (ფულადი ან სასაქონლო ფორმით) და კრედიტის სახით გაწეულ ეკონომიკურ დახმარებებს;
    - საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებული ეკონომიკური დახმარების განმახორციელებელი მისიების საქმიანობასთან, ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება/მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სტიპენდიების გაცემის პროგრამების ჩათვლით. აგრეთვე, ტრეინინგების ჩატარების ხარჯებს;
    - განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების მიზნით გაწეულ ხარჯებს, მათი სამსახურების ადმინისტრაციული და აპარატების შენახვისა და ფუნქციონირების, აგრეთვე დაზღვევის ხარჯების ჩათვლით;
    - სხვა ქვეყნების დახმარების მიზნით ფულადი ან სასაქონლო ფორმით განხორციელებულ შენატანებს საერთაშორისო, რეგიონული და სხვა ინტერნაციონალური ორგანიზაციების ეკონომიკური განვითარების ფონდებში.

51. **საერთო დანიშნულების მომსახურება (7013) არ მოიცავს:**
    - საერთო საკადრო მომსახურებას;
    - საერთო დანიშნულების დაგეგმვას და სტატისტიკურ მომსახურებას;
    - საერთო დანიშნულების სხვა მომსახურებას;

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში გამოყენებითი კვლევების ჩატარებასა და ექსპერიმენტული განვითარების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

52. **ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევები (7014) მოიცავს:**
    - სახელმწიფო ერთეულების ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
    - ცენტრალიზებული კომპიუტერული და მონაცემთა ბაზის დამუშავების და მომსახურების ხარჯებს;
    - გრანტებსა და სუბსიდიებს, რომლებიც განკუთვნილია კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის ამ სფეროში განსახორციელებელი გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების და ექსპერიმენტების დასაფინანსებლად;
    - გრანტებსა და სუბსიდიებს, რომლებიც განკუთვნილია კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის ამ სფეროში განსახორციელებელი ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად.

53. **ვალთან დაკავშირებული ოპერაციები (7016) არ მოიცავს:**
    - ვალის საპროცენტო მომსახურების ხარჯებს;
    - კრედიტების საგარანტიო ხარჯებს;
    - სახელმწიფო ერთეულების ვალდებულებების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
    - ვალის მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ და ფისკალურ საქმიანობაში.

54. **საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა (70411) არ მოიცავს:**
    - გრანტებსა და სუბსიდიებს ზოგადი ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების მხარდასაჭერად;
    - მომხმარებლის შესაბამის ინფორმირებასა და მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
    - ექსპორტ-იმპორტის, შიდა ვაჭრობის, სამომხმარებლო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების რეგულირების, კონკურენტულ ვაჭრობასა და ბაზარზე გასვლასთან, აგრეთვე მონოპოლიების რეგულირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
    - შრომითი რესურსების რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებასთან და გავრცელებასთან, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

55. **შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები (70412) მოიცავს:**
    - გრანტებსა და სუბსიდიებს ზოგადი ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების მხარდასაჭერად;
    - საბანკო სექტორის კონტროლისა და რეგულირების, აგრეთვე იმ უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც ახორციელებენ პატენტის, სავაჭრო ნიშნების გაცემას, საავტორო უფლებების მინიჭებას, კომპანიების რეგისტრაციას, ამინდის პროგნოზს, ჰიდროლოგიურ და გეოდეზიურ კონტროლს, აგრეთვე სტანდარტების დაცვის მონიტორინგს;
    - მომხმარებლის შესაბამის ინფორმირებასა და მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

- იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელების ხარჯებს, რომლებიც მიმართულია სამუშაო ძალის მობილურობის გაზრდის, სქესობრივი, რასობრივი და ასაკობრივი და სხვა სახის დისკრიმინაციის, აგრეთვე ზოგადად უმუშევრობის დონის შემცირებისკენ, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი; შრომის ბირჟების და აღნიშნულ სფეროში სხვა საშუამავლო ორგანოების მომსახურების ხარჯებს.

56. კომუნალური მეურნეობის განვითარება (7062) მოიცავს:
   - წყალმომარაგების არაკომერციული სისტემების მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის ხარჯებს;
   - ბინათმშენებლობის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებული საერთო ხასიათის ინფორმაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებასთან, აგრეთვე, საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
   - გრანტებსა და სუბსიდიებს საბინაო ფონდის გაფართოების, გაუმჯობესებისა და შენახვის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს;
   - გრანტებსა და სუბსიდიებს კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.
57. ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება (70721) მოიცავს:
   - ორთოდონტი სტომატოლოგების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს;
   - ზოგადი პროფილის სამედიცინო კლინიკების, ამბულატორიებისა და საოჯახო მედიცინის ცენტრების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს;
   - სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების, ამბულატორიებისა და საოჯახო მედიცინის ცენტრების ან ექიმების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების ინსპექტირებასა და ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
   - სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების, ამბულატორიებისა და საოჯახო მედიცინის ცენტრების ან ექიმების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს.
58. განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება (7096) არ მოიცავს:
   - უმაღლესისშემდომი განათლების სფეროში პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხარჯებს;
   - განათლების სფეროს ზოგადი რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
   - საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ, აგრეთვე გამოცდებისათვის მომზადების საორგანიზაციო ხარჯებს;
   - განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს, როგორებიცაა: ტრანსპორტირება, კვება, ცხოვრება, სამედიცინო და სტომატოლოგიური მკურნალობა და სხვა დამხმარე მომსახურება.

59. აქტივი, რომელიც აძლევს უფლებას ერთ ინსტიტუციონალურ ერთეულს – აქტივის მფლობელს (ანუ კრედიტორს) მიიღოს ერთი ან რამდენიმე გადახდა მეორე ერთეულისაგან (დებიტორისგან) მათ შორის გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებისა და დებულებების თანახმად, არის:
   - კრედიტორული დავალიანება;
   - ვალდებულება;
   - დებიტორული დავალიანება;
   - ფინანსური მოთხოვნა.

60. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომელიც უნაწილდება მის წევრ ქვეყნებს არსებული სარეზერვო აქტივების შესავსებად, იწოდება:
   - ფორვარდული ტიპის კონტრაქტად;
   - სადაზღვევო ტექნიკურ რეზერვად;
   - მონეტარულ ოქროდ;
   - ნასესხობის სპეციალურ უფლებად.

დანართი 8.1: შემოსავლების კლასიფიკაცია[1]

კოდი								შემოსავლების სახეების დასახელება
1								შემოსავლები
1	1							გადასახადები
1	1	1						გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე
1	1	1	1					ფიზიკური პირებიდან
1	1	1	1	1				საშემოსავლო გადასახადი
1	1	1	1	1	1			დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი
1	1	1	1	1	1	1		სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან**
1	1	1	1	1	1	2		ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან**
1	1	1	1	1	1	3		არასაბიუჯეტო სექტორიდან **
1	1	1	1	1	2			გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან
1	1	1	1	1	2	1		გადასახადი ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან
1	1	1	1	1	2	2		გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან
1	1	1	1	1	2	3		გადასახადი არამეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №432 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3124302

1	1	1	1	1	3			გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1	1	1	1	1	4			გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტებიდან
1	1	1	1	1	5			გადასახადი დიპლომატიურ დანესებულებებში დასაქმებული რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლებიდან
1	1	1	1	1	6			არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა)
1	1	1	1	1	7			არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი, ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან**
1	1	1	1	1	8			გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან
1	1	1	1	1	9			გადასახადი ფიზიკური პირისთვის ქონების ჩუქებიდან
1	1	1	1	1	10			გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან
1	1	1	1	1	11			გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან
1	1	1	1	1	12			ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე
1	1	1	1	1	13			ფიქსირებული გადასახადიდან დასაბეგრ საქმიანობაზე
1	1	1	1	1	99			სხვა არაკლასიფიცირებული სამემოსავლო გადასახადი
1	1	1	2					გადასახადი საწარმოებიდან
1	1	1	2	1				მოგების გადასახადი
1	1	1	2	1	1			რეზიდენტი საწარმოებიდან
1	1	1	2	1	1	1		პროცენტებიდან**
1	1	1	2	1	1	2		სხვა მოგებიდან**
1	1	1	2	1	2			უცხოური საწარმოებიდან**
1	1	1	2	1	2	1		დივიდენდებიდან**
1	1	1	2	1	2	2		პროცენტებიდან**
1	1	1	2	1	2	3		სხვა მოგებიდან**
1	1	1	2	1	9			სხვა არაკლასიფიცირებული მოგების გადასახადი
1	1	1	3					სხვა გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია
1	1	2						გადასახადები ხელფასზე და სამუშაო ძალაზე*
1	1	3						გადასახადები ქონებაზე
1	1	3	1					გადასახადები უძრავ ქონებაზე
1	1	3	1	1				ქონების გადასახადი
1	1	3	1	1	1			საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)
1	1	3	1	1	2			უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)
1	1	3	1	1	3			ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)
1	1	3	1	1	3	1		ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე**
1	1	3	1	1	3	2		არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე**
1	1	3	1	1	3	3		საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე**
1	1	3	1	1	3	4		საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე)**
1	1	3	1	1	3	5		საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე**

1	1	3	1	1	3	6		საქართველოში რეგისტრირებულ შვეულმფრენებზე**
1	1	3	1	1	4			სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი
1	1	3	1	1	4	1		ფიზიკური პირებიდან
1	1	3	1	1	4	2		იურიდიული პირებიდან
1	1	3	1	1	5			არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი
1	1	3	1	1	5	1		ფიზიკური პირებიდან
1	1	3	1	1	5	2		იურიდიული პირებიდან
1	1	3	2					გადასახადები წმინდა მატერიალურ ფასეულობებზე*
1	1	3	4					გადასახადები კაპიტალის და ფინანსურ ოპერაციებზე*
1	1	3	5					ერთჯერადი გადასახადები ქონებაზე*
1	1	3	6					სხვა გადასახადები ქონებაზე*
1	1	4						გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე
1	1	4	1					საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე
1	1	4	1	1				დამატებული ღირებულების გადასახადი
1	1	4	1	1	1			საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განეული მომსახურებიდან
1	1	4	1	1	1	1		საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან**
1	1	4	1	1	1	2		საქართველოს ტერიტორიაზე განეული მომსახურებიდან**
1	1	4	1	1	1	2	1	რეზიდენტის მიერ**
1	1	4	1	1	1	2	2	არარეზიდენტის მიერ**
1	1	4	1	1	2			იმპორტირებული პროდუქციიდან
1	1	4	1	1	9			სხვა არაკლასიფიცირებული დამატებული ღირებულების გადასახადი
1	1	4	1	2				ვაჭრობის გადასახადი*
1	1	4	1	3				ბრუნვის გადასახადი და სხვა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე*
1	1	4	2					აქციზი
1	1	4	2	1				საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან
1	1	4	2	1	1			თამბაქოდან
1	1	4	2	1	1	1		ფიქსირებული გადასახადიდან
1	1	4	2	1	1	2		ადვალური გადასახადიდან
1	1	4	2	1	2			არაყიდან
1	1	4	2	1	3			სპირტიანი სასმელებიდან (არყის გარდა)
1	1	4	2	1	4			ლუდიდან
1	1	4	2	1	5			მობილური კავშირგაბმულობიდან
1	1	4	2	1	5	1		ადგილობრივი ზარებიდან
1	1	4	2	1	5	2		საერთაშორისო ზარებიდან
1	1	4	2	1	6			ბუნებრივი აირიდან
1	1	4	2	1	7			სხვა არაკლასიფიცირებული პროდუქციიდან
1	1	4	2	2				იმპორტირებული პროდუქციიდან
1	1	4	2	2	1			თამბაქოდან
1	1	4	2	2	1	1		ფიქსირებული გადასახადიდან
1	1	4	2	2	1	2		;დვალური გადასახადიდან

1	1	4	2	2	2			არაყიდან
1	1	4	2	2	3			ლუდიდან
1	1	4	2	2	4			ბენზინიდან
1	1	4	2	2	5			დიზელიდან
1	1	4	2	2	6			ნავთიდან
1	1	4	2	2	7			სხვა ნავთობპროდუქტებიდან
1	1	4	2	2	8			მსუბუქი ავტომობილებიდან
1	1	4	2	2	10			სხვა არაკლასიფიცირებული პროდუქციიდან
1	1	4	2	3				ექსპორტირებული პროდუქციიდან**
1	1	4	2	9				სხვა არაკლასიფიცირებული აქციზი
1	1	4	3					ფისკალური მონოპოლიების მოგება*
1	1	4	4					გადასახადები სპეციფიკურ მომსახურებაზე*
1	1	4	5					გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე*
1	1	4	5	1				გადასახადები ავტომობილებზე*
1	1	4	5	2				სხვა გადასახადები საქონლის გამოყენებაზე და საქონლის გამოყენების ან საქმიანობის განხორციელების ნებართვაზე*
1	1	4	6					სხვა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე*
1	1	5						გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე
1	1	5	1					იმპორტის გადასახადი
1	1	5	2					გადასახადები ექსპორტზე*
1	1	5	3					ექსპორტიორი ან იმპორტიორი ფისკალური მონოპოლიების მოგება*
1	1	5	4					ვალუტის გადამცვლელი ფისკალური მონოპოლიის მოგება*
1	1	5	5					გადასახადები ვალუტის გადაცვლაზე*
1	1	5	6					სხვა გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე*
1	1	6						სხვა გადასახადები
1	1	6	1					მენარმე სუბიექტებიდან
1	1	6	1	1				ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადები
1	1	6	1	2				გაუქმებული გადასახადები
1	1	6	1	3				ჯარიმები საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის გამო
1	1	6	1	3	1			ჯარიმები საგადასახადო სამართალდარღვევის გამო
1	1	6	1	3	1	1		ჯარიმა დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის
1	1	6	1	3	1	2		ჯარიმა დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის
1	1	6	1	3	1	3		ჯარიმა საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესის დარღვევისათვის
1	1	6	1	3	1	4		ჯარიმა საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებაზე, რეალიზაციაზე და ალურიცხაობაზე
1	1	6	1	3	1	5		ჯარიმა დღგ-სათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაზე
1	1	6	1	3	1	6		სხვა არაკლასიფიცირებული ჯარიმები საგადასახადო სამართალდარღვევის გამო
1	1	6	1	3	2			ჯარიმები საბაჟო სამართალდარღვევის გამო
1	1	6	1	4				საურავი

1	1	6	2					არამენარმე სუბიექტებიდან ან რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია
1	1	6	3					სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები
1	2							სოციალური შენატანები*
1	2	1						სოციალური დაზღვევის შენატანები*
1	2	1	1					დასაქმებულის შენატანები*
1	2	1	2					დამსაქმებლის შენატანები*
1	2	1	3					თვითდასაქმებულის ან არადასაქმებული პირის შენატანები*
1	2	1	4					სოციალური დაზღვევის შენატანები, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია*
1	2	2						სხვა სოციალური შენატანები*
1	2	2	1					დასაქმებულის შენატანები*
1	2	2	2					დამსაქმებლის შენატანები*
1	2	2	3					დარიცხული შენატანები*
1	3							გრანტები
1	3	1						საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები
1	3	1	1					მიმდინარე დანიშნულების გრანტები
1	3	1	2					კაპიტალური დანიშნულების გრანტები
1	3	2						უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები
1	3	2	1					მიმდინარე დანიშნულების გრანტები
1	3	2	2					კაპიტალური დანიშნულების გრანტები
1	3	3						სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები
1	3	3	1					გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან
1	3	3	1	1				გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან
1	3	3	1	1	1			მიმდინარე
1	3	3	1	1	1	1		გათანაბრებითი ტრანსფერი
1	3	3	1	1	1	2		მიზნობრივი ტრანსფერი
1	3	3	1	1	1	3		სპეციალური ტრანსფერი
1	3	3	1	1	1	4		სხვა
1	3	3	1	1	2			კაპიტალური
1	3	3	1	1	2	1		სპეციალური ტრანსფერი
1	3	3	1	1	2	2		კაპიტალური ტრანსფერი
1	3	3	1	1	2	3		სხვა
1	3	3	1	2				გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან
1	3	3	1	2	1			მიმდინარე
1	3	3	1	2	2			კაპიტალური
1	3	3	2					გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან
1	3	3	2	1				გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან
1	3	3	2	1	1			მიმდინარე
1	3	3	2	1	1	1		სპეციალური ტრანსფერი
1	3	3	2	1	1	2		სხვა
1	3	3	2	1	2			კაპიტალური
1	3	3	2	1	2	1		სპეციალური ტრანსფერი
1	3	3	2	1	2	2		კაპიტალური ტრანსფერი
1	3	3	2	1	2	3		სხვა

1	3	3	2	2				გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან
1	3	3	2	2	1			მიმდინარე
1	3	3	2	2	2			კაპიტალური
1	3	3	3					გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტიდან
1	3	3	3	1				გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან
1	3	3	3	1	1			მიმდინარე
1	3	3	3	1	1	1		სპეციალური ტრანსფერი
1	3	3	3	1	1	2		სხვა
1	3	3	3	1	2			კაპიტალური
1	3	3	3	1	2	1		სპეციალური ტრანსფერი
1	3	3	3	1	2	2		კაპიტალური ტრანსფერი
1	3	3	3	1	2	3		სხვა
1	3	3	3	2				გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან
1	3	3	3	2	1			მიმდინარე
1	3	3	3	2	2			კაპიტალური
1	4							სხვა შემოსავლები
1	4	1						შემოსავლები საკუთრებიდან
1	4	1	1					პროცენტები
1	4	1	1	1				ხელისუფლების სხვა დონის ორგანოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)
1	4	1	1	2				საფინანსო ინსტიტუტებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)
1	4	1	1	3				სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)
1	4	1	1	4				კერძო საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)
1	4	1	1	5				დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები
1	4	1	1	9				სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი პროცენტებიდან
1	4	1	2					დივიდენდები
1	4	1	2	1				სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები
1	4	1	2	2				შემოსავალი ეროვნული ბანკის მოგებიდან
1	4	1	2	9				შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული დივიდენდებიდან
1	4	1	3					კვაზი-კორპორაციებიდან მიღებული შემოსავლები*
1	4	1	4					შემოსავლები სადაზღვევო პოლისების ფლობიდან*
1	4	1	5					რენტა
1	4	1	5	1				მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის
1	4	1	5	1	1			მოსაკრებელი წიაღით სარგებლობის:თვის
1	4	1	5	1	2			მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის
1	4	1	5	1	3			მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის

1	4	1	5	1	4			მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის
1	4	1	5	1	5			მოსაკრებელი ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობისათვის
1	4	1	5	1	6			მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე
1	4	1	5	1	9			სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი
1	4	1	5	2				მოსაკრებელი თევზჭერის ლიცენზირებიდან
1	4	1	5	3				მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე
1	4	1	5	4				შემოსავალი მინის იჯარიდან და მართვამი (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან
1	4	1	5	5				სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები
1	4	1	5	9				სხვა არაკლასიფიცირებული რენტა
1	4	2						საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია
1	4	2	1					საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება
1	4	2	2					ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები
1	4	2	2	1				საბაჟო მოსაკრებელი**
1	4	2	2	2				სალიცენზიო მოსაკრებლები
1	4	2	2	2	1			მოსაკრებელი ჩვილ ბავშვთა კვებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	2			მოსაკრებელი ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	3			მოსაკრებელი ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	4			მოსაკრებელი სამხედრო-საბრძოლო და კონკრეტული სახეობის იარაღთან დაკავშირებული საქმიანობის (მათ შორის ვაჭრობის) გენერალური ან სპეციალური ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	5			მოსაკრებელი დაკვირვების ელექტრონული სამუალებების დამზადების, შეძენის, იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	6			მოსაკრებელი კერძო და სათემო მაუწყებლობის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	7			მოსაკრებელი ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის გადამუშავებისა და ტრანსპორტირების ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	8			მოსაკრებელი საგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური, სპეციალური და სხვა ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	9			მოსაკრებელი სიცოცხლის დაზღვევის, დაზღვევის (არა სიცოცხლისა) და გადაზღვევის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	10			მოსაკრებელი საბანკო საქმიანობის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო საქმიანობის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, აქტივების მმართველის საქმიანობის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	11			მოსაკრებელი სამედიცინო საქმიანობის გენერალური, სპეციალური და სხვა ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	12			მოსაკრებელი ნავთობისა და გაზის რესურსებით

								სარგებლობის გენერალური ან ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და ნავთობისა და გაზის მოპოვების სპეციალური ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	13			მოსაკრებელი ტყით სარგებლობის გენერალური ან ხე-ტყის დამზადებისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და მინისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	14			მოსაკრებელი ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით სარგებლობის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	15			მოსაკრებელი რეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	16			მოსაკრებელი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზირებიდან
1	4	2	2	2	99			სხვა არაკლასიფიცირებული სალიცენზიო მოსაკრებელი
1	4	2	2	3				სანებართვო მოსაკრებლები
1	4	2	2	3	1			მოსაკრებელი ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის და/ან იმპორტის ნებართვაზე
1	4	2	2	3	2			მოსაკრებელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვაზე
1	4	2	2	3	3			მოსაკრებელი ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებისა და ობიექტში წყალჩამვების ნებართვაზე
1	4	2	2	3	4			მოსაკრებელი შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვაზე
1	4	2	2	3	5			მოსაკრებელი სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვაზე
1	4	2	2	3	6			მოსაკრებელი ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ნებართვაზე
1	4	2	2	3	7			მოსაკრებელი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვაზე
1	4	2	2	3	8			მოსაკრებელი იარაღისა, საბრძოლო მასალის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის, ეკონომიკურ ტერიტორიაზე და საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვაზე
1	4	2	2	3	9			მოსაკრებელი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის, იარაღის ერთი სახეობის ცალკეული ეგზემპლიარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის, იარაღის შეძენის ნებართვაზე
1	4	2	2	3	10			მოსაკრებელი უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვაზე
1	4	2	2	3	11			მოსაკრებელი იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვაზე

1	4	2	2	3	12		მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე
1	4	2	2	3	13		მოსაკრებელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვაზე
1	4	2	2	3	14		მოსაკრებელი სამოქალაქო საწარმოო ობიექტების ექსპლოატაციის ნებართვაზე**
1	4	2	2	3	15		მოსაკრებელი საერთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისა და სატვირთო გადაზიდვის ნებართვაზე
1	4	2	2	3	16		მოსაკრებელი ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვაზე
1	4	2	2	3	17		მოსაკრებელი საავიაციო სამუშაოების წარმოებისა და არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვაზე
1	4	2	2	3	18		მოსაკრებელი უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტების, საწყობის (ღია ან/და დახურული), დროებითი შენახვის საწყობის (ღია ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვაზე
1	4	2	2	3	19		მოსაკრებელი სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვაზე
1	4	2	2	3	20		მოსაკრებელი სამკურნალო საშუალებების ექსპორტისა და იმპორტის, ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის და ფარმაცევტული წარმოების, I, II ჯგუფის აფთიაქების და საფთიაქო პუნქტის საქმიანობების ნებართვაზე
1	4	2	2	3	21		მოსაკრებელი არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვაზე
1	4	2	2	3	22		მოსაკრებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების, არქეოლოგიური სამუშაოებისა და საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვაზე
1	4	2	2	3	99		სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი
1	4	2	2	4			სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები
1	4	2	2	4	1		მოსაკრებელი სამშენებლო პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის სერტიფიცირებისათვის
1	4	2	2	4	2		საქართველოში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აუთენტურობის შესახებ და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოში ცნობის შესახებ გაცემული ცნობის მოსაკრებელი
1	4	2	2	4	3		ექიმისა და ფარმაცევტის სერტიფიცირების მოსაკრებელი
1	4	2	2	4	4		ობიექტისა და პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიცირების მოსაკრებლები
1	4	2	2	4	5		აუდიტორთა საკვალიფიკაციო სერტიფიცირების მოსაკრებელი

1	4	2	2	4	6			ალკოჰოლიანი სასმელების წარმოშობისა და ყურძნის ღვინოების, ეთილის სპირტის და სპირტიანი სასმელების შესაბამისობის სერტიფიცირების მოსაკრებელი
1	4	2	2	4	7			ვაზის სამყნობი და სარგავი მასალების (ნამყენი ნერგი) შესაბამისობის სერტიფიცირების მოსაკრებელი
1	4	2	2	4	8			ვეტერინარული მოწმობის (ფორმა №1 და ფორმა №2) გაცემისათვის მოსაკრებელი
1	4	2	2	4	9			ჯიშიანი პირუტყვის სერტიფიკატის (სანაშენე მოწმობის) მოსაკრებელი
1	4	2	2	4	10			სერტიფიცირების მოსაკრებელი თესლის თესვითი ხარისხის განსაზღვრისათვის
1	4	2	2	4	99			სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი
1	4	2	2	5				სარეგისტრაციო მოსაკრებლები
1	4	2	2	5	1			ფასიანი ქაღალდებისა და შეთავაზებების სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	5	2			საერთაშორისო, საქართველოს და ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების სარეგისტრაციო, აგრეთვე მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანაზე მოსაკრებელი
1	4	2	2	5	3			არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საქართველოში რეგისტრირებული და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის სარეგისტრაციო და მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანაზე მოსაკრებელი""
1	4	2	2	5	4			სატრანსპორტო საშუალებების ძარის, კაბინის ან ჩარჩოს, ძრავისა და მისაბმელის გადაფორმების სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	5	5			საზღვარგარეთ გასატან კულტურულ ფასეულობათა სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	5	6			სანარმოო ნესით დამზადებული ცხოველთა საკვების და საკვებდანამატების, პესტიციდების სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	5	7			სამედიცინო სამკურნალო საშუალებების, მასალების, ნაკეთობების და სხვა საგნების სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	5	8			ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სარეგისტრაციო და ხელახალი რეგისტრაციის მოსაკრებელი
1	4	2	2	5	9			სანარმოს, სანარმოს ფილიალის, მათ წესდებაში ან დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის, საქმიანობის შენყვეტის, ლიკვიდაციისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	5	99			სხვა არაკლასიფიცირებული სარეგისტრაციო მოსაკრებელი
1	4	2	2	6				სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი
1	4	2	2	6	1			მოსაკრებელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებული ექსპერტიზისათვის

1	4	2	2	6	2			მოსაკრებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებული ექსპერტიზისათვის
1	4	2	2	6	3			მოსაკრებელი სანარმოო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის
1	4	2	2	6	4			მოსაკრებელი მოძრავი ძეგლების, ქალაქებისა და სხვა დასახლებების კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონებში და ისტორიულ დასახლებებში შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, სარესტავრაციო სამუშაოებისა და ახალი მშენებლობების პროექტების ექსპერტიზისათვის
1	4	2	2	6	5			მოსაკრებელი ტექნიკური ზედამხედველობის სფეროში ექსპერტიზისათვის
1	4	2	2	6	6			მოსაკრებელი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის
1	4	2	2	6	9			სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი
1	4	2	2	7				სახელმწიფო ბაჟი
1	4	2	2	7	1			სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე
1	4	2	2	7	2			სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის**
1	4	2	2	7	3			სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის
1	4	2	2	7	4			სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტების აპოსტოლით დამოწმებისათვის
1	4	2	2	7	5			საქართველოს ბაჟი სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში საქართველოს ორდინალური ვიზის გაცემისათვის
1	4	2	2	7	6			სახელმწიფო ბაჟი დოკუმენტების გამოთხოვისათვის
1	4	2	2	7	7			სახელმწიფო ბაჟი დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის
1	4	2	2	7	9			სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ბაჟი
1	4	2	2	8				საკონსულო მოსაკრებელი
1	4	2	2	8	1			მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ შესრულებული საკონსულო მოქმედებებისათვის
1	4	2	2	8	2			მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებებისათვის
1	4	2	2	8	3			მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ დოკუმენტების გამოთხოვისათვის
1	4	2	2	8	4			მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის

1	4	2	2	8	5			მოსაკრებელი საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დანესებულებების მიერ შესრულებული საზღვაო და საჰაერო ხომალდების საკონსულო მომსახურებისათვის
1	4	2	2	8	9			სხვა არაკლასიფიცირებული საკონსულო მოსაკრებელი
1	4	2	2	9				საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი
1	4	2	2	10				სატენდერო მოსაკრებელი**
1	4	2	2	11				სააღსრულებო მოსაკრებელი**
1	4	2	2	12				სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი
1	4	2	2	13				სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი
1	4	2	2	13	1			კაზინოების (სამორინეების) სათამაშო მაგიდიდან
1	4	2	2	13	2			სათამაშო აპარატებიდან
1	4	2	2	13	3			ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან
1	4	2	2	13	4			წამახალისებელი გათამაშებიდან
1	4	2	2	13	5			სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან
1	4	2	2	13	6			ლატარიების მონყობაზე
1	4	2	2	13	9			სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი
1	4	2	2	14				მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის
1	4	2	2	15				კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი
1	4	2	2	16				მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის
1	4	2	2	17				პრობაციის მოსაკრებელი**
1	4	2	2	99				სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი
1	4	2	3					არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება
1	4	2	3	1				შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან
1	4	2	3	1	1			აქციზური მარკების ნომინალური ღირებულებიდან მიღებული შემოსავლები
1	4	2	3	1	9			სხვა არაკლასიფიცირებული საქონლის რეალიზაციიდან
1	4	2	3	2				შემოსავლები მომსახურების გაწევიდან
1	4	2	3	2	1			შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების ოკარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან
1	4	2	3	2	2			შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მონყობილობების ოკარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან
1	4	2	3	2	3			შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების ოკარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან
1	4	2	3	2	9			შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან
1	4	2	3	3				სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან
1	4	2	4					საქონლისა და მომსახურების რელიზაციის დარიცხვა*
1	4	3						სანქციები (ჯარიმები და საურავები)
1	4	3	1					შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)

								ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
1	4	3	1	1				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში
1	4	3	1	2				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
1	4	3	1	3				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში
1	4	3	1	4				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში
1	4	3	1	5				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მრეწველობის, ელექტრო- და თბოენერგიის გამოყენებისა და წყალმომარაგების დარგში
1	4	3	1	6				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სოფლის მეურნეობაში, ვეტერინარულ - სანიტარიული წესების დარღვევა
1	4	3	1	7				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში
1	4	3	1	7	1			საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო
1	4	3	1	7	2			დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო
1	4	3	1	7	3			უბილეთო მგზავრობის გამო
1	4	3	1	7	4			საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო
1	4	3	1	7	9			სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში
1	4	3	1	8				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში
1	4	3	1	9				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
1	4	3	1	10				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
1	4	3	1	11				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში
1	4	3	1	11	1			დასუფთავების წესების დარღვევის გამო

1	4	3	1	11	2			თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო
1	4	3	1	11	3			თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო
1	4	3	1	11	9			სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში
1	4	3	1	12				შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო
1	4	3	1	99				შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
1	4	3	2					შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზღვრის უკანონოდ დარღვევის გამო
1	4	3	3					შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევის გამო
1	4	3	4					შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
1	4	3	5					შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო
1	4	3	6					შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სათამაშო ბიზნესის სფეროში სანებართვო პირობების დარღვევის გამო
1	4	3	9					შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)
1	4	4						ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა
1	4	4	1					მიმდინარე
1	4	4	2					კაპიტალური
1	4	5						შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები
1	4	5	1					სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი
1	4	5	2					შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან
1	4	5	3					სახაზინო თავდებობიდან მიღებული შემოსავალი
1	4	5	4					ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი
1	4	5	5					სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი
1	4	5	6					შემოსავალი რეალიზებული ლატარიის ბილეთების ჯამური ღირებულების ნაკლიდან
1	4	5	7					შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე
1	4	5	8					გზათსარგებლობის საფასურით მიღებული შემოსავალი

1	4	6	0					შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან მიღებული შემოსავალი
1	4	5	9					სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები
შენიშვნა:								
* არ არის განსაზღვრული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან გამოიყენება მხოლოდ დარიცხვის მეთოდის დროს								
** გაუქმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან სხვა კანონქვემდებარე აქტებით								

დანართი 8.2: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია[1]

კოდი								დასახელება
2								ხარჯები
2	1							შრომის ანაზღაურება
2	1	1						ხელფასები
2	1	1	1					ხელფასები ფულადი ფორმით
2	1	1	1	1				თანამდებობრივი სარგო
2	1	1	1	2				ზოდებრივი სარგო
2	1	1	1	3				პრემია
2	1	1	1	4				დანამატი
2	1	1	1	5				ჰონორარი
2	1	1	1	6				კომპენსაცია
2	1	1	2					ხელფასები სასაქონლო ფორმით
2	1	2						სოციალური შენატანები
2	2							საქონელი და მომსახურება
2	2	1						შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება
2	2	2						მივლინება
2	2	2	1					მივლინება ქვეყნის შიგნით
2	2	2	2					მივლინება ქვეყნის გარეთ
2	2	3						ოფისის ხარჯები
2	2	3	1					საკანცელარიო, სანერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა
2	2	3	2					კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი
2	2	3	3					ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი
2	2	3	4					მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი
2	2	3	4	1				ტელევიზორი

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №415 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2656900

2	2	3	4	2			მაცივარი
2	2	3	4	3			კომპიუტერული ტექნიკა
2	2	3	4	4			ასლგადამღები
2	2	3	4	5			კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა
2	2	3	4	6			ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა
2	2	3	4	7			მობილური ტელეფონი
2	2	3	4	8			ტელეფონის, ფაქსის აპარატი
2	2	3	4	9			მუსიკალური ინსტრუმენტი
2	2	3	4	10			გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა
2	2	3	4	11			სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი
2	2	3	5				საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი
2	2	3	5	1			საოფისე ავეჯი
2	2	3	5	2			რბილი ავეჯი
2	2	3	5	3			სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი
2	2	3	6				ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი
2	2	3	7				რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯი
2	2	3	8				შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი
2	2	3	9				საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი
2	2	3	10				კავშირგაბმულობის ხარჯი
2	2	3	11				საფოსტო მომსახურების ხარჯი
2	2	3	12				კომუნალური ხარჯი
2	2	3	12	1			ელექტროენერგიის ხარჯი
2	2	3	12	2			წყლის ხარჯი
2	2	3	12	3			ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი
2	2	3	12	4			კანალიზაციისა და ასინილიზაციის ხარჯი
2	2	3	12	5			გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯი
2	2	3	12	6			შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი
2	2	3	12	7			სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული ბინით სარგებლობის კომუნალური ხარჯი
2	2	3	13				სამსახურებრივი ცხოველების მოვლა-შენახვასთან და აღკაზმულობასთან დაკავშირებული ხარჯი
2	2	3	14				ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული
2	2	4					წარმომადგენლობითი ხარჯები
2	2	5					ჯვების ხარჯები
2	2	6					სამედიცინო ხარჯები
2	2	7					რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები
2	2	8					ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები
2	2	8	1				საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი
2	2	8	2				მიმდინარე რემონტის ხარჯი

2	2	8	3				ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი
2	2	8	4				ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი
2	2	8	5				მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა შენახვის ხარჯი
2	2	8	6				ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები
2	2	9					სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-ჭამლის შეძენის ხარჯები
2	2	10					სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება
2	2	10	1				ბანკის მომსახურების ხარჯი
2	2	10	2				დიპლომატიური დანესებულებების შენახვისა და ატაშატის ხარჯი
2	2	10	3				ექსპერტიზის და შემონმებების ხარჯი
2	2	10	4				კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი
2	2	10	5				რეკლამის ხარჯი
2	2	10	6				სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი
2	2	10	7				საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი
2	2	10	8				აუდიტორიული მომსახურების ხარჯი
2	2	10	9				საარქივო მომსახურების ხარჯი
2	2	10	10				შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი
2	2	10	11				ბინის ქირა
2	2	10	12				კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები
2	2	10	13				მაუწყებლობის ხარჯები
2	2	10	14				სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე განეული დანარჩენი ხარჯი
2	3						ძირითადი კაპიტალის მოხმარება*
2	4						პროცენტი
2	4	1					საგარეო ვალდებულებებზე
2	4	1	1				ორმხრივ კრედიტორებზე
2	4	1	2				მრავალმხრივ კრედიტორებზე
2	4	1	3				კომერციულ ორგანიზაციებზე
2	4	1	4				სხვა საგარეო ვალდებულებებზე
2	4	2					სამინაო ერთეულებზე, გარდა სახელმნიფო ერთეულებისა
2	4	3					სახელმნიფო ერთეულებიდან აღებულ სამინაო ვალდებულებებზე
2	5						სუბსიდიები
2	6						გრანტები
2	6	1					გრანტები უცხო სახელმნიფოთა მთავრობებს
2	6	1	1				მიმდინარე
2	6	1	2				კაპიტალური
2	6	2					გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს
2	6	2	1				მიმდინარე
2	6	2	2				კაპიტალური

2	6	3					გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებს
2	6	3	1				მიმდინარე
2	6	3	2				კაპიტალური
2	6	3	1				გრანტები ცენტრალურ ბიუჯეტს
2	6	3	1	1			გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტს
2	6	3	1	1	1		მიმდინარე
2	6	3	1	1	2		კაპიტალური
2	6	3	1	2			გრანტები ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ(ებ)-ს/ა(ა)იპ(ებ)-ს
2	6	3	1	2	1		მიმდინარე
2	6	3	1	2	2		კაპიტალური
2	6	3	2				გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიან ბიუჯეტს
2	6	3	2	1			გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს
2	6	3	2	1	1		მიმდინარე
2	6	3	2	1	1	1	სპეციალური ტრანსფერი
2	6	3	2	1	1	2	სხვა
2	6	3	2	1	2		კაპიტალური
2	6	3	2	1	2	1	სპეციალური ტრანსფერი
2	6	3	2	1	2	2	კაპიტალური ტრანსფერი
2	6	3	2	1	2	3	სხვა
2	6	3	2	2			გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-ს/ა(ა)იპ(ბ)-ს
2	6	3	2	2	1		მიმდინარე
2	6	3	2	2	2		კაპიტალური
2	6	3	3				გრანტები ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს
2	6	3	3	1			გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს
2	6	3	3	1	1		მიმდინარე
2	6	3	3	1	1	1	გათანაბრებითი ტრანსფერი
2	6	3	3	1	1	2	მიზნობრივი ტრანსფერი
2	6	3	3	1	1	3	სპეციალური ტრანსფერი
2	6	3	3	1	1	4	სხვა
2	6	3	3	1	2		კაპიტალური
2	6	3	3	1	2	1	სპეციალური ტრანსფერი
2	6	3	3	1	2	2	კაპიტალური ტრანსფერი
2	6	3	3	1	2	3	სხვა
2	6	3	3	2			გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-ს/ა(ა)იპ(ბ)-ს
2	6	3	3	2	1		მიმდინარე
2	6	3	3	2	2		კაპიტალური
2	7						სოციალური უზრუნველყოფა
2	7	1					სოციალური დაზღვევა
2	7	1	1				ფულადი ფორმით
2	7	1	2				სასაქონლო ფორმით
2	7	2					სოციალური დახმარება
2	7	2	1				ფულადი ფორმით
2	7	2	2				სასაქონლო ფორმით
2	7	3					დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება
2	7	3	1				ფულადი ფორმით
2	7	3	2				სასაქონლო ფორმით
2	8						სხვა ხარჯები

2	8	1					ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა
2	8	2					სხვადასხვა ხარჯები
2	8	2	1				სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები
2	8	2	1	1			სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი
2	8	2	1	2			შენობების დაზღვევის ხარჯი
2	8	2	1	3			დანადგარების დაზღვევის ხარჯი
2	8	2	1	4			სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი
2	8	2	1	5			პერსონალის დაზღვევის ხარჯი
2	8	2	1	6			დაზღვევის სხვა ხარჯები
2	8	2	1	7			მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯი
2	8	2	1	8			სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯი
2	8	2	1	9			სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიების ხარჯი
2	8	2	1	10			პრეზიდენტის სახელობის გრანტების ხარჯი
2	8	2	1	11			პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიების ხარჯი
2	8	2	1	12			პრეზიდენტის სახელობის სამეცნიერო გრანტების ხარჯი
2	8	2	1	13			სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი
2	8	2	1	14			სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი
2	8	2	1	15			გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ისა)
2	8	2	1	16			მოსაკრებლები
2	8	2	1	17			საკომისიოები
2	8	2	1	18			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი
2	8	2	2				სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები

დანართი 8.3: არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია[1]

კოდები					აქტივების კოდები					დასახელება
31					61					არაფინანსური აქტივები
31	1				61	1				ძირითადი აქტივები
31	1	1			61	1	1			შენობა-ნაგებობები
31	1	1	1		61	1	1	1		საცხოვრებელი შენობები
31	1	1	2		61	1	1	2		არასაცხოვრებელი შენობები
31	1	1	3		61	1	1	3		საგზაო მაგისტრალები
31	1	1	4		61	1	1	4		ტუჩები

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №387 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400834

კოდები					აქტივების კოდები					დასახელება
31	1	1	5		61	1	1	5		გზები
31	1	1	6		61	1	1	6		ხიდები
31	1	1	7		61	1	1	7		გვირაბები
31	1	1	8		61	1	1	8		საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები
31	1	1	9		61	1	1	9		ელექტროგადამცემი ხაზები
31	1	1	10		61	1	1	10		მილსადენები
31	1	1	11		61	1	1	11		სხვა შენობა-ნაგებობები
31	1	2			61	1	2			მანქანა-დანადგარები და ინვენტარი
31	1	2	1		61	1	2	1		სატრანსპორტო საშუალებები
31	1	2	1	1	61	1	2	1	1	სატვირთო ავტომობილი
31	1	2	1	2	61	1	2	1	2	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი
31	1	2	1	3	61	1	2	1	3	მსუბუქი ავტომობილი
31	1	2	1	4	61	1	2	1	4	ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა
31	1	2	1	5	61	1	2	1	5	ბულდოზერები და სხვა დანარჩენი სპეციალური ტექნიკა
31	1	2	1	6	61	1	2	1	6	სხვა სატრანსპორტო საშუალებები
31	1	2	2		61	1	2	2		სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი
31	1	2	2	1	61	1	2	2	1	ტელევიზორი
31	1	2	2	2	61	1	2	2	2	მაცივარი
31	1	2	2	3	61	1	2	2	3	კომპიუტერი
31	1	2	2	4	61	1	2	2	4	მობილური ტელეფონი
31	1	2	2	5	61	1	2	2	5	პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები
31	1	2	2	6	61	1	2	2	6	უწყვეტი კვების წყარო
31	1	2	2	7	61	1	2	2	7	ხმის ჩამწერი აპარატურა
31	1	2	2	8	61	1	2	2	8	ფოტოაპარატი
31	1	2	2	9	61	1	2	2	9	ვიდეო-აუდიო აპარატური
31	1	2	2	10	61	1	2	2	10	ტელეფონის, ფაქსის აპარატი
31	1	2	2	11	61	1	2	2	11	მუსიკალური ინსტრუმენტი
31	1	2	2	12	61	1	2	2	12	სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები
31	1	2	2	13	61	1	2	2	13	ოპტიკური ხელსაწყო
31	1	2	2	14	61	1	2	2	14	ავეჯი
31	1	2	2	15	61	1	2	2	15	რბილი ავეჯი
31	1	2	2	16	61	1	2	2	16	მაჯის და სხვა ტიპის საათი
31	1	2	2	17	61	1	2	2	17	სპორტული საქონელი
31	1	2	2	18	61	1	2	2	18	ნახატი, ქანდაკება, ხელოვნების სხვა ნიმუშები, ანტიკვარიატი და ძვირადღირებული კოლექციები
31	1	2	2	19	61	1	2	2	19	კოსტიუმები
31	1	2	2	20	61	1	2	2	20	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული
31	1	3			61	1	3			სხვა ძირითადი აქტივები

კოდები					აქტივების კოდები					დასახელება
31	1	3	1		61	1	3	1		კულტივირებული აქტივები
31	1	3	2		61	1	3	2		არამატერიალური ძირითადი აქტივები
31	1	3	2	1	61	1	3	2	1	ლიცენზიები
31	1	3	2	2	61	1	3	2	2	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები
31	2				61	2				მატერიალური მარაგები
31	2	1			61	2	1			სტრატეგიული მარაგები
31	2	2			61	2	2			სხვა მატერიალური მარაგები
31	2	2	1		61	2	2	1		ნედლეული და მასალები
31	2	2	2		61	2	2	2		დაუმთავრებელი წარმოება
31	2	2	3		61	2	2	3		მზა პროდუქცია
31	2	2	4		61	2	2	4		შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი
31	3				61	3				ფასეულობები
31	4				61	4				არანარმოებული აქტივები
31	4	1			61	4	1			მიწა
31	4	2			61	4	2			წიაღისეული
31	4	3			61	4	3			სხვა ბუნებრივი აქტივები
31	4	3	1		61	4	3	1		რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია
31	4	3	2		61	4	3	2		სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები
31	4	4			61	4	4			არანარმოებული არამატერიალური აქტივები

დანართი 8.4: ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია[1]

ფუნქციონალური კოდი				დასახელება
7				მთლიანი ხარჯები
7	01			საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
7	01	1		აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები
7	01	1	1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა
7	01	1	2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა
7	01	1	3	საგარეო ურთიერთობები

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1033317.

ფუნქციონალური კოდი				დასახელება
7	01	2		საგარეო ეკონომიკური დახმარება
7	01	2	1	ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს
7	01	2	2	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება
7	01	3		საერთო დანიშნულების მომსახურება
7	01	3	1	საერთო საკადრო მომსახურება
7	01	3	2	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება
7	01	3	3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება
7	01	4		ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევები
7	01	5		გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში
7	01	6		ვალთან დაკავშირებული ოპერაციები
7	01	7		საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის
7	01	8		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში
7	02			თავდაცვა
7	02	1		შეიარაღებული ძალები
7	02	2		სამოქალაქო თავდაცვა
7	02	3		საგარეო სამხედრო დახმარება
7	02	4		გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში
7	02	5		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში
7	03			საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
7	03	1		პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა
7	03	2		სახანძრო-სამაშველო სამსახური
7	03	3		სასამართლოები და პროკურატურა
7	03	4		სასჯელაღსრულების დაწესებულებები
7	03	5		გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში
7	03	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და საფრთხოების სფეროში
7	04			ეკონომიკური საქმიანობა
7	04	1		საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა
7	04	1	1	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა
7	04	1	2	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები
7	04	2		სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა
7	04	2	1	სოფლის მეურნეობა
7	04	2	2	სატყეო მეურნეობა
7	04	2	3	მეთევზეობა და მონადირეობა

ფუნქციონალური კოდი				დასახელება
7	04	3		სათბობი და ენერგეტიკა
7	04	3	1	ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი
7	04	3	2	ნავთობი და ბუნებრივი აირი
7	04	3	3	ბირთვული საწვავი
7	04	3	4	სხვა სახის საწვავი
7	04	3	5	ელექტროენერგეტიკა
7	04	3	6	არაელექტრული ენერგია
7	04	4		სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა
7	04	4	1	მინერალური რესურსების მოპოვება მინერალური საწვავის გარდა
7	04	4	2	გადამამუშავებელი მრეწველობა
7	04	4	3	მშენებლობა
7	04	5		ტრანსპორტი
7	04	5	1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები
7	04	5	2	საზღვაო ტრანსპორტი
7	04	5	3	სარკინიგზო ტრანსპორტი
7	04	5	4	საჰაერო ტრანსპორტი
7	04	5	5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები
7	04	6		კავშირგაბმულობა
7	04	7		ეკონომიკის სხვა დარგები
7	04	7	1	ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება
7	04	7	2	სასტუმროები და რესტორნები
7	04	7	3	ტურიზმი
7	04	7	4	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები
7	04	8		გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში
7	04	8	1	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში
7	04	8	2	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში
7	04	8	3	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში
7	04	8	4	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში
7	04	8	5	გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში
7	04	8	6	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში
7	04	8	7	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში
7	04	9		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში
7	05			გარემოს დაცვა
7	05	1		ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება
7	05	2		ჩამდინარე წყლების მართვა
7	05	3		გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა ..
7	05	4		ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა
7	05	5		გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში

ფუნქციონალური კოდი				დასახელება
7	05	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში
7	06			საბინაო-კომუნალური მეურნეობა
7	06	1		ბინათმშენებლობა
7	06	2		კომუნალური მეურნეობის განვითარება
7	06	3		წყალმომარაგება
7	06	4		გარე განათება
7	06	5		გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში
7	06	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში
7	07			ჯანმრთელობის დაცვა
7	07	1		სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები
7	07	1	1	ფარმაცევტული პროდუქცია
7	07	1	2	სხვა სამედიცინო პროდუქცია
7	07	1	3	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები
7	07	2		ამბულატორიული მომსახურება
7	07	2	1	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება
7	07	2	2	სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურება
7	07	2	3	სტომატოლოგიური მომსახურება
7	07	2	4	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება
7	07	3		საავადმყოფოების მომსახურება
7	07	3	1	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება
7	07	3	2	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება
7	07	3	3	სამედიცინო ცენტრებისა და საშობაიარო სახლების მომსახურება
7	07	3	4	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება
7	07	4		საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
7	07	5		გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
7	07	6		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
7	08			დასვენება, კულტურა და რელიგია
7	08	1		მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში
7	08	2		მომსახურება კულტურის სფეროში
7	08	3		ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა
7	08	4		რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა
7	08	5		გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში
7	08	6		ხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში
7	09			განათლება
7	09	1		სკოლამდელი აღზრდა
7	09	2		ზოგადი განათლება

ფუნქციონალური კოდი				დასახელება
7	09	2	1	დაწყებითი ზოგადი განათლება
7	09	2	2	საბაზო ზოგადი განათლება
7	09	2	3	საშუალო ზოგადი განათლება
7	09	3		პროფესიული განათლება
7	09	4		უმაღლესი განათლება
7	09	4	1	უმაღლესი პროფესიული განათლება
7	09	4	2	უმაღლესი აკადემიური განათლება
7	09	5		უმაღლესისშემდგომი განათლება
7	09	6		განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება
7	09	7		გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში
7	09	8		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში
7	10			სოციალური დაცვა
7	10	1		ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა
7	10	1	1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა
7	10	1	2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა
7	10	2		სანდაზმულთა სოციალური დაცვა
7	10	3		მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა
7	10	4		ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა
7	10	5		უმუშევართა სოციალური დაცვა
7	10	6		საცხოვრებლით უზრუნველყოფა
7	10	7		სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას
7	10	8		გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში
7	10	9		სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში

დანართი 8.5: ფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია[1]

აქტივებზე ოპერაციების კოდები			აქტივების კოდები			დასახელება
32			62			ფინანსური აქტივები
32	1		62	1		საშინაო
32	1	2	62	1	2	ვალუტა და დეპოზიტები
32	1	3	62	1	3	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა
32	1	4	62	1	4	სესხები
32	1	5	62	1	5	აქციები და სხვა კაპიტალი
32	1	6	62	1	6	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები
32	1	7	62	1	7	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები
32	1	8	62	1	8	სხვა დებიტორული დავალიანებები
32	2		62	2		საგარეო
32	2	2	62	2	2	ვალუტა და დეპოზიტები
32	2	3	62	2	3	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა
32	2	4	62	2	4	სესხები
32	2	5	62	2	5	აქციები და სხვა კაპიტალი
32	2	6	62	2	6	დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
32	2	7	62	2	7	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები
32	2	8	62	2	8	სხვა დებიტორული დავალიანებები
32	3		62	3		მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე": https://matsne.gov.ge/ka/document/view/1033317.

დანართი 8.6: ვალდებულებებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია[1]

ვალდებულებებზე ოპერაციების კოდები			ვალდებულებების კოდები			დასახელება
33			63			ვალდებულებები
33	1		63	1		საშინაო
33	1	2	63	1	2	ვალუტა და დეპოზიტები
33	1	3	63	1	3	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა
33	1	4	63	1	4	სესხები
33	1	5	63	1	5	აქციები და სხვა კაპიტალი (მხოლოდ სახელმწიფო სანარმოები და ორგანიზაციები)
33	1	6	63	1	6	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები
33	1	7	63	1	7	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები
33	1	8	63	1	8	სხვა კრედიტორული დავალიანებები
33	2		63	2		საგარეო
33	2	2	63	2	2	ვალუტა და დეპოზიტები
33	2	3	63	2	3	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა
33	2	4	63	2	4	სესხები
33	2	5	63	2	5	აქციები და სხვა კაპიტალი (მხოლოდ სახელმწიფო სანარმოები და ორგანიზაციები)
33	2	6	63	2	6	დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
33	2	7	63	2	7	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები
33	2	8	63	2	8	სხვა კრედიტორული დავალიანებები

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე": https://matsne.gov.ge/ka/document/view/1033317.

თემა 9

ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის მართვა

აუცილებელია ყოველმხრივ განვავითაროთ და განვამტკიცოთ ქვეყნის საბანკო სისტემა, მაგრამ, ამასთან, უზრუნველვყოთ მკაცრი კონტროლი საკრედიტო ემისიის სიდიდეზე, ბანკების საიმედოობასა და მათი ხელმძღვანელების პატიოსნებაზე, რათა ეკონომიკაში არ გაჩნდეს არაუზრუნველყოფილი ფული, ხოლო მოქალაქეები და ფირმები ხალისით სარგებლობდნენ საბანკო მომსახურებით და მზად იყვნენ შეინახონ ბანკებში თავისი დანაზოგები.
ი. ლიპსიცი

„ბანკი არის ადგილი, სადაც თქვენ გაძლევენ ქოლგას მზიან ამინდში, შემდეგ კი გთხოვენ მის დაბრუნებას, როცა წვიმა იწყება".
რ. ფროსტი

„ბანკის პროცენტებმა არც დასვენება იციან და არც ღვთის მსახურება. ისინი მუშაობენ ღამითაც, კვირაობითაც და ავდარშიც".
ბ. შოუ

„კრედიტი ორპირი მახვილია. ვინც კრედიტით მოპოვებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფებაა, და ვინც გაფლანგავს და ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელია და საფლავის მთხრელი".
ი. ჭავჭავაძე

გეგმა:

9.1. ბიუჯეტის დეფიციტი და მისი დაფინანსების წყაროები;
9.2. სახელმწიფო კრედიტის არსი და ფუნქციები;
9.3. სახელმწიფო სესხების კლასიფიკაცია;
9.4. სახელმწიფო ვალის მართვა;
9.5. სახელმწიფო ვალის მართვის პრობლემები საქართველოში;
- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

9.1. ბიუჯეტის დეფიციტი და მისი დაფინანსების წყაროები

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის ბალანსს აქვს 9.1. ცხრილში წარმოდგენილი ფორმა.

ცხრილი 9.1: ბიუჯეტის ბალანსის ფორმა

დასახელება
I. შემოსავლები
გადასახადები

სოციალური შენატანები
გრანტები
სხვა შემოსავლები
II. ხარჯები
შრომის ანაზღაურება
საქონელი და მომსახურება
პროცენტი
სუბსიდიები
გრანტები
სოციალური უზრუნველყოფა
სხვა ხარჯები
III. საოპერაციო სალდო
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება
ზრდა
კლება
V. მთლიანი სალდო
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება
ზრდა
ვალუტა და დეპოზიტები
სესხები
აქციები და სხვა კაპიტალი
კლება
ვალუტა და დეპოზიტები
სესხები
აქციები და სხვა კაპიტალი

ბიუჯეტის ბალანსი შედგენილი უნდა იყოს 9.1. ცხრილში წარმოდგენილი ფორმის შესაბამისად. ბალანსში მუხლები შესაძლებელია ასახულ იქნეს უფრო დაბალი თანრიგების მიხედვით, ხოლო ფინანსური აქტივები დაიყოს საშინაო და საგარეო წყაროების მიხედვით. არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლება წარმოდგენილი უნდა იყოს დადებითი მაჩვენებლებით და, შესაბამისად, აღნიშნული მუხლების ცვლილების გაანგარიშება ხორციელდება ზრდის და კლების მაჩვენებლების სხვაობით.

ბიუჯეტის ბალანსში **შემოსავლები** წარმოადგენს გადასახადების, სოციალური შენატანების, გრანტებისა და სხვა შემოსავლების ჯამს.

ბიუჯეტის ბალანსში **ხარჯები** წარმოადგენს შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების (დარიცხვის მეთოდზე გადასვლის შემდგომ), პროცენტის, სუბსიდიების, გრანტების, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა ხარჯების ჯამს.

საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სი-

დიდე. შესაბამისად, დადებითი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში უფრო მეტი მიმდინარე შემოსავალია, ვიდრე მიმდინარე დანიშნულების ხარჯები. უარყოფითი მაჩვენებელი კი პირიქით, გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდის მიმდინარე შემოსავალი ნაკლებია მიმდინარე დანიშნულების ხარჯებზე და, შესაბამისად, ვერ ხდება მიმდინარე დანაზოგის დაგროვება.

არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოადგენს არაფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით.

მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის მოცულობას.

ფინანსური აქტივების ცვლილება და ვალდებულებების ცვლილება წარმოადგენს ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით.

ბიუჯეტის ბალანსის გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი. ბალანსი, მისი პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია იყოს ნულის ტოლი.

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ძველი საბიუჯეტო კლასიფიკაციით ბიუჯეტის დეფიციტი განიმარტებოდა როგორც ხარჯების მეტობა შემოსავლებზე. ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია კი **ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის ახლებურ განმარტებას** გვთავაზობს.

როგორც ბიუჯეტის ბალანსის ახალი ფორმიდან ჩანს, შემოსავლებისა და ხარჯების გარდა, ასევე არსებობს ოპერაციები არაფინანსურ აქტივებთან, ოპერაციები ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით. ფულის დახარჯვა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ხარჯი, ან როგორც ერთ-ერთი ოპერაცია არაფინანსურ/ფინანსურ აქტივებთან თუ ვალდებულებებთან მიმართებაში. მაგალითად, ხაზინიდან ხელფასის გაცემა არის ხარჯი (ეკონომიკური კლასიფიკაცია), ხოლო ხაზინიდან ფულის დახარჯვა შენობის შესაძენად არის ოპერაცია არაფინანსურ აქტივებზე, რომელიც ზრდის მთლიან აქტივებს. ანალოგიურად, ნებისმიერი თანხის შემოტანა ხაზინაში არ ნიშნავს შემოსავალს. მაგალითად, მოგების გადასახადიდან ხაზინაში შესული ფული არის შემოსავალი, ხოლო შენობის პრივატიზაციით მიღებული ფული არის ოპერაცია არაფინანსურ აქტივებზე, რომელმაც შეამცირა ქვეყნის მთლიანი აქტივების ოდენობა. ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის გაანგარიშებისას ეს გარემოება მიღებულია მხედველობაში.

არსებობს ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო. დადებითი სალდო ნიშნავს პროფიციტს, უარყოფითი - დეფიციტს.


საოპერაციო სალდოს გამოსაანგარიშებლად შემოსავლებს აკლებენ ხარჯებს. თუ მივიღებთ დადებით რიცხვს, ბიუჯეტს გააჩნია საოპერაციო პროფიციტი, თუ უარყოფითს – საოპერაციო დეფიციტი.


მთლიანი სალდოს გასაანგარიშებლად პირველ რიგში უნდა ვნახოთ, თუ როგორ შეიცვალა სახელმწიფოს აქტივები. არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციით გავიგებთ სახელმწიფოს არაფინანსური აქტივები მთლიანობაში გაიზარდა თუ შემცირდა (ანუ სახელმწიფომ უფრო მეტი შეიძინა თუ უფრო მეტი გაასხვისა). აქ გავიგებთ, არაფინანურ აქტივებზე სალდო დადებითია თუ უარყოფითი. არაფინანსური აქტივები პლიუსით ნიშნავს, რომ მთლიანობაში ქვეყანაში არაფინანსური აქტივები გაიზარდა; ხოლო მინუს ნიშნით კი - მთლიანობაში ქვეყნის არაფინანსური აქტივები შემცირდა. ანგარიშის ბოლო ეტაპზე საოპერაციო სალდოს აკლებენ ზემოთ მიღებულ რიცხვს (ან უმატებენ - გააჩნია რა ნიშანი აქვს). საბოლოოდ მიღებული რიცხვი თუ დადებითია, ბიუჯეტს გააჩნია მთლიანი პროფიციტი, თუ უარყოფითი - მაშინ დეფიციტი.

ყურადსაღებია საკითხი **სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების** დადგენის თაობაზე – ჯამურად სახელმწიფომ მეტი ფინანსური აქტივი შეიძინა თუ გაასხვისა, ფინანსური ვალდებულებები აიღო, თუ დაფარა. ამ ანგარიშის შედეგად, თუ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს ჯამურად გაეზარდა ფინანსური აქტივები და/ან შეუმცირდა ვალდებულებები, მაშინ მიღებული რიცხვი დადებითია, და პირიქით - უარყოფითი.

მთლიანი სალდო (პროფიციტი/დეფიციტი) ბალანსდება ფინანსური აქტივების/ვალდებულებების ცვლილებით. ამდენად, **მთლიანი სალდო ყოველთვის ტოლია ფინანსური აქტივების/ვალდებულებების ცვლილებისა.** მაგალითად, თუ ვთქვათ ქვეყანას მთლიანი სალდო დადებითი აქვს, ეს ნამეტი ფული სადღაც ხომ უნდა იყოს განთავსებული: ან ხაზინაში გაიზარდა ფულის ნაშთი, ან ვალები დაიფარა და ა.შ. და პირიქით, თუ მთლიანი სალდო უარყოფითია, ლოგიკურად, დეფიციტი ქვეყანამ საიდანღაც ხომ უნდა დააფინანსოს: ეს დაფინანსება მოდის ან ხაზინაში ფულის ნაშთის შემცირებით, ან ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ან სხვა მსგავსი ოპერაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნული სქემატურად ასახულია **9.1 ნახაზზე.**





ნახაზი 9.1: ბიუჯეტის ბალანსის უზრუნველყოფის სქემა

ამრიგად, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუჯეტის დეფიციტი.

ბიუჯეტის დეფიციტი არ მიეკუთვნება საგანგაშო განსაკუთრებულ ფინანსურ მოვლენას, თუ მისი დონე არ აღემატება ერთნიშნა ციფრს. მსოფლიოში არ არის ქვეყანა, რომელსაც სხვადასხვა დონით არ ჰქონდეს ბიუჯეტის დეფიციტი, მაგრამ მისი გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და მდგომარეობაზე სხვადასხვა ზომით გამოიხატება. ასევე განსხვავებულია დეფიციტის ხასიათიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ქვეყნების უმრავლესობისათვის ნორმალური მოვლენაა (რა თქმა უნდა, სანამ იგი

არ მიუახლოვდება საშიშ ზღვარს)[1]. მთავარი ის არის, რომ დეფიციტმა არ გადააჭარბოს დასაშვებ ზღვარს.

მსოფლიო პრიქტიკით დასტურდება, რომ ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება დაკავშირებული იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიზნით მსხვილი ინვესტიციების გამოყოფასთან, საგანგაშო მოვლენებთან - ომი, სტიქიური უბედურება, სოციალური აფეთქება, ეკონომიკური კრიზისის გამწვავება (როცა მთავრობა ვერ მართავს სიტუაციას და მის კონტროლს მიღმაა დარჩენილი ქვეყნის ფინანსური ურთიერთობები) და სხვ.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე დამოკიდებულია სახელმწიფო ხარჯების დონესა და საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთებზე, რომლებმაც დიდი გავლენა შეიძლება მოახდინონ ერთობლივ მოთხოვნაზე და, აქედან გამომდინარე, მშპ-ის მოცულობაზე.

საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მზარდი მოცულობა ზრდის როგორც შემოსავლების დონეს, ისე გადასახადების მთლიან მოცულობას. ამიტომ შეიძლება დაისვას შემდეგი ორი კითხვა: ჯერ-ერთი, რამდენად დასაშვებია სახელმწიფო ხარჯების მატებას, ბიუჯეტის დეფიციტის გადიდების ნაცვლად, მოყვეს მისი შემცირება? და მეორე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ხარჯების მატებამ ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლების უნარი შეიძინოს და ამით ამოსაღები გადასახადების თანხამ გადაამეტოს სახელმწიფო ხარჯების მატებას?

ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვუპასუხოთ კითხვას იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფო ხარჯების გადიდება ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდეზე.

ჰეშმარიტებაა ის, რომ საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მზარდი მოცულობა გამოიწვევს ბიუჯეტის დეფიციტის გადიდებას. მაგრამ, ჩვენთვის საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორი იქნება მზარდი შემოსავლების საბოლოო ეფექტი სახელმწიფოს მიერ მიღებული საშემოსავლო გადასახადის საერთო მოცულობაზე.

იმის გამო, რომ სახელმწიფო შესყიდვები იწვევს შემოსავლების დონის გადიდებას, ლოგიკურად ეს გამოიწვევს შემოსავლების დონის გადიდებას, მოხდება ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება, მაგრამ გადასახადების ნამეტი მოცულობა ყოველთვის ნაკლები იქნება სახელმწიფო შესყიდვის მოცულობაზე და, შესაბამისად, მზარდი სახელმწიფო შესყიდვები ნაწილობრივ „თვითანაზღაურებას“ იწვევს.

დეფიციტს ასევე განაპირობებს შემოსავლების არარეალური (გადაჭარბებული) და ხარჯების არარეალური (შემცირებული) შეფასება, რაც იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის შეგნებულ შენიღბვას.

---

[1] მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მხოლოდ ექვსჯერ შეძლო კონკრეტული წლისთვის დეფიციტური ბიუჯეტის პრობლემის დაძლევა. სხვა წლებში ქვეყნის ბიუჯეტი დეფიციტური იყო.

ბიუჯეტის დეფიციტი ორგვარია - ციკლური და სტრუქტურული. ციკლურ დეფიციტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი წარმოადგენს წარმოების ციკლური დაცემის შედეგს, ხოლო სტრუქტურულია ისეთი დეფიციტი, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემის აღმოფხვრის მიზნით, შეგნებულად ხარჯების გადიდებითა და გადასახადების შემცირებით.

საჯარო ფინანსების ეფექტიანობის მართვის ძირითადი კრიტერიუმია ბიუჯეტების სისრულე და ბიუჯეტის დეფიციტის არარსებობა - საბიუჯეტო შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე. იმავდროულად, საბიუჯეტო დაგეგმვის ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორია არა იმდენად სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მაჩვენებლები, რამდენადაც ქვეყნის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის თანაფარდობა.

თუკი ბიუჯეტის შედგენის ან განხილვისას (ბიუჯეტის დამტკიცებამდე) შეინიშნება შემოსავლების სიჭარბე ხარჯებზე, უნდა მოხდეს პროფიციტის შემცირება შემდეგი თანმიმდევრობით:

- უნდა შემცირდეს შემოსავლების მოზიდვა სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების გაყიდვიდან;
- უნდა შემცირდეს ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსავლების მოზიდვა სახელმწიფო მარაგების და რეზერვების რეალიზაციიდან;
- გათვალისწინებული უნდა იქნეს საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სავალო ვალდებულებათა დამატებით დაფარვაზე;
- უნდა გაიზარდოს ბიუჯეტის ხარჯები, მათ შორის სხვა დონის ბიუჯეტებისათვის შემოსავლების ნაწილის გადაცემის ხარჯზე.

თუ ამ ღონისძიებების განხორციელება რაიმე მიზეზით მიზანშეუწონელია და არ ხერხდება, მაშინ უნდა შემცირდეს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით.

საჯარო ფინანსების დაგეგმვის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ (როგორც წესი, მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო, ზოგიერთ ქვეყანაში კი ცენტრალური ბანკის პრეზიდენტიც) ბიუჯეტის დეფიციტის მართვის მექანიზმების სწორ გამოყენებაზე. ამ ორგანოებმა მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

- სახელმწიფო ვალის მოცულობა ყოველთვის ცნობილი უნდა იყოს ბიუჯეტის დეფიციტის მართვის ორგანოებისთვის (მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო და ა.შ.) და უნდა აღირიცხოს;
- სახელმწიფოს ყველა ხარჯი უნდა ატარებდეს ღია და გამჭვირვალე ხასიათს. თუკი საჯარო ფინანსების მართვის ორგანოებისთვის (მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო და ა.შ.) არაა ცნობილი განსახორციელებელი ხარჯების რეალური მოცულობები, შეუძლებელია დეფიციტის ეფექტიანი მართვა;

➡ დაუშვებელია ისეთი ხარჯების გაწევა, რომელთა განხორციელება მიმდინარე საბიუჯეტო წელს არ წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას;

➡ დაუშვებელია ეროვნული ვალუტის ფარული დევალვაცია, შესაბამისად, ფულის ფარული ემისია;

➡ დაუშვებელია ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის იმ წყაროების გამოყენება, რომელთა ეფექტიანობაც დადგენილია წინა წლების გამოცდილებით;

➡ საგარეო სესხები შეიძლება გვევლინებოდეს დეფიციტის დაფინანსების წყაროდ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც მაშინ, როცა ყველა დანარჩენი წყარო ამოწურულია[1].

განასხვავებენ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საშინაო და საგარეო წყაროებს.

საშინაო წყაროებს მიეკუთვნება: შემოსავლები სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული სახსრებიდან, ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მობილიზებული სესხებიდან, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებზე ვალის ძირითადი თანხის დასაფარი გადასახადები; საბიუჯეტო კრედიტი; სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა; მიწის ნაკვეთების გაყიდვა, არასაბიუჯეტო ფონდებისა და ბიუჯეტების სახსრების ნაშთის ცვლილებები; ძვირფასი ლითონებისა და ქვეყნის სახელმწიფო მარაგი.

საგარეო წყაროები მოიცავს: უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ კრედიტებს; ადრე მიღებულ კრედიტზე გადასახდელების გადავადებას; სახელმწიფო და ფედერაციის სუბიექტების საგარეო ობლიგაციური სესხების რეალიზაციას და გადასახდელებს საობლიგაციო სესხებზე ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი სულაც არ არის ეროვნული „ტრაგედია"; მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევას შეიძლება თან სდევდეს როგორც მყარი დადებითი ნაშთი, ისე მყარი ბიუჯეტის დეფიციტიც. მთავარია, ბიუჯეტის დეფიციტმა ქრონიკული ხასიათი არ მიიღოს, არ გადააჭარბოს დასაშვებ ნორმებს (მშპ-ის 5-6%) და მისი დაფინანსება მოხდეს რეალური, არაინფლაციური წყაროებიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების სამი ძირითადი გზა არსებობს:

■ ფულია ემისია;

---

[1] საგარეო სესხების გამოყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ორგვარი სიტუაციის პროვოცირებას ახდენს: ერთი მხრივ, ახალ-ახალი სესხების აღებით მსესხებელ სახელმწიფოში სულ უფრო მეტად იზრდება საგარეო ვალის მოცულობა; მეორე მხრივ კი, უცხოური სესხები ატარებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში იგი შეიძლება იქცეს უცხო სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური გავლენის ბერკეტად.

- ცენტრალური ბანკის პირდაპირი კრედიტი;
- სახელმწიფო სესხების გამოშვება.

არსებობს დეფიციტის დაფარვის მეოთხე გზაც - უცხოური სესხები, რომელთა გამოყენებასაც განვითარებული ქვეყნების მთავრობები საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან, რადგან იგი იწვევს საგარეო ვალის კოლოსალურ ზრდას, რაც საფრთხეს უქმნის მომავალ დაფინანსებას და საბიუჯეტო სისტემის მთლიანობას.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ყველაზე მარტივი საშუალებაა *ფულის ემისია,* რის შედეგადაც იზრდება შემოსავლის მოცულობა ფულის ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობის ხარჯზე. შემოსავლებს ფულის ემისიიდან „სენიორაჟი"[1] ეწოდება.

იმ ქვეყნებში, სადაც ფასების ზრდის დაბალი ტემპია, შემოსავალი ემისიიდან არც ისე დიდია. მაგალითად, აშშ-ში სენიორაჟი არ აჭარბებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 3%-ს. ინფლაციის შედარებით მაღალი დონის მქონე ქვეყნებში (მაგალითად, იტალიასა და საბერძნეთში) იგი დაახლოებით 10%-ს შეადგენს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც ინფლაციის მაღალი ტემპებით ხასიათდებიან, სენიორაჟი არის შემოსავლის ძირითადი წყარო.

ცენტრალური ბანკის პირდაპირი კრედიტი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის საკმაოდ მარტივი საშუალებაა, მაგრამ მისი გამოყენება ბევრ ქვეყანაში შეზღუდულია. მაგალითად, აშშ-ში, იაპონიაში, კანადაში, შვეიცარიასა და ბევრ სხვა ქვეყანაში ცენტრალური ბანკის პირდაპირი კრედიტი არ გამოიყენება პრაქტიკაში. გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და იტალიაში დაწესებულია სახელმწიფოს პირდაპირი დაკრედიტების ზღვარი. ცენტრალური ბანკის კრედიტები ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ყველაზე მიღებულ წყაროდ მსოფლიოში *სახელმწიფო სესხების გამოშვებით* მობილიზებული ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებები მიიჩნევა. სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ცენტრალურ ბანკში განთავსებას დაახლოებით იგივე შედეგები მოსდევს, რაც ცენტრალური ბანკის პირდაპირ კრედიტებს. ამ გზით სახელმწიფო მიმოქცევაში უშვებს დამატებით არაუზრუნველყოფილ საგადასახდელო საშუალებებს, რაც ფულის მიმოქცევაზე ინფლაციურ გავლენას ახდენს. ამის გამო ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური ბანკის ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე რამდენადმე შეზღუდულია. რაც შეეხება განვითარებად ქვეყ-

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ტერმინი წარმომდგარია ფრანგული სიტყვიდან, რაც ქართულად მიწათმფლობელ-ფეოდალს ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეებში მხოლოდ მიწათმფლობელებს ჰქონდათ ტავის ტერიტორიაზე მონეტის მოჭრის უფლება, შემდეგ ეს უფლება სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკზე გადავიდა.

ნებს, აქ სახელმწიფო სესხების ამგვარი ფორმა მეტად გავრცელებულია; ცენტრალური ბანკები აქტიურად იყენებენ სახელმწიფო ობლიგაციებს, უპირატესად, მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებს. თამასუქების დაფარვის ვადის დადგომის შემდეგ ამ უკანასკნელთა გამოსყიდვა კი არ ხდება, არამედ ისინი ახლით იცვლება. ამ მოვლენას დეფიციტური დაფინანსება ეწოდება.

ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ, გადასახადების გადიდების გზით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ძირს უთხრის ქვეყანაში მეწარმეობის სტიმულებს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ფულის დამატებითი მასის გამოყენებამ შესაძლოა ეკონომიკაზე მძლავრი ინფლაციური დატვირთვა გამოიწვიოს, თანამედროვე სახელმწიფოები სამთავრობო ხარჯების ძირითადი ნაწილის დაფინანსებას, უპირატესად, სახელმწიფო სესხების აღების გზით ახორციელებენ.

9.2. სახელმწიფო კრედიტის არსი და ფუნქციები

თანამედროვე პირობებში ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, სახელმწიფო ხარჯების სისტემატური ზრდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ხელისუფლებას აიძულებს ფართოდ გამოიყენოს სახელმწიფო კრედიტი. სახელმწიფო მიმართავს იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ბიუჯეტში მობილიზებას სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით.

სახელმწიფო კრედიტი წარმოადგენს ეკონომიკურ (ფულად) ურთიერთობას, ერთი მხრივ, სახელმწიფოს (კერძოდ, მის სახელისუფლებო და მმართველობით ორგანოებს), და მეორე მხრივ, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, რომელშიც სახელმწიფო გამოდის ან ფულადი სახსრების მსესხებლის, ან გამსესხებლის და ან გარანტის როლში.

საკრედიტო ურთიერთობების პირველ ორ (მსესხებლის და გამსესხებლის) შემთხვევაში ფულადი სახსრების მოძრაობა სწრაფ გავლენას ახდენს ცენტრალიზებული ფულადი ფონდების მოცულობაზე (ზრდის ან ამცირებს მას)[1], ხოლო სახელმწიფოს მიერ სხვისი ვალდებულებების დაფარვის გარანტიების აღებისას, შესაძლოა, აღნიშნული ფონდების მოცულობის ცვლილება არ მოხდეს[2].

---

[1] საგულისხმოა, რომ სახელმწიფო კრედიტით შემოსული ფულადი სახსრები ხელისუფლების განკარგულებაში გადადის და დამატებით ფინანსურ რესურსებს ქმნის (ამ თანხებით ძირითადად იფარება ბიუჯეტის დეფიციტი). სახელმწიფო სესხების პროცენტისა და თვით სესხების დაფარვა კი წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით.

[2] უნდა შევნიშნოთ, რომ მსესხებლის მიერ ვალის დროული დაფარვა სახელმწიფო სახსრების გამოყენებას არ საჭიროებს, ვალის არდაფარვა კი ზრდის სახელმწიფო ვალს.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია, შეიძლება ორგვარი ასპექტით იქნეს განხილული: (1) აქტიური, როდესაც სახელმწიფო გამოდის გამსესხებლის როლში; (2) პასიური, როდესაც სახელმწიფო გამოდის მსესხებლის როლში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გაცემულ კრედიტს სახელმწიფო კრედიტს უწოდებენ, ხოლო სახელმწიფოს მიერ აღებულ კრედიტს - სახელმწიფო სესხს.

მთლიანობაში, სახელმწიფო კრედიტი ეფუძნება შემდეგ *ძირითად პრინციპებს:*

- დაბრუნებითობა;
- ვადიანობა;
- სარგებლიანობა;
- უზრუნველყოფითობა.

ამრიგად, სახელმწიფო კრედიტი *ეკონომიკურ (ფულად) ურთიერთობათა სისტემაა, რომელიც ყალიბდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სესხად გაცემის (ან აღების) პროცესში, ერთი მხრივ, სახელმწიფოს (კერძოდ, მის სახელისუფლებო და მმართველობით ორგანოებსა) და, მეორე მხრივ, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის ვადიანობის, უკანდაბრუნების, სარგებლის მიღებისა და მატერიალური ან არამატერიალური აქტივებით უზრუნველყოფის პირობებით.*

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, განიხილება ორი სახის ფულადი ურთიერთობების - ფინანსებისა და კრედიტის მოკლ-ნაზე და მოიცავს ორივესთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური ურთიერთობა, ავსებს ქვეყნის ცენტრალიზებულ ფულად ფონდებს და, მაშასადამე, ემსახურება ბიუჯეტისა და სახელმწიფო სპეციალური ფონდების ფორმირებასა და გამოყენებას.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც საკრედიტო ურთიერთობა, გადასახადებისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითია.

სახელმწიფო კრედიტი განსხვავდება კრედიტის სხვა სახეებისგანაც. საბანკო კრედიტის დროს მისი გარანტი ხდება კონკრეტული ფასეულობა - სა-ქონელი საწყობში, დაუმთავრებელი წარმოება, ქონება და ა.შ. სახელმწიფო კრედიტის დროს კი ასეთი გარანტი სახელმწიფოს მთელი საკუთრება ან რომელიმე შემოსავალია. სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტის კონკრეტული მიზნობრიობა განსაზღვრული არაა, ხოლო ქვედა რგოლებში, როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ სტრუქტურებში აღებული კრედიტების პირობებში, ისინი მიზნობრივია.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია, ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: 1. ფისკალურს და 2. მარეგულირებელს.

სახელმწიფო კრედიტის ფისკალური ფუნქციის მეშვეობით წარმოებს სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირება და გამოყენება. მისი საშუალებით სახელმწიფო, როგორც მსესხებელი, თავისი ხარ-

ჯების დასაფინანსებლად საჭირო დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზებას უზრუნველყოფს[1]. სახელმწიფო სესხებით დაფინანსებულ სახელმწიფო ხარჯებს, უპირატესად, კაპიტალური ხასიათი აქვს, რაც სრულიად სამართლიანი და მისაღებია[2].

სახელმწიფო სესხის ფისკალური ფუნქცია ხელს უწყობს ბიუჯეტის შემოსავლების არა მხოლოდ შევსებას, არამედ განაწილების ფუნქციის გამოვლენასა და რეალიზაციასაც. კერძოდ, ამ შემთხვევაში სახელმწიფო სესხის დადებითი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ მისი დახმარებით საგადასახადო ტვირთი გაცილებით თანაბრად ნაწილდება დროში და გადასახადები, რომელიც ამოიღება სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტით დაფინანსების პერიოდში, არ იზრდება.

სახელმწიფო კრედიტის მარეგულირებელი ფუნქცია გამოიყენება ხელისუფლების მიერ ფულის მიმოქცევის რეგულირებისათვის. სახელმწიფო მოსახლეობისაგან ფულადი სახსრების მობილიზაციით ზღუდავს მათ გადახდისუნარიანობას, თანაც ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, აფართოებს რა წარმოებას.

სახელმწიფო, შედის რა საკრედიტო ურთიერთობებში, ნებით თუ უნებლიეთ გავლენას ახდენს ფულის მიმოქცევაზე, სასესხო კაპიტალის ბაზარზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, წარმოებასა და დასაქმებაზე. ქვეყნის მიერ სახელმწიფო კრედიტის, როგორც ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტის, შეგნებული გამოყენების მიზნით ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს ესა თუ ის ფინანსური პოლიტიკა.

სახელმწიფოს საკრედიტო (სასესხო) ურთიერთობები ვითარდება როგორც ცალკეული ქვეყნის შიგნით, ასევე სახელმწიფოთა შორისაც. შესაბამისად, ყალიბდება შიდა- და საგარეო სახელმწიფო სესხები.

სახელმწიფო შიდა სესხები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ფორმებს: (1) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) და განთავსება მოსახლეობაში, საკრედიტო და სხვა დაწესებულებებში; (2) მოსახლეობის საბანკო ანაბრებზე არსებული სახსრების, საბანკო-საკრედიტო სახსრებისა და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ფინანსური რესურსების გამოყენება ფულადი კრედიტების სახით. შესაბამისად, სახელმწიფოს შიდა კრედიტის

---

[1] საგულისხმოა, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სესხები ბიუჯეტის (კერძოდ, მისი დეფიციტის) შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს და, გადასახადების შემდეგ, ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების მეორე მეთოდს წარმოადგენს.

[2] კაპიტალური ხარჯების დაფინანსება საგადასახადო შემოსავლებით გულისხმობს მათი დაფინანსების სიმძიმის გადატანას გადასახადების მიმდინარე პერიოდის გადამხდელთა მხოლოდ რამდენიმე თაობაზე, მაშინ როდესაც გაცილებით სამართლიანია სესხების გადამხდელის ფუნქცია დაეკისროს ყველა იმ თაობას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ისარგებლებს ამ სესხებით დაფინანსებული კაპიტალური ობიექტებით (მაგალითად, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და ა.შ.).

წყარო შესაძლოა იყოს: მოსახლეობის განკარგულებაში მიმდინარე პერიოდში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები; მოსახლეობის საბანკო ანაბრებზე არსებული სახსრები და საბანკო-საკრედიტო ფინანსური რესურსები.

სახელმწიფო საგარეო სესხები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ფორმებს: (1) საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების განთავსება; (2) სხვა ქვეყნების საბანკო, სამთავრობო და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ფინანსური რესურსების გამოყენებით მიღებული ფულადი კრედიტები. შესაბამისად, სახელმწიფოს საგარეო კრედიტის წყარო შეიძლება იყოს: სხვა ქვეყნების საბანკო, სამთავრობო და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ფინანსური რესურსები.

9.3. სახელმწიფო სესხების კლასიფიკაცია

სახელმწიფო სესხების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და მისი კრედიტორების მიერ განსაზღვრული პირობები, რომლებიც ითვალისწინებს სასესხო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტებს, სახსრების განთავსების ადგილმდებარეობას, მათი განთავსების წესებს, დაფარვის ვადებს, შემოსავლის გადახდის ხასიათს, სასესხო ვალდებულებათა უზრუნველყოფას და სხვა მაჩვენებლებს.

სასესხო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების მიხედვით გამოიყოფა სესხები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების (როგორც წესი, ობლიგაციების) სახით არის განთავსებული ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მიერ. ასეთი სახელმწიფო სესხების მთლიანი მოცულობის 60-80% ცენტრალური მთავრობის სესხები, ხოლო დანარჩენი - მართვის ადგილობრივი ორგანოების სესხებია.

განთავსების ფორმის მიხედვით სახელმწიფო სესხები იყოფა ობლიგაციურ და არაობლიგაციურ სესხებად. **ობლიგაციური სესხების** შემთხვევაში სესხების განთავსება ხდება ობლიგაციების სახით, ხოლო **არაობლიგაციური სესხების** შემთხვევაში კი სესხის აღება ხდება ფულის სახით.

განთავსების ადგილმდებარეობის მიხედვით სახელმწიფო სესხები იყოფა შიდა და საგარეო სესხებად. **შიდა სესხები** ვრცელდება ქვეყნის შიგნით, შიდა ბაზარზე, ეროვნულ ვალუტაში (თუ ინფლაციის დონე მაღალია, შიდა სესხის განთავსება შეიძლება მოხდეს უცხოურ ვალუტაში). **საგარეო სესხების** განთავსება ხდება უცხოურ ფულად ბაზარზე ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში.

ბაზარზე მიმოქცევის მიხედვით განასხვავებენ საბაზრო და არასაბაზრო სესხებს. **საბაზრო სესხები** ექვემდებარება თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოქცევას. ისინი დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენენ. **არასაბაზრო სესხები** თავისუფალ ყიდვა-გაყიდვასა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოქცევას არ ექვემდე-

ბარება. მათ ემისიას და განთავსებას, როგორც წესი, ახორციელებს სახელმწიფო, კონკრეტული ინვესტორების მოსაზიდად[1].

დაფარვის ვადების მიხედვით განასხვავებენ: **მიმდინარე** (3 თვიდან 1 წლამდე ვადით), **მოკლევადიან** (1 წლიდან 2-3 წლამდე), **საშუალოვადიან** (2-3 წლიდან 10 წლამდე ვადიათ), **გრძელვადიან** (10 წლიდან 40-50-ზე მეტ და ზოგჯერ 100 წლამდე ვადით) და **უვადო სესხებს**[2]. უვადო სესხების პირობები და დაფარვის ვადები გამოშვებისა და განთავსების მომენტში, როგორც წესი, არ განისაზღვრება.

შემოსავლის გადახდის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ ლატარიულ, პროცენტულ და ნულოვან კუპონიან სესხებს, რომელთა განთავსება ხდება ობლიგაციების სახით. შემოსავლის გადახდა **ლატარიულ სესხებზე** (ანუ მომგებიან ობლიგაციებზე) მოგების ტირაჟის საფუძველზე ხორციელდება. **პროცენტული სესხი** - სახელმწიფო სესხის - ობლიგაციების მთავარი სახეობაა. მათი მფლობელები შემოსავალს იღებენ ყოველწლიურად თანაბარ ნაწილებად დაყოფილი მყარი პროცენტებით. ინვესტორთა უმეტესობა უპირატესობას ასეთ სავალო ვალდებულებებს ანიჭებს. **ნულოვან კუპონიანი სესხები** (ანუ ობლიგაციები ნულოვანი კუპონით) იყიდება ნომინალიდან ფასდაკლებით, ხოლო გამოიყენება ნომინალით. მათ მიეკუთვნება მოკლევადიანი სახელმწიფო სასესხო და ზოგიერთი გრძელვადიანი ვალდებულებები.

სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიხედვით სესხები იყოფა უზრუნველყოფილ და უზრუნველყოფის გარეშე სესხებად. **უზრუნველყოფილი სესხები** - ესაა ობლიგაციები, რომელიც უზრუნველყოფილია გირაოთი, კერძოდ, განსაზღვრული ქონებით. მათ ხშირად უშვებენ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები. **უზრუნველყოფის გარეშე სესხების** (ობლიგაციების) უზრუნველსაყოფად გამოიყენება სახელმწიფოს ან მხოლოდ მუნიციპალიტეტის ქონება. მათ, როგორც წესი, განათავსებენ ცენტრალური

---

[1] ასე მაგალითად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არასაბაზრო სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება და გავრცელება ხორციელდება არასახელმწიფო საპენსიო ფონდების, სადაზღვევო კომპანიების, ჭრილი ინვესტორების ფულადი სახსრების მობილიზაციის მიზნით.

[2] აღნიშნული სესხებიდან ყველაზე გავრცელებული მოკლევადიანი სესხებია, რომლებიც საბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯებში დროებითი გარღვევების ანუ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად გამოიყენება. ამ მიზნებისათვის, როგორც წესი, ხდება თამასუქების გამოშვება. ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიმდინარე ვალის აღების ყველაზე გავრცელებული ფორმა სახაზინო თამასუქებია, ხოლო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ აღებული ვალის - მუნიციპალური თამასუქები. სახაზინო თამასუქები შეიძლება იყოს სხვადასხვა ვადიანი: 28 ან 31 დღიანი, აგრეთვე, 3 ან 6 თვიანი (საქართველოში); 60 დღიანი (იაპონიაში); 91 დღიანი (დიდ ბრიტანეთში); გამონაკლისს წარმოადგენს გერმანია, სადაც სახაზინო თამასუქების გამოშვება ხორციელდება 2 წლამდე პერიოდისათვის.

მმართველობითი ორგანოები. მათი საიმედოობა მეტად მაღალია, ამიტომ ინვესტორებს არ სჭირდებათ დამატებითი გარანტიები.

შემოსავლის განსაზღვრის მეთოდის მიხედვით არსებობს სესხები ფიქსირებული (საპროცენტო განაკვეთით) და მცურავი შემოსავლებით. ფიქსირებული შემოსავლების მქონე სესხები მისაღებია ინვესტორისათვის, რომელიც კონკრეტული პერიოდისათვის განსაზღვრულ შემოსავალს ელოდება. მეორე მხრივ, ფასიანი ქაღალდებით აღებულ სასესხო ვალდებულებებზე ფიქსირებული განაკვეთები სახელმწიფოს მიერ მათი დაფარვის ხარჯების ზრდის მიზეზი შეიძლება გახდეს. მათი დაფარვის ვალდებულებას კი, ხელისუფლება ფაქტიურად გადასახადის გადამხდელს აკისრებს. მცურავი შემოსავლების მქონე სესხები კი მიმზიდველი არაა ინვესტორებისათვის.

სასესხო ვალდებულებების დაფარვის ვადების დაცვის მიხედვით სახელმწიფო სესხები იყოფა ვადაზე ადრე დაფარვის უფლებით სესხებად და ვადაზე ადრე დაფარვის უფლების გარეშე სესხებად. ობლიგაციების ფიქსირებული შემოსავლით (საპროცენტო განაკვეთით) გამოშვების შემთხვევაში ამ ფორმების მნიშვნელობა დაკავშირებულია ფინანსურ ბაზარზე მის ცვლილებასთან, რომლის დროსაც შეიძლება მსესხებელს მოგება შეუმცირდეს ან გაეზარდოს. ამიტომ, სესხის ფორმის უპირატესობა დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაში ჩამოყალიბებულ ტენდენციაზე.

განასხვავებენ სასესხო ვალდებულებების დაფარვის ორ ვარიანტს: (1) ერთდროულად დაფარვა და (2) ნაწილ-ნაწილ დაფარვა.

სასესხო ვალდებულებების ნაწილ-ნაწილ დაფარვისას კი გამოყოფენ სამ შემთხვევას, როცა სასესხო ვალდებულები იფარება:

- **ტოლ ნაწილებად კონკრეტულად განსაზღვრულ დროში.** მაგალითად, 10 მლნ ლარის სასესხო ვალდებულება 4 წელიწადში ყოველწლიური 2,5 მლნ ლარის გადახდებით დაიფარება;
- **მზარდი წილებით.** მაგალითად, იგივე 10 მლნ ლარის სასესხო ვალდებულების გადახდა იმავე პერიოდში განაწილდება შემდეგნაირად: პირველ წელს იფარება 1 მლნ ლარი, მეორე წელს - 2, მესამე წელს - 3, ხოლო მეოთხე წელს - 4 მლნ ლარი;
- **კლებადი წილებით,** ანუ 10 მლნ ლარის სასესხო ვალდებულების გადახდა განაწილდება შემდეგნაირად: პირველი წელს იფარება 4 მლნ ლარი, მეორე წელს - 3, მესამე წელს - 2, ხოლო მეოთხე წელს - 1 მლნ ლარი.

განთავსების მეთოდის მიხედვით სესხები იყოფა **ნებაყოფლობით** სესხებად და **იძულებით** სესხებად. პრაქტიკულად, სახელმწიფო სესხები ყოველთვის ნებაყოფლობითია. იძულებითი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფო მოსახლეობაში ნდობას დაკარგავს.

სახელმწიფო ობლიგაციური სესხების გამოშვებისას აწესებს *ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებას* ანუ *ნომინალურ ფასს.* გარდა ამისა, სახელმწიფო აწესებს *საკომისიო კურსს,* ე.ი. ფასს, რომლითაც ობლიგაცია გადა-

ეცემა ბანკებს სარეალიზაციოდ. მეორად ბაზარზე ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა ხდება *საბაზრო ფასით*, რომლის სიდიდე მიწოდება-მოთხოვნაზეა დამოკიდებული და შეიძლება ნომინალური ფასის ტოლი არ იყოს.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო სესხები წარმოშობენ სახელმწიფო ვალს. სახელმწიფო ვალი წარმოადგენს დაუფარავი სახელმწიფო სესხების (პროცენტის ჩათვლით) მთელ თანხას, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაფაროს განსაზღვრული თარიღისათვის.

სახელმწიფო ვალის ძირითადი ფორმებია:

სახელმწიფო საშინაო ვალი[1], რომელიც გულისხმობს თავისი ქვეყნის მოქალაქეების, ფირმებისა და დაწესებულებების წინაშე დაგროვილ სახელმწიფო ვალს, გამოხატულს ეროვნულ ვალუტაში[2].

სახელმწიფო საგარეო ვალი[3], რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ვალს უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირების, სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების წინაშე, გამოხატულს უცხოურ ვალუტაში.

9.4. სახელმწიფო ვალის მართვა

სახელმწიფო ვალი ქვეყნის ფინანსური მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფო ვალის აღების ძირითად მოტივს საბიუჯეტო გადასახდელების დაფინანსება წარმოადგენს, რომლის მიზანია მოსახლეობის სახელმწიფო სერვისებით უწყვეტი უზრუნველყოფა. არასაკმარისი ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფო ვალის აღება იძლევა შესაძლებლობას თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების შეჩერება, გადასახადების ზრდა ან/და მიმდინარე გადასახდელების შემცირება, რაც უარყოფითად აისახებოდა სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე. შედეგად, გონივრული ფინანსური მმართველობის პირობებში, სახელმწიფო ვალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტი. თუმცა, სახელმწიფო ვალის არაეფექტიანმა მართვამ შესაძლოა ქვეყანა ეკონომიკური

---

[1] განასხვავებენ სახელმწიფო საშინაო ვალს და საერთო სახელმწიფო საშინაო ვალს. სახელმწიფო საშინაო ვალს მიეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულებები იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ, ხოლო საერთო სახელმწიფო საშინაო ვალი მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფო საშინაო ვალს, არამედ მას ემატება სახელმწიფოს ქვედა დონის მმართველობითი ორგანოების მიერ აღებული ვალებიც.

[2] უცხოური ვალუტა, პირობითი ფულადი ერთეულები და ბვირფასი ლითონები შეიძლება მითითებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი დათქმის შემთხვევაში.

[3] ის, რაც ითქვა სახელმწიფო საშინაო ვალისა და საერთო სახელმწიფო საშინაო ვალის მიმართ, ანალოგიურად ითქმის სახელმწიფო საგარეო ვალისა და საერთო სახელმწიფო საგარეო ვალის მიმართაც.

ზრდის ნაცვლად კრიზისამდე მიიყვანოს. გამომდინარე აქედან, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა.

სახელმწიფო ვალის ზრდასთან დაკავშირებული საფრთხეებისა თუ რისკების არაჯეროვნად შეფასებამ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მიიყვანა სავალო კრიზისამდე. ცნობილია 1980 და 1990-იანი წლების ლათინური ამერიკის ქვეყნების სავალო კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე, რასაც მოჰყვა 1997-1998 წლების აზიისა და რუსეთის კრიზისები, ხოლო 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის კვალდაკვალ სახეზეა საბერძნეთის სავალო კრიზისი, რომელმაც მთლიანად ევროპის რეგიონზე მოახდინა უარყოფითი გავლენა. გლობალიზაციის პროცესმა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ლიბერალიზებამ აუცილებელი გახადა სახელმწიფო ვალის მართვის დამკვიდრებული პრაქტიკის გადახედვა, ხოლო საერთაშორისო სავალო კრიზისების შედეგად, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვან პრიორიტეტად დაასახელეს.

მართლაც, თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფო ვალის მოცულობა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს წარმოშობის მიზეზით. სახელმწიფო ვალის ზრდის უშუალო შედეგია ამ ვალის მართვის სისტემის ორგანიზაცია, რომელშიც იგულისხმება სახელმწიფოს საქმიანობა, დაკავშირებული სასესხო კაპიტალის ბაზარზე ახალი სესხების გამოშვებისათვის კონიუნქტურის შესწავლასა და ამ სესხების პირობების დამუშავებასთან, ადრე გამოშვებული სესხების დაფარვასთან. იგი მოიცავს აგრეთვე სესხების კონვერსიისა და კონსოლიდაციის, მათი ფორმებისა და სახეების განსაზღვრის, სარგებლის პროცენტისა და ობლიგაციის კურსის დადგენის, ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების კრედიტორებს შორის განთავსების, მომსახურების ხარჯების დარიცხვა-ანაზღაურების თაობაზე აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადების, ვადადამდგარი სესხების დაფარვის წყაროების განსაზღვრის და მრავალ სხვა საკითხს.

სახელმწიფო ვალის მართვა შეიძლება განხილულ იქნას ვიწრო და ფართო გაგებით.

ფართო გაგებით, სახელმწიფო ვალის მართვის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ისეთი მიმართულებების ფორმირება, რომელიც განსაზღვრავს მის საქმიანობას მსესხებლის, კრედიტორისა და გარანტის რანგში. მას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ბიუჯეტის დეფიციტსა და მის დასაფინანსებლად საჭირო სესხების მოცულობას; ფულის მიმოქცევაზე, კრედიტზე, წარმოებაზე, დასაქმებაზე ზემოქმედების მიზანსა და მიმართულებებს; მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობას.

ვიწრო გაგებით, სახელმწიფო ვალის მართვის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს საქმიანობათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების გამოშვებასა და განთავსებასთან, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან, სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვასთან, სესხებითა და გარანტიებით უზრუნველყოფასთან.

სახელმწიფო ვალის სპეციფიკა განსაზღვრავს მისი ოპერატიული მართვის თავისებურებებს. როგორც წესი, ამ საქმიანობას ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო და ცენტრალური ბანკი ერთობლივად ახორციელებენ.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სასესხო კაპიტალის ბაზარზე *სახელმწიფო სესხების განთავსება წარმოებს ორი მეთოდით:*

- ხელმოწერების მეშვეობით;
- ბანკების მეშვეობით.

პირველი მეთოდი, რომელიც ინვესტორებს შორის სასესხო ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდების) ხელმოწერების გზით განთავსებას გულისხმობს, ნაკლებ გავრცელებულია. იგი დამატებით ფინანსურ, შრომით და დროის დანახარჯებს მოითხოვს.

მეორე მეთოდი გაცილებით ეფექტიანია, რომლის დროსაც სესხების განთავსებას მთავრობა ბანკებს ავალებს. კერძოდ, ხაზინა ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვების პირობებს წინასწარ უთანხმებს უმსხვილეს ბანკებსა და შემნახველ სალაროებს. ფაქტობრივად, ბანკირები განსაზღვრავენ სარგებლის პროცენტს და სესხის ვადას, ობლიგაციის ნომინალურ და საბაზრო ღირებულებას და წარმართავენ სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკას.

წინასწარ მოსამზადებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ, ბანკები იწყებენ სარეკლამო პროცესს. ახალი სესხის გამოშვების პირობები ქვეყნდება ოფიციალურად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ შეღავათების ჩამოთვლას, რომელიც სახელმწიფოს ახალი სესხის ობლიგაციების მომავალი მფლობელების სასარგებლოდ აქვს გათვალისწინებული.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გავრცელებაში ბანკები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ იმის გამო, რომ ისინი სახელმწიფოსაგან ღებულობენ არა მხოლოდ საკომისიო წახალისებას, არამედ ობლიგაციების გაყიდვით მიღებულ საბაზრო და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობასაც.

სახელმწიფო სესხების მომსახურების ხარჯების (პროცენტების) დაფარვა წარმოებს საბიუჯეტო ასიგნებებიდან. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ბიუჯეტის სახსრები ამის საშუალებას არ იძლევა, ძველი ობლიგაციების დავალიანებების დასაფარად სახელმწიფო ახალი სესხების გამოშვებას ახდენს, რაც რეფინანსირების სახელწოდებით არის ცნობილი.

სახელმწიფო ვალის შეფასებისათვის გამოიყენება ქვეყნის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლები.

გადახდისუნარიანობაში იგულისხმება დებიტორი ქვეყნის უნარი და შესაძლებლობა აღებული სესხების მაღალეფექტიანი გამოყენების გზით უზრუნველყოს ეკონომიკის ზრდის მაღალი და სტაბილური ტემპები, რაზეც უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფო ვალის დროული გადახდა.

რაც შეეხება ლიკვიდურობას, აქ იგულისხმება განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ქვეყანაში საკმარისი ფულადი სახსრების არსებობა, რათა მან დროულად დაფაროს მიმდინარე სავალო ვალდებულებები[1].

სახელმწიფო ვალის შეფასების ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვალის მომსახურების კოეფიციენტს. ეს უკანასკნელი ასახავს სახელმწიფო ვალის დაფარვის მიზნით წლიურ გადასახდელებსა და საქონლის (მომსახურების) წლიური ექსპორტის ღირებულებას შორის თანაფარდობას.

უცხოელი ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფო ვალის მომსახურების კოეფიციენტი წარმოადგენს ყველაზე უფრო მისაღებ და ეფექტიან მაჩვენებელს იმის გასარკვევად, თუ რამდენად პერსპექტიულია ქვეყნის სავალო სიტუაცია დროის განსაზღვრული მომენტისათვის.

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მონაცემებით, სადღეისოდ მსოფლიო დავალიანება, ანუ გადაუხდელი საგარეო ვალების მოცულობა, განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ერთად აღებული, შეადგენს 8 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტს. ამასთან, რაც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფინანსური გლობალიზაციისა და ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის საზღვრების გახსნის პროცესი, მით უფრო იზრდება საგარეო ვალების მოცულობა და ხშირად აქვს ადგილი სავალო (გადახდისუუნარობის) კრიზისებს.

ფინანსურ ლიტერატურაში არსებული პოზიციის თანახმად, გადახდისუუნარობის კრიზისის დაძლევა შეიძლება განხორციელდეს: ვალების პატიების ანუ ჩამოწერის, რეფინანსირების, კონსოლიდაციის, კონვერსიის, ვალების გადახდაზე უარის თქმისა და რესტრუქტურიზაციის გზით.

დაბალგანვითარებული ქვეყნების სავალო კრიზისის დაძლევის გზაა **ვალების პატიება ანუ ჩამოწერა.**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, **რეფინანსირება** გულისხმობს ძველი სახელმწიფო დავალიანების დაფარვას ახალი სესხების აღების გზით, რაც მძიმე პირობებში აყენებს მსესხებელ ქვეყანას.

სახელმწიფო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში კორექტივები შეიტანოს სესხების თავდაპირველ პირობებში. სესხის ვადებთან დაკავშირებული პირობების შეცვლას **კონსოლიდაცია** ეწოდება. იგი ძირითადად დავა-

[1] ლიკვიდურობის შეფასება ხდება სახელმწიფო ვალის მიმდინარე გადასახდელების სიდიდესა და ქვეყანაში ლიკვიდური სახსრების (საექსპორტო შემოსავლის, ოქროსა და უცხოური ვალუტის რეზერვების და სხვ.) არსებულ მოცულობას შორის შეფარდების გზით.

ლიანების დაფარვის რეჟიმის შეცვლით ხორციელდება. როგორც წესი, სესხების კონსოლიდაცია წარმოებს მათი უნიფიცირების თანადროულად, ე.ი. ხდება რამდენიმე სესხის ერთ სესხად გაერთიანება.

სესხის შემოსავლიანობასთან დაკავშირებული თავდაპირველი პირობების შეცვლას **კონვერსია** ეწოდება. სამეურნეო პრაქტიკაში კონვერსიის ჩატარების რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია - იძულებითი, ნებაყოფლობითი და ფაკულტატური კონვერსიები.

იძულებითი კონვერსიის დროს კრედიტორი მოვალეა ადრე გამოშვებული სესხის ობლიგაციები შემცირებული საპროცენტო განაკვეთით გაცვალოს ახალ ობლიგაციებზე.

ნებაყოფლობითი კონვერსიის პირობებში კრედიტორს უფლება აქვს დაეთანხმოს ობლიგაციის ახალ პირობებს ან სახელმწიფო ვალის თანხა დაიბრუნოს უკან.

ფაკულტატური კონვერსია კრედიტორს ნებას რთავს დაეთანხმოს ან უარყოს ახალი პირობები.

სახელმწიფოს სასესხო ვალდებულებების დაფარვის თავისებური მეთოდია **გაკოტრება**, რომლის დროსაც სახელმწიფო სესხებს აუქმებს ან უარს ამბობს მათ ანაზღაურებაზე სახსრების უქონლობის გამო. ასეთი შემთხვევები იშვიათია და ხელისუფლება მას გაურბის.

რესტრუქტურიზაცია: თანამედროვე ეტაპზე საგარეო ვალების გადაუხდელობის მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ვალების მართვის ახალი სქემებისა და მეთოდების ძიების პრობლემა. ვალების მართვის ძირითადად სახელმწიფოებს შორის ორმხრივი შეთანხმებით განხორციელებულმა ავტონომიურმა მოდელმა ადგილი დაუთმო ძირითადად „ლონდონის კლუბისა“ და „პარიზის კლუბის“ მეშვეობით განხორციელებულ ინტეგრირებულ მოდელებს.

„ლონდონის კლუბი“ აერთიანებს კრედიტორ კომერციულ ბანკებს და წარმოადგენს მსოფლიოში აღიარებულ სტრუქტურას მსესხებელსა და კრედიტორს შორის მოლაპარაკებებისათვის.

„პარიზის კლუბი“ აერთიანებს კრედიტორ ქვეყნებს. აღნიშნულ არაფორმალურ ორგანიზაციაში კრედიტორი და მსესხებელი ქვეყნები აწარმოებენ მოლაპარაკებებს რესტრუქტურიზაციის განხორციელებისათვის, »რაც გულისხმობს კრედიტორის მიერ მსესხებლისადმი გარკვეულ დათმობას და შეღავათებს. ეს გამოიხატება ვალის გადახდის ვადების გახანგრძლივებაში ან თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში.

„პარიზის კლუბი“ არის მაღალგანვითარებული კრედიტორი ქვეყნების არაოფიციალური გაერთიანება მისი სხდომები ტარდება თვეში ერთხელ, პარიზში, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები კრედიტორებს და დებიტო-

რებს შორის[1]. იგი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს იმ ქვეყნებს, რომლებსაც საგარეო ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თუ მონაწილე კრედიტორთა რიცხვი სამს არ აღემატება, რესტრუქტურიზაციის პირობებზე მოლაპარაკებები არ იმართება. ორმხრივი მოლაპარაკებების დროს „პარიზის კლუბის“ წევრი კრედიტორები განსაზღვრავენ რესტრუქტურიზაციის კონკრეტულ პირობებს და დოკუმენტურად ასახავენ მათ ე.წ. „შეთანხმებულ ოქმში“. ამ ოქმის შესაბამისად, დებიტორი ვალდებულია უმოკლეს ვადაში გააფორმოს თითოეულ კრედიტორთან ორმხრივი ხელშეკრულება.

„პარიზის კლუბი“ თავის მოღვაწეობაში იყენებს მტკიცედ განსაზღვრულ მეთოდებს, პრინციპებსა და პროცედურებს:

➡ კონსენსუსი: - „პარიზის კლუბის“ მიერ არცერთი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, თუ მას არ ეთანხმება ყველა კრედიტორი ქვეყანა;

➡ კრედიტორებს შორის სოლიდარობა: - არცერთი კრედიტორი არ ცდილობს მიიღოს დებიტორებისაგან, სხვა კრედიტორებისაგან განსხვავებული და უკეთესი პირობები;

➡ პირობები: - „პარიზის კლუბი“ საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთანხმება, თუ დებიტორ ქვეყანაში მოქმედებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამა;

➡ პირობების ურთიერთშესაბამისობა: - მონაწილე კრედიტორს არა აქვს უფლება მოითხოვოს ნაკლებად მისაღები პირობები, ვიდრე ის „პარიზის კლუბთან“ დადებულ მრავალმხრივ შეთანხმებებში არის გათვალისწინებული;

➡ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ქმედებანი: - ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც კრედიტორ ქვეყანასთან მიმართებაში „პარიზის კლუბი“ იღებს, კონკრეტული ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს.

ვალების გადაუხდელობის პრობლემის გამწვავების პარალელურად, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მიერ მუშავდება ვალების რესტრუქტურიზაციის ახალი პირობები და მეთოდები.

„პარიზის კლუბი“ საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის ყოველთვის ადგენდა ე.წ. „სტანდარტულ პირობებს“, მაგრამ მათთვის 1990 წლიდან დაშვებულ იქნა უფრო შეღავათიანი პირობები, რომელიც „ჰიუსტონის პირობების“ სახელწოდებით არის ცნობილი და ვრცელდება იმ ქვეყნებ-

[1] „პარიზის კლუბის“ წევრობა ფიქსირებული არ არის, ამიტომ სამუშაო სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კრედიტორს, თუ ის ეთანხმება კლუბის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს.

ზე, რომელთა შემოსავლები საშუალოზე ნაკლებია[1]. „ჰიუსტონის პირობების“ მიხედვით, საშუალო შემოსავლებისა და საშუალო დავალიანებების მქონე ქვეყნებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ოფიციალური დავალიანება გადაავადონ 20 წლით, აქედან 10-წლიანი პერიოდი შეღავათიანია, საპროცენტო განაკვეთი კი - საბაზრო.

„პარიზის კლუბის“ ფარგლებში შემუშავებული იქნა ე.წ. „ტორონტოს პირობები“, რომელიც ითვალისწინებს სავალო ვალდებულებების შემცირებას 1/3-ით. ამ პირობების შესაბამისად, 20-ზე მეტმა ქვეყანამ განახორციელა საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია.

ასევე შემუშავებულ იქნა „ლონდონის პირობები“, რომელიც ძალაში იყო 1994 წლის ბოლომდე. ამ პირობების გამოყენებით მთელ რიგ ქვეყნებს ჩამოეწერათ ვალების 50 პროცენტი, ხოლო ზოგიერთს 50%-ით შეუმცირდათ საპროცენტო გადასახდელები. მთლიანად, ამ პირობების შესაბამისად, საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია მოახდინა 23-მა ქვეყანამ 9.1 მლრდ დოლარის მოცულობით.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან სულ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. „დიფერენციულმა გრაფიკმა“, რომელიც გულისხმობს ვალის დაფარვის 15-წლიან პერიოდს, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 2-3 წლით განისაზღვრება.

1994 წლის დეკემბრიდან „პარიზის კლუბის“ ფარგლებში ტორონტოსა და ლონდონის პირობები შეიცვალა „ნეაპოლის პირობებით“. ამ პირობების თანახმად, მოვალე ქვეყანას საშუალება ეძლევა ვალის ძირითადი ნაწილის გადახდა გადაწიოს 5 წლამდე ვადით. ამასთან, ვალის რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი მოთხოვნა ის არის, რომ მსესხებელი ქვეყნის მშპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდეს 500 აშშ დოლარზე ნაკლებს, ან საგარეო ვალის შეფარდება ექსპორტის მოცულობასთან იყოს 20-25 პროცენტის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ხდება ვალის მთლიანი მოცულობის 67%-მდე ჩამოწერა.

მე-20 საუკუნის მიწურულს შემუშავდა მთელი რიგი ახალი მიდგომები საგარეო დავალიანებათა პრობლემების მოსაგვარებლად. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „ბეიკერის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს ვალების რეფინანსირების პროცესის გაგრძელებას, ანუ დავალიანების მქონე ქვეყნებისათვის ახალი სესხების გაცემას დაკრედიტების ფორმებისა და პირობების შეუცვლელად. თუმცა, ამ მოდელმა პრაქტიკაში ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა.

---

[1] „ჰიუსტონის პირობების“ თანახმად, „პარიზის კლუბის“ ჩარჩოებში ერთ სულ მოსახლეზე დაბალი შემოსავლის მქონე დებიტორ ქვეყნებს ვალების გადახდის ვადების გახანგრძლივებისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების შესაძლებლობა ეძლევათ.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები, როცა მთავრობები უარს აცხადებენ წინა ხელისუფლების მიერ აღებული სესხების გადახდაზე და აყენებენ საკითხს ამ ვალების ჩამოწერის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ქვეყანამ, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ვალის არგადახდის შესახებ (რასაც დეფოლტი ეწოდება)[1], უნდა გაითვალისწინოს მის მიმართ მოსალოდნელი იმ შეზღუდვების (სანქციების) სიმძიმე, რასაც განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტები აყენებენ. ამგვარ სანქციებს მიეკუთვნება:

- **აქტივების დაპატიმრება:** სავსებით რეალურია, რომ კრედიტორებმა დაარწმუნონ საკუთარი მთავრობა დებიტორი ქვეყნის აქტივების დაპატიმრების შესახებ;
- **საერთაშორისო კაპიტალის ბაზრიდან განდევნა:** საგარეო ვალის გადაუხდელობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო დროებით არ დაიშვება კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე;
- **მოგების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობიდან:** ქვეყნისათვის ყველაზე სერიოზულ დანაკარგს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შეზღუდვა;
- **მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს აგრეთვე მეცვალე ქვეყნის მიერ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში მოვალე ქვეყნის საგარეო ვალდებულებების (ე.წ. „რუხ ბაზარზე") გაყიდვის ფაქტები:** ანალოგიური სანქცია გატარდა ბოლივიის მიმართ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყანა „დეფოლტს" ეკონომიკური სიძნელეების გამო მიმართავდა, სხვები კი ამ გზას პოლიტიკური მოსაზრებებით დაადგნენ.

9.5. სახელმწიფო ვალის მართვის პრობლემები საქართველოში

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ქმედება სესხების აღებასთან დაკავშირებით განპირობებულია მისი ფინანსური მდგომარეობით. რაც უფრო დიდია სახელმწიფო სესხების მოცულობა, მით უფრო ცუდი მდგომარეობაა ქვეყნის ბიუჯეტში; რაც უფრო მაღალია სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ის მიმართ, მით უფრო ღრმაა ფინანსური კრიზისი.

საქართველოს ხელისუფლება თანამედროვე ეტაპზე გვევლინება როგორც მსესხებლის, ასევე კრედიტორის და გარანტის როლში. მისი საქმიანო-

[1] „დეფოლტის პრაქტიკა" მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრდა. ამ პერიოდში ვალების გადახდაზე უარი განაცხადეს მექსიკამ, ბრაზილიამ, პერუმ, არგენტინამ, კუბამ, ჩილემ და ვენესუელამ. მათ მძიმე ეკონომიკური პრობლემები შეექმნათ და იძულებულნი გახდნენ, მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ამ არცთუ ისე პოპულარული მეთოდის, „დეფოლტისათვის" მიემართათ.

ბა რეგულირდება 1998 წლის 5 მარტის *საქართველოს კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“*. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს.

საქართველოს სახელმწიფო ვალი საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხაა.

მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფო ვალი მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალებს. საშინაო ვალის კრედიტორებად გვევლინება საქართველოს რეზიდენტი პირები, ხოლო საგარეო ვალის - არარეზიდენტი პირები. ხელისუფლების მიერ სასესხო ვალდებულებების განთავსებისას გათვალისწინება კრედიტორების ინტერესები (მაგალითად, საგადასახადო შეღავათები) როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად:

- *საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი* არის ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით;
- *საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი* არის უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული თანხებით.

ამჟამად, საქართველოს ხელისუფლების, როგორც კრედიტორის საქმიანობა შემოიფარგლება მისი მოღვაწეობით საშინაო ბაზარზე. იგი კრედიტებს გასცემს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იურიდიულ პირებზე - ორგანიზაციებსა და საწარმოებზე და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებზე.

სასესხო ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტების, სახელმწიფო სესხების ან სხვა სასესხო ვალდებულებებისაგან, რომელთა გარანტად წარმოდგება თვით სახელმწიფო. სახელმწიფო ფინანსური ვალდებულება არის საქართველოს სუვერენული და აბსოლუტური ვალდებულებები ძირითადი თანხების დაფარვისათვის და დარიცხული პროცენტების გადახდისათვის, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მთელი აქტივებით[1].

„სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით, *კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები*, - ესაა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების თანხების მთლიანი ჯამი. ამასთან:

- *სამინაო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები* კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიების ნაწილია; საგარანტიო ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებებისათვის თანხების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით აღებულ, ეროვნული ვალუტით გამოსახულ ყველა პირობით ვალდებულებათა ჯამს;
- *საგარეო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები* კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიების ნაწილია; საგარანტიო ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებებისათვის თანხების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით აღებულ, უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახულ ყველა პირობით ვალდებულებათა ჯამს.

ორივე შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულებები განისაზღვრება შესაბამისი საგარანტიო ხელშეკრულებებით. როგორც გარანტი, საქართველოს

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ პროცენტების გადახდა და ძირითადი თანხების დაფარვა ხელშეკრულების შესაბამისად და კანონის ფარგლებში უზრუნველყოფილია მუდმივი ასიგნებებით, რაც გრძელდება ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე. ამასთან, საქართველოს სახელით აღებული ფულადი ვალდებულებები ითვლება პრიორიტეტულ სავალო ვალდებულებებად, რაც გათანაბრებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაცულ მუხლებთან. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსური ვალდებულება შესრულებულად ითვლება კრედიტორისათვის პროცენტების გადახდისა და ძირითადი თანხის დაბრუნებისთანავე.

ხელისუფლება სრული პასუხისმგებელია მის მიერ ან მისი თავდებობის ქვეშ აღებული კრედიტების თავისდროულ და დათქმული პირობებით დაფარვაზე.

საქართველოს პარლამენტი ახდენს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების ორგანოებთან და სხვა სუბიექტებთან სახელმწიფო საგარეო კრედიტების აღებასთან ან კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას.

საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით განსაკუთრებული უფლება აქვს:

- დადოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ;
- გამოუშვას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც გამოეყოფათ საქართველოს ეკონომიკურ აგენტებს საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობის მიუხედავად.

სახელმწიფო, მათ შორის, საშინაო და საგარეო ვალის საერთო თანხა, აგრეთვე საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების ჯამური თანხა ყოველწლიურად განისაზღვრება აბსოლუტურ და შეფარდებით გამოსახულებაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო საშინაო ვალის, სახელმწიფო საგარეო ვალის, საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების ლიმიტებს (ზღვრულ ოდენობას) მოცემული წლისათვის.

სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმებია:

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- სხვა სავალო ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია სახელმწიფო საშინაო ვალად და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა[1].

---

[1] „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მიღებამდე სახელმწიფო საშინაო ვალად, გარდა ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა, აღიარებულ იქნა შემდეგი სავალო ვალდებულებები:
ა) მოსახლეობის მიერ ყოფილ სასელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება;

სახელმწიფო საშინაო ვალიდან შემოსული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, ფულადი სახსრები გამოიყენება:

- ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად;
- სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობის დასაფარავად.

სახელმწიფო საგარეო ვალის ფორმებია:

ბ) ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

გ) რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;

დ) თურქმენეთიდან 1995 წლის ჩათვლით მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ საქართველოს მთავრობის დავალებით ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ უადატვირთული პროდუქციის ანაზღაურებაში არსებული დავალიანება;

ე) საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება;

ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება;

ზ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება;

თ) მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

კ) ყოფილი სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის“ მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

ამასთან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48^1 მუხლის თანახმად, *საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული საქართველოს მთავრობის დავალიანება (მიღებული კრედიტები და გადაფორმებული სავალო ვალდებულებები),* რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალს, დაფარულ უნდა იქნეს 2030 წლის 16 მარტამდე საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ისე, რომ ყოველწლიურად მოხდეს დავალიანების ერთი ნაწილის გადაფორმება ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილ ერთწლიან ყოველწლიურად განახლებად სახელმწიფო სავალო ვალდებულებად – სახელმწიფო ობლიგაციად, ხოლო მეორე ნაწილისა – სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, რომელთა დაფარვაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან (11.05.2006 N3012).

- სხვა სახელმწიფოებისგან და სხვა სახელმწიფოების საფინანსო აგენტებისგან აღებული ვალი;
- უცხო ქვეყნების საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალი;
- ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით დენომინირებული, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ვალი.

სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრები გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებისთვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს სახელით აღებული სახელმწიფო საგარეო ვალის მართვაზე, მომსახურებასა და დაბრუნებაზე.

საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო საგარეო ვალით აღებული თანხის გაცემა წარმოებს დადგენილი წესით. სამინისტრო საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით ფარავს და ახორციელებს გადახდებს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებისათვის.

საერთაშორისო შეთანხმებებით სახელმწიფო საგარეო ვალი უნდა იქნეს გამოყენებული, მომსახურებული და დაბრუნებული იმ პირობებისა და ვადების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია შეთანხმებებით.

სახელმწიფო საგარეო ვალებიდან ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული სავალუტო სახსრები იყიდება სავალუტო ბაზარზე და გადაირიცხება ხაზინის ანგარიშში.

ამრიგად, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა მსესხებლის რანგში. ამ მიმართულებით ხელისუფლების აქტიურობა განპირობებულია ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების, უპირველეს ყოვლისა, საშინაო წყაროების ნაკლებობით. ამასთან დაკავშირებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო ვალიც.

სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე სარეიტინგო სააგენტოების „Standard & Poor's"-ის, „Fitch"-ის და „Moody's"-ის მიერ. აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით.

ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად[1].

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს.

2011 წელს საქართველომ წარმატებით გამოუშვა მეორე, ამჯერად 10-წლიანი ევროობლიგაცია, რომლის ფინანსური პარამეტრები მიმზიდველობის თვალსაზრისით გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა 2013 წელს ერთჯერადად გადასახდელი ძირითადი თანხა და, შესაბამისად, კიდევ უფრო ხელსაყრელი გახადა სახელმწიფო ვალის დაფარვის გრაფიკი.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. სამინისტრო აწარმოებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას შიდა ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ფასიანი ქაღალდების ემისია აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მაღალი სანდოობის მქონე კაპიტალის მოზიდვის გზით.


საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ვალის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად შემცირდა 2003 წლიდან. ამას მოჰყვა კოეფიციენტების დროებითი ზრდა 2008-2010 წლებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. ვალის კოეფიციენტების კლების ტენდენცია გაგრძელდა 2011 წლიდან, საქართველოში განახლებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში და სახელმწიფო ვალის გო-

[1] სახელმწიფო ვალი: http://mof.gov.ge/4408

ნივრული მართვიდან გამომდინარე, რომლის მიზანია სახელმწიფო ვალის შენარჩუნება სათანადო ლიმიტების ფარგლებში[1].

სხვა ქვეყნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოში მთავრობის ვალის დონე გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ბევრ სხვა წამყვან ქვეყანაში. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მთავრობის ვალი %-ად მშპ-თან 2014 წლისათვის შეადგენდა: საქართველოში - 33.7%-ს, ჩეხეთში - 47.6%-ს, შვეიცარიაში - 48.2%-ს, პოლონეთში - 57.6%-ს, უნგრეთში - 79.8%-ს, გერმანიაში - 80.4%-ს, კანადაში - 87.1%-ს, ბრიტანეთში - 92.1%-ს, საფრანგეთში - 93.5%-ს, ესპანეთში - 93.75-ს, აშშ-ში - 106%-ს, იტალიაში - 132.3%-ს, საბერძნეთში - 157.7%-ს, იაპონიაში - 243.5%-ს.

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი წარმოადგენს მთლიანი სახელმწიფო ვალის 75%-ს. ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან და ძირითადად შეღავათიანია. სახელმწიფო საგარეო ვალის ასეთი ხელსაყრელი სტრუქტურა საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას ძალიან დაბალი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ წლიური 1.9%-ის ოდენობით (ნახაზი 9.1.).



ნახაზი 9.1. სახელმწიფო ვალის ხელსაყრელი სტრუქტურა და ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები, ძალიან დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთი და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკი ძირითადი თანხების დაბალი და ადვილად ხელმისაწვდომი ყოველწლიური გადასახდელებით - ეს არის იმ ძირითადი ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების სტაბილურად დაბალ დონეს და კლებად ტენდენციას. ნებისმიერი ერთი

[1] ფაქტობრივად, მთლიანი სახელმწიფო ვალი %-ად ნომინალურ მშპ-თან 2003 წელს შეადგენდა 63%-ს, 2007 წლს - 25.5%-ს, 2014 წელს - 35.6%-ს, 2015 წელს - 41.4%-ს; ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალი კი %-ად ნომინალურ მშპ-თან 2003 წელს შეადგენდა 44.8%-ს, 2007 წლს - 16.8%-ს, 2014 წელს - 26.8%-ს, 2015 წელს - 32.5%-ს.

ფისკალური წლის განმავლობაში ვალის მომსახურებაზე მიიმართება საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ საბიუჯეტო ასიგნებები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებზე და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე.

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 73% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ამ ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ და ადვილად ხელმისაწვდომ დონეზე, მიუხედავად გაურკვეველი გლობალური ეკონომიკური სიტუაციისა.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ევრობონდების მეორადი ბაზრის ფასი ძირითადად აღემატება ნომინალურ ფასს (par value), ხოლო შემოსავლიანობა (yield) მნიშვნელოვნად შემცირდა. ფასის/შემოსავლიანობის ეს დადებითი ტენდენცია ადასტურებს საერთაშორისო ინვესტორთა საზოგადოების ურყევ ნდობას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკის მიმართ.

შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით და ინვესტორთა მხრიდან არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეტაპობრივად ახორციელებს სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდას და ვადიანობის გახანგრძლივებას 6 თვიდან 10 წლამდე. 2012 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. ამის პარალელურად, 2011-2012 წლების განმავლობაში საპროცენტო განაკვეთები (კუპონის და დისკონტის განაკვეთები) სტაბილურად მცირდება, რაც ასახავს ინვესტორების ნდობას საქართველოს ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის და არსებული სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის წამყვანი უწყება საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის კოორდინაციის კუთხით. დონორთა კოორდინაციის ძირითადი ამოცანაა დონორთა მხარდაჭერის ეფექტიანობის გაზრდა და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების და პროგრამების მორგება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მოზიდვა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, რათა შენარჩუნებული იქნას სახელმწიფო ვალის არსებული ხელსაყრელი პარამეტრები.

2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 35-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საქართ-

ველომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისგან მიიღო შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები საერთო მოცულობით 4.5 მლრდ აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით[1]. კონფერენციის ასეთმა წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

კონფერენციაზე მიღებული დაპირებების განხორციელება წარმატებულად მიმდინარეობს. საჯარო და კერძო სექტორებში დონორებთან უკვე გაფორმებულია შეთანხმებები დაპირებული თანხის მთლიან მოცულობაზე. დონორების ეს მხარდაჭერა ითვალისწინებს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების და გრანტების გამოყოფას პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების და პროგრამების დასაფინანსებლად ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ურბანული და მუნიციპალური განვითარების სექტორებში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად და იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

დონორთა ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმართება კერძო სექტორის მხარდასაჭერად. კონფერენციის შედეგად გამოყოფილი ფინანსური რესურსის ნაწილი უკვე ათვისებულია. დარჩენილი თანხების ათვისება გაგრძელდება მომავალი წლების განმავლობაში, დონორების მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დინამიკის შესაბამისად. ათვისების ეს გრაფიკი ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის და დასაქმების წახალისებას ქვეყანაში იაფი ფინანსური რესურსის შემოდინების გზით და შესაბამისად კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკის დაცულობას უარყოფითი გლობალური ეკონომიკური ფაქტორებისგან.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურასა და დინამიკაში უკეთ გასარკვევად მივმართოთ ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებს.

საგულისხმოა, რომ 2007-2014 წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა მნიშვნელოვნად (3,28125-ჯერ) გაიზარდა და 2014 წლის ბოლოსათვის 10 374.6 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში 3,1-ჯერ გაიზარდა საშინაო და 3,2-ჯერ - საგარეო ვალის მოცულობა. 2014 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის 24,56 პროცენტი ანუ 2 547.9 მლნ ლარი საშინაო,

---

[1] ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა სექტორების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: კერძო სექტორი - 19%, სოფლის მეურნეობა და სხვა - 10%, ბიუჯეტის მხარდაჭერა - 21%, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა - 6%, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - 17%, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა - 12%, ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - 15%.

ბოლო დანარჩენი - 75,44 პროცენტი ანუ 7 826.7 მლნ ლარი საგარეო ვალი იყო (ცხრილი 9.1.).

ცხრილი 9.1. საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა და სტრუქტურა 2007-2014 წლებში (ვალის ნაშთი წლის ბოლოს, მლნ ლარი)

	წლები							
	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სახელმწიფო ვალი	3 242.2	4 476.2	6 225.2	7 633.5	7 901.9	8 512.4	9 106.8	10 374.6
მათ შორის:								
საშინაო ვალი	812.5	781.5	1 693.2	1 818.3	1 881.0	1 895.2	2 016.9	2 547.9
საგარეო ვალი	2 429.7	3 694.7	4 532.0	5 815.2	6 020.9	6 617.2	7 089.9	7 826.7

2007-2014 წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალი %-ად მშპ-თან საგრძნობლად გაიზარდა და მან 2014 წელს 34,7 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 2007 წლის 25,5 პროცენტისა. აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო საგარეო ვალი მშპ-თან მიმართებაში გაიზარდა 10 პროცენტული პუნქტით, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება ბიუჯეტის შემოსავლებთან მიმართებაში გაიზარდა 4.5 პროცენტული პუნქტით (ცხრილი 9.2.).

ცხრილი 9.2. საქართველოს სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები 2007-2014 წლებში

მაჩვენებლები	წლები							
	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სახელმწიფო საგარეო ვალი მშპ-თან	16.8%	23.5%	31.7%	33.6%	28,8%	27.6%	27.2%	26.8%
სახელმწიფო საშინაო ვალი მშპ-თან	-	-	-	-	7,8%	7.2%	7.5%	8.7%
მათ შორის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი მშპ-თან	-	-	-	-	2,2%	2.2%	2.7%	4.5%
სახელმწიფო ვალი მშპ-თან	25.5%	31.2%	41.0%	42.4%	36,6%	34.8%	34.7%	35.5%
მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება ბიუჯეტის შემოსავლებთან	3.4%	2.0%	4.3%	4.4%	4,3%	3.0%	7.6%	7.9%
მთავრობის საშინაო ვალის მომსახურება ბიუჯეტის შემოსავლებთან	-	-	-	-	2,0%	2.0%	1.8%	1.7%
მთავრობის ვალის მომსახურება ბიუჯეტის შემოსავლებთან	-	-	-	-	6,2%	5.0%	9.4%	9.7%

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობის ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალების სტრუქტურა. თუმცა, ეს ცვლილებები არსებით ხასიათს არ ატარებდა. საქართველოს საშინაო და საგარეო ვალების მოცულობები და სტრუქტურა 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად - 9.3 და 9.4 ცხრილების სახით.

ცხრილი 9.3. სახელმწიფო საშინაო ვალის მოცულობა და სტრუქტურა 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით (ათასი ლარი)[1]

	ნამთი	დაუფარავი მოცულობა ნომინალებში
სახელმწიფო საშინაო ვალი - სულ	2 568,453.4	2 604,788.0
მათ შორის:		
1. სახაზინო ფასიანი ქაღალდები	2 072,607.4	2 108,942.0
6 თვიანი	77,292.0	80,000.0
12 თვიანი	530,652.8	568,000.0
2 წლიანი	570,976.4	568,900.0
5 წლიანი	684,833,2	679,522.0
10 წლიანი	208,853.1	212,520.0
2. სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	495,846.0	495,846.0
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-თვის	320,846.0	320,846.0
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	175,000.0	175,000.0

თავისი მოცულობით, საშინაო ვალის დაუფარავი მოცულობის უდიდესი ნაწილი (80,69%) სახაზინო ფასიანი ქაღალდებია (2 072,607.4 ათასი ლარი). აქედან, 6 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები წარმოდგენილია 77,292.0 ათასი ლარით, 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები - 530,652.8 ათასი ლარით, 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები - 570,976.4 ათასი ლარით, 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები - 684,833,2 ათასი ლარით, 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები კი - 208,853.1 ათასი ლარით. ასევე დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (495,846.0 ათასი ლარი), საიდანაც განსაკუთრებით მაღალი ხვედრიწილი უკავია სახელმწიფო ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის.

ცხრილი 9.4. სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა და სტრუქტურა 2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით (ათასი)[2]

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 31.03.2015 მდგომარეობით (ათასი)		
		კრედიტის	აშშ დოლარში	ლარში

[1] სახელმწიფო საშინაო ვალის სტატისტიკა: http://mof.gov.ge/5029

[2] სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა: http://mof.gov.ge/5033

		ვალუტაში		
სახელმწიფო საგარეო ვალი - სულ			4 616,763	11 272,288
მათ შორის:				
1. მთავრობის საგარეო ვალი			4 614,843	11 267,601
აქედან:				
1.1. მრავალმხრივი კრედიტორები:			3 343,123	8 162,568
▪ მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	SDR	842,936	1 155,686	2 821,722
▪ მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	USD	685,712	685,712	1 674,235
▪ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	19,987	27,403	66,907
▪ საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	SDR	80,000	109,682	267,799
▪ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	92,812	101,498	247,819
▪ ევროგაერთიანება (EU)	EUR	10,000	10,936	26,701
▪ აზიის განვითარების ბანკი (ADB)	USD	255,347	255,347	623,455
	SDR	495,259	679,011	1 657,874
	EUR	19,892	21,753	53,112
▪ ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	270,756	296,095	722,945
1.2. ორმხრივი კრედიტორები:			769,694	1 879,284
• ავსტრია	EUR	10,930	11,953	29,184
• აზერბაიჯანი	USD	9,476	9,476	23,135
• თურქმენეთი	USD	211	211	515
• თურქეთი	USD	18,141	18,141	44,293
• ირანი	USD	7,359	7,359	17,968
• რუსეთი	USD	76,780	76,780	187,465
• სომხეთი	USD	10,996	10,996	26,848
• უზბეკეთი	USD	212	212	518
• უკრაინა	USD	194	194	473
• ყაზახეთი	USD	27,774	27,774	67,813
• ჩინეთი	CNY	15,000	2,175	5,311
• გერმანია	EUR	246,157	269,194	657,264

• იაპონია	JPY	22,511,716	201,956	493,097
• კუვეიტი	KWD	4,143	13,619	33,251
• ნიდერლანდები	EUR	1,043	1,141	2,786
• ამერიკა	USD	24,591	24,591	60,041
• საფრანგეთი	EUR	85,885	93,923	229,322
1.3. ფასიანი ქაღალდები:			500,000	1 220,800
ევროობლიგაცია	USD	500,000	500,000	1 220,800
1.4. გარანტირებული კრედიტები:			2,027	4,949
გერმანია	EUR	1,853	2,027	4,949
2. საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი:			1,919	4,685
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	SDR	1,400	1,919	4,685

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვალების სტრუქტურაში განსაკუთრებით გამოირჩევა მთავრობის საგარეო ვალი (11 267,601 ათასი ლარი ანუ მთელი საგარეო ვალის 99,95%). აქედან, განსაკუთრებით მაღალი ხვედრიწილითაა წარმოდგენილი მრავალმხრივი კრედიტორები (8 162,568 ათასი ლარი), ორმხრივი კრედიტორები (1 879,284 ათასი ლარი) და ფასიანი ქაღალდები (1 220,800 ათასი ლარი).

საქართველოს სახელმწიფო ვალების მართვა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის დროსაც გამოიყენება მათი როგორც კონსოლიდაცია, ისე კონვერსია. საშინაო ვალებთან შედარებით, გაცილებით ინტენსიურად მიმდინარეობს საქმიანობა საგარეო ვალების მართვასთან დაკავშირებით, რომელშიც წამყვან როლს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასრულებს. საქართველოს საგარეო ვალების მართვა-რეგულირებაში, მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პარიზის კლუბი[1].

---

[1] საგულისხმოა, რომ 2001 და 2004 წლებში საქართველომ მრავალმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე მიაღწია შეთანხმებას კრედიტორ ქვეყნებთან საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით პარიზის კლუბის ეგიდით, რის შედეგადაც ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა საგარეო ვალების მომსახურების სიმძიმე. აღნიშნული რესტრუქტურიზაციის შედეგად უზრუნველყოფილია საგარეო ვალის მდგრადობა, რაც მიღწეული იქნა წლების მანძილზე ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად და აგრეთვე, ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტებისთვის გამოყენების მეშვეობით. აღნიშნული ტენდენცია დღემდე გრძელდება. ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალის ნაწილში ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა ვადიანი სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებების დაფინანსების და საშინაო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას განთავსებული აქვს ევროობლიგაციები საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე.

<u>სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი</u>: ქვეყნის განვითარების პროცესში, სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და აღნიშნული საკითხით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეესწავლა 2010-2014 წლებში სახელმწიფო ვალის მართვის არსებული პრაქტიკა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო ვალის მართვაში არსებული რიგი ნაკლოვანებები:

■ *საქართველოს სახელმწიფო ვალის პორტფელში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკრედიტო ვალდებულებები:* შედეგად, საწარმოს გადახდისუუნარობის/დეფოლტის შემთხვევაში, არსებობს სახელმწიფო აქტივების მოცულობის შემცირების ან/და ვალდებულებების ზრდის რისკი, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე, სხვადასხვა სახის ანალიზებში (მაგალითად, სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი), სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების ვალდებულებების არ გათვალისწინება ქმნის რისკს იმისა, რომ არაზუსტად იქნება შეფასებული სახელმწიფო ვალის მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები თუ რისკები.

■ *საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ ჰქონდა შემუშავებული სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია:* საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანი წინაპირობაა საშუალო- და გრძელვადიან პერიოდში ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. სტრატეგიის დოკუმენტის არსებობა განსაკუთრებით საყურადღებოა საკრედიტო რესურსების მოზიდვის კუთხით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რაც საშუალო- და გრძელვადიან პერიოდში შეღავათიანი საკრედიტო რესურსით სარგებლობის შეზღუდვით გამოიხატება.

■ *საკრედიტო რესურსის მოზიდვის ეტაპზე არ ხორციელდება სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მიერ შემოთავაზებული საკრედიტო პირობების ანალიზის დადოკუმენტირება:* მთავრობის განკარგულების პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათებში მოცემული ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს მთავრობის მიერ სესხის აღების პროცესის გამჭვირვალობასა და უფლებამოსილი პირების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაოპტიმალური პირობებით სახელმწიფო ვალის აღება.

■ *საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ვალის დამახასიათებელი რისკების შეფასებას და ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარებას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი, რაც წარმოშობს რისკს იმისა, რომ ვერ მოხდება მოსალოდნელი საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და მათი პრევენცია:* დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბი-

უკეტის კანონის პროექტს თან დაერთო მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი. მიზანშეწონილია, რომ ფინანსთა სამინისტრომ, სამომავლოდ, საბიუჯეტო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ, ჩაატაროს სრულყოფილი სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი.

■ *სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების უზრუნველსაყოფად საკმარისი არაა პერიოდის განმავლობაში ემისიების სტაბილურად განხორციელება:* სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელი დაბალი დივერსიფიკაციის დონით ხასიათდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფასიანი ქაღალდების 90%-ზე მეტს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ფლობენ. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბაზრის განვითარებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს დივერსიფიცირებული ინვესტორთა ბაზის არსებობა.

■ *არ არსებობს ფორმალური სახელმძღვანელო ან მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილი იქნებოდა, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა ხდებოდეს დასაგეგმი წლისათვის სავალო საჭიროების დადგენა:* ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში პროცესი რეგულირდება სამინისტროს დებულებით. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით, პროცესში ჩართული დეპარტამენტების ფუნქციები, გარდა სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტისა, განსაზღვრული არ არის და შეუძლებელია იმის დადგენა თუ რომელი დეპარტამენტი რაზეა პასუხისმგებელი. შედეგად, დასაგეგმი წლისათვის სავალო საჭიროების განსაზღვრის პროცესი არ მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული და ფორმალურად დამტკიცებული წესებისა თუ პროცედურების მიხედვით.

საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვაში არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით და მოცემული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.** კერძოდ, სახელმწიფო ვალის მართვის არსებული პრაქტიკის შეფასების საფუძველზე, **სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია:**

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საბიუჯეტო დოკუმენტებში, უზრუნველყოს სახელმწიფო სექტორის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების სრულყოფილი ასახვა, ვალდებულებების შესაბამისი მფლობელებისა და მახასიათებლების მითითებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური ანალიზების ჩატარების პროცესში უზრუნველყოს პირობითი ვალდებულებების მოცულობისა და მათთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება;
- საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ" შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით, სახელმწიფო ვალის შესახებ არსებული განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ქვეყნის განვითარების საერთო სტრატეგიასთან და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის განკარგულების პროექტზე თანდართულ მასალებთან ერთად წარადგინოს სესხის აღებასთან დაკავშირებული დეტალური ანალიზის ამსახველი დოკუმენტები, სადაც ნათლად იქნება მოცემული სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში არსებული პირობებით სესხის აღების უპირატესობა;
- სახელმწიფო ვალის მართვაზე პასუხისმგებელმა უწყებამ უზრუნველყოს ვალის მდგრადობის სრულყოფილი ანალიზის რეგულარულად (საბიუჯეტო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ) ჩატარება და სისტემატურად განახორციელოს სახელმწიფო ვალის არსებული პორტფელის შესაბამისი რისკების მონიტორინგი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან კოორდინაციით, შეიმუშაოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სტრატეგია და გაანალიზდეს ის პოტენციური ღონისძიებები (სტიმულები), რაც ხელს შეუწყობს ბაზრის განვითარებას;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სავალო საჭიროებების განსაზღვრის წესი/პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ოფიციალურად დარეგულირდება აღნიშნული პროცესი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებაში შევიდეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება პროცესში ჩართული დეპარტამენტების ფუნქცია-მოვალეობები, სავალო საჭიროებების დადგენის მიმართულებით.

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის - „საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-2017“ - გათვალისწინებით, შემუშავდება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი პოლიტიკა სახელმწიფო ვალთან მიმართებაში[1].

აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პარალელურად, დაიხვეწება სახელმწიფო ვალის შესახებ კანონმდებლობა და გაძლიერდება სახელმწიფო ვალის მართვაში ანალიტიკური ნაწილი (middle office), რაც მნიშვნელოვანია ეფექტიანი საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის ერთიანი მონაცემთა ბაზის სრულყოფა, რაც ვალის შესახებ ერთიანი ანალიზის და ანგარიშების მომზადების საშუალებას მოგვცემს.

---

[1] საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-2017: http:// www. mof.ge/images/File/strategia/2014-2017_strategiis_document.pdf.

დღეის მდგომარეობით არ არსებობს კონკრეტული მექანიზმი პირობითი ვალდებულებების რისკების ანალიზისათვის. მსოფლიო ბანკის სახელმწიფო ვალის მართვის შეფასების (DeMPA) მისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხორციელდება სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ კონტრაგენტების წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ მონაცემების შეკრება და აღრიცხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების შეფასებას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაითვალისწინებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრულ სახელმწიფო ვალის პარამეტრებს. დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სახელმწიფო ვალის მართვა და, პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების შეფასება.

საკონტროლო კითხვები

1. განმარტეთ, რა არის სახელმწიფო კრედიტი და ახსენით, რითი განსხვავდება იგი კრედიტის სხვა სახეებისაგან.
2. განსაზღვრეთ, რას გულისხმობს სახელმწიფო კრედიტის ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციები.
3. განმარტეთ, რა არის სახელმწიფო ვალი და ახსენით, რა განსხვავებაა სახელმწიფო სესხსა და სახელმწიფო კრედიტს შორის.
4. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები სასესხო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების მიხედვით.
5. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები განთავსების ფორმის მიხედვით.
6. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები განთავსების ადგილმდებარეობის მიხედვით.
7. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები ბაზარზე მიმოქცევის მიხედვით.
8. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები დაფარვის ვადების მიხედვით.
9. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები შემოსავლის გადახდის ხასიათის მიხედვით.
10. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიხედვით.
11. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები შემოსავლის განსაზღვრის მეთოდის მიხედვით.

12. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები სასესხო ვალდებულებების დაფარვის ვადების დაცვის მიხედვით.
13. დაახასიათეთ სახელმწიფო სესხების სახეები განთავსების მეთოდის მიხედვით.
14. ახსენით, რას ნიშნავს სახელმწიფო კრედიტის მართვა ვიწრო და ფართო გაგებით.
15. განმარტეთ, რა არის სახელმწიფო ვალების კონვერსია და დაასახელეთ მისი ჩატარების ძირითადი მეთოდები.
16. ახსენით, რას გულისხმობს სახელმწიფო ვალების კონსოლიდაცია.
17. განმარტეთ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი და ჩამოთვალეთ მისი ფორმები „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.
18. განმარტეთ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და ჩამოთვალეთ მისი ფორმები „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.
19. განმარტეთ საშინაო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიების არსი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.
20. განმარტეთ საგარეო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიების არსი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.
21. განსაზღვრეთ რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა.
22. დაახასიათეთ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ფორმირებასა და მართვაში ჩამოყალიბებული ძირითადი ტენდენციები.
23. ახსენით, რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა.
24. დაასახელეთ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად სახელმწიფო ვალის მართვაში გამოვლენილი ნაკლოვანებები.
25. ჩამოთვალეთ საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვაში არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.
26. განმარტეთ საქართველოს მთავრობის სტრატეგია საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის - „საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-2017“ - გათვალისწინებით, საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალებთან მიმართებაში.
27. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. ბიუჯეტის პროფიციტი	ა. სესხის შემოსავლიანობასთან დაკავშირებული თავდაპირველი პირობების შეცვლა;
—	2. ბიუჯეტის დეფიციტი	ბ. იყიდება ნომინალიდან ფასდაკლებით, ხოლო გამოიყენება ნომინალით;
—	3. მთლიანი სალდო	გ. ექვემდებარება თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოქცევას;
—	4. არაფინანსური აქტივების ცვლილება	დ. ეკონომიკური ურთიერთობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს, და მეორე მხრივ, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, რომელშიც სახელმწიფო გამოდის ან ფულადი სახსრების მსესხებლის, ან გამსესხებლის და ან გარანტის როლში;
—	5. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება	ე. შემოსავლები ფულის ემისიიდან;
—	6. სენიორაჟი	ვ. ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით განხორციელებული ოპერაციები ზრდის და კლების მიმართულებით;
—	7. სახელმწიფო კრედიტი	ზ. არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციები ზრდის და კლების მიმართულებით;
—	8. საბაზრო სესხები	თ. წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის მოცულობას;
—	9. ნულოვან კუპონიანი სესხები	ი. უარყოფითი მთლიანი სალდო;
—	10. კონვერსია	კ. დადებითი მთლიანი სალდო.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. საოპერაციო სალდო წარმოადგენს:
   - ○ გადასახადებისა და სხვა შემოსავლების ჯამს;
   - ○ შემოსავლებისა და ხარჯების ჯამს;
   - ○ გადასახადებისა და სხვა შემოსავლების სხვაობას;
   - ○ შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას.

2. **არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოადგენს:**
   - ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის მიმართულებით;
   - ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით განხორციელებულ ოპერაციებს კლების მიმართულებით;
   - ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით;
   - არაფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით.
3. **მთლიანი სალდო წარმოადგენს:**
   - საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება;
   - შემოსავლებისა და ხარჯების ჯამს;
   - გადასახადებისა და სხვა შემოსავლების სხვაობას;
   - შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას.
4. **მთლიანი სალდო ყოველთვის ტოლია:**
   - ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსი;
   - ბიუჯეტის მთლიანი სალდოსი;
   - არაფინანსური აქტივების ცვლილებისა;
   - ფინანსური აქტივების/ვალდებულებების ცვლილებისა.
5. **დადებითი მთლიანი სალდო არის:**
   - არაფინანსური აქტივების ცვლილება;
   - ბიუჯეტის პროფიციტი;
   - ფინანსური აქტივების ცვლილება;
   - ბიუჯეტის დეფიციტი.
6. **უარყოფითი მთლიანი სალდო არის:**
   - არაფინანსური აქტივების ცვლილება;
   - ბიუჯეტის პროფიციტი;
   - ფინანსური აქტივების ცვლილება;
   - ბიუჯეტის დეფიციტი.
7. **ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საშინაო წყაროებს არ მიეკუთვნება:**
   - საბიუჯეტო კრედიტი;
   - სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა;
   - სახელმწიფო და ფედერაციის სუბიექტების საგარეო ობლიგაციური სესხების რეალიზაცია და გადასახდელები საობლიგაციო სესხებზე ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად;
   - ძვირფასი ლითონებისა და ქვეყნის სახელმწიფო მარაგი.
8. **ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროები არ მოიცავს:**
   - შემოსავლებს სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული სახსრებიდან, ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მობილიზებული სესხებიდან, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებზე ვალის ძირითადი თანხის დასაფარ გადასახადებს;
   - უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ კრედიტებს;
   - ადრე მიღებულ კრედიტზე გადასახდელების გადავადებას;

- სახელმწიფო და ფედერაციის სუბიექტების საგარეო ობლიგაციური სესხების რეალიზაციას და გადასახდელებს საობლიგაციო სესხებზე ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად.

9. სახელმწიფო კრედიტის ძირითად პრინციპებს არ მიეკუთვნება:
   - დაბრუნებითობა;
   - კონკურენტუნარიანობა;
   - სარგებლიანობა;
   - უზრუნველყოფითობა.
10. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:
    - მსესხებლის რანგში;
    - გარანტის რანგში;
    - კრედიტორის რანგში;
    - მსესხებლისა და კრედიტორის რანგში.
11. ფულადი სახსრების მოძრაობამ შესაძლოა გავლენა არ მოახდინოს ცენტრალიზებული ფულადი ფონდების მოცულობაზე საკრედიტო ურთიერთობების იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო გამოდის:
    - გარანტის როლში;
    - მსესხებლის როლში;
    - კრედიტორის როლში;
    - ერთდროულად, მსესხებლისა და კრედიტორის როლში.
12. სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია, ასრულებს შემდეგ ორ ძირითად ფუნქციას:
    - ფისკალურსა და განმანაწილებლობითს;
    - მარეგულერებელსა და საკონტროლოს;
    - ფისკალურსა და მარეგულირებელს;
    - საკონტროლოსა და განმანაწილებლობითს.
13. სახელმწიფო სესხებით დაფინანსებულ სახელმწიფო ხარჯებს აქვს:
    - ადმინისტრაციული ხასიათი;
    - საბაზრო ხასიათი;
    - კაპიტალური ხასიათი;
    - მიმდინარე ხასიათი.
14. სასესხო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების მიხედვით სახელმწიფო სესხები იყოფა:
    - ობლიგაციურ და არაობლიგაციურ სესხებად;
    - საშინაო და საგარეო სესხებად;
    - საბაზრო და არასაბაზრო სესხებად;
    - ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მიერ ფასიანი ქაღალდების სახით განთავსებულ სესხებად.
15. განთავსების ადგილმდებარეობის მიხედვით განასხვავებენ:
    - საშინაო და საგარეო სესხებს;
    - საბაზრო და არასაბაზრო სესხებს;
    - ობლიგაციურ და არაობლიგაციურ სესხებს;

- მიმდინარე, მოკლევადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან და უვადო სესხებს.

16. საშუალოვადიანი სახელმწიფო სესხები ითვალისწინებს პერიოდს:
    - 3 თვიდან 1 წლამდე ვადით;
    - 1 წლიდან 2-3 წლამდე ვადით;
    - 2-3 წლიდან 10 წლამდე ვადით;
    - 10 წლიდან 40-50 წლამდე ვადით.
17. განთავსების მეთოდის მიხედვით სესხებს ყოფენ:
    - ლატარიულ, პროცენტულ და წულოვან კუპონიან სესხებად;
    - უზრუნველყოფილ და უზრუნველყოფის გარეშე სესხებად;
    - ნებაყოფლობით და იძულებით სესხებად;
    - ვადაზე ადრე დაფარვის უფლებით და ვადაზე ადრე დაფარვის უფლების გარეშე სესხებად.
18. სახელმწიფო კრედიტის მართვის ღონისძიებათა სისტემაში არ შედის:
    - სესხების კონსოლიდაცია;
    - ახალი სესხების კონიუნქტურის შესწავლა;
    - სესხების ფორმებისა და სახეების განსაზღვრა;
    - საგადასახადო შემოსავლების გადიდების გზით ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება.
19. იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი მოვალეა ადრე გამოშვებული შემცირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის ობლიგაციები გაცვალოს ახალ ობლიგაციებზე, ადგილი აქვს:
    - ნებაყოფლობით კონვერსიას;
    - ფაკულტატურ კონვერსიას;
    - იძულებით კონვერსიას;
    - რაოდენობრივ კონვერსიას.
20. სახელმწიფო ვალის კონვერსიის მეთოდებს არ განეკუთვნება:
    - იძულებითი კონვერსია;
    - ხარისხობრივი კონვერსია;
    - ფაკულტატური კონვერსია;
    - ნებაყოფლობითი კონვერსია.
21. საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო სამინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა არის:
    - საქართველოს სახელმწიფო ვალი;
    - საქართველოს სახელმწიფო სამინაო ვალი;
    - საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი;
    - კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები.

22. საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების თანხების მთლიანი ჯამი იწოდება:
    - საშინაო კრედიტებისათვის გაცემულ საქართველოს სახელმწიფო გარანტიებად;
    - საგარეო კრედიტებისათვის გაცემულ საქართველოს სახელმწიფო გარანტიებად;
    - საქართველოს სახელმწიფო ვალად;
    - კრედიტებისათვის გაცემულ საქართველოს სახელმწიფო გარანტიებად.
23. ქვემოჩამოთვლილთაგან სახელმწიფო საგარეო ვალის ფორმებს არ მიეკუთვნება:
    - სხვა სახელმწიფოებისგან და სხვა სახელმწიფოების საფინანსო აგენტებისგან აღებული ვალი;
    - უცხო ქვეყნების საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალი;
    - ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით დენომინირებული, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
    - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.
24. ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები არის:
    - სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;
    - საგარეო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები;
    - საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი;
    - საშინაო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები.
25. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48^1 მუხლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული საქართველოს მთავრობის დავალიანება (მიღებული კრედიტები და გადაფორმებული სავალო ვალდებულებები), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალს, დაფარულ უნდა იქნეს:
    - 2030 წლის 16 მარტამდე;
    - 2025 წლის 31 დეკემბრამდე;
    - 2020 წლის 16 მარტამდე;
    - 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

თემა 10

საბიუჯეტო ფედერალიზმი და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის სისტემა

„ფედერალური სარეზერვო სისტემის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასმელი სწორედ იმ მომენტში დამალოს, როცა საღამოს წვეულება გაჩაღებულია".
უ. მარტინი

გეგმა:

10.1. საბიუჯეტო ფედერალიზმის არსი და პრინციპები;
10.2. მსოფლიოში ცნობილი საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები;
10.3. საბიუჯეტო ფედერალიზმის ზოგადი მიზნები და საქართველოში მის შემოღებასთან დაკავშირებული ამოცანები;
10.4. სახელმწიფო, ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებული ფინანსური ურთიერთობები;
10.5. საგადასახადო და ხარჯვით უფლებამოსილებათა გადანაწილება საბიუჯეტო სისტემის რგოლებს შორის;

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

10.1. საბიუჯეტო ფედერალიზმის არსი და პრინციპები

ფინანსურ მეცნიერებაში მიღებული დებულების თანახმად, საბიუჯეტო ფედერალიზმი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის ისეთი სისტემაა, სადაც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული საბიუჯეტო იერარქიის ყველა დონის საბიუჯეტო ინტერესები და საგადასახადო ბაზის განვითარების შესაძლებლობანი.

საბიუჯეტო ფედერალიზმი მოიცავს ქვეყნის საფინანსო მოწყობის ორივე დონეს. ის არეგულირებს, ერთი მხრივ, საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის. მასში მნიშვნელოვანია საგადასახადო ფედერალიზმი, ანუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონებს შორის, რომელიც მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთულესი პრობლემაა და, რომლის გადაწყვეტის ერთიანი, ყველასათვის მისაღები მოდელი არ არსებობს.

საგულისხმოა, რომ რეალურ ვითარებაში „ცენტრსა" და „რეგიონებს" შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა პრაქტიკულად მრავალ წინააღმდე-

გობას აწყდება. ცენტრი ყოველთვის ცდილობს ფუნქციათა გაფართოებას, რათა შეინარჩუნოს სახელმწიფოს მართვის რაც შეიძლება მეტი ბერკეტი[1]. რეგიონები კი თავისას მოითხოვენ, მათ უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები ადგილებზე დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად.

საბიუჯეტო სისტემის აგების ფედერალური პრინციპები მიმართულია საბიუჯეტო პროცესის დამოუკიდებელი და ერთობლივი მართვის შერწყმაზე. ფართო გაგებით, იგი გულისხმობს ხელისუფლების სხვადასხვა დონის საერთო მიზნების მიღწევას ერთობლივად, მათი განუყოფლობის შენარჩუნებით, თითოეული მხარის დამოუკიდებლობის პირობებში.

ფედერალიზმის პოლიტიკური პრინციპი მდგომარეობს ფედერაციის შემადგენელი ერთეულების მთლიანობის უზრუნველყოფის პირობებში ფედერალურ წარმონაქმნთა შორის კანონით მინიჭებულ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა კონსტიტუციურ განაწილებაში.

ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი მდგომარეობს უფლებემოსილებათა დაყოფაში საკუთრებასთან მიმართებით. ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

მსოფლიოში არსებული ფედერალური სისტემები ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

- იერარქიის არსებობით;
- მართვის ყოველი დონის ნათლად ჩამოყალიბებული უფლებამოსილებებით;
- თითოეული დონის დადგენილი ავტონომიითა და რეგლამენტირებული სუვერენიტეტით.

სამეურნეო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ფედერალიზმის კონკრეტული ფორმები ყოველ ქვეყანაში პერიოდულად იცვლება. ეს ეხება როგორც ხელისუფლების დონეებს შორის გამგებლობის სფეროებისა და უფლებამოსილებების გამიჯვნას, ისე რეფორმებს საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროებში.

ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის სახელისუფლებო უფლებამოსილებათა დანაწილება გულისხმობს ბიუჯეტების, მათი შემოსულობებისა და გადასახდელების დანაწილებასაც, ფედერაციულ ცენტრსა და მის სუბიექტებს შორის სახელმწიფოს საერთო შემოსავლის განაწილებას, რაც უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების ხარისხიანად შესრულებას. თუმცა, ამ პრობლემის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა შეუძ-

---

[1] საბიუჯეტო ინსტრუმენტების მეშვეობით სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს გავლენა მოახდინოს კვლავწარმოების პროცესზე, გადაწყვიტოს არა ერთი შიდა პოლიტიკური პრობლემა, უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამოთანაბრება.

ლებელია ობიექტური და სუბიექტური ხასიათის რაოდენობრივ შეფასებას დაუქვემდებარებელი მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელში იგულისხმება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, გეოგრაფიული, დემოგრაფიული თავისებურებებითა და სხვა ფაქტორებით განპირობებული სხვადასხვა კომბინაციები.

ფედერალიზმი მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს საბიუჯეტო სისტემის განკერძოებული რეგიონული რგოლებისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სისტემის არსებობას, რომელიც მოწოდებულია მოსახლეობის მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე.

ფედერალიზმის სფეროში იდეალური სიტუაცია მაშინ იქმნება, როცა ხელისუფლების ყოველ დონეს გააჩნია ფინანსურ საშუალებათა საკუთარი წყაროები და საკუთარი ბიუჯეტი მისთვის მინიჭებულ საბიუჯეტო უფლებამოსილებათა ფარგლებში.

გარკვეული გაგებით, საბიუჯეტო ფედერალიზმი გულისხმობს ფედერაციის სუბიექტების აქტიურობას, ერთი მხრივ, ცენტრალიზებულად მისაღები გადაწყვეტილებებისა და, მეორე მხრივ, რეგიონული პროგრამების დასაფინანსებლად სახსრების მოძიების მიმართულებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი რეგიონების რეალურ დამოუკიდებლობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ფედერაციის სუბიექტების მიერ მისაღები გადაწყვეტილებების სარეალიზაციო საბიუჯეტო წყაროების ფორმირებისათვის ფინანსური ბაზა არასაკმარისია. ამ შემთხვევებში მართვის დეცენტრალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებისთვის მართვის სფეროში გარკვეული უფლებების მინიჭებას, უზრუნველყოფილია მათთვის ფედერალური ბიუჯეტიდან ან ფედერაციის სხვა სუბიექტების ბიუჯეტებიდან ფულადი სახსრების გადაცემით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონების (ფედერაციის სუბიექტების) საბიუჯეტო დამოუკიდებლობის რეალიზაციისათვის სახსრების უკმარისობისას გამოიყენება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ემსახურება ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, პირველ რიგში კი, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფას.

ამდენად, საბიუჯეტო ფედერალიზმში იგულისხმება ნათლად ჩამოყალიბებულ საკანონმდებლო ნორმებსა და დებულებებზე დამყარებული სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ავტონომიური ფუნქციონირება.

ძალიან ხშირად საბიუჯეტო ფედერალიზმი განიხილება, როგორც საბიუჯეტო ურთიერთობათა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც (ბიუჯეტის ავტონომიის პირობებში) შესაძლებელს ხდის ფედერალური ბიუჯეტით წარმოდგენილი ფედერაციის ინტერესების შეხამებას ფედერაციის სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინტერესებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ფედერალიზმი უფრო ფართო მნიშვნელობით შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგნაირად: ეს არის საფინანსო სფეროში ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს, ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების კრიტერიუმი.

ფედერაციულ სახელმწიფოებში საბიუჯეტო სისტემები მოწყობილია სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, შეიძლება გამოიყოს *საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის შემდეგი ძირითადი ტიპები:* ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და კომბინირებული.

ცენტრალიზებული ტიპის დროს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამოყვნას გადასახდელებში, როგორც წესი, არ ახლავს ამ უკანასკნელთა საკუთარი შემოსულობების საკმარისი წყაროებით უზრუნველყოფა. ასეთ პირობებში ტერიტორიული პროგრამების დაფინანსება ხორციელდება ფედერალური ბიუჯეტის ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. აქ საბიუჯეტო სისტემის ქვემდგომი რგოლების დამოუკიდებელი ფუნქციონირება მინიმუმამდეა დაყვანილი.

დეცენტრალიზებული ტიპის დროს საბიუჯეტო სისტემები აგებულია რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის აღიარებაზე; ზემდგომი ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარება მინიმუმამდეა დაყვანილი; და ბოლოს, გადასახდელების ნაწილში უფლებამოსილებები უშუალოდ დაკავშირებულია შემოსულობების რაოდენობასთან. ამგვარი ორგანიზაციის დროს მეტად გაძნელებულია ერთიანი საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს ფარგლებში.

საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის კომბინირებული ტიპისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- ფედერალური ცენტრის მაღალი პასუხისმგებლობა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების შექმნაზე, რაც უდავოდ ზღუდავს რეგიონული ხელისუფლების დამოუკიდებლობას და უზრუნველყოფს კონტროლის აუცილებლობას ხელისუფლების ფედერალური ორგანოების მხრიდან;
- რეგიონების საბიუჯეტო რეგულირებისა და გამოთანაბრებისათვის ზემდგომი ბიუჯეტებიდან ქვემდგომი ბიუჯეტებისთვის საბიუჯეტო ტრანსფერების მნიშვნელოვანი როლი;
- ჰორიზონტალური და ვერტიკალური საბიუჯეტო გამოთანაბრების მექანიზმის გამოყენება.

ვერტიკალური გამოთანაბრება გულისხმობს ხელისუფლების ყოველი დონის სარჯვითი ვალდებულებების მოცულობასა და მის საშემოსავლო წყაროებს შორის შესაბამისობის დადგენას და დისბალანსის კომპენსირებას ზემდგომი ბიუჯეტებიდან ტრანსფერების ხარჯზე.

ჰორიზონტალური გამოთანაბრება ვარაუდობს საგადასახადო ტვირთის პროპორციულ განაწილებას ფედერაციის (მუნიციპალური წარმონაქმნების) სუბიექტებს შორის სხვადასხვა ტერიტორიების საგადასახადო შესაძლებლობების უთანაბრობის სალიკვიდაციოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის შესამცირებლად.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის ყოველ ზემოთ მითითებულ ტიპს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასე, მაგალითად, დეცენტრალიზაცია შეიძლება უარყოფითად აისახოს ხელისუფლების ფედერალური ორგანოს უნარზე სათანადოდ გააკონტროლოს მაკროეკონომიკური პროცესები. ხელისუფლების რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოთა ქმედებები შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ხელისუფლების ფედერალური ორგანოების ქმედებებთან ფედერალურ ცენტრზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, დეცენტრალიზაცია შესაძლებელს ხდის უფრო ზუსტად განისაზღვროს მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ეთნიკური და კულტურული თავისებურებები და ა.შ. პრობლემის სირთულე იმ ზღვარის მოძებნაა, რომლის იქითაც ხელისუფლების დეცენტრალიზაციას მივყავართ ფედერაციის სუბიექტების (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების) ინტერესთა სახელმწიფო ინტერესებთან გარდაუვალ შეუსაბამობამდე.

10.2. მსოფლიოში ცნობილი საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები

მსოფლიოში არსებობს ფედერაციული მოწყობის სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოები. თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია საბიუჯეტო ფედერალიზმის საკუთარი მოდელი.

ფედერაციული მოწყობის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის ნებისმიერი მეთოდის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, როგორც მინიმუმი, უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:

- ხელისუფლების ყველა დონეს შორის ხარჯვითი უფლებამოსილებების ერთმნიშვნელოვანი გამიჯვნა და საკანონმდებლო დაკანონება;
- ხელისუფლების შესაბამისი დონეების უზრუნველყოფა ამ უფლებამოსილებათა შესასრულებლად საკმარისი საშემოსავლო წყაროებით;
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური საბიუჯეტო გამოთანაბრება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მექანიზმის გამოყენებით.

მსოფლიოში არსებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი მოდელებიდან ლიტერატურაში გამოიყოფა შემდეგი ხუთი: საბჭოური, ჩინური, ამერიკული, კანადური და გერმანული.

საბიუჯეტო ფედერალიზმის საბჭოური მოდელისათვის დამახასიათებელი იყო ერთიანი ბიუჯეტი, რომელიც აგებული იყო „მატრიოშკის“ პრინციპით (ზემდგომი ხელისუფლება ამტკიცებდა ქვემდგომ ბიუჯეტებს, ჯამში მიიღებოდა სსრკ-ის სახელმწიფო ბიუჯეტი). ხარჯები გაწერილი იყო ზემოდან ქვევით, ადგილებზე რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იყო, თუმცა ყოველ ბიუჯეტს მიეწერებოდა შემოსავლები, რომლითაც იფარებოდა საერთოსაზოგადოებრივი მოთხოვნილებები. ასეთ პირობებში რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების არანაირ საბიუჯეტო დამოუკიდებლობაზე საუბარი არ ყოფილა.

ამგვარი მოდელის ეფექტიანობა საერთოდ დაბალია (არ არსებობს საბიუჯეტო შემოსულობების გადიდებისა და გადასახდელების რაციონალიზაციის სტიმული), მუდმივად იზრდება დატვირთვა ყველაზე მაღალი დონის ბიუჯეტზე, რომელიც ადრე თუ გვიან ჩამოიშლება. ამჟამად ეს მოდელი საინტერესოა ისტორიკოსებისათვის, მაგრამ განსახილველად გამოუსადეგარია საბიუჯეტო ფედერალიზმის არსებული სისტემის სრულყოფისათვის.

საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩინური მოდელი წარმოადგენს საბჭოთა მოდელის სახესხვაობას. ამ შემთხვევაში გადასახადები ამოიღება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ, ცენტრი განსაზღვრავს (სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენებით, მაგრამ ძირითადად ხელშეკრულებების საფუძველზე) - რომელს რამდენი დაუტოვოს. პრაქტიკაში მოქმედებს ცენტრალურ ბიუჯეტში საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვის საბანკო ფორმა.

ნიშანდობლივია, რომ მოცემული მოდელი ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად გამოყენებას. პირიქით, დამკვიდრებულია კორუფცია, მფარველი სახელმწიფო აპარატის შერწყმა ბიზნესთან, ვაჭრობა საბიუჯეტო სახსრების თაობაზე და სხვა.

საბიუჯეტო ფედერალიზმის ამერიკული მოდელი აგებულია ცალკეული შტატების შედარებით მეტ დამოუკიდებლობაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად მას საბიუჯეტო ფედერალიზმის კლასიკურ მოდელად თვლიან. საგულისხმოა, რომ აშშ-ში არ მოქმედებს შემოსავლების ჰორიზონტალური წილობრივი განაწილების სისტემა. ფედერაციას, შტატებს, მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ საკუთარი საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც არავისთან არ „იკვეთება“. შტატებისათვის გადაცემული ფედერალური სუბსიდიების უმრავლესობა დამოკიდებულია ხელისუფლების საშტატო და ადგილობრივი ორგანოების წილობრივი დაფინანსების მოცულობაზე. ამგვარი პოლიტიკა არ არის მიმართული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამოთანაბრებაზე. უფრო მეტიც, იგი, პირველ რიგში, ხელს უწყობს მდიდარი შტატების განვითარებას.

საბიუჯეტო ფედერალიზმის კანადური მოდელი ამერიკული მოდელის სოციალურად ორიენტირებული ვარიანტია. ამ მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების ამოცანებს უჭირავს. საგადასახადო შენატანების განაწილებისას

ფართოდ გამოიყენება განაკვეთებზე „დაშენების“ მეთოდი. პროვინციებსა და მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ საბაზო ფედერალურ განაკვეთს დაუმატონ თავიანთი განაკვეთები.

საბიუჯეტო ფედერალიზმის გერმანული მოდელის დამახასიათებელი თავისებურებაა მიწებს შორის რესურსების განაწილება. საბიუჯეტო სისტემა აგებულია საერთო გადასახადებზე, რომელიც ნაწილდება მის ყველა დონეს შორის. ცალკეულ მიწებს შორის პირობების გამოსათანაბრებლად გამოიყენება საერთო გადასახადებიდან ანარიცხების ნორმატივების დიფერენციაციის მექანიზმი. ამიტომაც ეკონომიკურად ძლიერი მიწები ნაკლებად არიან დაინტერესებული განამტკიცონ თავიანთი საგადასახადო ბაზა ან რაიმე სახის ზემოქმედება მოახდინონ გადასახადებისგან თავის ამრიდებლებზე, რადგან მნიშვნელოვანი თანხა ფაქტობრივად საკუთარი შემოსავლებიდან ფედერალური მთავრობის მეშვეობით ერიცხება ფინანსურად სუსტ მიწებს.

საქართველოში ხორციელდება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეფორმა. მიმდინარეობს საბიუჯეტო მოწყობის რეფორმირების მიმართულებების განსაზღვრული პრიორიტეტების ძიება. საქართველოს მთავრობის ინიციატივით მუშავდება საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია საბიუჯეტო მოწყობის სისტემის ფორმირება და განვითარება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს გაატარონ დამოუკიდებელი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა.

10.3. საბიუჯეტო ფედერალიზმის ზოგადი მიზნები და საქართველოში მის შემოღებასთან დაკავშირებული ამოცანები

ფინანსურ მეცნიერებაში აღიარებული პოზიციის თანახმად, ზოგადად, საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

- **ეკონომიკური ეფექტიანობა** - გრძელვადიანი სტიმულების შექმნა სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის სტრუქტურული რეფორმების გასატარებლად; კონკურენტული გარემოს, ხელსაყრელი საინვესტიციო და სამეწარმეო კლიმატის შესანარჩუნებლად. ხელი უნდა შეეწყოს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებას;
- **საბიუჯეტო პასუხისმგებლობა** - საჯარო ფინანსების მართვა მოსახლეობის სახელით და მოსახლეობის ინტერესებისთვის შესაბამისი ტერიტორიების საგადასახადო და სხვა რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებისას. საბიუჯეტო (საზოგადოებრივი) მომსახურების განვევის გამჭვირვალობისა და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ანგარიშვალდებულების, საბიუჯეტო პროცესის ყველა სტადიის დაბალანსებულობის, სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოების კანონმდებლობით დადგენილი

ურთიერთპასუხისმგებლობის ამაღლებისათვის საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება და გატარება;

- სოციალური სამართლიანობა - ძირითადი საზოგადოებრივი საშუალებებისა და სოციალური გარანტიების ხელმისაწვდომობის გამოთანაბრება მოქალაქეთათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა;
- პოლიტიკური კონსოლიდაცია - საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა სხვადასხვა დონის ხელისუფლებებს შორის საგადასახადო-საბიუჯეტო უფლებამოსილებათა განაწილების საკითხებში, სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის პირობების შექმნა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- ტერიტორიული ინტეგრაცია - საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფა, რეგიონული განვითარების დისპროპორციის წარმოქმნის აღკვეთა და შესუსტება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება.

ამ მიზნების მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ქვეყნის სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის უზრუნველყოფა; ფედერალური კანონმდებლობის ფარგლებში გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციის, ხარჯვითი უფლებამოსილებებისა და შემოსავლის წყაროების მკვეთრი, სტაბილური და დაბალანსებული გამიჯვნის საფუძველზე თავიანთი ბიუჯეტების შემოსავალ-გასავლის ფორმირება. აღნიშნული წარმოადგენს ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიას და ხელს უწყობს სუბიექტებისა და მუნიციპალური წარმონაქმნების თვითუზრუნველყოფას, მათი საგადასახადო პოტენციალის ზრდასა და ეფექტიანად გამოყენებას.

ბუნებრივია, რომ მანამ, სანამ ფედერაციის სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნიათ კანონმდებლობით დადგენილი ავტონომია, ისინი არ იქნებიან დაინტერესებული საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვით, საბიუჯეტო სფეროს რესტრუქტურიზაციით და შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით. ფედერაციის სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის მხოლოდ კანონმდებლობით დაწესებული საგადასახადო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები შეიძლება იყოს მათი ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებზე რეალური, სამართლებრივი მექანიზმით გამაგრებული პასუხისმგებლობის საფუძველი.

ფედერაციის სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოებისთვის აუცილებელია ეკონომიკური (ერთიანი ეკონომიკური სივრცე; შეზღუდვების არარსებობა საქონლის, სამუშაო ძალის, ინვესტიციების გადაადგილებაზე; კაპიტალის ბაზრის მისაწვდომობა)

და პოლიტიკური (დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება), კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და შენარჩუნება, ასევე მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები, რომლებიც ხელისუფლების ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს ავალდებულებს არა ზემდგომ ბიუჯეტზე დამოკიდებულებას, არამედ საკუთარი პოლიტიკის შედეგებზე ორიენტირებას.

იმავდროულად, მკვეთრი განსხვავებები რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში, მათ საგადასახადო პოტენციალსა და საბიუჯეტო უზრუნველყოფაში, ასევე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სოციალური ვალდებულებები გულისხმობს ფედერალური ბიუჯეტიდან ფედერაციის სუბიექტებისთვის ფინანსური დახმარების გადიდებას, რამაც მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში შეიძლება მოითხოვოს საბიუჯეტო რესურსების ცენტრალიზაცია.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი საქართველოს საბიუჯეტო სისტემა უნდა ეყრდნობოდეს მისი მონაწილეების თანასწორობას, ინტერესთა თანხვედრასა და ურთიერთპასუხისმგებლობას.

ამ ასპექტში საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმი სრულად მიესადაგება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის თავისებურებებს. ამასთან, იგი წარმატებით შეიძლება გავრცელდეს უნიტარული მოწყობის სხვა ქვეყნებზეც.

საბიუჯეტო ფედერალიზმის შემოღებასთან დაკავშირებით არსებობს ორი მიდგომა:

(1) მკაცრად იმოქნება გადასახადები სახელმწიფო იერარქიის მიხედვით. კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი ითვლება ფედერალურ გადასახადებად და მთლიანად ამოიღება ცენტრალურ ბიუჯეტში. ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი კი ითვლება ადგილობრივ გადასახადებად;

(2) ყველა სახის გადასახადის ერთდროული მობილიზება ხდება ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში და შემდგომ წარმოებს მათი გადანაწილება სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე.

ამ მეთოდებს აქვთ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შემუშავებული პროგრამის რეალიზაცია მიმართული უნდა იყოს საბიუჯეტო მოწყობის, საბიუჯეტო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დაბალანსებულობას, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებას, სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპრომისის მიღწევას საგადასახადო-საბიუჯეტო უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანებია:**

- საქართველოს ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო მოწყობის მოწესრიგება; ხარჯვითი უფლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნა და „დაუფინანსებელი მანდატების“ შემცირება;
- საგადასახადო უფლებამოსილებების მკვეთრი და სტაბილური გამიჯვნა და შემოსავლების წყაროების მიმაგრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე;
- რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური მხარდაჭერის ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შექმნა და განვითარება;
- რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის ამაღლება.

დაბოლოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის ამა თუ იმ მოდელის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს თავად ცენტრალური ხელისუფლება და რა ფუნქციების დელეგირება ხდება ფედერაციის სუბიექტებზე. ამ პრობლემის გადაუწყვეტად ამოსავალია ცენტრალური ხელისუფლების ე.წ. „მინიმალურ ფუნქციათა“ განსაზღვრა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო ვერ იარსებებს.

10.4. სახელმწიფო, ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებული ფინანსური ურთიერთობები

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო მოწყობასა და მართვაში დემოკრატიული პრინციპების განვითარებამ სახელმწიფო მართვის სისტემის სავალდებულო კომპონენტად აქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მმართველობითი და საფინანსო-საბიუჯეტო უფლებებით აღჭურვილ სუბიექტებს წარმოადგენენ. ამასთან, სახელმწიფო საფინანსო სისტემაში მკვეთრად იზრდება ტერიტორიული ფინანსებისა და, შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტების როლი.

მრავალ ქვეყანაში ადგილობრივი ფინანსები სახელმწიფო ფინანსური რესურსების პრევალირებული ნაწილი ხდება. თუმცა, აქვე ჩნდება მრავალი პრობლემა: როგორ განვახორციელოთ შემოსულობებისა და გადასახდელების სამართლიანი განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის; როგორ განვსაზღვროთ სხვადასხვა დონეზე ჩატარებული საბიუჯეტო რეგულირების მიზანთა პრიორიტეტულობა; და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ მივაღწიოთ ყველა დონის საბიუჯეტო პოლიტიკის ერთიანობას.

ფედერაციული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის საბაზო მიმართულებების შესაბამისობა როგორც ფედერალური მთავრობის, ისე ფედერაციის სუბიექტების მთავ-

რობების მოქმედებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი, მაგალითად, ცენტრის მოქმედება მიმართულია სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე, მაშინ მთელი რეგიონული პოლიტიკაც უნდა იყოს მიმართული ხარჯების შემცირების სტიმულირებაზე ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტების დონეზე.

თუმცა, ასეთი დაბალანსებულობის მიღწევა, საქართველოში, განსაკუთრებით კი კრიზისულ პირობებში, მარტივი ამოცანა როდია. აუცილებელია ღრმა კრიზისის პირობებში გამოიძებნოს ერთადერთი სწორი კომპრომისი ჭეშმარიტად საბაზისო ფედერაციულ ტენდენციებსა და ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვას შორის. სწორედ საბიუჯეტო ფედერალიზმის[1] პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბებაშია გარდაქმნების წარმატების გასაღები, სწორედ ესაა ქვეყანაში ჭეშმარიტად საბაზისო მოწყობის შექმნის უმნიშვნელოვანესი პირობა.

საქართველოს საბიუჯეტო მოწყობის განვითარების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების გადასინჯვა.

საქართველოს უნიტარული - ორდონიანი საბიუჯეტო სისტემის მქონე სახელმწიფოა. ამიტომ მისთვის აქტუალურია საბიუჯეტო მოწყობის პრობლემა, რომელიც დაფუძნებული იქნება საბიუჯეტო ფედერალიზმის შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

1. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დამოუკიდებლობა: ხელისუფლების და მართვის ყოველ დონეზე შემოსავლების საკუთარი წყაროების მიმაგრება, მათი ხარჯვითი მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება; დამატებითი შემოსავლებისა და გამოუყენებელი ან დამატებით მიღებული სახსრების ამოღების დაუშვებლობა ზემდგომ ბიუჯეტებში; უფლება დანახარჯების კომპენსაციაზე, რომლებიც ჩნდება ხელისუფლებისა და მართვის ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად; საგადასახადო და სხვა შეღავათების მინიჭების უფლება მხოლოდ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე;

2. საბიუჯეტო პასუხისმგებლობის და ხარჯვითი უფლებამოსილებების საკანონმდებლო გამიჯვნა ხელისუფლებისა და მართვის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს შორის;

3. ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ფინანსური რესურსების შესაბამისობა მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან, ქვემდგომი ბიუჯეტე-

---

[1] ტერმინი - „ფედერალიზმი" მიესადაგება არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებსაც სახელმწიფო მოწყობის ფედერალური ფორმა გააჩნიათ, არამედ უნიტარულ სახელმწიფოებსაც. ის გამოიყენება ხელისუფლების მართვის მრავალსაფეხურიანი სისტემის დასახასიათებლად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი და ფუნქციონირებს მინიჭებული საბიუჯეტო უფლებამოსილებების ფარგლებში.

ბის შემოსავლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური გამოთანაბრების უზრუნველყოფა;

4. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების ნორმატიულ-საანგარიშო (ფორმალიზებული) მეთოდების გამოყენება და ფინანსური დახმარების აღმოჩენა;

5. ხელისუფლების და მართვის სხვადასხვა დონეს შორის კონფლიქტების გადაჭრის და თავიდან აცილების სპეციალური პროცედურების არსებობა, ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღწევა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებზე.

მთლიანად, საბიუჯეტო ფედერალიზმის კონცეფცია უნდა დაეფუძნოს ორი ურთიერთშემავსებელი ტენდენციის განსაზღვრულ შეხამებას: ერთი მხრივ, სოციალური მომსახურების ბაზარზე კონკურენციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის და, მეორე მხრივ, ამ კონკურენციის პირობების გათანაბრებასა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საერთო-ეროვნული მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფას.

ამრიგად, საბიუჯეტო ფედერალიზმი ეკონომიკური რეფორმების ერთერთი ურთულესი მიმართულებაა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროს. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამს ჭეშმარიტად ფედერაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის. მიუხედავად ამისა, მათ ჩამოსაყალიბებლად საფუძველი უკვე ჩაყრილია და საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარებაში მიღწეულია დადებითი შედეგები. თუმცა, კვლავ მრავალი პრობლემა არსებობს აღნიშნული მიმართულებით.

პოსტსოციალისტური ქვეყნების საბიუჯეტო ფედერალიზმის სპეციფიკა მდგომარეობას იმაში, რომ ბიუჯეტთაშორის ურთიერთობათა რეფორმირება მიმდინარეობს გარდამვალი პერიოდის რთულ პირობებში, როცა ჯერ კიდევ მთელი ძალით არ მოქმედებს საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მექანიზმები. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, კრიზისულ პერიოდში ხშირად ჩნდება ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრალიზების ცდუნება.

მართლაც, უნიტარული საბიუჯეტო სისტემის პირობებში ცენტრალური მთავრობა ნაკლებად ზღუდავს ფინანსური სტაბილიზაციის მკაცრი პოლიტიკის გატარებას. თუმცა, თანამედროვე საქართველოში საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ცენტრალიზაციის გაძლიერება გართულებულია.

საგულისხმოა, რომ საქართველოში გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მძაფრი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ევოლუცია გამოვიდა საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოებიდან და, უპირატესად, მიმდინარეობდა სტიქიურად, კონიუნქტურის, კონფლიქტებისა და კომპრომისების გავლენით სახელმწიფო და ადგილობრივ-ტერიტორიული ერთეულების პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის.

როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაცია გარდამავალი პერიოდის დამდეგი ეტაპის საერთო ტენდენციას წარმოადგენს. საქართველოში ამ პროცესის სუსტმა მართვადობამ, საბიუჯეტო რეფორმების ერთიანი კონცეფციის უქონლობამ, ცენტრალური ხელისუფლების დათმობებმა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მიგვიყვანა საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის დისბალანსის გაძლიერებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის ქართული მოდელის ჩამოყალიბების პროცესს აყოვნებს უფლებამოსილებათა დანაწილების დაურეგულირებადობა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, სტაბილური ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, დინამიკაში შემოსავლებისა და ხარჯების პროპორციათა განუსაზღვრელობა საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის, რომელიც დღემდე არსებობს ექსპერიმენტულ რეჟიმსა და ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის და არა ერთიანო საბიუჯეტო-საგადასახადო კანონმდებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში.

ამრიგად, საბიუჯეტო ფედერალიზმის ქართული მოდელის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ჩამოყალიბებული ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მექანიზმის ადაპტაცია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის - ფინანსური სტაბილიზაციის - მისაღწევად.

საბიუჯეტო ფედერალიზმის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს საბიუჯეტო გამოთანაბრება როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ დონეზე. ვერტიკალური გამოთანაბრება, როგორც ავღნიშნეთ, ეს არის ბალანსის მიღწევის პროცესი ხელისუფლების ყოველი დონის დანახარჯების მისი საშემოსავლო რესურსების (საგადასახადო შენატანების) პოტენციალით დაფინანსების გზით. ზემდგომ დონეს ეკისრება ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის პოტენციური შესაძლებლობები ქვემდგომ დონეზე არასაკმარისია მასზე დაკისრებული ფუნქციების დასაფინანსებლად.

ასეთ პირობებში, ცენტრალური ხელისუფლება ვალდებულია ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს მისცეს საბიუჯეტო რესურსები, რომლებიც მას აკლია. ცენტრალურმა მთავრობამ, რომელიც ფლობს ბევრად დიდ ეკონომიკური რეგულირებისა და საგადასახადო შესაძლებლობებს, ვიდრე ნებისმიერი რეგიონი, უნდა მოახდინოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების დისბალანსის კომპენსირება იმ საშუალებების ხარჯზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზეა აკუმულირებული.

ვერტიკალური გამოთანაბრება აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ჰორიზონტალურს, რაც ნიშნავს გადასახადებისა და დოტაციების პროპორციულ განაწილებას ტერიტორიულ ერთეულებს შორის უთანაბრობის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა ტერიტორიების შესაძლებლობათა მიხედვით, რომელიც ტერიტორიული ფაქტორითაა გამოწვეული.

ამგვარად, ვღებულობთ მდგომარეობას, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადასაწყვეტად ემატება კიდევ ხარჯები საბიუჯეტო სისტემის დაბალანსების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბიუჯეტო გამოთანაბრების სისტემა განსაზღვრავს ისეთ ურთიერთქმედებას სახელმწიფო ბიუჯეტსა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს სახელმწიფო მომსახურების განსაზღვრული დონე, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ქვეყნის რომელ რეგიონში ცხოვრობს.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბიუჯეტო გამოთანაბრების ორივე მიმართულება დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. ნათელია ის ფაქტი, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემის ნორმალური განვითარებისთვის საბიუჯეტო გამოთანაბრების საშუალებები სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. ამასთან, საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის ბედი დამოკიდებულია არა იმდენად მის ამა თუ იმ მოდელზე, რამდენადაც სახელმწიფოს უნარზე - გადალახოს ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილი წინააღმდეგობები და განახორციელოს ქვეყნის მასშტაბით ფინანსური სტაბილიზაციის სხვა სტრატეგიაზე გადასვლა. არ უნდა იქნეს დაშვებული ის, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარება თავად გადაიქცეს ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობის გაძლიერების ფაქტორად, რაც კიდევ უფრო დაასუსტებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

10.5. საგადასახადო და ხარჯვით უფლებამოსილებათა გადანაწილება საბიუჯეტო სისტემის რგოლებს შორის

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის სხვადასხვა დონეებს შორის გადასახდელების განაწილების ამოცანათა გადაწყვეტას თან ახლავს სახელმწიფო ხელისუფლების დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

საგადასახადო უფლებამოსილებათა ვერტიკალური სტრუქტურის აგების საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ არ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების განსაზღვრულ დონეებზე ამა თუ იმ შემოსავლის მიკუთვნების გაბატონებული სტრატეგია. თუმცა, მეორე მხრივ, ამ სფეროში ჩატარებული თეორიული კვლევები ადასტურებს, რომ საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილების ზოგიერთ ფორმას შეუძლია მიგვიყვანოს მნიშვნელოვან დანაკარგებამდე, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებას როგორც სამართლიანობის, ისე ეფექტიანობის თვალსაზრისით.

საჯარო ფინანსების თეორიის ძირითადი მოდელი ცხადყოფს, რომ რამდენიმე ტერიტორიული წარმონაქმნის არსებობისას ინდივიდები დამო-

უკიდებლად ახორციელებენ საცხოვრებელი ტერიტორიის არჩევას, ახდენენ რა საზოგადოებრივი დოვლათის მიღებიდან ზღვრული გამორჩენის შედარებას ზღვრულ დანახარჯებთან. ამასთან, ინდივიდების მიერ ტერიტორიებს შორის თავისუფალი გადაადგილებისას საცხოვრებელი ადგილის არჩევის უპირატესობის გამოვლენის პროცესს მივყავართ ისეთი გაერთიანებების წარმოქმნამდე, რომლებშიც მცხოვრები ინდივიდები აღნიშნულ საკითხებს ერთნაირ უპირატესობას ანიჭებენ. ფისკალური თვალსაზრისით, ასეთი სისტემა ოპტიმალურია.

ისიც საყურადღებოა, რომ მრავალდონიანი სახელმწიფოების რეალური სტრუქტურა შორსაა კლასიკურ თეორიებში აღწერილი მოდელებისაგან. ჯერ ერთი, ფედერალური და უნიტარული სახელმწიფოების ჩარჩოებში არსებული ტერიტორიული წარმონაქმნები ყალიბდება, უპირატესად, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით, რომელთა გათვალისწინებით არ არის მართებული ვამტკიცოთ, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნთა ფორმირების პროცესში მხედველობაში მიიღება წარმოებული საზოგადოებრივი დოვლათის სივრცობრივი განაწილების (სარგებლობის) საკითხები, ან ის, რომ ინდივიდთა დაჯგუფება წარმოებს საკუთარი გამორჩენისა და უპირატესობათა ერთგვაროვნების მაქსიმიზების კრიტერიუმის შესაბამისად. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ისეთი სისტემა, რომელსაც უნარი არ შესწევს დააფინანსოს ხელისუფლების ხარჯვითი ვალდებულებები, ეფექტიანად ვერ ჩაითვლება.

მოკლედ განვიხილოთ სახელმწიფო ხელისუფლების დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილების შესაძლებელი ვარიანტები. ტერმინი - „საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილება“ გულისხმობს შემოსავლების განაწილების სტრუქტურისა და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრას საბიუჯეტო სისტემის დონეთა მიხედვით, იმის შესაბამისად, თუ აღნიშნული საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ხელისუფლების რომელი დონის ბიუჯეტში მიემართება.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ გადასახადების გადანაწილება სახელმწიფო ხელისუფლების დონეებს შორის შეიძლება მოხდეს ხარჯვითი ვალდებულებების დეცენტრალიზაციის პრინციპით, რომლის თანახმადაც რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების განმანაწილებლობითი ფუნქცია ძირითადად მდგომარეობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობისთვის სახელმწიფო მომსახურების შეთავაზებაში.

ზოგადად, ცნობილია ხელისუფლების სუბეროვნულ ორგანოებზე საგადასახადო უფლებამოსილებათა მიმაგრების სამი ვარიანტი:

1. ხელისუფლების სუბეროვნულ ორგანოებზე შეიძლება იყოს მიმაგრებული უფლებამოსილებანი მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ყველა აკრეფილი გადასახადის რეგულირების შესახებ. ამასთან, შემოსავლების ნაწილი გადაეცემა საბიუჯეტო სისტემის უმაღლეს დონეს სახელ-

მწიფო ხელისუფლების ხარჯვითი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. იმის შედეგად, რომ ასეთ ვარიანტს შეუძლია შემოსავლების ტერიტორიათაშორისი გადანაწილების ეფექტიანობის შემცირება, აგრეთვე ფისკალური სტაბილიზაციისათვის ხელის შეშლა, იგი სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის მეტ-ნაკლებად ეფექტიან მეთოდად არის მიჩნეული, რადგან შეუძლია შექმნას არაადეკვატური სტიმულები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის საერთო სახელმწიფოებრივი ხარჯვითი ვალდებულებების დაფინანსების თვალსაზრისით.

2. საგადასახადო შემოსავლების განაწილების მეორე ვარიანტი ჰირველის საპირისპიროა და გულისხმობს ყველა საგადასახადო უფლებამოსილებათა გადაცემას სახელმწიფო ხელისუფლებაზე, ასევე ფულადი სახსრების შემდგომ გადაცემას ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისთვის გრანტების ან ტრანსფერების გზით, აგრეთვე ყველა ან ცალკეულ გადასახადზე გადარიცხვების ნორმატივების დადგენას ქვემდგომი დონის ბიუჯეტებისათვის. ასეთი სისტემის ძირითადი ნაკლია კავშირის სრული უქონლობა ხელისუფლების დონესა და ხარჯების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების იმ დონეს შორის, რომლის ტერიტორიაზეც იკრიბება ესა თუ ის გადასახადი, რაც ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ეფექტიანი სისტემის შექმნის ძირითადი წანამძღვარია[1].

3. საშემოსავლო უფლებამოსილებათა გადანაწილების მესამე ვარიანტს წარმოადგენს საგადასახადო უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის გადაცემა ადგილობრივ ან ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებზე. აუცილებლობის შემთხვევაში კი არასაკმარისი შემოსავლების კომპენსაცია მოხდება ადგილობრივ ბიუჯეტში მარეგულირებელი და მიმაგრებული გადასახადების წილის გადაცემის ან ტრანსფერების გადარიცხვის გზით[2]. ხელისუფლების ქვედა დონეებზე საგადასახადო უფლებამოსილებათა გადაცემის შემთხვევაში, რაც საშუალებას იძლევა საგადასახადო ტვირთის სიდიდე დაუკავშირდეს გასაწევი ხარჯების ოდენობას, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თავის მოქმედებებში ხელმძღვანელობენ „დანახარჯი-გა-

---

[1] მსგავსი კავშირის უქონლობის შემთხვევაში წარმოიშობა ფისკალური ილუზიის რისკი, ე.ი. ადგილობრივი ხარჯვითი ვალდებულებების დაფინანსების ჭარბი რისკი. მეორე მხრივ, საბიუჯეტო სისტემის ქვედა დონეებისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების მოცულობათა ხშირი და დაუსაბუთებელი კლების ალბათობა შეუძლებელს ხდის ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე სახელმწიფო მომსახურების დაფინანსების სტაბილური სისტემის შექმნას.

[2] შემოსავლების განაწილების მსგავსი სქემის განხორციელებისას საკვანძო საკითხია იმ გადასახადების შერჩევა, რომლებიც გადაეცემა ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს (ადგილობრივი ან რეგიონული გადასახადები), აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომელთა განსაზღვრული წილი ირიცხება ადგილობრივ ან რეგიონულ ბიუჯეტებში მარეგულირებელი გადასახადების სახით.

მორჩენის“ პოზიციიდან, რასაც მივყავართ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებამდე.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების რამდენიმე დონისათვის ერთბაშად იმ უფლების მინიჭება, რომ მოახდინოს სხვადასხვა გადასახადის ამოღების წესების რეგულირება, წარმოქმნის მოცემულ დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა ოპტიმალური განაწილების პრობლემას.

ხელისუფლების ეროვნულ და სუბეროვნულ დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების პრობლემის გადაწყვეტისას შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიდგომა:

(1) საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების ტრადიციული მოდელის თანახმად, სუბეროვნულ ხელისუფლებას საკუთარი საგადასახადო ბაზა (ე.ი. ბაზა იმ გადასასახადებისა, რომელთა რეგულირება შესაძლებელია მოცემულ დონეზე) ყოველთვის ნაკლები აქვს მის მიერ დასაფინანსებელ ხარჯვით ვალდებულებებთან შედარებით. იმავე ტრადიციული მიდგომის მიხედვით, ასეთი შეუსაბამობის შედეგად წარმოშობილი საბიუჯეტო სისტემის დისბალანსი ექვემდებარება გამოთანაბრებას ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერების მეშვეობით;

(2) ტრადიციული ანალიზის ჩარჩოებში სუბეროვნულ დონეზე საგადასახადო უფლებამოსილებათა უმეტესობის გადაცემა ქმნის დამახინჯებას რესურსების ტერიტორიათაშორის გადანაწილებაში. საგადასახადო უფლებამოსილებათა ეფექტიანი განაწილების მიზანს კი წარმოადგენს მსგავსი დამახინჯებების მინიმიზება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ბიუჯეტთაშორისი გამოთანაბრების თვალსაზრისით, დიდი ყურადღება ეთმობა ტრანსფერების განაწილების ეფექტიანი სისტემის შექმნას.

ტრადიციული მიდგომის ჩარჩოებში სახელმწიფო ხელისუფლების დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების პრობლემასთან მიმართებაში შეიძლება გამოვყოთ საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების რამდენიმე წესი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1.სუბეროვნული ხელისუფლების ორგანოების საშუალო (შუალედური) და განსაკუთრებით ქვედა დონეები უნდა ფლობდეს უფლებამოსილებებს მეტნაკლებად მობილური სახის საგადასახადო ბაზის დაბეგვრაზე. ფედერალური სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი გამოყენების ამოცანას უნდა წყვეტდეს სახელმწიფო დონეზე, რაც ნიშნავს რესურსების განაწილებისას საგადასახადო განაკვეთებში ტერიტორიათაშორისი განსხვავებების დამამახინჯებელი ეფექტების აღკვეთის აუცილებლობას. ასეთი პრინციპის გამოყენება მოითხოვს მნიშვნელოვან და საკმაოდ დიდ დანახარჯებს საგადასახადო ადმინისტრირებაზე, რომელიც, ყოველთვის შედეგის მომტანი როდია. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იურიდიული პირის ან ინდივიდის შემოსავლებისთვის საგადასახადო დაბეგვრის მიყენებაში, რომლებიც მიღებულია მათი რეგისტრაციის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

მოცემული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მობილური ფაქტორების მიმართ ერთიანი საგადასახადო განაკვეთების დადგენით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ამცირებს სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის ხარისხს. მართვის ქვედა დონეებს საჭიროა გადაეცეთ უფლებამოსილება იმ გადასახადების ამოღებაზე, რომელთა ბაზა ყველაზე ნაკლები ხარისხით ექვემდებარება ტერიტორიათაშორის გადანაცვლებას. უფლებამოსილებათა ასეთი განაწილება ეფექტიანია არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან არამობილური საგადასახადო სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებში მისი გაჟონვის შესაძლებლობას ამცირებს.

ამდენად, საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილებისას აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ დებულებით იმის შესახებ, რომ ხელისუფლების სუბეროვნულმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ინ ეკონომიკურ ერთეულთა საგადასახადო დაბეგვრისაგან, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ხარისხის მობილურობა, იქნება ეს საოჯახო მეურნეობა, კაპიტალი, საქონელი თუ მომსახურეობა.

სასურველია, განხილული კრიტერიუმების მიხედვით გადასახადები შემოსავალზე, აგრეთვე გადასახადები მოხმარებაზე ვარეგულიროთ საბიუჯეტო სისტემის ეროვნულ დონეზე. უფლებამოსილებანი მოხმარებაზე, აგრეთვე გადასახადები ხელფასზე, შეიძლება გადაეცეს მართვის საშუალო სუბეროვნულ დონეს. ისეთი გადასახადები კი, როგორიცაა გადასახადები ქონებაზე და მიწაზე, ყველაზე ეფექტიანად ადმინისტრირებას ექვემდებარება სუბეროვნულ დონეებზე ისე, რომ არ მივყავართ სახელმწიფო დონეზე რესურსების განაწილების ეფექტიანობის შემცირებამდე.

2. ტერიტორიული წარმონაქმნის დონეზე პროგრესული გადასახადები ფიზიკურ პირთა შემოსავლებზე შეიძლება დადგინდეს „გლობალური" საგადასახადო ბაზის ადმინისტრირების შესაძლებლობისას. რესურსების ტერიტორიათაშორის გადანაწილებაში დამახინჯებათა აღსაკვეთად ფიზიკური ან იურიდიული პირის შემოსავალი უნდა იბეგრებოდეს ერთიანი განაკვეთებით და იმ ტერიტორიული წარმონაქმნის წესებით, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული სუბიექტი (ე.ი. საგადასახადო ბაზა უნდა იყოს „გლობალური" - შემოსავლის მიღების ტერიტორიის მიუხედავად). ამასთან, თუკი შემოსავალი მიღებულია სხვა რეგიონის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაშინ გადასახადის გადამხდელს მოცემულ ტერიტორიულ წარმონაქმნში უნდა მიეცეს საგადასახადო კრედიტი, ვინაიდან მისი შემოსავალი საგადასახადო დაბეგვრას ექვემდებარება სხვა ადგილას.

ადმინისტრირების თვალსაზრისით, საგადასახადო ბაზის „გლობალურობის" მოთხოვნა ძნელად შესასრულებელია მოგების გადასახადის მიმართ, მაგრამ სავსებით მიღწევადია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით

დაბეგვრისას იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი საკმაოდ დიდია.

3. საბიუჯეტო დონეებს შორის შემოსავლების გადანაწილებისას საგადასახადო დაბეგვრის რეგულირებაზე უფლებამოსილებები უნდა იყოს მიმაგრებული ხელისუფლების სახელმწიფოებრივ (ეროვნულ) დონეზე. მოცემული წესი, გამომდინარეობს დებულებიდან იმის შესახებ, რომ უფლებამოსილებანი შემოსავლების გადანაწილებაზე უნდა იყოს მიკუთვნებული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. თუკი ქვეყნის ხელისუფლების აბოცანას წარმოადგენს შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკის გატარება საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე, ამა თუ იმ ტერიტორიულ წარმონაქმნზე ინდივიდების მიკუთვნების მიუხედავად, საგადასახადო დაბეგვრის წესები, რომლებიც ამ მიზნებს ემსახურება, უნდა იყოს ერთიანი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკის გასატარებლად სუბეროვნულ დონეზე უფლებამოსილებათა გადაცემისას გარდაუვალია მეტ-ნაკლებად სასურველი იურისდიქციის წარმოქმნა სხვადასხვა შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯგუფებისათვის. ამასთან, ყოველი ინდივიდი უნდა ირჩევდეს თავისთვის საცხოვრებელ ადგილს შემოსავლების გადანაწილებაზე იქ გატარებული პოლიტიკის მიხედვით. ასეთი მდგომარეობა მიგვიყვანს ეფექტიანობის მისაღწევად დანახარჯთა მნიშვნელოვან ზრდამდე, შედეგად კი - შემოსავლების გადანაწილების უარყოფამდე.

4. უფლებამოსილებები იმ გადასახადების რეგულირებაზე, რომელთაც უნარი შესწევთ შეასრულონ მასტაბილიზებელი ფუნქცია, უნდა გადაეცეს სახელმწიფო ხელისუფლებას. ამავე დროს, აუცილებელია სუბეროვნული გადასახადები იყოს ციკლურად მდგრადი. ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უპირატეს ფუნქციას. სახელმწიფო ხელისუფლების მრავალდონიანი სისტემის პირობებში მასტაბილიზებელი მექანიზმების გამოყენებამ სუბეროვნულ დონეზე შეიძლება მიგვიყვანოს მნიშვნელოვან დანაკარგებამდე, რაც ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას იწვევს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტსაც ფლობს. ეფექტიან სუბეროვნულ გადასახადებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი გადასახადები, რომლებიც ციკლური რყევების მიმართ მაღალი ხარისხის მდგრადობით გამოირჩევიან (გადასახადები ქონებაზე და გადასახადები მოხმარებაზე).

5. იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ბაზა არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნის ტერიტორიაზე, უფლებამოსილებანი მის საგადასახადო დაბეგვრაზე უნდა ეკუთვნოდეს ეროვნულ ხელისუფლებას. ნათელია, რომ ბუნებრივი რესურსებით ტერიტორიის მნიშვნელოვან დაჯილდოებას შეუძლია სუბეროვნულ ხელისუფლებას საშუალება მისცეს გასწიოს სახელმწიფო

მომსახურება დაბალი „საგადასახადო ფასებით“ (ე.ი. შედარებით დაბალი დონის საგადასახადო დაბეგვრის ხარჯზე), რასაც შეუძლია მიგვიყვანოს რესურსების არაეფექტიან გამოყენებამდე. ამრიგად, უფლებამოსილებანი ბუნებრივი რესურსების საგადასახადო დაბეგვრაზე, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე უთანაბროდაა განაწილებული, უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფო ხელისუფლებას. თუმცა, მოცემული მტკიცება წინააღმდეგობაში მოდის საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილების ზემოთ მოყვანილი წესებიდან პირველთან, რომლის თანახმადაც, ხელისუფლების სხვადასხვა დონეს უნდა მიენიჭოს საგადასახადო ბაზების მობილურობის შესაბამისი საგადასახადო უფლებამოსილებები.

ხელისუფლების დონეებს შორის საგადახადო უფლებამოსილებათა განაწილებისას აუცილებელია:

პირველი, სახელმწიფოს ნებისმიერი სახის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას თან ახლდეს როგორც ხარჯვითი ისე საგადასახადო უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია. სახელმწიფო ხელისუფლებისათვის გადასახადის რეგულირების უფლებამოსილებათა გადაცემისას, რასაც თან ახლავს შემოსავალთა გადაცემა საბიუჯეტო სისტემის ქვედა დონეებისათვის გრანტების სახით, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისას იკარგება კავშირი ხელისუფლების ორგანოების ხარჯებსა და მათ შემოსავლებს შორის;

მეორე, სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების შემთხვევაში ტერიტორიის მოსახლეობა გადასახადის გადახდაზე უნდა ატარებდეს ტვირთს იმ ხარისხით, რა ხარისხითაც იგი იღებს გამორჩენას სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შეთავაზებული საზოგადოებრივი დოვლათიდან.

სახელმწიფო ხელისუფლების დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილების საკითხების კვლევას მივყავართ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგთან: ტრადიციული მიდგომის თანახმად, ხარჯვითი უფლებამოსილებების დეცენტრალიზაციის ეფექტიანობის კრიტერიუმების მიხედვით, არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების განსაზღვრული წესების ნაკრები. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის თვალსაზრისით, საგადასახადო უფლებამოსილებათა ანალიზს მივყავართ საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე ხარჯვითი და საგადასახადო უფლებამოსილებების მკაცრი შესაბამისობის აუცილებლობამდე.

დაბოლოს, მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით, მრავალდონიანი სახელმწიფო მოწყობის ქვეყნებში საგადასახადო უფლებამოსილებანი განაწილებულია რამდენიმე კრიტერიუმის შესაბამისად: ერთი მხრივ, ფედერაციათა უმრავლესობაში (როგორიცაა აშშ და კანადა) ყოველი დონის საგადასახადო უფლებამოსილებანი იმთავითვე შეესაბამება ხარჯვით უფლებამოსილებებს. თუმცა, თანამედროვე ეპოქაში, ბიუჯეტთაშორისი გრანტების უფრო ფართოდ გამოყენებასთან ერთად, დაიწყო საგადა-

სახადო უფლებამოსილებათა ერთგვარი გადანაწილება ზემოთ მოყვანილი ეფექტიანობის ტრადიციული კრიტერიუმების შესაბამისად. უნიტარულ სახელმწიფოთა უმეტესობაში, სადაც საკითხთა გარკვეულ წრეში სუბეროვნული ხელისუფლება იმთავითვე არ ფლობს საკონსტიტუციო სუვერენიტეტს, საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილება უმეტესწილად ხდება ეფექტიანობის ტრადიციული კრიტერიუმების შესაბამისად, მათი ხარჯვით უფლებამოსილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან შედარებით.

საკონტროლო კითხვები

1. განმარტეთ, რა არის საბიუჯეტო ფედერალიზმი.
2. განსაზღვრეთ, რას მოიცავს საბიუჯეტო ფედერალიზმი და რითი განსხვავდება იგი საგადასახადო ფედერალიზმისაგან.
3. ახსენით რა სახის წინააღმდეგობებს აწყდება ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილებათა გამიჯვნა.
4. განსაზღვრეთ, რაში მდგომარეობს ფედერალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური პრინციპების არსი.
5. დაახასიათეთ საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის ცენტრალიზებული ტიპი.
6. დაახასიათეთ საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის დეცენტრალიზებული ტიპი.
7. დაახასიათეთ საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის კომბინირებული ტიპი.
8. ახსენით, რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის კომბინირებული ტიპი.
9. განსაზღვრეთ, რას გულისხმობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური გამოთანაბრება.
10. დაასახელეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველმყოფი პირობები.
11. დაახასიათეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის საბჭოური მოდელი.
12. დაახასიათეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩინური მოდელი.
13. დაახასიათეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის ამერიკული მოდელი.
14. დაახასიათეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის კანადური მოდელი.
15. დაახასიათეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის გერმანული მოდელი.
16. განსაზღვრეთ, ზოგადად რა უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემამ.
17. განმარტეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის შემოღებასთან დაკავშირებით არსებული ორი მიდგომა.
18. ჩამოთვალეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანები საქართველოში.

19. განმარტეთ საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი პრინციპები საქართველოსთვის.
20. ახსენით, რაში მდგომარეობს პოსტსოციალისტური ქვეყნების საბიუჯეტო ფედერალიზმის სპეციფიკა.
21. ახსენით, რას გულისხმობს „საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილება“ და განმარტეთ ხელისუფლების სუბეროვნულ ორგანოებზე საგადასახადო უფლებამოსილებათა მიმაგრების სამი ვარიანტი.
22. წარმოადგინეთ ხელისუფლების დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების წესები.
23. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
—	1. ფედერალიზმის პოლიტიკური პრინციპი	ა. საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფა, რეგიონული განვითარების დისპროპორციის წარმოქმნის აღკვეთა და შესუსტება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება;
—	2. ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი	ბ. ძირითადი საზოგადოებრივი საშუალებებისა და სოციალური გარანტიების ხელმისაწვდომობის გამოთანაბრება მოქალაქეთათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა;
—	3. საბიუჯეტო ფედერალიზმი	გ.გრძელვადიანი სტიმულების შექმნა სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის სტრუქტურული რეფორმების გასატარებლად;
—	4. ვერტიკალური გამოთანაბრება	დ. ამერიკული მოდელის სოციალურად ორიენტირებული ვარიანტია;
—	5. ჰორიზონტალური გამოთანაბრება	ე. აგებულია ცალკეული შტატების შედარებით მეტ დამოუკიდებლობაზე;
—	6. საბიუჯეტო ფედერალიზმის ამერიკული მოდელი	ვ. ვარაუდობს საგადასახადო ტვირთის პროპორციულ განაწილებას ფედერაციის სუბიექტებს შორის სხვადასხვა ტერიტორიების საგადასახადო შესაძლებლობების უთანაბრობის სალიკვიდაციოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის შესამცირებლად;

—	7. საბიუჯეტო ფედერალიზმის კანადური მოდელი	ზ. გულისხმობს ხელისუფლების ყოველი დონის ხარჯვითი ვალდებულებების მოცულობასა და მის საშემოსავლო წყაროებს შორის შესაბამისობის დადგენას და დისბალანსის კომპენსირებას ზემდგომი ბიუჯეტებიდან ტრანსფერების ხარჯზე;
—	8. ეკონომიკური ეფექტიანობა	თ. საფინანსო სფეროში ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს, ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების კრიტერიუმი;
—	9. სოციალური სამართლიანობა	ი. მდგომარეობს უფლებამოსილებათა დაყოფაში საკუთრებასთან მიმართებით, ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში;
—	10. ტერიტორიული ინტეგრაცია	კ. მდგომარეობს ფედერაციის შემადგენელი ერთეულების მთლიანობის უზრუნველყოფის პირობებში ფედერალურ წარმონაქმნთა შორის კანონით მინიჭებულ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა კონსტიტუციურ განაწილებაში.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. არეგულირებს, ერთი მხრივ, საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის:
   - საგადასახადო ფედერალიზმი;
   - საფინანსო ფედერალიზმი;
   - სახელმწიფო სპეციალური ფონდი;
   - საბიუჯეტო ფედერალიზმი.
2. ფედერაციის შემადგენელი ერთეულების მთლიანობის უზრუნველყოფის პირობებში ფედერალურ წარმონაქმნთა შორის კანონით მინიჭებულ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა კონსტიტუციურ განაწილებაში მდგომარეობს:
   - ფედერალიზმის პოლიტიკური პრინციპი;
   - ფედერალიზმის სოციალური პრინციპი;

- ფედერალიზმის ფინანსური პრინციპი;
- ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი.

3. საკუთრებასთან მიმართებით უფლებამოსილებათა დაყოფაში, ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში მდგომარეობს:
   - ფედერალიზმის პოლიტიკური პრინციპი;
   - ფედერალიზმის სოციალური პრინციპი;
   - ფედერალიზმის ფინანსური პრინციპი;
   - ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი.
4. ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობები ხორციელდება ფინანსების:
   - განმანაწილებელი ფუნქციის რეალიზაციით;
   - მარეგულირებელი ფუნქციის რეალიზაციით;
   - კონტროლის ფუნქციის რეალიზაციით;
   - სტიმულირების ფუნქციის რეალიზაციით.
5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ფედერალურ სისტემებს ახასიათებს:
   - საბიუჯეტო სისტემის თითოეული დონის დადგენილი ავტონომია და რეგლამენტირებული სუვერენიტეტი;
   - მართვის ყოველი დონის ნათლად ჩამოყალიბებული უფლებამოსილებები;
   - იერარქიის არსებობა;
   - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
6. საფინანსო სფეროში ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს, ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების კრიტერიუმი არის:
   - ფისკალური დეცენტრალიზაცია;
   - საფინანსო ფედერალიზმი;
   - საგადასახადო ფედერალიზმი;
   - საბიუჯეტო ფედერალიზმი.
7. ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას გადასახდელებში, როგორც წესი, არ ახლავს ამ უკანასკნელთა საკუთარი შემოსულობების საკმარისი წყაროებით უზრუნველყოფა საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის:
   - კომბინირებული ტიპის დროს;
   - ცენტრალიზებული ტიპის დროს;
   - შერეული ტიპის დროს;
   - დეცენტრალიზებული ტიპის დროს.
8. საბიუჯეტო სისტემები აგებულია რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის აღიარებაზე:
   - კომბინირებული ტიპის დროს;
   - ცენტრალიზებული ტიპის დროს;
   - შერეული ტიპის დროს;
   - დეცენტრალიზებული ტიპის დროს.
9. საბიუჯეტო სისტემების ორგანიზაციის კომბინირებული ტიპისათვის დამახასიათებელი არ არის:

- ფედერალური ცენტრის მაღალი პასუხისმგებლობა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების შექმნაზე;
- რეგიონების საბიუჯეტო რეგულირებისა და გამოთანაბრებისათვის ზემდგომი ბიუჯეტებიდან ქვემდგომი ბიუჯეტებისთვის საბიუჯეტო ტრანსფერების მნიშვნელოვანი როლი;
- ტერიტორიული პროგრამების დაფინანსება ფედერალური ბიუჯეტის ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით;
- ჰორიზონტალური და ვერტიკალური საბიუჯეტო გამოთანაბრების მექანიზმის გამოყენება.

10. ხელისუფლების ყოველი დონის ხარჯვითი ვალდებულებების მოცულობასა და მის საშემოსავლო წყაროებს შორის შესაბამისობის დადგენას და დისბალანსის კომპენსირებას ზემდგომი ბიუჯეტებიდან ტრანსფერების ხარჯზე გულისხმობს:
    - ჰორიზონტალური გამოთანაბრება;
    - ჯვარედინი გამოთანაბრება;
    - წრიული გამოთანაბრება;
    - ვერტიკალური გამოთანაბრება.
11. საგადასახადო ტვირთის პროპორციულ განაწილებას ფედერაციის სუბიექტებს შორის სხვადასხვა ტერიტორიების საგადასახადო შესაძლებლობების უთანაბრობის სალიკვიდაციოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის შესამცირებლად ვარაუდობს:
    - ჰორიზონტალური გამოთანაბრება;
    - ჯვარედინი გამოთანაბრება;
    - წრიული გამოთანაბრება;
    - ვერტიკალური გამოთანაბრება.
12. საბიუჯეტო ფედერალიზმის ნებისმიერი მეთოდის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პირობებს არ მიეკუთვნება:
    - ხელისუფლების ყველა დონეს შორის ხარჯვითი უფლებამოსილებების ერთმნიშვნელოვანი გამიჯვნა და საკანონმდებლო დაკანონება;
    - ხელისუფლების შესაბამისი დონეების უზრუნველყოფა ამ უფლებამოსილებათა შესასრულებლად საკმარისი საშემოსავლო წყაროებით;
    - ცენტრალურ ბიუჯეტში საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვის საბანკო ფორმის არსებობა;
    - ვერტიკალური და ჰორიზონტალური საბიუჯეტო გამოთანაბრება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მექანიზმის გამოყენებით.
13. საბიუჯეტო ფედერალიზმი'ს საბჭოური მოდელისათვის დამახასიათებელი არ იყო:
    - ერთიანი ბიუჯეტი, რომელიც აგებული იყო „მატრიოშკის" პრინციპით;
    - ხარჯები განერილი იყო ზემოდან ქვევით;
    - საგადასახადო შენატანების განაწილებისას ფართოდ გამოიყენება განაკვეთებზე „დაშენების" მეთოდი;
    - ადგილებზე რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იყო, თუმცა ყოველ ბიუჯეტს მიეწერებოდა შემოსავლები, რომლითაც იფარებოდა საერთო-საზოგადოებრივი მოთხოვნილებები.

14. **საბიუჯეტო ფედერალიზმის გერმანული მოდელისათვის დამახასიათებელი არ არის:**
    - ეკონომიკურად ძლიერი მიწები ნაკლებად არიან დაინტერესებული განამტკიცონ თავიანთი საგადასახადო ბაზა ან რაიმე სახის ზემოქმედება მოახდინონ გადასახადებისგან თავის ამრიდებლებზე;
    - ცალკეულ მიწებს შორის პირობების გამოსათანაბრებლად გამოიყენება საერთო გადასახადებიდან ანარიცხების ნორმატივების დიფერენციაციის მექანიზმი;
    - საგადასახადო შენატანების განაწილებისას ფართოდ გამოიყენება განაკვეთებზე „დაშენების" მეთოდი;
    - საბიუჯეტო სისტემა აგებულია საერთო გადასახადებზე, რომელიც ნაწილდება მის ყველა დონეს შორის.
15. **სპეციალური ტრანსფერი არ გაიცემა:**
    - სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ;
    - კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად;
    - დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;
    - მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.
16. **საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტების დახმარების ფორმებია:**
    - დოტაცია, სუბსიდია, კონვერსია;
    - დოტაცია, სუბსიდია, სუბვენცია, საბიუჯეტო სესხი;
    - დოტაცია, სუბსიდია, სუბვენცია, გრანტი;
    - პროლონგაცია, კონვერსია, დოტაცია.
17. **საბიუჯეტო ტრანსფერის ფუნქცია არ არის:**
    - სახელმწიფო ქვედა დონის ბიუჯეტებისათვის საერთო–სახელმწიფოებრივი დანიშნულების მომსახურებაზე ხარჯების ანაზღაურება;
    - ჰორიზონტალურ დისპროპორციებთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დაძლევა;
    - ადგილობრივი ხელისუფლების სტიმულირება;
    - ყველა ზემოჩამოთვლილი პასუხი არასწორია.
18. **სუბვენცია არის:**
    - საბიუჯეტო სესხი;
    - საბიუჯეტო კრედიტი;
    - ფულადი სახსრების გადაცემა ხარჯვის მიზნებისა და ვადების მითითებით;
    - ფულადი სახსრების გადაცემა ხარჯვის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრის გარეშე.
19. **საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემა უზრუნველყოფს:**
    - პოლიტიკურ კონსოლიდაციას;
    - ტერიტორიულ ინტეგრაციას;
    - ეკონომიკურ ეფექტიანობას;
    - ყველა ზემოჩამოთვლილი პასუხი სწორია.
20. **გრანტის გამცემი შეიძლება იყოს:**
    - უცხო ქვეყნის მთავრობა;
    - უცხოეთის არასამეწარმეო იურიდიული პირი;
    - საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია.
    - ყველა ზემოჩამოთვლილი პასუხი სწორია.

21. საქართველოში ერთი დონის ბიუჯეტიდან მეორე დონის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ხარჯვისა და ვადების მითითებით ფულადი სახსრების გადაცემა წარმოადგენს:
    - დოტაციას;
    - სუბსიდიას;
    - სუბვენციას;
    - სპეციალურ ტრანსფერს.
22. დოტაცია გულისხმობს:
    - ფულადი სახსრების გადაცემას ხარჯვის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრის გარეშე;
    - ფულადი სახსრების გადაცემას მიმდინარე საჭიროებებისათვის;
    - ფულადი სახსრების გადაცემას ხარჯვის მიზნებისა და ვადების მითითებით;
    - ფულადი სახსრების გადაცემას სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად.
23. ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი მდგომარეობს:
    - უფლებამოსილებათა დაყოფაში თანამდებობების მიხედვით;
    - უფლებამოსილებათა დაყოფაში საკუთრებასთან მიმართებაში;+
    - უფლებამოსილებათა დაყოფაში ეკონომიკური სექტორების მიხედვით;
    - უფლებამოსილებათა დაყოფაში ეკონომიკური აქტივობების მიხედვით.
24. საბიუჯეტო დოტაცია არის:
    - ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტისათვის ფულადი სახსრების გადაცემა მისი ხარჯვის მიზნებისა და ვადების მითითებით;
    - ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტისათვის ფულადი სახსრების გადაცემა ხარჯვის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრის გარეშე;
    - ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტისათვის ფულადი სახსრების გადაცემა მიზნობრივი ხარჯვისა და წილობრივი მონაწილეობის პირობით;
    - ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტისათვის ფულადი სახსრების გადაცემა სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად.
25. პოლიტიკური კონსოლიდაცია გულისხმობს:
    - რეგიონის სწრაფვას სტრუქტურული გარდაქმნების გასატარებლად;
    - საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობას;
    - მოსახლეობის ინტერესებისათვის შესაბამისი ტერიტორიების ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
    - საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევას სხვადასხვა დონის ხელისუფლებებს შორის საგადასახადო-საბიუჯეტო უფლებამოსილებათა განაწილების საკითხებში.
26. სოციალური სამართლიანობა გულისხმობს:
    - რეგიონის სწრაფვას სტრუქტურული გარდაქმნების გასატარებლად;
    - საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობას;
    - მოსახლეობის ინტერესებისათვის შესაბამისი ტერიტორიების ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას;

- ძირითადი საზოგადოებრივი საშუალებებისა და სოციალური გარანტიების ხელმისაწვდომობის გამოთანაბრებას მოქალაქეთათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა.

27. **ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს:**
    - რეგიონის სწრაფვას სტრუქტურული გარდაქმნების გასატარებლად;
    - საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობას;
    - მოსახლეობის ინტერესებისათვის შესაბამისი ტერიტორიების ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
    - გრძელვადიანი სტიმულების შექმნას სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის სტრუქტურული რეფორმების გასატარებლად.
28. **საბიუჯეტო პასუხისმგებლობა გულისხმობს:**
    - რეგიონის სწრაფვას სტრუქტურული გარდაქმნების გასატარებლად;
    - საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობას;
    - მოსახლეობის ინტერესებისათვის შესაბამისი ტერიტორიების ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
    - საჯარო ფინანსების მართვას მოსახლეობის სახელით და მოსახლეობის ინტერესებისთვის შესაბამისი ტერიტორიების საგადასახადო და სხვა რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებისას.
29. **ტერიტორიული ინტეგრაცია გულისხმობს:**
    - რეგიონის სწრაფვას სტრუქტურული გარდაქმნების გასატარებლად;
    - საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობას;
    - მოსახლეობის ინტერესებისათვის შესაბამისი ტერიტორიების ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
    - საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფას.
30. **საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება:**
    - საგადასახადო უფლებამოსილებების მკვეთრი და სტაბილური გამიჯვნა და შემოსავლების წყაროების მიმაგრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე;
    - რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური მხარდაჭერის ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შექმნა და განვითარება;
    - რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის ამაღლება;
    - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

თემა 11

სახელმწიფო არასაბიუჯეტო (სპეციალური) ფონდების ადგილი და როლი საჯარო ფინანსების სისტემაში

„დაზოგვა დიდი შემოსავალია“.
ციცერონი

„საცა ფულია, ფულიც იქ მიდის“.
გერმანული ანდაზა

„ფული უნდა მართო და არ უნდა ემსახურო მას“.
სენეკა (უმცროსი)

გეგმა:

11.1. სახელმწიფო სპეციალური ფონდების სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები;
11.2. სუვერენული საინვესტიციო ფონდების დანიშნულება, დაფინანსების მეთოდები და ამოცანები;
11.3. სახელმწიფო სპეციალური ფონდები საქართველოში: ისტორიული გამოცდილება და დღევანდელობა;

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

11.1. სახელმწიფო სპეციალური ფონდების სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები

საფინანსო სისტემის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სახელმწიფო სპეციალური ფონდები. ეს უკანასკნელი არის ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების ერთობლიობა, რომელსაც გააჩნია მიზნობრივი დანიშნულება. მათი ფორმირებისა და გამოყენების წესი განსაზღვრულია შესაბამისი ფინანსური კანონმდებლობით.

სახელმწიფო სპეციალური ფონდები მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების ერთ-ერთი მეთოდია. *ამ ფონდების მეშვეობით წყდება ორი ძირითადი ამოცანა:*

- ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროების დამატებითი სახსრებით უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის სოციალური მომსახურების სფეროს გაფართოების ფინანსური უზრუნველყოფა.

საგულისხმოა, რომ თავდაპირველად სახელმწიფო ფონდები წარმოიშვა სპეციალური ფონდების სახით გაცილებით ადრე, ვიდრე სახელმწიფოს ცენტრალური ფულადი ფონდი ბიუჯეტის სახით წარმოგვიდგებოდა.

თანამედროვე პირობებში, ბიუჯეტთან ერთად, კვლავ დიდია სხვა სახელმწიფო ფონდების მნიშვნელობა, რომელთაც გააჩნიათ შემდეგი *თავისებურებები და უპირატესობანი:*

- სახელმწიფოს უჩნდება დამატებითი სახსრები სამეურნეო საქმიანობაში ჩარევისა და წარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის;
- არასაბიუჯეტო ფონდების მკაცრი მიზნობრივი ხასიათი მათ გამოყენებაზე ეფექტიან კონტროლს უზრუნველყოფს;
- შესაძლებელია ფონდების დადებითი სალდოს არსებობის პირობებში ნამეტი სახსრების გამოყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად.

სახელმწიფო სპეციალური ფონდები იქმნება ორი გზით:

⇒ (1) ფონდები ფორმირდება შემოსავლების საკუთარი წყაროებით, რომელთაც მიზნობრივი ხასიათი აქვთ;

⇒ (2) ბიუჯეტიდან გამოიყოფა ხარჯები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მიზნობრივი ხასიათი აქვთ[1].

გარდა ამისა, ფონდების ფორმირების აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს განსაკუთრებული შემთხვევების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მობილიზაციის მიზნით. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო ღებულობს გადაწყვეტილებას ასეთი სპეციალური ფონდის შექმნის თაობაზე[2].

სახელმწიფო სპეციალური ფონდები მიზნობრივი დანიშნულებისაა. როგორც წესი, მის სახელწოდებაში მითითებულია სახსრების გამოყენების მიზანი ანუ ფონდის დანიშნულება. სახელმწიფო სპეციალური ფონდების, როგორც საფინანსო სისტემის სხვა რგოლების, ფორმირების მატერიალურ წყაროს ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს. ასეთი ფონდების შემოსავლების უდიდესი ნაწილი ეროვნული შემოსავლის გადანაწილების გზით ფორმირდება.

სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავლების მობილიზაციის მეთოდებია: სპეციალური (მიზნობრივი) გადასახადები და მოსაკრებლები, სახსრები ბიუჯეტიდან და სესხები.

---

[1] შესაძლებელია ორივე წყარო გამოყენებულ იქნეს ერთი ფონდის შემოსავლების ფორმირების მიზნით.

[2] ასე, მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო სპეციალურმა ფონდებმა.

სპეციალური (მიზნობრივი) გადასახადები და მოსაკრებლები დაწინდება საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება საბიუჯეტო სახსრებით, რომელიც ფონდებს გადაეცემა სუბსიდიების სახით. ფონდების შემოსავალი შეიძლება იყოს ნასესხები სახსრებიც. ამასთან, ფონდების დადებითი სალდოს არსებობის შემთხვევაში, მათ ეს სახსრები შეუძლიათ გამოიყენონ სხვა დამატებითი კანონიერი შემოსავლების მიღების მიზნით.

სახელმწიფო სპეციალური ფონდების ამოცანებისა და მიზნების მრავალფეროვნება განაპირობებს რთულ, მრავალსაფეხურიან კავშირებს ამ ფონდებსა და ფინანსური სისტემის სხვა რგოლებს შორის. განასხვავებენ: ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ ფინანსურ კავშირებს.

ცალმხრივი კავშირებისას ფულადი სახსრები მიედინება ერთი მიმართულებით - ფინანსური რგოლებიდან არასაბიუჯეტო ფონდებისაკენ. ასეთი კავშირი ვლინდება ფონდების ფორმირებისას ან მათ მიერ სახსრების გამოყენებისას. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში სავალუტო ფონდები ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების გადაცემის გზით. ცალმხრივ კავშირს მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც სახელმწიფო სპეციალური ფონდი თავისი რესურსების ნაწილს გადაურიცხავს სხვა ფინანსურ რგოლებს[1].

ორმხრივი კავშირებისას ფულადი ნაკადი მოძრაობს ფონდებსა და სხვა ფინანსურ რგოლებს შორის ორი მიმართულებით. კერძოდ, სოციალური დაზღვევის ფონდი ფორმირდება არა მხოლოდ სადაზღვევო შენატანების ხარჯზე, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებითაც. ამავე დროს, ფონდის აქტიური სალდოს არსებობის პირობებში, ის იძენს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს და ამით ბიუჯეტის კრედიტორი ხდება.

მრავალმხრივი კავშირებისას ერთი სახელმწიფო სპეციალური კრედიტორი ფონდი ერთდროულად ამყარებს ფინანსურ ურთიერთობებს ფინანსური სისტემის რამდენიმე რგოლთან და სხვა სპეციალურ ფონდებთან ანუ ფულადი სახსრები მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებით.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემაში სახელმწიფო სპეციალურ ფონდებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ისინი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დასახული დიდი მნიშვნელობის ამოცანებს აფინანსებენ.

სახელმწიფო სპეციალური ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც სამართლებრივი, ისე გამოყენების თვალსაზრისით.

სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფო სპეციალური ფონდები იყოფა: სახელმწიფო და ადგილობრივ ფონდებად, რომელთაგან პირველს მართავს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო მეორეს - ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

---

[1] ასე, მაგალითად, აშშ-ში საგზაო ფონდი, რომელიც ფორმირდება სპეციალური გადასახადებით, შემოსულობის ნამეტის შემთხვევაში, სესხებს აძლევს ფედერალურ ბიუჯეტს.

მიზნობრივი გამოყენების პოზიციიდან, სახელმწიფო სპეციალური ფონდები იყოფა: ეკონომიკურ, საკრედიტო, სოციალურ, სამეცნიერო-კვლევით, პირადი და ქონებრივი დაზღვევის, სამხედრო პოლიტიკური და სახელმწიფოთაშორისო ფონდებად.

ეკონომიკური ფონდების მიზანი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობაა. ასეთი სპეციალური ფონდების სახსრები მეწარმეობის განვითარების, დაბალრენტაბელური ფირმებისა და საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიყენება[1].

საკრედიტო ფონდებით სარგებლობის უფლება იმ საწარმოებსა და ფირმებს აქვთ, რომლებიც სახელმწიფო შეკვეთებით მუშაობენ. ასეთი სახის ფონდები უპირატესად განვითარებულია აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიასა და იაპონიაში.

სოციალური ფონდების რესურსები გათვალისწინებულია მოსახლეობის სოციალური მომსახურებისათვის. რაც უფრო განვითარებულია ქვეყნის ეკონომიკა და მაღალია მისი ზრდის ტემპები, მით დიდია ამ ფონდების მოცულობები და, შესაბამისად, სოციალური დახმარებები და სხვადასხვა სახის გასაცემლები. სოციალური ფონდების ძირითადი წყაროებია: დაზღვეულ მოქალაქეთა სადაზღვევო შენატანები, მეწარმეთა სადაზღვევო შენატანები, სახელმწიფოს სუბსიდიები.

სამეცნიერო-კვლევითი ფონდების შექმნა უშუალოდ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარებასთანაა დაკავშირებული. მისი სახსრები უპირატესად ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში მეცნიერული კვლევების მხარდასაჭერად გამოიყენება[2].

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ აშშ-ში წარმატებით ფუნქციონირებს ეკონომიკის გარდაქმნისა და განვითარების ფონდი, რომლის წყარო ფედერალური ბიუჯეტის ასიგნებებია. მისი მიზანი კერძო ბიზნესის სტიმულირებაა, ხოლო ამოცანა - კერძო სამრეწველო კომპანიების მიერ საბანკო ოპერაციების დაზღვევა. ასეთი ფონდები გააჩნია აშშ-ის ყველა შტატის ხელისუფლებას. სხვადასხვა ხასიათის ფონდები ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (იაპონიაში, საფრანგეთში და ა.შ.). ისინი ეხმარებიან არა მხოლოდ კერძო, არამედ საზოგადოებრივ და სახელმწიფო სექტორებსაც დაუბრუნებელი სუბსიდიების, შეღავათიანი კრედიტების სამუალებით და ა.შ.

[2] ასე, მაგალითად, აშშ-ში ამ სახის ორი ფონდი ფუნქციონირებს: ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სტანდარტების ბიუროს სამეცნიერო ფონდი. მათი შემოსავლის წყაროები ფედერალური ბიუჯეტის სახსრები და სამრეწველო კორპორაციებისა და საწარმოების ანარიცხებია. აშშ-საგან განსხვავებით, დიდ ბრიტანეთში მოქმედი გამოკვლევათა განვითარების ეროვნული კორპორაციის ფონდი დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფება და, ამ მხრივ, არავითარი კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტთან არ აქვს. მისი შემოსავლები ფორმირდება ლიცენზიების გაცემიდან მიღებული ამონაგებით, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება ფონდს ეხმარება უვადო ავანსებითა და ყოველწლიური სუბსიდიებით.

ამჟამად, მსოფლიოში ფუნქციონირებადი მრავალრიცხოვანი *სახელმწიფოთაშორისო ფონდებიდან,* თავისი მნიშვნელობით, განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმთავრესი მიზნებია: მუდმივმოქმედი მექანიზმის გამოყენებით საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობისა და საგარეო ვაჭრობის გაფართოების ხელშეწყობა, სახელმწიფოთა შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა რეგულირება და ფონდის წევრი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა, საგადასახდელო ბალანსისა და უცხოურ ვალუტაში აღებული მოკლევადიანი სესხების წონასწორობის დარღვევისას წარმოქმნილი სავალუტო სიძნელეთა დაძლევა და ა.შ., რაც მთლიანობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გარანტიებს წარმოადგენს.

მნიშვნელოვან მუშაობას ახორციელებს *რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი,* რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მთავრობების გარანტიით გასცემს გრძელვადიან კრედიტებს (20 წლის ვადით) საწარმოო სიმძლავრეების გაფართოების დასაფინანსებლად. მისი მიზანია ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობის დაძლევა, ეკონომიკური ეფექტიანობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

11.2. სუვერენული საინვესტიციო ფონდების დანიშნულება, დაფინანსების მეთოდები და ამოცანები

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება სუვერენული საინვესტიციო ფონდების როლი, რომლებიც კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე ახორციელებენ ოპერაციებს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით და კონტროლდებიან შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობათა მიერ.

სუვერენული საინვესტიციო ფონდები ახალი მოვლენა არ არის მსოფლიო ეკონომიკისათვის. პირველად ასეთი ორგანიზაციები გამოჩნდა მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში. ამჟამად კი მსოფლიოში დაახლოებით 50-მდე სუვერენული საინვესტიციო ფონდია. ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმე ასეთი ორგანიზაციაა, თუმცა ისინი განსხვავდებიან ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით, დაფინანსების მეთოდებითა და კონკრეტული ამოცანებით.

ბოლო პერიოდში წარმოშობილი ყველაზე მსხვილი სუვერენული საინვესტიციო ფონდებია: საუდის არაბეთის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი (2008 წ.), რუსეთის ერიოვნული კეთილდღეობის ფონდი (2008 წ.), ჩინეთის საინვესტიციო კორპორაცია, ჩინეთ-აფრიკის განვითარების ფონდი, ანგოლის ნავთობის სარეზერვო ფონდი (2007 წ.), დუბაის საინვესტიციო კორპორაცია, ბაბრეინის ჰოლდინგური კომპანია „მუმტალა-კაპი" (2006 წ.), კორეის

საინვესტიციო კორპორაცია, ტიმორა-ლეშტის ნავთობის ფონდი (2005 წ.). ასეთი მსხვილი ფონდების შექმნის პროცესი კვლავ გრძელდება, რისი გეგმებიც განიხილება სამთავრობო დონეზე. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობა შეიმჩნევა ისეთ მნიშვნელოვან ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, ინდოეთი, ბრაზილია და სხვ.

სუვერენული საინვესტიციო ფონდებისადმი ინტერესის გაძლიერება აიხსნება იმითაც, რომ უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში, პერსილის ყურის, ჩინეთისა და სინგაპურის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები სარგებლობდნენ მათთვის ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურით და ახორციელებდნენ მრავალმილიონიან გარიგებებს აშშ-ისა და ევროპის წამყვანი კერძო საინვესტიციო და საბანკო ინსტიტუტების აქციათა პაკეტების შესაძენად. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები კი არა მხოლოდ ამ ქვეყნების ეკონომიკების, არამედ ასევე მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის ხერხემალია.

მსგავსმა ფაქტებმა პირველად დასავლეთის კერძო საფინანსო ინსტიტუტები შეაშფოთა, რომლებმაც სუვერენული საინვესტიციო ფონდები მიიჩნიეს მძლავრ კონკურენტებად. განსაკუთრებული ინტერესი სუვერენული საინვესტიციო ფონდების ფენომენის შესწავლისადმი იწყება 2007 წლიდან ამერიკული და გერმანული ბანკებისა და სხვა კერძო ორგანიზაციების მიერ. ფონდების საკითხი აქტუალური გახდა პოლიტიკურ დონეზეც[1].

სუვერენული საინვესტიციო ფონდების გარშემო ატეხილი საინფორმაციო აჟიოტაჟის შედეგად ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა დაიწყეს მსოფლიოს წამყვანმა საფინანსო-ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2007 წლის ოქტომბერში თავის ყოველწლიურ მოხსენებას - „გლობალური ფინანსური სტაბილურობა“, გაუკეთა ცალკე დანართი ფონდების შესახებ. 2008 წლის თებერვლისათვის ფონდმა მოამზადა დოკუმენტი სათაურით „სუვერენული საინვესტიციო ფონდები. სამუშაო პროგრამა“. მასში ჩამოყალიბებულია ძირითადი თეორიული, სტატისტიკური და ფაქტობრივი ცნობები იმ მომენტისათვის მსოფლიოში არსებული სუვერენული საინვესტიციო ფონდების შესახებ, ფორმულირებულია კონკრეტული წინადადებები ფონდების ხელმძღვანელობისა და წევრი-ქვეყნებისათვის საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების რეგულირების საკითხების განხილვით დაინტერესდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო), რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დაკავებული იყო კერძო კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის საკითხების შესწავლით. 2008 წლის აპრილისათვის ეთგო-მ პირველად გამოაქვეყნა მოხსენება -

---

[1] ქვეყნების მთავრობები, რომელთა ეკონომიკაშიც ხდებოდა სახსრების დაბანდება, ვარაუდობდნენ, რომ სუვერენული საინვესტიციო ფონდები მომავალში მათი ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის წარმოადგენდა გარკვეულ მუქარას.

„სუვერენული საინვესტიციო ფონდები და სახელმწიფო-რეციპიენტის პოლიტიკა".

ეთგო-ს მონაცემებით, სუვერენული საინვესტიციო ფონდების ოპერაციებზე უკვე არსებობს გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, ისლანდიაში აკრძალულია უცხოეთის სახელმწიფოებისა და სახელმწიფო კომპანიების ინვესტიციები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა გასცემს განსაკუთრებულ ნებართვას. მექსიკა აწესებს შეზღუდვებს პირდაპირ ინვესტიციებზე უცხოეთის ქვეყნების მთავრობებისა და სახელმწიფო საწარმოების მიმართ საქმიანობის მთელ რიგ სფეროებში. ესპანეთი იტოვებს უფლებას, შეზღუდოს იმ სახელმწიფოების მთავრობების ინვესტიციები, რომლებიც არ შედიან ევროკავშირის შემადგენლობაში. მოხსენებაში დადასტურებულია, რომ მრავალი რეციპიენტი-ქვეყანა აპირებს ზომების გამკაცრებას უცხოური ინვესტიციების რეგულირების მიზნით.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების ყველაზე გავრცელებული დეფინიციის მიხედვით, *ეს საინვესტიციო ფონდია, რომელიც იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში და ექვემდებარება მის კონტროლს.*

ზოგიერთი განმარტების თანახმად, *სუვერენული საინვესტიციო ფონდი წარმოადგენს შედარებით ახალ ორგანიზაციულ ტიპს, რომელიც მოიცავს საკუთრების კერძო და სახელმწიფოებრივ ფორმას და საქმიანობს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, გარკვეული შეზღუდვებით.*

მეტად საყურადღებოა სუვერენული საინვესტიციო ფონდების ფუნქციონალური დახასიათება. *ასეთი ფონდები იქმნება ქვეყნებში (რეგიონებში), რომლებიც განიცდიან საგადასახდელო ბალანსის პერიოდულ თუ ქრონიკულ დეფიციტს და, შესაბამისად, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვების და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს.*

მაშასადამე, *სუვერენული საინვესტიციო ფონდები წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც მოწოდებულია შეამციროს საგარეო ანგარიშსწორების დისბალანსი, უზრუნველყოს სახსრების გრძელვადიანი შენახვა, რომელიც მიიღო სახელმწიფო (რეგიონული) ბიუჯეტიდან.*

სსფ-ის ექსპერტები სუვერენული საინვესტიციო ფონდების მთელი არსენალიდან გამოყოფენ ხუთ ძირითად ფუნქციონალურ ფორმას:

- *სტაბილიზაციის ფონდები*, რომლის დანიშნულებაა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიდან გამოყოფილი განსაზღვრული სახსრებით ქვეყნიდან გატანილ ნედლეულსა და რესურსებზე (ნავთობის გარდა) მსოფლიოში არსებული ფასების რყევებისაგან მისი დაცვა;
- *საშემნახველო ფონდები*, რომელიც, თავის მხრივ, მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის მოპოვებითი მრეწველობის აქტივების კონვერტირება, უფრო მეტად დივერსიფიცირებული აქტივებით. მიზანი – ცნობილი ჰოლანდიური ავადმყოფობის თავიდან აცილება, როდესაც ნედლეულის

ექსპორტისაგან ჭარბი შემოსავლები იწვევს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აქტივობის დაცემას;

- *სპეციალიზებული კორპორაციები,* რომლებიც პასუხისმგებელი არიან ოქრო-სავალუტო რეზერვის მართვასა და მათი დაბანდებების გზით საბაზრო ინსტრუმენტებად გადაქცევაზე. ასეთი ორგანიზაციების კაპიტალი ფორმალურად არ არის გამოყოფილი შესაბამისი ქვეყნის ოქრო-სავალუტო რეზერვებისაგან და შედის მის შემადგენლობაში;
- *განვითარების ფონდები,* რომლის დანიშნულებაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსება. მაგალითად, ეროვნული მეურნეობის საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება მისი დარგობრივი თუ ტერიტორიული სტრუქტურის გაუმჯობესების გზით;
- და ბოლოს, დანიშნულებისა და არსებობის სტატუსის მიუხედავად – *საზოგადოებრივი (საჯარო) საპენსიო ფონდები,* საიდანაც ხდება ქვეყნის მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფოს და არა მოსახლეობის შენატანებისაგან.

თანამედროვე სუვერენული საინვესტიციო ფონდების საქმიანობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული აქტიურობა და მასშტაბურობა. სუვერენული საინვესტიციო ფონდების ინვესტორები, რომლებიც ფულს, მნიშვნელოვანი დივიდენდების მიღების მიზნით, ტრადიციულად აბანდებდნენ პორტფელურ ინვესტიციებში, თანდათანობით გადაიქცნენ სტრატეგიულ ინვესტორებად და შეიძინეს შესყიდული აქტივების მართვაში მონაწილეობის უფლება.

მაგალითად, შვეიცარიის ბანკი United Bank of Switzerland (UBS), რომლის ანგარიშზეც ირიცხებოდა ზარალი – 10 მლრდ დოლარი, იძულებული გახდა გაეყიდა თავისი აქციების 9,8% სინგაპურის მთავრობის საინვესტიციო კორპორაციაზე 9,75 მლრდ დოლარად, რის შემდეგაც იგი გახდა შვეიცარიის ბანკის მსხვილი აქციონერი. ანალოგიური სახით, Citigroup-ის მთავარ მეწილეებად „მოულოდნელად" აღმოჩნდნენ აბუდაბის საინვესტიციო საბჭო, რომელმაც მისი აქციების 4,9%-ში გადაიხადა 7,5 მლრდ დოლარი, სინგაპურის მთავრობის საინვესტიციო კორპორაცია (აქციების 3,7% 6,88 მლრდ დოლარად) და ქუვეითის საინვესტიციო მმართველის (აქციების 1,6% 3 მლრდ დოლარად)[1].

სუვერენული საინვესტიციო ფონდები არ იყო შენიშნული ისეთ საეჭვო საქმიანობაში, როგორიცაა კომერციული ან თუნდაც პოლიტიკური დიქტატის მცდელობები. თუმცა, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს.

მაგალითად, 2007 წლისათვის ჩინეთის საინვესტიციო კორპორაციის შექმნა, რომელმაც შეიძინა ამერიკული ინვესტკომპანიის Black Stone აქციათა

[1] Чебан С. Суверенные инвестиционные фонды: новый феномен мировой экономики// Мировая экономика и международные отношения. - 2008, №10, стр. 15.

პაკეტი და მაშინათვე განაცხადა, რომ არ ჰქონდა განზრახული მოეპოვებინა ადგილები კომპანიის დირექტორთა საბჭოში.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების საქმიანობის ანალიზით დაკავებული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ ფონდებს მცირე ზომით, მაგრამ მაინც ახასიათებთ მიდრეკილება, ჩაერთონ იმ კომპანიის პოლიტიკაში, რომლის აქციონერებიც გახდნენ.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების მოცულობის სწრაფად ზრდასთან ერთად, იზრდება მათი ინვესტიციების არაფინანსური (მაგალითად, პოლიტიკური და სტრატეგიული) მოტივაცია. აშშ-ისა და ევროკავშირის კანონმდებლები ფრთხილობენ, რომ სუვერენული საინვესტიციო ფონდების ინვესტიციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არაბეთის ქვეყნების, ჩინეთისა და რუსეთის მთავრობების მიერ[1]. ამიტომ, მიაჩნიათ, რომ საჭიროა ამ ფონდების რეგულირება.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების რეგულირებაში იგულისხმება ძირითადად მათ მიერ საერთაშორისო დონეზე გარკვეული წესების შემოღება, რომელთა შესრულება, როგორც ამ იდეის მომდევრები იმედოვნებენ, მათი ნებაყოფლობით ხორციელდება. საკითხი ეხება ფონდების საქმიანობის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას[2].

სსფ-ის ყოფილი მთავარი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი *კ. როგოფი* უფრო ღიად აცხადებს: „აზიური ქვეყნები და სახელმწიფოები, რომლებიც ნავთობით ვაჭრობის შედეგად გამდიდრდნენ ფულით, ცდილობენ მისი დახმარებით ზეგავლენის მოპოვებას. ჩვენ გვინდა რომ ეს გავლენა არ აღმოჩნდეს ისეთი, როგორიც მათ სურთ. კორპორაციული და ფინანსური მმართველობა უნდა იყოს გამჭვირვალე, რომ ვიყოთ დაცულები მსგავსი ზეგავლენისაგან"[3].

---

[1] ამ აზრის მოკლე ფორმულირებას ახდენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტი ს. ჯონსონი: „სუვერენული ფონდები - „შავი ყუთებია", რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურობისათვის" [Апокин А. Проблема глобальных дисбалансов в мировой экономике// Вопросы экономики. - 2008, №5, стр. 58].

[2] 2008 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე პრობლემის არსი შემდეგნაირად გამოხატა აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დ. მაკკორმიკმა: „დღემდე ჩვენ მიგვაჩნდა, რომ სუვერენული ფონდები წარმოადგენდნენ გრძელვადიან, სტაბილურ ინვესტორებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კომერციული პრინციპებით. მაგრამ, ეხლა, როდესაც მათი ინვესტიციები საგრძნობლად გაიზარდა, ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ინვესტიციების ბუნება ატარებს განსაკუთრებულ კომერციულ ხასიათს" [Чебан С. Суверенные инвестиционные фонды: новый феномен мировой экономики// Мировая экономика и международные отношения. - 2008, №10, стр. 18-19].

[3] Чебан С. Суверенные инвестиционные фонды: новый феномен мировой экономики// Мировая экономика и международные отношения. - 2008, №10, стр. 19.

90-იანი წლების ბოლოს ტრანსპარენტობის პრობლემა წარმოიშვა კერძო სადაზღვევო ფონდების საქმიანობასთან დაკავშირებითაც. მათი თავდაპირველი სტრატეგია ორიენტირებული იყო მაღალი რისკის ტრანსაქციებსა და რთული საინვესტიციო ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ეს ფონდები, თავისი აყვავების ხანაში, ნაკლებად მისაწვდომი აღმოჩნდა კაპიტალის ბაზრის და სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედებისა და კონტროლის მანამდე ჩამოყალიბებული სტანდატული ზომებისათვის. სიფრთხილე იმ საბაბით, რომ სადაზღვევო ფონდებს შეუძლიათ ფინანსური სისტემის მთლიანად მოშლა, გამწვავდა ამერიკული LTCM (Long-Term Capital Mane-gement) სკანდალური კრახის შედეგად. LTCM იყო აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და წარმატებული სადაზღვევო ფონდი, რომელიც აჩვენებდა ხელოვნურად გაზრდილ შემოსავლებს შეძლებული კლიენტების დასაინტერესებლად, თითქოს, მის მმართველობაში იყო 125 მლრდ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პორტფელი[1].

„LTCM სპეციალიზდებოდა მაღალმომგებიან რისკიან, საარბიტრაჟო გარიგებებზე ამერიკული, იაპონური და ევროპული ობლიგაციებით; იყენებდა ბანკის კრედიტებს, რომელთა მოცულობამ გადააჭარბა 120 მლრდ დოლარს. გარდა ამისა, ფონდს ჰქონდა პოზიცია 1,25 ტრლნ დოლარის სათანადო ღირებულების ფინანსურ დერივატივებზე, რაც ხშირად აისახებოდა ბალანსში. მათგან ზოგიერთი წმინდა სპეკულაციური იყო, ხოლო ზოგიერთი გამოიყენებოდა LTCM-ის პორტფელის დასაზღვევად სხვა დასაშვები რისკებისაგან. არავის არ შეეძლო ზუსტად განესაზღვრა LTCM-ის კატასტროფის დასაწყისში სავალო ტვირთის მოცულობა. სავარაუდო შეფასებით, ფონდის საკუთარი კაპიტალის თითოეულ დოლარზე მოდიოდა 35 დოლარი ნასესხები სახსრები"[2] , - წერს *ალან გრინსპენი.*

ნიშანდობლივია, რომ ასეთი ფაქტის შემდეგ აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებმა შემოიღეს დამატებითი მოთხოვნები მათი სტრატეგიისა და მიმდინარე ტრანსაქციების უფრო გახსნილი ინფორმაციულობის უზრუნველყოფის მიზნით.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების უმრავლესობა, რომელიც დაფუძნდა როგორც კერძო საინვესტიციო ფონდი, ხშირად არ იცავს ტრანსპარენტობის სტანდარტებს. ეს შეიძლება აიხსნას არა იმდენად მის მიერ გატარებული ოპერაციების მიმართულების, მოტივებისა და მასშტაბების დაფარვის მიზეზით, რამდენადაც წმინდა ფინანსური ასპექტებით: მისი ტრანსპა-

---

[1] LTCM-ის პარტნიორთა შორის იყვნენ ეკონომიკის სფეროში ორი ნობელის პრემიის ლაურეატი – ნ. შოულზი და რ. მერტონი, რომელთა ულტრათანამედროვე მათემატიკური მოდელები წარმოადგენდა ფონდის ფინანსური საქმიანობის საფუძველს.

[2] Алан Гринспен. Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. - М, 2008, стр. 196.

რენტობის უზრუნველყოფა მოითხოვს დამატებით ორგანიზაციულ ძალისხმევას და ფინანსურ დანახარჯებს.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების ანალიზის არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტები უკავშირდება მის რეალურ როლს თანამედროვე გლობალურ ფინანსურ სივრცეში.

„უფრო ზოგადად რომ შევაფასოთ განსახილველი ფენომენის მასშტაბები, საჭიროა შეფასდეს მათი აქტივების მთლიანი მოცულობა, რომელმაც 2008 წლის პირველი ნახევრისათვის შეადგინა 3 ტრლნ დოლარი. მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ოქრო-სავალუტო რეზერვების მთლიანი მოცულობა შეადგენს 6,9 ტრლნ დოლარს, აშშ-ის მშპ-ს მოცულობა 12 ტრლნ დოლარს. ამ ფონზე სუვერენული საინვესტიციო ფონდების კაპიტალი გამოიყურება საკმაოდ შთამბეჭდავად"[1] , - აღნიშნავს *ს. ჩებანი.*

სუვერენული საინვესტიციო ფონდების საქმიანობით დაინტერესებული მკვლევარები მიანიშნებენ ამ ფონდების ნეგატიურ ასპექტებზე. მათი აზრით, სუვერენული საინვესტიციო ფონდი:

- ახორციელებს გრძელვადიან ინვესტიციებს და საქმიანობისათვის არ იზიდავს ნასესხებ სახსრებს, განსხვავებით კერძო სადაზღვევო და სხვა საინვესტიციო ფონდებისაგან;
- არ ემორჩილება სპეკულაციურ აზარტს, მშვიდად ელოდება კრიზისულ პერიოდებს და არც თუ იშვიათად მოქმედებს ბაზრის საერთო ტენდენციების წინააღმდეგ, ე.ი. აქტივებს ყიდულობს მაშინ, როდესაც უმეტესობა იძულებულია თავი დააღწიოს ამ აქტივებს.

ექსპერტები სამართლიანად აღნიშნავენ სუვერენული საინვესტიციო ფონდების არსებობის ფუნდამენტური პოზიტიური ასპექტების შესახებ, ძირითადად მის წილს კაპიტალის მიწოდებაში, რაც უზრუნველყოფს ინვესტიციების ბაზრის გაფართოებას და მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას, ასევე გრძელვადიანობისა და დაბანდებების დივერსიფიცირების წყალობით მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ სუვერენული საინვესტიციო ფონდების დანიშნულებისა და საქმიანობის მასშტაბების ზრდა შეიძლება შეფერხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ და სხვა ქვეყნები, რომლებიც საქმიანობენ გარედან კაპიტალის მუდმივი მოზღვავების ხარჯზე, მიზანმიმართულად დაიწყებენ საგარეო ანგარიშსწორების დეფიციტის და, შესაბამისად, ეკონომიკაში უცხოურ კაპიტალზე მოთხოვნის შემცირებას. თუმცა, უახლოეს პერსპექტივაში ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.

---

[1] Чебан С. Суверенные инвестиционные фонды: новый феномен мировой экономики// Мировая экономика и международные отношения. - 2008. №10, стр. 20.

11.3. სახელმწიფო სპეციალური ფონდები საქართველოში: ისტორიული გამოცდილება და დღევანდელობა

თავდაპირველად, საქართველოში სახელმწიფო სპეციალური ფონდების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესი მიმდინარეობდა 1990-1995 წლებში. შეიქმნა და ფუნქციონირებდა შემდეგი სახელმწიფო სპეციალური ფონდები:

- საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი;
- საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი;
- საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდი;
- საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი.

1996 წლიდან განხორციელდა აღნიშნული ფონდების რეორგანიზაცია. კერძოდ, 1996 წლის თებერვალში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდი გადაკეთდა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიად. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი 1997 წელს რეორგანიზებულ იქნა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდად, ხოლო 2002 წლის 31 დეკემბერს - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდად, რომელთანაც გაერთიანდა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია. რაც შეეხება საქართველოს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდს, იგი 2002 წელს გადაკეთდა დასაქმების სახელმწიფო სამსახურად, ხოლო 2003 წელს გაერთიანდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში.

2005 წლის 1 იანვრამდე საქართველოში ფუნქციონირებდა ორი სახელმწიფო სპეციალური ფონდი:

- საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი;
- საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი.

სპეციალური სახელმწიფო ფონდები ფინანსდებოდა შესაბამისი კანონებითა და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული შემოსავლებით. სახელმწიფო სპეციალური ფონდების ბიუჯეტები სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი იყო და მტკიცდებოდა და სრულდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი თავისი მოვალეობების შესრულებისას ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და განკარგულებით, თვით ფონდის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით[1].

---

[1] ფონდს მართავდა გენერალური დირექტორი. ფონდს ჰყავდა სამეთვალყურეო საბჭო. მისი საქმიანობის კონტროლსა და ბალანსის შემოწმებას ახორციელებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ფონდის დებულებით, მისი მიზნები იყო: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმების, ჯანმრთელობისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პროგრამების განხორციელება; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სოციალური დაზღვევის სისტემაში მოქცევის მიზნით საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია და პერსონიფიცირებული აღრიცხვა; კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანები.

აღნიშნული მიზნების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი:

- ამუშავებდა და ახორციელებდა დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის, სამედიცინო დახმარებების, სოციალური დახმარებების და სხვა სახელმწიფო პროგრამებს;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგენდა ამ პროგრამების დაფინანსების ანგარიშებს;
- შეიმუშავებდა და ამავე სამინისტროს წარუდგენდა მოსახლეობის სოციალური დაზღვევის პროგრამებისა და სოციალური დაზღვევის სისტემის გაუმჯობესების წინადადებებს;
- მონაწილეობდა მოსახლეობის სოციალური დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის *დაფინანსების წყაროები იყო:*

- სოციალური დაზღვევის გადასახადი;
- საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიები და მიზნობრივი ტრანსფერტები;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული ნებაყოფლობითი შენატანები და შემოწირულობები;
- ფონდის მიერ განხორციელებული კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დაზღვევისათვის ფონდის მიერ გატარებული ფინანსური სანქციებით მიღებული შემოსავლები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლები განაწილებული იყო *ხარჯების შემდეგი მიმართულებების მიხედვით:* ფონდის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილი იყო სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად, რომლის უდიდესი ნაწილი განკუთვნილი იყო პენსიების გასაცემად, ხოლო დანარჩენი სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, როგორიცაა: დახმარება დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებით, უმწეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარება, 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარება, პენსიების გაცემისა და მომსახურების ხარჯები; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება, რომელიც მოიცავდა მოსახლეობის როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამებს, მოსახლეობის

სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამას და ჯანდაცვის პროგრამებში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება; უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება; ფონდის საორგანიზაციო-ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება; დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საორგანიზაციო-ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.

მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული **საქართველოს ერთიან სახელმწიფო საგზაო ფონდს.** მისი ძირითადი დანიშნულება ქვეყნის საავტომობილო გზების შეკეთებისა და შენახვის სამუშაოების ხარჯების დაფინანსება იყო.

ერთიან სახელმწიფო საგზაო ფონდში მისაღები საგადასახადო შემოსავლები ძირითადად ყალიბდებოდა, ერთი მხრივ, მოქმედი კანონმდებლობით ამ ფონდისათვის განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებისაგან და, მეორე მხრივ, საბიუჯეტო კანონმდებლობით იმპორტირებული საავტომობილო ბენზინიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მისაღები აქციზიდან საგზაო ფონდისათვის დაწესებული 30 პროცენტიანი ანარიცხებიდან.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროები იყო: აქციზი საავტომობილო ბენზინზე; საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადი; ავტოსატრანსპორტო გზებით სარგებლობის გადასახადი; გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის; სხვა გადასახადები და სხვა შემოსავლები.

ფონდის ხარჯების მიმართულებები შემდეგი სტრუქტურით იყო წარმოდგენილი: გზების მოვლა-შენახვის ხარჯები; უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადასახდელად საჭირო თანხები, რომლებიც მიმართული იყო ცენტრალურ ბიუჯეტში; მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესრულებულ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯების დაფინანსება და წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელი თანხების დაფინანსება; მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოს ხარჯები. გარდა ამისა, ფონდის სახსრებით ფინანსდებოდა აგრეთვე საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატების შენახვის ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები, კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები.

2005 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა ზემოაღნიშნული სახელმწიფო სპეციალური ფონდები და მათი შემოსავლები და ხარჯები გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ასიგნებებში.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს შემდეგი სახელმწიფო სპეციალური ფონდები: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 1997 წელს დაფუძნდა, არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება და საქართველოში მოქმედ მსოფლიოს ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან და ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს[1].

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას, განახლებადი ენერგიების (მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურებისა და გეოთერმული) ობიექტების განვითარებას, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნას, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფას, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევას. საქართველოში კონფლიქტის შედეგად მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის აღმოფხვრას.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ფონდი თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსახლეობასთან, ახდენს სახსრების მობილიზებას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, დონორი სააგენტოებიდან და უცხო ქვეყნებიდან, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ფონდი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტები. ფონდი თავის საქმია-

[1] აღნიშნულის კოორდინირებას საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭო და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს.

ნობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და სხვა დონორებთან[1] საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულებების, სამოქმედო სახელმძღვანელოსა და საკუთარი დებულების შესაბამისად. ფონდის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭო.

ფონდის ვალდებულებები და ფუნქციები: ფონდი პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა დონორებისაგან მიღებული და ძირითადი და საპროცენტო თანხების სახით ფონდის სესხებიდან ამონაგები სახსრების მართვისათვის, რომელთა მიზანია ადგილობრივი და რეგიონული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და შესაბამისი ტექნიკური დახმარების დაფინანსება.

ფონდის ვალდებულებებია:

- ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- ფონდის სახსრების პოტენციური მსესხებლის სესხის აღების შესაძლებლობათა შეფასება, რაც ეფუძნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან შესაბამისი დონორებისათვის მისაღებ სხვა წესებსა და ინსტრუქციებს;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების შეფასება, რაც ეფუძნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან შესაბამისი დონორებისათვის მისაღებ სხვა წესებსა და ინსტრუქციებს;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების დაფინანსება საქართველოს მთავრობასა და შესაბამის დონორებს შორის შეთანხმებული პროცედურებისა და პირობების მიხედვით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის ინიციატივით შემუშავებული მიკროპროექტების განხორციელება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრირების უნარის განვითარება, თვითმმართველი ერთეულის ქონებისა და ფინან-

---

[1] ფონდის დონორები არიან: მსოფლიო ბანკი (WB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი (ADB), გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (KFW), ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (EU), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), იაპონიის ბანკი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ევროპის საინვესტიციო ბანკი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების კოოპერაციის სააგენტო, ჰოლანდიის მთავრობა, „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, GIZ- გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოება.

სური სახსრების მართვასთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარება და ადგილობრივი ორგანოების ანგარიშგების გაუმჯობესება;

- ფონდის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობა;
- ტექნიკური დახმარების თანხების მობილიზება, ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით;
- ფონდის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების კონტრაქტების განხორციელების ზედამხედველობა;
- ფონდის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ღონისძიებათა კოორდინირება შესაბამის სამინისტროებსა და სხვა სააგენტოებთან;
- ტექნიკური დახმარების პროგრამების კოორდინირება სხვა დონორებთან;
- ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების საბუღალტრო და ფინანსური მართვის განხორციელება;
- დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ფონდის ანგარიშების ყოველწლიური აუდიტის განხორციელების უზრუნველყოფა საერთაშორისო სააუდიტო სტანდარტების შესაბამისად;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ფონდს შორის გაფორმებული პროექტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება;
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია;
- წყალდიდობებისაგან დაზარალებული საირიგაციო და ნაპირდამცავი ინფრასტრუქტურის აღდგენა;
- სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- განახლებადი ენერგიის (მცირე ზომის ჰიდროელექტრო და გეოთერმული სადგურები) ფონდის მენეჯმენტის უზრუნველყოფა;
- იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო პროგრამის „იაფი კრედიტის“ მენეჯმენტის უზრუნველყოფა;
- უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოში კონფლიქტების შედეგად მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის სარეაბილიტაციოდ საჭირო პროექტების მართვა, იძულებით გადაადგილებული პირების დროებითი და მუდმივი თავშესაფრით უზრუნველყოფისა და მათთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის

ხელშეწყობა, ამ კონფლიქტებით წარმოქმნილ პრობლემათა გადასაჭრელად დაგეგმილი სხვა პროექტების მართვა, განხორციელება და ზედამხედველობა;

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ფონდის სტრუქტურა და მართვა: ფონდის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა დადგენილებით. საბჭო იკრიბება ექვს თვეში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. თითოეულ წევრს მხოლოდ ერთი ხმის უფლება აქვს. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

ფონდს მართავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ფონდის ფინანსური რესურსები და მათი გამოყენება: ფონდი თავისი მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესასრულებლად მობილიზებას უწევს და იყენებს შემდეგ ფინანსურ რესურსებს:

⇒ ფონდის სესხების მიმღებთა მიერ გადახდილი სესხებიდან და პროცენტებიდან მიღებულ თანხებს, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ფონდს სრულად გადასცემს ფონდის დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;

⇒ საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი რესურსების, ორმხრივი და მრავალმხრივი პროგრამების ფარგლებში მიღებულ თანხებს და არასამთავრობო ორგანიზაციათა შენატანებს;

⇒ საქართველოს ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებიდან თანადაფინანსებით გამოყოფილ თანხებს;

⇒ საქართველოს სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მობილიზებულ რესურსებს;

⇒ საქველმოქმედო შენატანებს;

⇒ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა წყაროებს.

მობილიზებული ფინანსური რესურსები გამოიყენება შემდეგი მიზნების განსახორციელებლად:

- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების დაფინანსება;
- ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;

- ფონდის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;
- საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების, შესაბამისი კვლევების, არქეოლოგიური სამუშაოების და საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სხვა თანმდევი მომსახურების დაფინანსება.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება ხორციელდება როგორც ფონდის სესხების მიმღებთა მიერ გადახდილი საპროცენტო თანხებიდან, ისე დონორების მიერ გამოყოფილი საკრედიტო და/ან საგრანტო რესურსებიდან.

სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდი

არის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სააქციო საზოგადოება, რომელიც სახელმწიფომ დააფუძნა „სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ" საქართველოს 2011 წლის 8 აპრილის №4522–Iს კანონის შესაბამისად.

ფონდს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეიტინგი „BB", რაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგის თანასწორია. „საპარტნიორო ფონდი" შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.).

ფონდის საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობა შემოიფარგლება „სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ფონდის წესდებით განსაზღვრული აქციონერის უფლებამოსილებით. სახელმწიფო არ მონაწილეობს ფონდის ყოველდღიურ საქმიანობაში და ფონდის საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებაში.

ფონდი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონით, ფონდის წესდებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ფონდის მიზნებია:

- მოგების მიღება და ფინანსური აქტივების ღირებულების გაზრდა;
- ინვესტიციების მოზიდვა;
- სამუშაო ადგილების შექმნა;
- შეფერხებული პროექტების დასრულებისათვის ხელის შეწყობა და ახალი პროექტების შემუშავება ან/და დაფინანსება;

- განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილის/აქციების განკარგვა;
- კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სხვა მიზანი.

ფონდის სახსრები და დაფინანსების წყარო:

- ფონდი მოიზიდავს სახსრებს და განკარგავს მათ.
- ფონდის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
  - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული გრანტები;
  - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან და სხვა სუბიექტებისგან მიღებული სესხები, რომელთა დაბრუნებისთვისაც ფონდი თავად არის პასუხისმგებელი;
  - განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი;
  - სახელმწიფოს მიერ ფონდისათვის გადაცემული კომპანიების ან/და უშუალოდ ფონდის მიერ დაფუძნებული კომპანიების დივიდენდები;
  - წილებისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული შემოსავალი;
  - ფონდის დამფუძნებლის შენატანები ფონდის კაპიტალში;
  - საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები.
- ფონდის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით და სახელმწიფო, როგორც ფონდის აქციონერი, პასუხს არ აგებს ფონდის ვალდებულებებისათვის.

ფონდის მიერ პროექტის დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპები:

- ფონდის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებია:
  - საინვესტიციო ან სხვა სახის საქმიანობის სტრატეგიისა და მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელება ფონდის წესდების შესაბამისად;
  - საინვესტიციო ან სხვა სახის საქმიანობის განხორციელება გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების გამოყენებით, მიუკერძოებლად, საუკეთესო ბიზნესპრაქტიკის გათვალისწინებით.
- ფონდი პროექტს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში იქნება მინიმუმ 5 მლნ ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში – მინიმუმ 30 მლნ ლარი, თუკი ფონდის სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
- პროექტში მონაწილეობის მსურველმა ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია საინვესტიციო თანხის მინიმუმ 10%-ის ოდენობით.
- ფონდი არ განიხილავს ისეთ პროექტებს, რომლებიც უშუალოდ შეეხება მომსახურების სფეროს, თუ ფონდის სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

პროექტში ფონდის მონაწილეობის ფორმა:

- პროექტის განხორციელების შემდეგ ფონდი ახდენს თავისი წილის არანაკლებ 25%-ის განკარგვას.

- წილის გასხვისების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ კანონითა და ფონდის წესდებით დადგენილი წესით.
- ფონდის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიაში პარტნიორულ უფლებამოსილებათა გადანაწილების, პროექტში ფონდის წილობრივი მონაწილეობის ფორმისა და წილის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო ფონდის წესდებით დადგენილი წესით.
- პროექტის დაფინანსება ხორციელდება კერძო სექტორის თანადაფინანსებით, მათ შორის, კაპიტალშენატანებით, სესხის, გარანტიის (თავდებობის) გაცემით ან სხვაგვარად. კერძო სექტორის თანადაფინანსება შეიძლება არ მოიცავდეს პროექტის განსახორციელებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას. პროექტის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს თანადაფინანსების გარეშეც.

ფონდის მმართველობის სტრუქტურა: ფონდის მმართველობის ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ორგანო, ხოლო *საკონსულტაციო ორგანო კი* - საინვესტიციო საბჭო.

სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის საქართველოს მთავრობის 4 წევრი და კერძო სექტორიდან მოწვეული 3 პირი. კერძოდ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, ენერგეტიკისა და იუსტიციის მინისტრები; თიბისი ბანკის, საქართველოს ბანკის და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლები.[1]

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა:

- ფონდის მენეჯმენტის (აღმასრულებელი ორგანოს) საქმიანობის კონტროლი;
- ფონდის ფინანსური დოკუმენტაციის კონტროლი და შემოწმება;
- აღმასრულებელი ორგანოს წევრებისთვის წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მინიჭება და გაუქმება, უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა;
- პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- დამტკიცებული პროექტის მართვის მონიტორინგის განხორციელება;
- ფონდის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიაში პარტნიორულ უფლებამოსილებათა გადანაწილების, პროექტში ფონდის წილობრივი მონაწილეობის ფორმისა და წილის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

---

[1] ბანკირების საბჭოში მოწვევა მიზანშეწონილად ჩაითვალა, იმდენად, რამდენადაც ფონდის საქმიანობა არამც და არამც არ უნდა გახდეს კომერციული ბანკებისთვის კონკურენციის გამწევი ფაქტორი. ასე რომ, თუკი საბჭოზე დასამტკიცებლად გამოტანილი პროექტი ბანკებისთვისაც აღმოჩნდება საინტერესო, ფონდი მათ ამ პროექტებს უთმობს.

- საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ფონდის საკუთრებაში არსებული წილის/აქციების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი. ფონდის აღმასრულებელ ორგანოში შედიან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეები, აგრეთვე დეპარტამენტების დირექტორები.

აღმასრულებელი ორგანოს ძირითადი ფუნქციებია:

- პროექტების შემუშავება და ფონდის სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენა;
- დამტკიცებული პროექტების მართვა;
- ფონდის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი/არსებული საწარმოების პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების განხორციელება;
- მოწონებული პროექტების განხორციელების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, შვილობილი კომპანიების დაარსება.

საინვესტიციო საბჭო არის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული ფონდის საკონსულტაციო ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა პროექტის ეფექტიანობისა და მდგრადობის შეფასება, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენა. საინვესტიციო საბჭო შედგება ექსპერტებისაგან. საინვესტიციო საბჭოს წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

ფონდის საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოქმედება.

ფონდის საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა - ფონდის ჯამური აქტივები 5 მლრდ ლარს აღემატება. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისაგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი (ჯამური აქტივები 2,8 მლრდ ლარი);[1]
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი (ჯამური აქტივები 878,3 მლნ ლარი);[2]

---

[1] საქართველოს რკინიგზა აერთიანებს და მართავს საქართველოს სარკინიგზო ბაზებს (ჯამში 1,326 კმ და 114 სადგური) და მოძრავ შემადგენლობას, ახორციელებს სამგზავრო გადაყვანებსა და სატვირთო გადაზიდვებს. კომპანიის მოძრავი შემადგენლობა მოიცავს 139 ლოკომოტივს, 8,122 სატვირთო ვაგონს, 98 სამგზავრო ვაგონს და ა.შ. საქართველოს რკინიგზა არის უმსხვილესი დამსაქმებელი ქვეყნის მასშტაბით. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულებთა რაოდენობამ 12,000 ადამიანს გადააჭარბა.

[2] კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი აირის იმპორტი, გაყიდვა და გაზსადენების გაქირავება. კორპორაციას გააჩნია ეროვნული ნავთობის კომპანიის იურიდიული სტატუსი და წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებს ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირების კუთხით, წარმოების დაყოფის ხელშეკრულებების საშუალებით (PSA).

- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი (ჯამური აქტივები 1,0 მლრდ ლარი);[1]
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)- 100% წილი (ჯამური აქტივები 33,8 მლნ ლარი);[2]
- სს თელასი - 24.5% წილი.[3]

როგორც ჩანს, საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ ფონდის საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს.

2. საინვესტიციო საქმიანობა - ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისათვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით, მათ შორის, შემდეგ სექტორებში: აგრობიზნესი, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი[4].

აგრობიზნესი: საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და ჯანსაღი ბიზნეს გარემო ხელშემწყობ პირობებს ქმნის მრავალნაირი ხილის, ბოსტნეულის, თხილის მოსაყვანად და გადასამუშავებლად. ევროპასთან სიახლოვე და განვითარებული სატრანსპორტო კავშირები ევროპასა და სხვა რეგიონებთან, ასევე ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ადგილობრივი და რეგიონული მოთხოვნილების ზრდა, საქართველოს მიმზიდველს ხდის როგორც აგრობიზნესის განვითარების, ასევე ექსპორტის თვალ-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა არის დისპეჩერიზაციის ლიცენზიის ექსკლუზიური მფლობელი, რომლის სერვისებით სარგებლობს 50-მდე კომპანია საქართველოში. კომპანია აწარმოებს ტექნიკურ კონტროლს მთლიან ელექტრო სისტემაზე, უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ გააჩნია ელექტროენერგიის ყიდვის ან გაყიდვის უფლება.

[2] ესკოს მთავარი ფუნქციებია: საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა; გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა; საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება; საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

[3] თელასის ძირითადი საქმიანობაა თბილისში ელექტროენერგიის დისტრიბუცია კომუნალური და კომერციული მომხარებლებისთვის. თელასის 75%-ის მფლობელია INTER RAO UES, ხოლო 24.53% არის საპარტნიორო ფონდის მფლობელობაში, დარჩენილი 0.47% ეკუთვნის კერძო პირებს. კომპანია ირიცხება ქართულ ბირჟაზე.

4 საპარტნიორო ფონდი. საინვესტიციო საქმიანობა. ინვესტირების შესაძლებლობები. [ელექტრონული რესურსი]. – http://www.fund.ge/geo/ investment_opportunities/37/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.

საზრისით. სხვა პროდუქტებთან ერთად, საქართველოს გააჩნია კონკურენტუნარიანი წყლის და ენერგო რესურსები. საქართველოს გააჩნია მზარდი ეკონომიკა, ლიბერალური შრომის ბაზარი და დაბალი შრომის დანახარჯები. დაბალი, ფიქსირებული გადასახადები და გამარტივებული საგადასახადო ადმინისტრირება უპირატესად ხელსაყრელია ექსპორტიორებისათვის.

მთლიანობაში, საქართველოს სოფლის მეურნეობას და კერძოდ, კი აგრობიზნესს, გააჩნია საინტერესო, ღირებული და მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობები. საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპის ფონზე იზრდება მოთხოვნა ხარისხიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. იზრდება საქართველოს, როგორც რეგიონული ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა და საქართველო წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბიზნესის წარმოების ხელსაყრელ ადგილს შიდა თუ გარე, მეზობელი ქვეყნების მზარდი მოთხოვნის ზრდის ფონზე. მათ შორის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, რომელთანაც საქართველომ ხელი მოაწერა ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას.

საქართველოში აგრობიზნესის წარმოება ნიშნავს გამარტივებული, ხელსაყრელი და გააზრებული საგადასახადო კანონმდებლობით და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობას, ასევე, მოვების მიღების შედარებით მოკლე ვადებს, მიწის საკუთრების ლიბერალურ მოდელს და მცირე წინასწარი კაპიტალდაბანდების საჭიროებას. განუზომლად დიდია დარგის პოტენციალი წარმოების მასშტაბის ეკონომიის და მოცულობის ხარჯზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ფერმერული საქმიანობის თანამედროვე მეთოდების დანერგვით მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში.

საპარტნიორო ფონდი ეხმარება კომერციულად სიცოცხლისუნარიან და მომგებიან სასოფლო-სამეურნეო პროექტებს. დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ პროექტის განხორციელება შეუძლებელია მხოლოდ კერძო სექტორის ძალისხმევით. პროექტში საპარტნიორო ფონდის მონაწილეობისას გათვალისწინებულია პროექტიდან დროული გამოსვლის პერსპექტივა, პროექტის წინასწარი პირობების ფინანსური მდგრადობა და პროექტის პოზიტიური მულტიპლიკატორის ეფექტის არსებობა. დაინტერესებულ ინვესტორებს, რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნეს იდეები შესაბამისობაშია საპარტნიორო ფონდის პრიორიტეტებთან, შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი ბიზნეს პროექტები. დამატებით, ინვესტორებს შეუძლიათ მომართონ ფონდის კვლევების სამსახურს და გაეცნონ საინტერესო ბიზნეს იდეებს. პრიორიტეტი ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების და წარმოების პროექტებს.

ენერგეტიკა: ბოლო წლებში საქართველოს ენერგეტიკის სექტორმა ძირეული ცვლილებები განიცადა. ელექტროენერგიის იმპორტიორი ქვეყნიდან, საქართველო ექსპორტიორად გადაიქცა. ამჟამად საქართველო საკუთა-

რი ჰიდრო-რესურსების დაახლოებით 20% იყენებს. საკმარისზე მეტია ახალი საწარმოების შექმნის საშუალებები, რაც სულ უფრო მეტად ბევრ ინვესტიციებს იზიდავს. არსებული საკანონმდებლო თუ ტექნიკური რეგულაციები ხელს უწყობს ახალი თაობის სიმძლავრეების განვითარებას და ამცირებს ახალი საწარმოების შექმნასთან დაკავშირებულ რისკებს. საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების სეზონურობისა და მისი კონკურენტუნარიანი ფასის გათვალისწინებით, სექტორი სწრაფად იზრდება, რომ დაკმაყოფილოს ელექტრონერგიაზე მზარდი მოთხოვნაა (როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო) როგორც ქვეყანაში, ისე მთელს რეგიონში.

ჰიდრო-ელექტრო სადგურებში (ჰესი) მზარდი ინვესტიციების წყალობით, ძლიერია საქართველოს ელექტროენერგიის საექსპორტო პოტენციალი. ამასთან, მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წყაროების უზარმაზარი გამოუყენებელი პოტენციალი, ინვესტორზე გათვლილი ბიზნეს-გარემო და სექტორის დაბალი თვითღირებულება. ელექტროენერგიის ექსპორტის ერთერთი მთავარი მიმართულებაა თურქეთი. ტარიფებისა და ელექტროენერგიის მოხმარების საქართველო-თურქეთის ქვეყანათაშორისი სტრუქტურის გათვალისწინებით, ძირითად ელექტროენერგიას საქართველო მოიხმარს ზამთარში, ხოლო თურქეთის მოთხოვნის და შესაბამისად, მოხმარების მაქსიმუმი ზაფხულზე მოდის.

ქვეყანაში არსებობს ენერგო სექტორის განვითარებისა და ზრდის პირობები, როგორიცაა ხელსაყრელი საკანონმდებლო, საგადასახადო და ინსტიტუციური მოწყობა, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების სწრაფად განვითარებადი ინფრასტრუქტურა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყნისთვის და შიდა მოხმარებისთვის, ისე ექსპორტისთვის. მიმდინარეობს ახალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა, მათ შორის თურქეთის მიმართულებითაც, რაც ზრდის ტრანს-სასაზღვრო გადაცემის პოტენციალს და ზრდის ინვესტორთა ინტერესს მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მიმართ საქართველოში.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ინვესტორებთან მიმართებაში საკმაოდ აქტიურია, ორიენტირებულია პრაქტიკული შესაძლებლობების პრეზენტაციისკენ და საჭირო საინვესტიციო მომსახურებისკენ. მთავრობა სიფრთხილით ეკიდება ჰიდრო-ელექტრო სადგურების მშენებლობას ეკოლოგიური შედეგების თვალსაზრისით, ატარებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან და ხაზს უსვამს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის დიალოგი, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა ამ დიალოგში, კონსენსუსის მიღწევისა და შეთანხმებული საქმიანობის საშუალებას იძლევა.

ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კერძოა. საქართველოს რეგიონულ ლოჯსტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევის კონტექსტში, ენერგეტიკული სექტორის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საპარტნიორო ფონდი მზადაა განიხილოს სა-

ხელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის სტრატეგიული ფორმები ელექტროენერგიის გამომუშავების მსხვილმასშტაბიანი ახალი სქემების განხორციელებასთან დაკავშირებით, სადაც სახელმწიფო სექტორის აქტიურმა მუშაობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს კერძო ინვესტორების დაინტერესებას. აქ ყურადღება ექცევა კერძო ინვესტორის გამოცდილებას, ფინანსური პროექტების მდგრადობას, პროექტის სპონსორებისა და დამფინანსებლების მუშაობის ხარისხს, ფონდის პროექტიდან გასვლის (ინვესტიციების უკან გატანის) საიმედო სტრატეგიის არსებობას, კერძო სექტორის წარმომადგენელთა გამოცდილებასა და ნოუ-ჰაუს. საპარტნიორო ფონდი ორიენტირებულია კერძო ინვესტიციების სტიმულირებითა და საინვესტიციო პროექტებში ჩართვით, და არა მისი ჩანაცვლებით.

<u>ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა:</u> ინფრასტრუქტურის პორტფელის მიზანია ხელი შეუწყოს ინფარსტრუქტურული პროექტების განვითარებას. მოხერხებული და გამართული ინფრასტრუქტურა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა და უზრუნველყოფს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის, არამედ ზოგადად, ყველა საზოგადოებრივი მექანიზმის გამართულ მუშაობას. ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირება, ერთი მხრივ, კონკრეტული ინვესტორისთვის თუ სექტორისთვის მომგებიანი ბიზნესია, მეორე მხრივ, ამ ინფრასტრუქტურით სარგებლობა გადამწყვეტი ფაქტორია სხვა დარგების განვითარებისთვის. წარმოუდგენელია საგზაო, სატრანსპორტო, სავაჭრო, საინფორმაციო, კავშირგაბმულობის, ტურისტული, საწარმოო თუ სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის გარეშე ეკონომიკის განვითარება. თავის მხრივ, ინფრასტრუქტურული პროექტები საკმაოდ ბევრ სამუშაო ადგილს ქმნის, შემოაქვს ბევრი ახალი ტექნოლოგია და განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, რო-გორიც საქართველოა. რადგან ბოლო წლებში საქართველო ყალიბდება, რო-გორც რეგიონული სავაჭრო, სატრანსპორტო და ტურისტული ცენტრი.

ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ კერძო ინვესტორების და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, დიდი მოცულობის ინვესტიცია განათავსა ძირითად ინფრასტრუქტურაში. ამ კუთხით საქართველოს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა, რაც გამოიხატება გეოგრაფიულ მდებარეობაში, რასაც ბუნებრივია გამართული ინფრასტრუქტურა უნდა დაემატოს.

საპარტნორო ფონდის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, რომ წარმატებით იქნეს გამოყენებული საქართველოს პოტენციალი. ფონდის მონაწილეობა ინფრასტუქტურულ პროექტებში დამოკიდებულია ამ პროექტების სტრატეგიულ და კომერციულ მხარეზე. საკუთარი მანდატიდან გამომდინარე, ფონდი არ ჩაენაცვლება კერძო სექტორს, პირიქით, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კიდევ უფრო აქტივობას.

წარმოება: საპარტნიორო ფონდის პორტფელში შედის წარმოებასთან დაკავშირებული რამდენიმე საინვესტიციო სქემა. ამასთან, არის სხვა მი-მართულებების განხილვის მზადყოფნაც. მაგალითად, მიმდინარეობს მუშაობა ტანსაცმლის, ნართის და საფეიქრო წარმოების ხელშეწყობის მიზნით. მიმდინარეობს ახალი მიმართულებების ძიება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის, სადაც საქართველოს დიდი გამოცდილება გააჩნია.

პროფესიული ცოდნა, წარსულის გამოცდილება, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ღია და ლიბერალური ვაჭრობა, შედარებით იაფი მუშახელი, მდიდარი ადამიანური რესურსები, გამოცდილება მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, განვითარებული ინფრასტრუქტურა როგორც ქვენის შიგნით, ასევე სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, ინვესტორებისათვის ხელსაყრელი დაბალი გადასახადები, სანდო და შედარებით იაფი კომუნალური მომსახურება (ელექტროენერგია, წყალი და ა.შ.) ამცირებს ბიზნესის წარმოების ხარჯებს და ბიუროკრატიულ ბარიერებს, რაც საქართველოს კონკურენტუნარიანს ხდის როგორც რეგიონში, ისე გლობალურად. წარმოების შესაძლებლობების განვითარება საშუალებას აძლევს საქართველოს მოემსახუროს როგორც შიდა, ისე რეგიონულ ბაზრებს. გარდა ამისა, საქართველო სულ უფრო მიმზიდველი ხდება ოფშორინგის, აუტსორსინგის და დამატებული ღირებულების გლობალური სისტემის მართვის ტენდენციების კონტექსტში. საქართველოს ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, ვაჭრობის ღიაობა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგიონის ქვეყნებთან, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთან, კიდევ უფრო ამაღლებს საქართველოს პოტენციალს, რომ გახდეს რეგიონის გადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრი.

საპარტნიორო ფონდი მზადაა განიხილოს წარმოებასთან დაკავშირებულ პროექტებში ინვესტიციების ჩადების საკითხი, თუ ამ პროექტებს ექნება ჯანსაღი ბიზნეს დინამიკა, იქნება ფინანსურად ეფექტური და შექმნის სამუშაო ადგილებს. ამასთან, ფონდი მოწადინებულია ხელი შეუწყოს კერძო საქმიანობას, ვიდრე ჩაანაცვლოს იგი.

უძრავი ქონება და ტურიზმი: საპარტნიორო ფონდის უძრავი ქონების პორტფელის მიზანია სასტუმროებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ სფეროში დიდი საინვესტიციო შესაძლებლობებია საქართველოს ბუნებრივი, გეორგაფიული და კლიმატური პირობების, ასევე მდიდარი კულტურული მიემკვიდრეობის და ტურიზმის და საკურორტო ინდუსტრიის განვითარების დიდი პოტენციალის გათვალისწინებით. უძრავი ქონების სექტორის განვითარება საქართველოს ტურისტული პოტენციალის სწრაფი განვითარების საფუძველია.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველომ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და განვითარებული ტურისტული ქვეყნის და მთავარი რეგიონული ტურისტული დანიშნულების ადგილის ნიშა დაიკავა, რო-

გორც საზაფხულო, ასევე ზამთრის (სათხილამურო), სამკურნალო, გამაჯანსაღებელი, სპორტული თუ სხვა სახის კურორტების მიმართულებით[1].

საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ურბანულ რეგენერაციაზე, რეგიონულ განვითარებაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის და ურბანული საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაციაზე, ქმნის საქართველოს უძრავ ქონებაში და ტურისტულ ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაბამის პირობებს. დიდია საინვესტიციო შესაძლებლობები (როგორც სრულიად ახალი, გაუკვალავი, ისე უკვე არსებული) როგორც დედაქალაქ თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში.

მთავრობის მნიშვნელოვანი ინვესტიციები სახელმწიფო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების ჩადებას უძრავ ქონებასა და ურბანულ განახლებაში, მათ შორის სასტუმრო ბიზნესში და უძრავი ქონების ინფრასტრუქტურაში, საზღვაო, სათხილამურო კურორტებთან, საღონისძიებო ტურზმთან, ეკო-ტურიზმთან, სათავგადასავლო ტურიზმთან, სასოფლო, მეღვინეობის და კულინარულ ტურიზმთან და სხვა ტიპის ტურიზმთან მიმართებაში.

საქართველო სწრაფად ხდება რეგიონალური ეკონომიკის ცენტრი, რომელიც რეგიონულ დონეზე ბიზნესის წარმოების პლატფორმას წარმოადგენს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საღონისძიებო ტურიზმის მნიშვნელობას და, თავის მხრივ, სასტუმროებისა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობას წარმოშობს. ინვესტიციების მოზიდვისა და ტურიზმის პოპულარიზაციისათვის მთავრობის აქტიური და მრავალმხრივი ძალისხმევის შედეგად სასტუმროს და უძრავი ქონების სეგმენტები სწრაფად იზრდება და მრავალმხრივ კერძო საინვესტიციო შესაძლებლობას შეიცავს.

საპარტნიორო ფონდის ჩართულობა სასტუმრო და უძრავი ქონების ინფრასტრუქტურაში შემოიფარგლება კომერციულად სიცოცხლისუნარიანი სქემებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ რეგიონულ განვითარებასა და დასაქმებას. გამოცდილი კერძო პარტნიორის არსებობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ფონდი, საკუთარი მანდატიდან გამომდინარე, არ ჩაენაცვლება კერძო სექტორს ამ სეგმენტებში[2].

საინვესტიციო პროექტის იდეის გენერირება და ინიცირება შესაძლებელია მოხდეს: 1. კერძო ინვესტორის ინიციატივის საფუძველზე, ან 2. ფონდის ინიციატივით. 1-ელ შემთხვევაში ინვესტორი წარმოადგენს პროექტს,

---

[1] ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა. მაგალითად, 2012 წელს ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 4.4 მლნ, ხოლო 2013 წელს 5.4 მლნ შეადგინა.

[2] *პროექტები:* სასტუმრო „როიალ ბატონი" ყვარელში (დასრულებული), სასტუმრო „Gino Wellness Spa" ახალციხეში (დასრულებული), სასტუმრო „რედისონი" წინანდალში (მიმდინარე), სასტუმრო „Rixos Borjomi" და მინერალური წყლების კურორტი ლიკანში (მიმდინარე), დასასვენებელი კომპლექსი საირმეში (მიმდინარე).

რომელსაც ფონდი განიხილავს, ხოლო მე-2 შემთხვევაში ფონდი თავად ეძებს კერძო ინვესტორს კონკრეტული პროექტისთვის, წინასწარ განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის საფუძველზე. დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალიზებული ოპერატორები მართავენ.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო- და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე Brownfield (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში) პროექტებში, წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით. ფონდი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისათვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი) სესხების მეშვეობით.

ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.

ფონდი აფინანსებს კერძო ინვესტორებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

⇒ საპარტნიორო ფონდს შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, ყველა სექტორში, მომსახურების სფეროს გარდა;

⇒ ფონდი ახორციელებს ინვესტიციებს მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტებში;

⇒ ფონდი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კაპიტალში და ასევე გასცეს სუბორდინირებული/უპირატესი სესხები (both convertible and non-convertible);

⇒ ფონდის მონაწილეობა პროექტში, იქნება ეს კაპიტალისა თუ სესხის სახით, არ უნდა აღემატებოდეს კერძო ინვესტორის წილს;

⇒ ფონდის მიზანია მიიღოს მონაწილეობა პროექტებში უმცირესი თანამონაწილის სახით, საშუალო- ან გრძელვადიანი პერსპექტივით.

პროექტების შერჩევა ხდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

➢ პარტნიორს უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი კაპიტალის სახით, პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად;

➢ წარმოდგენილი უნდა იყო პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება (ბაზრის კვლევა);

➢ ფონდის წილი არ უნდა იყოს მთლიანი ინვესტიციის 50%-ზე მეტი;

➢ პროექტიდან ფონდის გასვლა უნდა იყოს შესაძლებელი 3-7 წლის განმავლობაში.

ფონდის მთავარი სპეციფიკა და უმთავრესი პრიორიტეტი ისაა, რომ სწორად გათვლილი და თანმიმდევრულად განხორციელებული ინვესტირების შედეგად პროექტების წარმატებულად ამუშავება შეუქცევად პროცესად იქცეს და, უკვე პროექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების პარალელურად, ფონდის მთავარი ამოცანა ხდება პროექტიდან გასვლა და პარტნიორთან ერთად ისეთი ინვესტორის მოძებნა, რომელიც პროექტის შემდგომი წარმატებითა და განვითარებით იქნება დაინტერესებული.

ასეთი ორი მაგალითი უკვე სახეზეა, კერძოდ, თანამედროვე სასტუმრო-ინფრასტრუქტურული კომპლექსი „ჯინოველნესი“ ახალციხეში და სასტუმრო-ინფრასტრუქტურული კომპლექსი „როიალბატონი“ ყვარელში. ახალციხეში Eurocom Investment Georgia-სთან ერთად განხორციელებულ სასტუმრო-ინფრასტრუქტურულ პროექტში ფონდს ჩაესაცვლა სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი, ხოლო ყვარელში, ილიას ტბის მიმდებარედ განხორციელებულ ასევე სასტუმრო-ინფრასტრუქტურულ პროექტში - ქართული საფინანსო ინსტიტუტი, კერძოდ, „თიბისი ბანკი“.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საპარტნიორო ფონდი ჩინურ CEFC-თან ერთად საქართველოს აღმშენებლობის ნაციონალურ ფონდს ქმნის, – ერთობლივი ფონდის შექმნის შესახებ ხელშეკრულება მხარეებმა უკვე გააფორმეს. ფონდის საწესდებო კაპიტალი 50 მლნ დოლარია. „საქართველოს აღმშენებლობის ნაციონალური ფონდი“ ბიზნეს პროექტების განსახორციელებლად ქვეყანაში ახალ საინვესტიციო პლატფორმას და მყარ ფინანსურ ინსტრუმენტს გააჩენს. ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ინდუსტრია, ტურიზმი და სხვა, - ეს არის ის სფეროები, რაშიც ახლად შექმნილი ფონდი ფულს დააბანდებს.

საკონტროლო კითხვები

1. განსაზღვრეთ სახელმწიფო სპეციალური ფონდების არსი და დანიშნულება.
2. დაასახელეთ სახელმწიფო სპეციალური ფონდების თავისებურებები და უპირატესობანი.
3. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სახელმწიფო სპეციალური ფონდების ფორმირების გზები და მათი შემოსავლების მობილიზაციის მეთოდები.
4. დაახასიათეთ სახელმწიფო სპეციალური ფონდების ურთიერთკავშირები საფინანსო სისტემის სხვა რგოლებთან.
5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ განვითარებულ ქვეყნებში არსებული სახელმწიფო სპეციალური ფონდები მიზნობრივი გამოყენების პოზიციიდან.
6. დაასახელეთ ბოლო პერიოდში წარმოშობილი ყველაზე მსხვილი სუვერენული საინვესტიციო ფონდები.

7. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სუვერენული საინვესტიციო ფონდების ხუთი ძირითადი ფუნქციონალური ფორმა.
8. გაანალიზეთ სახელმწიფო სპეციალური ფონდების ისტორიული გამოცდილება საქართველოში 1990-2004 წლებში.
9. დაასახელეთ თანამედროვე საქართველოში ფუნქციონირებადი სახელმწიფო სპეციალური ფონდები, განსაზღვრეთ მათი შექმნის მიზეზები.
10.დაახასიათეთ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვალდებულებები და უფლებები.
11.დაახასიათეთ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სტრუქტურა და მართვა.
12.დაახასიათეთ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური რესურსები და მათი გამოყენება.
13.დაახასიათეთ სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდის მიზნები, სახსრები და დაფინანსების წყაროები.
14.დაახასიათეთ სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდის მმართველობის სტრუქტურა და აქტივების მართვა.
15.დაახასიათეთ სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო საქმიანობა.
16. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
	1. სუვერენული საინვესტიციო ფონდი	ა. გათვალისწინებულია მოსახლეობის სოციალური მომსახურებისათვის;
—	2. სტაბილიზაციის ფონდები	ბ. მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების ერთ-ერთი მეთოდია;
—	3. საშემნახველო ფონდები	გ. სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული ფონდის საკონსულტაციო ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა პროექტის ეფექტიანობისა და მდგრადობის შეფასება, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენა;
—	4. სპეციალიზებული კორპორაციები	დ. პროექტს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში იქნება მინიმუმ 5 მლნ ლარი, ხოლო სხვა სფეროებში - მინიმუმ 30 მლნ ლარი, თუკი ფონდის სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს;

—	5. განვითარების ფონდები	ე. პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა დონორებისაგან მიღებული და ძირითადი და საპროცენტო თანხების სახით ფონდის სესხებიდან ამონაგები სახსრების მართვისათვის;
—	6. მუნიციპალური განვითარების ფონდი	ვ. დანიშნულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად;
—	7. სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდი	ზ. პასუხისმგებელი არიან ოქრო-სავალუტო რეზერვის მართვასა და მათი დაბანდებების გზით საბაზრო ინსტრუმენტებად გადაქცევაზე;
—	8. საინვესტიციო საბჭო	თ.მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის მოპოვებითი მრეწველობის აქტივების კონვერტირება, უფრო მეტად დივერსიფიცირებული აქტივებით;
—	9. სახელმწიფო სპეციალური ფონდები	ი.დანიშნულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიდან გამოყოფილი განსაზღვრული სახსრებით ქვეყნიდან გატანილ ნედლეულსა და რესურსებზე (ნავთობის გარდა) მსოფლიოში არსებული ფასების რყევებისაგან მის დასაცავად;
—	10. სოციალური ფონდები	კ. წარმოადგენს შედარებით ახალ ორგანიზაციულ ტიპს, რომელიც მოიცავს საკუთრების კერძო და სახელმწიფოებრივ ფორმას და საქმიანობს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, გარკვეული შეზღუდვებით.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. სახელმწიფო სპეციალური ფონდები არის მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ:
   - ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) წარმოების მეთოდი;
   - ეროვნული ეკონომიკის ზრდის სტიმულირების მეთოდი;
   - ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების მეთოდი;
   - ეროვნული სიმდიდრის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის მეთოდი.

2. სახელმწიფო სპეციალური ფონდების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:
   - სტაბილური ეკონომიკის პირობებში;
   - ეკონომიკური ციკლის ბუმის ფაზაში;
   - არასტაბილური ეკონომიკის პირობებში;
   - ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის.
3. სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავლების მობილიზაციის მეთოდებს არ განეკუთვნება:
   - სპეციალური გადასახადები და მოსაკრებლები;
   - სესხები;
   - სუბსიდიების სახით გადაცემული საბიუჯეტო სახსრები;
   - ვალის ამორტიზაცია.
4. სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფო სპეციალური ფონდები იყოფა:
   - სახელმწიფო და ადგილობრივ ფონდებად;
   - ეკონომიკურ და საკრედიტო ფონდებად;
   - პირადი და ქონებრივი დაზღვევის ფონდებად;
   - სოციალურ და სამეცნიერო-კვლევით ფონდებად.
5. სოციალური ფონდების ძირითად წყაროებს არ განეკუთვნება:
   - დაზღვეულ მოქალაქეთა სადაზღვევო შენატანები;
   - სახელმწიფო სუბსიდიები;
   - მეწარმეთა სადაზღვევო შენატანები;
   - დამატებული ღირებულების გადასახადი.
6. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმთავრეს მიზნებში არ შედის:
   - ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობის დაძლევა;
   - სახელმწიფოთა შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა რეგულირება;
   - ფონდის წევრი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა;
   - მუდმივმოქმედი მექანიზმის გამოყენებით, საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობისა და საგარეო ვაჭრობის გაფართოების ხელშეწყობა.
7. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდი სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიად გადაკეთდა:
   - 1995 წლის იანვარში;
   - 1996 წლის თებერვალში;
   - 1997 წლის მარტში;
   - 1998 წლის აპრილში.
8. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდად გადაკეთდა:
   - 2000 წლის 31 დეკემბერს;
   - 2001 წლის 31 იანვარს;
   - 2002 წლის 31 დეკემბერს;
   - 2003 წლის 31 იანვარს.
9. საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სამსახური საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გაერთიანდა:
   - 2001 წელს;
   - 2002 წელს;

- 2003 წელს;
- 2004 წელს.

10. საქართველოში სახელმწიფო სპეციალური ფონდები ფუნქციონირებდა:
    - 2004 წლის 31 დეკემბრამდე;
    - 2005 წლის 1 იანვრამდე;
    - 2005 წლის 31 დეკემბრამდე;
    - 2006 წლის 1 იანვრამდე.
11. სუვერენული საინვესტიციო ფონდების წარმოშობა იწყება:
    - 2008 წლის აგვისტოდან;
    - 2007 წლის აგვისტოდან;
    - 1944 წლიდან;
    - მე-20 საუკუნის 50-60-იანი წლებიდან.
12. სუვერენული საინვესტიციო ფონდები ახორციელებენ ოპერაციებს:
    - საფინანსო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრებით;
    - საკრედიტო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრებით და კონტროლდებიან მათ მიერ;
    - საბიუჯეტო სახსრებით და კონტროლდებიან ამ სახელმწიფოების მთავრობების მიერ;
    - სადაზღვევო კომპანიებიდან და კონტროლდებიან ამ კომპანიების მიერ.
13. სუვერენული საინვესტიციო ფონდები იქმნება ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან:
    - საგადასახდელო ბალანსის პერიოდულ თუ ქრონიკულ დეფიციტს და, შესაბამისად, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს;
    - საგადასახდელო ბალანსის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს;
    - ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს;
    - საგადასახდელო ბალანსის პროფიციტს, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს.
14. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი დაფუძნდა:
    - 1995 წელს;
    - 1997 წელს;
    - 2001 წელს;
    - 2003 წელს.
15. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვალდებულებებში არ შედის:
    - ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
    - ტექნიკური დახმარების პროგრამების კოორდინირება სხვა დონორებთან;
    - სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა;
    - განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილის/აქციების განკარგვა.
16. სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდის მიზნებს არ მიეკუთვნება:
    - მოგების მიღება და ფინანსური აქტივების ღირებულების გაზრდა;

- შეფერხებული პროექტების დასრულებისათვის ხელის შეწყობა და ახალი პროექტების შემუშავება ან/და დაფინანსება;
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია;
- განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილის/ აქციების განკარგვა.

17. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეიტინგი „BB" მინიჭებული აქვს:
    - სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდს;
    - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს;
    - საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ფონდს;
    - საქართველოს სოლიდარობის ფონდს.
18. იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტში მონაწილეობის მსურველმა ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია საინვესტიციო თანხის მინიმუმ 10%-ის ოდენობით, საქმე გვაქვს:
    - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან;
    - სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდთან;
    - საქართველოს სოლიდარობის ფონდთან;
    - საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდთან.
19. სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში არ შედის:
    - პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
    - დამტკიცებული პროექტის მართვის მონიტორინგის განხორციელება;
    - დამტკიცებული პროექტების მართვა;
    - საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ფონდის საკუთრებაში არსებული წილის/აქციების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
20. საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში არ შედის:
    - ბიუჯეტის ათვისებისა და საქმიანობის შესახებ წარდგენილი ანგარიშის განხილვა;
    - ფინანსური და სხვა სახის ანგარიშების მოსმენა;
    - ფონდის ზოგადი სტრატეგიისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
    - გადაწყვეტილებების მიღება კონკრეტული შემთხვევების დაფინანსების შესახებ.
21. მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების ერთ-ერთი მეთოდია:
    - ფინანსური აქტივები;
    - სახელმწიფო კრედიტი;
    - არაფინანსური აქტივები;
    - სახელმწიფო სპეციალური ფონდები.
22. სახელმწიფო სპეციალური ფონდების თავისებურებებს და უპირატესობებს არ მიეკუთვნება:
    - სახელმწიფოს უჩნდება დამატებითი სახსრები სამეურნეო საქმიანობაში ჩარევისა და წარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის;

- არასაბიუჯეტო ფონდების მკაცრი მიზნობრივი ხასიათი მათ გამოყენებაზე ეფექტიან კონტროლს უზრუნველყოფს;
- სამართლიანი განაწილების წესის დამკვიდრება;
- შესაძლებელია ფონდების დადებითი სალდოს არსებობის პირობებში ნამეტი სახსრების გამოყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად.

23. ეკონომიკურ, საკრედიტო, სოციალურ, სამეცნიერო-კვლევით, პირადი და ქონებრივი დაზღვევის, სამხედრო პოლიტიკური და სახელმწიფოთაშორისო ფონდებად სახელმწიფო სპეციალური ფონდები იყოფა:
   - მიზნობრივი გამოყენების პოზიციიდან;
   - ეკონომიკური გამოყენების პოზიციიდან;
   - სოციალური გამოყენების პოზიციიდან;
   - ტექნოლოგიური გამოყენების პოზიციიდან.
24. საკრედიტო ფონდებით სარგებლობის უფლება იმ საწარმოებსა და ფირმებს აქვთ:
   - რომელთა საქმიანობა უშუალოდ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარებასთანაა დაკავშირებული;
   - რომელთა მიზანი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობაა;
   - რომლებიც ორიენტირებული არიან მოსახლეობის სოციალურ მომსახურებაზე;
   - რომლებიც სახელმწიფო შეკვეთებით მუშაობენ.
25. ეკონომიკური ფონდების მიზანს შეადგენს:
   - ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;
   - სახელმწიფო შეკვეთებით მუშაობა;
   - სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარება;
   - მოსახლეობის სოციალურ მომსახურება.
26. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მთავრობების გარანტიით გასცემს გრძელვადიან კრედიტ-ებს (20 წლის ვადით) საწარმოო სიმძლავრეების გაფართოების დასაფინანსებლად:
   - რეკონსტრუქციისადა განვითარების მსოფლიო ბანკი;
   - საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
   - აზიის განვითარების ბანკი;
   - ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.
27. სტაბილიზაციის ფონდებს დანიშნულებაა:
   - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიდან გამოყოფილი განსაზღვრული სახსრებით ქვეყნიდან გატანილ ნედლეულსა და რესურსებზე (ნავთობის გარდა) მსოფლიოში არსებული ფასების რყევებისაგან მისი დაცვა;
   - ოქრო-სავალუტო რეზერვის მართვა და მათი დაბანდებების გზით საბაზრო ინსტრუმენტებად გადაქცევა;
   - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსება;
   - ქვეყნის მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფა.
28. საშემნახველო ფონდებს დანიშნულებაა:
   - ქვეყნის მოპოვებითი მრეწველობის აქტივების კონვერტირების უზრუნველყოფა უფრო მეტად დივერსიფიცირებული აქტივებით;

- ოქრო-სავალუტო რეზერვის მართვა და მათი დაბანდებების გზით საბაზრო ინსტრუმენტებად გადაქცევა;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსება;
- ქვეყნის მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფა.

29. **განვითარების ფონდებს დანიშნულებაა:**
    - ქვეყნის მოპოვებითი მრეწველობის აქტივების კონვერტირების უზრუნველყოფა უფრო მეტად დივერსიფიცირებული აქტივებით;
    - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსება;
    - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსება;
    - ქვეყნის მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფა.
30. **სპეციალიზებული კორპორაციების დანიშნულებაა:**
    - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიდან გამოყოფილი განსაზღვრული სახსრებით ქვეყნიდან გატანილ ნედლეულსა და რესურსებზე მსოფლიოში არსებული ფასების რყევებისაგან მისი დაცვა;
    - ოქრო-სავალუტო რეზერვის მართვა და მათი დაბანდებების გზით საბაზრო ინსტრუმენტებად გადაქცევა;
    - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსება;
    - ქვეყნის მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფა.

თემა 12

საჯარო ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია

„ეგვიპტელებმა, 4000 წელს ჩვენს ერამდე, აღიარეს დაგეგმვის, ორგანიზაციისა და კონტროლის აუცილებლობა“.
ბ. კარლოფი

გეგმა:

12.1. ფინანსური კონტროლის არსი, მიზანი და ამოცანები;
12.2. ფინანსური კონტროლის სახეები, ფორმები და მეთოდები;
12.3. საჯარო ფინანსური კონტროლის ორგანოები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში;
12.4. საჯარო ფინანსური კონტროლის განხორციელების თავისებურებანი საქართველოში;

- საკონტროლო კითხვები;
- ტესტები თვითშემოწმებისათვის.

12.1. ფინანსური კონტროლის არსი, მიზანი და ამოცანები

ზოგადად, „კონტროლი“ წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან და ნიშნავს ზედამხედველობას და მეთვალყურეობის გაწევას, შემოწმების მიზნით. სპეციალურ ლიტერატურაში ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვით გამოიყენება ტერმინები „აუდიტი“ და „რევიზია“, მაგრამ მათ შორის არსებობს როგორც შინაარსობრივი, ასევე ტერმინოლოგიური განსხვავება. ეკონომიკურ ლექსიკონში აღნიშნული ტერმინები განმარტებულია შემდეგნაირად:

კონტროლი - (ფრანგული controle „შემოწმება“) ეკონომიკური ობიექტისა და პროცესების მართვის შემადგენელი ნაწილია, რაც მდგომარეობს ობიექტების დაკვირვებაში, იმ მიზნით, რომ შემოწმდეს თუ რამდენად შეესაბამება ობიექტის მდგომარეობა სასურველ და აუცილებელ მდგომარეობას, რაც გათვალისწინებულია კანონებით, ნორმატიული საკანონმდებლო აქტებით, გეგმებით, ინსტრუქციებით, დებულებებით, დადგენილებებით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

განმარტებიდან გამომდინარე, კონტროლის სფერო ვრცელია და მოიცავს სახელმწიფო, სამეურნეო-ეკონომიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა მხარეს.

სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსური კონტროლი, ანუ სამართლებ-

რივი ნორმებით დადგენილი, საჯარო ორგანოების მიერ განხორციელებული საკონტროლო ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია საჯარო ფინანსების სფეროში დაკანონებული ნორმების დაცვის უზრუნველყოფასა და მონიტორინგზე.

ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და ყველა დონის აღმასრულებელი ორგანოების, აგრეთვე სპეციალურად შექმნილი დაწესებულებების მიერ ყველა ეკონომიკური სუბიექტის ფინანსურ საქმიანობაზე სპეციალური მეთოდების გამოყენებით განხორციელებული კონტროლი. იგი მოიცავს როგორც ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების პროცესების, ასევე სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების ეკონომიკური ეფექტიანობისა და საწარმოო ხარჯების მიზანშეწონილობის კონტროლს.

ფინანსური კონტროლი ღირებულების მოძრაობის კონტროლია. ამიტომ, სხვა სახის კონტროლისაგან განსხვავებით, იგი მოიცავს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროს, ფულადი ფონდების მოძრაობის მთელ პროცესს[1]. ფინანსური კონტროლი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ფინანსების მართვის ერთ-ერთ დამამთავრებელ სტადიას, ხოლო მეორე მხრივ, იგი გვევლინება ფინანსების ეფექტიანი მართვის აუცილებელ პირობად.

ფინანსური კონტროლი ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების ფორმაა. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ფინანსური კონტროლის დანიშნულებასა და შინაარსს.

ფინანსური კონტროლი ხორციელდება ყველა სახის (შრომითი, მატერიალური და ფინანსური) რესურსების ხარჯვაზე. იგი იძლევა გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის, ხარჯვის დაწესებული ნორმების დაცვის მდგომარეობის გარკვევის საშუალებას.

ფინანსური კონტროლი დამახასიათებელია როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის, მაგრამ თითოეულ მათგანს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს. კერძოდ:

- *მატერიალური წარმოების სფეროში* კონტროლის მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს საწარმოო ფონდების (ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების) წრებრუნვის ეფექტიანობა; გამოვლინდეს პროდუქციაზე დანახარჯების (თვითღირებულების) შემცირების, არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრისა და მოგების (შემოსავლის) გადიდების შესაძლებლობანი; უზრუნველიყოს მოგების (შემოსავლის) რაციონალური განაწილება და გამოყენება;

---

[1] უფრო ვრცლად იხ.: კაკულია რ. ფინანსების თეორია. - თბ., 2012, გვ. 374-390; Финансы: Учебник / Под ред. А.Г. Грязновой, Е.В. Маркиной. -М.: Финансы и статистика, 2004. - С.139-168; Финансы: Учебник / А. С. Нешитой, Я. М. Воскобойников. 10-е изд. - М.: Издательско торговая корпорация „Дашков и К", 2012. – С.122-143.

- *არამატერიალური წარმოების სფეროში* კონტროლის დანიშნულებაა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენების მიღწევა, გაწეული ხარჯების მიზნობრიობის შემოწმება და ა.შ.

თანამედროვე პირობებში *ფინანსური კონტროლის ძირითად ამოცანებად* მიჩნეულია:

- საფინანსო სისტემის ყველა რგოლში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კანონიერების შემოწმება;
- სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდროულობის დადგენა;
- სახელმწიფო სახსრების ხარჯვის სისწორის, კანონიერებისა და ეფექტიანობის შემოწმება;
- აღრიცხვა-ანგარიშგების კანონების დაცვის შემოწმება.

ფინანსურ ლიტერატურასა და სამეურნეო პრაქტიკაში ფინანსური კონტროლი განიხილება სამი თვალსაზრისით: 1. სახელმწიფო ფინანსური კონტროლი; 2. სახელმწიფოს მხრიდან არასახელმწიფო სფეროს ფინანსური კონტროლი; 3. ორგანიზაციათა საქმიანობაზე ფინანსური კონტროლი.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მიზანია სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ყველა დონის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების შემუშავების, დამტკიცებისა და აღსრულების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების, სახელმწიფო ბანკებისა და ფინანსური კორპორაციების ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლში.

სახელმწიფოს მხრიდან არასახელმწიფო სფეროს ფინანსური კონტროლი მოიცავს სახელმწიფოს წინაშე მათი მხოლოდ ფულადი ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, ეს არის: გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების სფეროში კანონმდებლობის დაცვა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე გამოყოფილი სუბსიდიებისა და კრედიტების ხარჯვის მიზანშეწონილობა; აგრეთვე ფულადი სახსრების მოძრაობის, აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესების დაცვა.

ორგანიზაციათა საქმიანობაზე ფინანსური კონტროლი მოიცავს შიდა კონტროლს, აგრეთვე აქციონერებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ კონტროლს. კერძოდ, იგი მოიცავს: საკუთარი, ნასესხები და მოზიდული ფულადი სახსრების გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შემოწმებას; ფაქტიური ფინანსური შედეგების ანალიზსა და მის პროგნოზულ დონეებთან შედარებას; საინვესტიციო პროექტების შედეგების ფინანსურ შემოწმებას; ფინანსური ანგარიშების სისწორისა და უტყუარობის შემოწმებას; ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდურობის კონტროლს.

12.2. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სახეები, ფორმები და მეთოდები

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სახეები, მისი ორგანიზაციის კონკრეტული ფორმები და მეთოდები განსაზღვრულია ფინანსებისათვის დამახასიათებელი საკონტროლო ფუნქციის პრაქტიკული რეალიზაციით.

იმის გამო, რომ სახელმწიფოს საფინანსო სისტემა მოიცავს ყველა დონის ფულადი ფონდების ფორმირების პროცესებს, ფინანსური კონტროლი წარმოადგენს მრავალდონიან და მრავალმიმართულებიან მოვლენას. მან უნდა უზრუნველყოს როგორც სახელმწიფოსა და მისი ორგანიზაციების, ასევე ყველა მეურნე სუბიექტის ინტერესებისა და უფლებების რეალიზაცია.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის კლასიფიცირებას ახდენენ სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, სახელდობრ:

- *ჩატარების ვადების მიხედვით:*
  - წინასწარი კონტროლი;
  - მიმდინარე (ოპერატიული) კონტროლი;
  - შემდგომი (დასკვნითი) კონტროლი.
- *კონტროლის სუბიექტების მიხედვით:*
  - საპრეზიდენტო კონტროლი;
  - ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლი;
  - ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების კონტროლი;
  - უწყებრივი კონტროლი.
- *საფინანსო საქმიანობის სფეროს მიხედვით:*
  - საბიუჯეტო კონტროლი;
  - საგადასახადო კონტროლი;
  - სავალუტო კონტროლი;
  - საკრედიტო კონტროლი;
  - სადაზღვევო კონტროლი;
  - საინვესტიციო კონტროლი;
  - ფულად მასაზე კონტროლი.
- *ჩატარების მეთოდების მიხედვით:*
  - შემოწმება;
  - გამოკვლევა;
  - ზედამხედველობა;
  - ფინანსური საქმიანობის ანალიზი;
  - დაკვირვება (მონიტორინგი);
  - რევიზია;
  - აუდიტი.

განვიხილოთ *სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ძირითადი სახეები და ჩატარების მეთოდები.*

წინასწარი ფინანსური კონტროლი ხორციელდება საფინანსო ოპერაციების განხორციელებამდე და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსალოდნელი ფინანსური დარღვევების პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის. იგი იძლევა ეკონომიკის ცალკეული სფეროებისა და მიმართულებების განვითარების პროგრამებისა და პროგნოზების ფინანსური უზრუნველყოფის შეფასების საშუალებას, სახსრების არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით[1].

მიმდინარე ანუ ოპერატიული ფინანსური კონტროლი ხორციელდება ფულადი გარიგებების, სესხებისა და სუბსიდიების გაცემის, საფინანსო, საკრედიტო და ა.შ. ოპერაციების განხორციელების მომენტში. იგი მიმდინარე პერიოდში სახსრების მიღებისა და გახარჯვისას შესაძლო დარღვევების საფრთხის გამოვლენის საშუალებას იძლევა, ხელს უწყობს საფინანსო დისციპლინის დაცვასა და საფინანსო-ფულადი ანგარიშსწორებების თავისდროულ განხორციელებას. ამ მნიშვნელოვან როლს საბუღალტრო სამსახურები ასრულებენ.

შემდგომი ანუ დასკვნითი ფინანსური კონტროლი განკუთვნილია ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური საქმიანობის შედეგების შესაფასებლად, რეალიზებული საფინანსო გეგმებისა და პროგნოზების, ფინანსური სტრატეგიის შედეგების ეფექტიანობის შესაფასებლად და ა.შ. ასეთი კონტროლი ხორციელდება საფინანსო ანგარიშგებისა და ბუღალტრული დოკუმენტაციის ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით. მაგალითად, საგადასახადო შემოწმება, საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა შემოსავლების სამსახურში და ა.შ. შემდგომი კონტროლის სტადიაზე ვლინდება ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომელიც დაშვებული იყო წინასწარი და მიმდინარე კონტროლის ეტაპებზე. შემდგომი კონტროლის მიზანია შესაძლო ცდომილებების და უწესრიგობების გამოვლენა. ამდენად, იგი ირიბი პრევენციული კონტროლის მექანიზმია.

შემოწმება გულისხმობს ანგარიშგებითი დოკუმენტების საფუძველზე ფინანსური საქმიანობის ცალკეული საკითხების გაცნობას, განხილვას და აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების დასახვას.

---

[1] მაკროდონეზე ასეთი კონტროლის მაგალითს ყველა დონის ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო ფონდების შედგენისა და დამტკიცების პროცესში მშპ-ის განაწილებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაბუთებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინება წარმოადგენს. მიკროდონეზე - ეს არის ფინანსური გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების, კრედიტებისა და სკასო განაცხადების დამუშავება-დასაბუთებების პროცესი, აგრეთვე ბიზნეს-გეგმების ფინანსური განყოფილებების, საპროგნოზო ბალანსების, სადამფუძნებლო და სხვა საქმიანობებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პროცესი.

გამოკვლევა, შემოწმებისაგან განსხვავებით, მოიცავს ეკონომიკური სუბიექტების საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების უფრო ფართო სპექტრს, მათი ფაქტიური საფინანსო მდგომარეობის განვითარების შესაძლო პერსპექტივების შესაფასებლად.

ზედამხედველობა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ იმ ეკონომიკურ სუბიექტებზე ხორციელდება, რომელთაც მიღებული აქვთ ლიცენზია ამა თუ იმ ფინანსური საქმიანობის განხორციელებაზე და ითვალისწინებს მათ მიერ დადგენილი წესებისა და ნორმატივების დაცვის შემოწმებას. მაგალითად: ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობა; სახელმწიფო სადაზღვევო ზედამხედველობა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაზე და ა.შ. ზედამხედველობის გარეშე შესაძლოა სათანადო ნორმატივების დაუცველობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს გაკოტრების რისკის ზრდას, კოლექტივის ინტერესების შელახვას და, შესაძლოა, ლიცენზიის გამოთხოვაც კი გამოიწვიოს.

საფინანსო საქმიანობის ანალიზი ითვალისწინებს პერიოდული და წლიური საფინანსო ბუღალტრული ანგარიშგების დეტალურ შესწავლას, ხოლო მიზანი ფინანსური საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობის, საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის შეფასებაა.

დაკვირვება ანუ მონიტორინგი საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან გაცემული სესხების გამოყენებასა და კლიენტი-საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მუდმივი კონტროლის პროცესს წარმოადგენს. მიღებული სესხების არაეფექტიანმა გამოყენებამ და გადახდისუნარიანობის დაქვეითებამ შესაძლოა დაკრედიტების პირობების გამკაცრება და სესხების ვადაზე ადრე დაბრუნების მოთხოვნა გამოიწვიოს.

რევიზია ფინანსური კონტროლის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი მეთოდია. იგი გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მთლიან გამოკვლევას მისი კანონიერების, სისწორის, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შემოწმების მიზნით. რევიზია შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი; კომპლექსური და თემატური; გეგმური და არაგეგმური; დოკუმენტური და ფაქტიური.

რევიზია ტარდება მმართველობითი ორგანოების მიერ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ. რევიზიის შედეგები ფორმდება აქტით, რომლის საფუძველზე ტარდება ღონისძიებები გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დამნაშავეთა პასუხისგებაში გადასაცემად.

რევიზიასთან ერთად, შემდგომი კონტროლის მნიშვნელოვან ფორმას ასევე წარმოადგენს *აუდიტი*. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტს ბევრი საერ-

თო აქვს რევიზიასთან, იმავდროულად მათ შორის არსებობს პრინციპულად განსხვავებული მომენტებიც. კერძოდ:

მმართველობითი კავშირების მიხედვით:

- აუდიტი ორიენტირებულია *ჰორიზონტალურ* კავშირებზე, რითაც თანასწორუფლებიანია კლიენტთან დამოკიდებულებაში;
- რევიზია ორიენტირებულია *ვერტიკალურ* კავშირებზე და ადმინისტრირებულია ზემდგომი ორგანოს მხრიდან[1].

შემოწმების მიზნებიდან გამომდინარე:

- აუდიტმა უნდა გამოხატოს აზრი ფინანსური ანგარიშგების საიმედობის და სამართლიანობის შესახებ, გაუწიოს დახმარება და მომსახურება კლიენტს;
- რევიზიამ უნდა გამოავლინოს ნაკლოვანებები მათი შემდგომი აღმოფხვრის მიზნით.

შემოწმება,როგორც საქმიანობის სახე:

- აუდიტი არის სამეწარმეო საქმიანობა;
- რევიზია არის საშემსრულებლო საქმიანობა.

პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით:

- აუდიტი მიმართულია კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;
- რევიზია მიმართულია აქტივების შენარჩუნების, დანაშაულის აღკვეთისა და პროფილაქტიკისაკენ.

შედეგების ფორმის მიხედვით:

- აუდიტი სრულდება „აუდიტორული დასკვნის“ შედეგით, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს ყველა მომხმარებლისათვის. დასკვ-

---

[1] აუდიტორული ფირმა არის საწარმო, რომლის ერთადერთი მიზანია აუდიტორული საქმიანობა და „აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტორსა (აუდიტორულ ფირმასა) და დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურებადი მომსახურების გაწევას“. ამ ურთიერთობაში აუდიტორი გამოდის შემსრულებლის, ხოლო აუდირებული სუბიექტი კი დამკვეთის სტატუსით. ისინი გარიგების თანასწორუფლებიანი მონაწილენი არიან და წარმოადგენენ ურთიერთდამოუკიდებელ მხარეებს თავისუფალი არჩევანის უფლებით. მათ შორის ყალიბდება *ჰორიზონტალური* დამოკიდებულება „შემმოწმებელი - შემოწმებული“. რევიზია ინიშნება მართვის ორგანოების (აქციონერთა კრება, მონაწილეთა კრება და ა.შ.) ან ხელმძღვანელი პირის მიერ. რევიზიის ჩატარებაზე გაიცემა განკარგულებითი დოკუმენტი ბრძანება, განკარგულება, აქციონერთა კრების ოქმი და ა.შ. შესაბამისად, რევიზიის მიზანი ყალიბდება განკარგულებითი დოკუმენტის საფუძველზე და, ამდენად, რევიზია წარმოადგენს ადმინისტრაციული (ვერტიკალური) ურთიერთობის ტიპს.

ნის შემაჯამებელი ნაწილი მოიცავს ჩანაწერს ფინანსური ანგარიშგების საიმედობის შესახებ, რაც შეიძლება გამოქვეყნდეს;

- რევიზია მთავრდება „რევიზიის აქტით“, რომელშიც აღნიშნულია ყველა გამოვლენილი ნაკლოვანება და დარღვევა, შემდგომში ზემდგომ ორგანოზე გადასაცემად.

მოცულობის მიხედვით:

- აუდიტი ემყარება გონივრული საკმარისობის პრინციპს, რომელიც ორიენტირებულია დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობაზე;
- რევიზია ემყარება მაქსიმალურ სიზუსტეს და დამწაშავე პირების, ასევე ზარალის მოცულობის გამოვლენის პრინციპს.

სამართლებრივი რეგულირების მიხედვით:

- აუდიტი რეგულირდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით, სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე;
- რევიზია რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, კანონის, ინსტრუქციების ხელმძღვანელი ორგანოების ბრძანების საფუძველზე.

მომსახურების ანაზღაურების პრინციპის მიხედვით:

- აუდიტორული მომსახურების ღირებულებას იხდის კლიენტი ან პირი, რომელიც საჭიროებს აუდიტორული დასკვნის მიღებას;
- რევიზიის ჩატარების ღირებულებას იხდის ზემდგომი რგოლი ან შესაბამისი სტრუქტურა;

დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით:

- აუდიტი დამოუკიდებელია შეფარდებით, რადგან აუდიტორული კომპანია ფინანსურად დამოკიდებულია აუდირებულ ობიექტზე;
- რევიზია აბსოლუტურად დამოუკიდებელია, რადგან სარევიზიო კომისიის წევრები ფინანსურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებლები არიან შესამოწმებელი სტრუქტურული ერთეულისგან;

შემოწმების დასკვნის მომხმარებლების მიხედვით:

- აუდიტორული დასკვნით დაინტერესებულია ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლები;
- რევიზიის აქტი განკუთვნილია პირთა განსაზღვრული წრისათვის, რომლის შემადგენლობაც რეგლამენტირებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტებით (მესაკუთრეები და აღმასრულებელი მენეჯერები).

12.3. საჯარო ფინანსური კონტროლის ორგანოები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში

ზოგადად, *საჯარო ფინანსური კონტროლის* ორგანოებს დასავლეთის - განვითარებულ ქვეყნებში მიეუთვნება: პარლამენტი (კონგრესი), სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სპეციალური უწყება, ფინანსთა სამინისტრო, დარგობრივი სამინისტროები და უწყებები.

საპარლამენტო კონტროლი ძირითადად ხორციელდება ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცების დროს, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების განხილვისას. პარლამენტს (კონგრესს), რომელიც პერიოდულად იღებს ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ, უფლება აქვს მოითხოვოს მთავრობის საქმიანობის შემოწმება, როდესაც ადგილი აქვს ბიუჯეტით დამტკიცებულთან შედარებით სახსრების ზედმეტად ხარჯვას.

საჯარო ფინანსური კონტროლის სპეციალური უწყებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ფინანსური კონტროლის სისტემაში, რომლებიც საქმიანობენ მთავრობებისაგან დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ პარლამენტების/კონგრესების წინაშე.

ასეთ ორგანოს *ამერიკის შეერთებულ შტატებში* წარმოადგენს *მთავარი საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო*, რომელიც შექმნილია 1921 წლის 10 ივნისის კანონით „ბიუჯეტისა და ანგარიშგების შესახებ". მთავარი სამმართველოს ფუნქციებში შედის ნორმატიული აქტების განმარტება, საფინანსო ოპერაციების კანონიერებისა და ეფექტიანობისათვის კონტროლის გაწევა ცალკეული საგადასახდელო ოპერაციების შესრულებაზე, ფედერალურ დაწესებულებებში საფინანსო ოპერაციების წარმოების წესებისა და ანგარიშგების დადგენით. სამმართველო ყოველწლიურად ამოწმებს ფინანსების მდგომარეობას ფედერალურ უწყებებში და ჩატარებული შემოწმების საფუძველზე პრეზიდენტსა და კონგრესს უკეთებს მოხსენებას და უდგენს რეკომენდაციებს[1].

საჯარო ფინანსური კონტროლის სპეციალურ ორგანოს *დიდ ბრიტანეთში* წარმოადგენს 1866 წელს ჩამოყალიბებული *სახელმწიფო კონტროლის სამმართველო*, რომლის ხელმძღვანელი - გენერალური კონტროლიორ-რევიზორი მთელი სიცოცხლის მანძილზე ინიშნება ამ თანამდებობაზე და შეიძლება გადაყენებული იქნეს მხოლოდ პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივი დადგენილებით. სახელმწიფო კონტროლის ეს სამმართველო ამოწმებს სამთავრობო უწყებების საფინანსო საქმიანობის კანონიერებას და მათ მიერ

---

[1] აღსანიშნავია, რომ მთავარ საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფლება არა აქვს შეამოწმოს ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკები, სავალუტო სამსახურები, ზოგიერთი სამთავრობო ფონდი და სხვა. ასევე, მის კონტროლს არ ექვემდებარება ქვეყნის კონფიდენციალური ხასიათის ისეთი ორგანოები, როგორიცაა ცსს, ატომური ენერგეტიკის კომისია, თავდაცვის სამინისტრო და სხვა.

სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობას და მიზანშეწონილობას და მათი შემოწმების შედეგებს ახსენებს პარლამენტს. პარლამენტის მიერ შექმნილი კომისია ასეთ საკითხებს იხილავს ოპოზიციური პარტიებისა და შემოწმებული უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საფრანგეთში ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ცენტრსა და ადგილებზე ახორციელებს *საანგარიშო პალატა*, რომელიც ფაქტორივად სასამართლო ორგანოს წარმოადგენს და შეუცვლელი მაგისტრატებისაგან შედგება. იგი, თავის მხრივ, 5 პალატას მოიცავს, რომლებშიც უფროსი მრჩევლები შედიან. ამ პალატების საქმიანობის სფეროს პირველი პალატის თავმჯდომარე განსაზღვრავს. პალატაში ასევე მონაწილეობენ ცენტრალური პროკურორი-სა და გენერალური ადვოკატის წარმომადგენლები. საანგარიშო პალატას ჰყავს ცენტრალური აპარატის, ხოლო ადგილებზე კონტროლის რეგიონული სამმართველოები. ყოველ რეგიონში 4 დეპარტამენტი შედის და მათში საფინანსო ოპერაციების კონტროლს პალატები ახორციელებენ, რომელთა საერთო ხელმძღვანელობა საანგარიშო პალატას ეკისრება. ამასთან, ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს გააუქმოს რეგიონული პალატების გადაწყვეტილებები სახსრების გადახდევინების, დარიცხვის ან სასამართლოზე გადაცემის შესახებ.

გერმანიაში საჯარო ფინანსური კონტროლის ფუნქციას *ფედერაციული საანგარიშო პალატა* ახორციელებს. შედარებით რთული საქმეები კი სასამართლოს გადაეცემა, რომელიც დახელოვნებულია სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ დანაშაულობათა ბრძოლის საკითხებში.

ხაზგასასმელია, რომ *საჯარო ფინანსური კონტროლის მთავარ ორგანოს* ქვეყნების ფინანსთა სამინისტროები წარმოადგენენ. ფინანსთა სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და განხილვისას, სამინისტროებისა და უწყებების ფინანსური ხარჯთაღრიცხვების ანალიზის, ბიუჯეტში შემოსავალთა აკუმულაციის, ხარჯების დაფინანსების, ასევე შემოწმებათა და რევიზიების ჩატარების პროცესში.

ზოგიერთი ქვეყნის ფინანსთა სამინისტროებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ სამინისტროებსა და უწყებებში, რომლებიც პასუხს აგებენ გაწეული ხარჯების სისწორისა და კანონიერებისათვის. კონტროლიორი ამოწმებს ხარჯების კანონიერებას, ფულადი სახსრების მიზნობრივად გამოყენებას, აღრიცხვა-ანგარიშგებათა ინსტრუქციების დაცვას. ფინანსური კონტროლიორის კომპეტენციაში შედის გაწეული ხარჯების ეფექტიანობის შეფასებაც. ყველა განკარგულება ხარჯების გაწევის თაობაზე ძალაშია, თუ მას ხელს აწერს საფინანსო კონტროლიორი.

თანამედროვე პირობებში სხვადასხვა სახელმწიფოთა ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული კონტროლის სფერო ფართოვდება იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება საფინანსო სისტემათა საშუალებით გადასანა-

წილებელი რესურსების მოცულობა და იქმნება ფინანსური კონტროლის ახალი ობიექტები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური კონტროლისთვის დამახასიათებელია ის, რომ ქვეყანაში მოქმედებს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იურიდიული საფინანსო უწყება – (1) *ფინანსთა სამინისტრო*, რომლის კონტროლის ობიექტია ფედერალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და (2) *ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო*, რომელიც სახელმწიფო ხარჯებს აკონტროლებს.

საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში, გარდა სამმართველოებისა და განყოფილებებისა, შედის დაფინანსების გენერალური ინსპექცია, რომელთა ინსპექტორები სახელმწიფო დაწესებულებებში, მართვის ადგილობრივ ორგანოებსა და სახელმწიფო კორპორაციებში ამოწმებენ აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობას. ფინანსების გენერალური ინსპექცია თავის ძირითად ფუნქციას ახორციელებს კონტროლიორთა ბრიგადების მეშვეობით ადგილებზე მოულოდნელ შემოწმებათა სახით, რომლებიც თვით გენერალური ინსპექტორის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობენ[1].

შიდაუწყებრივი კონტროლი წარმოადგენს კონტროლის ისეთ სახეობას, რომლის განხორციელება დაკისრებული აქვს სამინისტროებსა და უწყებებს მათზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიმართ. ისინი ფართო უფლებებით სარგებლობენ და შეუძლიათ მოსთხოვონ რევიზიაქმნილ ორგანიზაციებს რევიზიისათვის საჭირო მასალებისა და დოკუმენტების წარდგენა, საჭირო ცნობები მიიღონ ამ ორგანიზაციათა მომსახურე ბანკებიდან და, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაუსახონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილ დარღვევა-დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

ფინანსური კონტროლის განხორციელებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ *ფინანსური აღრიცხვის მუშაკები*, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად დაყენებაზე სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა სამთავრობო დაწესებულებებში, სახელმწიფო სახსრების კანონიერი ხარჯვისა და გადასახდელთა დროული და სრულად შემოსვლის უზრუნველყოფაზე. სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, ფინანსური კონტროლის ფუნქციებს, ხელშეკრულებათა საფუძველზე, ასრულებენ ბუღალტერ-რევიზორთა კერძო ფირმები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში. ფინანსური კონტროლის ეს ფორმა უფრო მეტად გამოიყენება საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებში.

---

[1] საყურადღებოა ისიც, რომ ინსპექცია გამოვლინებულ დარღვევა-დამახინჯებებზე ადგენს მოხსენებით ბარათს. მის ფუნქციებში არ შედის ზომების მიღება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დამწაშავე პირთა გადაყენების უფლება გააჩნია.

12.4. საჯარო ფინანსური კონტროლის განხორციელების თავისებურებანი საქართველოში

საქართველოში ჩამოყალიბებულია საჯარო ფინანსური კონტროლის ორგანიზების შემდეგი სტრუქტურა:

- ცენტრალიზებული ფინანსური კონტროლი;
- უწყებრივი ფინანსური კონტროლი;
- შიდა ფინანსური კონტროლი.

ცენტრალიზებული ფინანსური კონტროლის სისტემა და მისი ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, რაც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, *აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს პრეზიდენტი და ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები.* ასეთი კონტროლი ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო ფონდების პროექტების განხილვის და დამტკიცების, ხოლო შემდეგ მათი აღსრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებისას.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საჯარო ფინანსებზე *საპრეზიდენტო კონტროლი* ხორციელდება ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე ბრძანებულებების გამოცემით, კანონებზე ხელის მოწერით; ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატების წარდგენით პარლამენტის წინაშე და მისი დამტკიცებით.

საჯარო ფინანსური კონტროლის ფუნქციას, ნაწილობრივ, ასრულებს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული *პრეზიდენტის ადმინისტრაცია,* რომელიც თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოსთან. მის ფუნქციებს ეკუთვნის ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან არსებული კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოების ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლი, მოქალაქეთა და იურიდიული პირების მიმართვების და საჩივრების განხილვა და ა.შ.

წარმომადგენლობითი ორგანოების მხრიდან საჯარო ფინანსური კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილია სპეციალური სტრუქტურები: კომიტეტები და კომისიები ქვეყნის პარლამენტში.

პარლამენტში მოქმედი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამოწმებს საბიუჯეტო პროექტით გათვალისწინებული შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებასა და სისრულეს, აგრეთვე, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსწორების სისწორეს. მას უფლება აქვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით შემოწმება ჩაატაროს შერჩევის წესით, რისთვისაც სახელმწიფო ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად იქმნება სპეციალური საპარლამენტო კომისიები. პარლამენტს, რომელიც პერიოდულად იღებს ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ, უფლება აქვს მოითხოვოს მთავრობის საქმია-

ნობის შემოწმება, როცა ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების დამტკიცებულთან შედარებით ზედმეტად ხარჯვას.

საჯარო ფინანსურ კონტროლს ასევე ახორციელებენ *აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონის ორგანოები* უშუალოდ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, ისინი აკონტროლებენ მათ დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების საქმიანობას მთლიანად და, მათ შორის, ფინანსურს.

2004 წლის 11 თებერვლის საქართველოს კანონის - „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" - საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში, *საქართველოს მთავრობა:*

- არეგულირებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებს;
- შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას;
- საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
- უზრუნველყოფს სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის მართვას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებისა და აღსრულების პროცესის პარალელურად, საქართველოს მთავრობა ახორციელებს ფინანსების, ფულისა და კრედიტის სფეროში ერთიან პოლიტიკას; იგი აკონტროლებს და არეგულირებს სამინისტროების, უწყებების, მათ დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური ფინანსური კონტროლის ორგანოების საქმიანობას.

საჯარო ფინანსური კონტროლის სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ადგილი *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს* უჭირავს, რომელიც არა მხოლოდ შეიმუშავებს ქვეყნის ფინანსურ პოლიტიკას, არამედ უშუალოდ აკონტროლებს მის შესრულებას. სამინისტროს ყველა სტრუქტურული ერთეული ამა თუ იმ ფორმით აკონტროლებს ფინანსურ ურთიერთობებს. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო:

- აკონტროლებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, არასაბიუჯეტო სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემუშავებისა და აღსრულების პროცესებს;
- მონაწილეობს სავალუტო კონტროლის განხორციელებაში;
- აკონტროლებს სახელმწიფო ინვესტიციების მიმართულებებსა და ეფექტიანობას და ა.შ.

ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში ოპერატიულ ფინანსურ კონტროლს ახორციელებს სამინისტროსთან არსებული ხაზინა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ახორციელებს სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკას; აკონტროლებს საბიუჯეტო შემოსავლებსა და სახელმწიფო სახსრების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. ამ საქმეში ასევე დიდ როლს ასრულებენ საქართვე-

ლოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და საგამოძიებო სამსახური.

საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად, 2012 წლის 1 ივლისიდან, საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს *სახელმწიფო აუდიტის სამსახური.* იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამონაცვლე. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება ამ უკანასკნელის ფუნქციონირების მოკლე ისტორია, რაც წარმოდგენილია 1-ელი **ჩანართის** სახით.

ჩანართი 1. ისტორიული ცნობები საქართველოს ფინანსური კონტროლის ორგანოს შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატის ისტორია 1918 წლიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად იწყება. 1918 წლის 28 ივნისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების“ შესახებ და განსაზღვრა მისი სტატუსი. ამავე წლის 6 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საკონტროლო საქმიანობის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: კანონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“, დებულება „სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყებების საგანთათვის“ და „რევიზიის წესდება“.

სახელმწიფო კონტროლიორის სამსახური ფართო უფლებებით იყო აღჭურვილი. სახელმწიფო კონტროლიორს ეკისრებოდა დარღვევათა გამოვლენა, თვალყურის დევნება ფინანსების ხარჯვაზე, კრედიტების განაწილებაზე, ანგარიშის წარმოებაზე; მოეთხოვებოდა გამოეთქვა მოსაზრება საბეგრო სისტემის გადასახადების, ბაჟის და სხვა სახის სახელმწიფო შემოსავლების გადახდის ავკარგიანობაზე. მასვე ჰქონდა მინდობილი სააღრიცხვო მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და წესრიგის დამყარება.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრული იყო კანონით, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა: სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება; სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი; მთავრობის და სხვადასხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში; ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები. სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევდა პარლამენტი. იგი არ ითვლებოდა მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ სარგებლობდა მინისტრის უფლებებით და პასუხისმგებელი იყო მხოლოდ პარლამენტის წინაშე. სახელმწიფო კონტროლიორი ყოველწლიურად ანგარიშს აბარებდა პარლამენტს.

მთლიანად, 1918-1921 წლებში პარლამენტმა მიიღო რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლითაც ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით საქართველოს აუდიტის სამსახურის სტატუსი განისაზღვრა როგორც ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუცია.

მას მანდატით მინიჭებული ჰქონდა უფლება, შეემოწმებინა სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება, შეესწავლა სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები, მთავრობისა და სხვადასხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშები, ასევე შეემოწმებინა ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები.

1921 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ, საქართველოს მაკონტროლებელი ორგანოები საბჭოთა კავშირის სახალხო კონტროლის სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. თავდაპირველად ეს იყო საქართველოს მუშურ-გლეხური ინსპექცია, შემდგომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია. 1934 წელს ცენტრალური საკონტროლო კომისია გარდაიქმნა პარტიული კონტროლის კომისიად. 1940 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი. 1946 წლიდან მას ეწოდა სამინისტრო, შემდგომ კი სახელმწიფო კონტროლის კომისია. 1962-1965 წლებში მოქმედებდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები, რომლებიც აკონტროლებდნენ პარტიისა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას. 1965 წელს შეიქმნა სახალხო კონტროლის კომიტეტი. ეს იყო სახელმწიფო კონტროლის სპეციალურ ორგანოთა სისტემა, რომლებიც აკონტროლებდნენ სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობას.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნიდა საქართველოს უმაღლესი საბჭო და თავადვე მეთაურობდა სახალხო კონტროლის ორგანოთა მთელ სისტემას.

სახალხო კონტროლის ორგანოებს შეეძლოთ მიეთითებინათ თანამდებობის პირთათვის მათ მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებზე და მკაცრად მოეთხოვათ მათი აღმოფხვრა; ხოლო სერიოზული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობებინათ ზემდგომი ორგანოებისათვის, დაენიშნათ რევიზია შესაბამისი სპეციალისტების მოწვევით, შეემოწმებინათ სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობა, შეეჩერებინათ თანამდებობის პირთა უკანონო განკარგულებები, გადაეყენებინათ ისინი დაკავებული თანამდებობიდან, გადაეცათ პროკურატურისათვის მასალები დატაცების და სხვა დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ.

მაშასადამე, 1921 წლიდან 1991 წლამდე, საბჭოთა ოკუპაციის გამო, სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი არ ფუნქციონირებდა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ნაცვლად ჩამოყალიბდა სსრკ სახალხო კონტროლის სისტემა, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლიდა სახელწოდებასა და ფუნქციას.

1991 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეწყვიტა არსებობა, ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და შეიქმნა საქართველოს კონტროლის პალატა, რომელიც 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამართალმემკვიდრეა.

1993 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“. 1995 წელს, საქართველოს კონსტიტუციით, საქართვე-ლოს კონტროლის პალატა ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციად ჩამოყა-ლიბდა. 1997 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართ-ველოს კონტროლის პალატის შესახებ“, ხოლო 2008 წლის 26 დეკემბერს - ახალი კა-ნონი №880–რს „საქარ-

თველოს კონტროლის პალატის შესახებ", რომელიც 2012 წლის 1 ივლისიდან იწოდება საქართველოს კანონად „საქართველოს აუდიტის სამსახურის შესახებ".

ძირეული ინსტიტუციური გარდაქმნის რთულ პროცესში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე საჭიროებდა პარტნიორთა მხარდაჭერას. ამ მოთხოვნის საპასუხოდ,1992 წლიდან საქართველოს კონტროლის პალატა „უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციათა საერთაშორისო ორგანიზაციის" INTOSAI-ის, 1993 წლიდან „უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციათა ევროპული ორგანიზაციის" – EUROSAI-ის, ხოლო 2004 წლიდან „უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების აზიური ორგანიზაციის" - ASOSAI-ის წევრია.

საგულისხმოა, რომ 1991-2008 წლებში საქართველოს კონტროლის პალატის ფუნქცია, დღეს მოქმედი სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან განსხვავებით, იყო: საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობა და დარღვევებზე ადმინისტრაციულ-ფინანსური სანქციებით რეაგირება.

უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა დაიწყო 2008 წლიდან, როდესაც ახალი კანონმდებლობითა და მეთოდოლოგიით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მან-დატი განისაზღვრა როგორც საჯარო სექტორის აუდიტი, რომლის განხორციელე-ბის შემდეგ გაიცემა რეკომენდაციები და გაუმჯობესდება საჯარო ფინანსების მარ-თვის ხელშეწყობა. 2008-2009 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ჩამოყა-ლიბდა განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები. შესაძლებლო-ბების მრავალმხრივი სრულყოფის მიზნით, აღნიშნულ პერიოდში შემუშავდა გრ-ძელვადიანი კორპორაციული სტრატეგიები და განვითარების გეგმები. 2010 წლი-დან დაიწყო დასახული ამოცანების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გარდაქმნის დასაწყისშივე, პროცესის წარ-მატების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო ქვეყანა-ში ახალგაზრდა და მოტივირებული ინტელექტუალური რესურსის მობილიზება. ამ პერიოდში აუდიტის სამსახურში დასაქმდნენ აუდიტორები, რომელთაც ჰქონ-დათ საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებში - PricewaterhouseCoopers, Ernst & Young და Deloitte & Touche, აგრეთვე კერძო და საჯარო სექტორის აუდიტის სფე-როებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

2011 წლიდან, მიაღწია რა განვითარების შემდგომ ეტაპს, სახელმწიფო აუ-დიტის სამსახურში ამოქმედდა ხარისხის კონტროლის სისტემა, დაინერგა მართვის თანამედროვე ინსტიტუციური პოლიტიკა და სახელმძღვანელოები, განხორციელ-და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება სისტემაში და სხვ. აუდი-ტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებასთან ერთად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გააუმჯობესა კომუნიკაცია ფართო საზოგადოებასთან და დაინტერესე-ბულ მხარეებთან, როგორებიცაა, საქართველოს პარლამენტი, აღმასრულებელი ხე-ლისუფლება, მედია, სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ. დღეს, კომუნიკაციის ახალი და ეფექტიანი საშუალებებით საზოგადოება ყოველდღიურ რეჟიმში იღებს დრო-ულ, სანდო და კვალიფიციურ ინფორმაციას უწყების საქმიანობის შესახებ. ინსტი-ტუციური განვითარება უწყვეტი პროცესია. განვითარების ყოველი ახალი ეტაპის მიღწევისას, მდგრადი პროგრესის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის

სამსახური განსაზღვრავს ახალ სტრატეგიულ ამოცანებს, რომლებიც აისახება გრძელვადიან სტრატეგიებში.

დაარსებიდანვე საქართველომ აირჩია უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საპარლამენტო მოდელი, რომელიც აკადემიურად ვესტმინსტერულ მოდელად მოიხსენიება. ამ მოდელით, საქართველოს უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს მართავს ერთპიროვნული ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ".

ამ კანონის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებაზე.

ფინანსური აუდიტი მოიცავს:

- აუდიტის ობიექტის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
- საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
- საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის შემოწმებას;
- აუდიტის ობიექტის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად მართვის შემოწმებას;
- აუდიტიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის შესწავლას, შეფასებას და ანგარიშის წარდგენას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად.

შესაბამისობის აუდიტი მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის ან/და განხორციელებული პროგრამების/პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური *დამოუკიდებელია უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად*[1].

[1] სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან/და მისი საქმიანობის კონტროლი, ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის *საქმიანობის ძირითადი მიზნებია* ხელი შეუწყოს:

- სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას;
- ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხელმძღვანელობს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დეკლარირებული ძირითადი პრინციპებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის *საქმიანობის პრინციპებია:*

- ობიექტურობა;
- დამოუკიდებლობა;
- საჯაროობა;
- პროფესიონალიზმი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად:

(ა) ახორციელებს აუდიტს კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

(ბ) უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე, ასევე იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე, აგრეთვე საქართველოს პარლამენტს, სხვა შესაბამის ორგანოებსა და დაწესებულებებს წარუდგინოს საგადასახადო კანონმდებლობის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემასა და სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები;

(გ) ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით „საქარ-

---

თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით. აკრძალულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.

თველოს საარჩევნო კოდექსი“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. იგი უფლებამოსილია ჩაატაროს აუდიტი, ყადაღა დაადოს ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), შეადგინოს სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და მიიღოს შესაბამისი დადგენილება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, მათ შორის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს და მის სტრუქტურას განსაზღვრავს გენერალური აუდიტორი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“.

გენერალური აუდიტორი:

- წარმართავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- თავმჯდომარეობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის სხდომებს;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეებს;
- თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით;
- განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ზღვრულ რიცხოვნობას;
- ამტკიცებს საშტატო ნუსხას, განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობების დასახელებებს და თანამდებობრივ სარგოებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;
- ორგანიზებას უწევს ერთგვაროვანი აუდიტორული პრაქტიკის განვითარების მიზნით აუდიტის შედეგებზე ჩამოყალიბებული შეფასებების განზოგადებას;

- უფლებამოსილია მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების და მინიჭებული უფლებების განხორციელების ძიზნით გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებები;
- საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებულ მოხსენებებსა და ანგარიშებს;
- წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;
- გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
- ამტკიცებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსს;
- ქმნის კომისიებსა და სპეციალურ სამუშაო ჯგუფებს;
- განსაზღვრავს გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების ფუნქციურ მოვალეობებს და ახდენს მათზე უფლებამოსილების დელეგირებას;
- უფლებამოსილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლობის უფლება მიანიჭოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეს;
- უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის კომიტეტის, საპარლამენტო ფრაქციის ან/და პარლამენტის საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის სხდომას. ამასთანავე, მას მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს საქართველოს პარლამენტმა, პარლამენტის კომიტეტმა, საპარლამენტო ფრაქციამ ან/და პარლამენტის საგამოძიებო ან სხვა დროებითმა კომისიამ;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წაახალისებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეებს, აკისრებს მათ დისციპლინურ პასუხისმგებლობას, აჯილდოებს უწყებრივი ჯილდოებით, სიგელებით, ფულადი პრემიით, ფასიანი საჩუქრებით; საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს წარდგინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ;
- განსაზღვრავს ფულადი პრემიის, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ერთჯერადი დახმარების ოდენობას;
- ახორციელებს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში იქმნება *პრეზიდიუმი,* რომლის შემადგენლობასა და წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს გენერალური აუდიტორი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი არის სათათბირო ორგანო. იგი უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული დავა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 50 პროცენტი და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვა იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.

საქართველოს კონსტიტუციითა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად *სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს:*

- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებას;
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების პროექტების შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობასა და კანონიერებას;
- სახელმწიფო ვალის ფორმირებასა და მართვას, სახელმწიფო კრედიტების გაცემას;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
- საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოში რეგისტრირებულ საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობის კანონიერებას;
- საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას;
- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების მართვასა და განკარგვას;
- იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკა ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ფლობს წილის/აქციების 50 პროცენტსა და მეტს, ასევე სახელმწიფოს მიერ 50 პროცენტი და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდები – აქცია, წილი – განთავსებულია ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე;
- კერძო სამართლის სუბიექტის იმ სახელშეკრულებო ვალდებულებასა და სესხს, რომელთა გარანტად დგას სახელმწიფო, აგრეთვე მის საქმიანობას იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საბიუჯეტო ან სახელმწიფო ფონდების კუთვნილი თანხების, ასევე რაიმე ფორმით სახელმწი-

ფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების გამოყენებასთან ან მართვასთან;

- საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ - დადგენილი არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების გამოყენების მართლზომიერებას.

არაგეგმური ფინანსური ან/და შესაბამისობის აუდიტი ტარდება საქართველოს პარლამენტის მოთხოვნით, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის, საპარლამენტო უმცირესობის ან/და იმ ფრაქციის მიმართვის საფუძველზე, რომელიც არ არის გაერთიანებული საპარლამენტო უმრავლესობაში.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი აუდიტის ჩატარების უფლება აქვთ აუდიტორსა[1] და აუდიტორ-სტაჟიორს[2]. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია აუდიტის პროცესში მოიწვიოს ან/და ჩართოს სპეციალისტი, ექსპერტი[3], რომელთანაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ურთიერთობა წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აუდიტის შედეგებზე დგება *ანგარიში*. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია აუდიტის შედეგებზე ასევე შეიმუშაოს *რეკომენდაცია*. აუდიტის ანგარიში და რეკომენდაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარედგინება *აუდიტის ობიექტს*, ასევე შეიძლება წარედგინოს აუდიტის ობიექტის ზემდგომ ორგანოს ან იმ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია აუდიტის ობიექტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას გაუგზავნოს *ინფორმაცია აუდიტის შედეგების შესახებ*, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წინაშე დასვას აუდიტის შედეგების განხილვის საკითხი და გაატაროს სხვა შესაბამისი ღონისძიებები დარღვევათა თავიდან ასაცილებლად.

---

[1] აუდიტორი - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე, რომელიც აუდიტს ახორციელებს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

[2] აუდიტორ-სტაჟიორი - პირი, რომელიც სტაჟიორად ინიშნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე და აუდიტს ახორციელებს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

[3] სპეციალისტი, ექსპერტი - პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და რომელიც მოიწვევა სპეციალური გამოკვლევის ჩატარების მიზნით, აუდიტისათვის საჭირო გარემოებათა შესახებ სათანადო აქტის შესადგენად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია გამოაქვეყნოს *აუდიტის ანგარიში*, აგრეთვე სხვა ინფორმაცია მის საქმიანობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, იგი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კანონით დაცული საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ეხება აუდიტის ობიექტს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს *მოხსენებას ამ ანგარიშის შესახებ.*

მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა, წარუდგენს *თავის მოხსენებას.*

მოხსენებასთან ერთად, საქართველოს პარლამენტს წარედგინება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის *დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.*

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად, არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა, წარუდგენს *ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.*

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს *ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ.*

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ანგარიშები ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია სხვა სახელმწიფოთა უმაღლეს აუდიტორულ, მაკონტროლებელ და სხვა შესაბამის ორგანოებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადოს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დოკუმენტის („2015-2018 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“) თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სფეროში განსახორციელებელი რეფორმები მოიცავს რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლებიც ასახულია მე-2 ჩანართში.

ჩანართი 2. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის რეფორმის სტრატეგიის პრიორიტეტები 2015-2018 წლებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი და მანდატი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს წარუდგენს დამოუკიდებელ რწმუნებას, რომ საბიუჯეტო სახსრები იხარჯება მიზნობრივად,

კანონმდებლობის შესაბამისად და გაღასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს ანგარიშებს საჯარო უწყებების საქმიანობის შესახებ, რითაც ხელს უწყობს აღნიშნული დაწესებულებების ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე.

აუდიტორული საქმიანობის შედეგად სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღმასრულებელ ხელისუფლებას და სხვა უწყებებს აწვდის რეკომენდაციებს სახელმწიფო მმართველობის გასაუმჯობესებლად, საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულად, ეკონომიურად და ეფექტიანად მართვის მისაღწევად.

აუდიტორული საქმიანობის გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას აწვდის რეკომენდაციებს ნორმატიული აქტების შესახებ, სახელმწიფო პროგრამების, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმისა და სხვა რელევანტურ საკითხებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობით სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხელს უწყობს კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას.

მოქმედი საკანონმდებლო ბაზით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის მადატი ვრცელდება როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებზე, ავტონომიურ რესპუბლიკებზე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა სუბიექტებზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, აუდიტის სამსახურს ასევე დაეკისრა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის ფუნქცია.

<u>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია:</u>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის *მისიაა* ხელი შეუწყოს სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესებასა და საჯარო რესურსების უკეთესს მართვას კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის *ხედვაა*, ხელი შეუწყოს პარლამენტს მის მიერ მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში, ასევე, საჯარო სექტორში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცებას და საჯარო ფინანსების ეფექტიან და კანონიერ განკარგვას.

<u>ძირითადი ღირებულებები:</u>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- *დამოუკიდებლობა* - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტის საქმიანობა მთავრობის საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში, დაფუძნებულია მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებზე;
- *პროფესიონალიზმი* - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს კადრების უწყვეტ პროფესიულ ზრდას, მათი ცოდნის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების განვითარებას. ეს უკანასკნელი განაპირობებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მაღალ ხარისხსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;

- *სანდოობა* - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის, სამართლიანობის, სიზუსტის და დროულობის პრინციპებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სანდოობის მაღალ ხარისხს.

<u>არსებული გამოწვევები:</u>

საჯარო სექტორში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. უკანასკნელ წლებში მიმდინარე რეფორმები კიდევ უფრო ზრდის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელობას ამ პროცესში.

<u>გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული გამოწვევები:</u>

ფისკალური დისციპლინის უზრუნველსაყოფად დადგენილი საკანონმდებლო ლიმიტები, ასევე მთავრობის ძალისხმევა ფისკალური კონსოლიდაციის მიმართულებით, ზრდის შეზღუდული საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი განკარგვის აუცილებლობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამოწვევაა, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს მთავრობის მიერ შეზღუდული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესი, რომლის მიზანია ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და სანდოობის გაზრდა. აღნიშნული ინიციატივის ნაწილია 2020 წლისათვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS)-ის დანერგვის ვალდებულებაც. ამ მიმართულებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია, დაეხმაროს მთავრობას რეფორმის წარმატებულად განხორციელებაში.

გარდა ზემოხსენებული რეფორმისა, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული (პროგრამული) ბიუჯეტირების დანერგვის პროცესი, რაც საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისობასთან ერთად, გულისხმობს ამ საბიუჯეტო სახსრებით მიღწეულ შედეგებზე ფოკუსირებას. რეფორმა განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობას, როგორც ფინანსური/შესაბამისობის აუდიტის, ასევე ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით და მოითხოვს ინსტიტუციის პროფესიული შესაძლებლობების არსებით გაძლიერებას.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობა აქტიურად ახორციელებს ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვის პროცესს. რეფორმა მიზნად ისახავს მხარჯავი დაწესებულებების მიერ საგადამხდელო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული ფორმით წარმოებას, სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო სესხების ელექტრონულ მართვას, სოციალური დახმარებების ელექტრონული მონაცემთა ბაზების შექმნას და ა.შ. საჯარო სექტორში მიმდინარე ამ ცვლილების საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების (IT) აუდიტის დანერგვასა და განვითარებას.

<u>ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული გამოწვევები:</u>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამოწვევაა აუდიტორული საქმიანობით სახელმწიფო ბიუჯეტის მოცვის მაჩვენებელის გაზრდა. აღნიშნული გულისხმობს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ პროცენტული წილის, ასევე სექტორული მოცვის ზრდას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს აუდი-

ტორული საქმიანობის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებისა და პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიმართულებით ჩვენი გამოწვევებია: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების ხარისხის გაუმჯობესება და აუდიტის ობიექტების მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების მაჩვენებლის გაზრდა.

ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ გამოწვევას წარმოადგენს მართვის პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს, მართვის საინფორმაციო სისტემების, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით გათვალისწინებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების დანერგვას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამოწვევაა აუდიტორული საქმიანობით სახელმწიფო ბიუჯეტის მოცვის მაჩვენებელის გაზრდა. აღნიშნული გულისხმობს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ პროცენტული წილის, ასევე სექტორული მოცვის ზრდას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის კუთხით ჩვენ გამოწვევებს წარმოადგენს: კვალიფიციური კადრების მოზიდვა, პროფესიული განვითარებისა და შენარჩუნების პოლიტიკის შემუშავება და თანამშრომელთათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, ასევე აუდიტორულ და არააუდიტორულ შტატს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საკუთარი საქმიანობით ანგარიშვალდებულია პარლამენტის და საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ნდობის ხარისხისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმიჯის გაუმჯობესება. აღნიშნული გამოწვევა მოითხოვს ჩვენი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდასა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერებას.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით, 2015-2018 წლებისათვის განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული მიზანი. მათი ეტაპობრივი განხორციელება ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლის ზრდას საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად და ინსტიტუციურ განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

<u>სტრატეგიული მიზნებია:</u>

- აუდიტორული საქმიანობით პარლამენტის ხელშეწყობა მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში;
- მთავრობის ხელშეწყობა ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელებაში;
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა;
- ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად.

<u>სტრატეგიული მიზნები და ამოცანები:</u>

<u>სტრატეგიული მიზანი 1:</u> აუდიტორული საქმიანობით პარლამენტის ხელშეწყობა მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში.

მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საკუთარი მანდატის ფარგლებში გეგმავს აუდიტორული საქმიანობის წარმართვას შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: (1) სოციალური დაცვა; (2) ჯანმრთე-

ლობის დაცვა; (3) თავდაცვა და საზოგადოებრივი წესრიგი; (4) ინფრასტრუქტურა და რეგიონული განვითარება; (5) უმაღლესი და ზოგადი განათლება; (6) სოფლის მეურნეობა; (7) ადგილობრივი თვითმმართველობები; (8) სასჯელაღსრულება და პრობაცია; (9) საჯარო ფინანსების მართვა; (10) სახელმწიფო ქონების მართვა.

<u>ამოცანები:</u>

1.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური/შესაბამისობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა: აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2017 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცვის მინიმუმ 85%-იანი მაჩვენებლის მიღწევას. ამავდროულად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს სექტორული მოცვის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს აუდიტორული საქმიანობით მოიცვას ყველა ის სფერო, რომელიც საჯარო ფინანსების მართვისათვის დიდი მნიშვნელობით (საბიუჯეტო ასიგნებების დიდი წილი) და/ან მაღალი რისკიანობით ხასიათდება.

1.2. ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა: ეფექტიანობის აუდიტის როლის ზრდით სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეძლებს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს ეტაპობრივად გაზარდოს ეფექტიანობის აუდიტის წილი მის აუდიტორულ საქმიანობაში, კერძოდ, ეფექტიანობის აუდიტის მიზნობრივი წილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორულ საქმიანობაში 2016 წლისათვის 10%-ს შეადგენს.

1.3. IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს ინფორმაციული სისტემების აუდიტის დანერგვას. აღნიშნული ტიპის აუდიტი მიზნად ისახავს გონივრული რწმუნების მოპოვებას იმის თაობაზე, რომ მართვის ინფორმაციული სისტემა და მისი კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფს: არსებული ინფორმაციული აქტივების უსაფრთხოებას, მონაცემთა სიზუსტეს, სანდოობას, დროულობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას; საჯარო სექტორში არსებული ინფრასტრუქტურის გაანალიზებას; საინფორმაციო სისტემის მდგომარეობის შეფასებას.

IT აუდიტის დანერგვა ხელს შეუწყობს მინიმალური დანახარჯებით კონტროლის არსებითი ნაკლოვანებების გამოვლენასა და შესაბამისი რეკომენდაციებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

1.4. სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული სავალდებულო ანგარიშების ბარისბის მუდმივი სრულყოფა: აღნიშნული ამოცანის განხორციელება ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში სამსახურის როლის ზრდას და უზრუნველყოფს პარლამენტის ინფორმირებულობას ყველა იმ სისტემურ ხარვეზზე, რომელთა გადაწყვეტაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს საჯარო რესურსების ეფექტიანი და მართლზომიერი განკარგვისათვის.

1.5. აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს საჯარო სექტორის მართვის პროცესში პოზიტიურ ცვლილებებს და აღნიშნული ცვლილებების განხორციელებით გაზარდოს სახელმწიფოსათვის მოტანილი სარგებელი.

<u>სტრატეგიული მიზანი 2: მთავრობის ხელშეწყობა ანგარიშვალდებულების</u>

გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელებაში.

ამოცანები:

2.1. საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე ექსპერტული დასკვნების მომზადება: ამოცანა მიზნად ისახავს პარლამენტისათვის დახმარებას ზემოაღნიშნული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებასა და საჯარო სექტორის ფინანსური მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით.

2.2. მთავრობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, პროექტებსა და სხვადასხვა პროფესიულ საბჭოებში (სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, ეროვნული ანტიკორუფციული საბჭო). ყურადღება გამახვილებული იქნება შიდა აუდიტის, პროგრამული ბიუჯეტის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის, ასევე სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებზე ცოდნის ამაღლებასა და საჯარო უწყებებისთვის თანამედროვე გამოცდილების გაზიარებაზე.

ამ ამოცანის მიზანია ტრენინგების ორგანიზება და პუბლიკაციების/საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოების მომზადება, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს საჯარო სექტორისთვის გამოცდილების გაზიარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

მთავრობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს მხარჯავი უწყებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შესაფასებლად სარეიტინგო სისტემის დანერგვას. აღნიშნული სისტემის მეშვეობით სამსახური უზრუნველყოფს ცალკეული მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო უწყებებში შედეგზე ორიენტირებული და ეფექტიანი მართვის ხელშეწყობას თითოეული უწყების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შეფასებასა და არსებული ხარვეზების გამოვლენას. აღნიშნული რეიტინგის ფორმირება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ორგანიზაციებში სტრატეგიული დაგეგმვისა და საქმიანობის შეფასების პროცესის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, გახდება სტიმული მხარჯავი დაწესებულებებისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის რეკომენდაციების შესრულებისათვის.

2.3. სამართალდამცავი ორგანოების ექსპერტული დახმარება ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს გაუწევს შესაბამის ექსპერტულ დახმარებას. ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფთან (GRECO) თანამშრომლობის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაითვალისწინებს GRECO-ს რეკომენდაციებსა და დასკვნებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სექტორში გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას.

სტრატეგიული მიზანი 3: პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.

ამოცანები:

3.1. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიშების საზოგადოებისათვის მეტი ხელმისაწვდომობა;

3.2. პოლიტიკური პარტიების მიერ ფინანსური ანგარიშგების საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა;

3.3. დამოუკიდებელი ექსპერტებისა და პოლიტიკურად ნეიტრალური სხვა მხარეების ჩართვა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის პროცესში: სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობასა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას. ამავდროულად, ჩვენი ამოცანაა, პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებებით, წვლილი შევიტანოთ მათი ფინანსური ანგარიშგების კანონთან შესაბამისობაში. დამოუკიდებელ ექსპერტებთან და პოლიტიკურად ნეიტრალურ მხარეებთან ერთად ჩატარებული ღონისძიებებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესებას.

3.4. ანალიტიკურ-შეფასებითი ანგარიშის მომზადება: სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეიმუშავებს ანალიტიკურ-შეფასებით ანგარიშს ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელსაც მიაწვდის პარლამენტს, ფინანსთა სამინისტროსა და ევროკავშირის დელეგაციას. აღნიშნული დოკუმენტი შეაფასებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესაბამისობის ხარისხს INTOSAI-ს 3 პრინციპთან (დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა). განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და მონიტორინგის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების, პარლამენტისა და მოქალაქეების უკეთესი სერვისით უზრუნველყოფის საკითხებზე.

<u>სტრატეგიული მიზანი 4:</u> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით.

<u>ამოცანები:</u>

4.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც საუკეთესო დამსაქმებლის რეპუტაციის დამკვიდრება, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვის, განვითარებისა და შენარჩუნების შესაძლებლობის გაუმჯობესება: დასახული სტრატეგიული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს:

- თანამშრომელთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავებასა და დანერგვას;
- ფინანსური მართვის, პროგრამული შეფასებისა და მართვის საინფორმაციო სისტემების (IT) აუდიტის მიმართულებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის საჭიროებათა ანალიზს;
- ახალი თანამშრომლებისათვის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას;
- სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვას თანამშრომელთა უწყვეტი პროფე-

სიული განვითარების მიზნით;

- უნივერსიტეტებთან და აკადემიურ დაწესებულებებთან ურთიერთობას (შეხვედრები, მასალები და ა.შ.) მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით;
- სამსახურისადმი თანამშრომელთა დამოკიდებულების კვლევის დანერგვას, რომლის შედეგებსაც დაეფუძნება შემდგომი ნაბიჯები ორგანიზაციული ეფექტიანობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით.

4.2 აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება: აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს აუდიტის ანგარიშების რანჟირების სისტემის შექმნას, რომლის საშუალებითაც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება აუდიტის ანგარიშების პროექტების ხარისხის შეფასება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებასა და დანერგვას ეფექტიანობის აუდიტისთვისაც. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მიზნად ისახავს აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის პერიოდული ანგარიშების მომზადებას, რომელშიც საქმიანობა ინსტიტუციურად შეფასდება ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული კომპეტენციების სფეროებში, რის საფუძველზეც მოხდება აუდიტორულ საქმიანობაში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის ღონისძიებების ორგანიზება და გაცემულ რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება.

4.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმიჯის გაუმჯობესებისა და ნდობის ასამაღლებლად პარლამენტთან, მედიასთან, საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერება: სახელმწიფო აუდიტის სამსახური გააგრძელებს აქტიურ ურთიერთობას დაინტერესებულ მხარეებთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური როლის სრულყოფილად შესასრულებლად გადამწყვეტია პარლამენტთან სისტემატური კომუნიკაცია, აუდიტორული საქმიანობის შედეგებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს პარლამენტთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, დასავლური პრაქტიკისა და წამყვანი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების გამოცდილების გათვალისწინებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია, ურთიერთობები აუდიტის ობიექტებთან ეფუძნებოდეს ორმხრივ ნდობასა და თანამშრომლობას. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების განვითარების მიზნით, სამსახური შეიმუშავებს და განახორციელებს კომუნიკაციის სტრატეგიას, რომელიც მოიცავს აუდიტის ობიექტებთან თანამშრომლობის პროტოკოლებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საზოგადოების ჩართულობის ამაღლების მიზნით, გეგმავს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამატებითი საშუალებების დანერგვას. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მუდმივ განახლებას და ამასთანავე, საზოგადოებრივი აზრის გამოსავლენად სპეციალური კითხვარის განთავსებას, რაც უზრუნველყოფს აუდიტორული საქმიანობის გეგმის პროცესში საზოგადოების აზრის გათვალისწინებას.

4.4. საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაძლიერება:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს ურთიერთობების გაძლიერებას უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI), განვითარებული ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან - შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ). შესაბამისად, ამ მიმართულებით კომუნიკაციის გაძლიერება და აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო თანამეგობრობის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტების/სანიმუშო პრაქტიკის დანერგვის პროცესს და კადრების გადამზადებას აუდიტის თანამედროვე მიდგომებში.

ამასთანავე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს თავისი წვლილის გაზრდას საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტორული მიდგომების დახვეწაში და აქტიურ მონაწილეობას იმ პროექტებში, სამუშაო ჯგუფებსა და კომიტეტებში, რომელთა წევრიც არის (პროფესიული სტანდარტების კომიტეტი; შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტი; შიდა კონტროლების სტანდარტების ქვეკომიტეტი; გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფი; პროგრამული შეფასების სამუშაო ჯგუფი; საერთაშორისო განვითარების ინიციატივა).

4.5. მართვის სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესება სამსახურის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად: აუდიტორული საქმიანობის სამუშაო პროცესის ეფექტიანობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია მართვის საინფორმაციო სისტემების, მათ შორის:

აუდიტის მართვის სისტემის (Audit Management System - AMS) შექმნა და დანერგვა - ელექტრონულ აუდიტორულ პროგრამას საფუძვლად უდევს საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების, ე.წ „დიდი ოთხეულის", გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებში დანერგილი აუდიტის ელექტრონული პროგრამების კონცეფცია. აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს:

- უზრუნველყოს ცალკეული აუდიტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ელექტრონული დოკუმენტაცია და შესაბამისი დონის პროგრამული ავტორიზაციები;
- დანერგოს ერთიანი აუდიტორული მიდგომები ცალკეული სფეროს აუდიტისადმი;
- დანერგოს გაცემულ რეკომენდაციებზე მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს რეკომენდაციების განსახორციელებელ შესაბამის ქმედებებს. აღნიშნული სისტემის მიზანია: რეკომენდაციის ხარისხის გაუმჯობესება, შიდა კონტროლის სისტემის გამართვა, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა და სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების გაუმჯობესება;
- დანერგოს აუდიტის პროექტის მენეჯმენტის, შემოწმებისა და აუდიტის პროცესის ზედამხედველობის პროგრამული ინსტრუმენტები;
- დანერგოს სისტემური მიდგომა აუდიტის პროცესისადმი, რაც გამოიხატება აუდიტორული პროცედურების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული თანმიმდევრობით ჩატარებაში გააუმჯობესოს ხარისხის კონტროლის სისტემა და უზრუნველყოს დასრულებული აუდიტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ელექტრონულ არქივში განსათავსებლად მომზადება.

მონაცემთა ანალიზით თაღლითობის გამომვლენი პროგრამის (CAAT) დანერგვა - აღნიშნული პროგრამის მეშვეობით IT აუდიტორები შეძლებენ შიდა კონტროლების ტესტირებას და მონაცემთა ანალიტიკური მიმოხილვების მომზადებას.

აუდიტის ბარათის დანერგვა - აღნიშნული ბარათი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საშუალებას მისცემს შეიმუშაოს აუდიტის შედეგების სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების სისტემა.

შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია, შეიმუშავოს საჯარო სექტორის შესაბამისობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია.

დროის მართვისა და აღრიცხვის (WTRS) სისტემის დანერგვა – სისტემის საშუალებით აღირიცხება აუდიტორების მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა. სამუშაო საათების ზუსტი აღრიცხვა ხელს შეუწყობს, როგორც ღლიური, ასევე თითოეული აუდიტის დაგეგმვის პროცესს. სისტემა შესაძლებელს გახდის აუდიტის მიმდინარეობისას რეალურად დახარჯული და დაგეგმილი საათების შედარებას. დროის მართვისა და აღრიცხვის სისტემა ხელს შეუწყობს თანამშრომელთა სამუშაო დროის უფრო რაციონალურად გამოყენებას, პროდუქტიულობის გაზრდას, არსებული რესურსების გათვალისწინებით დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებას, ამოცანათა ოპტიმალურ განაწილებას და სამუშაო პროცესების სრულყოფას.

შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის დანერგვა და განხორციელება – გულისხმობს ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომელთა კომუნიკაციის ეფექტური სისტემის დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციაში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან გაცვლას.

4.6. საჯარო ფინანსების მართვაში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბება: საჯარო ფინანსების მართვისა და სახელმწიფო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უწყვეტი პროფესიული და ინსტიტუციური განვითარება. საჯარო ფინანსების მართვაში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს:

- *შიდა აუდიტის ფუნქციის სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად* - აღნიშნული სტრატეგიული ამოცანის შესრულება უზრუნველყოფს გონივრული რწმუნების მიღებას, რომ ორგანიზაციის რესურსების მართვა შეესაბამება ეკონომიურობის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის პრინციპებს. ამავდროულად აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც საჯარო სექტორში სანიმუშო ორგანიზაციის, ჩამოყალიბებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმის გათვალისწინებით.
- *ორგანიზაციის ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების გაუმჯობესებას* - საჯარო სექტორში შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების სრულყოფა და ამ მიმართულებით მისი, როგორც სამაგალითო ორგანიზაციის ჩამოყალიბება.
- *სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების პოლიტიკის დანერგვას* – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შეფასების სისტემა

საშუალებას მისცემს მენეჯმენტს განახორციელოს სახელმწიფო აუდიტის საქმიანობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება წინასწარ განერილი ინდიკატორებისა და მიზნების მიხედვით. ამგვარი სისტემის დანერგვა და ეფექტური ფუნქციონირება ემსახურება უწყების შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულების ზრდას, შესაძლო რისკების ადრეულ გამოვლენას და მენეჯმენტის ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდით რესურსების ეფექტური გამოყენების და საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

საქართველოში უწყებრივ ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო კომიტეტები და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოები მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე. რევიზიებსა და შემოწმებებს ნიშნავს სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელობა და ტარდება კომპლექსურად წელიწადში ერთხელ კომერციულ ორგანიზაციებში, ორ წელიწადში ერთხელ – დანარჩენ ორგანიზაციებში. სამინისროებისა და უწყებების სარევიზიო-მაკონტროლებელი სამსახურის საქმიანობა, თავის მხრივ, ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს კონტროლს.

უწყებრივი ფინანსური კონტროლის მიზანია: ფინანსური და მატერიალური რესურსების დაცვა და ეფექტიანი გამოყენება; მფლანგველობისა და მიწერების ფაქტების დაფიქსირება და აღმოჩენა; ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმება.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა *სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემას,* რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, ობიექტური, საჯარო, გამჭვირვალე და პროფესიული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის და, მათ შორის, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებას. შიდა კონტროლი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და ფინანსური კონტროლის პრინციპების გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

2007 წელს საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების - „საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა“ ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩამოყალიბდა რისკების შეფასებისა და შიდა აუდიტის სამმართველო, რომლის ძირითადი მიზანს წარმოადგენდა შიდა აუდიტის ერთეულების ჩამოყალიბების და საჯარო ფინანსების მართვის კონტროლის ახალი სისტემის დანერგვის მოსამზადებელი ქმედებების განხორციელება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საწყისი ეტაპიდანვე აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვასა და განვითარებაში. დასახული მიზნების მისაღწევად, რომელიც ასევე წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებულიყო შიდა კონტროლის ეფექ-

ტური სისტემა, 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია" („Public Internal Financial Control" (PIFC)), რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერდა საჯარო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების გეგმას.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და დანერგვისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. შესაბამისად, 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი (№2839–Iს) „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მთავარ საფუძველს.

„სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის N 345 დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა „შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო" *(ჰარმონიზაციის ცენტრი)*[1], დამტკიცდა საბჭოს დებულება და განისაზღვრა საბჭოში არსებული სამდივნოს უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ჰარმონიზაციის ცენტრის მთავარ ამოცანას წარმოადგენს შიდა აუდიტის ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია, სინქრონიზებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამოცანების დუბლირების თავიდან აცილება, შიდა აუდიტის პროცესების შემუშავება, შიდა აუდიტორთათვის ტრეინინგების ორგანიზება მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად და ა.შ.

ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტები, როგორიცაა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, შიდა აუდიტის სტანდარტები და სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო, რომლებიც შემდგომ დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რისთვისაც მუდმივად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2011 წელს განხორციელდა „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონის დახვეწა და მისი სრულად ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან - INTOSAI-თან და IIA-თან. ამ კუთხით, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 9 დეკემბერს მიიღო შესაბამისი ცვლილებები „სა-

[1] „შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოს" (ჰარმონიზაციის ცენტრს) თანათავმჯდომარეობენ საქართველოს ფინანსთა მინისტრი და საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი.

ხელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში და გარდა ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებებისა, აღნიშნული კანონის სათაურიც შეიცვალა და ეწოდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამ კანონის საფუძველზე განისაზღვრება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობისთვის აუცილებელი მეთოდოლოგია, სტანდარტები და ამ სისტემის დანერგვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ჰარმონიზაციის ცენტრსა და სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობები, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ხოლო ჰარმონიზაციის ცენტრი სამდივნოს მეშვეობით ახორციელებს აღნიშნული საკითხების კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია *შიდა აუდიტს* – დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართულ დამოუკიდებელ, ობიექტურ და საკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ.

კანონის საფუძველზე, *შიდა აუდიტის სუბიექტი* - დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შიდა აუდიტი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად - ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრთან კოორდინირებულად. ამასთან, შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში.

შიდა აუდიტორი არის შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს შიდა აუდიტს კანონით დადგენილი წესით. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და სხვა ინსტრუქციებისა და სამართლებრივი აქტების საფუძველზე. შიდა აუდიტის ობიექტია დაწესებულება, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეული, რომელშიც ხორციელდება შიდა აუდიტი.

შიდა აუდიტის სუბიექტები იქმნება შემდეგ დაწესებულებებში:

- საქართველოს სამინისტროებში;

- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;
- იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში (გამგეობებში/მერიებში), შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- შიდა აუდიტის სუბიექტი შესაძლოა შეიქმნას ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირსა (რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მათივე გადაწყვეტილებით.

ალნიშნული კანონის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში 12 სამინისტროში ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სუბიექტი. დღეისათვის კი, საქართველოში უკვე არსებობს 24 შიდა აუდიტის ერთეული, კერძოდ, გარდა საქართველოს სამინისტროებისა, 5 შიდა აუდიტის ერთეული ჩამოყალიბდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5 ერთეული - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 1 ერთეული - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში და 1 ერთეული - საქართველოს მთავრობის კანცელარიაში.

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა ხორციელდება შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების, საქართველოს კანონმდებლობისა და შემდეგი *ძირითადი პრინციპების* დაცვით: დამოუკიდებლობა; კეთილსინდისიერება; ობიექტურობა; პროფესიონალიზმი; კონფიდენციალურობა; კანონიერება; გამჭვირვალობა.

შიდა აუდიტორული შემოწმება ხორციელდება ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, ანალიზის, შეფასებისა და დოკუმენტირების საშუალებით. შიდა აუდიტორული შემოწმება შედგება შემდეგი *ეტაპებისაგან:* აუდიტის დაგეგმვა; აუდიტის განხორციელება; ანგარიშგება; გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

შიდა აუდიტორული შემოწმების სახეებია: სისტემური აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; ფინანსური აუდიტი; ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად, შიდა აუდიტის სუბიექტი ადგენს *შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტს,* რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს და მოიცავს შიდა აუდიტის პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექ-ტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება ანგარიშში დასმულ საკითხებზე.

შიდა აუდიტის ობიექტს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტს, რაც გათვალისწინებული იქნება *საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში*. შიდა აუდიტის ობიექტის საპასუხო წერილი და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ეგზავნება შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს.

შიდა აუდიტის სუბიექტი შიდა აუდიტის ობიექტის მიერ მოსაზრების მიღებისა და მასთან კონსულტაციის შემდეგ საბოლოო სახით აყალიბებს შიდა აუდიტორულ ანგარიშს (**ჩანართი 3**), გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას და უგზავნის დაწესებულების ხელმძღვანელს.

ჩანართი 3. შიდა აუდიტორული ანგარიში

1. შიდა აუდიტორული ანგარიშის არსი და მიზნები:

- შიდა აუდიტორული ანგარიში არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ასახავს შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგებს და შეიცავს შესაბამის რეკომანდაციებს, მართვის ხარისხისა და კონტროლის გარემოს გასაუმჯობესებლად. ანგარიში ასახავს შიდა აუდიტორის დამოუკიდებელ და ობიექტურ მოსაზრებებს შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით. შიდა აუდიტორული ანგარიში არის საბოლოო შედეგი შიდა აუდიტორული შემოწმებისა, რომელიც მიეწოდება ყველა იმ დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.
- შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს, ნაცვლად უბრალოდ პრობლემების გამოაშკარავებისა, შეადგენს პრობლემების გადაჭრის ხერხების ძიება. შიდა აუდიტორული ანგარიშში ასევე იქნება ასახული შიდა აუდიტის ობიექტის მოსაზრებები, თუ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება შიდა აუდიტორის მოსაზრებებისგან. შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს წარმოადგენს, დაწესებულების ხელმძღვანელობას მიეწოდოს (ეცნობოს) დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ობიექტური ინფორმაცია.
- კარგად განხორციელებული და კარგად შემუშავებული შიდა აუდიტორულ ანგარიში დაწესებულების ხელმძღვანელობას აძლევს საშუალებას მიაღწიონ დასახულ მიზნებს, შეამცირონ მნიშვნელოვანი რისკები და საქმიანობა განახორციელონ კანონმდებლობასთან შესაბამისობით. ასეთ მიდგომას ექნება პოზიტიური ეფექტი და გააუმჯობესებს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანობას.
- შიდა აუდიტორული ანგარიშის დროულობაზე და ხარისხზე პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი; შიდა აუდიტორული შემოწმებისას, თუ ადგილი აქვს ძალიან მნიშვნელოვან აღმოჩენებს, აუდიტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს, წერილობითი ან ზეპირი ფორმით, დაწესებულების ხელმძღვანელს. მსგავსი შეტყობინება არ ანთავისუფლებს შიდა აუდიტორს შიდა აუდიტორული ანგარიშის შემუშავებისაგან; ის რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება შიდა აუდიტორული ანგარიშის საბოლოო ვერსიაში, უნდა იყოს კონკრეტული, შესრულებადი და პრაგმატული.

2. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი:

- შიდა აუდიტის ობიექტს უნდა ეცნობოს ყველა აღმოჩენის შესახებ შიდა აუდიტორული შემოწმებისას. რაც შეიძლება ოპერატიულად. შიდა აუდიტის ობიექ-

ტთან აუდიტორული შემოწმების ადრეულ ეტაპზევე კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს, როგორც თავად აღმოჩენების სისწორის გადამოწმება, ასევე შიდა აუდიტის ობიექტს მიეცეს საშუალება დაუყოვნებლივ გამოასწოროს მდგომარეობა. ყველა ის აღმოჩენა, რომელთა შესახებაც შიდა აუდიტორული შემოწმების განმავლობაში ეცნობა შიდა აუდიტის ობიექტს, ასახული იქნება აღმოჩენების ცხრილში.

- შიდა აუდიტორული შემოწმების დასასრულს, ყველა აღმოჩენა, მათ შორის უკვე გამოსწორებული და აქტუალური, კიდევ ერთხელ წარედგინება შიდა აუდიტის ობიექტს. ეს არის კიდევ ერთი შესაძლებლობა მოხდეს შიდა აუდიტის ობიექტსა და სუბიექტს შორის აღმოჩენებთან დაკავშირებული უთანხმოებების დადგენა, განხილვა და გადაჭრა.
- შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის პროექტი არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც სტრუქტურულად საბოლოო ანგარიშის მსგავსია და შეიცავს შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებში ყველა აღმოჩენას და მათ გამოსასწორებლად გაცემულ რეკომენდაციებს. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი შეიცავს სტრუქტურირებული სახით ყველა იმ აღმოჩენას, რომელიც წამოდგენილი იყო აღმოჩენების ცხრილში და რეკომენდაციას, რომელიც განხილულ იქნა შიდა აუდიტის ობიექტთან ბოლო შეხვედრისას. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი წარედგინება შიდა აუდიტის ობიექტს. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტის შიდა აუდიტის ობიექტისთვის წარდგენის მიზანია შიდა აუდიტის ობიექტს მიეცეს ბოლო საშუალება საბოლოო ანგარიშის გამოცემამდე გადახედოს და განიხილოს ყველა აღმოჩენა და რეკომენდაცია.
- შიდა აუდიტის ობიექტს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი მოსაზრება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში ასახულ აღმოჩენებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. შიდა აუდიტორს უფლება აქვს დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს შიდა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს.
- შიდა აუდიტის ობიექტსა და სუბიექტს შორის კომუნიკაციის შედეგები შეიძლება ასახულ იქნას შიდა აუდიტორულ საბოლოო ანგარიშში. შიდა აუდიტის ობიექტისათვის შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტის წარდგენის შემდეგ *მოვლენები შეიძლება განვითარდეს შემდეგნაირად:*

✓ შიდა აუდიტის ობიექტი ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ *აღმოჩენებს.* თანხმობა ანგარიშში წამოდგენილი რეკომენდაციების შესრულებაზე, ავტომატურად ნიშნავს, რომ შიდა აუდიტის ობიექტი ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ აღმოჩენებს.

✓ შიდა აუდიტის ობიექტი არ ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ *აღმოჩენებს.* ასეთ შემთხვევებში, ოფიციალურ წერილში მითითებულ ვადებში შიდა აუდიტის ობიექტი შიდა აუდიტორს ატყობინებს უთანხმოების შესახებ და წარუდგენს მას ყველა არგუმენტს ან/და შესაბამის ინფორმაციას კონკრეტულ აღმოჩენებთან დაკავშირებით.

✓ თუ შიდა აუდიტორი ეთანხმება შიდა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მაშინ ოგი ანგარიშიდან ამოიღებს კონკრეტულ აღმოჩენას.

✓ თუ შიდა აუდიტორი არასაკმარისად ან/და მიუღებლად მიიჩნევს შიდა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას, მაშინ შიდა აუდიტორი არ იღებს ანგარიშიდან კონკრეტულ აღმოჩენას, მხოლოდ წარმოდგენილ არგუმენ-

ტაციას თან ურთავს საბოლოო ანგარიშში მისთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით (უშუალოდ აღმოჩენის ქვეშ, ან უბრალოდ აღმოჩენების თავში). იმ შემთხვევაში თუ შიდა აუდიტის ობიექტის არგუმენტაცია ან/და ინფორმაცია მოცულობითია, შიდა აუდიტის სუბიექტს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წერილის თანდართვის შესახებ.

- ✓ შიდა აუდიტის ობიექტი ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ *რეკომენდაციებს*. ასეთ შემთხვევაში შიდა აუდიტის ობიექტის მხრიდან რეკომენდაციების შესრულების გეგმის მომზადება და მიწოდება შიდა აუდიტის სუბიექტისთვის შეიძლება ჩაითვალოს თანხმობად რეკომენდაციების შესრულებაზე.
- ✓ თუ შიდა აუდიტის ობიექტი დროულად მოამზადებს და მიაწვდის რეკომენდაციების შესრულების გეგმას შიდა აუდიტის სუბიექტს, მაშინ სასურველია გეგმა თან დაერთოს საბოლოო ანგარიშს.
- ✓ შიდა აუდიტის ობიექტი არ ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ *რეკომენდაციებს*. შიდა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია ნებისმიერი, შიდა აუდიტის სუბიექტისათვის მისაღები ფორმით აისახება შიდა აუდიტორულ ანგარიშში. შიდა აუდიტის ობიექტს შეუძლია რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმაში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ შიდა აუდიტორი ნაწილობრივ ან სრულად ეთანხმება შიდა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს და შეხედულებებს, მაშინ მას შეაქვს შესაბამისი ცვლილებები ანგარიშში.
- ▪ იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან უთანხმოებას შიდა აუდიტის ობიექტს და სუბიექტს აღმოჩენებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მაშინ შეიძლება მოეწყოს შეხვედრა აღნიშნული უთანხმოებების განსახილველად, რომელსაც დაესწრება შიდა აუდიტის ობიექტისა და სუბიექტის წარმომადგენლებთან ერთად დაწესებულების ხელმძღვანელობა. შეხვედრაზე მოხდება უთანხმოებების განხილვა და პოზიციების შეჯერება.

3. საბოლოო შიდა აუდიტორული ანგარიში:

- ❖ შიდა აუდიტორული ანგარიშის შეთანხმების შემდეგ ხდება საბოლოო ანგარიშის შედგენა, რომელსაც სასურველია თან დაერთოს აუდიტის ობიექტისს მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმა.
- ❖ თუ ყველა პროცედურის გავლით, რომელიც აღწერილია შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტის მომზადების ნაწილში, შეუთანხმებელი საკითხები კვლავ დარჩება, ამის შესახებ მოხდება შესაბამისი ჩანაწერის შეტანა საბოლოო ანგარიშში, სადაც ასევე იქნება შესული აუდიტის ობიექტის არგუმენტაცია და შიდა აუდიტორის საბოლოო პოზიცია.
- ❖ შიდა აუდიტორული ანგარიში არ უნდა იყოს მოულოდნელობა შიდა აუდიტის ობიექტისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში არ უნდა იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც უცნობია და არ არის შეთანხმებული აუდიტის ობიექტთან.

4. შიდა აუდიტორული ანგარიშის სტრუქტურა:

შესავალი – შეიცავს ინფორმაციას აუდიტის მაშტაბზე (პროცესი, აუდიტის ტიპი და ა.შ.), შიდა აუდიტის ობიექტის დასახელებას, აუდიტორთა ჯგუფის წევრების ჩამონათვალს, აუდიტის თარიღს და სარჩევს.

მოკლე შინაარსი - ეს ნაწილი არის შიდა აუდიტის შედეგების და შიდა აუდიტის მოსაზრების მოკლე შინაარსი.

აუდიტის შედეგები - მოიცავს აღმოჩენებს, რისკებს და რეკომენდაციებს.

- *აღმოჩენები* - არის განსხვავება შიდა აუდიტორის მოლოდინსა და რეალურ სიტუაციას შორის. აღმოჩენები შეიძლება ეხებოდეს როგორც კანონმდებლობასთან შესაბამისობას, ასევე კონტროლისა და მართვის მექანიზმების პროდუქტიულობასა და ეფექტიანობას.
- *რისკები* - წარმოადგენს რისკის მოხდენის ალბათობას. შიდა აუდიტორმა უნდა განასხვავოს მეტად მნიშვნელოვანი რისკები ნაკლებად მნიშვნელოვანისაგან. თვალსაჩინოებისთვის შიდა აუდიტორს შეუძლია რისკები შეაფასოს ქულებით. რისკის ბუნება და მისგან მომდინარე საფრთხეები ასევე ცხადი უნდა იყოს; წინასწარი პროგნოზი უნდა გაკეთდეს პოტენციურ უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით. შიდა აუდიტორმა უნდა განსაზღვროს თუ რა ზიანს მოუტანს დაწესებულებას რისკი, თუ იგი გააგრძელებს არსებობას.
- *რეკომენდაციები* - პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზების ძიება - არის შიდა აუდიტორის საქმეა ასეთი გზების ძიებისას შიდა აუდიტორმა საკუთარი თავი შიდა აუდიტის ობიექტის ადგილას უნდა დააყენოს. პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზა უნდა იყოს კონკრეტული, პრაგმატული და შესრულებადი. შიდა აუდიტორის მიერ გაცემული რეკომენდაციები მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული. რეკომენდაციები რჩება რჩევად, ის ვერასდროს ჩაითვლება ბრძანებად. შიდა აუდიტის ობიექტი მუდმივად ინარჩუნებს პრობლემების გადაჭრის პასუხისმგებლობას. თავად რეკომენდაციების მიზანი არ უნდა იყოს პიროვნებების დასჯა.

მოსაზრება - არის საბოლოო საერთო დასკვნა იმ პროცესთან დაკავშირებით, რაც შეამოწმა შიდა აუდიტორმა. ის გამოხატავს შიდა აუდიტორის ხედვას, თუ რამდენად არის ეს პროცესი გამართული და რამდენად შესაბამისია არსებული კონტროლის მექანიზმები.

შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პოზიცია - ეს ნაწილი იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ შიდა აუდიტის ობიექტსა და სუბიექტს შორის არსებობს მნიშვნელოვანი უთანხმოება.

ხელმოწერა - შიდა აუდიტორულ ანგარიშს ხელს აწერს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ან შიდა აუდიტის ჯგუფის უფროსი. შიდა აუდიტორულ ანგარიშს თან უნდა ახლდეს ოფიციალური წერილი, რომელსაც ხელს აწერს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი.

დაბოლოს, თანამედროვე პირობებში საქართველოში მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ფინანსური კონტროლის შინაარსი, ფორმები და მეთოდები, რაც განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლის შეცვლით, დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის განვითარებით. კერძოდ: საგრძნობლად შეიზღუდა ცენტრალიზებული ფინანსური კონტროლის მასშტაბები. იგი კონცენტრირებულია მაკროეკონომიკური პროცესების სფეროზე და მოიცავს მშპ-ის მოძრაობის ღირებულებითი პროპორციების, ფულის მასის, სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების კონტროლს. ამავდროულად, ფართოვ-

დება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა. მნიშვნელოვნად გაიზარდა წინასწარი კონტროლის როლი შემდგომ კონტროლთან შედარებით. დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის განვითარებამ განაპირობა აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსური საქმიანობის მკაცრი კონტროლი და სახელმწიფო ბიუჯეტის და არასაბიუჯეტო ფონდების დამტკიცებისას სახსრების ხარჯვის ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის ღრმა ანალიზის აუცილებლობა. ამას ხელს უწყობს წარმომადგენლობითი ხელისუფლების სპეციალური მაკონტროლებელი სტრუქტურებიც.

საკონტროლო კითხვები

1. განმარტეთ ფინანსური კონტროლის არსი, განსაზღვრეთ მისი მიზანი და ამოცანები.
2. განსაზღვრეთ ფინანსური კონტროლის თავისებურებანი მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის.
3. განასხვავეთ სახელმწიფო ფინანსური კონტროლი არასახელმწიფო ფინანსური კონტროლისაგან.
4. დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის სახეები ჩატარების ვადების მიხედვით.
5. დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის სახეები კონტროლის ჩამტარებელი სუბიექტების მიხედვით.
6. დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის სახეები საფინანსო საქმიანობის სფეროების მიხედვით.
7. დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის სახეები ჩატარების ფორმების მიხედვით.
8. დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის სახეები ჩატარების მეთოდების მიხედვით.
9. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - მმართველობითი კავშირების მიხედვით.
10. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - შემოწმების მიზნებიდან გამომდინარე.
11. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.
12. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - შედეგების ფორმის მიხედვით.
13. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - სამართლებრივი რეგულირების მიხედვით.

14. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - მომსახურების ანაზღაურების პრინციპის მიხედვით.
15. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით.
16. ურთიერთშედარების გზით დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ფორმები - რევიზია და აუდიტი - შემოწმების დასკვნის მომხმარებლების მიხედვით.
17. დაახასიათეთ ფინანსური კონტროლის ორგანოები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.
18. დაახასიათეთ თანამედროვე საქართველოში მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა.
19. განსაზღვრეთ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი.
20. ახსენით რას მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი.
21. ჩამოთვალეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნები და პრინციპები.
22. განსაზღვრეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის უფლებამოსილებანი.
23. ჩამოთვალეთ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის რეფორმის სტრატეგიის პრიორიტეტები 2015-2018 წლებისათვის.
24. დაახასიათეთ თანამედროვე საქართველოში მოქმედი უწყებრივი ფინანსური კონტროლის სისტემა.
25. დაახასიათეთ თანამედროვე საქართველოში მოქმედი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა.
26. ახსენით, რაში მდგომარეობს განსხვავება ოპერატიულ და სტრატეგიულ შიდასამეურნეო ფინანსურ კონტროლს შორის.
27. ახსენით, რაში მდგომარეობს აუდიტორული კონტროლის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, მისი მიზანი და ამოცანები.
28. „A“ სვეტის თითოეულ ტერმინს შეურჩიეთ განმარტება „B“ სვეტიდან:

შერჩეული ვარიანტი	A სვეტი	B სვეტი
___	1. ფინანსური კონტროლი	ა. გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მთლიან გამოკვლევას მისი კანონიერების, სისწორის, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შემოწმების მიზნით;
___	2. წინასწარი ფინანსური	ბ. ზედამხედველობს საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და

	კონტროლი	ხარჯვას;
—	3. მიმდინარე ფინანსური კონტროლი	გ. მოიცავს აუდიტის ობიექტის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
—	4. დასკვნითი ფინანსური კონტროლი	დ. მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის ან/და განხორციელებული პროგრამების/ პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
—	5. შემოწმება	ე. მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
—	6. რევიზია	ვ. გულისხმობს ანგარიშგებითი დოკუმენტების საფუძველზე ფინანსური საქმიანობის ცალკეული საკითხების გაცნობას, განხილვას და აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების დასახვას;
—	7. სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ზ. განკუთვნილია ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური საქმიანობის შედეგების შესაფასებლად, რეალიზებული საფინანსო გეგმებისა და პროგნოზების, ფინანსური სტრატეგიის შედეგების ეფექტიანობის შესაფასებლად;
—	8. ფინანსური აუდიტი	თ. ხორციელდება ფულადი გარიგებების, სესხებისა და სუბსიდიების გაცემის, საფინანსო, საკრედიტო და ა.შ. ოპერაციების განხორციელების მომენტში;
—	9. შესაბამისობის აუდიტი	ი. ხორციელდება საფინანსო ოპერაციების განხორციელებამდე და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსალოდნელი ფინანსური დარღვევების პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის;
—	10. ეფექტიანობის აუდიტი	კ. ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების ფორმა.

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. ფინანსური კონტროლი, როგორც ფინანსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, დამახასიათებელია:
   - მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის;

- მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის;
- მხოლოდ არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის;
- განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროს ურთიერთობებისათვის.

2. საჯარო ფინანსური კონტროლის ძირითად ამოცანებს არ მიეკუთვნება:
   - სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდროულობის დადგენა;
   - აღრიცხვა-ანგარიშგების კანონების დაცვის შემოწმება;
   - სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია;
   - საფინანსო სისტემის ყველა რგოლში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კანონიერების შემოწმება.
3. ფინანსური კონტროლი, როგორც ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების ფორმა, მოიცავს:
   - მხოლოდ წარმოებისა და განაწილების სფეროებს;
   - წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებს;
   - საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროს;
   - მხოლოდ განაწილებისა და გაცვლის სფეროებს.
4. მიმდინარე ანუ ოპერატიული ფინანსური კონტროლი ხორციელდება:
   - საფინანსო ანგარიშგების ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით;
   - საფინანსო ოპერაციების განხორციელებამდე;
   - საფინანსო, საკრედიტო და სხვა ოპერაციების განხორციელების მომენტში;
   - ბუღალტრული დოკუმენტაციის ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით.
5. საწარმოთა საქმიანობაზე ფინანსური კონტროლი არ მოიცავს:
   - საინვესტიციო პროექტების შედეგების ფინანსურ შემოწმებას;
   - ფინანსური ანგარიშების სისწორისა და უტყუარობის შემოწმებას;
   - ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდურობის შემოწმებას;
   - ყველა დონის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების შემუშავების, დამტკიცებისა და აღსრულების შემოწმებას.
6. ყველა დონის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების შედგენისა და დამტკიცების პროცესში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაბუთებული მაჩვენებლების გათვალისწინება მაგალითია:
   - მიმდინარე ანუ ოპერატიული ფინანსური კონტროლის;
   - წინასწარი ფინანსური კონტროლის;
   - საფინანსო საქმიანობის ანალიზის;
   - შემდგომი ანუ დასკვნითი ფინანსური კონტროლის.
7. სახელმწიფოს მხრიდან არასახელმწიფო სფეროს კონტროლის ღონისძიებათა სისტემაში არ შედის:
   - ფულადი სახსრების მოძრაობისა და აღრიცხვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესების დაცვა;
   - გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების სფეროში კანონმდებლობის დაცვა;
   - სახელმწიფო ბიუჯეტიდან არასახელმწიფო სფეროზე გამოყოფილი სუბსიდიებისა და კრედიტების ხარჯვის მიზანშეწონილობა;
   - საკუთარი ფულადი სახსრების გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შემოწმება.

8. იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, არ მიეკუთვნება:
   - დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;
   - იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;
   - ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;
   - იყოს სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი.
9. საჯარო ფინანსური კონტროლის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანო (ფინანსთა სამინისტრო და ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო) მოქმედებს:
   - საფრანგეთში;
   - ამერიკის შეერთებულ შტატებში;
   - დიდ ბრიტანეთში;
   - იტალიაში.
10. არასახელმწიფო ფინანსური კონტროლის სახეებს არ მიეკუთვნება:
   - შიდასამეურნეო კონტროლი;
   - აუდიტორული კონტროლი;
   - უწყებრივი კონტროლი;
   - სტრატეგიული შიდასამეურნეო კონტროლი.
11. სტრატეგიული შიდასამეურნეო ფინანსური კონტროლის უშუალო მიზანია:
   - ფინანსური რესურსების გამოყენებისა და კაპიტალდაბანდებათა შესახებ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება;
   - სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება;
   - სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია;
   - სახელმწიფოს ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.
12. საქართველოში, საბიუჯეტო პროექტით გათვალისწინებული შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებასა და სისრულეს ამოწმებს:
   - სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
   - საბიუჯეტო ოფისი;
   - პარლამენტში მოქმედი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
   - ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები.
13. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ", საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა:
   - 2009 წლის 26 იანვარს;
   - 2010 წლის 26 მარტს;
   - 2011 წლის 26 თებერვალს;
   - 2012 წლის 26 იანვარს.
14. მიკრო- და მაკროდონეზე ფულადი სახსრების შესაბამის ფონდებში განაწილებასა და მათ მიზნობრივი დანიშნულებით გახარჯვაზე კონტროლში ვლინდება:
   - ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია;

- ფინანსების გამანაწილებელი ფუნქცია;
- ფინანსების საკონტროლო ფუნქცია;
- ფინანსების მასტიმულირებელი ფუნქცია.

15. ჩატარების ვადების მიხედვით გამოიყოფა:
    - წინასწარი, მიმდინარე (ოპერატიული) და შემდგომი (დასკვნითი) კონტროლი;
    - უწყებრივი, შიდასამეურნეო და აუდიტორიული კონტროლი;
    - საპრეზიდენტო, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლი;
    - საბიუჯეტო, საგადასახადო და სავალუტო კონტროლი.
16. ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე ბრძანებულებების გამოცემით, კანონებზე ხელის მოწერით ხორციელდება:
    - საპრეზიდენტო კონტროლი;
    - უწყებრივი კონტროლი;
    - ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების კონტროლი;
    - შიდასამეურნეო კონტროლი.
17. ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მთლიან გამოკვლევას გულისხმობს:
    - შემოწმება;
    - გამოკვლევა;
    - ზედამხედველობა;
    - რევიზია.
18. კონტროლი, რომელიც ხორციელდება საწარმოებისა და დაწესებულებების ფინანსური სამსახურების (ბუღალტერია, საფინანსო განყოფილება) მიერ და, რომლის ფუნქციებში შედის თვითონ საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სამეწარმეო და ფინანსური საქმიანობის შემოწმება, არის:
    - ადგილობრივი ფინანსური კონტროლი;
    - უწყებრივი ფინანსური კონტროლი;
    - შიდასამეურნეო ფინანსური კონტროლი;
    - საზოგადოებრივი ფინანსური კონტროლი.
19. საქართველოში საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს:
    - პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი;
    - სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
    - პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
    - დამოუკიდებელ აუდიტორთა ფედერაცია.
20. ფინანსური აუდიტი არ მოიცავს:
    - აუდიტის ობიექტის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
    - საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
    - საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;

- აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

21. იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, არ მიეკუთვნება:
   - დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული ბუღალტერი;
   - იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;
   - ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;
   - ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

22. შესაბამისობის აუდიტი მოიცავს:
   - აუდიტის ობიექტის საქმიანობის ან/და განხორციელებული პროგრამების/პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
   - აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
   - შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის შემოწმებას;
   - აუდიტის ობიექტის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად მართვის შემოწმებას.

23. იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი, არ მიეკუთვნება:
   - იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;
   - ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;
   - დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;
   - ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

24. ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს:
   - საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
   - საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;
   - აუდიტის ობიექტის საქმიანობის ან/და განხორციელებული პროგრამების/პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
   - აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

25. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად:
   - ექვემდებარება პარლამენტს;

- ექვემდებარება მთავრობას;
- დამოუკიდებელია;
- ექვემდებარება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

26. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:
    - ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი;
    - ობიექტურობა, კომპეტენტურობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი;
    - მიზნობრიობა, დამოუკიდებლობა, კონფიდენციალურობა, ყოვლისმომცველობა;
    - დამოუკიდებლობა, ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, პროფესიონალიზმი.
27. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურად:
    - არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა;
    - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა;
    - სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა;
    - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე არა უგვიანეს 7 დღისა.
28. „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართ-ველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონად იწოდება:
    - 2011 წლის 9 დეკემბრიდან;
    - 2012 წლის 19 დეკემბრიდან;
    - 2013 წლის 9 დეკემბრიდან;
    - 2014 წლის 19 დეკემბრიდან.
29. შიდა აუდიტორული შემოწმების სახეებს არ მიეკუთვნება:
    - სისტემური აუდიტი;
    - შესაბამისობის აუდიტი;
    - ეფექტიანობის აუდიტი;
    - საინიციატივო აუდიტი.
30. იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი, არ მიეკუთვნება:
    - იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;
    - იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;
    - ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;
    - ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა.

რეკომენდებული ლიტერატურა

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია / დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 11 ივლისიდან [დანართი №4 (11.07.2012 N 244)].
2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია / დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 11 ივლისიდან [დანართი №3 (11.07.2012 N 244)].
3. ვანიშვილი მ., ნიქაბაძე გ., ვანიშვილი ნ. ფინანსები. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2016.
4. ინგოროყვა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. სახელმძღვანელო. ტომი 1. - თბილისი, 2011.
5. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა. საჯარო ფინანსები. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2010.
6. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა. დამხმარე სახელმძღვანელო. - თბილისი, 2011.
7. მათიას მერინგი, GIZ–ის პროგრამა „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში" - გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი - კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი. - ბონი, 2014.
8. მესხია ი., ჭიოტაშვილი დ. საჯარო ფინანსები: გადასახადები და ბიუჯეტი. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2012.
9. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. ფინანსები. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2016.
10. ნამჩავაძე ბ. საჯარო ფინანსების მონიტორინგი - საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანალიზი/ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. - თბილისი, 16 დეკემბერი, 2015.
11. როუზენი ჰ. ს. საჯარო ფინანსები, ქართული გამოცემა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA, ტ. I. - თბილისი, 2006.
12. როუზენი ჰ. ს. საჯარო ფინანსები, ქართული გამოცემა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA, ტ. II. - თბილისი, 2006.
13. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" / საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი №5447 - ვებ-გვერდი, 22.12.2011წ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91618#!

14. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1014 განკარგულება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2260879
15. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3509521
16. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“: http:// www.mof.gov.ge/ViewFile.aspx?Id=210
17. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის დადგენილება №133 „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3613890
18. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“: www.mof.ge/show_law.aspx?id=711.
19. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017: http:// www. mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=11148.
20. საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე - მოქალაქის გზამკვლე-ვი/საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თბილისი, 2016: http://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/GEO_C_G.pdf
21. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №992 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167767
22. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №387 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400834
23. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №415 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2656900
24. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №432 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3124302

25. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 აპრილის №78 ბრძანება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3255222
26. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან. - თბილისი, 2016.
27. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია / დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 11 ივლისიდან [დანართი №2 (11.07.2012 N 244)].
28. სახელმწიფო საშინაო ვალის სტატისტიკა: http://mof.gov.ge/5029
29. სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა: http://mof.gov.ge/5033
30. საჯარო ინვესტიციების მართვა მუნიციპალურ დონეზე: გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის. - თბილისი, 2012.
31. სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო / საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტის მიზნებისათვის / სახელმძღვანელო გამოცემულია GIZ (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) პროგრამის „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით. - თბილისი, 2015.
32. ქისტაური შ., ხორგუაშვილი თ. ფინანსური მეცნიერება საქართველოში: წარსული, აწმყო, მომავალი. - გორი, 2003.
33. ფინანსები. ინვესტიციები. საბანკო საქმე / ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული). შემდგ. რედ. ლ. ქოქიაური. - თბილისი, 2009.
34. ხანთაძე გ. ცაავა გ. საჯარო ფინანსები (თეორია და მეთოდები). - თბილისი, 2013.
35. ხოდელი გ., ბროლაძე ნ., ჯულაყიძე შ. საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო /რედაქტორი დ. ზარდიაშვილი. - თბილისი, 2014.
36. Fisher R. State and Local Public Finance (with Info Trac), 2006.
37. Public Finance by harvey S. Rosen and Ted Gayer, 2010.
38. Public Finance: A Contemporary Aplication of Theory to policy by david N Hyman, 2010.
39. Public Finance and Public policy by Jonathan Gruber, 2012.
40. Public Financial management and Its Emerging Architecture by Marco Cangiano, Teresa Curristine and Michel Lazare, 2013.
41. Алан Гринспен. Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. - М, 2008.

42. Витте С. Конспект лекции о народном и государственном хозяйстве. - М, 1997.
43. Финансы: Учебник / Под ред. А.Г. Грязновой, Е.В. Маркиной. - М.: Финансы и статистика, 2004.
44. Финансы: Учебник. 2-е изд., перераб. и доп. / Под ред. В.В. Ковалева. - М.: ООО «ТК Велби», Изд-во Проспект, 2007.
45. Финансы: Учебник / А. С. Нешитой, Я. М. Воскобойников. 10-е изд. - М.: Издательско торговая корпорация «Дашков и К°», 2012.
46. Финансы: учебник для студентов вузов, обучающихся по экономическим специальностям, специальности „Финансы и кредит" (080105) / Под ред. Г.Б. Поляка. - 3-е изд., перераб. и доп. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2008.
47. Чебан С. Суверенные инвестиционные фонды: новый феномен мировой экономики// Мировая экономика и международные отношения. - 2008, №10.
48. ვებ - გვერდები:
    - საქართველოს პარლამენტი/http://www.parliament.ge;
    - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ http://www. mof. gov.ge;
    - საქართველოს ეროვნული ბანკი/http://www. nbg.gov.ge;
    - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / http://www.economy.ge;
    - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /http://www. statistics.ge;
    - ყოველთვიური სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა" /www.geoeconomics.ge;
    - ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა" /www. economics.brengi.com;
    - საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" /www.socialuri-economica.ge;
    - ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი" /www. Business-Engineering.brengi.com;
    - საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი" /www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics/jurnal;
    - საქართველოს ეროვნული ბანკის სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე" /www.nbg.gov.ge/bankjournal.

ავტორთა მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები



მერაბ ვანიშვილი - ეკონომიკის დოქტორი, 100-ზე მეტი ნაშრომის ავტორი ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, რეგიონალისტიკის, ფინანსებისა და აგრარული ეკონომიკის საკითხებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მონოგრაფიული გამოკვლევები: „საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები - თეორია, ძეთოდოლოგია, პრაქტიკა“ (2003), „ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და განვი-თარების ეკონომიკური მექანიზმები საქართველოში“ (2013), „სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში“ (2013), საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში (2016); სახელმძღვანელოები: „საფინანსო-საბანკო სტატისტიკა“ (2004, 2009), „მუნიციპალური საბიუჯეტო სისტემა და ფინანსური მენეჯმენტი“ (2005), „ფინანსები“ (2007, 2016), „ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით“ (2009), „ეკონომიკის საფუძვლები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა“ (2010), „ფინანსების საფუძვლები (2012, 2015), „სოციალური პოლიტიკა“ (2013, 2014), „სოციალური ეკონომიკა“ (2015, 2017) და „მენეჯერული ეკონომიკა“ (2015, 2016).

ამჟამად არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი, „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და სემინარებში.



ნინო ვანიშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, 38 ნაშრომის ავტორი ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი თანაავტორობით შესრულებული მონოგრაფიული გამოკვლევები: „ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და განვითარების ეკონომიკური მექანიზმები საქართველოში“ (2013), „სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში“ (2013), საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში (2016); მისი თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოები - „ფინანსების საფუძვლები“ (2012), „სოციალური პოლიტიკა“ (2014), „სოციალური ეკონომიკა“ (2015, 2016) და „ფინანსები“ (2016).

ამჟამად არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური არქივის მთავარი სპეციალისტი, ამავე უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის მართვის დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი. აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და სემინარებში.

შინაარსი

მიმართვა სტუდენტებისადმი 3

წინასიტყვაობა 5

თემა 1. საჯარო ფინანსების არსი და ფუნქციები 7
1.1. ფინანსურ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება 7
1.2. საჯარო ფინანსების ადგილი ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში 20
1.3. საჯარო საფინანსო საქმიანობა და მისი განმხორციელებელი სუბიექტები 26
1.4. საჯარო ფინანსების როლი ეკონომიკაში და საქართველოში მისი გააქტიურების ამოცანები 29
საკონტროლო კითხვები 34
ტესტები თვითშემოწმებისათვის 37

თემა 2. საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი 42
2.1. საჯარო ფინანსურიპოლიტიკის არსი და დანიშნულება, მისი სტრატეგია და ტაქტიკა 42
2.2. საჯარო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი სახეები და ტიპები 47
2.3. ფინანსური მექანიზმის როლი საჯარო ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციაში 49
2.4. საჯარო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 51
2.5. თანამედროვე საქართველოს საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი 57
საკონტროლო კითხვები 63
ტესტები თვითშემოწმებისათვის 65

თემა 3. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა და მისი ორგანიზაცია 69
3.1. საჯარო ფინანსების მართვის არსი და დანიშნულება 69
3.2.ფინანსური დაგეგმვა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში: არსი, პრინციპები და მეთოდები 71
3.3. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა განვითარებულ ქვეყნებში 75
3.4. თანამედროვე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა 78
საკონტროლო კითხვები 104
ტესტები თვითშემოწმებისათვის 106

თემა 4. საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი 109

4.1. ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები.....109
4.2. საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა.....118
4.3. საბიუჯეტო პროცესი და მისი ორგანიზაცია.....128
4.4. საბიუჯეტო რეფორმა და ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში.....132
საკონტროლო კითხვები.....141
ტესტები თვითშემოწმებისათვის.....144

თემა 5. სახელმწიფო ბიუჯეტი 170
5.1. სახელმწიფო ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები.....170
5.2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა.....173
5.3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.....179
5.4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი.....182
5.5. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა და მისი მიზნობრივი გამოყენების კონტროლი.....189
საკონტროლო კითხვები.....192
ტესტები თვითშემოწმებისათვის.....194

თემა 6. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი 221
6.1.ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები.....221
6.2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა.....224
6.3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.....230
6.4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება, შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება.....231
საკონტროლო კითხვები.....236
ტესტები თვითშემოწმებისათვის.....239

თემა 7. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი 267
7.1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არსი და ზოგადი მარეგულირებელი ნორმები.....267
7.2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა.....270
7.3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.....283
7.4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება, აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი.....286
საკონტროლო კითხვები.....292

ტესტები თვითშემოწმებისათვის.....295

თემა 8. საბიუჯეტო კლასიფიკაცია 312
8.1. საბიუჯეტო კლასიფიკაციის არსი და მნიშვნელობა.....312
8.2. შემოსავლების კლასიფიკაცია.....316
8.3. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია.....352
8.4. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია.....366
8.5. ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....376
8.6. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია.....420
საკონტროლო კითხვები.....425
ტესტები თვითშემოწმებისათვის.....427

თემა 9. ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის მართვა 465
9.1. ბიუჯეტის დეფიციტი და მისი დაფინანსების წყაროები.....465
9.2. სახელმწიფო კრედიტის არსი და ფუნქციები.....474
9.3. სახელმწიფო სესხების კლასიფიკაცია.....477
9.4. სახელმწიფო ვალის მართვა.....480
9.5. სახელმწიფო ვალის მართვის პრობლემები საქართველოში.....487
საკონტროლო კითხვები.....504
ტესტები თვითშემოწმებისათვის.....506

თემა 10. საბიუჯეტო ფედერალიზმი და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სისტემა 511
10.1. საბიუჯეტო ფედერალიზმის არსი და პრინციპები.....511
10.2. მსოფლიოში ცნობილი საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები.....515
10.3. საბიუჯეტო ფედერალიზმის ზოგადი მიზნები და საქართველოში მის შემოღებასთან დაკავშირებულიამოცანები.....517
10.4. სახელმწიფო, ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებული ფინანსური ურთიერთობები.....520
10.5. საგადასახადო და ხარჯვით უფლებამოსილებათა გადანაწილება საბიუჯეტო სისტემის რგოლებს შორის.....524
საკონტროლო კითხვები.....531
ტესტები თვითშემოწმებისათვის.....533

თემა 11.სახელმწიფო არასაბიუჯეტო (სპეციალური) ფონდების ადგილი და როლი საჯარო ფინანსების სისტემაში 539
11.1. სახელმწიფო სპეციალური ფონდების სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები.....539

11.2. სუვერენული საინვესტიციო ფონდების დანიშნულება, დაფინანსების მეთოდები და ამოცანები....543
11.3. სახელმწიფო სპეციალური ფონდები საქართველოში: ისტორიული გამოცდილება და დღევანდელობა....550
საკონტროლო კითხვები....568
ტესტები თვითშემოწმებისათვის....570

თემა 12. საჯარო ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია 576
12.1. ფინანსური კონტროლის არსი, მიზანი და ამოცანები....576
12.2. ფინანსური კონტროლის სახეები, ფორმები და მეთოდები....579
12.3. საჯარო ფინანსური კონტროლის ორგანოები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში....584
12.4. საჯარო ფინანსური კონტროლის განხორციელების თავისებურებანი საქართველოში....587
საკონტროლო კითხვები....616
ტესტები თვითშემოწმებისათვის....618

რეკომენდებული ლიტერატურა 624

ავტორთა მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები 628

Ванишвили Мераб, Вапишвили Нино

ОБЩЕСТВЕННЫЕ ФИНАНСЫ

Учебник

Merab Vanishvili, Nino Vanishvili

PUBLIC FINANCE

Textbook

მხატვრული რედაქტორი	ბესიკ ზაქარაძე
ტექნიკური რედაქტორი	თამარ ვანიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ხვიჩა შარაბიძე
სტილისტ-კორექტორი	მზია მარტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 10.06..2017 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.06.2017 წ.,
ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 40.5
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 39.2

ტირაჟი 500 ეგზემპლარი

გამომცემლობა „დანი“
ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 112

ელ. ფოსტა: dani122@list.ru
ტელეფონი: 2 34-31-03, 599-78-90-03